ალექსანდრე ციცაძე

ქადაგებები და სიტყვები

ალექსანდრე ციცაძე ქადაგებები და სიტყვები

სერია «რელიგია კონფლიქტებსა და მოლაპარაკებებში» მკითხველთა ფართო წრეს ამჟამად სთავაზობს წინამდებარე წიგნს და ამ გამოცემას უძღვნის აღნიშნული სერიის ერთ-ერთი დამაარსებლის, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის აწ განსვენებული დირექტორის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ

გიორგი ხუციშვილის ხსოვნას

(1948-2013)

This book is dedicated to the memory of the Founder and unchallenged leader of International Center on Conflict and Negotiation, Doctor of Phylosophy, Professor George Khutsishvili (1948-2013) who initiated the Series entitled "Religion in Conflicts and Negotiations" in Georgia and within the frame of which this book is published.

გამომცემელი ორგანიზაციები

Published by

კონფლიქტებისა და
მოლაპარაკებების
საერთაშორისო
კვლევითი ცენტრი

International Center on
Conflict and Negotiation

სულხან-საბა ორბელიანის
სასწავლო უნივერსიტეტი

Sulkhan-Saba Orbeliani
Teaching University

სერია «რელიგია კონფლიქტებსა და მოლაპარაკებებში»

კალისტრატე ცინცაძე

ქადაგებები და სიტყვები

გამოსაკვლევად მოამზადა, შესავალი და გამოკვლევა დაურთო
ნუგზარ პაპუაშვილმა

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2014

UDC (უაკ) 27-475
ც – 661

პირველად ქვეყნდება XIX-XX საუკუნეების დიდი ქართველი სასულიერო პირისა და საზოგადო მოღვაწის, კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის საეკლესიო-ლიტურგიკული ქადაგებებისა და საპარაკლისო-საპანაშვიდო სიტყვების კრებული. პუბლიკაციას ახლავს გამომცემლის, ნუგზარ პაპუაშვილის, შესავალი და გამოკვლევა, რომლებშიც წარმოჩენილია წინამდებარე გამოცემის მოტივი და მიზანი, კათალიკოს კალისტრატეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი საკითხები, პარალელები თანამედროვეობასთან. განკუთვნილია როგორც სასულიერო თემატიკით დაინტერესებული პირებისათვის, ისე კონფლიქტოლოგებისა და პოლიტოლოგებისათვის.

რედაქტორი: **ზურაბ კიკნაძე**

ავტორისეული შეფასებები და მოსაზრებები შესაძლებელია
არ გამოხატავდეს გამომცემელი ორგანიზაციების პოზიციას.

© ნ. პაპუაშვილი, 2014

გამომცემლობა „**უნივერსალი**", 2014
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E–mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-444-7

სარჩევი

შესავალი..... 7

ყვავილკრეზული

არაკალენდარული ქადაგებები ქაშვეთის სამრევლოში
სამრევლოში შესვლა..... 25
სამწირველოს კურთხევა..... 30
ტაძრის კურთხევა..... 31
ეპისკოპოსად დადგინება..... 32

I. უძრავ დღესასწაულთანი

ახალი წელი (3)..... 35
წმ. ნინო..... 41
დავით აღმაშენებელი..... 53
მირქმა..... 54
წმ. გიორგი (6)..... 56
შობა (2)..... 80

მარხვან-აღვსებისანი

დიდმარხვის მეორე კვირა..... 87
დიდი პარასკევი..... 89
სააღდგომო ეპისტოლე..... 92
სამარიტელის კვირიაკე..... 94

II. პარაკლისებისა და პანაშვიდებისანი

სკოლა და კულტურა
სწავლის დაწყების გამო (3)..... 98
გიმნაზიის საფუძვლის კურთხევა..... 101
სამუსიკო სკოლის კურთხევა..... 103
თეატრის შენობის განახლება..... 104
უფასო სადილის გამართვა (2)..... 105
უნივერსიტეტის გახსნა..... 107
სამოძღვრო კურსების გახსნა..... 108
საზოგადოება და პოლიტიკა
ბაქოში სომეხ-თათართა შეტაკების გამო..... 109

ბატონყმობის მოსპობის გამო 110
კავკასიის ჯარის გამარჯვების გამო 111
მოხალისეთა რაზმის საომრად გამგზავრების გამო..... 112
ეპიტაფიები
ნიკოლოზ ბარათაშვილი 113
გიორგი ქართველიშვილი..... 118
ილია ჭავჭავაძე 122
ეპ. ალექსანდრე 124
გრიგოლ ორბელიანი 127
ეგნატე ნინოშვილი..... 133
დავით სარაჯიშვილი 134
ნიკოლოზ ღოღობერიძე 136
ნიკოლოზ ცხვედაძე 139
იაკობ გოგებაშვილი 142
ალექსანდრე ხახანაშვილი 145
არისტო ქუთათელაძე..... 148
კოტე მესხი 150
აკაკი წერეთელი (2) 152
ვარლამ გელოვანი 155
ნიკო ლომოური 156
ალექსანდრე ჭიჭინაძე 157
ეროდიონ ევდოშვილი 159
თედო ჟორდანია 160
კიტა აბაშიძე 162
მაკარაშვილი და ჩიკვაიძე 163
ვლადიმირ გობეჩია 165
მიტრ. ანტონი..... 166
კ-პ ლეონიდი 168

ეპისტოლე..... 170

ნუგზარ პაპუაშვილი, კალისტრატე ცინცაძე სარწმუნოების,
მოქალაქეობისა და კულტურის შესახებ (შენიშვნებით) 173

Н. Папуащвили, Католикос-Патриарх всея Грузии
Каллистрат Цинцадзе..... 289
Abstract 302

შესავალი

ძნელია მოიძებნოს მოაზროვნე, რომელიც არ აღიარებს, რომ რელიგია, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზებუნებრივი სამყაროს რწმენა და მის მიმართ კრძალულება არის საყოველთაო სიკეთისა და სიხარულის წყარო. არც იმაზე დავობენ, რომ მსოფლიო კულტურისა და ცივილიზაციის სათავეში ღვთის რწმენა და ღვთის დიდება დგას. ისიც ცხადია, რომ ამ რწმენისა და ამ დიდების გარეშე არ იქნება და ვერ იქნება ,,ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება" (ლუკა 2,14). ისტორია ცხადყოფს და საღვთო წიგნი ადასტურებს, რომ სიცოცხლის ხე, რომელიც რელიგიის შუაგულში დგას, კაცთა მოდგმის განკურნებისთვის, სულიერი, ზნეობრივი და გონებრივი გამოფხიზლებისათვის, გაუმჯობესებისა და გაკეთილშობილებისათვის არის განკუთვნილი (შდრ. გამოცხ. 22,2).

მაგრამ იგივე ისტორია და იგივე წიგნი იმასაც ცხადყოფს, რომ ღვთის არსებობის რწმენა და ღვთის ქება, ღვთის წინაშე შიშითა და თრთოლვით დგომა კაცთა მოდგმის გაუმჯობესების საკმარისი პირობა არ არის. განა ტერორისტებს და მოძალადეებს ღმერთი ნაკლებად სწამთ?! მოციქული ხომ პირდაპირ ამბობს: ,,ეშმაკებსაც სწამთ და ძრწიან კიდეც... მაგრამ რწმენა საქმეთა გარეშე მკვდარია" (იაკ. 2,19-20). და მართლაც: რა ფასი აქვს სარწმუნოებასა და რელიგიას სათნოებისა და სიყვარულის გარეშე?! რელიგიური ადამიანი, რომელსაც სხვათა მიმართ თანაგძნობა და თანალმობა არ გააჩნია, როგორც წესი, მზვაობარია და, მაშასადამე, პოტენციური დამნაშავე. ეგევე ითქმის მორწმუნეთა დიდი თუ მცირე ჯგუფების მიმართ, რომელთა შორის სიყვარულის და სათნოების ნიჭი შელახულია. მოკლედ რომ ვთქვათ, არა ნებისმიერი რელიგია და ღვთის ნებისმიერი რწმენა გახდის ადამიანს უკეთესს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულით შთაგონებული რელიგია და სიყვარულისმიერი სარწმუნოება. და თუ როგორ უნდა აღიძრას და აღიზარდოს კაცთა გულსა და გონებაში ასეთ მადლის და შინაარსის სარწმუნოე-

ბა, იყო და არის ყოველი მშვიდობისმყოფელი რელიგიური საზოგადოების, კულტუროსანი ერისა და ცივილიზაციის უმთავრესი პრობლემა.

ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა, რომლის წინაშე თანამედროვე საქართველო დგას, არის ფუნდამენტალიზმი და ნაციონალიზმი ამ ქვეყნის მართლმადიდებლად ცნობილი მოსახლეობის დიდ ნაწილში. ლაპარაკია იმ ცნობიერებისა და განწყობილების მართლმადიდებლებზე, რომლებსაც აქვთ მისწრაფება და კატეგორიული მოთხოვნა, საკუთარი შეხედულებები და რწმენა-წარმოდგენები გაავრცელონ გლობალურად და ისინი იმ უბნებშიც დანერგონ, რომელთა ნიადაგი მსგავსი შეხედულებებისა და რწმენა-წარმოდგენებისათვის არ არის გაჩენილი, რადგან ბუნებრივადაც და თვისობრივადაც ეს სხვა უბანი და სხვა ნიადაგია. იგულისხმება სამოქალაქო და სახელწიფო სივრცე, რომელიც მოიცავს საჯარო სკოლებს, მეცნიერებისა და სახალხო განათლების ცენტრებს, გასართობსა თუ პოლიტიკურ კლუბებს, შეხვედრების და გაცნობის ადგილებს, აუდიო და ვიდეო სტუდიებს და ბევრ სხვა ისეთ უბანსა თუ ნიადაგს, რაც ბუნებითად და დანიშნულებისამებრ არ არის ეკლესიის სივრცე და ადგილი. ეს სეკულარული, პროფანული, საერო სივრცეა. ზემოთ აღნიშნული კატეგორიის მართლმადიდებლები, რომლებიც დღესდღეობით ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ (ასეთია ზედაპირული შთაბეჭდილება), ცდილობენ, რომ თავიანთი პრინციპები და დიქტატი ასეთ სივრცესა და უბნებზე განავრცონ.

პოსტსაბჭოურ საქართველოში თითქმის ყოველდღე გაისმის მოწოდებები იმ ინდივიდებისა თუ კოლექტივების მხრიდან, რომლებიც თავიანთ თავს მართლმადიდებლად მოიხსენიებენ: საჯარო სკოლებშიც უნდა ისწავლებოდეს საღვთო რჯული იმ შინაარსით და იმ მეთოდით, როგორადაც ამას ჩვენ მოვიაზრებთ! სცენასა თუ ეკრანზე, წიგნსა თუ გაზეთზე წარმოდგენილ არ უნდა იქნას ის, რასაც ჩვენ სულის წარწყმედად მივიჩნევთ! რესტორნებსა თუ პლაჟებზე არ უნდა მოეწყოს ის, რაც ჩვენი რწმენით არ უნდა მოეწყოს! მი-

ტინგი, აქცია და ქუჩაში მსვლელობა არ უნდა მოაწყონ მათ, ვისზეც ჩვენ ვამბობთ, რომ არ უნდა მოაწყონ! ესა თუ ის შენობა, ნანგრევი თუ მიწის ნაკვეთი არ უნდა გადაეცეს მას, ვისაც ჩვენ ვთვლით, რომ არ უნდა გადაეცეს! (ჩვენ უნდა გადმოგვეცესო). ამ დროს ფაქტია (და ესაა აქ მთავარი და არსებითი), რომ ამ და მსგავსი მოწოდებების წინაშე ხშირად (და მეტწილად) ქედს იხრის ის ინსტიტუტი, რომელიც წესისა და რიგის მიხედვით ასეთ მოწოდებებს და მოთხოვნებს ქედს არ უნდა უხრიდეს. ეს ინსტიტუტი არის სეკულარული და დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც ჩვენს სინამდვილეში მფარველობს ერთი აღმსარებლობის ეკლესიას და უგულებელყოფს სხვა აღმსარებლობის ეკლესიებს (ქრისტიანულს თუ არაქრისტიანულს!), რაც არღვევს როგორც ეკლესიისა და სახელმწიფოს გაყოფის, ისე მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობის კონსტიტუციურ პრინციპს. ამ ფაქტმა ქვეყანა უკვე მიიყვანა სავალალო შედეგებამდე, რაც გამოიხატება არამართლმადიდებლების ანუ სხვაგვარმადიდებლების, ასევე არაქართული ერებისა და ეთნოსების გარკვეული ნაწილის საქართველოს საერთო სივრცისაგან გაუცხოებაში.

ქმედებები და მოვლენები, რაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით ბოლო ათწლეულებში წარიმართება, რასაც სხვადასხვა სახის რწმენა-წარმოდგენები კვებავს და რომლის მასშტაბმა უკვე სერიოზული სახე მიიღო, ყველაზე მეტად აღნიშნულ ეკლესიას აზარალებს და მომავალში კიდევ უფრო დააზარალებს. სწორედ მისი და, პირველ რიგში, მისი ავტორიტეტი ილახება ადგილზეც და საერთაშორისო ასპარეზზეც. გარეშე თვალს რჩება შთაბეჭდილება, რომ მოძალადეობა, სხვა კონფესიის ეკლესიათა ისტორიული მემკვიდრეობის მითვისება; ნაირნაირი ცრუმორწმუნეობა, ფეტიშიზმი და პათოლოგიური მისტიციციზმი (კათოლიკური ეკლესიები, მუსლიმთა თუ ებრაელთა სალოცავები ,,მართლმადიდებელი ეკლესიების ძველი ქვებით” არის აშენებული და ამის გამო ჩვენიაო) თითქოს ამ ეკლესიის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, ბუნება, მისი არსება და წარსულის მემკვიდრეობაა. ვინმე იფიქრებს (და ფიქრო-

ბენ კიდეც), რომ რელიგიური ეთნონაციონალიზმი (ერთგვარი ერესი, – ფილეტიზმი), სხვა აღმსარებლობის ეკლესიების მიმართ ქსენოფობიური, რეტროგრადული და კარჩაკეტილი დამოკიდებულება, რომლისთვისაც ნიშანდობლივია სიძულვილის ენა და რითაც აღბეჭდილია პოსტსაბჭოური საქართველოს საეკლესიო სივრცე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განუყოფელი და მოუცილებელი ნაწილია. ვიმეორებთ, არ არის გასაკვირი (და მოცემულ გარემოში ეს ბუნებრივია), რომ მავანმა ირწმუნოს, თითქოს ძველადაც ასე იყო. და თუ ძველადაც ასე იყო და დღესაც ასეა, მაშინ გამოდის, მავანთა და მავანთა მოსალოდნელი დასკვნით, რომ ყოველივე, რაზეც ზემოთ ვილაპარაკეთ: სხვათა სიძულვილი და ჩაგვრა, თითქოს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ბუნებითი თვისება ყოფილა.

დაისმის არსებითი და საჭირბოროტო კითხვა: მართლა ასეა?

სრულყოფილი პასუხის მისაღებად ამთავითვე უნდა ვიკითხოთ: შეუძლია თუ არა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გარდასული დღეების გამოცდილებასა და მემკვიდრეობას წვლილი შეიტანოს თანამედროვე კონფლიქტების მოლაპარაკებათა გზით მოგვარებაში? პასუხი, ცხადია, საჭიროებს ამ ეკლესიის ისტორიის გაცნობას. პირველ რიგში უნდა გაირკვეს: ის მოვლენები და ტენდენციები, რაც უარყოფითად ახასიათებს დღევანდელი საქართველოს მართლმადიდებელ საზოგადოებას როგორც სამშობლოში, ისე მის საზღვრებს გარეთ, წინააღმდეგობაში ხომ არაა ამავე ქვეყნისა და მისი მართლმადიდებელი ხალხის წარსულთან? როგორია ამ ქვეყნისა და მისი მართლმადიდებელი ეკლესიის რეალური ტრადიცია? რასაც ახლა ვგმობთ, ამ ტრადიციის შემადგენელი ნაწილია, თუ – ამ ტრადიციისათვის უცხო სხეული? კიდევ უფრო რომ დავაკონკრეტოთ: იმ ამბებს, რაც პოსტსაბჭოურ საქართველოში ხდება, რაზეც უკვე ვთქვით, ანდა არ გვითქვამს, მაგრამ ვიგულისხმეთ, მოიწონებდნენ ქართველი ხალხის ჩინებული წინაპრები და წმინდანები? გვმართებს, გავიხსენოთ საქართველოს მართლმადიდებელი

ეკლესიის დიდი მნათობნი, გვირგვინოსანი თუ უგვირვინო მეფეები: დავით აღმაშენებელი, ანდა თამარი, ანდა ილია ჭავჭავაძე, ანდა წმ. ეპისკოპოსი გაბრიელი და სხვანი; გავიხსენოთ მათი სიტყვანი და საქმენი, მათი სარწმუნოებრივი და სამოქალაქო პოზიციები და საკუთარ თავს ვკითხოთ: მათ რომ ჩვენს დროში ეცხოვრათ და ამ ამბებს შესწრებოდნენ, რა პოზიციას დაიჭერდნენ ისინი და რომელ მხარეს დადგებოდნენ?

და, აი, ახლა, როდესაც წინამდებარე წიგნის ამ მონაკვეთზე ვმუშაობთ (2014 წლის ოქტომბრის ბოლო კვირა), უკვე რამდენიმე დღეა, მასმედიაში მრისხანედ ჟღერს მართლმადიდებლების მიერ მუსლიმთა შეურაცხყოფისა და დამცირების კონკრეტული ფაქტები: ქობულეთში მედრესეს კარებზე ღორის თავის მილურსმნა და იქაურობის ღორის სისხლით მოთხვრა, პიკეტის მოწყობა და ამ დაწესებულების „დაპატიმრება“ (მოქმედების შეჩერება); სოფელ მოხეში 1944 წელს დეპორტირებული მუსლიმი მესხების სალოცავი სახლის ბიბლიოთეკად გადაკეთებისა და ამ გზით ამ ხალხის ნატერფალის მოსპობის მცდელობა; ადგილობრივი მართლმადიდებელი ეპისკოპოსის მიერ აღნიშნული სალოცავის ქრისტიანთა ეკლესიის ქვებით აგების ერთგვარი ჰიპოთეზისა და ქვების რელიგიური ნიშნით დახარისხების ასეთივე შინაარსის თეორიის შემუშავება, რაც, პირდაპირ რომ ვთქვათ, არაჯანსაღი მისტიციზმის სფეროს განეკუთვნება და სიმართლის გარკვევას არ ემსახურება. კვლავ დაისმის კითხვა: რას გვეტყოდნენ ჩვენი დიდი წინაპრები, დასახელებული ექსცესების შესახებ ინფორმაცია რომ მიეღოთ და ხსენებული ეპისკოპოსის ქვათა მისტიკა მოესმინათ? ამჯერად ჩვენი ყურადღება განსაკუთრებული ძალით ნეტარხსენებულმა მღვდელმოძღვარმა კალისტრატე ცინცაძემ მიიპყრო. 1918 წელს, როდესაც საქართველოში გახშირდა მკვლელობა და კრიმინალი, რასაც, როგორც ჩანს, ხშირად მართლმადიდებელი სარწმუნოებით თავმომწონე ადამიანები ჩადიოდნენ, და როდესაც ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობის იდეას ბზარი შეეპარა, ვინაიდან აჭარელმა და ინგილო მუსლიმებმა

ერთიანი საქართველს სივრციდან გასვლა მოინდომეს, ავბედობის მიზეზის ძებნა მან, ღრმად განსწავლულმა ღვთისმეტყველმა და ისტორიკოსმა, დაიწყო არა სხვაგან, არამედ საკუთარი ქვეყნისა და ეკლესიის წიაღში და დასვა კითხვა: რატომ გახშირდა ასერიგად დანაშაული ჩვენს ქვეყანაში? რატომ არ უნდათ სხვა სარწმუნოების შვილებს, თანაც ჩვენს სისხლსა და ხორცს, ჩვენს გვერდით ცხოვრება? იქნებ იმიტომ, რომ ჩვენს სარწმუნოებრივ ცხოვრებას რაღაც აკლია? იქნებ იმიტომ, რომ ჩვენ ჩვენი სარწმუნოებრივი ცნობიერების სიმრთელესა და სიჯანსაღეზე ნაკლებად ვზრუნავთ? მოვისმინოთ მისი სიტყვები, იმდროინდელი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის, ვლადიმირ გობეჩიას, დაკრძალვის დღეს, 1918 წლის 23 ივნისს, წარმოთქმული: ,,ჩვენში რომ საღის სარწმუნოებრივის სწავლისათვის ეზრუნათ, დაეცვათ მტკიცედ ქრისტეს სჯული, პატივისცემით მოჰპყრობოდნენ სხვის სარწმუნოებას, – აჭარა არ ჩამოგვშორდებოდა, ინგილო-მაჰმადიანები და ინგილო-ქრისტიანები ძმურად იცხოვრებდენ ერთმანეთში და თვით ვლადიმერ გობეჩია დღეს აქ უსულოდ მდებარე არ იქნებოდა... შევისწავოთ: ღვთის განგება კიდევ გვაფრთხილებს! ის გვეუბნება: ქრისტეს დიადის მცნების – ურთიერთას სიყვარულის – გარეშე ცხოვრება შეუძლებელია და, ამისათვის, თუ გნებავთ, განთავისუფლებულ საქართველოში განვითარდეს თავისუფალი მოქალაქობა, ხელი შეუწყეთ საღის სარწმუნოებრივ-ზნეობრივის სწავლის გავრცელებას" (,,ახალი სიტყვა", 1918, №8, გვ. 4). თუ რას გულისხმობს ცნება ,,საღი სარწმუნოება", შედარებით ვრცლად ვისაუბრებთ ქვემოთ, გამოკვლევაში. აქ ჩვენთვის იმის ხაზგასმაც საკმარისია, რომ ეს სიტყვები თითქოს დღევანდელი დღისათვის არის წარმოთქმული და დაწერილი, რათა მიგვანიშნოს: განწყობილებები და მოთხოვნები, რაც დღევანდელი საქართველოს აქტივისტ მართლმადიდებლებს აქვთ, საყრდენს და გამართლებას ამ ქვეყნისა და მისი მართლმადიდებელი ეკლესიის ტრადიციაში ვერ პოულობს.

სწორედ დღევანდელი დღის პრობლემები, მართლმადიდებელ ეკლესიასთან დაკავშირებული, აძლიერებს ისეთი

ლიტერატურის მოძიებისა და გამოცემის სურვილს, რომელიც საღი სარწმუნოებრივი და მოქალაქეობრივი თვალთახედვით არის განმსჭვალული. ასეთი ლიტერატურა, საბედნიეროდ, მოგვეპოვება და იმედი გვაქვს, რომ ის მკითხველთა ფართო წრეს მართებული ორიენტაციის ჩამოყალიბებაში დაეხმარება და შეასრულებს ალტერნატივის როლს, რათა საქართველოს მოსახლეობის საგრძნობ ნაწილში ზემოთ აღნიშნული განწყობილებებისა და ტენდენციების მასშტაბთა შემცირება მოხერხდეს.

ასეთ ლიტერატურად წარმოგვიდგება ზემოთ ციტირებული ტექსტის ავტორის, სარწმუნოებით, ზნეობითა და განათლებით განთქმული მოძღვრის, ბოლშევიკურ-კომუნისტური დევნილების ხანაში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის* – კალისტრატე ცინცაძის (1866-1952) – წერილობითი სამოძღვრო-საღვთისმეტყველო მემკვიდრეობა. ესაა საეკლესიო დღესასწაულებისა და სადაგი დღეებისათვის განკუთვნილი ქადაგებები (საკუთრივ ქადაგებები), სხვადასხვა საზოგადოებრივი, პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო შემთხვევის გამო წარმოთქმული სიტყვები, განსაკუთრებით – ეპიტაფიები ანუ სიტყვები (იგივე ქადაგებები), რომლებიც გამოჩენილი საერო და სასულიერო მოღვაწეების დაკრძალვის დღეს წარმოითქვა. მითითებულ სიტყვებში, წმინდა საეკლესიო-საღვთისმეტყველო თემატიკის გარდა, გვხვდება მსჯელობა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა დემოკრატია, ადამიანის უფლებები, პიროვნების სინდისის ხელშეუხებლობა და თავისუფლება; ეკლესია და სახელმწიფო; ერთსა და იმავე სოციუმში სხვადასხვა კონფესიის ეკლესიათა თანაარსებობა; მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა განურჩევლად სქესისა, კანის ფერისა, წოდებისა, ნაციონალური თუ რელიგიური კუთვნილებისა; თანადგომა, თანალმობა და ქველმოქმედება ყოველთა მიმართ; უცხოთა შეწყნა-

---

* ჩვენ ვამჯობინებთ ფორმას «კათ**ა**ლიკოსი»: ნ. პაპუაშვილი, კათალიკოსი და კათალიკოსობა საქართველოში. „დიალოგი", 2008, №1-2, გვ. 210-212.

რება და შეყვარება, მოშუღლეთა შერიგება და კაცთა შორის სათნოება.

ჩვენი ქვეყნის დღევანდელმა, რელიგიურად შეფერილმა გარემომ გვიკარნახა, გვეზრუნა ხსენებული სასულიერო პირის ჰომილეტიკური (ქადაგებისეული) ტექსტების თავმოყრასა და კრებულის სახით მათ გამოცემაზე. აღნიშნული მასალის ნაწილი ავტორმა თავად გამოაქვეყნა სხვადასხვა გაზეთში, ჟურნალსა თუ კრებულში, ასევე ნაბეჭდი ფურცლების სახით (საეკლესიო ქადაგებები). ნაწილი გამოუქვეყნებელი დარჩა და ხელნაწერების (მეტწილად ავტოგრაფების) სახით არის წარმოდგენილი მის პირად საარქივო ფონდში. ცალკეული ქადაგების გამოქვეყნება ჩვენ 1980 წლიდან დავიწყეთ და გზადაგზა, მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებთან თემატური თანხვედრის პრინციპით, რამდენიმე პუბლიკაცია განვახორციელეთ, მეტწილად საპატრიარქოს ბაზაზე (,,საღვთისმეტყველო კრებული" და ,,ჯვარი ვაზისა"). ესენია (საბჭოთა პერიოდში გამოქვეყნებული, ქრონოლოგიურად): სიტყვები 1. ნიკოლოზ ბარათაშვილის განჯიდან გადმოსვენებაზე (,,ჯვარი ვაზისა", 1981, №1, გვ. 28-29) 2. აკაის გარდაცვალების გამო (,,ჯვარი ვაზისა", 1983, №1, გვ. 49) 3. ილიას გარდაცვალების გამო (,,ჯვარი ვაზისა", 1987, №1, გვ. 66-67; „საღვთისმეტყველო კრებული", 1987, №3, გვ. 173-176) 4. ეპისკოპოსად დადგინების გამო („საღვთისმეტყველო კრებული", იქვე, გვ. 166-168) 5. დიმიტრი ლაზარიშვილის ეპისკოპოსად კურთხევის გამო (იქვე, გვ. 169) 6. 1936 წლის ეპისტოლე (იქვე, გვ. 170-172. შემდეგი პუბლიკაციები იხ. ქვემოთ, გამოკვლევაში) 7. გრიგოლ ორბელიანის გარდაცვალებიდან 25 წლისთავზე (იქვე, გვ. 177-183) 8. გიორგი ქართველიშვილის გარდაცვალების გამო (იქვე, გვ. 184-188) 9. ქართული თეატრის შენობის განახლების გამო (იქვე, გვ. 189-190) 10. უნივერსიტეტის გახსნის დღეს (,,მესხეთი", 1990, 3.XII, №1)*. საეკლესიო კალენ-

* მითითებული სიტყვების ნაწილი კვლავ გამოაქვეყნეს პროფ. მიხეილ ქავთარიამ (მწიგნობრობა ქართული 10, თბ., 2010, გვ.

დრის რიგის ქადაგებები შევიყვანეთ ქადაგებათა ჩვენს მიერ მომზადებულ კრებულში, რომელიც მოთავსდა „საღვთისმეტყველო კრებულის“ 1985 წლის № 1-ში (შიდამოხმარების წესით გამოცემულში რამდენიმე ეგზემპლარად). ერთ-ერთი ქადაგება წმ. გიორგის ციკლიდან გამოვაქვეყნეთ ,,ჯვარი ვაზისაში” (1986, №1, გვ. 26-27).

ამჯერად მკითხველთა ფართო წრეს ვთავაზობთ მისი უწმინდესობის ჰომილიათა ვრცელ კრებულს. ამ კრებულს სისრულის პრეტენზია არა აქვს, თუმცა ავტორის მიერ ქართულენოვან ღვთისმსახურებებზე წარმოთქმული ქადაგებებისა და სიტყვების უმრავლესობას მოიცავს; მთავრდება ეკლესიებში წასაკითხი ეპისტოლით, რაც რეალურად, ასევე, არის ქადაგება ანუ ჰომილია (,,ჰომილია“ ხომ მორწმუნეთა საკრებულოს წინაშე წარმოთქმულ სიტყვას ეწოდება, სიტყვას, რომელიც სარწმუნოებრივ შინაარსს შეიცავს და რელიგიური განცდების აღძრვისა და აღზრდისათვის არის განკუთვნილი). ამასთანავე, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, კრებულისათვის დაგვერთო ჩვენი ნაშრომი ავტორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ (ქართული ვრცელი და რუსული მოკლე ვარიანტი).

დასახელებული ნაშრომი (ნარკვევი, გამოკვლევა) დაწერილია 1980-1982 წლებს შორის. ამ დროს საქართველოს საპატრიარქოში კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის ინიციატივითა და ლოცვა-კურთხევით დაისვა საკითხი კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის წმინდანად გამოცხადებისა და კანონიზაციის თაობაზე (იხ. უკანასკნელი პანაშვილი. ,,ჯვარი ვაზისა”, 1982, №1, გვ. 26-27). დაიწყეს მასალების შეგროვება, რათა შესაძლებელი გამხდარიყო შესაბამისი ჰაგიოგრაფიული ცხოვრების დაწერა. ამ უბანზე მუშაობის სურვილი მეც აღმეძრა და საარქივო საქმეების გაცნობას შევუდექი ხელნაწერთა ინსტიტუტის (ამჯამინდელი ხელნა-

---

150-193) და პროფ. სერგო ვარდისანიძემ (მისივე, პატრიარქები, თბ., 2013, გვ. 94-107). გამომცემლები, ჩანს, ჩვენს პუბლიკაციებს არ იცნობენ.

წერთა ეროვნული ცენტრის) ფონდის მასშტაბით (ამავე ინ-სტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომლის, ბატონ მიხეილ ქავთარიას თანადგომით). მართალია, გაურკვეველი მიზეზების გამო კანონიზაციის პროცესი შეჩერდა, მაგრამ მე, შინაგანი მოწოდების თანახმად, მუშაობა გავაგრძელე. იმის მიუხედავად, რომ მე-20 ს-ის 80-იან წლებში, საბჭოთა იდეოლიგიისა და ცენზურის პირობებში, მსგავსი თემები არც პრესტიჟულად და არც პერსპექტიულად არ გამოიყურებოდა, რამდენიმე პუბლიკაციის განხორციელება მაინც მოხერხდა როგორც საეკლესიო, ისე საერო ორგანოში. რამდენიმე ქადაგების (იხ. ზემოთ), ილია ჭავჭავაძეზე მოგონებისა და ივანე ჯავახიშვილისადმი წერილის გარდა (ბიბლიოგრაფიული მითითებები იხ. ქვემოთ, გამოკვლევაში) კალისტრატე ცინცაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მკითხველთა ფართო წრის წინაშე წარმოჩენის მიზნით ჩვენ გასული საუკუნის 80-იან წლებში შემდეგი სტატიები გამოვაქვეყნეთ (ზოგიერთი ხელმოუწერლად, – გასაგები მიზეზების გამო):

- [ნ. პაპუაშვილი], კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (აღსაყდრების 50 და გარდაცვალების 30 წლისთავი). საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1982, თბ., 1982, გვ. 143-162

- ნ. პაპუაშვილი, კ. მ. ცინცაძის ცხოვრება და მეცნიერული მემკვიდრეობა. მრავალთავი XIII, თბ., 1986, გვ. 96-113

- ნ. პაპუაშვილი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე (დაბადების 120 წლისთავი). ,,ჯვარი ვაზისა", 1986, № 1, გვ. 22-25 (= „საღვთისმეტყველო კრებული", 1987, № 3, გვ. 5-15).

- საეკლესიო-ლიტურგიკული ქადაგებები სხვა ავტორების ქადაგებებთან ერთად (ბიბლიოგრაფიული მითითება იხ. ზემოთ).

- კალისტრატე ცინცაძის დაბადების 120 წლისთავს მივუძღვენით ,,საღვთისმეტყველო კრებულის" სპეციალური ნომერი (1987, №3), რომელშიც შესულია მისი რამდენიმე ქადაგება-სიტყვა (იხ. ზემოთ), ნაწყვეტი მოგონებიდან (ქართული თარგმანით) და ნაწილი სადისერტაციო ნაშრომისა (მეტი ინფორმაცია იხ. ქვემოთ, გამოკვლევაში).

რუსულ ენაზე მოვამზადეთ აგრეთვე სტატია (ზემოთ ნახსენები ,,რუსული მოკლე ვარიანტი“): „Святейший и Блаженнейший Католикос-Патриарх всея Грузии Каллистрат Цинцадзе“, რომელშიც მოცემულია კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შეჯამება და ეძღვნება მისი უწმინდესობის დაბადების 120 წლისთავს. სტატია უნდა დაბეჭდილიყო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალურ ორგანოში ,,Журнал Московской Патриархии“ (1986 წლის ერთ-ერთ ნომერში), მაგრამ არ დაიბეჭდა. სამაგიეროდ დაიბეჭდა აღნიშნული ორგანოს სამეცნიერო და ლიტერატურული რედაქტორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის, ამჟამად საეკლესიო და, ზოგადად, სასულიერო თემატიკის ცნობილი სპეციალისტის, პუბლიცისტისა და რედაქტორის ვალენტინ ნიკიტინის სტატია, რომელიც დიდწილად ჩვენი ნაშრომის მონაცემებს ემყარება: В. Никитин, Святейший и Блаженнейший Католикос-Патриарх всея Грузии Каллистрат (К 120-летию со дня рождения). ,,Журнал Московской Патриархии“, 1986, №7, გვ. 49-55.

ზემოთ დასახელებული გამოკვლევა (,,ქართული ვრცელი ვარიანტი”), რომელიც ოცდათორმეტი წლის წინათ მომზადდა, დღემდე არ გამოქვეყნებულა. მისი მთლიანი ფორმით გამოქვეყნება მაშინდელ ვითარებაში არც მოხერხდებოდა; მას საბჭოთა გამომცემლობაში ვერც კი წარადგენდი (მკითხველი დაგვეთანხმება!). მაგრამ ახლა, როდესაც ქადაგებათა წინამდებარე კრებულზე მუშაობა დავიწყეთ, გადავწყვიტეთ, ტექსტების პუბლიკაციისათვის ეს ნაშრომი დაგვერთო. გადავხედეთ გაყვითლებულ ფურცლებს და საავტორო რედაქციას შევუდექით; ბევრი ადგილი გავაახლეთ და დავაზუსტეთ, თუმცა შინაარსში არსებითი ცვლილებები არ შევიტანეთ, არც სტილზე გვიძალადია მაინცდამაინც. დამატებითი ინფორმაციები შენიშვნებში წარმოვადგინეთ. იქვე ჰპოვა ასახვა იმ ლიტერატურამ, რომელიც მომდევნო წლებში (პერესტროიკის ბოლო ფაზასა და პოსტსაბჭოურ საქართველოში, 1989 წლი-

დან დღემდე) გამოქვეყნდა და რომელთა მონაცემების წარმოჩენის საჭიროება გამოკვლევის ამა თუ იმ დეტალმა გვაგრძნობინა.

ჰომილიათა წინამდებარე კრებულს ვაქვეყნებთ სათაურით ,,ყვავილკრებული". ეს არის ქადაგებათა, სიტყვათა, მოძღვრებათა და კათოლიკე (ანუ საყოველთაო, ,,მრგვლიად მოსავლელ") ეპისტოლეთა წიგნის ერთ-ერთი სახელი ძველ ქართულ საეკლესიო, საღვთისმეტყველო და საღვთისმსახურო ტრადიციის მიხედვით. ანალოგიური კრებულები ცნობილია სხვა სახელწოდებითაც: ,,მრავალთავი" და ,,მარგალიტი". მათში მასალას, როგორც წესი, საეკლესიო კალენდრის რიგზე განათავსებდნენ: ჯერ წარმოადგენდნენ უძრავი დღეებისა და დღესასწაულების ქადაგებებს, შემდეგ კი მარხვისა და აღვსების, აგრეთვე სულიწმინდის გარდამოსვლის მომდევნო პერიოდის ქადაგებებს. აღნიშნული წიგნების მომდევნო ნაწილი ეთმობოდა სხვადასხვა შემთხვევის გამო წარმოთქმულ სიტყვებსა და მოძღვრებებს, რომელთაგან ზოგიერთს, განსაკუთრებული საღვთისმეტყველო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონეთ, შეიძლებოდა საყოველთაო ეპისტოლის ფორმა და ფუნქციაც შეეძინა. წინამდებარე ,,ყვავილკრებული" ქადაგებათა ძველი ქართული კრებულებისაგან შემდეგი პრინციპით განსხვავდება: ამავე სახელწოდების ძველ კრებულებში მეტწილად სხვადასხვა ავტორის რჩეული ჰომილიები არის თავმოყრილი ანუ მრავალავტორიანია, მაშინ როდესაც ჩვენი კრებული მხოლოდ ერთი ავტორის, უწმინდესი კალისტრატეს, ჰომილიებს მოიცავს. უწმინდესი კალისტრატე კარგად იცნობდა ძველი ქართული ჰომილეტიკის ხელნაწერულ ტრადიციას და ეჭვი არაა, რომ ის ამ ტრადიციის ზემოთ მითითებულ წესსა და პრინციპს გაუწევდა ანგარიშს თავისი ხელნაწერი და ნაბეჭდი ქადაგებე-

ბის, სიტყვებისა და ეპისტოლეების კრებულის შედგენის დროს.

შესაბამისი მასალის გაცნობა გვარწმუნებს, რომ ასეთი კრებულის შედგენისათვის მას ჯერ კიდევ მიტროპოლიტობის დროს უზრუნვია; თავი მოუყრია ყველა ქადაგებისა და ეპისტოლის ტექსტებისათვის, რისი მოძიებაც კი მოუხერხებია; ისინი ერთ რვეულად (როგორც თვითონ უწოდებს) წარმოუდგენია და დაურთავს მათთვის ,,წინასიტყვა", რომელიც დათარიღებულია 1931 წლის 24 აპრილით. შემდეგ, გზადაგზა, ეს ,,რვეული" ავტორს შეუვსია მომდევნო წლების მასალებით: ეპისტოლეებითა და პირადი წერილებითაც, მიუმატებია აგრეთვე თავისი მოკლე სტატიების ტექსტები (გამოქვეყნებულიც და გამოუქვეყნებელიც), ,,რომელიც კი შემრჩა"-ო. ეჭვი არაა, რომ აღნიშნული დოკუმენტების გაერთიანება და ყდაში ჩასმა პატრიარქობის ხანაში, უფრო ზუსტად კი, 40-იანი წლების მიწურულსა და 50-იანი წლების დასაწყისში მოხდა. ასე შეიქმნა უმდიდრესი და უძვირფასესი ხელნაწერი კრებული, რომელიც დაცულია ავტორის პირად საარქივო ფონდში (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) ნომრით 97. ესაა მაგარ ყდაში ჩასმული სქელტანიანი ხელნაწერი წიგნი, რომლის ტექსტი შინაარსის მიხედვით ორ ნაწილად განიყოფა: (ავტორისავე დასათაურებით) ,,სიტყვათა კრებული" (ფფ. 1-210) და ,,დამატება" (ფფ. 211-378). თითოეული დოკუმენტი, რასაც კი აქ ბინა აქვს მიჩენილი, აღბეჭდილია მაღალი აკადემიზმით, დახვეწილი გემოვნებითა და გულმოდგინებით. იქ ყველგან, ყოველ ნაბიჯზე, საგრძნობია მეცნიერის ხელწერა – ინფორმაციის მეცნიერული სიზუსტით მიწოდების კულტურა; ბიბლიოგრაფიული მითითებებისა და შენიშვნების სიუხვე და შეძლებისგვარი სისავსე. თითოეულ ქადაგებას (ქადაგებას ფართო გაგებით) ახლავს მინაწერი, რომელიც გვაუწყებს, თუ სად, როდის, რა ვითარებაში და რა მიზეზის გამო წარმოითქვა ეს ქადაგება და სად გამოქვეყნდა ის (თუკი გამოქვეყნდა მქადაგებლის სიცოცხლეში).

გვინდოდა, არ დაგვერღვია ამ კრებულის აღნაგობა და მასალა, რომლის ქრონოლოგიური საზღვრები 1893-1943

წლებს მოიცავს, იმავე რიგზე გაგვეწყო, როგორც იქ არის გაწყობილი. მაგრამ იმის გამო, რომ წინამდებარე გამოცემის მიზანი არის არა ზემოთ აღწერილი ხელნაწერი დოკუმენტის – ,,სიტყვათა კრებულის" – მთლიანი სახით პუბლიკაცია, არამედ მასში წარმოდგენილი მასალის დიდი ნაწილისა, ქადაგებათა ტექსტების ავტორისეული თანმიმდევრობის ზუსტად დაცვის აუცილებლობა ვერ დავინახეთ, თუმცა ცალკეულ რგოლში აღნიშნული თანმიმდევრობა მაინც დავიცავით.

წინამდებარე კრებული შედგება ორი განყოფილებისაგან: ა) საეკლესიო-სადღესასწაულო ქადაგებები და ბ) კერძო ღვთისმსახურების (პანაშვიდების, პარაკლისების) დროს წარმოთქმული სიტყვები. ეს სიტყვები ჩვენ თემატურად დავაჯგუფეთ და თითოეულ ჯგუფში მასალა იმავე ქრონოლოგიის პრინციპით განვალაგეთ, რა პრინციპითაც ავტორს მთელი მასალა აქვს განლაგებული.

დავაზუსტებთ, რომ მეორე განყოფილებაში შევიტანეთ სხვადასხვა კულტურულ და საგანმანათლებლო, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ მოვლენასა და ღონისძიებასთან დაკავშირებული საპარაკლისო ქადაგებები. მათ გვერდით დგას ცნობილი პიროვნებებისადმი, მეტწილად ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებისადმი მიძღვნილი ჰომილიები. აქ იგულისხმება პანაშვიდებისა და ანდერძის აგების დროს წარმოთქმული ქადაგებები, რომლებიც სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია ეპიტაფიების სახელითაც. კრებულს ვამთავრებთ საყოველთაო ეპისტოლით, რომლის ტექსტს, გავრცობილსა და კომენტირებულს, ავტორი, კათალიკოს-პატრიარქი, საღვთო ლიტურგიაზე, სავარაუდოდ, წარმოთქვამდა კიდეც.

ამასთანავე გვინდა აღვნიშნოთ შემდეგი: ქადაგებები, რომელთა ტექსტები წინამდებარე გამოცემაში ვერ მოხვდა, შევა მომდევნო გამოცემაში, რომელიც მისი უწმინდესობის ქადაგებათა და სიტყვათა სრული კრებული იქნება (თუკი ამ იდეის ხორცშესხმის საშუალება გამოინახება).

პუბლიკაციაზე მუშაობის პროცესში რედაქცია შეეხო მექანიკურ შეცდომებს (რისი შემჩნევაც მოვახერხეთ) და ტექ-

ნიკურ მხარეს (მაგალითად, დიდი აბზაცების დაშლას, როდესაც ამისკენ შინაარსმა და ტექსტის შინაგანმა ლოგიკამ გვიბიძგა); ასევე, იშვიათ შემთხვევაში, პუნქტუაციას, აქა-იქ ბიბლიურ ციტატებსაც, როდესაც ეს ქართული ბიბლიური ტექსტოლოგიის თანამედროვე დონემ გვიკარნახა. სრულად შევინარჩუნეთ კალისტრატე ცინცაძის სამოძღვრო-სამქადაგებლო ჰომილეტიკის სტილი, ჰომილეტიკისა, რომელიც, ჩვენი (და არა მხოლოდ ჩვენი) შეფასებით, არაფრით ჩამოუვარდება მსოფლიო სახელისა და მნიშვნელობის საეკლესიო მოღვაწეთა ჰომილეტიკას არც აზრის სიღრმით და არც გრძნობის ექსპრესიით, არც მჭევრმეტყველების ხელოვნებით და არც სიტყვათა კონის სისავსით, არც ტრაგიზმის განცდით და არც პოეტური აღმაფრენით.

შენიშვნა: ქადაგებათა ტექსტების ბოლოს მოცემული ბიბლიოგრაფიული მითითებები ეკუთვნის ავტორს. ქადაგებები, რომელებსაც ასეთი მითითება არ ახლავს, ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა. მითითებებს ავტორის შემდგომდროინდელი პუბლიკაციების შესახებ მკითხველი იპოვის შესავალსა და გამოკვლევაში.

ნუგ ზარ პაპუაშვილი

მოოდელი კალოისუფროსი ცინცაძე

უწმინდესისა და უნეტარესის
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ
კალისტრატე ცინცაძის

ქადაგებებისა და სიტყვების

ყ ვ ა ვ ი ლ კ რ ე ბ უ ლ ი

„მოძღვრის მოვალეობათა შორის პირველი ადგილი უჭირავს ადამიანთა მომოწაფეობას (მატთ. 28, 19), ანუ მათ გულთა და სულში სარწმუნეობით ქრისტეს დამკვიდრებას (ეფეს. 3, 17), რისთვისაც საჭირო მაცხოვრის სიტყვის ანუ სწავლის ჟამითიუჟამოდ ქადაგება (2 ტიმ. 4, 2). დღიდან მოძღვრად დადგინებისა ვცდილობდი ამ მოვალეობის შეძ-ლებისდაგვარად შესრულებას: ვმეტყველებდი თითქმის ყველა კვირა-უქმე დღეებში...“

კათალიკოს–პატრიარქი კალისტრატე

კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე

ს ი ტ ყ ვ ა
სამრევლოში პირველად შესლვისა გამო

წარვედით ყოველსა სოფელსა და უქადაგეთ
სახარება ესე ყოველსა დაბადებულსა
(მარკ. 16,15)

საყვარელნო! ჩვენს დროში თუმცა სარბიელი ქართველ მოძღვრის მოღვაწეობისა ვიწრო ფარგლით შემოიხაზა, მაგრამ, სამაგიეროდ, მოვალეობა მისი ცხადლივ გამოიკვეთა, მიიღო რა განსაზღვრული მიმართულება: წინად თუ იგი მიდიოდა აფხაზეთსა და ოსეთს და იქ **ქადაგებდა სახარებასა სასუფეველისასა**, დღეს ამ სახარების ქადაგებას საჭიროებენ ძენი ივერიისანი.

უფალმან, რომელმან **განუწესა ყოველსავე ნათესავსა კაცთასა ჟამნი და საზღვარდადებანი დამკვიდრებისა მათისა პირსა ზედა ქვეყანისასა** (საქმე მოციქ. 17,26), წილად არგუნა ერთს მუჭა ქართველს ერს, მთელი თორმეტი საუკუნე გარდაღობებოდა წინ ზღვას უმეცრებისას, ბარბაროსობისას, ძალმომრეობისას და კაცთსიძულვილისას და, ამ სახით, დაეცვა დაღუპვისა და შთანთქმისაგან ქრისტეს სჯული, განათლება და დასავლეთის ერნი. ქართველმა ერმა პირნათლად შეასრულა ეს მოვალეობა განათლებული კაცობრიობის წინაშე: თუ მთლიანად არა, ნახევრად მაინც შეაკავა, შეაფერხა წინსვლა ვეშაპისა აღბორგებულისა და განმზადებულისა შთანთქმად განათლებულის ქვეყნების სახელმწიფოთა; თვით მტლედ დაედო ერთა თავისუფლებას; სხვის დამოუკიდებლობას შესწირა მსხვერპლად საკუთარი თვითთავადობა და დაავადებული, მოუძლურებული და ძალაგამოლეული მიეყრდნო იგი ერთმორწმუნე, ახალგაზრდა და ძლიერ ერს ძალთა მოსაკრებად და მასთან ერთად ახალის ცხოვრების დასაწყებად. ხოლო, ვიდრე ახალ ცხოვრებას დაიწყებ-

და, მიმოიხედა და დაინახა, რომ მამაპაპათა განთქმული სარწმუნოება შესუსტებულიყო, განათლება გამქრალიყო და სიბნელეს მოეცვა არემარე. მიზეზი ამისა იყო ის, რომ ჟამთა ვითარების გამო ძველნი ტაძარნი მეცნიერებისა – დიდებულნი ლავრანი – დაცალიერდნენ, მონასტერნი დადუმდნენ, მწყემსნი მოიწყვიდნენ და მოძღვარნი მოისრნენ.

მაგრამ, თავდაპირველად, ვერც ახალ გარემოებაში მოეწყო განათლების საქმე სასურველად. ბიზანტიისა და სპარსეთის გავლენით აღზრდილნი ჩვენნი მამაპაპანი, რუსეთთან შეერთების დროს, ახალ წესწყობილებისათვის სრულებით მოუმზადებელნი იყვნენ და, ამის გამო, თანამედროვე ცხოვრებას ჩამორჩნენ. ნამეტან ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა ამ მხრივ ჩვენი სამღვდელოება: ის, ვინც წინად სათავეში ედგა სწავლა-განათლების საქმეს, დღეს უკან ჩამორჩა განათლებით სხვა წოდებას. ამის გამო საქმე ისე მოეწყო, რომ სასულიეროთათვის სრულიად საკმარისად სთვლიდნენ ჟამნ-დავითნ-კონდაკის ცოდნას და ვაივაგლახით ხელის მოწერას საეკლესიო საბუთებზედ...

მართალია, ხშირად ამისთანა მოძღვარნი ბრწყინავდნენ ხოლმე მაღალი ზნეობით, მაგრამ ახალ დროის განათლებული საზოგადოება, უმეტეს წილად – განათლებული გარეგნობით და არა ჭეშმარიტად, ვერ ურიგდებოდა ამგვარ სამღვდელოების ზნეობრივ გავლენის ქვეშ ყოფნას, ვინაიდან, ახალ განათლებასთან ერთად, მან შეითვისა ის აზრი, რომ სარწმუნოება და ზნეობა საჭიროა მარტო სამღვდელოებისა და გაუნათლებელ ხალხისათვის, ხოლო განათლებულნი ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ცრუგანათლებულნი, სარწმუნოებასა და ზნეობაზედ მაღლა სდგანან. ეს შეხედულება ცრუგანათლებულთა მსწრაფლ გავრცელდა ჩვენს ქვეყანაში, ჯერ ქალაქებსა და დაბებში და შემდგომ თვით სოფლებშიც. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ რჩენა ამ განათლებით უკან ჩამორჩენილის სამღვდელოებისა, – ცრუგანათლებულთა აზრით, დახავსებულ დაწესებულების მსახურთა, მუქთამჭამელთა და ხორცმეტთა, – დაეკისრა მშრომელ და შედარებით ღარიბ ხალხს, მაშინ როცა უფრო შეძლებულნი (თავადაზნა-

ურნი) ამ მოვალეობისაგან თავისუფალ არიან. ცრუგანათ-ლებულთა აზრების გავრცელების გამო დღეს სიბნელე და გარყვნილება იმ ზომამდე მივიდა, რომ თამამად შეგვიძლიან წმიდა მოციქულთან ერთად ვთქვათ: **სოფელი ჩვენი ბო-როტსა ზედა დგას** (1 იოან. 5,2). თუ არ წაბილწვისა და გარ-ყვნილები ნიშანია, მაშ რა არის ეს ლოთობა, ქურდობა, უზ-რდელი სიტყვა-პასუხი, უფროსის შეურაცხყოფა, დედ-მამის ავად მოპყრობა, კაცის პიროვნების ცუდად მოხსენება, ცოლქმრობის შეგინება და ათასი სხვა ავკაცობა! ეს მდგომა-რეობა მით უფრო საშიში და სავალალოა, რომ, რაც ხანი მი-დის, მით უფრო ძლიერდება ბოროტება, მწვავდება ძმათა შორის ურთიერთობა და ირღვევა ყოვლის შემძლებელი სიყ-ვარული და ერთობა!...

რა ეშველება, რა წამალი დაედვის ამ ავადმყოფობას, ვინ უნდა უპატრონოს **ერსა ბნელსა შინა მავალსა და დამ-კვიდრებულსა აჩრდილთა თანა სიკვდილისათა** (ეს. 9,2)? ნათქვამია, ცეცხლით დამწვარი ცეცხლით დამწვარითვე მორჩებაო და ეს თქმულება სიმართლეს არ არის მოკლებუ-ლი, – ვინაითგან სარწმუნოება და ზნეობა დაამხო ჩვენში უმეცრებამ და ცრუგანათლებამ, მეცნიერებამ და ჭეშმარიტ-მა განათლებამ უნდა კვლავ აღადგინოს იგინი...

ამის გამო, ყოველს ჭეშმარიტად განათლებულს ქარ-თველს ვალად აძევს, დაუბრუნოს უმრწემესთა ძმათა თვის-თა ის, რაც წაართვა მათ უმეცრებამ და ცრუგანათლებამ; დაუბრუნოს ერსა ქრისტეანესა, ერსა ჯვარისმტვირთველსა, ერსა ქრისტესთვის წამებულსა მამაპაპური სარწმუნოება და შეულახველი, ჩირქმოუცხებელი და სპეტაკი ზნეობა...

მართალია, დღეს ბოროტება ძლიერია, იმის გავლენისა-გან განთავისუფლება ძნელია, მაგრამ არც ისე, რომ მორ-წმუნე ქრისტეანეს წაართვას, დაუკარგოს იმედი საუკეთესო მომავლისა. მოიგონეთ, საყვარელნო, თუ რა ძალა ჰქონდა ბოროტებას ამ ცხრამეტის საუკუნის წინად, როდესაც თვით **წინამძღვარი იგი ცხოვრებისა მოჰკლეს** (საქ. მოც. 3,15) ჯვარსა ზედა, მოიგონეთ, თუ ვითარ **აღიძრნეს წარმართნი და ერმან იზრახა ცუდი; შეითქვეს მეფენი ქვეყანისანი და**

მთავარნი შეკრბეს ერთად უფლისათვის და ცხებულისა მისისათვის (ფს. 2,1-2); მოიგონეთ, თუ რაოდენი სისხლი დაინთხა წმიდათა მოციქულთა, მქადაგებელთა, მოწამეთა და აღმსარებელთა ქრისტეს იესოსათა, მაგრამ ძალმან ღვთისამან შემუსრნა ბჭენი ჯოჯოხეთისანი; რწმენამან ჭეშმარიტებისა და სიმართლისამან სძლია ბოროტებას, ხოლო **უფალი ჩვენი იესო ქრისტე გუშინ და დღეს და უკუნისამდე იგივე არს** (ებრ. 13,8): რაც მაშინ მიანიჭა მორწმუნეთა თვისთა, მას დღესაც მოსცემს მსასოებელთა მისთა. მაშასადამე, თუ ჩვენში კიდევ დარჩომილა სულ მცირედიც ნაპერწკალი სიყვარულისა ქრისტეს იესოსა, თუ კიდევ შეგვრჩენია ხალისი მოქმედებისა წარსამატებელად მოძმისა და მოყვასისა, დრო წასული არ არის, საქმის გასწორება, ღვთის შეწევნით, კიდევ შეიძლება. საჭიროა მხოლოდ, ვიცოდეთ, თუ რა არს ნება ღვთისა კეთილი, სათნო და სრული (რომ. 12,2) და, თანახმად ამ ცოდნისა, – მოქმედება სასარგებლოდ ეკლესიისა და მამულისა.

დღეს კი ჩვენ სწორედ ეს გვაკლია. დღეს ჩვენ ვეძებთ არა ნებას ღმრთისასა, არამედ ნებასა ჩვენისა და ამისათვის, რაც ერთს მიაჩნია სანეტაროდ, ის მეორეს არა სწამს, ხოლო მესამე ორთავეს აზრს უარჰყოფს. მართალია, აზრთა სხვადასხვაობა ნიშანია გონების მუშაობისა, სიცოცხლისა და წინსვლისა, მაგრამ ეს სხვადასხვაობა უნდა შეეხებოდეს უკეთეს საშუალებათა გამოძებნას და არა თვითმისწრაფების საგნის ძიებას. ქრისტეანესათვის საგანი მისწრაფებისა გარეშე ქრისტესა არ არსებობს, რის გამო საგანი მისი მოქმედებისა არის და იქნება, **რათა გამოიხატოს ჩვენს შორის ქრისტე** (გალატ. 4,18). ამისთვის კი საჭიროა შეერთებული მოქმედება ყოვლისავე ჭეშმარიტად განათლებულისა განურჩევლად წოდებისა, სქესისა და ჰასაკისა; საჭიროა, რათა ყოველნი **ვზრახვიდეთ, რაოდენი არს ჭეშმარიტ, რაოდენი პატიოსან, რაოდენი მართალ, რაოდენი წმიდა, რაიდენი საყვარელ, რაოდენი საქებელ, რაოდენი სათნო და რაოდენი ქებულ** (ფილიპ. 4,3). საჭიროა, შემოვკრბეთ გარშემო მისა, რომელმან ბრძანა: **მე ვარ ნათელი სოფლისა. რომელი**

შემომიდგეს მე, არა ვიდოდეს ბნელსა, არამედ აქვნდეს ნათელი ცხოვრებისა (იოან. 8,12).

ყოველივე ეს საჭიროა და სავალდებულო კაცადკაცადისათვის, ხოლო წინამძღვრობა, გზის მაჩვენებლობა, ხელმძღვანელობა ამ საქმეში უნდა გაუწიოს ერსა ქრისტესსა მოძღვარმან და მწყემსმან ეკლესიისამან, რომელნი მოსცნა უფალმან, რათა მოღვაწობითა მათითა **მივიწინეთ ყოველნი ერთობასა სარწმუნოებისასა და მეცნიერებასა ძისა ღმრთისასა, მამაკაცად სრულად, საზომად ჰასაკისა სავსებისა მის ქრისტესისა** (ეფეს. 4,13). ამისათვის მოძღვარმა უნდა ჰქადაგოს სიტყვა, ზედაადგეს ჟამითი უჟამოდ; ამხილოს, შერისხოს, **ლოცვიდეს ყოველთა სულგრძელებითა და მოძღვრებითა** (2 ტომ. 4,2). ერთი სიტყვით, მოძღვარი უნდა სდგეს თავის სამწყსოს დარაჯად, დღე ყოველ ზრუნავდეს მისთვის, სწუხდეს მწუხარებითა მისითა და განიხარებდეს სიხარულითა მისითა...

შესძლებს თუ ვერა დღეს ამ გვარად მოქმედებას ჩვენში მოძღვარი, ეს დამოკიდებულია მწყემსისა და სამწყსოს ურთიერთობაზედ. სიტყვა ღმრთისა, რომელიც უნდა ჰქადაგოს მოძღვარმა, უფალმან ჩვენმან იესო ქრისტემ შეადარა თესლსა, ხოლო მქადაგებელი – მთესველსა. მთესველი კი, როდესაც ხედავს, რომ შრომა მისი ამაო არ არის, როცა ხედავს, რომ თესლი, მის მიერ დათესილი, გადაქცეულა ჯეჯილად, ჯეჯილი კი ჰლამის დაპურებას, ჰპოვებს თავსა შინა თვისსა ერთიორედ მეტ ძალღონეს შრომის განსაგრძობად. მოძღვარიც ეგრეა: თუ სიტყვა მისი არ რჩება ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა ზედა, თუ სამწყსოს ესმის ხმა მისი, თუ იგი ყურადიღებს სიტყვათა მისთა, იმარხავს მათ გულსა შინა თვისსა, ხელმძღვანელობს მისის სწავლა-დარიგებით, არის მასთან გულახდილ და წრფელ, თუ მათ შორის არ არის კედელი გულცივობისა, უნდობლობისა და მედიდურობისა, – მაშინ მოძღვარიც აღფრთოვანდება, ჰპოვებს ახალს ძალას და სიმხნეს შრომის გასაორკეცებლად, **დასამტკიცებელად წმიდათა, საქმედ მსახურებისა და აღსაშენებელად გვამისა ქრისტესისა** (ეფ. 4,12)...

მოვალ რა ამ განზრახვით, საყვარელნო, წმიდასა ამას ეკლესიას, მე განმზადებულ ვარ **ყოვლითა გონებითა კეთილითა** მსახურებად უფლისა, სადიდებელად მისდა და წარსამატებელად თქვენდა. მე მზათა ვარ ვიღვაწო თქვენს შორის **არა იძულებით, არამედ ნებსით; არცა საძაგელის შეძინებისათვის, არამედ გულმოდგინედ** (1 პეტრ. 5,2). ხოლო თქვენგან ვითხოვ სიყვარულსა და ლოცვასა, რათა უფალმან ღმერთმან არა ამაოდჰყოს თქვენ შორის მოქმედება ჩემი. ამინ.

(წარმოითქვა ქაშვეთში 1903.XII.21;
,,ივერია", 1904, №7; ,,Вестник Грузинского Экзагхата", 1904, № [?])

სიტყვა
ქვაშვეთის სულის წმიდის სახელობის სამწირველოს კურთხევის გამო

ესე არს დღე, რომელ ჰქმნა უფალმან:
ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ ამას შინა (ფსალ. 117,24),

ვინაითგან დღეს იწყება დასასრული იმ საქმისა, რომელიც გვიმტკიცებს, რომ ჩვენში ჯერ კიდევ საკმაოდ ღვივის წმ. მოციქულთასწორის ნინოს მიერ აღნთებული ცეცხლი სარწმუნოებისა, რომ ჯერ კიდევ არ გამქრალა ის მამაპაპათა ძლიერი სული, რომელმაც შეჰქმნა სვეტიცხოველი, გაენათი, ბედია, სამთავისი და მრავალი სხვანი!...

მოგეხსენებათ, რომ ის წმიდა ტაძარი, რომელიც ას-ორმეოცდა-ათერთმეტის წლის განმავლობაში იცავდა თავის შორის უუძველესთა სიწმიდეთა, რომელთა წინაშე არა ერთსა და ორს თაობას უფრქვევია ცრემლნი მწუხარებისა და სინანულისანი და შეუწირავს სამადლობელნი ხოტბანი და ქებათა-ქებანი, ამ ათიოდე წლის წინად განირღვა ოთხად და ყოველს წამს ჰლამობდა დაქცევად. ყოველივე შრომა და მეცადინობა იმ ტაძრის დასაცველად შეიქმნა ამაო და ფუჭი, ვინაითგან რაც დროთა ვითარებამ გაანადგურა, – კაცთა ხელოვნებამ და გონებამ ვერ შესძლო აღდგინებად!...

სწორედ ამ გარემოებამ აღუძრა სურვილი მოყვარულთა სახლისა ღვთისა შვენიერებისათა აღეგოთ ახალი ტაძარი იმ გეგმით, რომელიც შეიმუშავა და შეითვისა ქართველთა ერის გონება-გემოვნებამ. და აჰა ნაყოფი ამ სურვილისა: განზრახულს ტაძართან ერთად ჩვენ მოგვეცა შეძლება აღგვეგო ეს მეორე ტაძარიც, დღეინდელის მღვდელთმოქმედების შემდეგ განმზადებული სამკვიდრებელად ცხოველმყოფელისა სულისა!...

ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ, საყვარელნო, დღესა ამას, ვინაითგან ამ ტაძრის კურთხევა წინამორბედია უმთავრესის ტაძრის დასრულებისა, ნიშანია უფლისა მიერ ჩვენის განზრახვის მსხვერპლად სულნელად შეწირვისა და თავმდებია მისის მოწყალების ჩვენზედა კვალად მოღებისა.

ამა სიხარულთან ერთად, მივცეთ დიდება უფალს ჩვენის განზრახვის კურთხევისათვის, ლოცვა ვყოთ მათთვის, ვინც ხელი შეუწყო ამ კეთილ საქმეს, გამოვითხოვოთ უფლისაგან სიმხნე საქმის მესვეურთათვის და შევევედროთ ყოფლადმოწყალეს, რომ ღირსგვყოს ვედრებად მისდამი მთავარს ტაძარშიაც, რათა მუნ ლოცვითა ჩვენ ყოველნი **შევიქმნეთ ჭეშმარიტს ტაძრად ღვთისა ცხოველისა, დასამკვიდრებელად და საქცეველად ჩვენ შორის ყოვლადწმიდისა სულისა** (2 კორ. 6,16)!... ამინ.

(წარმოითქვა ახლადნაკურთხ ტაძარში
1909. IV. 19; ,,მწყემსი", 1909, №8)

სიტყვა
ქვაშვეთის წმიდის გიორგის ახლის ტაძრის საკურთხეველად განმზადების გამო

საყვარელნო! თქვენ იცით, რომ მამაპაპათა მიერ 1753 წელს აგებული და მათის სულისკვეთებისა და გულისზრახვათა მცველი ტაძარი ჰლამობდა დაქცევად!...

ამ გარემოებამ აღძრა ზრუნვად ჩვენის სამრევლოს მესვეურნი და გამოაძებნინა წყარო ახალის ტაძრის ასაშენებ-

ლად. უფალმაც აკურთხა ზრუნვა მათი, და აჰა, ჩვენ ვსდგევართ ამ დიდებულ ტაძარში და ვსასოებთ, დღევანდელის ლოცვა-ვედრებისა და ხვალინდელის მღვდელმოქმედების შემდეგ, შეიქმნეს იგი **ადგილ საყოფელ დიდებისა** უფლისა (ფსალ. 25,8)!...

მოგილოცავთ რა ამა ჭეშმარიტად ბედნიერს დღეს, მოგიწვევთ, მივსცეთ **მადლი ღმერთსა** (2 კორ. 2,14) ამა ექვსის წლის წინად დაწყებულის საქმის კეთილად დამთავრებისათვის!...

ამას შევსძინოთ ვედრება, – ტაძარსა ამას შინა წყალობითა და მოწყალებითა მოჰხედოს უფალმან **ყოველსა სულსა ჭირვეულსა და დაწუნებულსა**, მართლმადიდებელსა და არამართლმადიდებელსა, ქრისტეანესა და არაქრისტეანესა!... ამინ.

(წარმოითქვა 1910. X. 30)

ს ი ტ ყ ვ ა
ნინოწმიდის ეპისკოპოზად დადგინების გამოცხადების შემდეგ

თქვენო უწმიდესობავ და ყოვლადსამღვდელო მწყემსთმთავარნო!

თქვენ მოგეხსენებათ, რომ წესი მღვდელთმთავრად განმზადებულის განცხადებისა შეიცავს საჯაროდ თქმულს აღსარებას...

ნება მიბოძეთ, მეც აღვიარო სამღვდელო და საერო დასთა წინაშე გულის ჩემის ზრახვანი!

ვინც მიცნობს, უეჭველად იცის, რომ ჩემს მღვდელთმთავრობაზედ აზრი არც თავში მომსვლია და არც გულში გამივლია: ჩემი მოღვაწეობის სარბიელი ჩემი ძალღონისათვის საკმაო და ფრიად ვრცელიც იყო. მიუხედავად ამის, უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში ჩვენი ეკლესიის გულშემატკივართაგან, რომელთა შორის პირველი თქვენ

ბრძანდებით, უწმიდესო მამათმთავარო, თითქმის ყოველ-დღე მესმოდა: იტვირთე ჯვარი მძიმე მღვდელთმთავრისაო, – ყველას მადლობით და მოკრძალდებით უარით გისტუმ-რებდით...

რათა, რისთვის?.. დიდი მოციქული პავლე ხომ ბრძანებს: **უკეთუ ვისმე ეპისკოპოზობის უნდეს, კეთილისა საქმესა გული ეტყვისო** (I ტიმ. 3, 1)?

დიახ, ამას ჰბრძანებს წმ. მოციქული, მაგრამ თვითვე დასძენს: **ჯერ არს ეპისკოპოზისა, რათა უბრალო იყოს, ფრთხილ, წმიდა, შემკულ... სწავლულ... მყუდრო, უღალ-ველ...** (იქვე. 2, 3).

აღნიშნული თვისებები განა ამშვენებენ წინაშე თქვენსა მდგომარესა?... განა ამ თვისებათა უქონლობას არ უჩიოდ-ნენ და ამის გამო არ ერიდებოდნენ მღვდელთმთავრობას კაცთა შორის ბუმბერაზნი – ათანასე ალექსანდრიელი და ბასილი კესარიელი, გრიგოლ ღვთისმეტყველი და იოანე ოქ-როპირი?... მათთან შედარებით რას წარმოადგენს თქვენს მიერ მღვდელთმთავრად განმზადებული?...

მტვერს, ფერფლსა და ნაცარს...

იყო მეორე მიზეზიც: ბევრმა აქა მყოფმა იცის, რომ ოც-დაცამეტი წლის განმავლობაში ჩემი უერთგულესი მეგობარი და ცხოვრების განუყრელი თანამგზავრი უცხო და შორეული ერის შვილია; რომ, ჩემი გულისათვის, მან დასთმო დედა და მამა, დანი და ძმანი, სამშობლო მხარე და მეგობარნი, მომენ-დო მე, შეუერთა თავისი ბედი ჩემს ბედს, შეიყვარა და შეით-ვისა ჩემი ერი და ჩემი ეკლესია, საუკუნის მესამედის მან-ძილზე იზიარებდა ჩემს ლხინსა და უფრო ხშირად ჭირსა და ერთხელაც არ მოუყენებია ჩემთვის უსიამოვნების აჩრდი-ლიც კი... ნუთუ შემეძლო მე განვშორებოდი ასეთ ადამიანს, რასაც მოითხოვს საეკლესიო კანონმდებლობა, განსაკუთრე-ბით მაშინ, როდესაც ის უკვე შესულია მოხუცებულებაში და დღედაღამ თავს დასტრიალებს ბოროტის სენით შეპყრო-ბილს ჩემს ასულს?...

არა, და ათასჯერ არა!...

იყო სხვა მიზეზ-საკითხიც: როგორ შეხვდებოდა ჩემს

მღვდელთმთავრობას საქართველოს ეკლესიის ეპისკოპოზთა კრებული, ტფილისის სამღვდელოება, რომელთანაც ისე ვარ არსებითად დაკავშირებული, რომ მის გარეშე ვერც კი წარმომიდგენია ჩემი თავი, ტფილისის მორწმუნე ერი, რომელთა შორის ვიქცეოდი სამი ათეული წელი, და ჩვენი ეკლესიის უზენაესი ორგანო, საკათალიკოზო საბჭო?...

ეს ჩემთვის გამორკვეული არ იყო...

მაშ რამ, ან ვინ გამაბედვინა მოსვლა წინაშე თქვენსა?

ერთი მხრივ, მოციქულთა შორის თავმა, რომელიც იტყვის: **ძალი უფლისა უძლურებასა შინა სრულ იქმნებისო** (2 კორ. 12, 9). მეორეს მხრივ, ჩემი ცხოვრების თანამგზავრის საქართველოს ეკლესიისადმი სიყვარულმა და უზომო პატივისცემამ – გაიგო თუ არა ჩვენი ეკლესიის გულშემატკივართა ბეჯითი სურვილი, მან გადმომცა: თუ მშობელი ეკლესია მოითხოვს შენგან ახალ პირობებში სამსახურს, შენ, თანახმად მაცხოვრის მცნებისა, უნდა **დაუტეო ცოლიცა და შვილიც, აღიღო ჯვარი თვისი და შეუდგე ქრისტეს** (მატთ. 10, 37; 16,24), ჩვენთვის **ზრუნვა მიუტევე უფალსა** (ფს. 54, 23): რომელი **არა ივიწყებს ცის მფრინველთა და ველის შროშანთა** (მატთ. 6, 26-28), არ მოგვაკლებს თავის მოწყალეობას ჩვენცაო...

ამასთან ერთდ გამოირკვა, რომ საქართველოს ეპისკოპოზთა კრებული, მორწმუნე ერი და საკათალიკოზო საბჭო ჩემ მიერ დაუმსახურებელი თანაგრძნობით შეეგებნენ თქვენი უწმიდესობის სურვილს, ხოლო ტფილისის სამღვდელოე-

ბა „სრულ ნდობას და თავდადებულ თანამშრომლობას“ აღუთქვამს ჩემს უღირსებას...

რა უნდა მექმნა ყოველივე ამის შემდეგ, თუ არა მოვსულიყავი წინაშე თქვენსა და სიმდაბლით მომეხსენებინა: **მორჩილ ვარ ბრძანებისა თქვენისა და არა რას მცირესა წინაღმდგომსა ვიტყვი**...

გარნა, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ჩემს თავს ვთვლიდე სავსებით განმზადებულად მღვდელთმთავრობისათვის: მე კიდევ ვსაჭიროებ თქვენს ბრძნულ რჩევას და დარიგებას, ხელმძღვანელობასა და განსაკუთრებით ლოცვა-ვედრებასა. ამისათვის კადნიერებით გთხოვთ: აწ და მარადის ევედრენით მას, რომელი **უძლურთა ჰკურნებს და ნაკლულევანთა აღავსებს, გარდამოავლინოს ჩემზედა მადლი სულისა წმიდისა და მომანიჭოს ძალი და სიმხნე წინამდებარისა მსახურებისათვის**... ამინ!

(წარმოითქვა ქვაშვეთში 1925. X. 31)

უ ძ რ ა ვ დ ღ ე ს ა ს წ ა ულ თ ა ნ ი

ს ი ტ ყ ვ ა
ახალწელიწად დღეს

დღე დღესა აუწყებს სიტყვასა და ღამე ღამესა მიუთხრობს მეცნიერებასა (ფს. 18, 3).

თანახმად ამა სიტყვათა წმ. მეფისა და ფსალმუნთმგალობელისა დავითისა, დღევანდელი დღე, გვირგვინი და დასაბამი ახალის წლისა, გვაუწყებს და მოგვითხრობს ჩვენ, საყვარელნო, მეტად ყურადსაღებ რასმე. სახელდობრ, მოგვითხრობს, რომ **ჟამი ესე შემოკლებულ არს ამიერითგან** (I კორ. 7, 29); გვაუწყებს, რომ ჩვენი ცხოვრების დღენი ერთის წლით შემოკლდნენ და ცივი სამარე ერთის ნაბიჯით მოგვიახლოვდა; მოგვითხრობს, რომ ბევრნი მათგანი, რომელნიც ამ ერთის წლის წინად ჩვენთან ერთად განიხარებდნენ, ჩვენთან ერთად ოცნე-

ბობდნენ საუკეთესო მომავალსა, გვილოცავდნენ ახალს წელს და გვინატრიდნენ ახალს ბედნიერებას – დღეს ჩვენთან აღარ არიან. ისინი განისვენებენ იქ, სადაც დღე და ღამე განუყრელია, სადაც ახალი და ძველი წელი გაერთიანებულია, სადაც იმედს ბედნიერებისას და ოცნებას ქვეყნიურის კეთილდღეობისათვის აღარა აქვსთ ადგილი და სადაც ყოველი ჩვენგანი მიიღებს, რაც დაიმსახურა აქა ცხოვრებით, და რის ღირსათაც იცნობს პირუთვნელი მსაჯული: **წინა-უძს კაცსა ერთ-გზის სიკვდილი და მისსა შემდგომად სასჯელი** (ებრ. 9. 27). დღევანდელი დღე გვაუწყებს, რომ ზოგიერთი მათგანი, ვისაც დღეს ვხედავთ ჯანსაღად და სიცოცხლით სავსედ და რომელთა კარგად ყოფნა ყველას გვიხარის და დღეგრძელობა გვესაჭიროება, ამ ახალის წლის განმავლობაში გამოესალმებიან წუთისოფელსა, წარემართებიან იქ, სადაცა განისვენებენ მამანი და ძმანი ჩვენნი, [რომელნი] **განცხადებად არიან წინაშე საყდართა ქრისტესთა** (2 კორინთ. 5, 10) და მიცემად ანგარიშისა, თუ როგორ გაატარეს თითოეული წამი ცხოვრებისა ამქვეყანაზედ, ვინაითგან ყოველივე წამი ჩვენის ცხოვრებისა არის ნიჭი ღვთისა, ბოძებული კეთილის საქმისათვის, – არის ქანქარი, რომლის ავად თუ კარგად მოხმარებისათვის უნდა ვაგოთ პასუხი.

ვის ძალ-უძს, საყვარელნო, წარსდგეს კადნიერებით ამა საშინელის სამსჯავროს წინაშე და სრულის იმედით მოელოდეს სიმართლის გვირგვინს, რომელსაც მისცემს უფალი მარტოოდენ **მათ, რომელთაც შეიყვარეს გამოჩინება** მისი (2 ტიმოთ. 4, 8)? მათ, რომელთა შრომა და ღვაწლი ამა ქვეყანაზედ იყო ნაყოფიერი, ხოლო ცხოვრება სათნო ღვთისა; რომელთაც ყოველივე საქმე შეასრულეს თანახმად უფლის მცნებათა, რომელთაც ჩვეულებად ჰქონდათ გადაქცეული ანგარიშის გაწევა თავის სვინდისთან; მათ, რომელნიც განიკითხვიდნენ თავსა თვისსა, თანახმად მოციქულის მცნებისა: **თავთა თვისთა განიკითხვიდეთ** (I კორ. 11, 31).

ამისათვის, თუმცა განკითხვა თავისა, განსჯა გულისთქმათა, განზრახვათა, სიტყვათა და მოქმედებათა თვისთა ქრისტეანეთათვის დღემუდამ საჭიროა და სასარგებლოა,

მაგრამ ვინც ჯერ ვერ შესჩვევია, ვისაც სხვა დრო ვერ უპოვნია, დღეს მაინც უნდა მოიცალოს ამ ფრიად კეთილის საქმისათვის და შეეკითხოს თავის თავსა: როგორ და რარიგად გაატარე, თავო ჩემო, გასული წელი? რაოდენი ხანი მოანდომე ღვთის მსახურებას, ლოცვა-ვედრებასა და (ღვთის) ქება-დიდებას? ბევრი დრო შესწირე კეთილსა და ნაყოფიერს საქმესა ღვთის სადიდებლად და მოყვასის სასარგებლოდ? თუ უფრო მეტი დრო დაჰკარგე ზარმაცობასა და უსაქმობაში, უნაყოფოსა და უსარგებლო საქმისათვის, ცუდად ყოფნასა და ბიწიერს ცხოვრებაში?

რა უყავ ის ნიჭი ანუ ნაყოფი, რომლითაც გვირგვინოსანჰყო უფალმა შრომა შენი? რაში დახარჯე ნაშრომი ხელთა შენთა, კეთილსა თუ ბოროტს საქმეში, სულის საცხოვნებელად თუ მის წარსაწყმედელად, სადიდებელად ღვთისა და წარსამატებელად მოყვასთა შენთა, თუ გასანებივრებელად ხორცისა შენისა და დასაკამყოფილებელად ვნებათა ღელვათა შენთა, ასესხე უფალსა გლახაკთა ხელით, თუ მოანდომე სმას, ჭამას და განცხრომასა?

მოვალეობის აღსრულების დროს, რას უფრო აქცევდი ყურადღებასა, – პირად სარგებლობას და პატივის მოპოვებას, თუ მოძმეთა სარგებლობას და სვინდისის მოთხოვნილებას? კაცთაგან ელოდი ქება-დიდებას, თუ, როგორც ჭეშმარიტი მონა ქრისტესი, ელოდი სასყიდელს მამისაგან, რომელიც არს ცათა შინა? ქველ მოქმედებას საჯაროდ, კაცთა საჩვენებლად ეწეოდი, თუ გაიღებდი წინაშე გულთა მხილავისა მამისათა?

თავისუფალს დროს როგორ ატარებდი ხოლმე, – რა გრძნობანი და მოგონებანი აღგეძროდიან უფრო ხშირად გულსა და სულში? გაითვალისწინე მცნებანი უფლისანი, შეუდარე გულის-თქმანი, სიტყვანი და საქმენი შენნი და სთქვი: ხარ თუ არა მზად კადნიერებით და პირნათლად წარსდგე წინაშე უფლისა და მსაჯულისა შენისა?

ამა კითხვის პასუხი ცხადად დაგვანახვებს, თუ რა ვყოფილვართ და რა უნდა ვყოფილიყავით; გვიჩვნებს, თუ რა უნდა დავივიწყოთ და რა უნდა დავიხსომოთ, რა უნდა გავას-

წოროთ და რა უნდა გავაუმჯობესოთ, რას უნდა დავანებოთ თავი და რას უნდა მაგრად ჩავკიდოთ ხელი, რომ არ მოგვასწროს ულმობელმა სიკვდილმა მოუმზადებელი და არ მიგვცეს საუკუნო ტანჯვასა და მწუხარებასა?

მართალია, ამგვარად განკითხვა თავისა არა სასიამოვნოა, განსაკუთრებით ისეთს დღეს, რომელსაც სხვები უდარდელად და მხიარულებით ატარებენ, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ის, რაც სასიამოვნოა, ხშირად მავნებელია, ის კი, რაც თავდაპირველად მწარეა, საბოლოოდ ტკბილი და მარგებელია. ამისათვის, ყურად ვიღოთ სწავლა, რომლითაც განგვაბრძნო დღევანდელმა დღემ და ვიხელმძღვანელოთ მითა: უმჯობესია სასარგებლოდ, თუმცა არა გარდამეტებულის მხიარულებით, გავატაროთ დღე ესე, ვიდრე სიამოვნებით, მაგრამ უსარგებლოდ. ამგვარს შემთხვევაში ჩვენ უნდა წინ გვიდგეს წმ. მოციქულის დარიგება: **ყოველივე გამოიცადეთ და უკეთესი შეიკრძალეთ** (I თესალ. 5, 21). ამინ.

(წარმოითქვა ქვაშვეთში 1909.I.1; ,,მწყემსი", 1909, №1; ,,ქადაგებანი", 1913, №1)

სიტყვა
ახალ წელიწად დღეს

აკურთხე, უფალო, გვირგვინი წელიწდისა ამის
სიტკბოებითა შენითა (ფსალმ. 64,11)!

ამ სიტყვებით წმ. მეფის და წინასწარმეტყველის დავითისა მოგესალმებით, საყვარელნო, დღევანდელ დღეს და მოგილოცავთ ახალ წელს! ამასთანავე მოგაგონებთ, რომ ბედნიერება არის ღვთისმიერ მონიჭებულის **ხატებისა** მისსა **მსგავსებად** გარდაქცევა (შექმ. 1,26-27), და მოიპოვება განუწყვეტელის ზრუნვითა სულისა და ხორცისათვის...

ხორცისათვის საჭიროა საზრდელი, ტანთსამოსი და სადგური, და მათ შეძენისათვის პატიოსანი შრომა ღვთისაგან

ნაკურთხია და ყველასათვის სავალდებულო...

უმეტესად სავალდებულოა ზრუნვა სულისათვის, რომელსაც ესაჭიროება ღვთისცნობაზედ დამყარებულის განათლებითა და სწავლით საზრდოება, ღვთის სათნო საქმეთა მიერ შემოსვა და მის სიყვარულსა ზედა დადგრომა...

თუ ადამიანმა ყოველივე ეს მოაკლო სულსა, მაშინ ჭეშმარიტს ბედნიერებას ვერ მიაწევს: განათლებით და შრომის სიყვარულით შეიარაღებული ქრისტეანე კი ზღვასა და ხმელეთს, ცასა და ქვეყანას ჰქმნის მოქმედების ასპარეზად და ბედნიერების მოსაპოვებელ მოედნად...

მაშ, განვაგრძოთ უკვე მიმდინარე წელში ხორცის ნამდვილ საჭიროებათა დაკმაყოფილებისა და სულის განათლებისა და განბრძნობისათვის შრომა, რათა მსგავს ვექმნეთ უფალსა და მოვიპოვოთ ბედნიერება! ამინ.

(წარმოითქვა ქვაშვეთში 1914.I.1)

ს ი ტ ყ ვ ა
ახალ წელიწად დღეს

ახალწელიწადს ჩვეულებად გვაქვს ვუსურვოთ ერთმანეთს ბედნიერება!

მერმე, როგორ გვესმის ჩვენ ეს სიტყვა, ვისა ვსთვლით ჩვენ ბედნიერად?!

ბევრნი, ძალიან ბევრნი, ჰგონებენ, თუ კაცი ჯანმრთელია, აქვს საკმაო საშვალება უშრომლად ცხოვრებისა, განიცდის ამა ქვეყნიურ სიამოვნებათა, – სულიერია სიამოვნება იგი, თუ ხორციელი, – კაცი იგი ბედნიერიაო...

ცხადია, ქრისტეანე ვერ ჩასთვლის ამგვარ ადამიანს ბედნიერად, პირველად მისთვის, რომ ამგვარნი პირნი ცოტა მოიპოვება, ბედნიერებას კი ყველა ეტრფის, და შემდგომ კიდევ მისთვის, რომ წყაროდ ბედნიერებისა დასახულია აქ ცვალებადი რამ. ცვალებადს კი თან სდევს იმედის გაცრუება, უსიამოვნება, მწუხარება. ბედნიერება კი ჩვენ გვაქვს წარმოდგე-

ნილი როგორც მუდმივი რამ, რომელიც მიანიჭებს ადამიანს **მშვიდობასა** (ეფს. 2,14) და **განსვენებასა** (მატთ. 11,29), ჭირში იქმნება იგი თუ ლხინში, სიღარიბეში თუ სიმდიდრეში.

იკითხავთ: შესაძლებელია კი ადამიანისათვის ეგეთი ბედნიერება? შესაძლებელიც არის და იყო კიდევაც ბედნიერი ადამიანი! ეს იყო მაშინ, როდესაც ადამიანი ცხოვრობდა სამოთხეში, როდესაც თვის ზრახვას, სიტყვას ან საქმეს იგი უკავშირებდა ღვთის ნებას, გრძნობდა თავს ღვთის შვილად და შერაცხდა უფალს უსაყვარლეს მამად და უმახლობელეს ხელმძღვანელად. ამავე დროს იგი არა ცხოვრობდა უშრომლად: იქმოდა და სცვიდა სამოთხესა, არკვევდა პირუტყვთა ზნეთა და თვისებათა, აკვირდებოდა ბუნების მოვლენათა და მის კანონთა და, ამ სახედ, ემზადებოდა, გამხდარიყო მეუფედ ქმნილებისა (შექმნ. 1, 26-28; 2, 15-20)...

ადამიანის შეცოდებამ დაარღვია ესეთი ბედნიერება (შექმნ. 3, I-24), მაგრამ დაარღვია, არკი მოუსპია, და ამის გამო არცთუ ისე ძნელია მისი დაბრუნება, აღდგენა. საჭიროა მხოლოდ, გვახსოვდეს დღედაღამ, ძილში თუ ღვიძილში, რომ **ღმერთი ნათელ არს და ბნელი არა არს მისთანა** და რომ იგი **სიყვარული არს**, და **რომელი ეგოს სიყვარულსა ზედა, – ღმერთი მისთანა არს** (I იოან. 1, 5; 4, 16). მაშასადამე, ჯმნა სიბნელისა და ბოროტისა საქმისაგან, შედგომა ნათლისა, დაგება სიყვარულსა ზედა ღვთისა და მოძმისა მიგვიყვანს უფალთან, აღადგენს კავშირს მისსა და ჩვენ შორის და დაგვიბრუნებს სამოთხეს შინა ყოფილ ბედნიერებას, მიუხედავად მისა, ვართ გლეხი თუ თავადი, მეურნე თუ ვაჭარი, მუშა თუ მრეწველი, მოხელე თუ მკურნალი, ბუნებისმეტყველი თუ ღვთისმეტყველი, მდიდარი თუ გლახაკი, ქალი თუ ვაჟი, მოხუცი თუ ჭაბუკი...

ამისთვის, მოგილოცავთ რა ახალს წელს, გისურვებთ და გლოცავთ, – ბედნიერ იყვენით უფლისა მიერ და განმტკიცენით ყოველსა **სიტყვასა და საქმესა კეთილსა** (1 თეს. 2,17)! ამინ.

(წარმოითქვა ქვაშვეთში 1916. I. 1).

ს ი ტ ყ ვ ა
მოციქულთასწორის ნინოს ხსენების დღეს თქმული მიტრ. კალისტრატეს მიერ*

მცხეთის ზემოთ, სადაც დღეს რკინიზგის სადგურია, ძველად გაშენებული იყო სოფელი კარსანი, ხოლო მის გასწვრივ, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, სოფელი კოდმანი. ამ სოფლების შესახებ დარჩენილა გადმოცემა: „კარსანელთა მართებსთ კოდმანელთა ხუთი მკვდარიო“. ეს არაჩვეულებრივი სესხი ასე აქვს განმარტებული ჩვენი წარსულის ზოგიერთ მკვლევარს: „რა მოკვდის ვინმე კაცი ბრძოლასა, ანუ თვისი დღით, მეორე ივასხის (ისესხებს) და შესჭამდიან“-ო. ზოგნი კი გვეუბნებიან: კარსანელებს „შემოკვდომიათ ხუთი კოდმანელი და, სანამ კოდმანელები სისხლს არ აიღებდნენ, ე. ი. ხუთ კარსანელს არ მოჰკლავდნენ, მანამდე ეს ვალი გადაუხდელად უნდა ჩათვლილიყოო“. ასეა თუ ისე: იყვნენ ჩვენი წინაპრები კაცის მჭამელნი, თუ სისხლის აღებამდე შურისმაძიებელნი, ჩვენს წინაშე იშლება საზიზღარი სურათი: მეზობლები ან მკვდარს სთავაზობდნენ ერთმანეთს, – ჩვენი მკვდრებით თქვენ გამოიზარდენით, თქვენი კი ჩვენ გამოგვიგზავნეთო, ან შურისძიებით შეპყრობილნი ყოველი ბუჩქისა თუ ხის ძირას უსაფრთებოდნენ ერთმანეთს, სანამ თავიანთი მკვდრის სისხლის ასაღებად არ დაანთხევდნენ მოძმის სისხლსა...

საბედნიეროდ, რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ ვხედავთ, მკვდრის მჭამელთა და სისხლისამღებთ შვილები ძმურად შეკავშირებულან ერთიმეორესთან, გაუზიარებიათ ურთიერთის ჭირი და ლხინი, თავდადებულად შებრძოლებიან საზოგადო მტერს, სიყვარულით შეუწყნარებიათ შორეულ ქვეყნიდან გადმოხვეწილნი და მფარველობა გაუწევიათ მეზობელ ერებისათვის, ჩვენ დროში კი სახელოვნად იღვწიან მსოფლიოს მაშვრალთა. ტვირთმძიმეთა სვე-ბედის გაუმჯობესებისათვის

---

* ამ ქადაგების ტექსტი, რომელიც ჩაკერებულია ხელნაწერ კრებულში (ფფ. 38-59), ნაწერია სხვა (შედარებით პატარა ფურცლებზე) და სხვისი ხელით, მაგრამ გასწორებულია ავტორის მიერ.

და ყველა ერების სოლიდარობისა და გათანასწორება-გაერთიანებისათვის. თამამად შეგვიძლია ვთქვათ: მატიანეს სიტყვით, „ყოველთა ნათესავთა უმძვინვარეს და უველურეს ერის“ შვილები ბევრ თვალსაჩინო საქმეში დღეს არავის ჩამოუვარდებიან, აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში მაინც...

თავისთავად ისმება საკითხი: ვინ ან რამ აიყვანა ძველ კარსან-კოდმანის შვილები ამ სიმაღლეზე, ვინ ან რამ გარდაქმნა ამ ზომამდე „უმძვინვარესი და უველურესი“ ხალხი, ვინ ან რამ დააჭერინა მათ მსოფლიოს ისტორიის მსვლელობაში თვალსაჩინო ადგილი? – იმ სუსტმა კაბადუკიის ასულმა, რომელსაც ეწოდება წმიდა ნინო და იმ „ციურმა სიტყვამ“, რომელიც ჰქადაგა ჩვენში ჰაეროვანმა ქალწულმა!...

ამ წმიდა ასულმა მოგვიტანა იესო ტკბილის სახარება, მოგვიძღვნა სიყვარულით სავსე გული, მოგვცა სახე სპეტაკი ცხოვრებისა, გვიანდერძა ჯვარი ვაზისა და მით განგვინათლა გონება, წმიდაყო ზნე-ჩვეულებანი, შეგვკრიბა ქრისტე ისეოს სახელის გარშემო, დაგვამყარა მართლმადიდებელ ეკლესიის სწავლის კლდეზე და **აღგვაშენა სახლად სულიერად** (I პეტ. 2, 5)...

ამ შედეგების მიღწევის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სწორედ იმ გარემოებას, რომ ჩვენში ქრისტიანობა შემოიტანა და დანერგა ქალმა. ცნობილია, – ქალის გულში დასადგურებული სარწმუნოებრივი გრძნობა მტკიცეა და ურყევი, რაიცა დასტურდება თუნდაც იმით, რომ ქრისტეს ჯვარცმისა და სიკვდილის შემდეგ მოციქულები გაიფანტნენ და მიიმალნენ, მენელსაცხებელნი დედანი კი არ მოშორებიან მაცხოვრის ჯვარსა და საფლავს, თუმცა ჯვარცმულს გარს ეხვივნენ რომის მხედარნი და საფლავი დაბეჭდულ იყო და გარემოცულ ურიათა დასისაგან (მატთ. 27, მარკ. 15, ლუკ. 23). ამის გამო, შემთხვევით მოვლენად როდი უნდა ჩავთვალოთ ის, რომ ნინო მოციქულთა სწორმა თანამშრომლებად პირველყოვლისა აიყვანა ქალები: შროშანა, ანასტასია, სიდონია, სალმე, ნანა და სხვ. წმიდა ასულს თავიდანვე გათვალისწინებული ჰქონდა, რომ დედაკაცი, ეს ოჯახის ბურჯი და კერა, „ნანინასთან“ ერთად ჩააგონებს ნორჩ არსებას ნაზარეველის

მცნებებს და მათ სამუდამოდ აღბეჭდავს მოზარდი თაობის გონებაში. ქართველმა დედებმაც სავსებით გაამართლეს შორსმჭვრეტელის უცხო ასულის მოლოდინი: საკუთარ რძესთან ერთად, მათ გადასცეს პატარა ქართველებს, **ღმერთი ნათელ არს და სიყვარულ** (I იოან. 1,5; 4,8), ჩვენ ყოველნი ვართ **შვილნი ღვთისანი** (რომ. 8,16; I იოანე 3,2), რის გამო **რომელს უყვარდეს ღმერთი**, (უნდა) **უყვარდეს ძმაიცა თვისი** (I იოან. 4,21) და ძმად უნდა ჩაითვალოს ყოველი მორწმუნე, ვინაიდან **წინაშე ღვთისა არა არს ურიაება, არცა წარმართება; არა არს მონება, არცა აზნაურება; არა არს რჩევა მამაკაცისა, არც დედაკაცისა** (გალ. 3,28), რომ ყველანი შექმნულ-დაბადებულნი ვართ **საქმეთათვის კეთილთა** (ეფეს. 2,10) და **თუ ვისმე არა უნებს საქმის, ნუცა სჭამნ** (2 თეს. 3,10). ამგვარი „ნანინათი“ ნელ-ნელა და თანდათანობით გამოიხატა კაციჭამია-შურისმაძიებელთა შვილების შეგნებაში მაცხოვრის დიადი სახე და წარმოიშვა ერი ჯვარისმტირთველი, ქრისტეანული კულტურის დარაჯი და დამცველი წინა აზიაში...

ამის შემდეგ, განა გასაგები არ არის, თუ რისთვის ატანდნენ მზითევში ჩვენს დედებს წმიდა სახარებას?! – შვილების აღზრდის დროს, წინ წაიმძღვარე იგიო, რასაც წმ. ნინოს სულიერი შვილები ბრწყინვალედ ასრულებდნენ: ახალგაზრდობის განსწავლა (არა მარტო ზნეობრივ-სარწმუნოებრივი) არ გაუშვიათ ხელიდან ჩვენი ოჯახის ბურჯებს მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე მაინც... ტაძრებ-მონასტრებთან არსებული სკოლები მხოლოდ უფართოებდნენ ოჯახიდან მოტანილ ცოდნას იმ რჩეულთ, რომელნიც უმაღლესი სწავლის მაძიებელნი იყვნენ. უმრავლესობა კი კმაყოფილდებოდა იმ ცოდნით, რომელიც დედებისაგან ქონდათ შეთვისებული. ხოლო რაოდენად გაცნობილნი იყვნენ გალილეველის სწავლასთან ჩვენი მშობლები, ამას ადასტურებს, ერთი მხრით, მათი მაღალი ზნეობა, ხოლო მეორის – ის გარემოება, რომლის მოწმეც ბევრი ჩვენგანი არის: ამ ოცი-ოცდაათი წლის წინად ჩვენში ბლომად მოიპოვებოდნენ ისეთები, რომელნიც, თუ მღვდელს ან დიაკონს სახარება-სამოციქულოს წაკითხვის დროს ენა წაუბორძიკდებოდა, ან კითხვა შეეშლებოდა, იქვე

მიეშველებოდნენ და გაუსწორებდნენ შეცდომას. დაუჯდომელისა, ღვთისმშობლის პარაკლისისა, სერობისა და ძლისპირების მცოდნე-მგალობელნი (უმეტესად კი ქალები და არც ღრმად მოხუცებულნი) დღესაც ბევრი შეგხვდებათ რკინისგზის ლიანდაგს 15-20 კილომეტრით დაშორებულ სოფლებში.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებულია ერთი მოვლენა: წმიდა ნინო და მისი თანამშრომელი ქალები თავისი ნაზი გრძნობით ისე ღრმად დასწვდნენ ჩვენი ერის სულსა და გულს, რომ ეკლესიურ ცხოვრების გარეგან მხარესაც კი მისცეს სათუთი ელფერი. დააკვირდით ქართულ საღვთისმსახურო წიგნების კითხვის კილოს და ის მოგაგონებთ მთის კალთებზე მომდინარე ანკარა წყაროს ნაზსა და მხიარულ წინწკარს, რომელიც სიამოვნებით ავსებს გულს და ზეცად აღიზიდავს გონებას. ყური დაუგდეთ ქართულ გალობას და უეჭველად იპოვით მზგავსებას დედის მიერ ნამღერ ტკბილ „ნანინასთან“, რომელიც დუხჭირი ცხოვრებით გამწარებულ ადამიანის სულს ამშვიდებს და აწყნარებს. გადაავლეთ თვალი ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშებს და დაინახავთ, რომ წმიდა ნინოს მიერ გადმოცემულ გრძნობათა ქალწულებრივი სინარნარე ქართველმა ერმა გადასცა თვით უსულო საგნებსაც კი, – მაგალითისთვის შორს ნუ წავალთ: დაათვალიერეთ ერთიმეორისაგან რამდენიმე ათეული მეტრით დაშორებული სკამოიანთ ეკლესიისა და სამხედრო ტაძრის ჩუქურთმები, შეადარეთ ისინი ქვაშვეთის ჩუქურთმებს და ცხადათ დაინახავთ, რომ პირველსა და მეორე შემთხვევაში სჭარბობენ სიმძიმე, სისხვილე და სიტლანქე, ხოლო მესამეში სიმსუბუქე, სინაზე და სიტურფე...

ამ სახედ, წმ. ნინოს ჩვენში მოღვაწეობის დაკვირვებამ უეჭველყო, რომ ქრისტეს სარწმუნოების საუკეთესო გამავრცელებელია შემოქმედისაგან მოსიყვარულე გულითა და ნაზი გრძნობით დაჯილდოებული არსება-ქალი, ხოლო დამცველი და კერაა ოჯახი, სადაც ,,ქრისტეს ნათლის წმიდას ლამპარს აღაგზნებს“ ოჯახის დედაბოძი, იგივე ქალი. გარნა მოციქულთასწორის მოღვაწეობის დაკვირვება ცხადყოფს ჩვენთვის იმასაც, თუ რა გზით ანუ რა საშუალებით უნდა ვრცელ-

დებოდეს ხალხში სარწმუნოება, რომ აღსრულდეს **ნება ღვთისა,** მიზანი ქრისტიანობისა – **სიწმიდე ესე ჩვენი** (1 თეს. 4,3) და დამყარდეს ქვეყანასა ზედა სასუფეველი ღვთისა...

როდესაც წმიდა ნინო ჩვენსკენ მოემგზავრებოდა, ამ დროს იმპერატორი კონსტანტინე პირველი მსოფლიო კრების წევრებს ეუბნებოდა: თქვენა ხართ ეკლესიის შინაგან საქმეთა ეპისკოპოზნი, ხოლო მე – ეკლესიის გარეშე საქმეთაო და, ცხადსაყოფელად ამ ახალი თანამდებობის ერთგულად შესრულებისა, იმპერიის შორეულ კუთხეებში დაგზავნა კრების მიერ გასამართლებული და ეკლესიიდან განკვეთილი მწვალებლები. მართლმადიდებლობისათვის ასეთი გულმოდგინება კრების მამებს სასიამოვნოთ დაურჩათ, მაგრამ მათ „დაავიწყდათ“, რომ ქვეყნის მბრძანებელთა ზრახვანი დაყრდნობილია სახელწმიფოებრივ ანგარიშებზე და ამის გამო ცვალებადია: მართლადაც, კონსტანტინემ მალე კეთილი თვალით შეხედა მწვალებლებს და მოითხოვა კრების ერთერთი მთავარი მონაწილის არიოზის მღვდელობაში აღდგენა (ალექსანდრიის ეპისკოპოზისაგან). წმ. ათანასეს უარი „ეკლესიის გარეშე საქმეთა ეპისკოპოზს“ არა სასიამოვნოთ დაურჩა და გამოიცა არა კანონიერი ბრძანება – არიოზი უნდა აღედგინა მღვდელობაში კონსტანტინეპოლის ეპისკოპოზს...

კონსტანტინეს გადააჭარბა მისმა შვილმა და მემკვიდრემ კონსტანციმ: 355 წელს მილანის კრების წევრებს მან პირდაპირ გამოუცხადა, – „რაც მე მსურს, საეკლესიო კანონიც ის არისო“. ამის შემდეგ ბიზანტიის იმპერატორები აღარ დაკმაყოფილებულან „ეკლესიის გარეშე საქმეთა ეპისკოპოზობით“: ისინი მოურიდებლათ ერეოდნენ ეკლესიის შინაურ, თვით დოღმატიურ საკითხების გადაჭრაშიც კი, – საკმარისია მოვიგონოთ მონოფიზიტ-მონოთელიტების და ხატთა მბრძოლის ხანა, რომ დავრწმუნდეთ: ბიზანტიის ქრისტეანე იმპერატორები ისეთსავე „უზენაეს მღვდელთმთავარად“ სთვლიდნენ თავს, როგორადაც რომის კერპთთაყვანისმცემელი ავგუსტები. ამან კი დიდი ზიანი მიაყენა როგორ ეკლესიას, ისე სახელმწიფოს...

სულ სხვაგვარ მიმართულებას დაუდო საფუძველი წმ.

ნინომ ქრისტეანობის გავრცელების დროს საქართველოში. მისი ცხოვრების აღმწერლის სიტყვით, წმიდა ასულს „კრძალულად მარადის ეპყრა ჯვარი იგი“, რომელიც ცოცხალი ვაზისაგან შეუქმნა და გადასცა მას (ჩვენების დროს) ღვთისმშობელმა. ეს სიმბოლური გამეორება იყო მაცხოვრის სიტყვისა**: მე ვარ ვენახი და თქვენ რტონი, რომელი დაადგრეს ჩემთანა და მე მისთანა, ამან (გა)მოიღოს ნაყოფი მრავალი** (იოან. 15, 5), ე. ი. მორწმუნე ანუ რტო თავის მოქმედების დროს უნდა დაეყრდნოს ქრისტეს ანუ ვენახს და არა სხვას ვისმე, **რამეთუ თვინიერ** ქრისტესა **არა რაი ძალგვიძს ყოფად არცა ერთი** (იქვე). მოციქულთასწორის ქალწულის ეჭვმიუტანელი რწმენით, ქრისტეანობა არის ისეთი შინაგანი ძალა, რომელიც გარდაქმნის ადამიანის ბუნებას იმავე სახით, რა სახითაც **ცომი**, როდესაც შეუერთდება მოსაზელად გამზადებულ **ფქვილსა, აღაფუნებს** და **გარდაქმნის მას** (მატთ. 13, 33). ამისთვის, როდესაც მირიან მეფეს აღეძრა სურვილი, ქრისტეანობა შეეტანა შორის „მთიულთა, ჭართაღელთა, ფხოელთა, გუდამაყრელთა და წილკანელთა“ „იძულებითა და მახვილით“ და ეს აზრი გაუზიარა წმიდა ნინოს, უკანასკნელისგან მიიღო პასუხად: „არა ბრძანებულ არს უფლისაგან მახვილისა აღებაი, არამედ ჯერ არს სახარებითა და პატიოსანითა ჯვარითა უჩვენოთ გზაი ჭეშმარიტი, მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ, და (ვსასოებ) მადლმან ღვთისამან განანათლოს ბნელი იგი გულთა მათთაი“. მოკლედ რომ ვთქვათ, წმ. ნინოს აზრით, სარწმუნოების გავრცელებისა თუ სხვა რომელიმე მის შინაურ საქმეში სამოქალაქო ხელისუფლების ჩარევა სრულებით არ არის საჭირო: დახმარების მაგიერ იგი ზიანს მოიტანს. მირიან მეფემ ეს უბრალო ჭეშმარიტება ვერ შეიგნო და, როდესაც წმ. ნინო ეპისკოპოზის იოანესა და მღვდლის იაკობის თანხლებით გაემგზავრა მთებში, მათთან, მირიანის ბრძანებით, „წარვიდა ერისთავი ერთი“, რომელმაც დაინახა რა, რომ ფხოელებმა „განუყარეს თავი“ და არ შეიწყნარეს ნინოს ქადაგება, „მცირედ წარმართა მახვილი და (ფხოელთა) შიშით მოსცნეს კერპნი მათნი დალეწად“, მაგრამ თვით კი „გადაკრბეს თოშეთს“. ასეთი ნა-

ყოფი გამოიღო მირიან მეფის უადგილო გულმოდგინებამ და წმიდა ნინოს მიერ ნაჩვენებ გზიდან გადახვევამ, ფხოელები ქრისტეანობასაც გაექცნენ და სამშობლო ტერიტორიაც დაკარგეს. ამ ცდამ საქართველოს მპყრობელი დაარწმუნა ნინოს მიერ არჩეული გზის უპირატესობაში, რის გამოც შემდეგში ხელი აღარ შეუშლია წმ. ქალწულისათვის, რომელიც მოძღვართა თანხლებით გადავიდა ერწო-თიანეთს, ჟღალეთს, ყვარელს, კხოეთს, კაწარეთს, ქველდაბას და ყველგან „ასწავებდა სიტყვითა ტკბილითა სარწმუნოებას ჭეშმარიტს“ და მსმენელთაც „სიხარულით შეიწყნარეს სწავლა ნეტარის ნინოსი და ნათელ იღეს“.

ამ სახედ, ქალის ნაზი ხელით ოჯახში დანერგული ქრისტეანობა, სახარების მარგალიტებით გაბრწყინვებული, ჯვარითა პატიოსნითა წინამძღვარებული, სიტყვითა ტკბილითა ქადაგებული და მადლითა ღვთისათა შემოსილი, გამოვიდა ოჯახის იწრო ფარგლებიდან ფართო საზოგადოებაში, დაანახვა მას გზაი ჭეშმარიტი და იქმნა შეწყნარებული სიხარულითა „მეფეთა და დედოფალთა, მთავართა და მხედართა, და მონათა და მხევალთა სიმრავლისაგან“. ამ სწორი გზით მიდიოდა ჩვენში ქრისტე მაცხოვრის სწავლის გავრცელების საქმე, რაიც ცხადათ ჩანს თუნდაც იქიდან, რომ ორი საუკუნის შემდეგ იოანე ზედაზნელმა და მისმა მოწაფეებმა საკმაოდ პოვეს საქართველოში არაქრისტეანებიც.

რა შედეგი მოჰყვა წმ. ნინოს მიერ არჩეული მიმართულებით ქრისტეანობის გავრცელებას? ის, რომ თავისუფალი გზით შემოსული ახალი სარწმუნოება შეიქმნა ჩვენთვის უდიდეს ზნეობრივ ძალად, რომელმაც აამოძრავა და დაიმორჩილა მთელი საქართველო და რომელიც გარდიქცა ერის სინიდისის საზომად, რასაკვირველია, არა გარეგანი რაიმე საშვალებით, არამედ ერის **გონების განახლებით** და განსჯა-განცდით, **რაი იგი არს ნება ღვთისა კეთილი, სათნო და სრული** (რომ. 12, 2). თუ ბიზანტიის მბრძანებელთა ხელში სარწმუნოება ხშირად გარდაიქცეოდა სახელმწიფოებრივი ზრახვების განსახორციელებელ იარაღად, ანდა პირადი სურვილების დასაკმაყოფილებელ საშვალებად, საქართველოს უზენაესი ხელი-

სუფლები ქრისტეს მცნებებით იკვლევდნენ გზას ცხოვრებისას და მათ მოთხოვნილებათა მიხედვით შეაფასებდნენ ხოლმე თავიანთ მოქმედებას. ამ დებულების დასასურათხატებლად მოვიგონოთ შემდეგი: ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე მეექვსემ გადალახა საეკლესიო კანონები, არარად ჩათვალა თანამედროვე ქრისტეანების საზოგადოებრივი აზრი – ძალად შეაყენა მონაზვნად თავისი მეუღლე მარიამი და ჯვარი დაიწერა თავის ნათესავ ქალ თეოდოტიაზე. ტარასი პატრიარქი სდუმდა, ხოლო სავკუდიონის ბერებმა, რამდენიმე პროვინციელმა ეპისკოპოზებმა და (შემდეგ) სტოდიელმა მამებმა იმპერატორის საქციელი ჩათვალეს უსჯულოებად და, ამის გამო, მისი ჯვარის დამწერი „დიდისა ეკლესიისა იკონომოსი“ იოსები განაძევეს თავის წრიდან. ამ წმიდა მოძღვრული მოქმედებისათვის იმპერატორებმა კონსტანტინემ და ნიკიფორემ მღვდელთმთავრები კათედრიდან გადმოაგდეს, ბერები სტანჯეს და მონასტრები აიკლეს. იმერპიის დიდ ხელისუფლებს კი მისცეს საბაბი, გაყროდენ ცოლებს და შეერთოთ სხვები, ანდა დაესვათ ხარჭები: დიდებს მიბაძეს პატარებმა და შეიბღალა ოჯახის სიწმიდე...

აღნიშნულ იმპერატორთა თანამედროე აშოტ კურაპალატმა, თითქოს მათი მაგალითით კადნიერქმნილმა, მეუღლის სიცოცხლეში სასახლეში მიიყვანა „დედაკაცი სიძვისაი“. როდესაც ხანძთისა მონასტრისა წინამძღვარს გრიგოლს „ესმა საქმე იგი – ამხილა პირისპირ ხელმწიფესა მას, ხოლო მან აღუთქვა ცოდვისა მის განტევებაი“, მაგრამ „ვერ დაამტკიცა (საქმით) თვისი ბრძანება, რამეთუ დაემონა გულისთქმასა“. ამის შემდეგ „ნეტარმა გრიგოლ პოვა ჟამი მარჯვე“. ოდესცა კურაპალატი შორს იყო, მივიდა სასახლეში, დაარწმუნა დედაკაცი სიძვისა, რომ იგი „შორის ცოლ-ქმართა შთაჭრილა წარსაწყმედელად სულისა“, და ურჩია წასულიყო „სანატრელისა დედისა თებრონიას წინაშე“. დედაკაციც დაემორჩილა წმიდა მამის რჩევას და დაბინავდა დედათა სავანეში... როცა აშოტი ხარჭის წამოსაყვანად მივიდა მონასტერში, დედა თებრონემ არც ხარჭა დაუბრუნა და მკვეთრადაც ამხილა. აშოტი „სირცხვილეულ იქმნა მართლმხილებისა მის-

გან კდემული და მყოვარჟამ დადუმნა, ვითარცა ძლეული, რამეთუ ხორციელად ძლიერსა ხელმწიფესა სულითა ძლიერთა კაცთა სძლიეს!!“.

არ შეეძლო ქვეყნის მბრძანებელსა და ბატონს საყვარელი არსების იძულებით წამოყვანა და თვით მონასტრის, ბიზანტიის იმპერატორთა მიხედვით, პირისაგან ქვეყნისა აღგვა? ვინ შეუშლიდა ხელს, მონასტრის დედები თუ ხანძთის ბერები? ვერც ერთნი და ვერც მეორენი! ხელის შემშლელად გამოდგა აქ ქართველი ერისა და თვით აშოტის შეგნებაში განმტკიცებული „ნეტართა მათ პატივი“ და მოკრძალება „მართლმხილების“ მატარებელ ეკლესიისადმი, რომელიც დარაჯად ედგა საღვთო მცნებათა შესრულება-არშესრულებას. გარეშე ამ შეგნებისა ჩვენი ეკლესია იყო უძლური და უსუსური; მის განკარგულებაში არ ყოფილა ის ძლიერი საშვალებანი, რომლითაც თავი მოჰქონდა რომის ეკლესიას. ის ძლიერი იყო მხოლოდ და მხოლოდ თავის ზნეობრივი ძალითა და სიფაქიზით...

სწორედ ამ ზენობრივ სიფაქიზის ძალას ღირსეულად აფასებდნენ ჩვენი საუკეთესო მამულისშვილები და სწორედ მას მიმართავდენ ხოლმე საქართველოს აშენება-აღორძინებისათვის ზრუნვის დროს. ამგვარ შემთხვევაში ისინი მოიწვევდნენ „ღვთისმოყვარეთა ეპისკოპოზთა, პატიოსანთა მღვდელთა, ღირსთა დიაკონთა, ქრისტეს მოყვარეთა მონაზონთა, დაყუდებულთა და მეუდაბნოეთა“ და ეტყოდნენ: „თქვენ ღვთის მიერ განჩინებულ ხართ მოძღვრად ჩვენდა: გამოიძიეთ ყოველი კეთილად, დაამტკიცეთ მართალი და განხადეთ ყოველი გულარძნილი (სიმრუდე). ნუ თვალახვამთ (მოერიდებით) მთავართა სიდიდისათვის, ნუცა გლახაკთა უდებყოფთ სიმცირისათვის“. ღვთივგანბრძობილი კრებაც შეუდგებოდა საქმეთა განხილვას და **პირველ ყოვლისა განაქიქებდა „უღირსთა ეპისკოპოზთა და მათვე მზგავსთა ხუცესთა“** მოქმედებას, ვინაიდან, კრებათა და ერის აზრით, **მათგან „გამოვიდოდა ყოველი უსჯულოება და ცოდვა“**. მოვიგონოთ ბაგრატ მეოთხე და გიორგი მთაწმინდელი, დავით აღმაშენებელი და რუის-ურბნისის „ძეგლისწერა“, თა-

მარ დიდი და მის მიერ მოწვეული კრება და ჩვენთვის ცხად იქმნება: როცა ეკლესია და მისი ხელისუფალნი, – ეს **ნათელი სოფლისა და მარილი ქვეყანისა** (მატთ. 5, 13-14) – ასრულებდნენ თავის პირდაპირ მოვალეობას, მაშინ საქართველოც ჰყვაოდა, ხოლო როცა ნათელი **ბნელ იქმნებოდა და მარილი განჰქარდებოდა**, ქვეყანაც კნინდებოდა და ეცემოდა. მეტის თქმაც შეგვიძლია: მაშინაც კი, როდესაც უამრავ მტრების შემოსევის გამო ქვეყანა წახდებოდა, ზნეობა დაეცემოდა, სარწმუნოება შეიბღალებოდა და ბოროტება გამრავლდებოდა, ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა ერთადერთი ნავთსაყუდელი ეკლესია იყო. თავის კრებებზე მას გამოჰქონდა განჩინებანი ტყვეთა განსყიდვისა, კაცთკლვისა, ძარცვა-დარბევისა და სხვა ბოროტების წინააღმდეგ, რითაც ასე თუ ისე აღვირს ასხამდა ქვეყნის მიმძლავრებით გამგებელთა თავაშვებულობას. ეკლესიავე იწყნარებდა და თავშესაფარს აძლევდა ზოგიერთ მებატონეთაგან გამწარებულ ყმებს, რომელნიც ეკლესიის ყმადყოფნაში პოულობდნენ ადამიანურ მოპყრობას და კმასაყოფელ თავისუფლებას. მართალია, ეკლესიის წიაღშიაც მოიპოებოდნენ სვიმონ-ქუთათელ-ჩხეიძეები, მაგრამ ეკლესიის მესვეურთა შორის არა იშვიათნი იყვნენ ბოროტებასთან ბრძოლისათვის მოწამის გვირგვინით შემკულნი ევდემოს კათოლიკოზ-დიასამიძეები.

ამ სახედ, წმიდა ნინოს მიერ სარწმუნოების გავრცელებისათვის ნაჩვენებმა გზამ ჩვენს ქვეყანას ააშორა, როგორც ბიზანტიის ცეზარო-პაპიზმი, მეფეთა საეკლესიო საქმეებში ჩარევა, ისე რომის პაპო-ცეზარიზმი, ეკლესიის მიერ სამოქალაქო საქმეების გამგებლობა და, შეიძლეა ამის შეუცდომელად თქმა, დაამყარა ქვეყნის სასიკეთოდ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის **თავისუფალი თანამშრომლობა**, რაც ვახტანგ სჯულმდებელმა შემდეგ სიტყვებში ჩამოაყალიბა: „მეფე ხორცის ხელმწიფეა, ხოლო კათოლიკოზი სულისაო“.

1801 წელს ჩვენში მოხდა დიდი ცვლილება: საქართველო შეუერთდა ერთმორწმუნე რუსეთს. ათი წლის შემდეგ წმ. ნინოს აღშენებულ ვენახს დაეპატრონა ახალი მოქმედი, უწმიდესი მმართებელი სინოდი, რომელიც სარგებლობდა ბიზან-

ტიის თვალსაზრისისაგან გამომდინარე დებულებით: „იმპერატორი არის თავი ეკლესიისა-ო“. დიდი რუსეთის ეკლესიის თავი კი ვერ მიუდგა პატარა საქართველოს ეკლესიის სხეულს: მან მოაშორა საქართველოს „სულის ხელმწიფე“, ჩაუკეტა ტვირთმძიმეთა და მაშვრალთ ნავთსაყუდელი და წმ. ნინოს ეკლესია გადააქცია „მართლმადიდებელ აღსარების უწყების“ განყოფილებად. ჩვენი ენისა, ზნე-ჩვეულებისა და წარსულის უცოდინარი სინოდის ექსარხოსები საქართველოს ეკლესიას მართავდნენ „ბრძანებითა მისი უდიდებულესობისაითა“ და არა სჯულის კანონისა და საქართველოს ეკლესიის კრებათა ხელმძღვანელობით, ხოლო ადგილობრივი მათი თანამშრომელნი ეპისკოპოზნი და მღვდელნი, ახალი მდგომარეობით ხელფეხშეკრულნი, ვეღარ ახერხებდნენ თავიანთ პირდაპირ მოვალეობის შესრულებას – „მართლისა დამტკიცებას და გულარძნილისა განხდას“. ჩვენი ეკლესიის წარსული საუკუნის ორმოცდაათიან წლების დასასრულის სურათს, აი, როგორ გვიხატავს უკვდავი ილია:

„აგერა მღვდელნიც, ერთა მამანი,
რომელთ ქრისტესგან ვალად სდებიათ
ამა ერისა სულის აღზრდანი,
რა-რიგ გულ-ხელი დაუკრებიათ?
სად არის სიტყვა დიდის სწავლისა,
სიყვარულის და სიმართალისა,
რომ მათ ბაგეთგან არ მომდინარებს
და ერს დაცემულს არ აღამაღლებს?
სად არის იგი მღაღადებელი
ქვეყნის ხსნისათვის ჭეშმარიტება?
სად არის იგი ბიწის მდევნელი
ჯვარცმულის ღმერთის მაღალი მცნება?“

ცხადია, ეკლესიის დამუნჯება და გულხელდაკრეფა უნდა გაგრძელებულიყო იმ დრომდე, სანამ იგი ითვლებოდა „მართლმადიდებელ აღსარების უწყებად“... ასეც მოხდა.

დადგა ახალი დრო და მან კანონის პირით გამოაცხადა:

,,სარწმუნოება არის პირადი საქმე ყოველი მოქალაქისა; ყოველ მოქალაქეს შიუძლია აღიაროს ის სარწმუნოება, რომელიც მას უნდა, ანდა არც ერთი არ აღიაროს; ეკლესია ჩამოშორებულია სახელმწიფოსაგან... სარწმუნოებრივი და ანტისარწმუნოებრივი პროპაგანდის თავისუფლება მინიჭებული აქვს ყველა მოქალაქეს იმ აუცილებელი პირობით, რომ პროპაგანდა ხდებოდეს პოლიტიკურ და სოციალურ მიზანთა გარეშე; დაწესებულება ან თანამდებობის პირი, რომელიც ამა თუ იმ სახით წინააღმდეგობას გაუწევს ეკლესიისა და სამლოცველო სახლის გახსნას, აგრეთვე ეკლესიის მსახურს კულტის შესრულებისათვის დევნას დაუწყებს – პასუხს აგებს, როგორც თანამდებობის გადამეტებისათვის...“

მართალია, ამ ოქროს ასოებით ამოსაჭრელ სიტყვებს, რომელიც აყენებს ჩვენს ეკლესიას წმ. ნინოს მიერ მიჩენილ გზაზე, დაერთო მრავალ სამღვდელო პირთა ეკლესიისაგან ჩამოშორება და მრავალ ტაძართა დახურვა თუ დაქცევა, მაგრამ ბაგრატ-დავით-თამარის დროსაც ხომ მრავალი ხუცესი ჩამოშორდა ეკლესიას?!.. რაც შეეხება იმ ქარიშხალის სიმძაფრეს, რომელმაც გამოიწვია ალაგ-ალაგ ტაძრების დახურვა თუ დაქცევა, არც ეს არის მორწმუნეთათვის საშიში: მძაფრ ქარტეხილს თან სდევს **ნიავი წვლილი და მას შინა არს უფალი** (3 მეფ. 19,12). ამის საბუთია ის სიტყვათა სამებაც, რომელიც დიდი ასოებით არის დაწერილი ახალი დროის დროშაზე – ძმობა, ერთობა, თავისუფლება. ეს სიტყვები წარმოშობილია წმიდა ქალწულის მიერ მოტანილ **ახალი მცნებისაგან – იყვარებოდეთ ურთიერთას** (იოან. 13, 34); **სიყვარული კი ყოვლისშემძლებელ არს, ვინაიდან იგი სულგრძელ არს და ტკბილ, ყოველსა თავსიდებნ და ყოველსა ესავნ, ყოველსა მოითმენნ... და არა სადა დავარდების** (I კორ. 13, 4-8).

წმიდაო მოციქულთა სწორო ქალწულო ნინო, რომელმან მოღვაწებითა შენითა „განანათლე ბნელი გულთა“ მამათა ჩვენთაი, შენ გლოცავთ და შენ გევედრებით უღირსნი ესე ძენი და ასულნი სულიერთა შვილთა შენთანი: მოუკლებელად გარეშემიცევ ჩვენცა „სახარებითა წმიდითა, ჯვარითა პატიოსნითა და მადლითა ღვთისაითა“; განაძლიერე შორის ჩვენ-

სა „ცხოვრებად საუკუნოდ მიმყვანებელი“ ურთიერთას სიყვარული და განამტკიცე ღვთისა დედისა წილხდომილსა სოფელსა შინა ჭეშმარიტი ძმობა, ერთობა და თავისუფლება!...

იყავნ, უფალო, იყავნ!

(წარმოითქვა სიონში 1926. I, 27)

სიტყვა
დავით აღმაშენებელის ხსენების დღეს

მოიხსენენით წინამძღვარნი იგი თქვენნი... და ბაძევდით სარწმუნოებასა მათსა (ებრ. 13, 7)

ჰბრძანებს მოციქული პავლე და მოგვიწოდს, მივბაძოთ იმ ჩვენს წინამძღვარს, ვისაც ლოცვითა და ვედრებით, ძნობითა და გალობით იხსენიებს დღეს მთელი საქართველო...

რაში უნდა გამოიხატოს მიბაძვა წმიდის მეფის დავითისა, გვიჩვენებს ზედწოდება **აღმაშენებელი**, რომელიც დაუსაკუთრა მას ქართველმა ერმა და წმიდა ეკლესიამ...

დაისახა რა მიზნად ცხოვრებისა მშობელის ერის სამსახური, წმიდა დავითი სიყრმითგანვე განიბრძნო თანამედროვე სწავლა-მეცნიერებით: საღმრთო წერილი და ღვთისმეტყველება, ვარსკვლავთმრიცხველობა და სჯულმდებლობა, ფილოსოფია და ისტორია ზედმიწევნით შეისწავლა წმიდა მეფემ და დაუდვა საფუძვლად ქვეყნის კეთილდღეობისათვის ზრუნვასა და შრომას...

აკი ამისთვის იყო ნაყოფიერ და კურთხეულ ერთიცა და მეორეც, – უტყუარი ისტორია მოგვითხრობს: წმიდამან დავით კვერთხი მეფობისა აღამაღლა, სარწმუნოება განამტკიცა, სამართალი დაამყარა, ზნეობა განაბრწყინვა, ცოდნა განამრავლა, ხიდნი აღაშენნა, გზანი ქვაფენილ-ჰყვნა, აღებ-მიცემობა განავრცელა, მოკლედ – საქართველო აღაყვავა და **აღაშენა**...

საყვარელნო! ამ ჟამად სამშობლო ჩვენი მოგვაგონებს

დავითის წინადროის საქართველოს: სარწმუნოება შელახულია, ზნეობა დაცემული, ცოდნა დაკნინებული, ქვეყანა პარტახქმნილი, ერი დაქსაქსული და დაწყლულებული...

მერმე, ვინ უნდა დასდოს ჩვენს წყლულს წამალი განმკურნებელი, დაასხას ერის ჭრილობებს ზეთი მაცხოვნებელი და შეიქმნას ქვეყნის აღმაშენებელი, თუ არა თქვენ, დავითის პატარა ძენო და ასულნო, რომელთაც წმიდა მეფე გიცისკროვნებთ გზას ცხოვრებისას და გიხატავთ გეგმას მოქმედებისას!...

მაშ, ხშირად და ხშირად **მოიხსენენით წინამძღვარი ესე თქვენი და ბაძევდით სარწმუნოებასა მისსა**. ამინ.

(წარმოითქვა ქართულ გიმნაზიის დავით აღმაშენებელის სახელობის ტაძარში 1916. I. 26; ,,საქართველო", №20)

მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა
უფლის მირქმის დღეს

აწ განუტევე მონა შენი, მეუფეო,
სიტყვისაებრ შენისა, მშვიდობით (ლუკ. 2, 29)

ნეტარება იმ მოხუცს, საყვარელნო, რომელიც გაითვალისწინებს რა თვისი ცხოვრების გზასა, **მოწამებითა გონებისაჲთა** (რომ. 9,1), შესაძლებლად სცნობს განიმეოროს ზემორე მოყვანილი სიტყვები ღვთის მიმრქმელი მართალის მოხუცის სვიმეონისა!

ჩვენის დროის მოხუცთ კი, უმეტეს შემთხვევაში, ეშინიათ სიკვდილისა და ამ შიშით შეძრწუნებულნი ეძლევიან რაღაც გამოურკვეველ მწუხარებასა, იშხამავენ მით ცხოვრების უკანასკნელ დღეებსა, იმწარებენ სიცოცხლის დასასრულს და ყოველივე ამის გამო თვით იმოკლებენ სიცოცხლეს. ამ უნუგეშო მოხუცებულობის მიზეზი არის ის, რომ ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობა ასცილებია იმ გზას, რომლითაც ვიდოდა, მაგალითად, მართალი მოხუცი სვიმეონი.

მახარებელი და მოციქული ლუკა აი რას მოგვითხრობს ამ დიდებული მოხუცისას: იყო კაცი იერუსალიმს, რომლისა სახელი სვიმეონ; კაცი ესე მართალი იყო და მოშიში უფლის; იგი მოელოდა ნუგეშინისცემასა ისრაელისასა, უფლის იესო ქრისტეს დაბადებას; და სული წმიდა იყო მის ზედა. და იყო მისდა უწყებული სულისაგან წმიდისა არა ხილვად სიკვდილი, ვიდრე იხილოს ცხებული უფლისა, მაცხოვარი სოფლისა, იესო ქრისტე. და ოდეს მამა-დედისა მიერ მოყვანილ იქმნა ყრმა იესო ტაძრად უფლისა, მაშინ მოვიდა მუნ იგიცა სულითა წმიდითა; მიიქვა იგი მკლავთა ზედა თვისთა, აკურთხევდა ღმერთსა და სთქვა: აწ განუტევე მონა შენი, მეუფეო, სიტყვისაებრ შენისა, მშვიდობით!

დიახ! სვიმეონი იყო **კაცი მართალი**: მთელს თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში ემსახურებოდა სიმართლეს და განზრახ, თავის ნებით არც ერთხელ არ გადაუხვევია სიცრუის გზისაკენ; მან შეიყვარა ჭეშმარიტება და მოიძულა უსჯულოება, შეიტკბო მცნება უფლისა და თვით ცხოვრებით ჰქადაგა იგი. ამასთანავე იგი **იყო მოშიში უფლისა**, ვინათგან უყვარდა უფალი უმეტეს ყოვლისა; თვითოეულს თვის მოქმედებას იგი უქვემდებარებდა ღვთის ნებას, დღე მუდამ ზრუნავდა, **ვითარ სათნო ეყოს უფალსა** (I კორ. 7,32). სწორედ ამისთვის ეღირსა იგი ტკბილსა და მშვიდობიანს სიბერეს, რომელიც უფალმა დააგვირგვინა აღთქმით: არა ხილვად სიკვდილი, ვიდრე საკუთარის თვალით იხილოს საცხოვნებელად სოფლისა მოსრული იესო ქრისტე. და, აჰა, ამ სოფლითგან განსვლის წინ იგი ღირს-იქმნა მიექვა სიბერისაგან მთრთოლვარე მკლავთა თვისთა ზედა ნუგეშინისმცემელი სოფლისა, ნათელი წარმართთა და დიდება ისრაილისა, ორმეოცი დღის ყრმა იესო.

ჭეშმარიტად, ბედნიერი იყო მოხუცებულება სვიმეონისი, რის გამო ცხოვრება მისი წარმოადგენს საუკეთესო მაგალითს ჩვენთვის, თუ გვსურს მოვიპოვოთ ამგვარივე მოხუცებულობა და შემდეგ ქრისტეანობრივი აღსასრული ცხოვრებისა. ამ შემთხვევაში უნდა კარგად გვახსოვდეს, რომ მოხუცებულებას წინაუძღვიან სიჭაბუკე და ვაჟკაცობა, რომე-

ლი დროც თუ მოვანდომეთ სიზარმაცეს და მცონარეობას, ამა ქვეყნიურ სიამოვნებათათვის ზრუნვას და სოფლიურ სიტკბოებათა მოპოვებას, გინა, – წადილის შესასრულებელად თუ არ მოვერიდენით მოძმეთა პიროვნების შელახვას და მათ ღირსებათა დამცირებას, მათ შეიწროებასა და შეურაცხყოფას, უკუვაგდეთ შიში უფლისა და მცნება მისი, დავემორჩილენით ბინძურთა გულისთქმათა და ველურთა გრძნობათა ჩვენთა, – მაშინ მაგალითი მართალის სვიმეონისი ჩვენთვის იქმნება მიუწთომელი და უსარგებლო, ფუჭი და ამაო, და ეს იმიტომ, რომ ამგვარად ცხოვრება არ შეჰფერის კაცის ბუნებას და ვერ აკმაყოფილებს მის ნამდვილ მოთხოვნილებათა. დაუკმაყოფილებლობას კი თან სდევს სინანული და ქენჯნა სვინდისისა, იმედის დაკარგვა და შიში სიკვდილისა, მოლოდინი სიკვდილის შემდეგ განსჯისა და საუკუნო ტანჯვისა...

სულთა განმათავისუფლებელმან უფალმა იესო ქრისტემ დაგვიცვას ჩვენ, საყვარელნო, ამგვარის სასოწარკვეთილებით აღვსილის მოხუცებულობისაგან და მეოხებითა მართლისა მოხუცებულისა სვიმეონისაჲთა მოგვანიჭოს მადლი უფლის სათნო ცხოვრებისა, რათა უწინარეს ამა სოფლითგან განსლვისა წრფელის გულით და სრულის იმედით წარვსთქვათ: **აწ განუტევე მონაჲ შენი, მეუფეო, მშვიდობით**. ამინ.

(წარმოითქვა ქვაშვეთში 1912. II. 2; ,,ქადაგებანი", 1913, №2)

ს ი ტ ყ ვ ა
წმ. მთავარმოწამის გიორგის ხენების დღეს

ჰრქვა უფალმან თვისთა მოწაფეთა:
უკეთუ მე მდევნეს, თქვენცა გდევნენ (იოან. 15, 20)

წმ. მთავარმოწამე გიორგი, რომლის სალოცავ-სავედრებელად შევკრებილვართ დღეს აქა, საყვარელნო, სცხოვრობდა და მოღვაწეობდა იმ შავსა და სიბნელით მოცულს დროს,

რომელსაც ეწოდება **ხანა ქრისტეანეთა დევნისა**. ყოვლად შეუძლებელია აღნუსხოს კაცმა რიცხვი წამებულ-ტანჯულ ქრისტეანეთა ამ ხანის განმავლობაში და წარმოადგინოს სახე იმ ტანჯვა-წამებისა, რომელსაც მიმართავდნენ ხოლმე მათ გასანადგურებელად.

მერმე, რისთვის, რა დანაშაული მიუძღოდათ ქრისტეანებს ქვეყნის წინაშე? ვის რა ზიანი მიაყენეს, ან რა გაუფუჭეს, რომ სდევნიდნენ მათ ასე მკაცრად? ქრისტეანებმა დააშავეს ის, რომ იგინი აღიარებდნენ ქრისტეს სწავლას და ჰქადაგებდნენ **სახარებასა სასუფეველისასა** (მატთ. 4, 23); მათ ის ზიანი მიაყენეს ქვეყანას, რომ მოინდომეს კაცთა შორის **ახალის მცნების** (იოან. 13, 34) გავრცელება; მათ გააფუჭეს ის, რომ მოისურვეს კაცობრიობის ცხოვრების ახალ საფუძველზედ დამყარება და სიტყვით და საქმით ღაღადებდნენ, **იყვარებოდეთ ურთიერთას** (იოან. 15, 17; I იოან. 3, 10-18).

მართალია, ყოველივე ეს წამება-ტანჯვის საბუთი არ არის, და ამისათვის დევნა იქმნება გაგიკვირდეთ კიდეც, მაგრამ წმ. გიორგის თანამედროვეთათვის აქ საკვირველი არა იყო რა, ვინაითგან იმდროინდელ ცხოვრების წესწყობილების საფუძვლად აღიარებული იყო არა ურთიერთას სიყვარული, რასაც ჰქადაგებდნენ ქრისტეანენი, არამედ უზომო და განუსაზღვრელი თავმოყვარება. თავმოყვარეობით განმსჭვალულს და ფუფუნებით განლაღებულს რომის უმაღლესს საზოგადოებას მთელი კაცობრიობა გაეყო ორ ბანაკად: ერთს ბანაკს შეადგენდნენ თავისუფლებითა და ყოველივე უპირატესობით აღჭურვილნი რომის მოქალაქენი, ხოლო მეორეს – ყოველსავე უფლებას მოკლებულნი მონა-ბარბაროსნი. თავისუფალ რომაელთა წარმოდგენით, პირველნი იყვნენ გაჩენილნი ფუფუნებისა და მბრძანებლობისათვის, ხოლო მეორენი – პირველთა ბრძანებისა და სურვილის აღსრულებისათვის. რაც უნდა ტანჯვა, მწუხარება და დამცირება დასდგომოდა უკანასკნელთ, – ეს სულერთი იყო პირველთათვის: არათავისუფალ რომის მოქალაქეს არა ჰქონდა ნება, გამოემჟღავნებინა თავისი გრძნობა, ვინაითგან იგი არ იყო შერაცხილი პიროვნებად, არ იყო ადამიანის უფლებით

შემოსილი არსება, არამედ იყო მონა – ნივთი და ბარბაროსი. ამ რიგად მოწყობილი ყოფა-ცხოვრება იმდენად მტკიცე და შეურყეველ საფუძველზედ დამყარებულად მიაჩნდათ, რომ სხვანაირი მოქალაქობრივი მდგომარეობა ვერც კი წარმოედგინათ: თვით უგანათლებულესნი მეცნიერნი და ფილოსოფოსნი, რომელნი **იტყოდეს თავთა თვისთა ბრძენ,** ჭეშმარიტად, **განცოფნეს** (რომ. 1, 22) და ამართლებდნენ, ამაგრებდნენ და ხელს უწყობდნენ ამ გვარს წეს-წყობილებას. რომის წარჩინებული საზოგადოებაც სარგებლობდა ამით და განაგრძობდა უზრუნველსა და უდარდელ ცხოვრებას: **შჭამდეს და სმიდეს, იქორწინებდეს და განქორწინებდეს, ვითარცა დღეთა მათ შინა წყლითრღვნისა** (მატთ. 24, 38)...

სწორედ ამ დროს, უეცრად და რომაელთა უმრავლესობისათვის მოულოდნელად, **განხდა ყოველსა ქვეყანასა ხმა** იესო ტკბილის მცნებათა მქადაგებელთა და **კიდეთა ქვეყანისათა სიტყვანი მათნი** (ფსალმ. 18, 4), – უცნაურნი, რომაელთათვის გაუგებარნი. გაისმა **მზისა აღმოსავალით** მომავალი **წარმართთა რამე სისულელე** (I კორ. 1, 23): **არა არს ურიაება, არცა წარმართება; არ არს მონება, არცა აზნაურება, – რამეთუ თქვენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტეს იესოს მიერ** (გალ. 3, 28). და ეს, რომაელთა უდიდესის ნაწილისათვის გაუგებარი **სისულელე** და უცხო **ხმა**, არამც თუ გაისმა, არამედ მან ცხოვრებაშიაც გზა გაიკვლია: **ტვირთმძიმენი და მაშვრალნი** სიხარულით მიეგებნენ მას და სიამოვნებით **აღიღეს უღელი** ქრისტესი, ვინაითგან უღელი იგი უჩნდათ **ტკბილად** და **ტვირთი** უფლისა **სუბუქად** (მატთ. 11, 29-30). ხოლო ძლიერთა ამა ქვეყნისათა **ხმა** ესე იუცხოვეს, არ შეისმინეს და ვერც შეისმენდნენ, რათგანაც ეს უცხო მოძღვრება სავსებით ეწინააღმდეგებოდა მათ რწმენას და მსოფლიომხედველობას: იგი სხვათა შორის იმასაც ჰქადაგებდა, რომ ადამიანის პირველი მოვალეობაა შრომა, მუშაობა (შექმნ. 2, 15; 3, 19) და არა უსაქმობა და განცხრომა, რომ მხოლოდ მუშაკი **არს ღირს სასყიდლისა**, საზრდელისა (მატთ. 10, 10), და თუ ვისმეს შრომა ეზარება, ანდა **არ უნებს საქმის** – იგი **ნუცა სჭამნ** (2 თეს. 3, 8-10).

ამასთანავე, ეს სწავლა პირდაპირ აღიარებდა, რომ მონა, ეს, იმდროინდელის წარმოდგენით, ოჯახისათვის ფრიად საჭირო პირუტყვი, აღარ უნდა ითვლებოდეს მონად, არამედ **უფროს მონისა – საყვარელ ძმად, ხორციელადცა და უფლისა მიერცა** (ფილიმ. 16). გარდა ამისა, ეს უცნაური მოძღვრება დიდებულ რომის დიდებულის მოქალაქის უფლებას მონათა შესახებ უპირებდა შეზღუდვას და განუსაზღვრელ უფლებით შემოსილ მეპატრონეს ავალებდა **სიმართლისა და სწორისა მიცემად მონათა** და თანაც დასძენდა: **უწყოდეთ, რამეთუ თქვენცა,** ე. ი. ქვეყნის პატრონს და ბატონს რომაელს, **უფალივე გივის ცათა შინა** (კოლ. 4, 1). თუმცა მართალი იყო ისიც, რომ ეს ახალი მოძღვრება არავითარის ძალმომრეობის ჩადენას არ ურჩევდა თავის აღმსარებელთ და პირიქით ასწავებდა, **მონანი ერჩდით ხორციელთა უფალთა თქვენთა სიწრფოებითა გულისა თქვენისათა, ვითარცა ქრისტესა** (I თეს. 6, 5), **ნუ ხოლო სახიერთა და ტკბილთა, არამედ უსახურთაცა** (I პეტრ. 2, 18) და: **ჯერ არს დამორჩილება არა ხოლო რისხვისათვის, არამედ გონებისთვისცა** (რომ. 13, 5). მაგრამ რომაელ-ბერძენი მაინც ვერ შეურიგდებოდა ქრისტეანობას, ვინაითგან მან ყოველი ადამიანი, მონაც და ბარბაროსიც კი, აღიარა სრულს კაცად, პიროვნებად და ძედ ღვთისა, და ამ სახედ გაასწორა მთა და ბარი, ერთჰყო და სწორჰყო ყოველნი **ქრისტეს იესოს მიერ**.

ამ ერთყოფას კი, ადვილად შესაძლებელი იყო, გამოეღო რომის მოქალაქისათვის არა სასურველი ნაყოფი, რათგანაც შეიძლებოდა მომხარიყო, რომ ამ ახლადმოვლინებულს ძმას **ხორციელადცა და უფლისა მიერც**, რომელიც ემორჩილებოდა თავის პატრონს მხოლოდ **ქრისტეს იესოს მიერ**, ერთს უკუღმართ დღეს მოეხსენებინა თავის პატრონისათვის, რომ იგი, ბატონის საკუთრება და მონა, არის ძე ღვთისა, **მოსყიდული სისხლითა უფლისათა** (განცხ. 5, 9) და ამისათვის ვერ იკისრებს ბატონის ისეთის ბრძანების შესრულებას, რომელიც ამცირებს ადამიანისა და ქრისტეანის ღირსებას, და ამასთანავე, იქნება გაკადნიერებულიყო კიდევაც და თავი ემართლებინა მით, **რომ მორჩილება ჯერ არს ღმრთისა**

უფროს, ვიდრე კაცთა (საქ. მოც. 5, 29). ამისთანა მოძღვრებას კი ადგილი არ უნდა ჰქონოდა დიდებულის რომის იმპერიაში, ვინაითგან იგი აღაშფოთებდა სულიერს სიმშვიდეს (რომის) მოქალაქისას და საშიში იყო არსებულ წესწყობილებისათვის; ამის გამო საშური და საჭირო იყო მისი ჩაქრობა, მოსპობა, განადგურება...

აი, ეს იყო მიზეზი, რომ წარმართებამ გამოიდო თავი და გაილაშქრა ქრისტეანობის წინააღმდეგ, გამოუცხადა მას ომი, ომი ულმობელი, უმაგალითო, საზიზღარი და საშინელი, და მიიწვია თანაშემწედ აღზნებული ცეცხლი, ადუღებული კუპრი, დაუქრობელი კირი, გახურებული შანთი, ლურსმით შეჭედილი ურმის თვალი, ბასრი მახვილი, მოწამლული ისარი, ჯვარი, საპყრობილე, ჯურღმული, დამშეული მხეცები და მრავალი სხვა მათი მსგავსი. ამ უმაგალითო ბრძოლის დროს აშკარად დაუპირდაპირდნენ ერთმანეთს ძლიერნი და უძლურნი, მდიდარნი და გლახაკნი, ურწმუნონი და მორწმუნენი, ძველის მოძღვრებისა და ძალმომრეობის მომხრენნი და ახალის მცნების და მტრისადმი სიყვარულით განმსჭვალულნი, წარმართნი და ქრისტეანენი... მთელმა სამასმა წელმა განვლო ამ ბრძოლის დასრულებამდე და ამ საუკუნეთა მიმდინარეობაში შეწირულ იქმნა უანგარიშო მსხვერპლი, მსხვერპლი უმანკო, უდანაშაულო; აღარ იყო გარჩევა დიდსა და პატარას შორის, ქალსა და კაცს შორის; ვერავითარი ღირსება, დამსახურება და მდგომარეობა ვერ იხსნიდა ქრისტეანს ტანჯვისაგან...

გარნა **ფიცხელ არს კაცთათვის წიხნვა დეზისა** (საქ. მოც. 9, 5), შეუძლებელ არს ჭეშმარიტების დათრგუნვა და მზის სინათლის ჩაქრობა, – ვერავითარმა წინააღმდეგობამ ვერ შეაჩერა ქრისტეანობის გავრცელება: ყოველივე წვეთი ქრისტეანთა დათხეულის სისხლისა გარდაიქცა თესლად, რომელმაც აღმოაცენა ერთის მაგიერ ათი და ასი ქრისტეს მორწმუნე. რაც უფრო სასტიკად ექცეოდნენ ქრისტეანებს, – მით უფრო ვრცელდებოდა შჯული უფლისა, **თანადამოწმებული ღმრთისა სასწაულებითა, და ნიშებითა და ფერადფერადითა ძალითა** (ებრ. 2, 4). ვრცელს რომის სახელმწიფოში იშვიათად თუ მოიპოვებოდა ისეთი ალაგი, საცა არ იდი-

დებოდა სახელი იესოსი; სოფლები, ქალაქები, ჭალაკები, ჯარის ბანაკები, ციხე-კოშკები, სამმართველოები და თვით მეფის სასახლე (ფილიპ. 4, 22) სავსე იყო ქრისტეს მორწმუნეებით. ამის შემდეგ კი ქრისტეანობის დევნა შეიქმნა უაზრო და პირდაპირ მავნებელი თვით იმპერიის მთლიანობისათვის, მით უმეტეს, რომ დროთა განმავლობაში საუკეთესო ნაწილი საზოგადოებისა, მხედრობისა და თვით სამეფო პალატისა მოხიბლულ იქმნა ქრისტეს მცნებათა სიდიადით და ქრისტეანეთა წმიდა და უმწიკვლო ცხოვრებით...

ეს კარგად შეიგნო დეოკლიტიანე მეფის კარზედ აღზრდილმა და ქრისტეანების ტანჯვა-წამების სურათის საკუთარის თვალით ხშირად მნახველმა მოციქულთასწორმა კონსტანტინე მეფემ და 312 წელს გასცა ბრძანება, რომლის ძალით ქრისტეს აღმსარებელთა დევნა შეწყვეტილ იქმნა და თვით ქრისტეანობა აღიარებულ იქმნა ნებადართულ სარწმუნოებად. ამის შემდეგ ერთბაშად შეიცვალა სანახაობა; ისინი, ვინც რამდენისამე წლის წინად ტანჯულ-წამებულნი იყვნენ ქრისტეს აღსარებისათვის, შეიქმნენ საგნად თაყვანისცემისა და ლოცვა-ვედრებისა; მათ საფლავებზე, ვისი სახელების ხსენება წინად საშიში იყო, აღეგო შვენიერნი ტაძარნი, და მათ ზღუდეთა შინა გაისმა ტანჯულ-წამებულთა სადიდებელად შეთხზულნი საგალობელნი; ის სწავლა-სიტყვანი, რომელთაც აქამომდე **ყურსა ეტყოდენ ბნელსა და საუნჯესა შინა – იქადაგა და წარმოითქვა ნათელსა შინა და ერდოთა ზედა** (ლუკ. 12, 3).

ერთი ამ დროს ღვთისმიერ განბრწყინვებულ-დიდებულ-თაგანი არის წმ. მთავარმოწამე გიორგი გაბადუკიელი, მხედართმთავარი დიოკლიტიანე მეფისა, რომლის ბრძანებითაც იგი წამებულ იქმნა ქრისტეს აღსარებისათვის 303 წელს ქალაქ ნიკომიდიას. თანახმად წმიდანის ანდერძისა, წმ. სხეული მისი დაკრძალულ იქმნა მისის მსახურის მიერ პალესტინის ქალაქს რამლაში, სადაც, ღვთის მადლით, შეიქმნა წყაროდ სასწაულთა და კურნებათა. კონსტანტინეს მეფობის დროს მორწმუნეთა მიერ აღშენებულ იქმნა პალესტინისავე ქალაქ ლიდდას ანუ დიოსპოლისში, იერუსალიმის მახლობლად, ტა-

ძარი უკვე წმიდის მთავარმოწამის გიორგის სახელობაზე და იქ გადაასვენეს სასწაულთმოქმედი გვამი მისი, თვით წმიდანი კი აღიარებულ იქმნა ეკლესიის მიერ **ტყვეთა განმათავისუფლებელად და გლახაკთა ხელის აღმპყრობელად, სნეულთა მკურნალად და მეფეთა უძლეველ წილმბრძოლად...**

სწორედ ამ უკანასკნელ მიზეზის გამო შეიყვარა წმ. გიორგი თავითგანვე ქრისტეს მტრებთან მუდამ მებრძოლმა ჩვენმა ხალხმა და შეითვისა იგი უფროს ყოველთა უცხო წმიდათა. ნიშნად მისდამი სიყვარულისა და მის სადიდებლად ძველთაგანვე განაწესა ხსენება მისი, აპრილის 23 და ნოემბრის 3-ს გარდა, ნოემბრის ათსაც, თვით ამ თვეს უწოდა გიორგობისთვე და აღაშენა მის სახელობაზე 365 ტაძარი, მათ შორის ის წმიდა ტაძარიც, რომლის საყდრის წინაშე ჩვენ შევკრებილვართ დღეს, რათა **ერთითა პირითა და ერთითა გულითა** მივმართოთ წმიდა მთავარმოწამეს ამა მცირე, მაგრამ ლმობიერებითა და სიყვარულით სავსე ლოცვით: **წმიდაო მთავარმოწამეო და ღვაწლითშემოსილო გიორგი ევედრე ღმერთსა ჩვენთვის!..** ამინ.

(წარმოითქვა ქვაშვეთში 1906. XI. 10; ,,მწყემსი", 1906, №22)

სიტყვა
წმ. მთავარმოწამის გიორგის ხსენების დღეს

წმიდაო მთავარმოწამეო და ღვაწლითშემოსილო
გიორგი, ევედრე ღმერთსა ჩვენთვის!

ამ სიტყვებით მივმართავთ ხოლმე ჩვენ, საყვარელნო, ლოცვის დროს წმიდანთა საზოგადოდ და მთავარმოწამე გიორგის კერძოდ და ვსასოებთ, რომ ჩვენს ვედრებას წმიდანნი შეისმენენ და თავის მფარველობას გაგვიწევენ.

ეს ჩვეულება, ლოცვის დროს წმიდანთა მოწოდება, შემოდებული იყო ჯერ კიდევ ძველს აღთქმაში, რაიცა ჩანს წმ. მეფის და წინასწარმეტყველის დავითის ლოცვითგან, რომე-

ლიც ევედრებოდა უფალს ამ სიტყვებით: **უფალო ღმერთო აბრაამისა, და ისააკისა, და ისრაილისა, მამათა ჩვენთაო, დაიცევ ერი შენი** (I ნეშტ. 29, 18). ე. ი. უფალო, ღმერთო ჩვენო, დაიცევ ერი შენი ვედრებითა ანუ მეოხებითა მამათა ჩვენთა აბრაამისა, ისააკისა და ისრაილისა. ეს ჩვეულება ძველის აღთქმითგან გადმოვიდა ახალს აღთქმაში და ფრიად გავრცელებული იყო უკვე მეოთხე საუკუნეში. წმ. კირილე იერუსალიმელი მოგვითხრობს, რომ მის დროს წირვაზედ მოიხსენებდნენ „პირველშესვენებულთაცა, პირველ მამამთავართა, წინასწარმეტყველთა, მოციქულთა, მოწამეთა, რათამცა ლოცვითა მათითა და შუამდგომელობითა მიითვალოს ღმერთმან ლოცვაჲ ჩვენი“.

აქეთგან ცხადად ჩანს, თუ რაოდენად ძველი ჩვეულებაა წმიდანთა მიმართ ლოცვით მიმართვა. ანდა როგორ არ უნდა მივმართოთ ჩვენ ლოცვით წმიდანთა, როცა ვიცით, რომ ისინი ქვეყნად ყოფნის დროს ყოველს წამს მზათ იყვნენ სიტყვით და საქმით აღმოეჩინათ შემწეობა ჭირსა და იწროებასა შინა მყოფთათვის. საკმარისია მოვიგონოთ, თუ რაოდენი ღვაწლი დასდო წმიდა მთავარმოწამე გიორგიმ ქალაქის ვლასიას მცხოვრებთ, შეიწროებულთ საზარელის ვეშაპისაგან. ხოლო თუ წარმართთათვის ზრუნავდნენ წმ. მოწამენი, განა ქრისტეანთ მოაკლებენ იგინი მზრუნველობასა? ჭეშმარიტად, რომ არ მოაკლებენ და აკი არც მოუკლიათ! როგორც ვიცით, მაგალითად, წმ. მთავარმოწამის გიორგის ცხოვრებითგან, მან მთელი თავისი ძალღონე და სიცოცხლე შესწირა ქრისტეანეთა კეთილდღეობასა და წარმატებას. მაგრამ წმიდანებმა ეს არ გვაკმარეს, მათ აღგვითქვეს, – ამა ქვეყნით განსვლის შემდგომაც, შემწეობა და მეოხება. წმ. მოციქული პეტრე ამბობს: **უწყი, რამეთუ ადრე ყოფად არს დატევება საყოფელისა ამის ჩემისა, ვითარცა იგი უფალმან ჩემმან იესო ქრისტემ მაუწყა მე. და ვისწრაფო, რათა კაცადკაცადსა თქვენსა აქვნდეს შემდგომად განსვლისა ჩემისა მოხსენებისა ყოფა** (2 პეტრესი, 1, 14-15). ე. ი. წმიდა მოციქული როგორც სიცოცხლის დროს ზრუნავდა მორწმუნეთათვის, განაღვიძებდა მათ ცოდვისაგან და მოუწოდდა ქმნად კეთილისა, აგრეთვე, ჰპირდება, განსვენების შემდგომაც

არდავიწყებას და მოხსენებისა ყოფასა და ეს ასეც უნდა იყოს: სიყვარული ისეთი ძლიერი გრძნობა არის, რომ მას ვერ აღმოფხვრის ადამიანის გულითგან ვერც დრო და ვერც მანძილი. განა შესაძლებელია მშობელმა დაივიწყოს შორს წარსული, გინა დაკარგული, გინა განსვენებული საყვარელი შვილი? თუკი მშობელის მიერ საყვარელის შვილის დავიწყებას ჩვენ ადამიანის ბუნების წინააღმდეგ მოვლენად შევრაცხავთ, მაშ რა საკვირველია, რომ ჩვენდამი სიყვარული და სიბრალული წმიდანებმა ამ ქვეყანაზე არ დასტოვონ და საიქიოთგანაც გადმოგვხედონ სიყვარულითა და მოწყალე თვალით!..

ეს თავისთავად ცხადია. საკითხი მხოლოდ ის არის, ძალუძსთ თუ არა წმიდანთა იცოდნენ ჩვენი ჭირი და ლხინი, ისინი ხომ ადამიანები არიან და, მაშასადამე, არა ყოვლისა მცოდნენი და არა ყოველგან მყოფნი? ვისაც საღმრთო წერილი უკითხავს და ჩაკვირვებია მას, იმისთვის ამ საკითხის პასუხიც არ არის ძნელი, ვინაითგან საღმრთო წერილი მოწმობს, რომ წმიდანებმა ჯერ კიდევ ქვეყანაზედ ყოფნის დროს იცოდნენ ბევრი ისეთი რამ, როემლიც სხვებისათვის დაფარული იყო. აი, ერთი მრავალი მაგალითთაგანი. მეფეთა მეოთხე წიგნი მოგვითხრობს, რომ ელისე წინასწარმეტყველის დროს ასურის მეფე აღმხედრდა ისრაელსა ზედა და განიზრახა დაბანაკება წინდაწინ არჩეულს დაფარულს ადგილს. მაგრამ წინასწარმეტყველის ელისეს რჩევით, ისრაელთა მეფემ სწორედ იმ მხრით გაამაგრა საზღვრები და ასურნი შეურაცხყოფილნი იქმნენ. ასურის მეფე რაოდენჯერმე შეეცადა სხვადასხვა მხრით დასცემოდა ისრაელს, მაგრამ ვერსად მიაღწია საწადელს. შეძრწუნდა ამის შემდგომ მეფე ასურისა, შეჰკრიბნა მხედართმთავარნი თვისნი და ჰკითხა მათ, თუ რომელი მათგანი ატყობინებს მის განზრახვებს ისრაელთა მეფეს. მაშინ ერთმა მსახურთაგანმა მიუგო მეფეს ასურისასა: **უფალო ჩემო, მეფეო, წინასწარმეტყველი ელისე, რომელი არს ისრაელსა შორის, მიუთხრობს მეფესა ისრაილისასა ყოველსა სიტყვასა, რომელსა თუ იტყოდე საწოლსა შინა საუნჯისა შენისასა** (4 მეფ. 6, 8-12).

ცხადია, რომ თუ წმიდანები სიცოცხლეშივე იგებდნენ

სხვის აზრთა და განზრახვათა, მით უადვილესია მათთვის ჩვენის ვედრების შესმენა ეხლა, როდესაც იგინი განვიდნენ ამა ქვეყნით და სულნი მათნი განთავისუფლდნენ ნივთიერების დამოკიდებულებისაგან. ეხლა განწმენდილის და განბრწყინვებულის გონების თვალით და ყურით ისინი უკეთ ხედვენ და უკეთ ისმენენ. უფალი იესო ქრისტე გვასწავებს, რომ **წმიდანნი სწორ ანგელოზთა არიან**-ო (ლუკ. 20, 36), ხოლო, ანგელოზთა შესახებ გვეტყვის, რომ მათ შორის იქმნების **სიხარული ერთსა ზედა ცოდვილისა, რომელმან შეინანოსო** (ლუკ. 15, 10). მეორე ადგილას კი მოგვითხრობს, რომ მამათმთავარმა აბრაამმა უწყოდა ურწმუნოება და გულქვაობა ჯერ კიდევ ცოცხალთა ძმათა მდიდრისათა, რომელთა არა ისმინეს არცა მოსესი, არცა სხვათა წინასწარმეტყველთა, რომელნი იყვნენ შემდეგ მოსესაო (ლუკ. 16. 27-31).

არ დაგვიტევებს ჩვენ საღმრთო წერილი უმეცრად იმის შესახებაც, თუ რაოდენად ძლიერია შუამდგომელობა წმიდანთა წინაშე ღვთისა. მოციქული იაკობი გვასწავებს, რომ წინაშე ღვთისა **ფრიად შემძლებელ არს ლოცვაჲ მარილისა შეწევნად** ჩვენდაო, და ასურათხატებს ამ აზრს შემდეგის მაგალითით: **ილია კაცივე იყო მზგავსი ჩვენი, და ლოცვა იღოცა არა წვიმად, და არა წვიმა ქვეყანასა ზედა სამ წელს და ექვს თვე. და კვალად ილოცა, და ცამან მოსცა წვიმა და ქვეყანამან აღმოაცენა ნაყოფი თვისი** (იაკ. 5, 16-18).

შევისწავოთ აქეთგან ჩვენცა, საყვარელნო, თუ რაოდენ სასარგებლო არს ჩვენთვის მეოხება და შუამდგომელობა წმიდანთა და ხშირად მივმართოთ ჩვენის სამრევლოს მცველსა და მფარველს, ღვთივგანბრწინვებულს გიორგის სიღრმით გულისაით აღმონახეთქი: წმიდაო მთავარმოწამეო და ღვაწლითშემოსილო გიორგი, ევედრე ღმერთსა ჩვენთვის! ამინ.

(წარმოითქვა ქვაშვეთში 1908. XI. 10; ,,მწყემსი", 1908, №24)

ს ი ტ ყ ვ ა

წმ. გიორგის ხსენების დღეს

ქრისტე აღდგა!

დღეს წმიდა ეკლესია ბრწყინვალედ დღესასწაულობს მთავარმოწამის გიორგის ხსენებას ტანჯვათა გამო, რომელიც თავსიდო ქრისტეს შჯულისათვის წარმართთა მეფისა და ერისაგან. როცა ადამიანი აკვირდება წმიდანის ცხოვრების აღსასრულს, უნებლიედ ეკითხება თავის თავსა: როგორ შესძლო ამ ჩვენებრ ხორცთშესხმულმა არსებამ იმოდენი ტანჯვის დათმენა და სად მოიპოვა მისთვის საჭირო სულის ძალაო? პასუხს ამ საკითხისას ადამიანი პოულობს მხოლოდ იმ აზრთა განწყობილებაში, რომლითაც გამსჭვალული იყვნენ წმიდა მოწამენი საზოგადოდ და ძლევაშემოსილი გიორგი კერძოდ. **ქრისტე აღდგა მკვდრეთით და იქმნა იგი დასაბამ შესვენებულთა** (I კორ. 15, 20), აი, – ის შეურყეველი ქვაკუთხედი, რომელზედაც აშენდა მოწამეობა და ქრისტეანობრივი მსოფლიო მხედველობა!

ქრისტე აღდგა მკვდრეთით და თავის აღდგომით დაგვიმტკიცა, რომ ოდესმე ყველა მიცვალებული აღდგება, რომ სიკვდილით არ თავდება არსებობა ადამიანისა, არამედ იწყება განახლებული ცხოვრება. ვინაითგან ქრისტეანისათვის ეს შეურყეველი ჭეშმარიტებაა, ამისათვის საგნად ცხოვრებისა ამ ქვეყანაზედ ადამიანმა უნდა გაიხადოს ზრუნვა სიკვდილის იქითი ცხოვრებისათვის და ჯეროვნად მისთვის მომზადება. ეს მომზადება კი შეიძლება ერთადერთის საშვალებით, – ქრისტე მაცხოვრის მცნებათა აღსრულებით, რომელთა შორის უბრწყინვალესი ადგილი უჭირავს ურთიერთა სიყვარულს: **შეიყვარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი** (მატთ. 22, 39). ნუ შესძრწუნდებით მისთვის, ოდეს თქვენ, ნაცვლად სიყვარულისა, მოგაგონ ტანჯვა და წამება, რამეთუ **რავდენ ვეზიარებით ვნებათა ქრისტესთა** – იმოდენ **გამოჩინებასა დიდებისა მისისასა გიხაროდენ და მხიარულ იყვნეთ** (I პეტ. 4, 13). ოღონდ არავის შეემთხვეს თქვენგანს ვნება და ტანჯვა, როგორც კაცის მკვლელს, გინა მპარავს, გინა ძვირის მოქმედს, გინა უცხოისა განმგეს (მტაცებელს), ხოლო უკეთუ ვნებულ და ტანჯულ იქმნეთ, ვითარცა ქრის-

ტეანენი, – **ნუ გრცხვენინ, არამედ ადიდებდით ღმერთსა ამით ნაწილითა** – ამ მხვედრითა (იქვე 15, 16). ცხადია, ამ მსოფლიო მხედველობით ხელმძღვანებულნი მოწამენი ქვეყნიურ, წარმავალ და დროებით სიამოვნებისათვის არ იზრუნებდნენ, არამედ შეუდგებოდნენ ძებნას **საყოფელად ქალაქსა მერმესა** (ებრ. 13, 14), ამ მერმეს ქალაქში მოელოდნენ **დაუჭნობელსა მას დიდებისა გვირგვინსა** (I პეტრ. 5, 4) და ამის გამო სიხარულით ითმენდნენ ამ ქვეყანაზედ ქრისტეს სახელისათვის ყოველგვარ ტანჯვასა, სიკვდილსაც კი.

საყვარელნო! ჩვენ, დღეს აქ შეკრებილნიც, ხომ ქრისტეანე ვართ და რად არის, რომ ფრიად სამძიმოდ მიგვაჩნია არამცთუ წამებისა და გვემის ატანა, არამედ მცირედის მწუხარებისა და უბრალო ავადმყოფობის დათმენაც კი? იმად, რომ ჩვენ ნელ-ნელა ვივიწყებთ ქრისტეანობრივ მსოფლიო მხედველობას და აღვაორძინებთ წარმართობრივსა, რომელსაც წმიდა მოციქული მოკლედ ახასიათებს ამ სიტყვებით: **ვჭამოთ და ვსვათ, რამეთუ ხვალე მოვკვდებით** (I კორ. 15, 32). ჭეშმარიტად, თუკი ადამიანს არა აქვს წარმოდგენა საიქიო ცხოვრებისა, თუკი საფლავის იქით აღარა მიაჩნია-რა, თუ დაჰკარგია იმედი მკვდრეთით აღდგომისა, მაშინ სმა, ჭამა და ხორცის ფუფუნება უნდა აღიაროს ერთადერთ საზრუნავ საგნად, მსგავსად სახარების მდიდრისა, რომელიც უგუნურებით იტყოდა თავისთვის: **განისვენე, სულო ჩემო, სჭამე და სვი და იხარებდ** (ლუკ. 12, 19).

მაგრამ... **ნუ სცთებით! ზრახვანი ბოროტნი განხრწნიან წესთა კეთილთა** (I კორ. 15, 33), და სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის, შევსდგეთ, განვიწმიდოთ გონება, მოვიკრიბოთ ძალღონე, შევებრძოლოთ ზრახვათა ბოროტთა, მოუწოდოთ შემწედ და მეოხად ჩვენის ქვეყნის დიდებულ პატრონ-მფარველს, წმ. მთავარმოწამე გიორგის და მტკიცის სარწმუნოებით ღაღად-ვჰყოთ: **ქრისტე აღდგა მკვდრეთით და იქმნა იგი დასაბამ შესვენებულთა.** ამინ.

(წარმოითქვა ქვაშვეთში 1912. IV. 23;
,,შინაური საქმეები", №17; ,,ქადაგებანი", 1913, №4;)

ს ი ტ ყ ვ ა
წმ. მთავარმოწამის გიორგის ხსენების დღეს

წმიდაო მთავარმოწამეო და
ღვაწლითშემოსილო გიორგი,
ევედრე ღმერთსა ჩვენთვის.

წმ. მთავარმოწმაე გიორგი, რომლის სალოცავ-სადიდებელად ჩვენ შევკრებილვართ დღეს აქა, იწოდება წმ. ეკლესიის მიერ ტყვეთა-განმათავისუფლებლად და გლახაკთა ხელისაღმპყრობელად, სნეულთა მკურნალად და მეფეთა უძლეველ წილმბრძოლად, ე. ი. ადამიანთა საკვირველმოქმედ შემწედ და მეოხად. ამით აიხსნება ის განუზომელი პატივისცემა და შეურყეველი სასოება, რომლითაც განმსჭვალული იყო ჩვენი ერი წმ. გიორგისადმი. ჭირსა და ლხინში იგი იხსენებდა წმიდა გიორგის, თითქმის ყოველი ოჯახის თითო წევრს მის სახელს უწოდებდა, ყოველს მთასა და ბორცვზე მის სახელზედ აშენებდა ტაძარს თუ არა, ნიშს მაინცა...

დღეს კი ამას ვერა ვხედავთ: ჭირსა და განსაკუთრებით ლხინში ნაკლებად გვაგონდება წმ. მთავარმოწამე. ახალი ტაძრების აშენების მაგიერ, ხშირად ძველებს ვანგრევთ; ნიშებსა და ხატებს გამშვენების მაგიერ ვძარცვავთ და ვანადგურებთ, ხოლო სარწმუნოებასა და სასოებაზედ თითქოს ხელიც აგვეღოს.

ამის შემხედვარე ზოგიერთი ქრისტეანენი ძველს დროს იგონებენ და გულმტკივნეულად ამბობენ: ურწმუნოება გამრავლდა მისთვის, რომ დღეს ვეღარ ვხედავთ საკვირველებათა და სასწაულთა; ახლანდელს თაობას, რომ საკუთარის თვალით ენახა რაიმე სასწაული, უეჭველად ღვთისმოსავი და მორწმუნე იქნებოდაო. ასე მსჯელობენ მრავალნი და დარწმუნებულნიც არიან, რომ პირი მათი იტყვის ჭეშმარიტებასა...

მართლადაც, რატომ ვერა ვხედავთ ჩვენს დროში სასწაულებს? იქნება სასწაულების ძალით ურწმუნოება მართლადაც მოისპოს? ამ საკითხის პასუხად უნდა მოვიგონოთ, რომ სასწაული ღვთის წყალობაა მორწმუნეთა მიმართ და ასეთი

სასწაული ქრისტეანეთა შორის ბევრი მომხდარა და მოხდება კიდეც, მაგრამ ურწმუნო ადამიანისათვის მათ სარწმუნოება არ მიუნიჭებიათ. ამ აზრის დასასურათებელად მოვიგონოთ ერთი ამბავი, რომელიც ყველასათვის თვალსაჩინოა, – სახელდობრ ქრისტეს სჯულის გავრცელება. ვინ გაავრცელა ეს სჯული, საითგან, ან ვინ იყვნენ მისი მქადაგებელნი? ისინი იყვნენ არა განთქმულნი მეცნიერნი, არა გამოჩენილნი მჭერ-მეტყველნი, არამედ უბრალო ურიანი, ღატაკნი მეთევზურნი, მკვიდრნი ყველასაგან სასაცილოდ აღებულის გალილეასნი. მათ ჰქადაგეს სახარება ქრისტესი, ურიათაგან აღსარებული **საცთურად**, ხოლო წარმართთაგან **სისულელედ** (I კორ. 1, 23) და ამ სახარების ქადაგებისათვის განიცადეს ცემა და გვემა, ტანჯვა და სიკვდილი. მერმე რით გათავდა ყოველივე ეს? გათავდა მით, რომ ათიათასობით ურიათა და წარმართთა მიიღეს ქრისტეს სჯული და სამი საუკუნის შემდეგ წარმართული მსოფლიო-მხედველობა შეიცვალა ქრისტეანულად. აბა გვიჩვენოს ვინმემ რაიმე მსგავსი ამისი კაცთა სწავლის გავრცელების ისტორიაში?! სწორედ ამ ისტორიითგან ვიცით, რომ თუმცა კაცობრიობამ წარმოშობა უმრავლესთაგან უმრავლესნი სწავლულნი და მეცნიერნი, მაგრამ ერთის მოძღვრება ხშირად უარყოფდა მეორისას. ასე რომ, არც ერთს მოძღვრებას არ გადაულახავს სამზღვარი ორის ან სამის საუკუნისა, მაშინ როცა ქრისტეს მოძღვრება სდგას შეურყევლად და ბრწყინვალედ ანათებს აქამომდე. ჭეშმარიტად, **საკვირველ არიან საქმენი შენნი, უფალო!**

მაგრამ არამც თუ გავრცელება ქრისტეს მოძღვრებისა, არამედ თვით მისი არსებობაც კი სასწაულია. თანახმად წინასწარმეტყველებისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესისა, მისს მოძღვრებას წინააღუდგა თვით ჯოჯოხეთი და ყოველივე ძალი და ღონე იხმარა მის წინააღმდეგ. ძალმომრეობა და ორგულობა, დევნა და მწვალებლობა ხმარებულ იქმნა ჯოჯოხეთის მიერ ქრისტეს მოძღვრებასთან ბრძოლის დროს, მაგრამ ვერც ერთმა ვერ გასჭრა: რამდენადაც განაძლიერეს დევნა ქრისტეს სჯულისა, იმოდენად უფრო განმტკიცდა და ამაღლდა იგი, ამ უმაგალითო ბრძოლითგან

ქრისტეს მოძღვრება გამოვიდა გამარჯვებული. განა ეს გამარჯვება მომასწავებელი არ არის იმისი, რომ ქრისტეს მოძღვრება მონიჭებულია ზეცით ღვთის მიერ? გარნა ურწმუნოთა ეს ვერ შეიგნეს და განაგრძობენ ამ ღვთიურ მოძღვრებასთან უნაყოფოდ ბრძოლასა!

გარდა ამისა, განა თვით ამ სარწმუნოების შემცირების დროს ცოტა სასწაულები მოხდება ხოლმე? განა თვითოეულს ჩვენგანს არ მიუღია შემწეობა ზეციურის მამისაგან სწორედ მაშინ, როცა საშველი არსაითგან არ ყოფილა მოსალოდნელი? განა იშვიათად მომხდარა, რომ ექიმთა მიერ განუკურნებლად მიჩნეულს სენს დაუნებებია ავადმყოფისათვის თავი სწორედ ამა თუ იმ წმიდანის ან ხატის მოლოცვის შემდეგ? უფლის სიტყვა: **მე თქვენთანა ვარ უკუნისამდე** (მატთ. 28, 20) არ დავარდების და სწორედ ამის გამო ახლაც ბევრი მიიღებს ღვთისაგან სასწაულებრივ შემწეობას, მაგრამ ურწმუნოება რის ურწმუნოება არის, თუ ყოველივე ღვთაებრივი და სასწაულებრივი არ უარჰყო?!

საუცხოვო მაგალითს სასწაულთა უარყოფისას წარმოადგენს დრო ქვეყნად უფლის იესო ქრისტეს ცხოვრებისა. თუმცა უფალი იქმოდა მრავალთა სასწაულთა და საკვირველებათა, მაგრამ იმ დროის ურწმუნონი, ფარისეველნი და მწიგნობარნი მაინც **სასწაულსა ითხოვდენ** უფლისაგან **ზეცით** (მარ. 8, 11) და თუმცა ეს სასწაულიც მიიღეს ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ, **ოდეს ბნელ იყო ყოველსა ქვეყანასა და დაბნელდა მზე** (ლუკ. 23, 44-45), მაინც არ დაკმაყოფილდნენ... უფალმა სხვა უმეტესი სასწაულიც უჩვენა: ჯვარცმისა და სიკვდილის მესამე დღის შემდეგ დაბეჭდულისა და დაცულის საფლავითგან აღდგა მკვდრეთით და მით ცხადჰყო თავისი ღვთაებრივობა, მაგრამ ურწმუნოებამ თავი აქაც იჩინა: მცველნი მოისყიდეს და ათქმევინეს ყოვლად უმსგავსო სიცრუე: **მოწაფენი მისნი ღამე მოვიდნენ და წარიპარეს იგი, ვიდრე ჩვენ გვეძინაო** (მატთ. 28, 13): მცველებს ეძინათ, მაგრამ მპარავნი კი დაინახეს, მპარავთ ხმა არ გასცეს და ამისთვის ვერცხლი მიიღეს ჯილდოდ! განა შეიძლება ზნეობრივად ამაზედ უფრო დაცემა!?

სჩანს, სასწაულები ვერას ასწავლიან მათ, ვისი გულიც ცივია ჭეშმარიტებისათვის! გულცივთ კი ქრისტეს მოძღვრება მით უფრო არ ესიამოვნებათ, რომ იგი ჰქადაგებს აღვირსხმას ბოროტთა გულისთქმათა და ჩვეულებათა. ეს კი აიწროებს მათ პირუტყულ და განუსაზღვრელს თავმოყვარეობას და თავისუფლებას. ხოლო ვინც ამ რიგად არის განწყობილი ქრისტეს სჯულისა და მოძღვრებისათვის, მისთვის სასწაულები ისეა უმნიშვნელო, როგორც ეგვიპტელებისათვის მოსე წინასწარმეტყველის დროს და ფარისევლებისათვის უფლის ქვეყნად ცხოვრების დროსა...

მაშ, ნუ გაიკვირვებთ, საყვარელნო, თუ ჩვენს დროში იშვიათად ვეღირსებით სასწაულსა, ნუ დაივიწყებთ, რომ სასწაულს ადგილი არა აქვს იქა, სადაც ღვთის მოწყალების მისაღებად ნიადაგი არ არის მომზადებული. ამიტომაც, თუ გვსურს უფალმა გაგვხადოს ღირსად სასწაულისა, უნდა განვიწმიდოთ გულნი ჩვენნი ყოველისაგან ბიწისა, განვაწყოთ ფერხნი ჩვენნი სლვად გზასა სიმართლისასა, ხოლო ხელნი ჩვენნი ქმნად კეთილისა. ამინ.

(წარმოითქვა ქვაშვეთში,
1912. X. 10; ,,შინაური საქმეები", 1912, №42)

ს ი ტ ყ ვ ა
წმ. მთავარმოწამის გიორგის ხსენების დღეს

ყოველმან, რომელმან აღიაროს ჩემდა მომართ
წინაშე კაცთა, ძემანცა კაცისამან აღიაროს იგი
წინაშე ანგელოზთა ღვთისათა (ლუკასაგან 12, 8)

ქრისტე მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომის შემდეგ, მისი მოძღვრება დიდის სისწრაფით გავრცელდა დიდებულის რომის საბრძანებელში. მოციქულთა ქადაგებამ მიიპყრო ყურადღება კეისრის სახლითგან დაწყებული (ფილიპ. I, 13) უბრალო ქვეშევრდომამდე. ქალი და ვაჟი, მოხუცი და ახალ-

გაზრდა, მდიდარი და ღარიბი, ყველა ერთნაირად მოჰხიბლა იესო ქრისტეს მოძღვრების სიფაქიზემ, მშვენიერებამ და სისრულემ. სინათლისა და წინსლვის მომხრე ხალხმა იესო ნაზარეველის მოძღვრებაში ჰპოვა მარგალიტი მრავალსასყიდლისა, რომლის შესაძენად განსყიდეს ყოველივე, **რაჲცა ედვა** (მატთ. 13, 45): წარმართული მსოფლიო მხედველობა და ამაქვეყნიური სიამე-ბედნიერება.

ქრისტეს მოძღვრების ჩქარის ნაბიჯით მსვლელობამ აღძრა მის წინააღმდეგ ბნელი ძალები, რომელთათვისაც ხელსაყრელი არ იყო მკვდრეთრით აღდგომილის იესო ნაზარეველის მოწოდება ჭეშმარიტის ღვთის ცნობისა და ურთიერთას სიყვარულისა. კერპთ-მქანდაკებელნი, ქურუმნი, მკითხავ-გრძნეულნი და მსგავსნი მათნი ამხედრდნენ ქრისტეს მოძღვრების წინააღმდეგ, გაავრცელეს მორწმუნეთა თაობაზე უმრავლესთაგან უმრავლესი სიტყვა ბოროტი (მატთ. 5, 11) და აღძრეს მათ ზედა საბრძანებელის მმართველნი და მეფენი. ბნელ ძალთა მოქმედებას უნაყოფოდ არ ჩაუვლია: ყოვლად ღირსეულ ადამიანს, თვით წარმართთა მიერ პატივცემულს და ხშირად ისეთს, რომელსაც სახელმწიფო სამსახურში დიდი და ჩინებული ადგილი ჰქონია, პატივს ახდიდნენ და საშინელ ტანჯვას მიაყენებდნენ, რაკი გაიგებდნენ, რომ ის ღირსეული ადამიანი ქრისტეანე იყო. ამ უსამართლო და უმეტეს შემთხვევაში პირადის სარგებლობისათვის აღძრულის დევნის დროს მორწმუნენი იშვიათად ამჟღავნებდნენ თავიანთ ქრისტეანობას. მაგრამ, როცა საჭიროება მოითხოვდა, როცა მათგან იძიებდენ **სიტყვასა სასოებისა მისთვის,** ისინი **განმზავებელნი იყვნენ მარადის სიტყვის მიგებად** (I პეტრ. 3, 15): ჩვენა ვართ ქრისტეანენი და ვერავითარი ძალა ვერ აგვაღებინებს ხელს ქრისტე მაცხოვრის სწავლა-მოძღვრებაზედ. წარმართნიც სცდილობდნენ ყოველივე ეღონათ და ქრისტეანობა მოესპოთ: ცეცხლი და წყალი, ადუღებული კუპრი და კირი, შუბი და ხმალი, მხეცები და ჯურღმული, ყველა მოიწვიეს თანაშემწედ, მაგრამ ვერას გახდნენ. ქრისტეანობას დღითი დღე ემატებოდა მორწმუნეთა რიცხვი და თანაც განმდიდრდებოდა მოწამეთა და აღმსარე-

ბელთა კრებულით, ვის დროშაზედაც დიდი ასოებით ეწერა: **რომელმან აღიაროს ჩემდა მომართ წინაშე კაცთა, ძემანცა კაცისამან აღიაროს იგი წინაშე ანგელოზთა ღვთისათა.** ერთი ამ კრებულისაგანი იყო წმ. მთავარმოწამე გიორგი, რომლის სახელის სადიდებელ-სავედრებელად ჩვენ შევკრებილვართ აქ დღესა.

რამდენადაც ძნელი იყო ქრისტეს სახელის აღსარება და მისი მოძღვრების განხორციელება წმ. მთავარმოწამის გიორგის ქვეყნათ ცხოვრების დროს, იმდენად ადვილი არის ეს დღეს, როდესაც ქრისტე მაცხოვრის სახელის დიდება-აღსარებისათვის არ მოგველის არც დევნა და არც ტანჯვა. მერე, გამოგვიყენებია კი ჩვენ, საყვარელნო, ეს ჩვენი უპირატესობა? ვადიდებთ და აღვიარებთ კი ჩვენ ქრისტესა? ნუ გაიკვირვებთ ჩემს საკითხსა, ნუ მეტყვით: ჩვენ რომ ქრისტეს სჯულის აღმსარებელნი ვართ, განა ეს საეჭვოაო? არა! მე ამას არ გეკითხებით. მეც ვიცი, რომ ჩენ ყველა ნათელღებულნი ვართ და საეკლესიო და სამოქალაქო საბუთებშიც მართლმადიდებელის აღსარების ქრისტეანებად ვირიცხებით! მე გეკითხებით: ყველგან და ყოველთვის აღვიარებთ ხოლმე, სიტყვით და საქმით, ჩვენს თავს ქრისტეანებად? არა გვრცხვენიან ხოლმე, ხანდისხან მაინც, ჩვენის თავის ქრისტე-ღვთის მორწმუნედ გამოცხადებისა? თქვენ რომ შეგეძლოთ ამ საკითხზედ არა-ს თქმა, მეტად სასიამოვნო იქმნებოდა ჩემთვის, როგორც მოძღვრისათვის, მაგრამ ვაი, რომ ყველანი ამ საკითხზედ გადაჭრილ პასუხად არა-ს ვერ მეტყვით, ვინათგან პასუხი იგი არ იქმნება გულწრფელი და სიმართლით სავსე!.. აბა, დააკვირდით: ბევრი ჩვენგანი ცხად-ჰყოფს ხოლმე თავის ქრისტეანობას პირჯვრის დაწერით ეკლესიის მახლობლად გავლის დროს, ანუ ზარის ხმის გაგონებისას?.. ნაცნობი ვინმე ქუჩაში რომ შეგვხვდეს და სალამი არ მოგვცეს, ანუ სალამზედ არ გვიპასუხოს, ვიტყვით, – აღარ გვკადრულობს, ჩვენი ნაცნობობის ჰრცხვენიაო... ღვთის სახლის დანახვაზედ რომ არა ვსცემთ პატივს უფალსა ქუდის მოხდით და პრიჯვრის დაწერით, – ეს რისღა ნიშანია?.. ყველა ჩვენგანი შესწირავს ხოლმე ვედრებასა და მადლობას უფალსა საზრდელის მოღების წინ

და შემდეგ, განსაკუთრებით, თუ სტუმრებიცა გვყვანან?.. ხელში რომ ნივთი რაიმე გაუვარდეს ვისმე და ჩვენ მივაწოდოთ, თუ მადლობა არ გადაგვიხადა, უმადურობად ჩამოვართმევთ და უზრდელადაც შევრიცხავთ... საზრდელისა და ყოვლის კეთილის მომნიჭებელს მადლობას რომ არ ვსწირავთ, ეს რისიღა მომასწავებელია?

თქვენ იტყვით: ეს წვრილმანია, პრიჯვრის წერა და სხვის დასანახავად ლოცვა-ვედრება გარეგანი მოქმედებაა, ღმერთი კი გულთამხილავია, ჩვენი გულითადი განწყობილება მან პირჯვრის დაუწერავადაც იცის, ქუჩაში და გარეშე პირთა წინაშე ლოცვით ფარისევლებს მივემსგავსებით და შეიძლება დაცინვაც დავიმსახუროთ... რამდენად პატივსადებია ამ გვარად თავის გამართლება? ჯერ ერთი: სარწმუნოების საქმეში წვრილმანი რამ არ არსებობს, ვინათგან გარეგან მოქმედებას თავისთავად კი არა აქვს ღირებულება, არამედ მაშინ, როდესაც ის არის გამომხატველი შინაგანის განწყობილებისა... **გინა თუ სჭამდეთ, გინა თუ სუმიდეთ, გინა თუ რასაცა იქმოდეთ, ყოველსავე სადიდებელად ღვთისა იქმოდეთ**-ო, იტყვის წმიდა მოციქული (I კორინთ. 10, 31). მეორედ: თუ ჩვენი გული სავსე და განწყობილია ღვთის სადიდებელ-სამადლობელად, განა ეს გრძნობა გარეშე მოქმედებაში არ უნდა იჩენდეს თავსა? არავის უნახავს, ჭკუასა მყოფი ადამიანი მწუხარების განცდის დროს იცინოდეს და მხიარულობდეს, ხოლო სიხარულის დროს, სტიროდეს და ჰგოდებდეს: **რაიცა გულითა გვრწამს სიმართლედ, პირითა აღვიარებთ საცხოვრებელად** (რომ. 10, 10). შემდეგ: კიდევაც რომ დაგვცინონ კეთილის საქმის ყოფისათვის, განა ეს საბუთია კეთილ საქმეზედ ხელის აღებისა? აკი მაცხოვარმა ბრძანა: **ნეტარ იყვნეთ, რაჟამს გყვედრიდენ... და სთქვან ყოველი სიტყვა ბოროტი თქვენდა მომართ სიცრუით ჩემთვის**-ო (მატთ. 5, 11). უმჯობესია გამოვტყდეთ: ჩვენ ამ დაცინვისა გვეშინია და ამისათვის სამარცხვინოდ მიგვაჩნია ჩვენის სარწმუნოების აშკარად აღსარება, გვრცხვენია უგუნური ადამიანის გაკიცხვისა, გვრცხვენია ჩვენივე სტუმრებისა, რომლებსაც ღვთის მიერ მონიჭებული პურითა და ღვინით უმასპინძლდე-

ბით, და გვავიწყდება კი ქრისტე მაცხოვრის უტყუარი სიტ-ყვები: **რომელსა იგი სირცხვილეულ უჩნდეს ჩემი და სიტ-ყვათა ჩემთა, ძემანცა კაცისამან არცხვინოს მას, რაჟამს მოვიდეს დიდებითა მამისაჲთა ანგელოზთა თანა წმიდათა** (მარკ. 8, 39). რა უმჯობესია: უგუნურის დაცინვა, – გონიერი კაცი ადამიანს არ დასცინებს, გონიერი ცუდ საქციელს გაჰ-კიცხავს, დაჰგმობს, – თუ წინაშე ანგელოზთა სამარცხვი-ნოდ გახდომა, უარის-ყოფა ჩვენი ქრისტეს იესოს მიერ და საუკუნოდ მისგან, მზისაგან სიმართლისა და წყაროსაგან ცხოვრებისა განშორება და წარწყმედა?

ნუ იყოფინ ესე, საყვარელნო! ნუ შეუშინდებით დაუმსა-ხურებელს დაცინვასა, ნუ შევირცხვენთ ქრისტე მაცხოვრის აღსარებასა ნურც შინა და ნურც გარედ, ნურც გონიერთა და ნურც უგუნურთა წინაშე; სახედ მოქმედებისა გვაქვნდეს ცხოვრება წმიდათა მოწამეთა, რომელთა წინაედვათ სიტყვა უფლისა: **რომელმან აღიაროს ჩემდა მომართ წინაშე კაც-თა, ძემანცა კაცისამან აღიაროს იგი წინაშე ანგელოზთა ღვთისათა.** ამინ.

(წარმოითქვა ქვაშვეთში 1913. XI. 10; ,,ქადაგებანი”, 1913, №11)

ს ი ტ ყ ვ ა
წმ. მთავარმოწამის გიორგის ხსენების დღეს

წმიდაო მთავარმოწამეო და
ღვაწლითშემოსილო გიორგი,
ევედრე ღმერთსა ჩვენთვის!

ამ სიტყვებით მივმართავთ ხოლმე წმ. გიორგის და ვიმე-დოვნებთ, მისი ვედრება უფალმა შეისმინოს და მოგვანიჭოს თავისი უხვი მოწყალება. მაგრამ მოჰხდება ხოლმე, ჩვენს თხოვნას წმ. გიორგი და თვით უფალიც თითქოს ყურს არ ათ-ხოვებდენ და არ გვისრულებდენ. ამის გამო ზოგი ჩვენგანი ნელ-ნელა გულს აიყრის ლოცვაზედ და ბოლოს სრულები-

თაც თავს გაანებებს. რამდენად მართალნი არიან ამ შემთხვევაში? და თუ მართალნი არ არიან, რა არის მიზეზი, უფალი რომ არ გვისრულებს ლოცვა-ვედრებასა?

პირველ ყოვლისა ლოცვის დროს საჭიროა ყურადღება, გულისხმისყოფა. ჩვენ კი ხშირად ვიმეორებთ ზეპირად დასწავლილ ლოცვებს, ვისმენთ სხვის მიერ წაკითხულ წმიდა სიტყვებს, ვიწერთ პირჯვარსა, მოვიყრით მუხლსა, მაგრამ ყურადღება სხვა საგანზედ გვაქვს მიქცეული, გვაგონდება ცოლი და შვილი, ნაცნობნი და მეგობარნი, მათი დავალება და საჭიროებანი. აბა ჩაეკითხენით ხანდისხან თქვენს გონებასა, რას მოგვითხრობდა წირვაზედ წაკითხული სამოციქულო ანუ სახარება, და დარწმუნდებით, რომ ტაძარში დგომის დროს გონება ჩვენი სხვაგან ყოფილა.

არ მივემსგავსებით ამ შემთხვევაში ჩვენ იმათ, რომელთათვის ჰბრძანა მაცხოვარმა: **ერი ესე ბაგითა მათითა პატივ-მცემს მე, ხოლო გულნი მათნი შორად განშორებულ არიან ჩემგან, – ამაოდ მსახურებენ მე** (მარკ. 7, 6-7)?

მეორე მიზეზად ჩვენის ლოცვის უნაყოფობისა უნდა ჩაითვალოს ორგულობა, ორჭოფობა. უფლისაგან ვითხოვთ მოწყალებასა, მაგრამ ეჭვი გვებადება, აგვისრულებს უფალი თხოვნას, თუ არა. უფალმა კი გვიბრძანა: **ყოველსა, რომელსა ლოცვასა შინა ითხოვდეთ, გრწმენინ, რამეთუ მოიღოთ და გეყოს თქვენ** (მარკ. 11, 24). ლოცვის დროს ჩვენს გულში არავითარ რყევას არ უნდა ჰქონდეს ადგილი ისე, როგორც არა ჰქონია გულში ეჭვი წიდოვანს დედაკაცსა, რომელმანცა სთქვა, **დაღათუ სამოსელსა ოდენ მისსა** (იესოსსა) **შევეხო, ვსცხოვნდე** (მარკ. 3, 28), და შეეხო თუ არა, მყისვე განიკურნა სენისაგან თვისისა.

ჩვენ კი ასეთს სიმტკიცეს ვერ ვიჩენთ და ლოცვაც ჩვენი ჰრჩება შეუსმენელად, ვითარცა იტყვის წმ. მოციქული: **რომელი ორგულობდეს, ნუ ჰგონებს კაცი იგი, ვითარმედ რაიმე იღოს ღვთისაგან** (იაკობ. 1, 6-7).

სხვა მიზეზიც არის ჩვენის ლოცვის უნაყოფობისა. ჩვენს ლოცვას ხშირად აკლია მედგრობა, იძულება ანუ შეუდრეკელობა. მოხდება ხოლმე, ერთისა და ორის თხოვნის შემდეგ

თავს ვანებებთ ლოცვასა, თითქოს გვეხათრებოდეს ღვთის შეწუხება. უფალმა კი ბრძანა: **სასუფეველი ღვთისა იიძულების, და რომელნი აიძულებენ, მათ მიიტაცონ იგი** (მატთ. 11, 12). ამ მედგრობის მაგალითს გვაძლევს ჩვენ ქვრივი დედაკაცი, რომელიც მარად დღე ევედრებოდა **მსაჯულსა სიცრუისასა: მისაჯე მე წინამოსაჯულისაგან ჩემისა**, ხოლო **მან არა ისმინის მისი, ვიდრე რომლად ჟამადმდე**. ამ მედგრობით გაბეზრებულმა მსაჯულმა სთქვა: **დაღათუ ღვთისა არა მეშინის და კაცთაგან არ მრცხვენის, უსაჯო მას, რათა არა მარადის მოვიდოდეს და მაწყინებდეს მე.**

ამ იგავით უფალმა გვასწავლა: ნუთუ ღმერთი არ შეისმენს ლოცვასა **რჩეულთა მისთა, რომელნი ღაღადებენ მისა დღე და ღამე** (ლუკ. 18, 1-7)?

ლოცვის შეუსმენელობის მიზეზად უნდა ჩაითვალოს ცოდვათა შინა ყოფნაცა. ხშირად ადამიანი უკვე ჩადენილი ცოდვის შენდობისათვის როდი ევედრება ღმერთსა, როდი სცდილობს მოიშოროს ცოდვა თავითგან, განამზადოს გული თვისი სულის წმიდის ჭურჭლად, არამედ ვედრებასა და შესაწირავსა მიართმევს უფალსა სხვა რაიმე მოწყალებისათვის. უფალმა კი უკვე ისაია წინასწარმეტყველის პირით გაგვაფრთხილა ამგვარი ლოცვისათვის. **ოდეს განიპყრნეთ ხელნი თქვენნი ჩემდამო,** ბრძანებს უფალი, **მივაქცინე თვალნი ჩემნი თქვენგან, და უკეთუ განამრავლოთ ვედრება, არა შევისმინო თქვენი, რამეთუ ხელნი თქვენნი სისხლით** (არიან) **სავსე.** ხოლო თუ გნებავთ ვისმინო ვედრება თქვენიო, გვამცნებს უფალი, **განიბანენით, წმიდა იქმნენით, მოსპენით უკეთურებანი სულთაგან თქვენთა წინაშე თვალთა ჩემთა, დასცხერით ბოროტთაგან თქვენთა, ისწავეთ კეთილის ქმნა, გამოიძიეთ მსჯავრი, უსაჯეთ ობოლსა და განამართლეთ ქვრივი** (ისაია 1, 15-17).

რად უნდა გვეუცხოვოს ამის შემდეგ ჩვენი ლოცვის შეუსმენლობა?!

ლოცვის უნაყოფობის მიზეზად შეგვიძლია ჩავთვალოთ თხოვნის ასრულების ურგებლობა. მოჰხდება ხოლმე, ჩვენ

ვევედრებით უფალს მოგვანიჭოს ისეთი რამ, რომელიც ჩვენთვის მავნებელი თუ არა, მარგებელი მაინც არ არის. ამ გვარი თხოვნა ჩვენი წარმოსდგება იქითგან, რომ მყოფადი ანუ მომავალი არ ვიცით; ამის გამო საგანს ყოვლის მხრით ვერ გავსჭვრეტთ და ის, რაც სულიერად ზრდისათვის მავნებელია, სასარგებლო გვგონია. ესეთი განუჭვრეტელობა სჩვევია არათუ ჩვეულებრივ ქრისტეანეს, არამედ ღვთივგანბრძობიდ პირთაცა. წმიდა მოციქული პავლე სწერს: ხშირად **მქენჯნიდა** ერთგვარი სენით. **ამისათვის**, იტყვის მოციქული, **სამგზის ვევედრე უფალსა, რათა განმაშოროს ჩემგან,** მაგრამ უფალმა მამობრივი მზრუნველობის გამო უარი უყო წმ. პავლეს, **რათა არა აღვიმაღლო,** რომ არ შემეპაროს მე ამპარტავნებაო. უფალმა უბრძანა მას: **კმა არს შენდა მადლი ჩემი, ძალი ჩემი უძლურებასა შინა იქმნების-ო,** და მოციქულიც დასცხრა ვედრებად ამ სენისაგან განთავისუფლებისათვის (2 კორ. 12, 8-9).

მოციქულთან ერთად, ჩვენც რომ უარი გვეყოს ამგვარ შემთხვევაში საკვირველი იქმნება?

უკანასკნელ, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ხანდახან უფალი განზრახ გვიგვიანებს თავის მოწყალებასა, რათა მოწყალების მოლოდინში სულითა და გულით მივენდვნეთ მას და განმტკიცდეს ჩვენი მისდამი სასოება. საუცხოვო მაგალითს ლოცვით სასოების განმტკიცებისას გვაძლევს ქანანელი დედაკაცი, რომლისა **ასული ეშმაკეულ** იყო. გაიგო რა იმ დედაკაცმა მისლვა უფლისა ადგილთა ტვიროსისა და სიდონისათა, იმ წამსვე მიიჭრა მასთან, **ჰღაღადებდა და იტყოდა: შემიწყალე მე, უფალო, ძეო დავითისო, რამეთუ ასული ჩემი ბოროტად ეშმაკეულ არს, ხოლო იესო არა მიუგო მას სიტყვა.** დედაკაცის უბედურებამ მიიქცია მოციქულთა ყურადღება და მათ სთხოვეს უფალს დედაკაცისათვის, მაგრამ პასუხად უარი მიიღეს. ამ უარმა დედაკაცის სასოება კი არა შეასუსტა, არამედ განაცხოველა კიდეც: **მოუხდა იგი იესოს, თაყვანის-სცემდა მას და ეტყოდა: უფალო, შემიწყალე მე.** ხოლო თავადმა ჰრქვა მას: **არა კეთილ არს მოღებად პური შვილთაგან და დაგებად ძაღლთა.** ამ ებრაულმა ანდა-

ზამ უმეტეს განამხნევა დედაკაცი ქანანელი და ჰრქვა იესოს: **უფალო, ძაღლნიცა სჭამედ ნაბიჭევისაგან, რომელ გადმოსცვივიან ტაბლისაგან უფალთა მათთასა. მაშინ მიუგო იესო და ჰრქვა მას: ჰოი დედაკაცო, დიდ არს სარწმუნოება შენი, გეყან შენ, ვითარცა გნებავს. და განიკურნა ასული იგი მისი მიერ ჟამითგან** (მატთ. 15, 21-28).

როგორც ჰხედავთ, საყვარელნო, თუ ჩვენი ლოცვა მიზანს ვერ მოჰხვდება, ან მით აიხსნება, რომ ღირსნი არა ვყოფილვართ ღვთის მოწყალებისა, ან კიდევ მით, რომ უფალი გვიგვიანებს თხოვნის შესრულებასა. ცხადია, ლოცვაზე ხელი კი არ უნდა ავიღოთ, არამედ ღირსეულად მოვემზადნეთ მისთვის და განვაძლიეროთ იგი. სწორედ ამიტომ გვირჩევს წმ. მოციქული **მოუკლებელად ილოცევდით-**ო (I თეს. 5,17), ე. ი. მუდამ გონებაში გაქვნდეთ მცნებანი უფლისა და ყოველივე განზრახვა, სიტყვა და მოქმედება შეუფარდეთ მათ. მოუკლებელი ლოცვა დაგვაახლოებს უფალთან, ნელ-ნელა გაგვითბობს ცოდვათაგან გაცივებულს გულსა და თავის დროზედ წარმოშობს სასურველს ნაყოფსა, ისე როგორც დედამიწა, მზესთან მიახლოვებით, ზამთრის სუსხით თითქოს გამხმარის ხისაგან მოგვაწვდის მწიფე ნაყოფსა...

მაშ შევევედრნეთ წმ. მთავარ მოწამეს გიორგის, არა დასცხრეს იგი ვედრებად ჩვენთვის და თვისი მეოხებით ღირსგვყოს ქანანელ დედაკაცთან ერთად ვისმინოთ უფლისაგან: **გეყავნ თქვენ, ვითარცა გნებავს**. ამინ.

(წარმოითქვა ქვაშვეთში 1914. IV. 23;
,,Вестник Грузинского Экзагхата”, 1914, №8)

ს ი ტ ყ ვ ა
ქრისტეს შობის დღეს

შობამან შენმან, ქრისტე ღმერთო,
აღმოუბრწყინვა სოფელსა ნათელი მეცნიერებისა...

ჰგალობს დღეს წმიდა ეკლესია და საფუძვლიანადაც ჰგალობს: ნათელი ჭეშმარიტის მეცნიერებისა აღმოუბრწყინდა კაცობრიობას მხოლოდ ქრისტეს შობის და მისი მოძღვრების გავრცელების შემდეგ. მანამდის კი კაცობრიობა გარემოცული იყო უმეცრების წყვდიადით და მისი საუკეთესო წარმომადგენლების ცდა, – გამოეყვანათ იგი ამ უმეცრების უფსკრულითგან, რჩებოდა უნაყოფოდ. მიზეზი ამ მოვლენისა ცხადია: კაცობრიობამ დაივიწყა **მხოლო ჭეშმარიტი ღმერთი** (იოანე 17, 3) და თაყვანი სცა ცის მნათობთა და მფრინველთა, ქვეყნის ოთხფეხთა და ქვეწარმავალთა, ბუნების ძალთა და მოვლენათა, და თვით ადამიანსა და მის ვნებათა. ამის გამო, საითკენაც უნდა მიეხედ-მოეხედა ადამიანს, ყოველგან ღმერთები იყვნენ დაბუდებულნი და მას, სიკვდილისშვილს, ნება არ ჰქონდა შესულიყო ღმერთების საყოფელ-საბრძანებელში და თავის კვლევა-ძიებით შეეწუხებინა და შეურაცხეყო იგინი! კაცობრიობის უმრავლესობაც დაემორჩილა ამ რწმენას და, უმეცრების წყვდიადში გახვეული, ლოცვა-ვედრებით ეგებებოდა ბუნების მოვლენათა და მსხვერპლ-შესაწირავებით ცდილობდა მოემადლიერებია მძვინვარე მხეცნი, მის მიერ ღმერთებად შერაცხილნი. ხოლო თუ ვინმე გაკადნიერდებოდა და ეჭვის თვალით დაუწყებდა ცქერას ამგვარს ღვთისმსახურებას და, მაშასადამე, მოინდომებდა ბუნების მოვლენათა და კანონთა შესწავლას და გამოკვლევას, მას ან წუთისოფელს გამოასალმებდნენ, ან არადა აიძულებდნენ სამუდამოდ გაშორებოდა მიწა-წყალს; დიდებული სოკრატი იძულებული ჰყვეს თავი მოეწამლა, ხოლო ნამდვილის მეცნიერების მამა არისტოტელი სამშობლოთგან გააძევეს, როგორც ღვთის უარისმყოფელი! აგრეთვე დღე დაუყენეს ბევრს სხვას და მათ შორის არისტარქოს სამო-

სელს, რომელმაც ოცი საუკუნით უწინარეს გალილეისა გამოიკვლია, რომ დედამიწა ტრიალებს მზის გარშემო და არა მზე – დედამიწის გარშემო.

ნათელი მეცნიერებისა აღმოუბრწყინდა კაცობრიობას მხოლოდ მაშინ, როცა გავრცელდა კაცთა შორის ჭეშმარიტი მსოფლმხედველობა, ე. ი. მაშინ, როცა გავრცელდა ქრისტეანობა... ქრისტეანობამ ჰქადაგა, რომ ღმერთი არის სული დაუსაბამო და ცხოველი, რომ მან შეჰქმნა ცა და ქვეყანა და ყოველი, რაიცა არს მათ შინა, რომ ადამიანს, შექმნილს ხატად ღვთისად, ნაბრძანები აქვს შემოქმედისაგან: **აღორძინდით და განმრავლდით, და აღავსეთ ქვეყანა და ეუფლენით მას; და მთავრობდით თევზთა და მფრინველთა ცისათა და ყოველთა პირუტყვთა და ყოველსა ქვეყანასა, და ყოველთა ქვეწარმავალთა ქვეყანასა ზედა** (შექმნ. I, 28). ამ სახედ, ის, რაც წარმართების რწმენით ღმერთად იყო შერაცხილი, ქრისტეანობამ აღიარა **სამსახურებელად კაცთა** (ფსალმ. 103, 14), გაჩენილ-დაბადებულად; განდევნა ქვეყნითგან ცრუ ღმერთები და დაავალა ადამიანს, – მთავრობა და უფლობა გაეწია ქვეყანაზედ, ხოლო როგორ შესძლებდა ადამიანი ბატონობის გაწევას ქვეყანაზედ, ან როგორ დაიმორჩილებდა ის თევზთა ზღვისათა, მფრინველთა ცისათა, პირუტყვთა ქვეყანისათა და თვით ქვეყნის ძალებს და კანონებს, – თუ არა მათის ბუნების შესწავლით და ამ შესწავლის შედეგით სარგებლობით?! მაშასადამე, ქრისტეანობამ, ადამიანის ქმნილებათა გვირგვინად და ქვეყნის ბატონად გამოცხადებით, მიანიჭა სწავლა-ძიებას, მეცნიერებას თავისუფლება და, აი, ამ თავისუფლებით აღჭურვილი კაცობრიობა თანდათან იმორჩილებს ბუნებას და მის ძალებს. ასე რომ, დღეს იგი მბრძანებლობს არამც თუ ცხოველებს, არამედ ცეცხლსა და წყალსა, ორთქლსა და ელექტრონსა, თავისუფლად ნავარდობს ზღვის სიღრმეში და ცის სივრცეში, ეძიებს და ჰპოულობს დედამიწის გულში მრავალს მისთვის საჭირო და სასარგებლო ლითონებსა და ქვებს, სთხრის გვირაბებს და გაჰყავს გზები თვალუწვდენელ მთების ქვეშ, რაოდენიმე ათასის ვერსტის სიშორეზედ თავისუფლად ელაპარაკება ერთი მეორეს და სხვა...

ყოველივე ეს აღმოუბრწყინვა სოფელსა ამ 1909 წლის წინად განხორციელებულის უფლის იესო ქრისტეს სწავლამ და ამ სწავლაზე დამოკიდებულმა მსოფლიომდებელობამ, რაიც წინასწარ დაინახეს და საქვეყნოდ აღიარეს მოგვთა, აღმოსავალით მოსრულთა, რომელთა, იხილეს რა ყრმა იესო, **დავარდეს და თაყვანის-ჰცეს მას, და აღიღეს საუნჯეთა მათთა, და შესწირეს მისსა ძღვენი, – ოქრო, გუნდრუკი და მური** (მატთ. 2, 11)...

საყვარელნო! მოგვთა თაყვანის-ჰცეს უფალს იესო ქრისტეს მაშინ, როცა მისი სწავლა-მოძრვრება ჯერ კიდევ არა ჰქონდათ გაგონებული და არც თავიანთ თავს უწოდებდნენ ქრისტეს მორწმუნედ, ქრისტეანებად. ჩვენ კი, ქრისტეანებადაც ვუწოდებთ ჩვენს თავს, უფლის სწავლაც გვსმენია და მის მიერ დამყარებულის მეცნიერების თავისუფლების ნაყოფითაც გვისარგებლნია. მაშ, თაყვანის-ვჰსცეთ მას წრფელის გულით, შევსწიროთ მადლობა მეცნიერების ნათელის აღმობრწყინებისათვის და გულმოდგინედ ვთხოვოთ, განაძლიეროს ჩვენში კეთილის სწავლის ხალისი, მეცნიერებისადმი ლტოლვილება და ჭეშმარიტების სიყვარული!.. ამინ!

(წარმოითქვა ქვაშვეთში 1909. XII. 25;
,,შინაური საქმეები", 1910, №2)

ს ი ტ ყ ვ ა
ქრისტეს შობის დღეს

სადა არს, რომელი იგი იშვა მეუფე ურიათანა?..
მოვედით თაყვანისცემად მისსა (მატთ. 2, 2).

ჰკითხულობდნენ აღმოსავლეთით იერუსალიმს მოსრულნი მოგვნი და თავიანთის საკითხით ჩვენც გვაიძულებენ, გავიგოთ, თუ საითგან, ან როგორ დაიბადა საკითხი იგი წარმართთა შორის, და რამ აიძულა წარმართნი, რომ ურიათა მეფის თაყვან-საცემად წასულან?

ამ საკითხთა გამოსარკვევად საჭიროა, მოვიგონოთ ჩვენს ყრმობაში შესწავლულნი მოთხრობანი ებრაელთა ერის ისტორიისა. ვიცით, რომ დავით და სოლომონ მეფეთა მიერ შექმნილი საკმაოდ ძლიერი სამეფო ებრაელთა, სოლომონ ბრძნის მიცვალების შემდეგ, გაიყო ორ სამეფოდ. სამწუხაროდ, სულითა და ხორცით მონათესავე ეს ორი სამეფო ერთმანეთის მძულვარებამ, მტრობამ და ომებმა იმოდენად დაასუსტა, რომ გარეშე მტრებისათვის ადვილი შეიქმნა მათი დამხობა. პირველად ბოლო მოეღო ისრაელთა სამეფოს ასურთა ხელით, ხოლო ასის წლის შემდეგ ურიათა სამეფო მოაოხრეს ბაბილონელთა. დამარცხებულნი და დატყვევებულნი ებრაელნი ზოგი გაჰყიდეს, ზოგი გადაასახლეს, ხოლო ტყვეობას გადარჩენილნი იძულებულ-ჰყვეს, თავი შეეფარებინათ ეგვიპტისა და საბერძნეთ-რომისათვის.

ამ სახედ, ებრაელთა სამეფო მოისპო, მაგრამ ებრაელთა ერი არ მოსპობილა. ტყვეობასა და უცხოებაში იგი მალე გამოფხიზლდა და შეუდგა იმ მიზეზთა გამორკვევას, რის გამოც ეწია მწარე ბედი. ამ ძიება-გამოკვლევამ ისრაელი დაარწმუნა, მიზეზად შენის უბედურობისა უნდა შეირაცხოს ღვთის ურჩობა და მის მცნებათა დავიწყებაო. [მას] მოაგონდა გაფრთხილებაცა სჯულისმდებელის დიდი მოსე წინასწარმეტყველისა: „აჰა, ესე რა მომიცემიეს თქვენ წინაშე დღეს-დღე ცხოვრება და სიკვდილი, კეთილი და ბოროტი, – უბრძანა მოსემ ებრაელთა ერს სიკვდილის წინადღეებში, – ისმინო თუ მცნებანი უფლისა ღვთისა შენისანი, და შეიყვარო შენ უფალი ღმერთი შენი, და ხვიდოდე ყოველთა გზათა მისთა, სცხოვნდეთ და გაკურთხნეს, და განგამრავლოს ღმერთმან თქვენმან... უკეთუ გარდაი-რაიმე-იცვალოს გული შენი, და არ ისმონო შენ, და შესცოდე და თაყვანის სცემდი შენ კერპთა უცხოთა და მსახურებდე შენ მათ, გაუწყებ შენ დღეს-დღე, რამეთუ წარწყმედით წარსწყმდეთ თქვენ და არა დღეგრძელ იყვნეთ თქვენ ქვეყანასა მას ზედა, რომელი იგი უფალმან ღმერთმან შენმან მოგცეს შენ“ (მეორე სჯულთა 30, 15-18).

შეიგნო რა ისრაილმა მიზეზი თავის უბედურობისა, მყისვე შეუდგა ღვთის სჯულის საფუძვლიანად შესწავლას, საკუ-

თარის ცხოვრების მასთან დაკავშირებას და მას ზედა დამყარებას. ამგვარმა მუშაობამ გამოიღო სასურველი ნაყოფი: ისრაილი გამოცოცხლდა, ზნეობრივად გაფაქიზდა, წელი გაიმაგრა, და ტყვეობასა და უცხოებაში საპატიო ადგილი დაიჭირა. წინასწარმეტყველი დანიელი, მისი მეგობრები: მარდოქე და ესთერი ფრიად ცნობილნი იყვნენ ბაბილონსა და სპარსეთში, და მათი სჯულიც დიდს ყურადღებას იქცევდა აღმოსავლეთის წარმართთა შორის.

უკეთ მოაწყეს თავიანთი სჯულის შესწავლის და გავრცელების საქმე ურიათა დასავლეთში: ეგვიპტეში, მაგალითად, მათ აღაშენეს იერუსალიმის ტაძრის ბადლად ახალი ტაძარი, სთარგმნეს თავიანთი საღვთო წერილი ბერძნულად და საშვალება მისცეს წარმართთაც, გაეცნოთ ეს უფსკრული და წყარო ჭეშმარიტის ღვთის ცნობისა და მის სათნო ცხოვრებისა; ვრცელის იმპერიის თითქმის ყველა ქალაქში გახსნეს სალოცავ-შესაკრებელნი, იწყეს ქადაგება და თარგმანება სჯულისა და წინასწარმეტყველთა, და საქვეყნოდ განაცხადეს, არ გვეშინიან ტყვეობა-უცხოებისა, ვინათგან მალე დადგება დრო, ოდეს შეიწყნაროს უფალმან ნეშტნი ერისა თვისისანი (იერემია 23, 3), და მოუვლინოს მას კვერთხი ძირისაგან იესესა (ისაია 11, 1), რომლისა სახელი არს აღმოსავალი მართალი (იქვე, 5), ემმანუელი – ჩვენთანა ღმერთი (ისაია 7,14), დიდისა განზრახვისა ანგელოზი, მთავარი მშვიდობისა, მამა-მერმეთა საუკუნისა (იქვე, 9,6). ისრაილთა ქადაგებამ მიიქცია წარმართთა ყურადღება. იმათაც სიხარულით იწყეს ლოდინი ამ სანეტარო დროის დადგომისა. ბევრისაგან ბევრმა წარმართმა დაუტევა მამა-პაპათა სარწმუნოება და მიიღო სჯული მოსესი. ამგვარი ხალხი, **მწირის** სახელწოდებით, ბლომად მოიპოვებოდა პართიასა და მიდიაში, შუამდინარეთსა და მცირე აზიაში, ეგვიპტესა და ლიბიაში, კვირინესა და რომში, კრიტესა და არაბეთში (საქმე მოციქულთა 2, 9-11) და სულყველანი მოუთმენლად მოელოდნენ ქრისტე ღვთის გამოცხადებასა. ეს მოლოდინი მით უფრო ცხოველდებოდა, რომ უკვე მოახლოვდა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ აღნიშნული სამეოცდაათთა შვიდეულთა

აღსასრული. ამის გამო, იმ დროის ებრაელთა მმართველნი, მაკაბელნი, თავიანთ თავს როდი უწოდებდნენ მმართველებად, არამედ დროებით გამგედ და წინამძღვრად, ვიდრემდის აღდგეს წინასწარმეტყველი სარწმუნო (1 მაკაბ. 14, 41) და თუ ვინმე მქადაგებელი ან წინასწარმეტყველი მიიქცევდა საზოგადოების ყურადღებას, მაშინვე დაიწყებდნენ კითხვას, – ნუუკუე ეს არს ქრისტე? (მატთ. 11, 3; იოან. 1, 20).

ებრაელთა და მწირთა მოლოდინი ქრისტეზე ნელ-ნელა ვრცელდებოდა წარმართთა ფართო წრეებში. მით უმეტეს, რომ [ამას] ხელს უწყობდა თვით წარმართთა ზნეობრივი ყოფა: დიდებულნი სამეფონი ეგვიპტისა, ასურეთისა, ბაბილონისა, სპარსეთისა და ალექსანდრე მაკედონელისა დაემხვნენ და ადგილი დაუთმეს რომის საბრანებელსა. რომმა თავისი ბატონობა, სხვათა შორის, იმით აღნიშნა, რომ ამ ყოფილ სამეფოთა და სხვათა, მის მიერ დამორჩილებულ, ერთა ღმერთები თავის პანთეონში მოაგროვა და, ამ სახედ, ცხად ჰყო, რომ არც ერთი მათგანი არ იყო ჭეშმარიტი ღმერთი. ამ გარემოებამ კი დაჰბადა ურწმუნოება და უმეტესი ნაწილი საზოგადოებისა ჩააგდო გარყვნილების მორევში: უზომო სმაჭამა, უზრუნველი ცხოვრება, მრუშება, მეძაობა და უკანასკნელ, საკუთარის ხელით სიცოცხლის მოსპობა, – აი, მიზანი მათის არსებობისა.

საბედნიეროდ, საუკეთესო ნაწილი საზოგადოებისა ამ შავბნელს მსოფლიო მხედველობას ვერ შეურიგდა, და დაიწყო ძებნა მხსნელისა და მშველელისა, მაგრამ წარმართობამ იგი ვერ მისცა. აი, სწორედ ამ დროს ათხოვეს მათ ყური მწირთა და ებრაელთა მოლოდინს და სასოებით დაიწყეს ცქერა აღმოსავლეთისაკენ. რომაელების მეისტორიენი: სვეტონი და ტაციტი მოგვითხობენ, რომ მათ სამშობლოში და სხვაგანაც გავრცელებული იყო თქმულება, რომ მალე აღმოსავლეთში უნდა აღმოჩნდეს ისეთი მეფე, რომელმაც უნდა დაიპყრას ქვეყნიერება და მიანიჭოს მას ბედნიერება. ამ მწერალთა მიერ გადმოცემულს თქმულებას მეტის სიცხოვლით ასურათებს რომის მგოსანი ვირგილიოსი. ის ქება-დიდებით ამკობს იმ ყრმას, რომელიც ზეცით უნდა ჩამოვიდეს ქვეყნად

და აღადგინოს ოქროს საუკუნე; მან უნდა მიანიჭოს კაცობრიობას მშვიდობა, ქვეყანას პოხიერება, დაამყაროს ლომსა და კრავსა შორის მეგობრობა, შეუმსუბუქოს ტვირთი მძიმე ხარსა და მოსწმინდოს ტანჯვის ოფლი მხვნელ-მთესველსა. ცხადია, რომ მგოსნის აღფრთოვანებას კავშირი აქვს ისაია წინასწარმეტყველის სიტყვებთან: „ყრმა იშვა ჩვენდა ძე... და მშვიდობისა მისისა არა არს საზღვარ... მაშინ ძოვდენ მგელი კრავთა თანა, ვეფხვი თიკანთა თანა განისვენებდეს, და ზვარაკი და ლომი და კურო ერთად ძოვდენ... და ხარი დათვისა თანა ძოვდეს... ლომი, ვითარცა ხარი, ბზესა ჭამდეს... ყრმამან მცირემან ხვრელსა ზედა ასპიტისასა... ხელი დასდვას და არა რაი ძვირი უყოს მას" (ისაია 9, 6-7; 11, 6-9).

ამ გვარად, განთესულთა ებრაელთა მოღვაწეობით, ღვთის განგებამ მოამზადა ნიადაგი 1912 წლის წინათ განხორციელებულის ქვეყნის მაცხოვრის მოსვლისა და ქადაგებისათვის, ხოლო იქ, სადაც ცხოველ იყო ხსოვნაც ბალამ წინასწარმეტყველის მიერ ხილულის ვარსკვლავისა იაკობისაგან (რიცხვთა 24, 17), აღმოუბრწყინვა ვარსკვლავი, რომელმაც მიიყვანა მოგვნი იერუსალიმს და ებრაელთა გამოსაფხიზლებელად აკითხვინა: „სადა არს, რომელ იგი იშვა, მეუფე ურიათა? მოვედით თაყვანისცემად მისსაო"!..

დეე, ამ საკითხმა გამოგვაფხიზლოს, საყვარელნო, ჩვენცა და, მსგავსად მოგვთა, ღირს გვყოს კანდიერებით თაყვანისცემად მისსა, რომელსაც თექვსმეტის საუკუნის განმავლობაში წრფელის გულით მსახურებდნენ მამანი ჩვენნი და ანგელოზთა გუნდთა თანა უგალობდნენ: **დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, და ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება!** ამინ.

(წარმოითქვა ქვაშვეთში 1912. XII. 25;
,,შინაური საქმეები", 1913, №2)

მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა
დიდმარხვის მეორე კვირიაკესა

შვილო, მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი (მარკ. 2, 5)

დღეს წაკითხული სახარება მოგვითხრობს, უფალი ჩვენი იესო ქრისტე კაპერნაუნის ქალაქში ასწავებდა ერთ სახლშიო. გაიგეს თუ არა, რომ იმ სახლში იმყოფებოდა უფალი, **მეყსეულად შეჰკრბა მუნ სიმრავლე ერისა, ვიდრემდე ვერღარა იტევდა წინაშე კართა მათ**. ამ ხმამ მიაწია ერთის ვისიმე განრღვეულის ყურამდეც და იმანაც მოისურვა მისლვა უფალთან, მაგრამ ვინათგან თვით არ ძალედვა სიარული, ამისათვის შეაბრალა თავი მოყვასთა და მეგობართა და უკანასკნელთაც აიღეს ცხედარი მისი და, **ზედ-კიდებული ოთხთაგან**, მიიყვანეს იმ სახლამდე, სადაც იმყოფებოდა უფალი. იქ კიდევ სხვა დამაბრკოლებელი მიზეზი გადაეღობა განრღვეულის სურვილს: **მუნ იყო სიმრავლე ერისა** და ამის გამო სახლში შესლვა შეუძლებელი იყო. ხოლო ამ გარემოებამ სრულებითაც ვერ შეარყია სარწმუნოება განრღვეულისა. მას გაუორკეცდა სურვილი უფლის ხილვისა და განუცხოველდა იმედი სენისაგან განთავისუფლებისა, რის გამოც მის მომყვანთ აიტანეს ცხედარი განრღვეულისა სახლის ბანზედ, **აღძარცვეს სართული სახლისა მის, და აღიღეს და გარდაუტევეს ცხედარი იგი, რომელსა ზედა იდვა განრღვეული იგი.** იხილა რა უფალმა ესოდენი სარწმუნოება განრღვეულისა და მის მომყვანთა, **რქვა განრღვეულსა: შვილო, მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი, აღდეგ და აღიღე ცხედარი შენი და წარვედ სახიდ შენდა.** ამ სიტყვების შემდეგ, განრღვეული აღდგა, აღიღო ცხედარი თვისი და გამოვიდა წინაშე ყოვლისა ერისა.

ყურადსაღებია, საყვარელნო, რომ უფალმა არ უბრძანა განრღვეულს: აღდეგ, აღიღე ცხედარი შენი და წარვედ სახიდ შენდა, არამედ, შვილო, **მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი.** თითქოს განრღვეული მისულიყოს მასთან არა განკურნე-

ბის სათხოვნელად, არამედ ცოდვათა შენდობის მისაღებად.

ვისაც სურს, გაიგოს აზრი უფლის სიტყვებისა, უნდა იცოდეს, თუ რა არის ცოდვა და რა კავშირია ცოდვასა და ავადმყოფობას შორის. წმიდა მოციქული იოანე ამბობს, **ცოდვა უსჯულობა არისო** (I იოან. 3, 4), ე. ი. სჯულის გარდახდომა, მცნების დარღვევაო. ხოლო სჯული ანუ მცნება მოგვცა ჩვენ უფალმან მისთვის, რომ აღვასრულოთ იგი და მოვიპოვოთ სულის სიმშვიდე და ჯანის სიმრთელე. ორსავე ამ საშვალებას ბედნიერებისას დაჰკარგავს ხოლმე ადამიანი, როცა იგი გვერდს აუხვევს ღვთის მცნებას და დაიწყებს ცხოვრებას თავის ნებაზედ, სჯულის გარეშე.

საუკეთესო საბუთს ამ აზრის სისწორე-სიმართლისას წარმოგვიდგენენ პირველქმნილნი მშობელნი ჩვენნი, ადამი და ევა. სანამდის ისინი ემორჩილებოდნენ ღვთის მცნებას, არ იცოდნენ ავადმყოფობა, ხოლო შესცოდეს თუ არა – მყისვე მიიღეს სამართლიანი მისაგებელი: **განმრავლებით განვამრავლნე მწუხარებანი შენნი და სულთქმანი შენნი,** უბრძანა უფალმან დედაკაცს, შემცოდეს ღვთის წინაშე, **მწუხარებით შვნე შვილნი შენნი**-ო (შექმ. 3, 16). ამ ბრძანების შემდეგ კი კავშირი ცოდვასა და ავადმყოფობას შუა არამც თუ აღარ შეწყვეტილა, არამედ უფრო მკვიდრდება და ძლიერდება.

ასე რომ, თავისუფლად შეგვიძლიან ვსთქვათ, ყოველივე ცოდვა, ანუ ღვთის მცნების დარღვევა გამოიწვევს ადამიანის აგებულებაში ამა თუ იმ ცვლილებას სამწუხაროდ და საუბედუროდ. ავიღოთ, მაგალითად, სმა-ჭამა. თუმცა ადამიანი უსმელ-უჭმელი ვერ გასძლებს, დასნეულდება და მოკვდება, მაგრამ უზომო სმა-ჭამაც ამგვარსავე შედეგს გამოიწვევს ხოლმე: როცა ადამიანის სტომაქი მიიღებს ზომაზედ მეტს სასმელ-საჭმელს, მაშინ იგი ვეღარ განაგრძობს ჩვეულებრივ მოქმედებას, იძულებულია მეტი ძალ-ღონე მოანდომოს სასმელ-საჭმელის მონელებას, შეასუსტოს სისხლის მოძრაობის სისწრაფე და ხელი შეუშალოს გულისა და ტვინის რიგზედ მუშაობას. ყოველივე ამას კი მოსდევს სტომაქის გაგანიერება, გულის ფრიალი, გონების დაჩლუნგება და, თუ

დროზე არ მოისპო მიზეზი ავადმყოფობისა – უზომო სმა-ჭამა, სიკვდილი.

როგორც სჩანს წმიდის სახარებითგან, განრღვეულის ავადმყოფობა შედეგი იყო იმის ცოდვებისა და სანამ ეს ცოდვები კიდევ ბუდობდა განრღვეულის გულში, მანამდე მისი მორჩენა შეუძლებელი იყო. სწორედ ამისთვის განათავისუფლა უფალმა მხურვალედ მორწმუნე განრღვეული ავადმყოფობის მიზეზისაგან – ცოდვათაგან და უბრანა პირველად: **მოგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი** და მხოლოდ შემდგომ: **აღსდეგ, აღიღე ცხედარი შენი და წარვედ სახიდ შენდა.**

საყვარელნო! მსგავსად განრღვეულისა, ბევრმა ჩვენგანმა უკვე მიიღო ამ ორი კვირის განმავლობაში უფლისაგან შენდობა ცოდვათა და ზიარება უხრწნელთა სისხლისა და ხორცთა მისთა. ეს ღვთისმოწყალება კი გვავალებს, თავნი ჩვენნი დავიცვათ ცოდვათაგან, რათა არა ხელახლად დაგვიმორჩილოს მან და ჩაგვაგდოს უარესს მდგომარეობაში. **აჰა, ცოცხალ იქმენ**, უბრძანა უფალმა ოცდა-ათ-თვრამეტის წლის სენისაგან განკურნებულს დავრდომილს, **ნუღარა სცოდავ, რათა არა უძვირეს გეყოს შენ** (იოან. 5, 14). ამინ.

(წარმოთქმულია 1913 წ. ქვაშვეთში; ,,ქადაგებანი", №3)

ს ი ტ ყ ვ ა
დიდ პარასკევს, გარდამოხსნის გამოსვენების შემდეგ

ესეცა წერილი აღსრულებულ არს (იოან. 19,30)! დიახ! აღსრულდა განგება ღვთისა, გამართლდა მოლოდინი მამათმთავართა, ცხად იქმნა წერილი წინასწარმეტყველთა: უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ შესწირა თავი თვისი მსხვერპლად ყოველთა და მით გაათავისუფლა ეშმაკისა და ცოდვისაგან დამონებული კაცობრიობა! **ერთისა მის კაცისათვის**, რომელმაც დაარღვია ღვთის მიერ მიცემული მცნება, **ცოდვა სოფლად შემოხდა, და ცოდვისა ძალით სიკვდილი; და ეს-**

რეთ ყოველთა კაცთა ზედა სიკვდილი მოიწია, რომლითა ყოველთა შესცოდეს (რომ. 5, 12). ხოლო შეცოდება ესე იყო შეურაცხება თვით შემოქმედისა, და ამისათვის ცოდვას თან მოჰყვა წყევა და სიკვდილი, რომელთაგან გათავისუფლება კაცობრიობას ვერ ძალ-ედვა.

და აი, ძე ღვთისა, უფალი იესო, განუზომელისა კაცთმოყვარებისა და სახიერებისამებრ თვისისა, გარდამოხდა ზეცით, ხატი მონისა შეიმოსა, ქვაბსა შინა იშვა, თავი თვისი დაიმდაბლა ისე, რომ **არა აქვნდა სადა თავი მიიდრიკოს** (მატთ. 8, 20), დღე ყოველ, სიტყვით თუ საქმით, კეთილსა უყოფდა ურიათა. ხოლო მათ იგი შეურაცხყვეს, სდევნეს, შეიპყრეს, უსამართლოდ განსაჯეს, სახესა ზედა ნერწყვეს, ლელწმითა გვემეს, ყვრიმალსა სცეს, ჯვარს აცვეს, იქაც კი ემღერედეს (დასცინოდენ). ხოლო, ყოვლად მოწყალემან, ყოველივე ესე დაითმინა, რათა ცოდვანი ჩვენნი თავს ედო, ჯვარსა შეემსჭვალა, [რათა] აურაცხელის ტანჯვის შემდეგ სული განეტევებინა ძელსა ზედა ჯვარისასა და ჩვენ გავეთავისუფლებინეთ ცოდვისა, წყევისა და სიკვდილისაგან!

და, აჰა, ხატი მისი, ოდეს გარდამოიღეს ჯვარისაგან: თავი მისი შემოსილია ეკლის გვირგვინით, ხელნი და ფერხნი განმსჭვალულია ლურსმითა, გვერდი განგმირულია ლახვრითა, ღაწვთა ზედა ცხადად სჩანს კვალი ყვრიმალის-ცემისა, სახესა ზედა – ნერწყვისა, ბაგეთა ზედა – ნაღვლისა ძმრით გაზავებულისა... ყოველივე ეს დაითმინა უფალმა, მხსნელმა და მაცხოვარმა ჩვენთვის და ჩვენისა ცხოვრებისათვის: ჩვენმა გულმაღლობამ და ამპარტავნებამ დაადგა თავსა მისსა გვირგვინი ეკლისა, ჩვენმა განცხრომისა და ფუფუნების მოყვარებამ მიაყენა მას გვემა და ყვრიმალის-ცემა, ჩვენმა სიხარბემ და გაუმაძღრობამ ასვა მას ძმარი და ნაღველი, ჩვენმა ავხორცობამ და გარყვნილებამ შემსჭვალა იგი ჯვარსა ზედა, ხოლო აურაცხელმა და სახელდაუდებელმა უსჯულოებამ ჩვენმან სტანჯა და მოჰკლა იგი...

რა შეგვშვენის ჩვენ, საყვარელნო, დღეს, ყოველივე ამის მომგონებელთ და შემოკრებულთ გარეშემო ხატისა – ჯვარისაგან გარდმოხსნილისა გვამისა უფლისა და მაცხოვრისა

ჩვენისა? ყოველივე ამის მომგონებელთ შეგვშვენის ტირილი და მხოლოდ ტირილი, მაგრამ ტირილი არა უფლისათვის, არამედ ჩვენთვის და თავთა ჩვენთათვის: **ასულნო იერუსალიმისანო**, უბრძანა უფალმა დედათა, რომელნი სტიროდნენ, ხედვიდნენ რა იესოს მიმავალს გოლგოთაზედ, **ნუ სტირთ ჩემთვის, არამედ თავთა თქვენთა სტიროდეთ და შვილთა თქვენთა** (ლკ. 23, 28)! მაშ, ვიტიროთ ჩენცა თავთა ჩვენთათვის; ვიტიროთ ცოდვათათვის სიჭაბუკისათა, რომელმაც განვლო უქმად, ხორციელებრივის სიამოვნებისა და ბოროტთა განზრახვათა აღსრულების მოლოდინში; ვიტიროთ ცოდვათათვის მამაკაცობისა ჩვენისა, ვინათგან იგი შევსწირეთ თავმოყვარეობას, ანგარებას და ავხორცობას; ვიტიროთ ცოდვათათვის მოხუცებულობისა ჩვენისა, ვინათგან წელთა სიგრძემ ვერ თავისუფალ-გვყო ვნებათა ღელვათაგან; ვიტიროთ მრავალთა და აურაცხელთა ცოვათათვის ჩვენთა, რომლითაც ჩვენ კვალად ჯვარს ვაცვამთ უფალსა და მაცხოვარსა ჩვენსა; ვიტიროთ ძეთა და ასულთა ჩვენთათვის, რომელთა ქრისტეანობრივ აღზრდა-სწავლისათვის ჩვენ სრულებითაც არა ვზრუნავთ; ვიტიროთ სამართლად ჩვენზედა მომავალისა რისხვისათვის; შევინანოთ შეცოდებანი ჩვენნი, დავსდვათ აღთქმა წინაშე საფლავსა შინა მდებარისა უფლისა ჩვენის გასწორებისათვის, ჩვენის საქციელის აწონ-დაწონისა და განსჯისათვის, ჭეშმარიტს გზაზედ დადგომისათვის, ქრისტეს მცნებათა აღსრულებისათვის, და შევსთხოვოთ მას, რათა სახიერებითა და კაცთმოყვარებითა თვისითა გარე წარაქციოს რისხვა მარად-დღე ჩვენზედა მომავალი, და შეგვიწყალნეს ჩვენ!

(წარმოითქვა ქვაშვეთში 1913 წ.; ,,ქადაგებანი", №4)

ს ა ა ღ დ გ ო მ ო ე პ ი ს ტ ო ლ ე

წ ყ ა ლ ო ბ ი თ ა ღ ვ თ ი ს ა თ ა

მდაბალი კალისტრატე

სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქი*

ქრისტე აღდგა!

ქრისტეანულ დღესასწაულთა შორის უმეტესი სიხარულით ვეგებებით ხოლმე აღდგომას, როდესაც მრავალგზის გვესმის მღვდელმსახურებაში: **ქრისტე აღდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი!** და აი რატომ:

ადამიანისათვის ქვეყნიურ კეთილთა შორის სიცოცხლეზე უძვირფასესი არა არის რა, – მას ვერავითარი განძით ვერ შეისყიდით. რად უნდა ადამიანს ოქრო და ვერცხლი, თვალი და მარგალიტი, თუ თვითონ აღარ იქმნება! პირიქით, ჩვენ ყველაფერს, რაც კი მოგვეპოება, გავიღებთ, ოღონდ შევინარჩუნოთ სიცოცხლე, აღვზარდოთ, განვავითაროთ ჩვენი თავი სულიერად და ხორციელად, მივაღწიოთ კეთილდღეობას, დავიჭიროთ საზოგადოებაში საპატიო ადგილი... უმეტეს შემთხვევაში ჩვენი ასეთი მისწრაფება განხორციელდება მაშინ, როდესაც ხანში შევდივართ უკვე და როდესაც ჩვენს წინაშე დგება საკითხი, – სანამდის გასტანს ჩემი სიცოცხლე, – 60, 80, 100 და იქმნება მეტ წელსაც? შემდეგ? სიკვდილი, დადუმება, უმოძრაობა, დასაფლავება, გაქრობა და მოსპობა? ეს საკითხი შიშსა და ძრწოლას მოგვგვრის ხოლმე, და კიდევ ვეკითხებით ჩვენს თავს: ნუთუ სიკვდილის შემდეგ აღარა რჩება რა, ნუთუ იგი აქრობს ჩვენი არსების იმ ნაწილსაც,

---

* დედანი: ცინცაძე 97, ფფ. 102-103 (ეს და კათალიკოსობის დროს წარმოთქმულ ქადაგებათა ტექსტები ,,სიტყვათა კრებულში“ კალენდრის რიგისაგან განცალკევებით დგას).

რომელსაც სულს ეძახიან და რომელიც ამოძრავებს სხეულს, აზროვნებას, აკვირდება გარშემო ბუნებას, სწავლობს მის კანონებს და მოვლენებს, იმორჩილებს ზღვასა და ხმელეთს, ჰაერსა და ცეცხლს და ბატონობს მათზე?

ჩვენი გონება ამ საკითხის უარყოფითად გადაჭრას ვერ ურიგდება და ეძებს გამოსავალს, საბუთს სიკვდილის შემდეგ სულის არსებობისათვის.

საბედნიეროდ, ჩვენ ვპოულობთ ამ საბუთს ორ სიტყვაში:

ქრისტე აღდგა!

ამის შემდეგ იწყება აზრთა სხვაგვარი მიმდინარეობა: ვინაიდან ქრისტე აღდგა, ჩანს, სიკვდილის შემდეგ მისი სული არ გამქრალა, ის მხოლოდ დროებით განშორებია სხეულს, რათა კვალად შეერთებოდა მას. აქედან, ცხადია, არც ჩემი სული მოკვდება და თავის დროზე მეც აღვდგები. ასეთ მსჯელობის სისწორეს გვიდასტურებს წმ. მოციქული პავლეც: **ქრისტე აღდგა მკვდრეთით და იქმნა იგი დასაბამ შესვენებულთა** (აღდგომისა)... **პირველად ქრისტე და მერმეთ ქრისტესნი** (1 კორ. 15, 20-23).

ახლა კი გასაგებია, თუ რატომ ვეგებებით აღდგომის დღესასწაულს უდიდესი სიხარულით: იგი ჩვენი პირადი გამარჯვებაც არის სიკვდილზე: ქრისტე აღდგა, ჩვენც აღვდგებით; ქრისტე ცოცხალია, ჩვენც სიკვდილის შემდეგ ცოცხალი ვიქმნებით. მაშ, **ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ დღესა ამას!**

საყვარელნო! დღევანდელ ბრწყინვალე დღეს, როდესაც ტაძრებსა და სახლებშიც სრულის სიმშვიდით ვზეიმობთ ქრისტეს მიერ სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვას, მადლობითა და სიყვარულით მოვიგონოთ სახელოვანი და ძლევით შემოსილი ჩვენი არმია, რომელიც წარმატებით აწარმოებს ბრძოლას შემოსეულ მტერთან და გვაძლევს შესაძლებლობას მყუდროებით ცხოვრებისას. გულმხურვალედ შევავედროთ იგი მკვდრეთით აღდგომილ მაცხოვარს, ადრე და მალე მისცეს მას სრული გამარჯვება მოძალადეთა ზედა, და მშვიდობითა და სიმრთელით დაუბრუნოს მშობლიო კერას

უებრო მამულიშვილები, რათა მათთან ერთად განვაგრძოთ აღმშენებლობითი მუშაობა საყვარელ სამშობლოს აკლებულ-აოხრებულ ნაწილების აღსადგენ-ასაყვავებლად.

ქრისტე აღდგა!

1943 წ. პასექი (№1010)

(დაეგზავნა მოძღვრებს ტაძარში
წარმოსათქმელად. კ.-პ.კ.)

მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა
ს ა მ ა რ ი ტ ე ლ ი ს კ ვ ი რ ი ა კ ე ს ა

(სახარება იოანესაგან 4, 5-42)

დღეს წაკითხული სახარება მოგვითხრობს, უფალი იესო ქრისტე იერუსალიმით გაემგზავრა გალილეასო. უმოკლესი გზა მიდიოდა სამარიაზე. დილით წასული იესო და მოწაფენი მისნი შუადღისას მივიდნენ სუქარ ქალაქთან, რომლის მახლობლადაც იყო **წყარო იაკობისი**. დაღლილ-დამაშვრალი იესო ჩამოჯდა წყაროს პირას, ხოლო მოწაფენი წავიდნენ **ქალაქად, რათა საზრდელი იყიდონ.** ამ დროს წყაროსთან მოვიდა სამარიტელი დედაკაცი, რომელსაც **ჰრქვა იესო: მასუ მე წყალი.** უფლის თხოვნამ გამოიწვია ხანგრძლივი საუბარი დედაკაცთან. საუბრის დასასრულ დაბრუნდნენ მოციქულებიც და რა იხილეს მოძღვარი, გაუკვირდათ, **რამეთუ დედაკაცისა თანა იტყოდა.**

მოციქულთა გაკვირვების მიზეზი არ იყო მოძღვრის საუბარი დედაკაცთან, როგორც სამარიტელთან, თუმცა **არა შეეხნიან ურიანი სამატიტელთა,** ვინაითგან მოციქულნი თვით იყვნენ სამარიტელთა ქალაქში, სამარიტელთაგან იყიდეს საზრდელი და გზაშიც შეხვდებოდნენ სამარიტელთა. არა, მიზეზი მათი გაკვირვებისა უნდა ვეძიოთ თვით საუბარ-

ში **დედაკაცისა თანა.** რაბინთა ანუ ფარისეველ-მწიგნობართა სწავლით, რომლის გავლენისგან ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულიყვნენ მოციქულნი, მამაკაცისათვის საძრახისი იყო დედაკაცთან საქვეყნოდ, სხვის დასანახავად საუბარი, თუნდა ის დედაკაცი მისი ცოლი ანუ და ყოფილიყო. მათი შეხედულობით, დედაკაცი გზაში შეხვედრის დროს სალამის ღირსიც კი არ იყო. მით უმეტეს დასაძრახი იყო სჯულის მასწავლებლის ანუ მქადაგებლის დედაკაცთან საუბარი, ვინათგან ეს საუბარი უნაყოფოდ დარჩებოდა. „ვინც ასულსა თვისსა ასწავებს სჯულსა, ამბობდნენ რაბინები, იგი იქმს უგუნურებასა“ ანუ: „უმჯობესია ალსა ცეცხლისასა მიეცეს სიტყვანი სჯულისანი, ვინემ გადაეცეს იგი დედაკაცთა“. რაბინთა ამგვარმა სწავლამ გამოიწვია მოციქულთა გაკვირვება, თუმცა გაკვირვება ესე მათ დაიმარხეს გულში და ვერ შეჰკადრეს მოძღვარს, ჰკითხონ, – **რასა იტყვი მისთანა**?

საგანი კი, რომლისთვისაც უფალი **დედაკაცსა თანა იტყოდა**, ფრიად საგულისხმო და ყურადსაღები იყო. რაითგანაც წყლის თხოვნით გამოწვეულმა საუბარმა სამარიტელი დედაკაცი დაარწმუნა, რომ წინაშე მისა იმყოფება არა უბრალო ურია, არამედ **წინასწარმეტყველი**, მიჰმართა მას საკითხით, რომელიც, ერთის მხრით, გვაცნობს სულიერ განწყობილებას ამა დედაკაცისას, და რომელსაც, მეორის მხრით, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მრავლისაგან უმრავლესის ადამიანისათვის: **მამანი ჩვენნი,** ჰრქვა დედაკაცმან, **მთასა ამას თაყვანისცემდეს, და თქვენ იტყვით, ვითარმედ იერუსალიმს არს ადგილი, სადა ჯერ არს თაყვანისცემა.** სჩანს, ამ საკითხის პასუხი დიდხანს უძებნია სამარიტელ დედაკაცს, მაგრამ ვერავისგან მიუღია: სამარიტელნი გარიზიმის ტაძრის ნანგრევებს სთვლიდნენ ერთადერთ ღვთის თაყვანის-საცემ ადგილად, ხოლო ურიანი იერუსალიმის ტაძარსა. დედაკაცის გონება კი ამგვარს პასუხს ვერ შეჰრიგებოდა და მოელოდა უტყუარს, დამაკმაყოფილებელ პასუხს მესიასაგან, **რომელსა ჰრქვიან ქრისტე.** დიახ! უტყუარს პასუხს დედაკაცი იგი მოელოდა ქრისტესგან, მაგრამ, საუბედუროდ, არ იცოდა, როდის მოვიდოდა მაცხოვარი,

თუმცა სულითა და გულით დარწმუნებული კი იყო, **ოდეს მოვიდეს იგი, გვითხრას ჩვენ ყოველი.** და, აი, ამ შეურყეველის სარწმუნოებით, მესიის მოლოდინის გამო, ბედნიერჰყო სამარიტელი დედაკაცი განხორციელებულმა ჭეშმარიტებამ უტყუარის პასუხის მიცემით: **მოვალს ჟამი და აწვე არს,** ბრძანა უფალმა, **ოდეს ჭეშმარიტნი თაყვანის-მცემელნი თაყვანს-სცემდეს მამასა სულითა და ჭეშმარიტებითა... რამეთუ სულ არს ღმერთი, და თაყვანის-მცემელთა მისთა სულითა და ჭეშმარიტებითა თანა-აძს თაყვანის-ცემა.** ღმერთი სული არს, სული განუსაზღვრელი, ყოველგან მყოფი და ყოვლისა მცოდნე, და ვინც იცნობს უფალს ამ სახედ, მას შეუძლიან, თაყვანის-სცეს მას არა თუ იერუსალიმში, გინა გარიზიმის მთაზედ, არამედ **ყოველსა ადგილსა უფლებისა მისისასა** (ფს. 102, 22) და **ყოველსა შორის თესლსა და თესლსა** (ფს. 144, 13). ეს დიდებული სიტყვები, ღვთის სულითა და ჭეშმარიტებით თაყვანის-ცემისათვის, ურიათათვის ჯერ კიდევ უცნობი და გაუგებარი, სამარიტელ დედაკაცს სრულებითაც არ გაჰკვირვებია, რაითგანაც ამ სიტყვების მოლოდინით სულთ-იდგამდა იგი და ნუგეშინის-იცემდა, მხოლოდ მათ გაგონებას მოელოდა არა წინასწარმეტყველისაგან, რომელიც, მისის აზრით, იდგა იაკობის წყაროსთან, არამედ მესიასაგან, **რომელსა ჰრქვიან ქრისტე.** ხოლო როცა უფალმან განცხადებულად ჰბრძანა: მესია **მე ვარ, რომელი გეტყვი შენ**-აო, მოძმეთადმი სიყვარულით აღვსილმა გულმან სამარიტელის დედაკაცისამან არ ინება მარტო დამტკბარიყო ამ სანეტარო ცნობითა, – მან **დაუტევა სარწყული იგი მისი და წარვიდა ქალაქად და უთხრა კაცთა მათ: მოვედით და იხილეთ კაცი, რომელმან მითხრა მე ყოველი, რაჲცა ვქმენ. ნუუკვე იგი არის ქრისტე?!** სამარიტელთაც გაიზიარეს დედაკაცის სიხარული, ისმინეს მისი, მივიდნენ იესოსთან და **ევედრებოდეს მას, რათა დაადგრეს მათთანა.** უფალმა შეიწყნარა ვედრება სამარიტელთა, წავიდა მათთან, **დაადგრა მუნ ორდღე და უფროსსა სიმრავლესა ჰრწმენა სიტყვათა მისთა.**

ამ სახედ, გამუდმებულმა ქრისტეს მოლოდინმა და სიყ-

ვარულმა ნახევრად წარმართი სამარიტელი დედაკაცი ღირსჰყო უფლის ხილვასა, მასთან საუბარსა და მისგან ღვთის სულითა და ჭეშმარიტებით თაყვანის-ცემის სწავლასა, შეჰქმნა იგი სამარიტელთათვის ქრისტეს სჯულის ქადაგად, ხოლო მოციქულთათვის რაბინთა [მიერ] დედაკაცზედ შემცდარის შეხედულობის გავლენისაგან განმათავისუფლებლად. ყოვლისავე ამისათვის, და აგრეთვე კართაგენსა და რომში ქრისტეს სწავლის გავრცელებისათვის, წმიდა ეკლესიამ განაწესა ხსენება წმ. მოწამისა ფოტინესი, – ესე არს სახელი სამარიტელის დედაკაცისა, – 20 მარტსა.

მივბაძოთ ჩვენცა, საყვარელნო, წმ. ფოტინეს, ხელი შეუწყოთ ჭეშმარიტის ღვთის ცნობის გავრცელებას ჩვენს თანამოძმეთა შორის, განვამტკიცოთ ქრისტეს სჯულზედ მოზარდი თაობა და ვასწავოთ მას საკუთარის ცხოვრებით და მაგალითით – **ღვთის თაყვანისცემა სულითა და ჭეშმარიტებითა.** ამინ.

(წარმოითქვა ქვაშვეთში 1913 წ.; ,,ქადაგებანი", №5)

სკოლა და კულტურა

სიტყვა
სწავლის დაწყების გამო

მოგილოცავთ, ყმაწვილებო, ზოგიერთს – ჩვენს სკოლაში შემოსლვას, ხოლო დანარჩენთ – სწავლის განგრძობის დასაწყისს და წრფელის გულით გისურვებთ, მტკიცედ შეითვისოთ მომავალს წელში **გარდმოცემული თქვენდა სწავლა**, რომ ამ სწავლით განბრძნობილნი **აღიზარდნეთ ღვთის სადიდებლად, მშობელთა სანუგეშოდ და ეკლესიისა და მამულისა სასარგებლოდ!**..

ამ მოლოცვასთან ერთად, საჭიროდ ვსთვლი, მოგაგონოთ იგავი მონათა ზედა, რომელთაც მიიღეს უფლისაგან ერთი, ორი და ხუთი ტალანტი (მატთ. 25. 14-30). როგორც უფალმა რამდენისამე ხნის შემდეგ მოსთხოვა მონათა თვისთა ანგარიში, თუ რა უყვეს მის მიერ მინიჭებულ ტალანტსა, აგრეთვე თქვენც, საყვარელნო, წლის გასულსა მოგთხოვენ ანგარიშს, თუ როგორ გაატარეთ ეს სასწავლო წელი. როგორც უფალმა შეაქო და შერაცხა **სახიერად და სარწმუნოდ** ის ორი მონა, რომელთაც თავის შრომით განამრავლეს უფლისა მიერ მინიჭებული ტალანტი და **დაადგინა** იგინი **მრავალთა ზედა**, ისე შეაქებენ და უწოდებენ მონად კეთილად და სარწმუნოდ მათ თქვენგანს, რომელნიც კარგის ყოფა-ქცევით და ბეჯითობით გამოიჩენენ თავს და საფუძვლიანად შეითვისებენ გარდამოცემულს სწავლასა; მათ დაადგენენ მრავალთა ზედა, ე. ი. გადაიყვანებენ შემდეგს კლასში და აზიარებენ უმეტესსა და უვრცელესს ცოდნასა!..

სამაგიეროდ, მათ, რომელნიც მსგავსად მონისა მცონარისა და ზარმაცისა, **დამალავენ ქვეყანასა** უფლისაგან მინიჭებულ ტალანტსა, ე. ი. ცუდის სწავლით და უვარგისის ყოფა-ქცევით გამოერჩევიან ამხანაგთაგან, შერაცხენ მონად **ბოროტად და მედგარად და განხდიან ბნელსა გარესკნელსა**, ე. ი. განაშორებენ ტოლთა და მეგობართაგან და დასტო-

ვებენ იმავე კლასში, ანდა – სრულებით მოაშორებენ ამ ცოდნისა და განათლების ტაძარსა!..

რომელსამე თქვენგანს რომ არ ეწიოს ეს სამწუხარო და სავაგლახო მხვედრი, შევევედროთ, ყმაწვილებო, ზეციერს მამას, რათა მან კეთილჰყოს დასაწყისი ამ სასწავლო წლისა, ნაყოფიერ – მიმდინარეობა და გვირვინოსან – დასასრული მისი!.. ამინ.

(წარმოითქვა ქართულ გიმნაზიაში
1913, IX, 3; „განათლება“ 1913. №7)

ს ი ტ ყ ვ ა
სწავლის დაწყების გამო

ყმაწვილებო! დღეს თქვენ შეკრებულხართ აქა ღვთის კურთხევის გამოსათხოვად სწავლის დაწყების წინ. ღვთის კურთხევას მით უფრო საჭიროებთ, რომ ბევრი რამ გაქვთ შესასწავლი და შესათვისებელი...

მართლადაც, თქვენ უნდა შეისწავლოთ სჯული უფლისა, გარდმოცემული ღვთისმხილველ მამათმთავართა, წინასწარმეტყველთა, და მოციქულთა მიერ...

ამასთან ერთად უნდა შეითვისოთ სჯულიც უფლისა იგი, რომელიც შემოქმედმა წესად დაუდვა ბუნებას და რომლის ძალითაც მილიონობით ცის კამარაში მოციმციმე ვარსკვლავ-მნათობნი განაგრძობენ თავისებურ ცხოვრებას და არ ივიწყებენ, დაუმორჩილონ თავის გავლენას ჩვენი ხნიერი დედამიწაც...

მეტის დაკვირვებით უნდა შეისწავლოთ თავგადასავალი ამ ჩვენის სამკვდირო დედამიწისა, მისი აწმყო და წარსული, მისი ადგილი ღვთის ქმნილებათა შორის და წესები მისის არსებობისა, მინერალები და მეტალები, მცენარეები და ცხოველები, მწერები და მფრინველები, რომლებიც მოიპოებიან დედამიწის ზურგზედ და მის გულში, ზღვის სიღრმეში და ჰაერთა სივრცეში...

განსაკუთრებით კი ყურადღებით უნდა შეისწავლოთ გვირგვინი ქმნილებისა – ადამიანი და მის მიერ აღბეჭდილი

კვალი ცხოვრებისა: როგორ და რანაირად მოახერხა მან, ღვთის მიერ სამოთხით განდევნის შემდეგ, განეთავისუფლებინა თავი ბუნების მოვლენათა და მხეცთა შიშისაგან, შეეცადა, პირიქით, მათ დამორჩილებას, სძლია ზღვა და ჰაერი, და დაადგა გზას, რათა ღვთის მიერ დანიშნულს მიზანს მოსწეოდა – გამხდარიყო უფლად და ბატონად ქვეყანასა ზედა...

თუ მიიღებთ მხედველობაში, რომ აღნიშნულის გარდა, კიდევ ბევრი რამ უნდა შეისწავლოთ, დამეთანხმებით, დიდი შრომა და მეცადინეობა გმართებსთ მომავალ სასწავლო წელში...

მერმე, ვინ უნდა შეგაძლებინოსთ ამოდენა შრომის ატანა და შეგიმსუბუქოსთ მძიმე ტვირთი? ყველაზე უწინ თქვენი მშველელნი უნდა იყვნენ და არიან კიდევაც მშობელნი და მასწავლებელნი, – თქვენს საკეთილდღეოდ ისინი არაფერს დაიშურებენ. მაგრამ არ უნდა დაივიწყოთ, რომ ჩვენც ადამიანები ვართ და ვსაჭიროებთ შეწევნასა და ძალის მოღებას ყოველთა მშობელისა, შემოქმედისა და მასწავლებელისაგან...

მაშ, საყვარელნო, შევევდრნეთ ყოველნი მას, ტკბილსა და სახიერს, მოგვანიჭოს ძალი და სიმხნე, ზაფხულის გამო შეწყვეტილის, სწავლის განგრძობისა და უმეტესის ცოდნის შეძენისა... ამინ.

(წარმოითქვა ქართულს გიმნაზიაში 1914. IX. 1;
„განათლება“ 1914, №75)

ს ი ტ ყ ვ ა
სწავლის დაწყების გამო

ყმაწვილებო! ღვთის შეწევნით, დღევანდელი დღითგან უნდა განვაგრძოთ მეცადინობა. ამ კეთილისა და ღვთის სათნო საქმისათვის ყველაფერი ხელს გიწყობსთ: ეს ახლად ნაკურთხი საკუთარი ეკლესია, სადაც თქვენ შეგიძლიანთ ყოველდღე გადაუშალოდთ სული და გული ზეციერ მამას და გამოითხოვოთ **მადლი ყოვლადწმიდისა სულისა, მომნიჭე-**

ბელი და განმაძლიერებელი ძალთა სულთა თქვენთასა; თვით ეს დიდებული ტაძარი განათლებისა, ჩვენის ერის საუკეთესო შვილთა მეცადინეობით თქვენთვის საგანგებოდ მოწყობილი და გამართული; თქვენი მშობლების განზრახვა – მოგაწოდონ, მიუხედავად საკუთარის გაჭირვებისა, ცხოვრებისა და სწავლისათვის საჭირო საშვალებანი; ეს კრებული სწავლისა და აღზრდის საქმეში დახელოვნებულ და გამოცდილ მასწავლებელ-აღმზრდელთა, და მრავალი კიდევ სხვა...

დიახ, ყოველივე ეს ხელს გიწყობსთ, მაგრამ, მერწმუნენით, თუ თქვენ თითონ არ გამოიჩენთ სწავლის სურვილსა და ხალისს, – ყოველივე ამაო იქმნება. უფალი ხომ ყოვლადშემძლებელია, მაგრამ ისიც კიო, ამბობს ერთი წმიდა მამათაგანი, ვერ შესძლებს ადამიანის ცხოვნებას, თუ თვით ადამიანმა არ მოინდომა ცხოვნებაო. ცხადია, თუ თვით უფალი ვერ აცხოვნებს ადამიანს მისდა უნებურად, ვერც თქვენი აღმზრდელ-მასწავლებელნი შესძლებენ თქვენს აღზრდა-განსწავლას, თუ თქვენ თითონ არ მოინდომებთ სწავლის შეძენას და არ შეისისხლხორცებთ იმ მოძღვრებას, რომელსაც გადმოგცემენ თქვენნი მასწავლებელნნი...

მაშ, საყვარელნო, იჯმენით ეშმაკისაგან, უკუაგდეთ ახალგაზრდობის დამღუპველი სიზარმაცე, ახსენეთ ღმერთი და გულმოდგინედ შეუდექით სწავლას: ნუ გაუცრუებთ იმედს თქვენს მშობლებს, და ნუ შეარცხვენთ ნურც თქვენს თავს, ნუცა თქვენს მასწავლებლებსა!.. ამინ.

(წარმოითქვა ქართულ გიმნაზიაში 1915. IX. 1)

სიტყვა
ქართულ გიმნაზიის შენობის
საფუძველის კურთხევის გამო

საყვარელნო! რაოდენიმე თვის შემდეგ შესრულდება ასი წელიწადი, რაც პატარა საქართველო შეიქმნა დიდი რუსეთის ნაწილად. ამ მეტად გრძელის საუკუნის მანძილზე, საკუ-

თარის ცდითა და მხნეობით, ქართველ საზოგადოებას არა გაუკეთებია რა განსაკუთრებულის ყურადღების ღირსი. მართალია, ამგვარ საშვილიშვილო, საზოგადო და საქვეყნო საქმედ ბევრნი ბანკის დაარსებას სთვლიან ჩვენში, მაგრამ თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ბანკს ბევრ მომხრეებთან ბევრი მოწინააღმდეგე[ე]ბიც ჰყავდნენ და ყვანან დღესაც. ერთადერთი საქმე, რომელსაც მთელი ქართველობა შეხვდა გულწრფელის სიხარულით და აღტაცევით, იყო და არის ჩვენს დღევანდელ მდგომარეობასთან შეხამებულ და შეთვისებულ სასწავლებელის დაარსება. დიდის ცდისა და მრავალის ბჭობა-კამათის შემდეგ ესეთი სასწავლებელი დაარსდა ამ ოციოდე წლის წინად და ეწოდა მას ,,სათავად-აზნაურო სკოლა", თუმცა მის მოწაფეთა თითქმის ნახევარს სხვა წოდებათა შვილები შეადგენს და შეადგენდა. სამწუხაროდ, ამ სკოლას ეწია ბედი ღვთისრჩეულ ერისა: როგორც ძველი ისრაილი ორმოცი წლის განმავლობაში გადადიოდა ერთი უდაბნოდან მეორეში, ისე ჩვენი სკოლა თავითგანვე თითქმის ყოველწლივ გადადიოდა ტფილისის ერთი უბნიდან მეორეში, რაც მეტად აფერხებდა და აფერხებს სწავლა-აღზრდის საქმეს...

დღეს კი ჩვენ მოწმენი ვართ ქართველ ერის **ერთითა სულითა და ერთითა გულითა** ნაღვაწ-ნაცადის დასასრულის დასაწყისისა, დღეს საფუძველსა ვდებთ იმ საკუთარის ტაძრისას, რომელმაც თავის ზღუდეთაგან უნდა გამოუშვას მეცნიერების ნათლით შემოსილნი, სარწმუნოების ფარით აღჭურვილნი და ზნეობრივის სიფაქიზით განბრწყინვებულნი ქართველი მამულიშვილები...

მაშ, მივმართოთ ყოვლადმოწყალეს მხურვალე ლოცვით, მიიღოს ეს ჩვენი ერთსულოვნება და ერთგულოვნება **მსხვერპლად სუნად სუნნელად** და **ნაცვლად გარდამოგვივლინოს ძალი და სიმხნე** დაწყებულის საქმის ადრე და მალე დაგვირგვინებისათვის! ამინ.

(წარმოითქვა ვაკეში 1900. X. 14)

სიტყვა
ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების სამუსიკო სკოლის კურთხევის გამო

დღეს ჩვენ შევკრებილვართ, საყვარელნო, იმ აზრით, რომ შევავედროთ მამა ზეციერს შობად განმზადებული სამუსიკო სკოლა თბილისის ქართულის ფილარმონიულის საზოგადოებისა, – ის სკოლა, რომელმაც უნდა ხელი შეუწყოს ჩვენს ქვეყანაში მუსიკის ყოვლისავე დარგის ცოდნა-შესწავლა-გავრცელებას. მართალია, იმავე საქმეს კარგა ხანია ემსახურება ჩვენში რუსეთის საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოების თბილისის განყოფილების სასწავლებელი, მაგრამ ადგილის უქონლობის გამო ხსენებული სასწავლებელი ყველა სწავლის მსურველთ ვეღარ აკმაყოფილებს. ხოლო ადამიანის სულისა და გულის განმაფაქიზებელის და განმააზნებელის მუსიკა-გალობა-სიმღერის შესწავლა ჩვენს დროს და ჩვენს ხალხს ფრიად სჭირდება, ვინაითგან, დროთა ვითარების გამო, წმიდა მოციქულის სიტყვა: **ასწავებდით და მოძღვრიდით თავთა თქვენთა ფსალმუნითა და გალობითა, და შესხმითა სულიერითა** (კოლ. 3, 16) უმრავლესობისათვის გაუგებარი შეიქმნა. საუბედუროდ, უმეტესობამ ჩვენს ქვეყანაში შეისისხლხორცა ერთგვარი მუსიკა-სიმღერა, რომელიც, სიტყვისაებრ ფსალმუნთმგალობელისა შეშვენის მხოლოდ მათ, ვინც **სმიდეს ღვინოსა** (68, 12)...

განვიხაროთ, მაშ, ამ ახალის განმანათლებელ დაწესებულების შობისათვის. წრფელის გულით შევავედროთ იგი უფალს და ვსთხოვოთ ყოვლად სახიერს, რომ მოჰხედოს სკოლასა ამას მოწყალე თვალით, ნაყოფიერ და მრავალჰყოს დღენი მისნი, განამხნეოს და განაძლიეროს მუშაკნი მისნი, განამტკიცოს მათ შორის ერთ-სულოვნობა და დაწყებულის საქმისადმი სიყვარული, და ჩვენც შეგვასწროს იმ დროს, ოდეს მათ მიერ დაარსებულის სკოლის მეოხებით ყოველნი **ვუგალობდეთ უფალსა მეცნიერებით** (ფსალ. 46, 7). ამინ.

(წარმოითქვა თვით სკოლის დარბაზში 1908. XI. 2;
,,შინაური საქმეები”, 1908, №30)

სიტყვა
ქართული თეატრის შენობის განახლების გამო

საყვარელნო! ქვეყნის შემოქმედმა ადამიანი ბედნიერებისათვის გააჩინა და ამ მიზნის მისაღწევ საშუალებად სულიერთა და ხორციელთა ძალთა ვარჯიშობა, ანუ მუშაობა დაუნიშნა. მაგრამ, შურითა ეშმაკისათა, ადამიანი სცთა და მისი ბუნება დაუძლურდა, რის გამოც მუშაობის დროს იგი იღლება და, მის განსაგრძობად, საჭიროებს ძალთა მოკრებას მოსვენებისა და შექცევა-გართობის შემწეობით. და აი, ამ საჭიროების დაკმაყოფილება თავსუდვია ხელოვნებას საზოგადოთ და თეატრსა კერძოდ. ხოლო, სამწუხაროდ, ხელოვნება ხშირად ამ მოვალეობის აღსრულებას გაურბის და ადამიანს, ცხოვრების განმაკეთილშობილებელ-განმავითარებელ გასართობის ნაცვლად, გარეგანის სიმშვენიერით შემკობილს ძლიერის საწამლავით სავსე ფიალას აწვდის და თავს მართლულობს მით, რომ იგი ცხოვრების სარკეა...

ოღონდაც, ხელოვნებამ უნდა დაგვისურათხატოს ნამდვილი ცხოვრება და მისი მახინჯი მხარე, ქვენა გრძნობათა ბობოქრობა და მრავალგვართა ვნებათა ღელვა, მაგრამ მან არ უნდა დაივიწყოს უმაღლეს ზნეობრივი მოთხოვნილება: ავს უწოდოს ავი და კარგს – კარგი, რათა ხელოვნების ტაძრითგან არ წარვიდეთ სახიდ ჩვენდა წამბილწველ-გამათახსირებელ ოცნება-წარმოდგენებით აღვსილნი, არამედ განმხნევებულნი, აღფრთოვანებულნი და განმზადებულნი ბრძოლად ბოროტისა და შედგომად კეთილისა...

მაშ, შევევედროთ ზეციურ მამას, რომ განახლებული ესე ტაძარი ხელოვნებისა ჰყოს მან ბუდედ უბიწოებისა და საყოფელად სიწმიდისა, ხოლო მუშაკთა მისთა მისცეს ძალი და სიმხნე აღძრვად და აღზრდად ჩვენში სიყვარულისა მისდამი, **რაოდენი არს ჭეშმარიტ, რაოდენი პატიოსან, რაოდენი მართალ, რაოდენი წმიდა, რაოდენი საყვარელ, რაოდენი სათნო და რაოდენი ქებულ** (ფილიპ. 4, 8)!... ამინ.

(წარმოთქვა არწრუნისეულ ქარვასლის თეატრში, სასახლის ქუჩაზე, 1908.XII.14; ,,შინაური საქმეები", 1909, №5)

სიტყვა
სათავადაზნაურო სკოლის ღარიბმოწაფეთა დამხმარე ქალთა კომიტეტის მიერ უფასო სასადილოს გამართვის გამო

საყვარელნო! ძველად ჩვენში ქალები სამშობლოს დიდ სამსახურს უწევდნენ ახალთაობის აღზრდით: გამოჩენილი და დიდი ოჯახების დიასახლისები თავიანთ კარზე თავის შვილებთან ერთად სხვის შვილებსაც ზრდიდნენ და უნერგავდნენ მათ გულში ღვთის შიშსა და სამშობლოს სიყვარულს. ამასთან ერთად, ეს ღვთისმიერ კურთხეულნი დედანი ახალთაობას ასწავლიდნენ წერა-კითხვასა და ავარჯიშებდნენ მწიგნობრობის საქმეში...

ერთის საუკუნის წინად „დაჰბერა ქარმა ჩრდილოსამ" და ძველი წესწყობილება არივ-დარივა: ახალმა დრომ ახალი საქმე გაუჩინა ჩვენს დედებს და ძველი მათი მოვალეობა გადაავიწყა იმდენად, რომ შეძლებულის ოჯახის დიასახლისნი არამცთუ სხვისი შვილებისათვის აღარ ზრუნავდნენ, არამედ საკუთარი შვილების აღზრდაც კი ჩააბარეს **სასყიდლით დადგინებულთ** (იოან. 10,12) უცხო ზნე-ჩვეულების-რწმენის გამდელებს...

მაგრამ, ნათქვამია, ქარის მოტანილს ქარივე წაიღებსო, – ამგვარ მოვლენას ადრე თუ გვიან ბოლო უნდა მოღებოდა: ნინო-შუშანიკ-თამარ-ქეთევანის ანდერძს ჩვენი დედები სავსებით ვერ დაივიწყებდნენ. და აი, ჩვენ მომსწრენი ვართ იმისი, რომ თითო-ოროლა ქართველი ქალი დაბრუნებია ძველს გზას და საგნად თავის ზრუნვისა აურჩევია ბედისაგან დაჩაგრული მოწაფენი ერთად-ერთის ქართველთა ერის დღევანდელ მდგომარეობასთან ცოტად თუ ბევრად შეხამებულის სასწავლებელისა. აქამომდე ეს პატივცემულნი დედანი ცალ-ცალკე იღვწიდნენ, ცალ-ცალკე უწევდნენ დედის მაგიერობას ამ პატარა ქართველებს და უადვილებდნენ მათ სწავლის შეძენას და ცხოვრებისათვის მომზადებას. დღეს კი მათ გადაუწყვეტიათ ურთიერთა დახმარებით და შემწეობით მოაგვარონ კეთილი საქმე. ბევრი შრომა მოელისთ მათ, შეიძლება ბევრი დაბრკოლებანიც გადაეღობოსთ, მაგრამ,

ღვთის მადლით, ვიმედოვნებთ, იგინი არ შეუშინდებიან არავითარ საფრთხეს და სძლევენ ყოველსავე დაბრკოლებას. ამის თავსმდებია ის, რომ მათ შორის სუფევს ერთსულოვნება, რომელიც შედეგია მიზნისა და საქმის სიყვარულისა. სიყვარული კი, სიტყვისაებრ წმ. მოციქულისა, **ყოველსა თავსიდებნ, ყოველსა ესავნ, ყოველსა მოითმენნ, არასადა დავარდების** (1 კორ. 13,7-8)...

მაშ, შეევევედროთ უფალსა სიყვარულისასა, რათა აკურთხოს საქმე ესე და მოსცეს მის მეთაურთ ძალი და სიმხნე დაწყებულის საქმის კეთილად გაძღოლისა და გავრცელებაგაფართოებისა! ამინ.

(წარმოითქვა სათავადაზნაურო სკოლაში 1904. XI. 21)

სიტყვა
უფასო სასადილოს მოწყობის გამო

ყმაწვილებო! ამ 20-30 წლის წინად სკოლაში სწავლა შეძლებულ მშობელთა შვილების უპირატესობას შეადგენდა, დღეს კი სულ სხვასა ვხედავთ: შეუძლებელ მშობელთა შვილებმა აავსეს სასწავლებლები. ეს სასიამოვნო სანახაობა დაჩრდილა ერთმა გარემოებამ, – სულიერის საზრდოს ძებნის დროს, ქონებრივად დაჩაგრულმა მშობლებმა ვეღარ შესძლეს ხორციელი საზრდოც მოეპოვებინათ თავიანთ შვილებისათვის, რამაც ფრიად შეაფერხა სწავლა-აღზრდის საქმე.

ამ სამწუხარო მოვლენას მიაქცია ყურადღება ყველა ქართველთა მიერ ღრმად პატივცემულ დედათა კრებულმა და დაუღალავის შრომით მოგიპოვათ უზრუნველი პური არსობისა...

ეს თქვენთვის თავდადებულნი დედანი იმედოვნებენ, რომ თქვენ კარგის სწავლით და უკეთესის ყოფაქცევით აუსრულებთ მათ მოლოდინს და შესძენთ დაბეჩავებულს სამშობლოს განათლებულ და სასარგებლო მუშაკთა. ამინ.

(წარმოითქვა ქართულ გიმნაზიაში
1912. X. 2; ,,განათლება" 1912, №8)

სიტყვა
უნივერსიტეტის გახსნის დღეს
კათოლიკოს-პატრიარქის კირიონის
ქართულ გიმნაზიაში შებრძანების გამო

თქვენო უწმიდესობავ, უწმიდესო და უნეტარესო მამამთავარო!

ამ ტაძარს, რომლის საყდარზედაც შენ ისწრაფი უსისხლო მსხვერპლის შეწირვას, მეოხად ჰყავს აფხაზთ-ქართველთა მეფე წმიდა დავითი. პატარა ქართველთა უახლოეს მფარველად შემთხვევით როდია აღრჩეული მეფე-აღმაშენებელი! მომავალის თაობის აღმზრდელთა და მზრუნველთ **გულით სწამდათ და პირით აღიარებდნენ**, რომ წმიდა დავითის მადლით, მის მიერ ერთხელ აღშენებული საქართველო კვლავ აღშენდებოდა და აჰყვავდებოდა...

სასოება ესე, მიუხედავად ჩვენზედა მოწევნულისა ცეცხლისა და მახვილისა, სიყმილისა და სრვისა თანდათან გვიძლიერდება, – წმიდის დავითის სახლსა ამას შინა დასადგურების შემდეგ საქართველომ იწყო შენება: ასექვს წელს ტყვეობაში მყოფი საქართველოს ეკლესია კვლავ თვითთავადი გახდა, ნაწილ-ნაწილად დაყოფილნი და დაქსაქსულნი ძენი მისნი ურთიერთთან შეთანხმდნენ და საქართველოს დამფუძნებელის კრების სამზადისში არიან. გადაგვარებული სკოლა **მოეგო თავსა თვისსა** და დღეს ქართულის უნივერსიტეტის საფუძველის ჩაყრით დაგვირგვინებულ იქმნების! მოკლედ, – ისტორია მეორდება და დავით აღმაშენებელის დრო გვიბრუნდება...

მხიარულ იყავ, კვლავ თვითთავადის ეკლესიის საჭეთმპყრობელობით სამშობლოს განთავისუფლების წინამორბედო, კადნიერებით შემოვედ სავანესა ამას დავით აღმაშენებლისასა და გულმოდგინედ შეგვავედრე ყოვლის შემძლებელს, რათა მოვესწრნეთ წმიდის თამარის დროის მოსლვასაც... ამინ.

(წარმოითქვა ტაძრის კარისბჭეში
1918. I. 26; ,,საქართველო”, №25)

სიტყვა
კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის მიმართ სამოძღვრო სასწავლებელის გახსნის გამო გადახდილ პარაკლისის დროს

თქვენო უწმიდესობავ!

დღეს სრულდება დასაწყისი საქართველოს თავისუფალ ეკლესიის ხუთი წლის მოლოდინისა: დღეს იხსნება კათოლიკოზ-პატრიარქის ლეონიდის სახელობის სამოძღვრო სასწავლებელი, ეს ჩვენი ერის ცხოვრებაში უბადლო სწავლა-აღზრდის ტაძარი...

მართალია, წარსულში ჩვენ გვქონდა აკადემია-სემინარიები იყალთო-გელათში და თელავ-ტფილის-ქუთაისში, მაგრამ ის სასწავლებლები არსებითად განირჩეოდნენ ჩვენის, შობად განმზადებულის სასწავლებელისაგან: ისინი იძლეოდნენ სპეციალურ ცოდნასთან ერთად საზოგადოსაც და არსებობდნენ სახელმწიფოს მეოხებით თუ არა, მისგან მძლავრის დახმარებით მაინც, – ჩვენი სასწავლებელი კი პირდაპირ პროფესიონალურია და იმედოვნებს იარსებოს თვითთავადი ეკლესიის საკუთარი ძალღონით...

თავისთავად ცხადია, ჩვენ მოგველის მრავალი დაბრკოლებანი, მაგრამ ჩვენ ეს არ გვაშინება: უმთავრესი დაბრკოლება დაძლეულია, – სასწავლებელი უზრუნველყოფილია გამოცდილ-დახელოვნებული მასწავლებლებით, რომელნიც შეკავშირებულნი არიან მტკიცე სურვილით, მისცენ მშობლიო ეკლესიას დედა ენაზე მომზადებულნი, სპეტაკი ზნეობის სიტყვით და საქმით მქადაგებელნი მოძღვარნი...

ნაკლებად არის ჩვენი სასწავლებელი უზრუნველყოფილი მოწაფეთა რაოდენობით: სიაში აღნიშნულ 12-ითგან დღეს გამოცხადდა მხოლოდ 4, მაგრამ ჩვენ გულს მაინც არ ვიტეხავთ: ქრისტე მაცხოვრის მოწაფეთა რაოდენობა პირველად განისაზღვრებოდა ორი ადამიანით...

უფრო ნაკლებად არის იგი უზრუნველყოფილი ნივთიე-

რად, მაგრამ ჩვენ არც ამას უშინდებით: ვინც ზრუნავს მფრინველთათვის ცისა და შროშანთათვის ველისა, ის არ მოაკლებს თავის მადლსა და მფარველობას მოციქულებრივი სიყვარულით გამსჭვალულ მოღვაწეთ...

ამ იმედით შევცქერით ჩვენ, მეუფეო წმიდაო, მომავალს და ვსასოებთ, თქვენი უწმიდესობა დაუთმობთ ეკლესიის სიყვარულით აღსავსე გულში შესაფერ ადგილს საქართველოს ეკლესიის მომავალ დედა ბოძს...

ქრისტე აღდგა!

(წარმოითქვა საკათოლიკოსო საბჭოს დარბაზში
1922. IV 27 [ცინცაძე 97, ფ. 88])

საზოგადოება და პოლიტიკა

ს ი ტ ყ ვ ა
სომეხ-თათართა ბაქოში შეტაკების დროს მოწყვეტილ მართლმადიდებელთა მოსახსენებელად გარდახდილ პანაშვილდის გამო

საყვარელნო! **დასაბამითგან კაცისმკვლელმან** (იოან. 8,44) **ცეცხლი და წუმწუმა** (შექ. 19, 24) მძულვარებისა აწვიმა ძმათა შორის კუპრისა და ნავთის მფრქვეველ ქალაქში და რაოდენიმე დღის მიმდინარეობაში მღელვარე კასპიის ნაპირას განამეფა „განძვინვებული სიკვდილი“. უბრალოდა და უდანაშაულოდ მომაკვდავთა გულითგან აღმონახეთქმა შემაძრწუნებელმა გმინვამ მოაღწია ჩვენის მხარის დედაქალაქადმდე, რომლის შეგნებულ შვილებმა მყის მიმართეს სულიერ მამათა და მოძღვართ მძულვარების, განხეთქილების და მკვლელობის მოსასპობად, – და არც მოსტყუვდნენ: ერთა სულიერ ხელმძღვანელთ აღიმაღლეს ხმა და შესწყდა მკვლელობა, ჩამოვარდა მშვიდობა, განჰქრა მძულვარება! ძმურის სიყვარულით აღფრთოვანებული ხალხი, განურჩევლად წოდებისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა, შეკრებილა ტაძრებში და, თუ ერთ დღეს მართლმადიდებელნი ავედრებენ უფალს „ბაქოსა

შინა მოწყვედილ გრიგორიანთა და მუსულმანთ“, მეორე დღეს მუსულმანები და გრიგორიანები ლოცვა-კურთხევით იხსენიებენ შესვენებულ მართლმადიდებელთა...

ეს საზოგადო სინანული, ეს ჭირთა შინა თანაგრძნობა, ეს ურთიერთთა **სიმძიმეთა ტვირთვა** (გალ. 6,2) იმედოვანგვყოფს, რომ 1904 წლის წინად ანგელოზთა მიერ უწყებული **მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება** (ლუკ. 2,14) ნელ-ნელა ფეხს იკიდებს ჩვენში, რომ მოახლოებულ არს დრო, ოდეს **ეფრემ არა ეშურვოს იუდას და იუდამან არა აჭირვოს ეფრემს** (ის. 11,13), რომ მოვალს ჟამი, ოდეს სხვადასხვა სარწმუნოების მწყემსნი და წინამძღვარნი მიიყვანენ პირმეტყველ ცხოვართ მწყემსისა კეთილისადმი, **რათა ისმინონ ხმისა მისისა, და იყვნენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს** (იოან. 10,16)!...

იყავნ, უფალო, იყავნ!

(წარმოითქვა ქვაშვეთში 1905. II. 20)

ს ი ტ ყ ვ ა
ბატონ-ყმობის მოსპობითგან 50 წლის შესრულების გამო

ყმაწვილებო! წელთა და ჟამთა მიმდინარეობამ ისე მოაწყო ღვთის მსგავსად და ხატად შექმნულ ადამიანთა უმრავლესობის ბედიღბალი რუსეთში, რომ უმცირესობამ დაიმორჩილა უმრავლესობა, წაართვა ღვთის მიერ მინიჭებული უფლებანი და გაიხადა თავის სურვილთა და გულისთქმათა აღმასრულებლად. ეს საზიზღარი და ქრისტეანეთათვის სამარცხვინო წესწყობილება რყვნიდა და ათახსირებდა ორთავე წოდებას: ბატონები შეეჩვივნენ თვითნებობას, გულქვაობას და მუქთახორობას, ხოლო ყმანი, – ცბიერებას, სიზარმაცეს და სიცრუეს. ამის გამო, კაცთა ბედნიერების ქვაკუთხედი – ურთიერთას სიყვარული ორთავე წოდებისათვის შეიქმნა გაუგებარი და გამეფდა მათ შორის სიმძულვარე, რომლის საკურთხეველზედ დაინთხა მრავალთა სისხლი და უმრავლესთა ჰლამობდა დანთხევას...

ეს სახელმწიფოსა და ქვეყნის დამღუპველი წესწყობილება კარგად შეიგნო და გაითვალისწინა ღვთივგვირგვინოსანმა იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ და 1861 წლის თებერვლის ცხრამეტს, სწორედ იმ დღეს, როდესაც წმიდა ეკლესია დღესასწაულობს პირველის ყმათაგანმათავისუფლებელის ადამიანის, წმიდა მოციქულის ფილიმონეს ხსენებას, გამოსცა ბრძანება, რომლის ძალითაც ბატონ-ყმობა მოსპობილ იქმნა რუსეთში და მცხოვრებთა უმრავლესობას მიენიჭა უფლება საკუთარის ბედნირებისა და წარმატების გზაზედ სლვისათვის ზრუნვისა...

მოიგონებს რა ახლანდელი თავობა ამ ჭეშმარიტად ქრისტეანულ ბრძანებას იმპერატორის განმათავისუფლებელისას, იგი მთელის იმპერიის სივრცეზედ აღავლენს დღეს მადლობის ნიშნად გულმხურვალე ვედრებას მისის სულის განსვენებისათვის, და ჩვენც მისთვის შევკრებილვართ აქ ამ ჟამად, რომ მივიღოთა მონაწილეობა საზოგადო ლოცავში, შევავედროთ უფალს სული დიდებულის ადამიანისა და ვითხოვოთ მისთვის საუკუნო ხსენება. ამინ.

(წარმოითქვა ქართულ გიმნაზიაში
1911. II. 18; „განათლება“ 1911, №4)

სიტყვა
კავკასიის ჯარის შემოსეულ ოსმალოს მხედრობაზე გამარჯვების გამო

საყვარელნი! ამ საშინელ ომით გამოწვეულ დარდითა და მწუხარებით ისედაც შეიწრებულთ, რამდენიმე დღის წინად მწუხარება გაგვიორკეცდა: კარს მოდგომილი მტერი საზღვარს გადმოსცდა, ქვეყანას შემოესია და ცეცხლითა და მახვილით ჩვენის დედაქალაქისაკენ გამოექანა... გონება დაგვეხშო, გრძნობა დაგვიჩლუნგდა, – ხსნის მოპოვებას გაქცევით ვაპირებდით...

სწორედ ამ დროს სოფლის ჭეშმარიტმან მხსნელმან, **მზემან სიმართლისამან** და **ვარსკვლავმან იაკობისაგან** (მა-

ლაქ. 4,2; რიცხ. 24,17) მისის განხორციელების დღისათვის გულნი განგვიტფო და მომავალის წყვდიადში იმედის სხივი გამოგვიშუქა, – ქრისტეს მოსავმა მხედრობამ მტერი უკუაქცია და საშობაო ზღვენი მოგვართვა...

მივსცეთ, წმიდის მოციქულის მცნების თანახმად, **მადლი ღმერთსა** და შევევედროთ, **მარადის მძლეველ გვყოს ჩვენ** მტერთა ზედა **ქრისტეს იესოს მიერ** (2 კორ. 2,14)... ამინ.

(წარმოითქვა თავადაზნაურთა საკრებულოს
დარბაზში 1914. XII. 24)

ს ი ტ ყ ვ ა
ქართველ მოხალისეთა რაზმის საომრად გამგზავრების გამო

მამულისშვილნო! უფალმან მგზავრობა თქვენი აკურთხოს, მარჯვენე განაძლიეროს, მედგარი მტერი უკუგაქცევინოსთ და შინ მშვიდობით დაგაბრუნოსთ!..

გვიხარის, რომ ქვეყნის დასაცველად მიემგზავრებით საკუთარის სურვილით და არა იძულებით: ამით მიემსგავსებით მამაპაპებს, იმ ძველ მდევ-გმირებს, რომელთა დროშაზედ დიდის ასოებით ეწერა, – **ქვეყნის კეთილდღეობისათვის თავის გაწირვა და თავისუფლებისათვის სულის დადება**. აკი ამის გამო შეგვინახეს და გადმოგვცეს ეს სამოთხის მსგავსი ქვეყანა, რომელსაც დღეს კარს მოსდგომია მტერი და აკლებასა და აწიოკებას უპირებს!..

ნუ იყოფინ! ნუ შევრცხვებით წინაპართა წინაშე, ნუ დავინანებთ სიცოცხლეს მამულის საკეთილდღეოდ, ნუ დავიწყებთ დიდებულის შოთას სიტყვებს, – სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი!..

დედაღვთისა, რომლის მხვედრია ქვეყანა ესე, იყოს თქვენი მფარველი, ხოლო მთავარმოწამე და ღვაწლითშემოსილი გიორგი შემწე და წინამძღომელი... ამინ.

(წარმოითქვა მესანგრეთა ყაზარმის ეზოში 1915. I. 25)

ეპიტაფიები

ს ი ტ ყ ვ ა
ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშთის განჯითგან გადმოსვენების გამო

მეცნიერებაჲ იგი ღმრთისაჲ ცხად
არს... რამეთუ უხილავი იგი მისი...
ქმნულთა მათ შინა საცნაურად იხილვების...
სამარადისოჲ იგი ძალი მისი და ღმრთეებაჲ
(რომ. 1. 19-20)

აჰა, წინაშე ჩვენსა ნეშტი ნიკოლოზ ბარათაშვილისა, რომლის პიროვნების სიდიადეს ჩვენ თუმცა ვგრძნობთ, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ გამოგვირკვევია, – ვსასოებთ, ახლო თუ არ არის, შორს მაინც არ უნდა იყვეს ის დრო, როდესაც ბარათაშვილს შევისწავლით, შევიგნებთ და ჯეროვან ადგილს მივაკუთვნებთ ჩვენი ერის „უკვდავთა“ შორის... დღეს კი, საყვარელნო, თქვენს ყურადღებას მივაქცევ ერთ გარემოებას!...

ჩვენ ვიცით, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი მოღვაწეობდა მიმდინარე საუკუნის 30-40-იან წლებში, რომ იგი დაახლოებით გაცნობილი იყო რუსეთის თანამედროვე მოწინავე მწერლებთან და მათთან ერთად განიცდიდა იმდროინდელ ევროპიელ მწერალთა კერპის, ბაირონის გავლენას. ამ გავლენის ქვეშე მყოფი მწერლები კი, თუ პირდაპირ არ უარყოფდნენ ქრისტეანულ მსოფლიომხედველობას, ყოველსავე შემთხვევაში გულცივად და გულგრილად ეპყრობოდნენ სარწმუნოებას და მას, ვისთანაც გვაკავშირებს სარწმუნოება... ზემონათქვამის შემდეგ, თუ დავაკვირდებით ბარათაშვილის ნაწერებს, ცხადად დავინახავთ განსვენებულის ნიჭის თავისებურებას და იმ განსხვავებას, რომელიც არსებობდა ბარათაშვილსა და მის თანამედროვე მწერალთა შორის, – მაშინ როცა სხვები ვერ ასცდნენ „სასოწარკვეთილი“-ს პოეზი-

ის ნაკლულოვანებას, ბარათაშვილმა განაშვენა და განასპეტაკა ეს პოეზია, ფრთები შეასხა და სული ჩაუდგა მას.

საზოგადო მიმართულება „სასოწარკვეთილი“ მწერლებისა გამოიხატებოდა გაურკვეველ საგნის ამაოდ ძებნით შექმნილ სევდასა, ნაღველსა და ცრემლებში, და ბოლოვდებოდა უიმედობით... თავისებურ შვებასა და ნუგეშს ისინი განიცდიდნენ მხოლოდ ბუნების წიაღში, რომლის გარეშე არც არა სწამდათ, არცა რა სჯეროდათ!..

პირველი შეხედვით, ნიკოლოზ ბარათაშვილი არ განირჩევა ამგვარი მწერლებისაგან: როგორც ისინი, ბარათაშვილიც ხშირად გრძნობს, რომ ის არის

„ნაღვლიანი“,
„მწუხარ და სევდიანი“,

რომ მას თან დააქვს

„ჩუმი ნაღველი“,
„განიცდის საწუთროს ვნებას“,
„მარტოობას სულისას“,
„არღარა აქვს მას ნდობა სოფლის“,

რის გამოც „მას ელტვიან სიამენი სოფლისა“,
არის „მწირი სოფლისა, დამაშვრალი მისითა ღელვით“,
„წარეღო მას მშვიდობა სულისა“,
„აღერია წრფელი ზრახვანი“,
დაშთენია: „კვნესა გულისა“.

როგორც „სასოწარკვეთილნი“, ისე ბარათაშვილიც ბუნებაში ეძიებს ნუგეშს:

„სევდიანი ფიქრთ გასართველად“,
მიდის „წყალის პირს“
და მუნ „ეძიებს ადგილს განსასვენებლად“.
„იქ ლბილს მდელოზედ სანუგეშოდ
ინამებს ცრემლით“
და: „იდაყვ-დაყრდნობილ ყურს უგდებს
წყლისა ჩხრიალსა“!...

მაგრამ „მოდუდუნე მტკვარი“ აღუძრავს პოეტს მეტად მწარე ფიქრებს, რის გამო იგი აკვირდება ადამინათა ცხოვრებას და რას ხედავს?!

„ჩვენი ცხოვრება“
„იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება...“
„თვითონ მეფენიც..., რომელთ უმაღლეს
ამა სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება,
შფოთვენ და დრტვინვენ“,
და „აღიძვრიან იმავ მიწისთვის,
რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!“
„მაგრამ თუ ერთხელ უნდა სოფელს ბოლო მოეღოს,
მაშინ ვიღამ სთქვას მათი საქმე,
ვინ სადღა იყოს”?!

როგორც ვხედავთ, ბარათაშვილი ახლოა, აიღოს ხელი ყოველსავე რწმენაზე, მზად არის, წარიკვეთოს იმედი... მაგრამ ამგვარი დასკვნა შეცდომა იქნება: ყოველივე ზემოაღნიშნული პოეტს ათქმევინა „ანკარა მტკვარმა“, რომლის ზვირთებს ფრიად წააგავს მსწრაფლწარმავალი და ცვალებადი ჩვენი ცხოვრება... ნამდვილად კი შემოგარე ბუნებაში მგოსანს სხვა „მეგობარიც“ ჰყავს, რომელსაც მიმართავს ხოლმე, ოდეს გულს მოაწვება „ვაება“ და „დაეხურება“ იგი:

„ჰოი, მთაწმიდავ, მთაო წმიდავ, ადგილნი შენნი...“
„ვითარ შვენიან, როს მონამენ ცვარნი ციურნი,...“
„რა სანახავი წარუტყვეს თვალთა მაშინ შენს ტურფას
სერზედ მდგომარეს!
ძირს გაშლილს ლამაზს ველსა ყვავილნი მოჰფენენ, ვითა
ტაბლას წმიდასა,
და ვით გუნდრუკსა სამადლობელსა, შენდა აღკმევენ
სუნნელებასა...“

ესრეთ ჰშვენის წმიდა მთა, მაგრამ მის მწვერვალზე ასული ბარათაშვილის გონება არ კმაყოფილდება ამ მშვენებით, არამედ

„ფიქრი მისნი ცისადმი მიისწრაფიან“

და ამისათვის იგი მიმართავს ცას:

„მე, შენსა მჭვრეტელს, მავიწყდების საწუთროება.
გულისთქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურს,
ზენაართ სამყოფთ, რომ დაშთოს აქ ამაოება...“

აი, აქ წყდება კავშირი ნიკოლოზ ბარათაშვილსა და იმ

მწერლებს შორის, რომელთა წრეს იგი ეკუთვნის: უკანასკნელნი ბუნების იქით ვერა რას ხედვენ, ნ. ბარათაშვილი კი ბუნებაში და ბუნების შემწეობით ეძიებს და პოულობს მას, ვისაც ძალუძს შვების მიცემა:

„მთაო ცხოველო,...
ვინ მოგიხილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შვება
არა იპოვნოს და არ დაჰხსნას გულსა ვაება.“

ამ სახედ, ნ. ბარათაშვილმა, წმიდა მოციქულის სიტყვის თანახმად (რომ, 1, 19-20), ბუნება აღიარა ხმად ღვთისა კაცთა მიმართ, წიგნად, სადაც ამოიკითხა, რომ შვება და ლხენა შეუძლია მიანიჭოს ადამიანის გულს მხოლოდ მან, ვინც არის მიზეზი ბუნების და თვით ადამიანის გაჩენისა, რის გამო პოეტი გულმხურვალედ მიმართავს ყოვლადმოწყალეს შემდეგის ლოცვით:

„ღმერთო მამაო, მომიხილე ძე შეცთომილი
და განმასვენე ვნებათაგან ბოროტ-ღელვილი!“
„ცხოვრების წყაროვ, მასვ წმიდათა წყალთაგან შენთა,
დამინთქე მათში სალმობანი გულისა სენთა!
არა დაჰქროლონ ნავს ჩემსა ქართა ვნებისა,
არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა!“

ყოვლადმოწყალემაც შეისმინა მგოსნის ვედრება და უჩვენა ადგილი, სადაც ადამის შვილს შეუძლიან მოიპოვოს განმაცოცხლებელი და ნუგეშინის-მცემელი ძალა:

„ვპოვე ტაძარი, – ამბობს პოეტი, – შესაფარი,
უდაბნოდ მდგარი;
მუნ ენთო მარად უქრობელი წმიდა ლამპარი“...
„მწირი სოფლისა, დამაშვრალი მისითა ღელვით,
მუნ ვეძიებდი განსვენებას წრფელითა ზრახვით“.
„გულსა, მოკლულსა...
ლამპარი წმიდა განმიტფობდა ციურის სხივით!“
„მუნ გუნდრუკის წილ
შევსწირავდი წმიდას სიყვარულს...“
„ამა სიამით, ნეტარებით, ესრეთ აღვსებულს,
მეგონა, ვხედავ სასუფეველს, აქ დაშენებულს!“

ამნაირად, როცა ბარათაშვილის წრის მწერლები გაურ-

ბოდნენ ტაძარსა და მის სიწმიდესაც, ჩვენი უკვდავი მგოსანი სწორედ აქეთ მოეშურებოდა „ჭმუნვარების განსაქარვებ-ლად“, აქ პოულობდა გონება მისი „სადგურს მყუდროები-სას“, აქ ეძღვნებოდა მის „გულსა შვება“ და ამიტომაც იგი იწვევს მთაწმიდისა და ტაძრისაკენ ყველას, ვის აღერივნენ „წრფელნი ზრახვანი“, ვის „ჭმუნვარება შემოესევის“, ვინც „დამაშვრალა სოფლისა ღელვით“, ვინც დაუკარგა „მშვიდო-ბა სულსა“, ვინც ცხოვრების გზაზედ იგრძნო „შემოღამება“, – რომ აქ მოიძიონ შემოგარე ბუნების

„იქითი სადგური“,

„ზენარი სამყოფი“,

„დაივიწყონ საწუთროება“,

მიიღონ სულისა და გულის აღმაფრთოვანებელი საუკე-თესო მომავლის იმედი, –

„გათენდება დილა მზიანი

და ყოველს ბინდსა ის განანათლებს!“...

ამ იმედით განირჩევა ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის წრის მწერლებისაგან; ამ თვალით შესცქერის იგი, ვით ჭეშ-მარიტი ქრისტეანე, შემოგარე ბუნებას და ამ თვალთახედვი-თი ისრით აღჭურვას გვასწავლის ჩვენ.

სწორედ ამისთვის თაყვანსა სცემს „ბედის სამზღვრით-გან“ დღეს „მშობელ მამულში“ მოსვენებულს მის ნეშტსა ეს მოზღვავებული „ნათესავთ“ კრებული და მადლიერის გულის სიღრმითგან ღაღადებს: საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, სულ-მნათო მგოსანო და იშვიათო მასწავლებელო! ამინ!

(წარმოითქვა დიდუბეში 1893. IV. 25)

ს ი ტ ყ ვ ა
გიორგი დავითის ძის ქართველიშვილის გარდასვალების გამო

ნეტარ არს გზა ეგე, რომელსა წარმართებულ ხარ შენ დღეს, რამეთუ ადგილი განსასვენებელი მოგელის შენ.

სამწუხაროა სიკვდილი ყოველი ადამიანისა, მაგრამ უფრო სამწუხაროა იგი მაშინ, როცა მიცვალებული ჩვენი კეთილი და მახლობელია. ამისთვის, გავიგებთ რა სიკვდილს ჩვენის მოძმისას და საყვარელ ადამიანისას, მივეცემით ხოლმე დიდს მწუხარებას და გლოვასა, ვიშსა და ვაებასა. ხანდისხან ჩვენი მწუხარება იმდენად დიდია, რომ ორში ერთსა ვრჩეობთ და წრფელის გულით ვიტყვით ხოლმე: ან ეს რად მოკვდა, ან ჩვენ რაღად დავრჩითო; უმჯობესი იქმნებოდა, ჩვენც ამასთან ერთად დავხოცილიყავითო, ანდა, – ნეტავი ჩვენ მოვმკვდარიყავით და ეს ცოცხალი ყოფილიყოვო. ამას გვალაპარაკებს არა ფარისევლური ანგარიში რაიმე, არამედ ჭეშმარიტი სიყვარული მიცვალებულისა...

ერთი სიტყვით: სიკვდილი საყვარელის და მახლობელის არსებისა იმდენად თავშესაზარია, რომ ჩვენ თითქოს გვავიწყდება კიდევაც, – ვინა ვართ ან რანი ვართ?! გვავიწყდება, რომ ვართ კაცნი, სიკვდილის შვილნი, მიწითგან შექმნილნი და მიწადვე მიქცევადნი! შეიძლება თქვას ვინმემ: ეს ასეც უნდა იყოსო, სიკვდილს სიხარულით ხომ არ უნდა მივეგებნეთო, მაშ სიკვდილი საშიშარი აღარ ყოფილაო?! თუ გამოვარკვევთ საგანს, თუ ანგარიშს მივცემთ ჩვენს ჭკუასა და გონებას, მაშინ მართლადაც დავრწმუნდებით, რომ სიკვდილი სამხიარულო თუ არ არის, არც თუ საშიშარია!..

რა არის სიკვდილი, საითგან და როგორ წარმოდგა იგი? ამ შვიდი ათასის წლის წინად ღმერთმა შექმნა კაცი **ხატად თვისად**, ხოლო **მსგავსება** ღვთისა თითონ კაცს უნდა მოეპოვებინა და, თუ იგი მოიპოვებდა მსგავსებას ღვთისას, მაშინ შეიქმნებოდა ხორციელადაც უკვდავი. მაგრამ კაცმა არ ინება თავითგანვე შესდგომოდა გზას, რომელიც მიიყვანდა

მას ღვთის მსგავსებადმდე, – არ ინება სულიერი შრომითა და ღვაწლით მოეპოვებინა ხორციელებრივი უკვდავება! მან მოინდომა პირდაპირ გაღმერთება, მოინდომა ის, რაც მისთვის მიუწთომელი იყო, და ამისთვის საწადელს ვერ მიწვდა, დაკარგა კი მშვიდობა სულისა და სიმრთელე სხეულისა, დაავადმყოფდა, დასნეულდა. ამის შემდეგ, რაღა საჭირო იყო სნეულისა და ავადმყოფის კაცის ხორციელებრივი უკვდავება, ან ამ პირობებში უკვდავება ემჯობინებოდა კი სიკვდილსა?! დიაღაც, რომ არა, და ამისთვის ყოვლადმოწყალე ღმერთმა კვალად მოუვლინა კაცს მოწყალება თვისი და უბრძანა: ვინაითგან შენი ხორციელებრივი უკვდავება სულიერი და ხორციელი ტანჯვა იქმნება შენთვისო, ამისთვის – **მიწა ხარ და მიწადვე მიიქეციო**. აი დღე, რომლითგანაც სიკვდილი ფლობს ყოველთა კაცთა ზედა და ყოველი და ყოველივე ემორჩილება მას...

როგორც ხედავთ, საყვარელნო, სიკვდილი არამც თუ სავალდებულო ყოფილა კაცისათვის, არამედ საჭირო და სანატრელიც. მაშ რაღად ვტირით და რაღად ვგოდებთ? იქმნება ვტირით და ვგოდებთ მისთვის, რომ გვეშინია: ვაი თუ საუკუნოდ დავკარგეთ ჩვენი ძვირფასი და საყვარელიო, ვაი თუ ვეღარ გვეღირსოს მისი ნახვაო? დიახ! ყველაზედ საშიშარი და შესაზარი სწორედ რომ ეს შიშია! თუ მოყვასი და ძვირფასი ჩვენი გვშორდება საუკუნოდ, თუ იმას ვერასოდეს ვეღარ ვიხილავთ, თუ ის დაიკარგა ჩვენთვის სამარადისოდ, თუ ის შეუერთდა მიწას ისე, როგორც კვამლი შეუერთდება ხოლმე ჰაერსა და იქ ქრება, მაშინ სიკვდილზედ უსაშინელესი და კაცზედ უუბედურესი აღარა ყოფილა რა ქვეყანაზე. მაგრამ, არა, ამის წინააღმდეგია თვით ჭკუა და გონება კაცის, რომელნიც ვერ ურიგდებიან ამ აზრსა; ამისივე წინააღმდეგია თვით ენა, რომელიც სიკვდილს უწოდებს განსვენებას, მიძინებას; ამის წინააღმდეგია თვით საღმრთო წერილი, რომელიც ჰბრძანებს: **არა გვნებავს უმეცრება თქვენი, ძმანო, შესვენებულთა მათთვის, რათა არა სწუხდეთ, ვითარცა იგი სხვანი, რომელთა არა აქვთ სასოება; რამეთუ უკეთუ გვრწამს, ვითარმედ იესო მოკვდა და აღდგა, ეგრეცა**

ღმერთმან შესვენებულნი იგი იესოს მიერ მოიყვანნეს მისთანა (1 თესალ. 4. 13-14) და კვალად: **ამინ, ამინ გეტყვი თქვენ, რამეთუ რომელმან სიტყვანნი ჩემნი ისმინნეს და ჰრწმენეს მომავლინებელი ჩემი, აქვნდეს მას ცხოვრება საუკუნო, და სასჯელსა იგი არა შევიდეს, არამედ გარდაიცვალოს იგი სიკვდილისაგან ცხოვრებად** (იოან. 5. 24). აქეთგან ცხადად ჩანს, რომ ეს შიშიც უსაფუძვლო ყოფილა: კაცი კი არ კვდება, კი არ ისპობა, არამედ გარდაიცვლება სიკვდილისაგან ცხოვრებად, ე. ი. სიკვდილის საშვალებით გარდასახლდება საცხოვრებელად სასუფეველსა ღვთისასა. და ამისი თავმდები არის თვით მაცხოვარი ჩვენი, უფალი იესო ქრისტე, რომელიც მოკვდა და აღდგა და აღადგენს ყოველსავე მორწმუნესა მისსა...

კვალად იტყვის ვინმე: ვიცი, კარგად ვიცი, სიკვდილი თვით იმისთვის, ვინც მოკვდა, განსვენებაა შრომისა და მწუხარებისაგან, ვაებისა და ბოროტებისაგან, სასიამოვნო მიძინებაა; ისიც ვიცი, რომ ძალითა ღვთისათა იგი კვალად აღდგება თვისივე სხეულით და მოყვასნი და მახლობელნი ვიხილავთ ერთმანეთს და მივეცემით შვებასა და სიხარულსა განუსაზღვრელსა, მაგრამ გულსა და სულს გვიწუხებს ის, რომ ადრე იყო სიკვდილი მისი, ჯერ კიდევ საჭირო იყო იგი მოყვასისა და ოჯახისათვის. ხშირად გვესმის, ხოლმე, ამგვარი საყვედური და თითქოს საფუძვლიანიც არის ის. ვინ არ იცის, მაგალითად, თუ რამდენად სასარგებლო ადამიანი იყო აწ განსვენებული გიორგი დავითის ძე: ღვთისა და ეკლესიის მოყვარე, მამულისა და სამშობლოს ერთგული, ოჯახისა და ცოლშვილისათვის თავდადებული, განათლებისა და მწიგნობრობის მოტრფიალე, მღვდელთა და მონაზონთა პატივისმცემელი, ქვრივთა და ობოლთა განმკითხველი, პატიოსნებით აღსავსე, დაუღალავი მუშაკი და საუკეთესო წარმომადგენელი ძველის ქართველის დარბაისელი მამაკაცისა. ვის გულს არ მოხვდა ცივად ამბავი ამის სიკვდილისა, ვის არ ეუცხოვა გარდაცვალება ამისი? ყოველივე ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ ვინა ხარ შენ, ადამიანო, რომ იყვედრები და უკმაყოფილებას აცხადებ წინააღმდეგ მისა, რომელმანაც **გა-**

ნაჩინნა დაწესებულნი ჟამნი და საზღვარის დადებანი დამკვიდრებისა პირსა ზედა ქვეყანისასა ყოველთა ნათესავთა კაცთასა (საქ. მოც. 17, 26) და რომელიც ფლობს ცხოველთა და მკვდართა ზედა. ნუთუ გგონია შენ, ადამიანო, რომ ის პირნი, რომელნიც საჭიროებენ აწ განსვენებულის სიყვარულსა და ტრფიალებას, შენთვის უფრო მახლობელნი არიან, ვინემ მისთვის, ვინც გააჩინა და დაჰბადა იგინი? ნუთუ დაობლებულისა და შეწუხებულის ოჯახის შემწე და ნუგეშინისმცემელი ხარ შენ და არა ის, ვინც **მფრინველთა ცისათა, რომელნი არა სთესვენ, არცა მკიან, არცა შეიკრებენ საუნჯეთა, ზრდის** (მატთ. 6, 26)?! მაშასადამე, დღეთა ცხოვრებისა ჩვენისათა მფლობელი, ქვრივთა და ობოლთა პატრონი და შემწე ღმერთია და მან, **მამამან ჩვენმან ზეცათამან, იცის რაჲ გვიხმს ამათ ყოველთაგან** (მატთ. 6, 32), უწყის, რა უმჯობესია ჩვენთვის, სიკვდილი თუ სიცოცხლე, ობლობა თუ დედმამიანობა, სიქვრივე თუ ცოლოსნობა-ქმრიანობა. ამისთვის, მწუხარება და ტირილი, ვიში და გოდება არის საჭირო არა მიცვალებულთათვის, რომელთა ქრისტეს მიერ მიიძინეს და განისვენეს, არამედ ჩვენთვის და ცოდვათა ჩვენთათვის, რომელთა სიმრავლე აღდგება წინაშე ჩვენსა და ვერ შესაძლებელად ჰყოფს ჩვენდა შემთხვევად წმიდათა შორის განსვენებულთა მოყვასთა და მახლობელთა ჩვენთა. აი ეს არის და უნდა იყოს კიდევაც ჩვენთვის სამწუხარო და სატირალი და სხვა კი არა რა.

მაშ, საყვარელნო, მივმართოთ მხურვალე ლოცვით ყოვლად მოწყალესა ღმერთსა, რათა მან, სახიერმან, აღხოცოს ყოველნი ცოდვანი და უსჯულოებანი აწ შესვენებულისა მონისა თვისისა გიორგისა და დააწესოს სული მისი წიაღთა შინა აბრაამ, ისააკ და იაკობისათა; ხოლო ჩვენ, დაშთომილნი საწუთოსა ამას სოფელსა, გვიხსნას ყოვლისაგან ჭირისა, რისხვისა და იწროებისა, სამართლად ჩვენ ზედა მოწევნულისა. ამინ.

(წარმოითქვა დიდუბეში 1901. IX. 30; ,,მწყემსი", 1901, №20)

ს ი ტ ყ ვ ა

ილიას გარდაცვალების გამო

მოიხსენენით წინამძღვარნი იგი თქვენნი...
და ჰბაძევდით სარწმუნოებასა მათსა (ებრ. 13. 7)

გვამცნობს მოციქული პავლე და ჩვენც, აღმასრულებელნი ამა მცნებისა, შევკრებილვართ დღეს ილიას სულის მოსახსენებელად. წინადაც მრავალჯერ შევკრებილვართ ამ ტაძარში ამა თუ იმ პატივცემულის პირის სულის მოსახსენებელად, მაგრამ ასეთი მწუხარება ვერ შეგვიმჩნევია: დღეს, დიდს თუ პატარას, ქალსა თუ ვაჟს, განუსაზღვრელის მწუხარების ნიშანი აღბეჭდია სახეზედ. დღს თითქმის ყველას დავიწყებია საკუთარი ჭირი და ვარამი და ყველა ილიას დაკარგვას გლოვობს: ილია აღარა გვყავს, ილია მოგვიკლესო, – გესმის ყოველმხრივ...

ამ მოვლენის მიზეზი ცხადია: ყველა ქართველს ილია მიგვაჩნდა არა თუ მარტო დიდებულ მწერლად, ანუ ფასდაუდებელ მგოსნად, გინა თუ გამოჩენილ და სასიქადულო საზოგადო მოღვაწედ, არამედ, და უმთავრესად, გზის მაჩვენებელად, ჭკუის მასწავლებელად, ანუ, სიტყვისაებრ საღმრთო წერილისა, – **წინამძღვრად**. ჭეშმარიტად, „ჭმუნვასა და სიხარულში“ იგი იყო ჩვენი ნუგეშის „შთამგონებელი“ და შვების მომცემი, ხოლო „ფიქრის, საქმის, შრომის დროსა“ ხომ იმას ბადალიც არა ჰყავდა: მისი რჩევა და დარიგება უსასოდქმნილს იმედს ჩაუნერგავდა გულში და ბედისაგან განლაღებულს განსაცდელისა და საფრთხისაგან დაიხსნიდა...

მაგრამ დღეს ილია აღარა გვყავს, ილია მოგვიკლეს, ილია მოგვაშორეს და მოგვაშორეს სწორედ მაშინ, როცა მისი ქველობა და გამოცდილება ფრიად საჭირო იყო იმ მამულისათვის, რომლის აყვავება-აღორძინებაზედ იგი ოცნებობდა სიყრმიდამ მოხუცებულებამდე, მოგვაშორეს უეცრივ და მოულოდნელად. დღეს

„ის აღარ ჰყვავის ამ ბნელ ქვეყანად,
ეხლა ის არის მცხოვრები ცისა...“

რა დაგვშთენია დაობლებულთ? ნუთუ მარტო **ტირილი და გოდება, სულთქმა და წუხილი**? არა! მართალია ილია მოგვიკლეს, ილია მოგვტაცეს, მაგრამ მოკლეს ილიას ხორცი და არა სული: „კაცია-ადამიანის“, „გლახის ნაამბობის“, „აჩრდილის“, „დიმიტრი თავდადებულის“ და მრავალ სხვათა შემქმნელი ვერ მოკვდება ქართველთა ერის ხსოვნაში; ქართველთა ერი ვერ დაივიწყებს მას, ვინც მუხლმოდრეკილი და ლმობიერად ევედრებოდა მამაზეციერს:

„მსურს განმინათლდეს ცით ჩემი სული
შენგან მამცნების სიხარულით ამენთოს გული“;

ვერ მოკვდება ჩვენს გონება-მეხსიერებაში ის, ვინც

„წმინდა სიტყვას უშიშრად მოჰფენდა ხალხში“.

მუდამ დაუვიწყარი იქნება ის, ვინც მოზარდ თაობის აღმზრდელებს დაჟინებით უქადაგებდა:

„საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, –
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს“;

საუკუნოდ სახსენებელი იქნება ის, ვინც გამუდმებით გვიკარნახებდა:

„ვაჟკაც იგია, ვინც მართალს
ეტყვის ქვეყანას მცდომსაო,
ვინც არ შეუდრკა მრავალსა,
ხშირად მართლისთვის მწყრომსაო,
ვინც კრავს უმანკოს ეკრძალვის
და პირში უდგა ლომსაო“.

ჩვენი გონებიდან ვერ ამოიშლება სახელი მისი, ვინც დღე-მუდამ გვეუბნებოდა:

„კაცად მაშინ ხარ სარგები,
თუ ეს წესი წესად დარგე:
ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო –
აბა მე დღეს ვის რა ვარგე?“

სამარადისოდ უკვდავი იქნება ხსოვნა მისი, ვისაც

„ერის წყლული უჩნდა წყლულად,
ეწოდა მის ტანჯვით სული,
მის ბედით თუ უბედობით
დადაგვია მტკიცე გული”...

ჩვენი ვალია, ილიას ნათქვამ-ნაანდერძევი საქმედ ვაქციოთ, ცხოვრებაში განვახორციელოთ და მით ილიას სულიც გავახაროთ და ჩვენს თავსაც სარგებლობა მოუტანოთ, ვინაითგან **სარწმუნოება თვინიერ საქმეთასა მკვდარ არს** (იაკობ. 2, 20), ანუ, როგორც თვით ილია ამბობს:

„ცხოვრებას აცისკროვნებს სული საქმით მეტყველი“...

ხოლო ამ შავსა და უბედურს დღეს კი ვინუგეშოთ თავი მით, რომ

„არ არის მკვდარი, ვინც მოჰკვდეს
და ხალხს შესწიროს დღენია,
მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია...“

ამინ!

(წარმოითქვა ქვაშვეთში 1907. IX. 1; ,,ისარი”, 1907, №193)

ს ი ტ ყ ვ ა
ყოვლადსამღვდელო ალექსანდრეს
გარდაცვალების გამო

მეუფეო წმიდაო! ეს უამარი ხალხი, რომელიც გარს ახვევია ჯერ კიდევ გაუციებელს შენს ცხედარს და მოელის შენგან უკანასკნელს ლოცვა-კურთხევას, შეუკრებია აქ ნათელსა **საქმეთა შენთა კეთილთა,** რომელთა შენს სიცოცხლეში უხვად სთესდი, მწყემსო კეთილო! მაგრამ ამა საქმეთა ჩამოთვლით მე არა მსურს შენი შეწუხება: შენ არ გიყვარდა შენს საქმეებზე ლაპარაკი. მე ვკადნიერდები და მოვაგონებ შენს პატივმცემელთ ერთს მხარეს შენის მოღვაწეობისას, სახელდობრ, – შენს ზრუნვას ბერმონაზონობის განახლებისათვის ჩვენში...

მართალია, დღეს ბერმონაზონობას პატივი აღარა აქვს საზოგადოების თვალში, მაგრამ ამის მიზეზი არის ის, რომ მონაზონობის უმეტესობამ უღალატა თავის პირდაპირ დანიშნულებას. დღეს თუ მონაზონობის უმრავლესობას შეადგენენ უსაქმოდ ცხოვრების მოყვარენი, წინად ასე როდი იყო. წინად მონაზონობა და საზოგადო ასპარეზზედ მოღვაწეობა სინონიმები იყვნენ. წინად ქართველი თუ სტოვებდა დედას და მამას, დებსა და ძმებს, სახლ-კარსა და მეზობლებს და მიდიოდა მონასტერ-უდაბნოში, იგი ამ შემთხვევაში თავის თავისთვის როდი ზრუნავდა, არამედ თავს სწირავდა მამულს, ვიწრო ფარგლითგან გამოდიოდა ფართო ასპარეზზედ სამუშაკოდ, ხელს უწყობდა ერის განვითარებას, განსწავლას, გათვითცნობიერებას, განძლიერებას და განფაქიზებას; პატრონობდა ქვრივ-ობოლთა და გლახაკ-დავრდომილთ, იმედს უნერგავდა გულში და ნუგეშს სცემდა ტვირთმძიმეთა და მაშვრალთ, ამხილებდა და შეაჩვენებდა ძლიერთა ქვეყანისათა, როცა იგინი გარდაუხვევდნენ ჭეშმარიტებისა და სიმართლის გზასა. ამისთვისაც იყო, რომ სანამ ბერმონაზონობა თავის დანიშნულებას ემსახურებოდა და მოვალეობას ასრულებდა, – საქართველოც იზრდებოდა და ჰყვავოდა, ხოლო როცა ბერმონაზონობა დაეცა, – საქართველოც დაქუცმაცდა, დანაწევრდა, დაეცა...

ყოველივე ეს გათვალისწინებული გქონდა, მეუფეო წმიდაო, და ამიტომაც შენი ძალღონე შეალიე ჭეშმარიტის ბერმონაზონობის აღდგენას და განახლებას ჩვენში და ამ განახლებისათვის ზრუნვა შენ ქვათა და აგურთაგან, ჭერთა და კედელთაგან თვით ბერმონაზონთა სულსა და გულზედ გადაიტანე. შენ ჩააგონე და შეაგნებინე ბერმონაზონთ, რომ სულის ცხონება მარტო ლოცვით არ მოიპოვება, რომ სულის საცხონებელად ლოცვასთან ერთად საჭიროა გარჯა-მუშაობა მოყვასთა სასარგებლოდ. ამისთვის, თუმცა შენ მიერ შეყვარებულის შიოს ბერმონაზონების უშრომლად ცხოვრება შენი უხვის შეწირულობით უზრუნველყოფილია, მაგრამ შენ მაინც შეასწავლე და შეაყვარე მათ მეფუთკრეობა, მევენახეობა და მებოსტნეობა. შენ თითონ გაიჩინე ბოსტან-ვენახი,

სადაც მადლით შემოსილთ ხელთა შენთა დღემუდამ უმუშავნია ამ მოხუცებულობის დროსაც კი. შენმა მაგალითმა ისე იმოქმედა ბერმონაზონებზედ, რომ ყოველმა მათგანმა გაიჩინა ბოსტან-ვენახი, რის გამოც დღეს ამ უდაბნოს ამშვენებენ და აცოცხლებენ ეპისკოპოზის, მაქსიმეს, შიოს და ილარიონის ბოსტან-ვენახი. ამ საზოგადო მუშაობამ დაყუდებული საბა ბერიც კი გაიტაცა და მასაც აუღია ხელში წალდი და თოხი და შესდგომია ტყის გამოწმენდას და ნიადაგის დამზადებას ბოსტან-ვენახის გასაშენებლად...

შეასწავლე და შეაყვარე რა ბერმონაზონთ შრომა-მუშაობა, შენვე მოუპოვე მათ საუკეთესო ნერგი და თესლეულობა იმ პირობით, რომ ახალის მოსავლისაგან თესლეულობა გაევრცელებიათ მეზობლად მდებარე სოფლებში. შენ მიერ დადებულის პირობის ბერმონაზოთაგან შესრულება, როგორც დასაწყისი მონასტრის სოფლისადმი სამსახურისა, შენ გახარებდა და გახალისებდა, და ამის გამო განზრახული გქონდა დაარსება ახლო მომავალში ყველასათვის მუდამ კარღია წიგნთსაცავის და აფთიაქისა, ხოლო შემდეგ, ბრძანე შენ თვის წინად, იქმნება ქსენონის დაარსებაც მოვახერხოთო, – ბევრი ხალხი იხოცება სოფლებში უწამლოდ და უპატრონოდაო...

ამ რიგად, შენ დააყენე შენი მონასტერი, შენი შიო, წარსულის დროის მონასტერთა სლვის გზაზედ, და თუ შენმა მოადგილეებმა არ გადაუხვიეს შენ მიერ გაკვლეულ-გაკაფულს გზას, ადვილად შესაძლებელია, რომ ჩვენი მონასტრები კვლავ განახლდნენ, განძლიერდნენ და შეიქმნენ ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა გზის მაჩვენებლად, პატრონად და მფარველად შენის, ალექსანდრე აღმადგენელო, მეოხებით!..

აი, ამ წარსულის დიდების აღდგენის და განახლების გზაზედ დაყენებისათვის გცემთ, მეუფეო, პატივს; ქედსა და მუხლს ვიდრეკთ შენის ცხედარის წინაშე, სასოებით ვეამბორებით მადლით შემოსილს შენს მარჯვენას და ვევედრებით იესო მაცხოვარს, რომ მან, სახიერმან, დააწესოს უმანკო და ცხოველი სული შენი საყოფელთა მართალთასა, აღგრაცხოს შენ რჩეულთა თვისთა თანა, ხოლო ჩვენზედ მოიღოს მოწყა-

ლება და არ გამოგვილიოს შენისთანა მადლით [და] ღვაწლით შემოსილნი მამულიშვილნი!.. ამინ.

(წარმოითქვა შიომღვიმის მონასტერში 1907. XI. 16;
„მწყემსი“ 1907, №22 და ზ. ჭიჭინაძის მიერ გამოცემულ წიგნში:
„სიტყვები და წერილები ყოვლადსამღვდელო ალექსანდრეზე“)

სიტყვა
გრიგოლ ორბელიანის გარდაცვალებითგან ოცდახუთის წლის შესრულების გამო*

უკეთუ ძირი იგი წმიდა არს, –
რტონიცა მისნი (რომ. 11, 17)

იტყვის წმიდა მოციქული პავლე და ამ სიტყვათა ჭეშმარიტებას ცხადად აჩვენებს ცხოვრება და პირადობა ჩვენის სასიქადულო მგოსნის გრიგოლ ორბელიანისა, ვინაითგან ის სულის სიმტკიცე, გრძნობათა სინაზე, მსოფლიომხედველობის სივრცე, ჩვეულების სიფაქიზე, მოქმედების სიქველე, მისწრაფების სიცხოველე, ლხინთა შვება, ჭირთა დათმენა და ფერადფერადთა სათნოებათა სიუხვე და თვით სიბერე-სიკვდილამდე შენარჩუნება, – ნაყოფი იყო იმ საღის სარწმუნოებრივის გრძნობისა, რომელიც შთაენერგა მის გულში მშობელს დედას, სულმნათ ხორეშანს, იმ ხორეშანს, რომელიც „როცა პატარა გრიგოლს ეძინა, მის თავზედ ლოცულობდა და წმიდა აიაზმას ასხურებდა მძინარეს“...

„ჭეშმარიტად თაყვანისმცემელი ღვთისა, ამბობს მგოსანი, არა იქადის ბედნიერებასა თვისსა და არა კარგავს სასოებასა,

---

* ამ ტექსტის კორექტურაზე მუშაობის დროს ხელთ გვქონდა ჟურნალ ,,მწყემსის“ (1908, №7-8, გვ. 4-6) ის ეგზემპლარი (პარლამენტის ბიბლიოთეკა 303/09), რომელშიც მოცემულია საავტორო კორექტურა და რედაქცია post factum. წინამდებარე ტექსტი გასწორებულია აღნიშნული ეგზემპლარის მიხედვით. მოცემული ვარიანტის ავტოგრაფთან შედარება სამომავლო საქმედ წარმოგვიდგება.

როდესაც მსწრაფლ-წარმავალის ცხოვრების გზაზედ უბედურება რამ შეემთხვევა. ამ ცრუ ქვეყანაში ყოველივე წარმავალი და მომაკვდავია, დაშთებიან მხოლოდ კეთილნი საქმენი, რომლებითაც მოსავი ღვთისა უნდა წარუდგეს ბოლოს ყოვლისშემძლებელისა სამართალსა. და ვაი იმას, ვინც ყოველივე ესე უწყოდა და არ შეასრულა! ხოლო დიდება უკვდავებისა მას, ვინც მტკიცედ და შეურყეველად ადგა ხსნის გზასა“...

ცხადია, რომ ამგვარად მჰაზროვნებელი მგოსანი აროდეს გადაუხვევდა ღვთის მიერ ნაჩვენებს ცხოვრების გზასა და მთელს თავის ძალღონეს მოახმარებდა მოძმეთათვის შრომასა და მეცადინეობასა. და აკი ამისთვის იყო, როცა მგოსანმა მიიღო ისეთი დიდი ადგილი, რომელიც ნაკლებ შრომასა და ზრუნვას მოითხოვდა მისგან, – ჩიოდა: „თანამდებობა ჩემი არის მშვიდობიანი, უშფოთველი, უზრუნველი, სავსე ამაოების ცხოვრებითა, რომელსაც ვერ შევჩვევივარ აქამომდის და იქნება ვერც სიკვდილამდის შევეჩვიო”-ო. იმ შემთხვევაში კი, როცა შრომა არ დაუგვირგვინდებოდა შესაფერისად, გულს არ იტეხდა და კვალად განაგრძობდა მუშაობას: „მაქვს სასოება და იმედი ღვთისა მიმართ, სწერს იგი თავის დღიურში, მფარველობა მისი ცხადად ვიგრძენ რავდენჯერმე. და ამისათვის არ ვწუხვარ, გინა სადა გადამაგდოს მე ბოროტმან მხვედრმან ჩემმან“. „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, რომლისა ნებითა ბრუნავს სოფელი ესე და ყოველი მას შინა მსოფლიო მიდის დანიშნულ მისგანვე გზაზე“, – სწერს იგი რუსეთის ჯარის ოსმალოზედ გამარჯვების შემდეგ...

უფრო ცხადად და მკაფიოდ ეს ღვთისა მიმართ სასოება მგოსნისა გამოჩნდა მაშინ, როცა შამილმა დაატყვევა მისი ახლო ნათესავები. ეს ნათესავთა ტყვედ წასხმა მან ჩასთვალა ღვთისა მიერ მოვლენილ სასჯელად. თუმც ყველა ღონე მიიღო მათ განსათავისუფლებელად, მაგრამ დატყვევებულთა ბედიღბალი მაინც უფალს მიანდო: „სასჯელი ესე ღვთისაგან მომერგო, სწერდა იგი შამილს, და მეც არ ვდრტვინავ, მისს წმიდა ნებას ვემორჩილები”... და უფალმაც არ დააგდო სასოება მისი!

განიცადა რა მგოსანმა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საღ სარწმუნოებრივ გრძნობას მის პირად ცხოვრებაში,

მოინდომა ამ გრძნობის განვრცობა-განვითარება მოზარდ თაობის გულშიაც. „მე მინდა, სწერს იგი თავის რძალს, რომ შენი ვაჟის ნორჩი გული სარწმუნოებით იყოს განმსჭვალული, რომლის გარეშე კაცი ამ ქვეყნად უბედურია. მსურს, რომ ჩემი ძმისწული მართლმადიდებელი (სარწმუნოებითა) და ევროპის მეცნიერებით განათლებული, საფრანგეთის ახალ ფილოსოფიის ბიწიერების იდეებით წაურყვნელი ქართველი იყოს"... ჩანს, პოეტის აზრით, ქართველობა, ევროპის მეცნიერებით განათლება და მართლმადიდებელი სარწმუნოება – განუყრელნი უნდა იყვნენ ურთიერთ შორის...

და ვინაითგან ამას ვერ ხედავდა იგი სამოციან წლებში სამოღვაწოდ ახლადგამოსულთა წრეში, – იერემიასებრ გოდებდა და აღშფოთებით სწერდა, რომ ახალ მოღვაწეთა მეოხებით,

„ყრმანი საწყალნი,
უბიწო გულნი,
სწავლად მოსულნი, წახდნენ ზნეობით!..
უსასოება,
ურწმუნოება
უმანკო გულში ღრმად ჩაუნერგეს;
„ლოცვა რად გვინდა?
„ღმერთი რად გვინდა?
„ჩვენი გონება არს ჩვენი ღმერთი!...
და დაიწყევლა
თქვენი აქ მოსვლა", –

ეუბნება მგოსანი უარყოფითი ფილოსოფიის მიმდევარ მოღვაწეთ,

„და თქვენი სიბრძნის ნაყოფი – შხამი! ...
ღმერთი არ არის?
შენთვის ნუ არის!
შენ რა გაწუხებს, რომ სუფევს სხვისთვის?!"...

ამის გამო პოეტი თვისი ტკბილის ლექსებით ხშირად განმარტებს ქრისტეანულის სარწმუნოების მნიშვნელობას და გვეუნება, რომ ჭეშმარიტი სარწმუნოება

1. აღაფრთოვანებს ადამიანის გონებას:

„ღმერთო, ვინ მისწვდეს შენგან ქმნილს,
მის ფერუთვალავს შვენებას?
სიბნელეს აქრობ ნათელით,
სიკვდილით ჰბადავ ცხოვრებას!”...

2. უჩვენებს ადამიანს გზას ცხოვრებისას და აღძრავს მას ქმნად კეთილისა და დევნად ბოროტისა:

„რა არის ჩვენი სიცოცხლე,
თუ არა საქმე კეთილი?
თუ არ აღვადგენთ დაცემულს,
არ ვექმნეთ ნუგეშმცემელი?
თუ არა ვსდევნით ბოროტსა,
მართლის არა ვართ მფარველი?!
სხვის კვნესა თუ არ გვაწუხებს,
სხვისა არ გვესმის ტკივილი?!
ამ აზრის გულსა დანერგვით
ვსდევნიდეთ სულმოკლეობას!
ვსდევნიდეთ ძალას დამჩაგვრელს
და მისსა უსამართლობას!
ვსდევნიდეთ კაცის წამპილწველს,
უწმინდურ ანგარებას[ა]!
ვსდევნიდეთ ყოველს, რაც უშლის
კაცისა სულის მაღლობას!..“

3. მიანიჭებს შვებას ტვირთმძიმეთა და მაშვრალთ, განასპეტაკებს მათ სულსა და გულს, და უღვიძებს ადამიანურ გრძნობებს. სახარების სიტყვებიო, ამბობს გრიგოლის მუშა ბოქულაძე,

„ზოგჯერ თუმცა არ მესმის,
მაგრამ გულს კი უხარია მის სმენა!
სულს მიმაგრებს ძალი ნუგეშცემისა,
ზეციურის მადლით განათლებული!
გულში ჰქრება ღელვა სიბოროტისა...
ვგრძნობ სიმშვიდეს... ლოცვაებსა ვიგონებ...
მაგონდება დღენი ყმაწვილობისა,
ხმა დედისა, მისი ტკბილი ალერსი...
თვალწინ ვხედავ დიდხანს დავიწყებულთა

და აღარ ვსწყევ ჩემს შობის დღეს, ჩემს ბედსა!...
მაშინ შრომაც დიდად მიადვილდება,
და მას ღამეს მძინავს ისე მშვიდობით,
თითქოს ჩემს ქოხს დაჰფრინვენ ანგელოსნი!“...

ამას გვასწავლიდა, ამას გვიქადაგებდა ჩვენი საყვარელი მგოსანი, მაგრამ საზოგადოებამ იმას სულ სხვაგვარი მასწავლებლობა მიაწერა: ჩვენში მიღებულია ის აზრი, რომ გრიგოლ ორბელიანი მქადაგებელია შვება-ლხენის კულტისა, მაღმერთებელია წუთიერის სიამოვნებისა...

ზემოდ ნათქვამის შემდეგ ნუთუ ეს დასაჯერებლია, ანდა მართალია?! მართალი და დასაჯერებელი აქ ის არის, რომ გ. ორბელიანი სიამოვნებას, შვებას და ლხენას საჭიროდ სთვლის ადამიანისათვის და არ უარყოფს მათ. მაგრამ, თუ სიამოვნებათა განცდა ცოდვაა, მაშ რად ეძიებს მას მთელი კაცობრიობა, რად ესწრაფება მას დიდიცა და პატარაც, მეცნიერიცა და უმეცარიც, მდიდარიც და ღარიბიც? საიდან ჩანს, რომ ამა ქვეყნიურ სიამოვნებათა განცდა ცოდვა იყვეს? განა თვით საღმრთო წერილი, რომელიც საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლული და შეთვისებული გრიგოლს, არ გვეუბნება: **ღვინო ახარებს გულსა კაცისასა** (ფსალმ. 103, 15) და: **სიცილსა ჰყოფენ პური, ღვინო და ზეთი**, რომელი **შვებულჰყოფს ცოცხალთა** (ეკლეს. 10, 20)? იგივე საღმრთო წერილი არ იტყვის: **იხარებდი, ჭაბუკო, სიჭაბუკესა შენსა**... მაგრამ **ვიდოდი გზათა შინა უფლისა შენისათა უბიწოდ** (იქვე 10, 10)? და კვალად: **მიეცით თაფლუჭი მყოფთა მწუხარებას შინა, და ღვინო სმად მყოფთა ტკივნეულებათა შინა, რათა დაივიწყონ სიგლახაკე და ტკივილი არა მოიხსენონ მერმეღა** (იგავნი სოლომ. 91, 5-7)? განა თვით მაცხოვარმა არ ინება მისლვა ქორწილსა კანად გალილიასა და განგრძობა მეინახეთა შვება-ლხენისა წყლის ღვინოდ შეცვლით (იოან. 2, 1-11)? განა მან არ გვიბრძანა: **ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისასა და ესე ყოველი** (ქვეყნიური საშვებელნი) **შეგეძინოს თქვენ** (მატთ. 6, 33)?

ჩანს, სიამოვნებათა განცდა არ არის ცოდვა, თუ იგი არ

დაიმორჩილებს ადამიანს, არ დაატყვევებს მის თავისუფალს სულსა და არ შელახავს მის აზნაურებას! **ყოველივე ჯერ არს ჩემდა**, იტყვის წმიდა მოციქული პავლე, **არამედ არა ყოველი უმჯობეს არს; ყოველივე ჯერ არს ჩემდა, არამედ მე არავისსა ხელმწიფებასა დავემორჩილო** (1. კორ. 6, 12). ჩვენი მგოსანიც ხომ უპირველეს ყოვლისა გვასწავებს და აღ-გვძრავს ძებნად სასუფეველისა, ქმნად კეთილისა, დევნად ბოროტისა და აღრჩევად უმჯობესისა?!...

მაშ, საყვარელნი, ავხადოთ ჩვენს სასიქადულო მგოსანს ეს ცილისწამება, გადავაფაროთ ზეწარი დავიწყებისა ნებ-სითთა და უნებლიეთთა შეცოდებათა მისთა, შევავედროთ იგი იესოს ტკბილსა და აღვიბეჭდოთ გულის ფიცარზე შემ-დეგი მისი სიტყვები, რომელშიდაც ჩაქსოვილია ამ დიდებუ-ლი ქართველის მსოფლიომხედველობა:

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო,
თაყვანისცემა ღირსებას;
ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს
და არა გვარიშვილობას.
კაცი ის არის, ვინც არის
ზეგარდმო მადლით ცხებული;
მის მხოლოდ ღვაწლი არს კეთილი,
მით მხარე დამშვენებული...“

და მერმედ:

„იგი აღვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა,
ღვთისა დიდებით გალობითა ნათელმოსილი,
ვინც ამ სოფლის დიდებასა, მზეებრ მნათობსა,
მონებრ არ მიჰსდევს, სცნობს რა
მისს შუქს ფუჭ-წარმავალსა,
ვინც ძლიერებას ხმითა მაღლით ამცნო სიმართლე,
და ძმას დაცემულს მისცა ხელი და აღადგინა...“

ამინ.

(წარმოითქვა ქვაშვეთში, სადაც გრიგოლი ასაფლავია, 1908. III. 23; „მწყემსი”, 1908, №7-8)

ს ი ტ ყ ვ ა
ეგნატე ნინოშვილის გარდაცვალებიდან თხუთმეტის წლის შესრულების გამო

ამ წმიდა ტაძარში ჩვენ შევკრებილვართ დღეს, საყვარელნო, იმ აზრით, რომ შევავედროთ უფალს სული ეგნატე ინგოროყვასი. შესვენებულთა მამათა და ძმათათვის ლოცვა-ვედრება სიყვარულისა და მადლობის ნიშანია საზოგადოდ, და ქართველი საზოგადოებაც, ეგნატეს ნაყოფიერის სამწერლო მოღვაწეობისათვის მადლობელი, შესწირავს დღეს საზოგადო ლოცვას. ეს ცხადია ყველასათვის...

მაგრამ, ეგნატე ინგოროყვა შესანიშნავია არა მარტო სამწერლო მოღვაწეობით, არა, იგი ღირსია პატივისცემისა და ყურადღებისა, როგორც მტკიცე ხასიათის ადამიანი, რომელმაც დაგვიმტკიცა, რომ გამუდმებულის შრომითა და მეცადინეობით მცირე განათლების პატრონსაც შეუძლია გაიკვლიოს გზა ცხოვრებისა და შეიტანოს სამშობლოს სალაროში შესამჩნევი განძი...

ეგნატე დაიბადა ღარიბს ოჯახში და ღარიბსავე სკოლაში მოახერხეს მისი მიბარება, მაგრამ, საუბედუროთ თუ საბედნიეროთ, ამ სკოლითგან იგი ადრე დაითხოვეს და ანბანის ძლივს მცოდნე ეგნატე დარჩა უმწეო-უპატრონოთ. ბევრი, ძალიან ბევრი ამ გვარს შემთხვევაში ეცემა სულით და სამუდამოდ იღუპება ცხოვრების მორევში. ეგნატე კი სულ სხვაფერ მოიქცა: მან არ მიაძინა სწავლის შეძენის სურვილი, არამედ გაორკეცა შრომა და შეუდგა ორიოდე გროშის მოპოვებას იმ განზრახვით, რომ განეგრძო სწავლა საზღვარს გარეთ, რათა ფართო სწავლით აღჭურვილს შესძლებოდა რაიმე შემწეობა აღმოეჩინა „მოსე მწერალთა“ და მისთანათა მიერ დაჩაგრულ თანამემამულეთათვის. მართალია, სურვილი სავსებით ვერ უხორციელდება ეგნატეს, მაგრამ იგი გულს მაინც არ იტეხს: შეუდგება წიგნების კითხვას, რომ ამ სახით მაინც დაიკმაყოფილოს სწავლის წყურვილი; ხოლო წიგნებისა და ცხოვრებისათვის საჭირო საშვალებას იგი პოულობს დღიურის მუშაობით...

თუმცა ამ გამუდმებულმა შრომამ მის სხეულს გამოულია ძალღონე, მაგრამ, სამაგიეროთ, ეგნატემ შეიძინა გამოცდილება, ცხოვრების ცოდნა, თავისუფლება, დამოუკიდებლობა და სიმტკიცე ხასიათისა. ამ სახით მომზადებული ეგნატე გამოდის სამწერლო ასპარეზზედ: თავის მართალის და ძლიერის სიტყვით და გაალმასებულის კალმით შეებრძოლება ძალმომრეობას და ბოროტებას, და მყისვე იპყრობს მკითხველის საზოგადოების ყურადღებას და თანაგრძნობას...

სუსტის ხასიათის ადამიანს ამ გვარს შემთხვევაში გაიტაცებდა განდიდების სურვილი, თავმომწონება, პატივისმოყვარება, ამპარტავნება, – ეგნატეს კი ამას ვერ ვამჩნევთ. ის არ იცვლება, ის იგივე ეგნატეა, რომელსაც თავიდანვე დასახული ჰქონდა მიზნად შრომა პატიოსანი და უანგარო, განუწყვეტელი და გულწრფელი: პატივისცემისა და ყურადღებისათვის ზრუნვა კი მან გულითგან ამოიღო და თვით საზოგადოებას მიანდო...

და აჰა, ეს ამოდენა ხალხი დღეს შეკრებილა ეგნატეს პატივსაცემად და მადლობის მისაძღვნელად. [და ჩვენც] ვავედრებთ მამაზეციერს ამ წყნარს, თავმდაბალს და უანგარო ადამიანს, და ვთხოვთ, ეგნატესებური სწავლისა და შრომის სიყვარული მუდამ ცხოველყოს ჩვენ შორის! ამინ.

(წარმოითქვა ქვაშვეთში 1909. V. 17. „დროება“ №108)

ს ი ტ ყ ვ ა
დ. ზ. სარაჯიშვილის სულის მოსახსენებლად ქართულ განმანათლებელ საზოგადოებათა მიერ გარდახდილის პანაშვიდის წინ

უკეთუ ვინმე თვისთათვის... არა მოღვაწე იყოს, სარწმუნოებაჲ უარუყოფიეს და არს იგი ურწმუნოჲსა უძვირეს (1 ტომ. 5, 8)

აი მცნება, რომელსაც მსახურებდა თავის სიცოცხლეში დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი, ვის გამოც შეკრებილან დღეს ამა წმიდა ტაძარში ქართველის ერის განმანათლებელ

საზოგადოებათა წარმომადგენელნი! ყველა თქვენგანმა უწყის, რომ განსვენებულმა დავითმა შეუწყვეტელის და დაუღალავის შრომით მოკლე ხანში მოიპოვა იშვიათი ქართველთა შორის სიმდიდრე. ასე მალე შეძენილი სიმდიდრე კი თითქმის ყოველთვის წარმოშობს ორს ცუდს ჩვეულებას: მოძმეთა წინაშე ამპარტავნება-მედიდურობას და მხოლოდ პირადის ბედნიერებისათვის ზრუნვას. დავით სარაჯიშვილმა კი თავი წაართვა ორსავ ნაკლულევანობას და მით უკვდავჰყო თავისი სახელი. ქონებრივად და გონებრივად მაღალის საზოგადოების წევრებთან გასწორებულს და მათთან დღემუდამ საქმის დამჭერს, არასოდეს არ შეუწყვეტია კავშირი დაბალ ხალხთან. ყველასათვის ხელმისაწვდომი, თავდაბალი და მოსიყვარულე, იგი ხალხის ჭირით იტანჯებოდა და მისის ლხინით იხარებდა. არა სხვა მდიდარზე ნაკლებ მზრუნველი პირადის ბედნიერებისათვის, იგი არ ივიწყებდა უმრწემესთა ძმათა წაღმართ გზაზედ დაყენებას. მუდამ მომგონებელი თავის წარსულისა, იგი სიტყვით ან საქმით გვიჩვენებდა, რომ საფუძველი ერის ბედნიერებისა არის შრომა და ცოდნა. და სწორედ ამ შრომის სიყვარულისა და ცოდნის გავრცელებისათვის მშობელს ხალხში, იგი არ იშურებდა არც საკუთარ ძალ-ღონეს, არც შრომით შეძენილ ქონებას. მრავალთ, დღეს აქა მდგომარეთაგანს და უმრავლესთ სხვაგან მყოფთ, მისის შემწეობით შეუძენიათ განათლება და გაუკვლევიათ გზა ცხოვრებისა...

მაგრამ განსვენებულს დავითს ეს არ აკმაყოფილებდა: უნდოდა, მისის შემწეობით თუ საკუთარის მეცადინეობით განათლების მიმღებთ, განათლება გაევრცელებინათ მშობელს ერში, რომლის უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ **აჩრდილთა სიკუდილისათა დამკვიდრებულ და ბნელსა შინა მავალ** არს (ისაია. 9, 2). ამისთვის, რომ შეემსუბუქებინა მოქმედთათვის მოღვაწეობა, მუდამ ღია ჰქონდა თავისი გულისა და სახლის კარები მათთვის, და ამხნევებდა მუშაკთ მხურვალე სიტყვით და უხვის დახმარებით. განსაკუთრებულს მის ყურადღებას კი იქცევდნენ ის ქართველთა შორის მოქმედნი განმანათლებელნი დაწესებულებანი, რომელთაც მიზნად დაუსახავთ ძველის საქართველოს დიდებულის სულის კვე-

თების ნაყოფთა შესწავლა, შეგროვება, გავრცელება, თუ აღ-
დგენა, რისი მოწმე უნდა იქმნეს მომავალი ჩვენი საერო მუ-
ზეუმი, აღსაგებელი განსვენებულის მიერ შემოწირულის
თანხით, და არს და იქმნება მცხეთის სვეტიცხოველის და
სამთავროს ტაძრები და ამა ქვაშვთის დიდებულნი ბჭენი.
ჭეშმარიტად, რომ ყველა ეს დაწესებულებანი მას მიაჩნდა
თვისად და, თანახმად წმიდის მოციქულის მცნებისა, **მოღ-
ვაწე იყო** მათთვის. და აი, სწორედ ამ მოღვაწეობისათვის,
ქართველთა ერის ყველა განმანათლებელ საზოგადოებათა
წარმომადგენელთ მოუყრიათ აქ თავი და ცხარის ცრემლით
იგლოვენ და სტირიან სასიქადულო წევრისა და უებრო მამუ-
ლიშვილის დაკარგვას...

საყვარელნო! მართალია, ჩვენი დანაკლისი ფრიად დიდი
და საგრძნობელია, მაგრამ ქრისტეანთ არ შეშვენის მიცვა-
ლებულთათვის უნუგეშო ტირილი და გოდება, არამედ მად-
ლობა და ლოცვა ღვთისა. ჩვენც შევწიროთ მადლობა ზეცი-
ერს მამასა დავით სარაჯიშვილის ქვეყნად მოვლენისათვის
და შეევევედრნეთ, რომ სგავსი მისი კვალად მონიჭებოდეს
ქვეყანასა ჩვენსა არა ერთი და ორი. ამინ.

(წარმოითქვა ქვაშვეთში 1911. VI. 24. „შინაური საქმეები“, №24;
„განათლება“ №7 და ცალკე გამოცემულ წიგნში: „დავით სარაჯიშ-
ვილის სახსოვრად“ – რუსული თარგმანით [გვ. 230-234])

ს ი ტ ყ ვ ა
ნიკოლოზ ბესარიონის ძის ღოლობერიძის გარდაცვალების გამო

კაცადკაცადი იქმოდენ კეთილსა თვისითა ხელითა,
რათა აქვნდეს მიცემად, ვის იგი უხმდეს (ეფეს. 4, 28)

მიუწერს წმიდა მოციქული პავლე ქრისტეანეთა და მით
გვასწავებს, რომ პატიოსანი შრომით მოპოვებული ქონება
ქრისტეს მორწმუნემ უნდა არა თუ მოიხმაროს დასაკმაყო-

ფილებელად თვისთა მოთხოვნილებათა, არამედ გაუნაწილოს კიდეც მათ, **ვის იგი უხმდეს**, ე. ი. ვინც მოკლებულია საშვალებას, მოიპოვოს პური არსობისა საკუთარის შრომითა. ეს სწავლა მოციქულთა იმდროინდელ ადამიანთათვის ახალი და თითქმის გაუგებარიც იყო, ვინაითგან წარმართობას ქველმოქმედება არა სწამდა და დაჩაგრულთა ბედიღბალი ნაკლებად აწუხებდა. ღარიბ-ღატაკის შეხვედრა ცუდ ნიშნად იყო მიჩნეული და სიბრალულის ნაცვლად გამოიწვევდა ხოლმე ზიზღსა და შიშის ზარსა. ამ ცრუმორწმუნოებას და გულქვაობას განათლებული საზოგადოების წარმომადგენელნი თავისებურად ასაბუთებდნენ კიდეც: რასაცა გაიღებ გლახაკისათვის, იმას აკლებ შენს თავსა, ხოლო მიმღებს ხელს უწყობ, განაგრძოს თავის ტანჯული სიცოცხლე, რომელიც, რაც ადრე შესწყდება, მით უკეთესიაო...

ეს სიბნელით მოცული მსოფლიო-მხედველობა ქრისტეანობამ უარყო, აღიარა რა ადამიანის მკვდრეთით აღდგომა და საიქიო ცხოვრებისათვის ამ ქვეყნადვე სამზადისის საჭიროება. ამ სწავლით აქაურ სიცოცხლეს განსაზღვრული ღირებულება მიეცა, რათგანაც საიქიოსათვის მომზადება ადამიანს შეუძლიან მხოლოდ მაშინ, როცა სააქაოს მის სიცოცხლეს და საიქიოსათვის სამზადისს ძლიერი რამ დამაბრკოლებელი მიზეზი არ გადაეღობება. ამგვარ დამაბრკოლებელ მიზეზად ხორცშესხმულის არსებისათვის უპირველეს ყოვლისა უნდა ჩაითვალოს სადგურის, სამოსლის და სულისა და ხორცის საზრდოს უქონლობა...

მკვდრეთი აღდგომის მქადაგებლებმა მყისვე ათხოვეს ყური ამ გარემოებას და გარკვევით აუხსნეს წარმართთა და ურიათაგან მოქრისტეანებულთ, თუ როგორ უნდა მოპყრობოდნენ ნივთიერად დაქვეითეულთ თანამორწმუნეთ: **ჰხსნილჰყავ ხელი შენი ძმისა მის შენისა ნაკლულევანისათვის** (მეორე შჯულ. 15, 11); **ნუ ვიყვარებით სიტყვითა ხოლო, გინა ენითა, არამედ საქმითა და ჭეშმარიტებითა** (1 იოან. 3, 17); **სახმართა წმიდათასა ეზიარებოდეთ** (რომ. 12, 13); **ურთიერთას სიმძიმე იტვირთეთ** (გალატ. 6, 2); **მოწყალებას გაიღებდით, ნუ მწუხარებით, ნუცა უნებლებით** (2

კორ. 9. 7), **არამედ მხიარულებით** (რომ. 12. 8). ამ მოციქულთა დარიგებამ გამოიღო ჯეროვანი ნაყოფი: ქრისტეანებმა იწყეს შეგროვება თავიანთის წვლილისა და დადება მისი ფერხთა თანამოციქულთასა (საქ. მოც. 4. 35) ნაკლულევანთა საჭიროების აღსავსებელად...

რაც მეტი დრო გადიოდა მოციქულთა შემდეგ, მით უფრო ფართოვდებოდა და ვითარდებოდა მათ მიერ დაწყებული და ნაკურთხი წმიდა საქმე: მორწმუნეთა საზოგადოებამ მალე შეიგნო ურთიერთას სიმძიმის ზიდვის და სიყვარულის ძლიერება და მხნედ შეუდგა შეუძლებელ წევრთა ხორციელთა და სულიერთა საჭიროებათა დაკმაყოფილებას. საზოგადო საქმეში მონაწილეობის მიღებას ყველა ცდილობდა და იძლეოდა, რის მიცემაც შეეძლო: ზოგი ცოდნას და შრომას, ზოგი კი ნივთიერ საშვალებას. მოქმედების ასპარეზს წარმოადგენდნენ ეკლესიები და მონასტრები, რომელთა ზღუდეთა შორის თავს იყრიდნენ საუკეთესო მამულიშვილნი...

გავიდნენ დრონი და მონასტერ-ეკლესიებმა დაჰკარგეს დაუშრეტელი წყარო ცხოვრებისა, – მორწმუნეთა მიერ შენწირული მამულები, და ამის გამო იძულებულნი გახდნენ ნაკლულევანთა საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის ზრუნვა დაეთმოთ მათ კედელთა გარეშე მყოფი ქრისტეანეთათვის, რომელთაც, იმავე სიყვარულით განმსჭვალულთ, შეადგინეს სხვადასხვა საქველმოქმედო და საგანმანათლებლო საზოგადოებანი. ასე იყო სხვაგან და ასევე მოხდა ჩვენშიაც...

წინაშე ჩვენსა მდებარე ცხედარი ნიკოლოზ ღოღობერიძისა მოწმეა მისი, თუ საუკეთესო შვილნი ჩვენის ქვეყნისა რაოდენად გრძნობდნენ საჭიროებას ჩვენის ერის ქონებრივად და გონებრივად დაქვეითებულის ნაწილისათვის ზრუნვისას და რა ღონისძიებას ხმარობდნენ ამ საჭიროების დაკმაყოფილებისათვის. განსვენებული ნიკოლოზი ერთი იმ მცირერიცხოვან პირთაგანია, რომელთაც ქართულის დროგამოშვებითის გამოცემის საქმე მტკიცე ნიადაგზად დააყენეს და დააარსეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, და ცოტად თუ ბევრად შეუმსუბუქეს მშობელის ერის შვილებს სწავლის და ცოდნის შეძენა.

იგი, როგორც ჭეშმარიტი ქრისტეანე, მთელს თავისს ხანგრძლივს სიცოცხლეში იქმოდა კეთილსა თვისითა ხელითა, რათა აქვნდეს მიცემად, ვის იგი უხმდეს, და დასასრული ამა ქვეყნად მოღვაწეობისა დააგვირგვინა თავის ქონების დიდის ნაწილის შეწირვით განმანათლებელ საზოგადოებისათვის. ეს უხვი შეწირულება, რამდენათაც თვალსაჩინოდჰყოფს განსვენებულის ნიკოლოზის სულის ქრისტეანულ განწყობილებას და ზნეობრივ სიფაქიზეს, იმდენადვე ავალებს ჩვენს განმანათლებელ საზოგადოებათა მხნედ მოღვაწეობას...

ამისათვის, შევსთხოვოთ, საყვარელნო, უფალს, რომ მან, თანახმად მისის მცნებისა, მოძმეთათვის მოწყალე სული მონისა მისისა ნიკოლოზისა შეიწყალოს და სიტკბოებით განასვენოს, ხოლო ჩვენ განმანათლებელ საზოგადოებათა მისცეს ძალი და სიმხნე ნიკოლოზ ღოღობერიძისთანა მამულიშვილთა მოლოდინის გამართლებისა. ამინ.

(წარმოითქვა ქვაშვეთში 1912. I. 3;
„შინაური საქმეები“. 1912, №7)

სიტყვა
ნიკოლოზ ზებედეს ძის ცხვედაძის გარდაცვალების გამო

განუსვენე, უფალო, სულსა მონისა შენისასა!

ჭეშმარიტად ყოველი ადამიანი მონა არის უფლისა და მოიღებს მისგან ხუთს, ორს, გინა ერთს ტალანტს, **მსგავსად ძალისა თვისისა** (მატთ. 25. 15). განსვენებული ნიკოლოზ ცხვედაზეც, რომლის ლოცვა-კურთხევით მოსახსენებლად შევკრებილვართ აქა, იყო მონა ღვთისა და მოიღო უფლისაგან უწინარეს ყოვლისა ტალანტი მასწავლებლობისა, რომელიც **აქმნია** მან ჯერ მის აღმზრდელ ტფილისის საულიერო სემინარიაში და შემდეგ ტფილისის ქალთა ინსტიტუტში და წმ. ნინოს სასწავლებელში. თუმცა მასწავლებლობის სარბი-

ელზედ მოღვაწეობა ფრიად ძნელია, ვინაითგან ნორჩი და სათუთი არსება მასწავლებელმა დიდის სიფრთხილითა და თავგანწირულებით უნდა აღზარდოს **მამაკაცად სრულად, საზომად ჰასაკისა სავსებისა მის ქრისტესისა** (ეფეს. 4,13), მაგრამ განსვენებულმა ნიკოლოზმა ღირსეულად განვლო ერთხელვე არჩეული სარბიელი ხსენებულ სკოლებში და დაიმსახურა მოწაფეთა და ამხანაგთა სიყვარული, ხოლო უფროსთაგან პატივისცემა და მოხუცებულობის დროს უზრუნველად ცხოვრების საშვალება...

ჩვეულებრივი ადამიანი ამ ვიწრო ფარგლით შემოხაზულ სარბიელზედ მოღვაწე კმაყოფილი იქმნებოდა, ხოლო ღირსეულად განვლის შემდეგ, შეუდგებოდა მყუდრო ცხოვრებისათვის ზრუნვას. ნიკოლოზ ცხვედაძე კი ჩვეულებრივის ადამიანის მსოფლიომხედველობამ ვერ დააკმაყოფილა, რადგანაც უფლისაგან დაჯილდოებული იყო არა ერთის ხოლო ტალანტითა: მასწავლებლობის უღლის ზიდვის დროს, იგი ემსახურებოდა მშობელს ქვეყანას თუ ჟურნალ-გაზეთებში საჭირბოროტო საგნებზე წერილების მოთავსებით, თუ მოქალაქეთა საბჭოს ხმოსნის სახით, თუ ქართველთა ერის ემბაზის – სვეტიცხოვლის და სამთავროს ტაძრის განახლების დროს მუშაობით და მოციქულთასწორთა მირიან მეფისა და ნანა დედოფლის საფლავის გამშვენებით და სხ. მაგრამ ეს ცხოველის სულის პატრონი ადამიანი ვერც ამ მრავალფერადმა მოქმედებამ დააკმაყოფილა, – მას სწყუროდა მშობელი ერი განათლების სწორე გზაზე დაეყენებინა. მან კარგად იცოდა, რომ წინად ჩვენს ქვეყანაში განათლების საქმე სხვანაირად იყო მოწყობილი: თითქმის ყველა ეკლესიისა და მონასტრის ეზო წარმოადგენდა საერო სასწავლებელს, სადაც მოზარდი თავობა დახელოვნებულის ოსტატების, მღვდელთა და მონაზონთა მეოხებით დედაენაზე ითვისებდა ცნობას ღვთისა, ადამიანისა და გარეშემო ბუნებისას. მეცხრამეტე საუკუნეში კი ეს საერო სასწავლებელნი განჰქრნენ, ხოლო მათ მაგიერნი ან არა ჩანდნენ, ან მიუწთომელნი შეიქმნენ ჩვენის ერისათვის, – სასწავლო ენის უცოდინარობა და ქონებრივად დაქვეითება მოსწავლეთა მშობ-

ლებისა შეადგენდა ამ მოვლენის მიზეზსა. ყოველივე ეს გაითვალისწინა მოძმეთათვის გულშემატკივარმა ახალგაზრდა მასწავლებელმა ნ. ცხვედაძემ, და მცირერიცხვოვან თანამოაზრეებთან ერთად შეუდგა წერა-კითხვის გამავრცელებელის და თავადაზნაურთა ღარიბ მოწაფეთა შემწე საზოგადოებათა დაარსებას და მათ მიერ დასახულ მიზანთა განხორციელებას. მიუხედავად იმისა, რომ ნ. ცხვედაძე დატვირთული იყო არსობის პურის მოსაპოვებელად სამუშაოთი, იგი შეიქმნა ორისავე საზოგადოების საქმეთა მიმდინარეობის მთავარ მესაჭედ. და სულ მოკლე დროში დაარსდა სოფლად წერა-კითხვის სკოლები, ხოლო ტფილისში საშვალო განათლების სასწავლებელი, – ეს ჩვენი ძვირფასი გიმნაზია...

დააყენა რა სწორს გზაზედ წერა-კითხვის საზოგადოების სკოლათა მსვლელობა, მან განსაკუთრებითი ყურადღება მიაპყრო ამ ტაძარს განათლებისას, და გადასწყვიტა უზრუნველეყო იგი ყოველმხრივ, უმთავრესად კი საკუთარის შენობის შეძენით: „სანამ გიმნაზიას საკუთარს შენობას არ მოუპოვებ და არ დავაბინავებ ყოვლის მხრით გამართულს სახლში, მანამ ვერ მოვისვენებო“, იტყოდა ხოლმე განსვენებული... ბევრს, ძალიან ბევრს მოხუცებულის ახირებად მიაჩნდათ მის მიერ გიმნაზიისათვის საჭირო ადგილის ძებნა და სასწავლებელის შენობის გეგმის დამზადება: „ნიკო ცხვედაძეს უნდა უფულოდ სასახლე ააშენესო“, გაისმოდა გარშემო. ხოლო განსვენებული ამ დაცინვას თითქოს ვერც კი ამჩნევდა. იგი **დღე და ღამე იქმოდა** (1 თეს. 2,9) და საქმესა მას ღვთისად ჰგონებდა: **არა თუმცა უფალმან აღაშენა სახლი, ცუდად შვრებიან მაშენებელნი მისნი**-ო (ფსალ. 126,1), ხშირად გაიგონებდით მისგან. უფალმაც აკურთხა შრომანი და რუდუნებანი (1 თეს. 2,9) მისნი, და უკვე რამდენიმე წელიწადია, ჩვენი სასწავლებელი მოთავსებულია ამ შეუპოვარის ხასიათისა და დაუცხრომელის შრომისმოყვარე ადამიანის თაოსნობით აგებულ სასახლეში...

ამ ჟამად კი ჩვენ ვიმყოფებით იმ დარბაზში, რომლის სულის წმიდის სამუდამო სადგურად გარდაქცევას და წმ. მეფის დავით აღმაშენებელის სახელზედ ტაძრად კურთხევას

განსვენებული მოელოდა ყმაწვილის ხალისითა და აღტაცებით. ამ განუხორციელებელის სურვილის შესრულება და ამ სასახლის შენარჩუნება სკოლისათვის მან უანდერძა მის თანამშრომელთა და სასწავლებელის მესვეურთა, რომელნიც, უეჭველია, არა უგულებელჰყოფენ სკოლისათვის თავდადებულის მოხუცის მოლოდინს და უკანასკნელს სურვილსა...

თქვენ კი, საყვარელნო მოწაფენო, ნურასოდეს ნუ დაივიწყებთ განსვენებულის ნიკოლოზის თქვენდამი სიყვარულს, თქვენდა საკეთილდღეოდ უანგარო განუწყვეტელ შრომას და მუდმივ წმ. მოციქულის სიტყვით დარიგებას, – გიყვარდეთ თქვენი სამშობლო **არა სიტყვითა ხოლო, გინა ენითა, არამედ საქმითა და ჭეშმარიტებითა** (1 იოან. 3,18). ეხლა კი, შეევედრნეთ უფალსა, რომ მან დააწესოს სული განსვენებულის ნიკოლოზისა მართალთა თანა და მიანიჭოს მას გვირგვინი უკვდავებისა. ამინ.

(წარმოითქვა ქართულ გიმნაზიაში 1911. XI. 2; „შინაური საქმეები“, 1911, №37; „განათლება“, 1911, №11)

ს ი ტ ყ ვ ა
იაკობ სიმონის ძის გოგებაშვილის გარდაცვალების გამო

ვქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩვენდა და
მთავრობდეს იგი... ქვეყანასა ზედა
(შექმნ. 1, 26)

ჰბრძანა უფალმა, და მითვე მიანიჭა ადამიანს ბატონობა ყოველსავე ქვეყნიურ ქმნილებაზე. ამ დიდებულის მოწოდებისათვის აღჭურვა იგი საჭირო საშვალებითა, შთაბერა რა **მტვერისა ქვეყანისაგან** შექმნილს სხეულს **სული** სიცოცხლისაჲ (შექმნ. 2. 7). სულის ნიჭთა შინა დასდო [უფალმა] საფუძველი ადამიანის ქვეყანაზედ ბატონობისათვის, დაავალა რა ამ ნიჭთა განვითარება და განათლება ღვთის ცნობით, გა-

რეშემო ბუნების და მის მოვლენათა კანონების შესწავლით, – ცხოვრებისათვის გამოსაყენებელად. პირველქმნილი ადამიანი, იცნობდა რა ჭეშმარიტს ღმერთსა და აღასრულებდა რა მის სწავლა-ბრძანებას, იყო ბატონი და უფალი ყოვლისავე ქვეყნიერის ქმნილებისა. მხოლოდ ღვთის მცნების გარდასლვამ გამოიწვია შედეგად ადამიანის სულიერ ძალთა დაჩლუნგება და ქვეყნის ბატონის ბუნების მოვლენათა და მხეცთა მიერ შეშინება და დამორჩილება. მაგრამ ყოვლადმოწყალე უფალმა არა უგულებელჰყო ცოდვილი ადამიანი, მოუვლინა მაცხოვრად საყვარელი ძე თვისი, უფალი ჩვენი იესო ქრისტე, რომელმაც დაუძლურებული ადამიანი გამოიხსნა ცოდვისა და მისი შედეგისაგან, დაუბრუნა მას ძალი და ხელმწიფება ქვეყანასა ზედა და წარავლინნა მოწაფენი თვისნი ქადაგებად სასუფეველისა ღვთისასა (მატთ. 10,1; მარკ. 16,15-18; ლუკ. 9,1-2)...

განსვენებული იაკობ გოგებაშვილიც, ვითარცა ერთი მოწაფეთაგანი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, გულდასმით შეუდგა ამა სასუფეველის ქადაგებას თანამოძმეთა თვისთა შორის პირველისავე დღითგან სკოლითგან გამოსლვისა. თავდაპირველად მოღვაწე მცირე ფარგლით შემოხაზულ ასპარეზზედ, – სასულიერო სასწავლებელში, – შემდეგ იგი შეიქმნა მთელის ჩვენის ერის მასწავლებელად. თანახმად იესო ქრისტეს მცნებისა, მან უარჰყო თავი თვისი (მარკ. 8,34), აღიღო ჯვარი მასწავლებლობისა და შეუდგა მშობელის ერის ღვთის მსგავსებისა და ქვეყანაზედ გაბატონების გზაზედ დაყენებას. ბევრი შრომა, ბევრი საყვედური, ბევრი შეურაცხება და ბევრი დაბრკოლება განიცადა განსვენებულმა, მაგრამ შეუდრეკელად განაგრძობდა მუშაობას მშობელის ერის საკეთილდღეოდ. ამ განუწყვეტელმა შრომამ და თავდადებულმა მოღვაწეობამ იაკობის სიცოცხლეშივე გამოიღო ჯეროვანი ნაყოფი: ათი ათასობით და ასი ათასობით ვრცელდებოდა ხალხში მის მიერ შედგენილი წიგნები და ხალხმაც შეიგნო ამ წიგნების მნიშვნელობა...

ამ წიგნთა შორის განსაკუთრებულს ყურადღებას მიიქცევს „ბუნების კარი“. აცნობს რა ამ წიგნით მოსწავლე ახალ-

გაზრდობას კერძოდ და ჩვენს ერს საზოგადოდ ბუნების მოვლენათა და მათ კანონებსა და მიზეზებს, განსვენებული იაკობი მკითხველთა ყურადღებას აღამაღლებს მიზეზთა მიზეზისადმი, ხოლო ჩვენის ერის ძველი ცხოვრების მოთხრობით ამტკიცებს იმ უტყუარ აზრსა, რომ სანამ ჩვენი ერი ღვთისმოსავი და მოშიში იყო, მანამ არ გამოლევია ბაგრატ-დავითთამარები...

ასე ესმოდა განსვენებულს იაკობს თავისი მოვალეობა მასწავლებელისა და ამ სახედ ასრულებდა მაცხოვრის ბრძანებას ღვთის სასუფეველის ქადაგებისათვის, და ფრიად სწუხდა, რომ ამ უკანასკნელ დროს ჩვენში შესამჩნევად იკლო ღვთის სასუფევლის ქადაგებისათვის ზრუნვამ. ამ მოვლენას იგი სთვლიდა ფრიად სამწუხაროდ და შიშობდა, ვაი თუ სარწმუნოებრივ გულგრილობას ზედ მოჰყვეს ზნეობის დაცემა და ერის გადაგვარების გზაზედ დადგომაო. სამაგიეროდ, სიხარულით აღფრთოვანდებოდა ხოლმე, თუ სადმე შეამჩნევდა სარწმუნოების დაცვისა და ზნეობის განფაქიზებისათვის ზრუნვის ნიშნებსა: ამ ორიოდე წლის წინად ხშირად ნახავდით განსვენებულს იაკობს ამ ტაძრის გალავანში, ან კიდევ გვერდით ბაღში, სიამოვნებით თვალყურის მგდებელს ტაძრის კედლების ზრდისა და ჩუქურთმებით შემკობისათვის. „მიხარის, როცა ვხედავ ამ ტაძრის მამა-პაპათა მიერ შემუშავებული გეგმით შენებას, იქნება, ღვთის შეწევნით, მათი სარწმუნეობრივი გრძნობაც განცხოველდეს ჩვენშიო“, იტყოდა ხოლმე მოხუცი. უკანასკნელ დღეებში კი, როცა მახლობლებმა უამბეს, შენს სადღეგრძელოდ და სენისაგან განსაკურნებელად საქართველოს კუთხეებში პარაკლისები გადაუხდიათო, მოხუცი, მიუხედავად ძლიერის ტკივილებისა, დამშვიდდა, გამხიარულდა და სიამოვნებით წარმოსთქვა: „მადლობა ღმერთს, ჩემთვის ლოცულობენ, ეს კარგი ნიშანია, ვინაითგან სხვისთვის ლოცვა მარტო ზნეობრივად განვითარებულ არსებათა კუთვნილებააო“...

საყვარელნო! შეკრებილება თქვენი საქართველოს ყოველი კუთხითგან მოწმეა თქვენი განსვენებულის იაკობისადმი პატივისცემისა და სიყვარულისა... ნუ მოაკლებთ ამ სიყვა-

რულს ნურც იაკობს და ნურც იმ საქმეს, რომელსაც თვისი ძალღონე შესწირა იაკობმა. შეუწყეთ ხელი მშობელს ერში ჭეშმარიტის ცოდნის გავრცელებას, განამტკიცეთ ჯვარისმტვირთველ ერში ღვთის ცნობა, ჰქადაგეთ საკუთარის ცხოვრებით ქრისტეს სარწმუნოება, განაცხოველეთ უფლისადმი სასოება, შეიმოსეთ **ურთიერთის სიყვარული, რომელ არს სიმტკიცე სრულებისა** (კოლ. 3,14), რათა ყოველი ჩვენგანი იქმნას მზგავს ღვთისა, ეუფლოს ქვეყანას და მთავრობდეს **თევზთა ზღვისათა, მფრინველთა ცისათა, და ყოველთა პირუტყვთა, და ყოველსა ქვეყანასა და ყოველთა ქვეწარმავალთა ქვეყანასა ზედა** (შექმნ. 1,28). და ყოველივე ამით განამხიარულეთ ჩვენის ქვეყნის კეთილდღეობისათვის მრავალჯერ მწუხარების განმცდელი სული იაკობ გოგებაშვილისა!.. ამინ.

(წარმოითქვა ქვაშვეთში 1912. VI. 10; „შინაური საქმეები“ №25)

ს ი ტ ყ ვ ა
ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილის გარდასვალების გამო

ღვაწლი კეთილი მომიღვაწებიეს,
სრბაჲ აღმისრულებიეს,
სარწმუნოებაჲ დამიმარხავს (2 ტიმ. 4, 7)

სრული სიმართლით შეიძლება ითქვას შენთვის, ძვირფასო ალექსანდრე, ეს სიტყვები მთავარმოციქულის პავლესი! შენ, საშუალო სასწავლებელში სწავლის დროსვე გარკვეული გქონდა, თუ რომელ ასპარეზზედ აღასრულებდი შენს სამძიმო სრბასა. შენ მაშინვე აირჩიე ცხოვრების საგნად მშობელი ერის წარსული დიდების შესწავლა და ამ დიდების გამომზევება შენიანთა და უცხოთა საცნაურად და სარგებლად. ამ წმიდა საქმეს ემსახურებოდი შენ 25 წლის განმავლობაში და თითქმის აისრულე კიდეც გულის წადილი: შენი წყალობით

ჩვენი ერთს კულტურა საკმაოდ შეუძლიანთ გაიცნონ სხვა ხალხთა შვილებმა და შენმა თანამემამულეებმა...

ეცნობოდნენ რა ჩვენის ერის დიდებულ წარსულს უცხოელნი, მადლიერი გრჩებოდნენ და შენს სახელს პატივით და დიდებით ახსენებდნენ, ჩვენ კი, შენი სისხლი და ხორცი, უმეტეს შემთხვევაში ვერც კი გიცნობდით: აბა გადმოგვხედე შენი გონიერი თვალით და ჩვეულებრივის გულწრფელობით სთქვი, – ბევრს ჩვენგანს წაუკითხავს ნახევარი, ანუ მეოთხედი მაინცა შენი ნაწერი? აბა მოიგონე, გულკეთილო ადამიანო, ბევრი ჩვენგანი გინახავს შენს ლექციებზე ამ ხუთიოდე წლის წინად რომ ჩამოხველ ჩვენს დედაქალაქში და მიუხედავად შენის ავადმყოფობისა აღტაცებით გვაცნობდი ჩვენის ერის თავგადასავალსა? და განა მარტო აქ ვიჩენდით გულგრილობას შენის საყვარელის საგნისადმი შენნი თანამოძმენნი? არა, საუბედუროდ, არც იქ, თვით მეცნიერების ტაძარში იყავ შენ განებივრებული ქართველთა ყურადღებით; რამდენჯერ მომხდარა, რომ შენს ლექციას დასწრებითა მარტოოდენ ორი სამი მსმენელი?..

მაშ რა გამოძრავებდა, რა გახალისებდა, რა გაიძულებდა ამოდენა შრომისათვის? მარტოდმარტო განუსაზღვრელი და უანგარო სიყვარული მამულისა და მისი მომავალისა, ის სიყვარული, რომელიც **არა ეძიებნ თვისასა, ყოველსა თავსიდებნ, ყოველსა მოითმენნ,** ვინაითგან **ყოველი ჰრწამნ** (1 კორ. 13,5-7). შენმა განუზომელმა მამულის სიყვარულმა აგაღებინა ხელი პირადი ბედნიერებისათვის ზრუნვაზე და დაგიბადა რწმენა, რომ თუ დღეს არა, – ხვალ, ან ზეგ მაინც შეიგნებენ შენი მამულიშვილნი სამშობლო ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლის საჭიროებას, და ხვალინდელის ქართველობისათვის არა ზოგავდი თავს და შრომობდი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებადმდე. ახლანდელ თაობას კი შორითგან გვიცქეროდი, რომ ჩვენის უკუღმართის ცხოვრების შავს სინამდვილეს არ მოეკლა შენში რწმენა და სიყვარული მომავალი თაობისადმი. ამისთვის არ იყო, რომ არ შორდებოდი მოსკოვს, მიუხედავად შენი მეგობრების რჩევისა, – წადი სამშობლოში, თორემ მოსკოვი მოგიღებს ბოლოსო! და აი,

ასრულდა მათი წინასწარმეტყველება: ჩრდილოეთის სუსხიანმა ჰაერმა და გამუდმებულმა შრომამ მოგისპო სიცოცხლე და დღეს ვხედავთ **ხატად ღვთისა დაბადებულსა შვენიერებასა შენსა შეურაცხად, უპატიოდ და უსახურად!...**

მაგრამ მიმოიხედე გარშემო, ალექსანდრევ, და დაინახე ეს დიდებული სანახაობა: გვირგვინები, ლენტები, ბრწყინვალე შეკრებულება მღვდელთა და ერთა! რამ მოუყარა ყველა ამას აქ თავი? რა ამბავია? ნუთუ შენმა მემამულიშვილებმა შევიგენით ჩვენი შეცთომა, უკუვაგდეთ ჩვეულებრივი გულცივობა და აღვიარეთ სათაყვანებლად შენი წმიდათა წმიდა? ნუთუ შენმა ჩვენში ჩამოსლვამ გაგვიღვიძა მიფერფლილი სიყვარული სამშობლოსადმი, აღგვიძრა სურვილი შევისწავლოთ შენგან მამაპაპათა თავგადასავალი, მათი ნაღვაწ-ნამუშაკარი და განგვსჭვალა მტკიცე გადაწყვეტილებით შეუერთდეთ მათ ცოდნისა, შრომისა და რწმენის კავშირით? უფალმა აკურთხოს, მაშ, შენი აქ მოსლვა! **გარდამოიხილე ზეცით, ღმერთო, და იხილე და მოხედე ვენახსა ამას, და განამტკიცე ესე, რომელ დაასხა მარჯვენემან შენმან** (ფსალ. 79, 14-15)!

გარნა, ნუ მიწყენ, ჩვენო უწყინარო ალექსანდრევ, ამ შენთან უკანასკნელად გამოსალმების დღეს ერთი რამ კიდევ მოგახსენო: მე მომსწრე ვარ გრიგოლ ორბელიანის, დიმიტრი ბაქრაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გაბრიელ ეპისკოპოზის და ილია ჭავჭავაძის დასაფლავებისა! იცი, რა პატივით და დიდებით მივასვენეთ ეს ჩვენი ქვეყნის მნათობნი საფლავის კარამდე? მერმე? მერმე ისა, რომ დღეს აღარც მათი საფლავები გვახსოვს და ვეღარც მათ თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა მოვახერხეთ, – ვერ მოვიცალეთ! ჭეშმარიტად, **ზრუნვამან ამა სოფლისამან და საცთურმან სიმდიდრისამან შეაშთვეს** (მატთ. 13,22) ჩვენს გონებაში მათი ხსოვნა და გულში კიდევ მათი სიყვარული! მაშ, ნუ დაგვძრახავ, მრავალის ჭირის დამთმენო (2 ტიმ. 2,3) ალექსანდრევ, თუ მეორმოცე დღეს შენი გარდაცვალებისა ათიოდე ქართველის მეტმა ვერ გინახულოს, ხოლო წლის თავზე ოცზე მეტმა ვერ მოვიცალოთ დიდუბეში მოსასვლელად! ნურც იმისთვის დაგწყდება გული, თუ შენს თხზულებათა მეორედ გამოცემადმდე

დიდმა დრომ განვლოს, ჩვენ ჯერ კიდევ მოუმზადებლები ვართ ნამდვილი მოქალ[აქ]ობრივის ცხოვრებისათვის!..

შეგვინდევ, ჩვენო ტკბილო ალექსანდრეე, და მერწმუნე, რომ ეს გარდამავალი ხანა ადრე თუ გვიან გაივლის, რომ მოვა სხვა დრო, დრო თავის შეგნებისა, და მაშინ შენს ნაშრომ-ნაწერსაც დააფასებენ; დრო, ოდეს შენ მიერ დათესილი თესლი აღმოცენდება და აღორძინდება (მარკ. 4, 27) და გამოიღებს ნაყოფსა რომელიმე ასსა, რომელიმე სამეოცსა და რომელიმე ოცდაათსა (მატთ. 13, 23). მაშინ შენს საფლავსაც მოსძებნიან, შენს ნაწერსაც გამოსცემენ, და ლითონისა და ყვავილების გვირგვინების მაგიერ მოგიძღვნიან სიყვარულისა და მადლობის თაიგულსა. მანამდე კი განისვენე შენის სასო ღვთისმშობლის საფარვლის ქვეშე და ინუგეშე თავი წმიდის პავლე მოციქულის სიტყვებით: **ღვაწლი კეთილი მომიღვაწებიეს, სრბაჲ აღმისრულებიეს, სარწმუნოებაჲ დამიმარხავს, და მიმელის მე გვირგვინი, რომელი მომცეს მე მართალმან მან მსაჯულმან.** ამინ.

(წარმოითქვა ქვაშვეთში 1912. VIII. 5. „შინაური საქმეები“ №36)

სიტყვა
ა. ვ. ქუთათელაძის გარდაცვალების გამო

დაღათუ ბევრ მზარდულ გესხენ...
არამედ არა მრავალ მამა (1 კორ. 4, 15)

სწორედ ჩვენის დროისათვის უბრძანებია წმ. მოციქულს პავლეს, ვინაითგან ჩვენს დროში ხშირად და ძაიან ხშირადაც აღმზრდელობა-მასწავლებლობა მხოლოდ არსებობის პურის მოსაპოებელ საშვალებად შექმნილა. მიმოიხედეთ გარეშემო და ადვილად დაინახავთ, რომ გუშინდელი მასწავლებელი დღეს მოღვაწეობს ისეთს სარბიელზედ, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს მასწავლებლობა-აღმზრდელობასთან!..

სასიამოვნო გამონაკლისს წარმოადგენდა ამ მხრით ახ-

ლადგანსვენებული არისტობულ ვასილის ძე ქუთათელაძე. უმაღლესი სწავლით აღჭურვილი და თვალსაჩინო მოხელის ადგილის დაჭერის ადვილად შემძლებელი, იგი თავითგანვე შეუდგა მასწავლებლობა-აღმზრდელობას და 27 წლის განმავლობაში ენით თუ კალმით განუწყვეტელად ეწეოდა ამ მძიმე ტვირთის ზიდვასა. ყოველგან, სადაც კი განგებამ არგუნა მოღვაწეობა, არისტობულმა იჩინა თავი ჭეშმარიტის მამობრივის მზრუნველობით მოწაფეთადმი, რის გამოც უკანასკნელთ მიჩნეული ყავდათ იგი თავის მესაიდუმლედ და მზრუნველ-მფარველად: არ ყოფილა შემთხვევა, რომ მოწაფეთ დაეფაროთ რაიმე თავიანთ „არისტო“-საგან და არ გაეზიარებინათ საყვარელის მასწავლებელისათვის ყმაწვილური ჭირი და ლხინი. ამყარებდა რა ამ გვარს განწყობილებაზედ მოწაფეებთან თავის მოღვაწეობას, განსვენებული არისტობული მთელის თავისი არსებით შეეცადა გადაეცა მათთვის, როგორც ცოდნა სამშობლო ენისა, ისტორიისა და მწერლობისა, ისე ის განუზომელი სიყარული მამულისადმი, რომლითაც თვით იყო განმსჭვალული. ხოლო ვინაითგან სასწავლებელის მიერ განსაზღვრული დრო ამ ცოდნისა და სიყვარულის გარდასაცემად არისტოს არ ჰყოფნიდა, ამისთვის მან გამოიგონა ახალი საშვალება გათვალისწინებულის მიზნის მისაღწევად: კვირა-უქმე დღეებში შეაგროვებდა ხოლმე მოწაფეებს და მათთან ერთად გაემგზავრებოდა ამა თუ იმ ტაძარის, ანუ მონასტრისკენ. თავდაპირველად განსვენებული მოწაფეებს წირვა-ლოცვას მოასმენინებდა, რომლის დროს ხშირად თითონ გალობდა და კითხულობდა საეკლესიო წიგნებს, ხოლო მას უკან შეუდგებოდა ძველის დროის ნაშთის აღწერა-შესწავლას. ენაწყლიანი და ტკბილმოუბარი, ისე გაიტაცებდა ხოლმე მსმენელებს წინამდებარე ძეგლის აღწერის დროს მამაპაპათა თავგადასავალით და სამშობლოს ბედიღბლით, რომ ყურადმღებელთ სრულებით ავიწყდებოდათ სასმელ-საჭმელი და დაღლა-მოქანცულობა...

სწავლის ამ გვარის გადაცემით, ჩვენის ქვეყნის საუცხოვო ბუნების წიაღად, ისტორიულ ნაშთთა წინაშე, არისტო-

ბულმა მოხიბლა არა მარტო თავისი მოწაფენი, არამედ მათი მშობელ-ნათესავნი და სულ გარეშე პირნიც, რის გამო ბევრისაგან ბევრმა ქართველმა ინახულა და მოილოცა არისტობულის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ტაძარ-მონასტერი. ამ ნახვა-მოლოცვას კი შედეგად მოჰყვა წმიდის თამარ მეფის მიერ აღგებულის ბეთანიის საუცხოვო ტაძრის დაქცევა-განადგურებისაგან გადარჩენა და განახლება, ხოლო არისტობულის პატარა ქართველთა მასწავლებელისაგან დიდრონ ქართველთა მასწავლებელ-ხელმძღვანელად გადაქცევა. ჭეშმარიტად, **მცირედსა ზედა დადგენილი** შეიქმნა იგი **მრავალსა ზედა დადგენილად** (მატთ. 25,21). და ეს მრავალნი და დიდრონნი მადლობის ნიშნად დღეს შეკრებილან ამ წმიდა ტაძარში, რათა ქართულ გიმნაზიის მცირეწლოვან მოწაფეებთან ერთად შეავედრონ ზეციერს მამას მშობელის ერისა და ეკლესიის სიყვარულით აღტყინებული სული არისტობულ ქუთათელაძისა, და შესთხოვონ, არისტობულის მიერ დათესილმა თესლმა მოსცეს ქვეყანასა ჩვენსა ნერგი კეთილი და მრავალნაყოფიერი!.. ამინ, ამინ!

(წარმოითქვა ქვაშვეთში 1912. XI.18; „განათლება“ 1912 №10)

სიტყვა
კ. ს. მესხის გარდაცვალების გამო

დღეს მოზღვავებული ხალხი უკანასკნელის ამბორის ყოფით ეთხოვება იმ ადამიანს, რომელიც ჩვენის ქვეყნის ყველა კუთხეში გათქმულია მსახიობის სახელით, თუმცა სხვა ღვაწლიც მიუძღვის სამშობლოს წინაშე. ჩვენის სცენის მოღვაწეთათვის ფრიად სანუგეშო უნდა იყოს ამოდენა ხალხის თავის მოყრა იქ, სადაც ბევრისაგან ბევრი მსახიობს სცენაზედ სთვლის საზოგადოების გამართობელ, გამამხიარულებელ არსებად, ხოლო სცენის გარეშე თითქოს უმწიკვლო ზნეობით შემკულის საზოგადოების არა-სრულ-უფლებიან წევრადა. ნუ გეუცხოვებათ ეს სიტყვები, ვინაითგან ამგვარი შეხე-

დულება სცენასა და მსახიობზე არ შეადგენს მარტო ქართველთა საკუთრებას, არამედ არსებობს უფრო განათლებულ ერთა შორისაც: როცა ქალაქ ჟენევაში განიზრახეს სამუდამო სცენის დაარსება, წინააღმდეგ გახდა სხვათა შორის განთქმული ჟან ჟაკ რუსო. ის სწერდა ერთ მეგობარს, თეატრი ადამიანს ვნებათა ღელვას უცხოველებს, აქეზებს წუთიერის სიტკბოების განცდისათვის, ანებივრებს და უღვიძებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, ქვენა გრძნობათა. თვით თეატრი დარბაისელ ადამიანთათვის საჭირო დაწესებულება კი არ არის, არამედ თავშესაფარია უსაქმო პირთათვის, რომელთა დავიწყებიათ თავიანთი ვინაობა და მოვალეობა და არ იციან, რა უყონ თავისუფალ დროსაო. სხვები, განსაკუთრებით მორალისტები, კიდევ უფრო შორს მიდიან. ისინი სამუდამო სცენას ზნეობრივ დამღუპველად სთვლიან, როგორც მსახიობთა, ისე თეატრში მოსიარულე საზოგადოებისათვის, რათგანაც თეატრი აჩვევს ძლიერ გრძნობათა განცდას და მიმდინარე ცხოვრების უკუღმართობას ჩვეულებრივ მოვლენად არაცხვინებსო...

საბედნიეროდ, სცენის საუკეთესო მოღვაწეთა მეცადინეობით, ეს შეხედულება ირყევა და ფეხს იკიდებს სხვაგვარი, – თეატრმა საზოგადოება უნდა გაართოს და თანვე უნდა აღზარდოს, აღამაღლოს, გააკეთილშობილოს. ამ დიადი მიზნის მისაღწევად კი თეატრი საუკეთესო იარაღი და საშვალებაა: ის თავის ზღუდეთა შორის ჰკრებს ყველა წოდებისა და ჰასაკის წარმომადგენლთ, აკავშირებს მათ სიყვარულისა, გინა მძულვარების ერთგვარად განცდის გრძნობითა და უღვიძებს შეგნებას ადამიანის მაღალის დანიშნულებისას..

მართალია, მსახიობი სცენაზედ ჩვენ გადმოგვცემს არა თავის აზრსა, გვიხატავს სხვის მიერ შექმნილ სურათსა, მაგრამ ძლიერის მეტყველებით, მოძრაობით და მოქმედებით სულს უდგამს, სისხლსა და ხორცს ასხამს მწერლის ნაწარმოებსა; იგი ამ სახედ ჭეშმარიტი გამგრძობი და დამამთავრებელია ავტორისა. მაგრამ სანამ მსახიობი ამ სიმაღლეს მიაწევდეს, თვით გაიზრდებოდეს, საჭიროა მისთვის ბევრი შრომა, დიდი გულმოდგინება და განუწყვეტელის სწავლის ხალისი...

სწორედ ამ იშვიათ თვისებით იყო შემკული წინაშე ჩვენსა მდებარე, ქართული სცენის მესვეური და დაუვიწყარი მსახიობი კოტე მესხი. მიუხედავად იმისა, რომ განსვენებული თავის სასცენო მოღვაწეობის დასაწყისშივე ირიცხებოდა ჩვენის ერის სასიქადულო მოღვაწეთა გუნდში და თავითგანვე განთქმული იყო როგორც ქართული სცენის „ლამპარი“ და „ბუმბერაზი“, იგი განუწყვეტლივ, უკანასკნელ ჟამადმდე, შრომობდა თვითგანვითარებისა, სათეატრო საქმის საუკეთესოდ შესწავლისა და სამშობლოს წინაშე ერთხელვე თავსნადების მოვალეობის საუმჯობესოდ შესრულებისათვის. ამ მიზნით მან, ხელმოკლე და ნივთიერად შეიწროებულმა ადამიანმა, არა ერთხელ ინახულა რუსეთისა და ევროპის თეატრები და იქ მოიძია მასწავლებლები. აკი ამისთვის იყო, რომ მისი მონაწილეობა ამა თუ იმ პიესაში თავდებად ხდებოდა პიესის საუკეთესოდ შესრულებისა და საზოგადოებაც სიამოვნებით მიისწრაფოდა თეატრისაკენ, და ბრუნდებოდა იქითგან კმაყოფილი და მადლიერი. ამ გრძნობათა ნაკადმა სამის წლის წინად მთელს საქართველოს ადღესასწაულებინა კოტეს ოცდაათის წლის მოღვაწეობა, ხოლო დღეს ცხარის ცრემლით აატირა იგი. გლოვით მოცულის ქვეყნის საერთო ტირილს მეტის სიმწვავით განვიცდით ჩვენ, რომელთაც წილად გვხვდა საკუთარის ხელით მივაბაროთ მიწას ძვირფასი ნეშთი...

განვაზავოთ, საყვარელნო, ეს საზოგადო გლოვა მხურვალის ლოცვით: უფალო, უკვდავჰყავ სახელი კონსტანტინე მესხისა ზეცათა შინა, ხოლო ქვეყანასა ზედა გაგვიმრავლე მის მსგავსნი მსახიობნი და სცენის მოღვაწენი!..

ამინ.

(წარმოითქვა 1914. V. 18 ქვაშვეთში)

ს ი ტ ყ ვ ა
აკაკის გარდაცვალების გამო

პატარებო! ყველა თქვენგანს რამდენიმე მასწავლებელი ჰყოლია: ერთი გასწავლიდათ წერა-კითხვას, მეორე – ანგა-

რიშს, მესამე – საღვთო შჯულს, მეოთხე – კიდევ რომელსამე სხვა საგანს. სკოლაში მყოფ მასწავლებელთა გარდა ჩვენ გვყვანან ისეთი მასწავლებლები, რომელნიც გვასწავლიან სამშობლოს სიყვარულს, მისი ჭირისა და ლხინის განაწილებას, მისი განათლებისა, განსწავლისა და აყვავებისათვის ზრუნვასა და შრომას...

ამგვარ მასწავლებელთა შორის უპირველესი ადგილი ეჭირა ჩვენში იმ დიდებულს მოხუცს, რომელიც თითქმის ყველას თქვენგანს საკუთარის თვალით გინახავთ და რომელსაც აკაკი ერქვა. მისი საუცხოვო ლექსები თქვენ ზოგი გისწავლიათ, ზოგი წაგიკითხავთ და იცით, თუ ვინ იყო აკაკი. ვამბობ, იყო მეთქი მისთვის, რომ აკაკი დღეს ცოცხალი აღარ არის: ის მიიცვალა ამა თვის 26, სწორედ იმ დღეს, რა დღესაც სული ჩააბარეს უფალს დიდებულმა მეფემ დავით აღმაშენებელმა და სულმნათმა გაბრიელ ეპისკოპოზმა.

ვინაითგან შეუცთომელი და უცოდველი არვინ არის ქვეყანაზე, შევევედროთ უფალს, შეუნდოს ჩვენს დიდებულ მასწავლებელს აკაკის ყოველი შეცოდება, რომელიც მას ჩაუდენია სიტყვით თუ საქმით, ნებით თუ უნებურად, ცოდნით თუ უცოდინარობით და არ მოაკლოს ჩვენს ედემის მსგავს სამშობლოს აკაკისთანა მასწავლებლები! ამინ

(წარმოითქვა ქართული გიმნაზიის ტაძარში 1915. I. 28)

ს ი ტ ყ ვ ა
აკაკის გარდავალების გამო

დედის სალმობას ნუ დაივიწყებ
(ი. ზირაქი 7, 29)

ჰბრძანებს უფალი და ეს სიტყვა დიდებულ მამულიშვილს აკაკის გულის ფიცარზედ ჰქონდა აღბეჭდილი...

თითქმის სამოცის წლის განმავლობაში იგი „მალამოს“ სდებდა **დედის სალმობას** და აღვიძებდა „ძველ ტურფას“ „საღათას ძილისაგან“...

მართალია, ზოგნი ჰნატრობდნენ „მკვდარივით მძინარის“ ,,სიკვდილს”, მაგრამ დედის „თავსმდგომმა“ ,,ჭირისუფალმა” საქვეყნოდ გამოაცხადა: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს... ბევრის ბრძოლით დაღალულსა ეჭირვება მოსვენება“...

მაშ, დასცხერით, ორგულნო, და იშვებდით, მოყვასნო: „გულსა სწამს და ჭკუას სჯერა, რომ ჯერ კიდევ არ გამქრალა მომავლის ბედისწერა“...

ამ მომავლის ბედისწერის მოლოდინში დაუცხრომელმა მუშაკა „ცხოვრების გზა გალია“ და „სიტკბოზედა მწარე მეტი დალია“; თანამგზავრ ჰყავდა „მწუხარება და ჭირი“, მაგრამ, იტყვის, „სულ ვიცინი, არ ვსტირი“...

იცინოდა, იშვებდა, განიხარებდა მისთვის, რომ „იხილა უცხო სიზმარი“, „ნახა, რომ ქვეყნად ჩამოსულიყო ნინო, ქეთევან და თვით თამარი“. „ზეცად აღეპყრათ სამთავეს ხელი“ და „ავედრებდნენ“ „დედასა ღვთისას“ ჩვენს ,,საქართველოს” „დიდჭირნახულსა“...

საოცარის სანახაობით ნუგეშინისცემულს ერის მესაიდუმლეს დარდი გაუქარწყლდა, „გულს იმედი დაესახა“ და აღარ „ტიროდა“...

არც ჩვენ შეგვფერის, საყვარელნო, ტირილი ფასდაუდებლის ცხედრის წინაშე: თუმც თვით მგოსანი ვერ მოესწრო, მართალი სვიმეონივით, **მაცხოვარების** ხილვას, მაგრამ **დედის სალმობათა არ დავიწყება** მან გულს ჩაუნერგა მთელს ქართველობას და შემოიკრიბა იგი გარემოს თვისა, ვითარცა **ახალნერგნი ზეთისხილისანი** (ფსალმ. 127, 4)...

ეს კი „წინამორბედია“ „ანგელოზთ გუნდის საგალობელის“ აღსრულებისა:

„მოეც კურთხევა ზეცით, მაღალო,
და გარდმოსახე ძლიერად ჯვარი,
რომ აღადგინო ქართველთა ერი,
დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი“...
იყავნ! იყავნ!

(წარმოითქვა ქვაშვეთში 1915. II. 1;
„სახალხო ფურცელი“, №202)

ს ი ტ ყ ვ ა
თ. ვარლამ ლევანის ძის გელოვანის სულის მოსახსენებლად გარდახდილის პანაშვიდის წინ

უფროსი ამისა სიყვარული არავის აქვს,
რათა სული თვისი დასდვის
მეგობართა თვისთათვის (იოან. 15, 13)

ჰბრძანა მაცხოვარმა და ეს სიტყვა გაიხადა გზის მაჩვენებლად აწ განსვენებულმა თ. ვ. ლ. გელოვანმა...

ეწვია რა სამშობლოს განსაცდელი, ვარლამ გელოვანი მყისვე გაეშურა დასავლეთისაკენ და თავგანწირულად უმსუბუქებდა ტანჯვას თავისუფლებისათვის მებრძოლთა. ხოლო როცა ომის ცეცხლი გაჩაღდა ქვეყნის სამხრეთით, მამულიშვილი გამოექანა ჩვენსკენ და აქ **დასდვა სული თვისი მეგობართა თვისთათვის**...

არც საკვირველია: ვარლამ გელოვანი იყო ღვიძლი შვილი ქართველის ერისა, რომელიც მეოთხე საუკუნითგან შეიქმნა ქრისტეს მოსავ და ჯვარის მტვირთველ ერად. ამ ერის წარსულში გელოვანები ბევრნი ყოფილან, დღესაც მოიპოვებიან...

მათის შარავანდედით გაბრწყინვებულა ქვეყანა, აღზრდილა ახალთაობა და განმტკიცებულა მამულიშვილობა...

მაშ შევსთხოვოთ უფალს, მიიღოს ვარლამის და მზგავსთა მისთა მეგობართათვის სულის დადება მსხვერპლად კეთილ სურნელად, და ნაცვლად გარდამოუვლინოს ქვეყანას ჩვენსა მშვიდობა, დღეგრძელობა და ყოველსა შინა კეთილსა წარმატება. ამინ.

(წარმოითქვა ქვაშვეთში 1915. 22.II;
„სახალხო ფურცელი", 1915, №220)

ს ი ტ ყ ვ ა
ნიკო ლომოურის გარდაცვალების გამო

მოიხსენენით წინამძღვარნი იგი თქვენნი...
და ბაძევდით სარწმუნოებასა მათსა (ებრ. 13,7)

გვამცნებს წმიდა მოციქული. ჩვენც შევკრებილვართ აქ იმ **წინამძღვრის** მოსახსენებელად, რომლის **სარწმუნოების სიმბოლოში** ხაზგსმით იყო აღნიშნული, – მშობელის ხალხის შესწავლისა და განათლებისათვის ზრუნვა...

პატარაობითგანვე კარგად მცნობი ჩვენის ხალხის ჭირისა და ლხინისა, ცოდნისა და უცოდინარობისა, სარწმუნოებისა და ცრუმორწმუნოებისა განსვენებული ნიკო ლომოური სკოლის ზღუდეთაგანვე შეუდგა ქართველის მკითხველის საზოგადოების გაცნობას, თუ რას წარმოადგენდა სამოცდაათიან წლებში წარსულის საუკუნისა ჩვენი ხალხი და რა ესაჭიროებოდა მას...

სწავლის დასრულების შემდეგ მიწვეული ახლად დაარსებულის სათავადაზნაურო სკოლის გამგედ, განსვენებული თავს ანებებს ამ ფრიად საპატიო და თვალსაჩინო სამსახურს, ვინაითგან იგი აშორებდა სოფელსა და ხალხს; მიეშურება გორისაკენ და იჭერს ალაგს ქართულის ენის მასწავლებელისას საოსტატო სემინარიაში...

ეს ადგილი თავისთავად არარას წარმოადგენდა, მაგრამ განსვენებულს ნიკოს აძლევდა საშვალებას, ჩაენერგა მომავალ სახალხო მასწავლებელთა გულში ქართველის ხალხის სიყვარული და ქართულის ენის პატივისცემა. მოწაფეთაც დაუფასეს ამაგი, – მის მიერ გაწვრთნილი ახალგარდობა მოეფინა ქართლ-კახეთს და **ერმან მავალმან ბნელსა შინა იხილა ნათელი დიდი** (ისაია 9,2) თუ არა, მცირის უმეტესი მაინცა...

ამ სასიამოვნო მოვლენით გამხნევებულმა ნიკომ შრომა გაორკეცა და თავის საუცხოვო მოთხრობებით ყოფილ მოწაფეებს კერძოდ და ქართველობას საზოგადოდ აღუნუსხა ჩვენის ხალხის დროის შესაფერისი საჭიროებანი და მოთხოვნი-

ლებანი, და ამ მხრივ გაგვიწია ჭეშმარიტი წინამძღვრობა...

დღეს ამ წინამძღვარმა განისვენა და განგრძობა მოვალეობისა, რომელი თავს ედო, ჩვენ გვიანდერძა...

მერმე, შევძლებთ ამ ანდერძის შესრულებას? გაუწევთ ქართველ ხალხს ნიკო ლომოურობას?

ამ საკითხის პასუხს მომავალი მოგვცემს. დღეს კი შევევედრნეთ ზეციერ მამას, მოგვანიჭოს ჩვენ ამ საქმისათვის საჭირო ძალი და სიმხნე, ხოლო ნიკო ლომოურს – სასუფეველი ცათა. ამინ.

(წარმოითქვა ქვაშვეთში 1915. IV. 19;
„სახალხო ფურცელი“ №263)

სიტყვა
ალ. ჭიჭინაძის გარდაცვალების გამო

ყმაწვილებო! ამ არაჩვეულებრივ დღესა და ჟამს ჩვენ შევკრებილვართ აქა მადლობითა და ლოცვა-კურთხევით მოსახსენებლად მის სახელისა, ვინც ჯერ კიდევ გუშინ მამობრივის სიყვარულით დაგტრიალებდათ და თქვენის კეთილდღეობისათვის ზრუნვაში განუტევა სული. თქვენ უკვე გაგებული გექნებათ, რომ წუხელ, საღამოს ექვს საათზედ, უეცრად გარდაიცვალა ჩვენი მეთაური და გიმნაზიის გამგე ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე...

განსვენებული, საყვარელნო, ფასდაუდებელი ადამიანი იყო არა მარტო ამ სასწავლებლისა, არამედ მთელის ჩვენის ერისათვის, როგორც მის განათლებისა და განსწავლის მოტრფიალე და მესვეური. უმაღლესის სასწავლებლის იურიდიულის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ალექსის შეეძლო ფრიად საპატიო ადგილი დაეჭირა როგორც სახელმწიფო სამსახურში, ისე ვექილთა წრეში ჩარიცხვით, მაგრამ განსვენებულის ყურადღებას სულ სხვა რამ იზიდავდა, – პატარა ქართველების უმწეო ყოფა იმდროინდელ სასწავლებლებში. ამის გამო ქუთაისის ერთ-ერთ განაპირა უბანში განსვენებულმა დააარსა საკუთარი სკოლა, რომელსაც დილითგან სა-

ღამომდე თავს ევლებოდა. ეს პატარა სკოლა სისწრაფით იზრდებოდა და სულ მალე მასწავლებელ-მოსწავლეებიანათ შეესისხლხორცა ქუთაისის ახლადგახსნილ სათავადაზნაურო გიმნაზიას, რომელსაც სახელოვნად განაგებდა რამდენსამე წლის განმავლობაში განსვენებული. ქუთაისითგან ის მოწვეულ იქმნა ჩვენის გიმნაზიის უფროსად, სადაც რვა წლის მოღვაწეობის შემდეგ დროებით შესწყვიტა სამსახური, თითქოს მისთვის, რომ ამ სამის წლის წინად კვლავ ეკისრნა მისი საჭეთმპყრობელობა...

რაგვარის სიყვარულით და ერთგულებით ეწეოდა განსვენებული აქ სამსახურს, თქვენ კარგად იცით; ყველაზე ადრე ის მოდიოდა გიმნაზიაში და უკანასკნელი ტოვებდა მის კარმიდამოს. ამგვარმა ორმოც წელზედ უმეტესმა მოზარდის თაობის საკეთილდღეოდ განუწყვეტელმა შრომამ, სკოლის კედლებში თუ მის გარედ, სამწერლო ასპარეზზედ თუ სჯა-ბაასში, გაილია ქართველ ბავშვების საბედნიეროდ გაჩენილის ადამიანის სიცოცხლე, და გუშინ მეტყველი და მოქმედი ალექსი ბესარიონის ძე დღეს წინაშე ჩვენსა სძევს უსიტყვოდ და უმოძრაოდ...

მაგრამ, ყმაწვილებო, ადამიანის სული უკვდავია: ალექსი ბესარიონის ძის სულიც თქვენს შორის ტრიალებს და ყურს ჩაგჩურჩულებსთ: გაისარჯეთ, ჩემო კარგებო, იშრომეთ, ისწავლეთ, შეიარაღდით ცოდნით, გაუწიეთ სამშობლოს [...] მისთვის თავდადებულთა მაგიერობა და მით გამახარეთ მეცა და ძვირფასი საქართველოც...

ეხლა თქვენ იცით, ვაჟებო, შეასრულებთ ალექსის ამ უკანასკნელ რჩევა-დარიგებას, თუ არა!

იყავნ, უფალო, იყავნ!

(წარმოითქვა გიმნაზიის ეკლესიაში 1917. I. 28;
„საქართველო", 1917, №24)

ს ი ტ ყ ვ ა
ირ ო დ ი ო ნ ე ვ დ ო შ ვ ი ლ ი ს გ ა რ დ ა ს ვ ა ლ ე ბ ი ს გ ა მ ო

წმიდა მოციქულის მცნება – **ჰქადაგე სიტყვა... ამხილე... და ნუგეშინის ეც ყოვლითა სულგრძელებითა** (2 ტიმ. 4. 2), ერთის მხრით, და წინაშე ჩვენსა მდებარე პოეტის ირ ო დ ი ო ნ ევდოშვილის მეგობრის (ნოე ჩხიკვაძის) მხილება – „ერის მგოსანს თუ აფასებდით, გზას რად უხშობდით“-ო, მეორის, – გვაიძულებს, ვიკითხოთ: ქართველ საზოგადოებას მართლაც ხომ არ უძევს წილი ვისიმე ნიჭის ჩახშობაში, შეფერხებაში და განვითარების შეჩერებაში?..

თუ გულწრფელად დავაკვირდებით დასმულ საკითხს, უეჭველად მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ამ მხრით უცოდ-ველნი არა ვართ... მოგეხსენებათ, ჩვენს ქვეყანაში ღვთის მიერ ნიჭით დაჯილდოვებულ ადამიანთა რიცხვი მცირე არ არის. ჩვენ კი, შევამჩნევთ თუ არა ნიჭიერ ახალგაზრდას, ერ-თმანეთს ვახარებთ ხოლმე: აღმოგვიჩნდა დიდებული პოეტი, დაგვებადა შეუდარებელი კომპოზიტორი, განგებამ გამოგ-ვიგზავნა იშვიათი ხელოვანი, აღმოგვიბრწყინდა სწორუპო-ვარი მეცნიერი და სხ. ასეთი შეხვედრა თავბრუს ახვევს ზო-გიერთ ახალგაზრდას, აჩვევს სიზარმაცეს, უღვიძებს სურ-ვილს განდიდებისას, წინ ეღობება საჭიროებას სწავლის გან-გრძობისას, უიწროებს მსოფლიომხედველობას, აქეზებს ად-რე იგემოს სიამენი ამა სოფლისა და უჩლუნგებს ღვთისაგან ბოძებულ ნიჭს სწორედ მაშინ, როდესაც უნდა მიეღწია უაღ-რეს ხარისხამდე...

გაუწიოთ ანგარიში, საყვარელნო, ამ უტყუარ მოვლენას, დიაღაც მივეგებნეთ სიხარულით ღვთის მიერ ბოებულის ტა-ლანტის აღმოჩენას, მივსცეთ ნიჭსა „გზა ფართო, თაყვანის-ცემა ღირსებას“, მაგრამ ამასთანავე ნუ მივეცემით ნაადრევ აღტაცებას, ნუ შეუშლით ხელს გაზვიადებული ქებათა-ქე-ბით ახალგაზრდა მოღვაწეთა განსწავლას, განვითარებას და მომწიფებას...

დღეს კი მადლობა შევსწიროთ უფალს საყვარელის პოე-ტის ირ ო დ ი ო ნ ი ს მოვლენისათვის, იმ პოეტის, რომლის

ბრწყინვალე ნიჭი, აღმოშუქდა რა ძლიერად, თავის მსვლელობაში ვერ შეაფერხა მრავლისაგან უმრავლესმა დაბრკოლებამ და დაუბრუნდა ზეციერ მამას განმრავლებული და განსპეტაკებული... ამინ.

(წარმოითქვა ქვაშვეთში 1916. V. 7; „საქართველო“ №104)

სიტყვა
თეოდორე დავითის ძის ჟორდანიას
გარდაცვალების გამო

საყვარელნო! წარსულის საუკუნის მეორე ნახევარში ისე დატრიალდა ჩვენი ქვეყნის ბედის ჩარხი, რომ ქართველის ერის შვილები ქართველ სამღვდელოების კრებულის შესავსებლად დაარსებულ სასწავლებელში მოკლებულნი იყვნენ ქართულის ენის და საქართველოს ისტორიის შესწავლის საშვალებას: მთელი კვირის განმავლობაში ქართულს ენას დათმობილი ჰქონდა ორი თუ სამი საათი, ისიც ჟამნ-დავითნის საკითხავად. ხოლო, თუ რა ხალისით ჰკითხულობდენ ამ წმიდა წიგნებს სემინარიელები და რა საფუძვლიანად ითვისებდენ სამშობლო ენას, ცხადად ჩანს ნეტარხსენებულის გაბრიელ ეპისკოპოზის განკარგულებითგან: მღვდლის ხარისხის მაძიებელ სემინარიელთ სულმნათი ყოვლადსამღვდელო გაენათის მონასტერში გზავნიდა, – „სწავლულთა“ განსასწავლად „უსწავლელთა“ მიერ...

ასეთი უნუგეშო მდგომარეობა დიდხანს გასტანდა, ჩვენს ერს რომ არ მოვლინებოდა სამშობლოს სიყვარულის საღვთო ცეცხლით აღტყინებული, დღეს წინაშე ჩვენსა უსიტყვოდ მდებარე თეოდორე დავითის ძე ჟორდანია. ამ მჭერმეტყველმა და შორსმჭვრეტელმა მამულიშვილმა, მრავლითა **შრომითა და რუდუნებითა, მღვიძარებითა** და იძულებითა, სათანადო მთავრობას დააარსებინა სემინარია-სასწავლებლებში ქართულის ენის და ისტორიის კათედრა, ხოლო მოწაფეთა გულში აღანთო ცეცხლი სამშობლო ენის და წარსულის

სიყვარულისა. მიუხედავად იმისა, რომ თევდორეს მიერ წარდგენილი პროგრამმა წითელი მელნით გაამეოთხედ-მეხუთედეს, ეს გონიერი მასწავლებელი მაინც ახერხებდა, პარალელებისა და კონტრასტების შემწეობით, შეესწავლებინა მოწაფეთათვის ქართული ლიტერატურა უძველესის დროითგან მეცხრამეტე საუკუნის მიწურულადმდე. ხოლო საეკლესიო წიგნების და ისტორიის შესწავლა ისე დააყენა, რომ არა ერთსა და ორს საუკეთესო მოწაფეს აღუძრა სურვილი მოძღვრის ხარისხში ემსახურნა მშობელ ერისათვის და მიეყო ხელი მის თავგადასავალის და გონების ნაწარმოების საფუძვლიანად შესწავლისათვის...

გაამაგრა რა ამ მხრით ქართული ენისა და ისტორია-ლიტერატურის შესწავლის საქმე სასულიერო სასწავლებლებში, დედაენისთვის თავდადებული მამულიშვილი გაეშურა სამშობლოს იმ კუთხისაკენ, სადაც მისი სათაყვანო საგანი საფრთხეში იყო ჩავარდნილი: სამეგრელოში საეკლესიო სკოლების გამრავლებით და იქ ქართულის ენის განმტკიცებით, მან მოუნადირა ამ სკოლას ხალხის გული და იძულებულყო სამოსწავლო უწყებაც, შემოეღო თავის სკოლებში ქართული ენა...

ამავე დროს, ეს დაუღალავი მუშაკი გვიწერდა ქართულის ენის გრამატიკას, გვიკრებდა „ქრონიკებს“, გვიდგენდა კატალოგებს, გვისტამბავდა მონოგრაფიებს, გვიმაგრებდა მეცნიერულ ნიადაგზედ დამყარებულის მოხსენებებით სამშობლო ეკლესიის თავისუფლების საკითხს, ებრძოდა სამშობლოს მტრებს და, სამაგიეროდ, განიცდიდა **ჭირთა ქალაქთა შინა და უდაბნოთა ზედა, ნათესავთაგან და ძმათა მტყუართაგან** (2 კორ. 11, 26)...

სწორედ ამ ჭირთა განცდისათვის და სამშობლოს კეთილდღეობისათვის ღვაწლით შემოსისათვის ყოფილნი შენნი მოწაფენი, ძვირფასო მასწავლებელო, შემოვკრებილვართ ჯერ კიდევ გაუცივებელის შენის გვამის გარშემო, დაგტირით თავსა და მადლიერის გულის სიღრმითგან ლოცვას აღვავლენთ ყოველთა მოძღვრისა და მასწავლებელის წინაშე: განუსვენე, ქრისტე მაცხოვარ, მონასა შენსა და მოძღვარსა

ჩვენსა თეოდორეს და შეუნდე ამას ყოველნივე შეცოდებანი მისნი, ნებსითნი და უნებლიეთნი... ამინ.

(წარმოითქვა ქვაშვეთში 1916. X. 29; „საქართველო“ №244)

ს ი ტ ყ ვ ა
ამიერკავკასიის კომისარიატის წევრის კიტა (ივანე) აბაშიძის გარდაცვალების გამო

დაუვიწყარო კიტავ!

დიდი წინასწარმეტყველი მოსე, რომლის წინამძღვრობით მონობისაგან განთავისუფლებული ისრაილი შევიდა აღთქმულის ქვეყნის სანახებში, აღიყვანა უფალმან **თხემსა ზედა ფასგისასა,** უჩვენა მომავალი სამკვიდრო მისის ერისა და უბრძანა: აჰა ესე რა, **თვალთა შენთა იხილეს ქვეყანა ესე, ხოლო ვერ შეხვიდე შენ მუნ** (მეორე შჯულთა 34,1-4)!..

შენც, ძვირფასო მამულიშვილო, წინამძღვრობითა შენითა შეიყვანე კირთების ქვეშე ყოფილი ერი ქართველი თავისუფლების სამფლობელში, თვით აღყვანილ იქმენ თხემსა ზედა ერის საჭეთმპყრობელობისასა, გაორკეცე შრომა მის უფლებათა განსამტკიცებლად და აღტყინებით მოელოდი და შეჰხაროდი ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა განსვენებას, მაგრამ მოულოდნელად მოგესმა: **თვალთა შენთა იხილეს ქვეყანა ესე, ხოლო ვერ შეხვიდე შენ მუნ!..**

რათა, რისთვის? მისთვის, რომ **განყოფანი მსახურებათანი** უფლისაგან არს (1 კორ. 12,5), რომელმანცა **განაჩინა დაწესებულნი ჟამნი და საზღვარის დადებანი** (საქმე მოც. 17,26) მოღვაწეობისათვის კაცთასა! ჩანს, ღვაწლთა განმანაწილებელმან მოქალაქობა შენი, ვით დიდისა მის წინასწარმეტყველისა, კმასაყოფელად სცნო, წუთიერსა ცხოვრებასა შენსა საზღვარი დასდო, ხორციელად ტანჯვითა შენითა სული შენი სპეტაკჰყო, და ამა სოფლითგან განსვლისას ხმა გიყო: **მიეც დიდებისაგან შენისა** ახალ ისუთა, ნავეს ძეთა, გა-

რემოს შენსა შემოკრებილთა. **დაასხ** მათ ზედა **ხელნი შენ-ნი, რათა სიტყვითა პირისა** უფლისათა **ვიდოდიან თვით და ძენი** (რიცხ. 27,18-21) ქართვლისანი, და განისვენე იმ იმედით, რომ ახალნი მოღვაწენი სავსებით დაიპყრობენ „აღთქმულ ქვეყანას“ – თავისუფლებას, **ნაკლულთა განაგებენ** (ტიტ. 1,5), **მშიდობასა და სათნოებასა** (ლუკ. 2,14) განამტკიცებენ და ურთიერთას პატივისცემასა, თანხმობასა და სიყვარულსა დაამყარებენ!..

იყავნ, უფალო, იყავნ!

(წარმოითქვა სიონში 1917. XII. 23)

ს ი ტ ყ ვ ა
ნ. ი. მაკარაშვილის და გ. რ. ჩიკვაიძის ბრძოლის ველითგან ჩამოსვენების გამო

საყვარელნო, წუხელ, პანაშვიდის შემდეგ, ერთ-ერთს ამ ცხედართაგანს თავს დასტიროდა ვინმე ბანოვანი. როცა გული იჯერა ტირილით და დაცარიელებულ ტაძრითგან გასვლა დააპირა, შემამჩნია და მკითხა: მიუხედავად იმისა, რომ მე მორწმუნე ადამიანი ვარ, ვერ გამიგია ერთი რამ, – რად იხოცება ახალგაზრდები მაშინ, როდესაც ზოგიერთნი მოხუცნი სიკვდილს თითქოს დავიწყებიაო? ვინაითგან ეს საკითხი საზოგადო ხასიათისაა, მოვალედ ვსთვლი ჩემს თავს, განვიმეორო ჩემ მიერ მიცემული პასუხი:

ადამიანისათვის სიკვდილი სავალდებულოა, – **წინაუძს კაცთა ერთგზის სიკვდილი** (ებრ. 9,27), ხოლო თუ ცხოვრების მიერ შეუბილწველნი, უწმინდესის მისწრაფებით განმსჭვალულნი და ქვეყნისათვის საჭირო ახალგაზრდანი გვეცლებიან ხელითგან მაშინ, როდესაც მოხუცნი განაგრძობენ სიცოცხლეს, – ეს ჰხდება ჩვენ სულიერად განსაფრთხობელად, ზნეობრივად გასასწორებელად, განსაფაქიზებელად.

ცოტა ხნით ყური მათხოვეთ! ოთხი წელიწადია **გამძვინ-**

ვარებული სიკვდილი გამეფებულა შინ და გარეთ, მას ვაჟკაცთაგან ქვეყანა დაუცალიერებია და სისხლის მორევით დედამიწის პირი მოურწყავს... ოთხი წელიწადია ქვეყნისათვის თავდადებულთა ცოლი და შვილი, დედა და მამა, დანი და ძმანი განიცდიან შიმშილსა და წყურვილსა, შიშლოებასა და ყინულსა. ჩვენ კი, ყოველივე შემთხვევაში ბევრი ჩვენგანი, – ვისაც ჯერ კიდევ არ მოგვხვედრია ომის ღვთაების ულმობელი ლახვარი, დღემუდამ დროს ვატარებთ კაფე-შანტანებში და ჩაიხანებში, კლუბებში და კინომატოგრაფებში და იქ ვტოვებთ ჩვენს ავლა-დიდებას და ჯანმრთელობასაც... ცხოვრების სინამდვილეს ვარიდებთ თვალსა, ვაყუჩებთ ნახევრად გაღვიძებულს სინიდისსა და მივცემივართ ზნეობრივ ძილსა, რომელსაც თანდათან მივყევართ ზნეობრივის სიკვდილისაკენ... სწორედ ამ სიკვდილის კარზედ მყოფთ განგება გვაფრთხილებს, – ხელითგან გვაცლის ქვეყნის იმედთა და მშობელთა ნუგეშს. – აი, ამგვარ უმანკო მსხვერპლთა!...

თუ მოიგონებთ, რაოდენი მწუხარება და კეთილშობილური გრძნობა აღიძრა ჩვენს გულში ამ სამი დღის განმავლობაში, დამეთანხმებით, რომ წინაშე ჩვენსა მდებარე ჭაბუკთა წუთისოფლის უდროვოდ გამოსალმებამ ჩვენ ცხოვრების ჭირ-ვარამს ბევრად თუ ცოტად ჩამოგვაშორა; სულიერად განგვაფრთხო, ზნეობრივად გამოგვაფხიზლა, – თუ ყველანი არა, ზოგიერთნი მაინც; თუ სამუდამოდ არა, რამოდენიმე ხნით მაინც! ნათქვამის შემდეგ, უნდა გასაგები იყოს, რად იხოცებიან „უდროვოდ“ ახალგაზრდანი.

ვიცი, მეტყვით: შენი განმარტება იქნება სწორიც იყვეს, მაგრამ იგი ვერ დაედება მაკურნებელ მალამოდ მშობელთა დამწვარ გულსა, მაგ სიტყვებით შენ ვერა სცემ ნუგეშს მწუხარებისაგან ცოცხალმკვდარ დედასა! გიპასუხებთ: მე ვერ გავკადნიერდები იმოდენად, რომ თავს ვიდვა ნუგეშისცემა ამა გმირ-ჭაბუკთა მშობელთა, – მათი ნუგეშისმცემელი არის ის, ვინც უფლებს ცხოველთა და მკვდართა ზედა... მე თქვენთან ერთად ქედს მოვიდრეკ იმ დედის სულისკვეთების წინაშე, რომლის პირმშომ, მიიღო რა სარდლის ბრძანება, გაბ-

რწყინებულის სახით ახარა დედას: მივდივარ სამშობლოს თავისუფლების დასაცავად და დამლოცეო, და მანაც დალოცა ბრძოლის ცვალებად ბედიღბლიან ველზედ წასასვლელად ოჯახის ბურჯი და დედის იმედი...

ამგვარ დედებს ჩვენი ნუგეში არ ეჭირვება; ჩვენ გვმართებს პირიქით მათი მიბაძვა და მათთაებრ შვილების აღზრდა და გაწვრთნა! ამინ.

(წარმოითქვა ქვაშვეთში 1918. I. 19)

სიტყვა
ვლადიმირ გობეჩიას გარდაცვალების გამო

ვიდრე ჟამი გაქვთ, იქმოდეთ
კეთილსა ყოველთა მიმართ
(გალ. 6, 10)

მცნებად დაგვიდო წმ. მოციქულმა და ეს მცნება ღრმად ჰქონდა აღბეჭდილი გულის ფიცარზედ წინაშე ჩვენსა მდებარე ვლადიმირ გობეჩიას: მშობელი მხარე და რუსეთის ყოფილი სამფლობელო, სამხრეთ-დასავლეთი ფრონტი და არზრუმ-ერძინჯიანის მიდამოები მოწმობენ მისის თავგანწირულის შრომისათვის **ყოველთა მიმართ კეთილის საყოფელად**!...

ამ წმიდა ადგილითგან კი აღვნიშნავ შემდეგს: ყოველთათვის ზრუნვის დროს, განსვენებულს არ ჰქონდა დავიწყებული ჩვენი ერის სარწმუნოებრივი მოთხოვნილებაც, რომლის საჭიროებათა დაუყონებლივ დაკმაყოფილება მან გადაჭრით მოითხოვა (მე პირადად ვარ ამის მომსწრე) ამა წლის თებერვლის ცხრას ამიერკავკასიის კომისარიატის ოფიციალ სხდომაზედ. შეკითხვაზედ, თუ რაზედ ამყარებს ის ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების აუცილებლობას, განსვენებულმა განაცხადა: ჩვენი მოვალეობაა, ხელი შეუწყოთ ყველას, ვინც საღ სარწმუნოებრივ სწავლას ავრცელებსო...

ჭეშმარიტად, ჩვენში რომ საღის სარწმუნოებრივის სწავლისათვის ეზრუნათ, დაეცვათ მტკიცედ ქრისტეს სჯული, პატივისცემით მოჰპყრობოდნენ სხვის სარწმუნოებას, – აჭარა არ ჩამოგვშორდებოდა, ინგილო-მაჰმადიანები და ინგილო-ქრისტიანები ძმურად იცხოვრებდენ ერთმანეთში და თვით ვლადიმირ გობეჩია დღეს აქ უსულოდ მდებარე არ იქნებოდა, – ბოროტი ხელი მას სოცოცხლეს არ მოუსპობდა!...

შევისწავოთ: ღვთის განგება კიდევ გვაფრთხილებს! ის გვეუბნება: ქრისტეს დიადის მცნების – ურთიერთას სიყვარულის – გარეშე ცხოვრება შეუძლებელია და, ამისათვის, თუ გნებავთ, განთავისუფლებულ საქართველოში განვითარდეს თავისუფალი მოქალაქობა, ხელი შეუწყეთ საღის სარწმუნოებრივ-ზნეობრივის სწავლის გავრცელებას. მტკიცედ სდეგით ქრისტეს მცნებაზედ და **ვიდრე ჟამი გაქვთ, იქმოდეთ კეთილსა ყოველთა მიმართ!**... ამინ.

(წარმოითქვა ქვაშვეთში 1918. 23. VI;
,,ახალი სიტყვა", 1918, №8)

ს ი ტ ყ ვ ა
მიტროპოლიტის ანტონის (გიორგაძის) გარდაცვალების გამო

მაღალყოვლადუსამღვდელოესო მწყემსთმთავარო!

შენმა მოულოდნელად გარდაცვალებამ გლოვის ზეწარი გადააფარა ამერ-იმერთს და, ამ მოზღვავებულ მორწმუნე ერთან ერთად, მრავალ შენს პატივისმცემელს მიაყენა უღრმესი მწუხარება, უგზოობის გამო რომ ვერ მოსულან ამ ცხედრის თაყვანისსაცემად და შენგან უკანასკნელის ლოცვა-კურთხევის მისაღებად!..

რით დაიმსახურე, მეუფეო, ესეთი სიყვარული?

ნუთუ მით, რომ იყავ მაღალხარისხოვანი სამღვდელო პირი? მეუფეო წმიდაო! მღვდელთმთავრები წინადაც გარდაგ-

ვცვლია, მაგრამ ასეთი გულწრფელი მწუხარება იშვიათად განგვიცდია...

ნუთუ მით მიიქციე ქართველთა ყურადღება, რომ იყავ მჭევრმეტყველი მქადაგებელი?.. სიყრმის მეგობარო! გაბრიელ ფილოსოფოს-ოქროპირის მომსწრეთ და თანამემამულეთ განა ვინმე გააკვირვებს ენამზეობით?!.

იქმნება შენმა ქველმოქმედებამ მოგიგო ქვეყნის გული?.. დიახ! გიყვარდა ქველის საქმე, მაგრამ შენი „უკიდურესი სიღარიბე“ ხომ ოფიციალურადაც დადასტურებულია! ცხადია, ვერც ამ გზით მოიპოვებდი საზოგადო სიყვარულს!..

მაშ, სად ვეძიოთ ამ სიყვარულის მიზეზი?! შენს მგრძნობიარე და მოსიყვარულე გულში, მეუფეო და მწემსთმთავარო! **გული** შენი, სიტყვისაებრ პავლე მოციქულისა, **განვრცობილ იყო** ყოველთათვის, შენს გულში ყველა გრძნობდა თავს **არა შეიწრებულად** (2 კორ. 6,11-12), ვინაითგან **შჯულსა ქვეშე მყოფთა თანა, ვითარცა შჯულსა ქვეშე მყოფ იყავ; უშჯულოთა თანა, ვითარცა უშჯულო; უძლურთა თანა, ვითარცა უძლური,** – მოკლედ: **ყოველთა** ექმნებოდი **ყოვლად, რათა ყოველი შეიძინნე, აცხოვნნე** (1 კორ. 9,19-22), განუსვენნე, ნუგეშინისეც, ჭირთა და იწროებათაგან განარინნე!..

მეუფეო წმიდაო! გვრწამს და აღვიარებთ, რომ უკვდავი სული შენი და **გული** დღესაც **განვრცობილ არს** საჭიროებათათვის შენის მშობელის ერისა, რომელიც, გარეშეთაგან თავისუფალი და თვითთავადი, შინ დაჰმონებია ძმათმძულვარებას: ძენი და სულნი მისნი ამხედრებულან ურთიერთის წინააღმდეგ და ლამის მშობელი დედა, შენი საყვარელი საქართველო, კვლავ მტრის გულისად გაჰხადონ!..

მწყემსთმთავარო! ამ ბოროტების ძლევა ჩვენ მარტო ვერ ძალგვიძს, აქ საჭიროა ძალი ზეგარდამო, ძალი ზეციური, ძალი ღვთიური, რომელსაც მრავალჯერ უხსნია სამშობლო ჩვენი განსაცდელისაგან!..

მაშ, **ისწრაფე,** მღვდელთმთავარო, **სმენად** (იაკ. 1,19) ქვეყნის ჭირისა, წარსდეგ წინაშე დიდსა მღვდელთმთავარსა, აღაპყარ მისდამი ხელნი შენნი და შენებრ კადნიერებით და

სასოებით შეღაღადე: **გარდამოიხილე ზეცით, ღმერთო, და იხილე, და მოჰხედე ვენახსა ამას, და განამტკიცე ესე, რომელ დაასხა მარჯვენემან შენმან** (ფსალ. 79,14-15)!.. ამინ.

(წარმოითქვა ქუთაისის საკათედრო ტაძარში 1918. IX. 24)

ს ი ტ ყ ვ ა
კათოლიკოზ-პატრიარქის ლეონიდის გარდაცვალების გამო

უწმიდესო მამათმთავარო!

უკანასკნელის ხუთის წლის განმავლობაში არაერთხელ ბრძანებულხარ მოწმედ ჩემის აზრის სხვაობისა, ამა თუ იმ საგანზე მსჯელობის დროს!..

ნება მომეცი, გამოსალმების დროსაც არ უღალატო ძველს ჩვეულებას, არ დავეთანხმო შენთა პატივისმცემელთა უმრავლესობას და, მიუხედავად იმ ეკლის გვირგვინისა, რომლითაც შემოსილი იყო შენი მუდამ სამშობლოს საკეთილდღეო ზრახვებით აღსავსე თავი, გიწოდო უბედნიერეს თანამედროვე ქართველთა შორის პიროვნებად!..

მართლადაც, სიყრმით შენითგან **ნადები გულისა შენისა და ვედრება შენი ღვთისა მიმართ** იყო საქართველოს სულიერისა და ხორციელის მონობისაგან განთავისუფლება, თანამემამულეთა **საცხოვრებელად** (რომ. 10,1), და აჰა, **თვალთა შენთა იხილეს მაცხოვარება** (ლუკ. 2,30) ერისა შენისა!..

განა, ამაზედ უმეტესი ბედნიერება შეიძლება?! ეს ბედნიერება მით უფრო დიდი და ღრმა არის, რომ შენ სამშობლოს ბედ-იღბლის უბრალო მაყურებელი კი არ იყავ, – მისი თავისუფლების შენობის ერთ-ერთი **თავსაკიდური ლოდი** ხარ (ეფეს. 2, 20)!..

შენ, მაცხოვრის მცნებისაებრ (ლუკ. 14,26-27), დაუტევე დედა და მამა, სახლი და კარი, უარჰყავ თავი თვისი და შეიმოსე მონაზონობა მისთვის, რომ მრთელი შენი ძალით და

ღონით, შეგნებით და არსებით შეგემზადებია და დაგეჩქარებია მშობელი ერის ტყვეობისაგან განთავისუფლება! მერმე, რამდენი სასიამოვნო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ტანჯვა განგიცდია და შრომა შეგიწირავს ამ წმიდა საქმისათვის: საკმარისია მოვოგონოთ, რომ საქართველოს ყოველი კუთხე, – ქართლი და კახეთი, ფშავ-ხევსურ-მთიულეთი და საინგილო, იმერეთი და სვანეთი, გურია და აჭარა, სამეგრელო და აფხაზეთი ფეხით მოგივლია, და ყველგან უხვად გითესნია თესლი კეთილი, – სიყვარული, სათნოება და თავისუფლება!..

ძლიერთა ქვეყანისათა საშიშრად მიიჩნიეს ამგვარი შენი მოღვაწეობა, განსაკუთრებით, როცა თვით პეტრეს ქალაქში ცხადად დაინახეს შენი შეუდრეკელობა და სოლოვეცკის მონასტერში დატუსაღებით დაგემუქრეს, მაგრამ ამითაც რომ ვერ შეგაშინეს, იმერეთიდან ოდიშში გაგისტუმრეს!.. გარნა, დაჰხე ღვთის განგებას: სწორედ ჭყონდიდელს ერგო ბედნიერება, – 1917 წლის მარტის 12 აეღო ხელში საქართველოს განთავისუფლებულ ეკლესიის საჭეთმპყრობლობა!..

ჩაუდექ რა სათავეში განთავისუფლებულ ეკლესიას, მოქარგული ენა შენი არ დაგიცხრვია **ჟამითი თუ უჟამოდ** (2 ტიმ. 4,21) ქადაგებად: ეკლესიის დამოუკიდებლობა იქმნება სრული მხოლოდ მაშინ, როცა დამოუკიდებელი გახდება თვით საქართველოო, და ამ დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის იწვევდი ყველა ქართველს, განურჩეველად ჰასაკისა, სქესისა და სარწმუნოებისა!...

ესეც ხომ აგისრულდა: წმიდის ექვთიმე ათონელის ხსენების დღეს – 1918 წლ. მაისის 26 – საქართველომ თვით იცნო თავისთავი დამოუკიდებელად, ხოლო ნინოობა დღეს – 1921 წლ. იანვრის 27 – ეს თვითცნობა იურიდიულად დაადასტურეს უაღრესი კულტურის მატარებელმა ერებმა!.. ნუთუ ამ გვარ მოვლენათა განცდა მხვედრი არ არის მხოლოდ და მხოლოდ იშვიათი ბედის მოღვაწეთა?! ნუთუ ეს დიდების შარავანდედი არ ჰფარავს შენს ტანჯვის გვირგვინსა და მისი ცხოველმყოფელი სხივი არა ჰკურნებს ეკლისგან მოყენებულ იარებსა?!.

ყოვლისავე ამის გამო ვსასოებთ, აქ ბედნიერს იქაც ნე-

ტარება მოგელის: შენ უფლება მოსილი ხარ, კადნიერებით წარუდგე პირუთვნელსა მსაჯულსა და განუცხადო, – **ღვაწლი კეთილი მომიღვაწებიეს, სრბაი აღმისრულებიეს, სარწმუნოება დამიმარხავს,** ამისთვის მომეც მე **სიმართლისა იგი გვირგვინი,** რომელი განმზადებულ არს ყოველთა მათთვის, ვინც **შეიყვარა** და სიტყვით და საქმით ჰქადაგა კაცთა ნათესავის მაცხოვრებელი მოძღვრება და **გამოჩინება** (2 ტიმ. 4, 7-8) შენი!... ამინ!

(უნდა წარმოთქმულიყო სიონში 1921. VII. 17, მაგრამ ღვთისმსახურების მეტად გვიან გათავების გამო არ თქმულა)

ეპისტოლე

წყალობითა ღმერთისაითა

მდაბალი კალისტრატე

კათოლიკოზ-პატრიარქი სრულიად საქართველოისა

საყვარელთა შვილთა საქართველოს ეკლესიისათა ქრისტე აღდგა!

ჩვენამდე მოაღწია ცნობამ, რომ ზოგიერთ ყოფილ მღვდლებს უჩუმრად დაუწყიათ ქრისტეანულ წესების შესრულება, შეუტანიათ არევ-დარევა საეკლესიო ცხოვრებაში და განუზრახავთ ნდობა დაუკარგონ კანონიერად დადგინებულ მღვდელმსახურთ.

ამ ცხოვართა სამოსლით მოვლინებულ, ხოლო შინაგან მტაცებელ მგელთა (მატთ. VII. 15) მაგალითით უსარგებლიათ ზოგიერთ საერო პირებს და შესდგომიან საეკლესიო წესების თავისებური გაგებით შესრულებას. ზოგიერთ თქვენგანს, საყვარელნო, ეს **ცრუ მოძღვარნი** (2 პეტ. II. 1), რომელნი **არა ჰმონებენ** (მსახურებენ) **უფალსა ჩვენსა იესო ქრისტეს, არამედ მუცელსა თვისსა** (რომ. XVI. 18), **რომელ არს ღმერთი მათი** (ფილიპ. III. 19), შეგიწყნარებიეს ვითარცა მსახურნი ქრისტესნი.

ცრუმოძღვრებთან ერთად თავი უჩენიათ ცრუწინასწარმეტყველთა (მატთ. VII. 15) და ქადაგთა, რომელნიც თითქოს ზეგარდმო შთაგონებისა გამო მუქარით გაფრთხილებენ: თუ ბავშვების მონათვლას დააყოვნებთ, უეჭველად დაიხოცებიანო.

ბავშვებს რომ მონათვლა უნდა, ეს ქრისტეანთათვის ჭეშმარიტებაა, მაგრამ შვილებს უნდა ვნათლავდეთ არა სიკვდილის შიშით (ებრ. II. 15) (სიკვდილი არ არჩევს მონათლულს მოუნათლავისაგან), არამეც ქრისტე მაცხოვრის მცნებაზე დაფუძნებულ შინაგანი შეგნებით: **რომელსა ჰრწმენეს და ნათელიღოს, იგი ცხონდეს** (მარკ. XVI. 16; შეად. იოან. III. 3).

თავიანთი გაფრთხილება-ქადაგებით **მისან-მოზღაპრეთ** (1 მეფ. XXVIII. 9) მიზნად დაუსახავთ ცთუნების შეტანა თქვენ შორის. ჭეშმარიტ არს სიტყვა უფლისა: **აღდგნენ ცრუ წინასწარმეტყველნი, რათა აცთუნონ, უკეთუმცა შეუძლეს, რჩეულნიცა** (მარკ. XIII. 22).

იგივე მისან-ქადაგნი ჩააგონებენ მორწმუნეთ, თითქოს წმინდანები განრისხებულ იყვნენ მათზე და რისხვის თავიდან ასაცილებლად და წმინდანების ლმობიერსაყოფელად საჭირო იყოს ზვარაკების დაკვლა.

საყვარელნო! სისხლიან მსხვერპლის შეწირვა განწესებული იყო ძველ აღთქმაში, მაგრამ იგი მოასწავებდა ქრისტე მაცხოვრის მიერ ჯვარზედ სისხლის დანთხევას, გამოსახსნელად ჩვენდა ცოდვისა, წყევისა და სიკვდილსიაგან (ებრ. IX. 1-12; ეფეს. I. 7; გალ. III. 13; ებრ. II. 14-15). თავის თავად კი **მსხვერპლნი და შესაწირავნი ვერშემძლებელ იყვნენ**

ცოდვით შეპყრობილ შემწირველთა **გულითად სრულყოფად** (სინიდისის დამშვიდებად) (ებრ. IX. 9), იგინი მხოლოდ განამტკიცებდნენ შემწირველთა შორის რწმენასა და სასოებას მომავალ მაცხოვრისადმი. ამისთვის **ვაცთა და ზვარაკთა** (ებრ. IX. 12) მსხვერპლად შეწირვის ამ ჟამად მქადაგებელნი აუქმებენ ქრისტეს მიერ გაღებულ მსხვერპლის მნიშვნელობას, ანუ, როგორც იტყვის წმ. მოციქული, **ცალიერყოფენ ჯვარსა ქრისტესსა** (1 კორ. I. 17) და **გვტოვებენ ჩვენ ცოდვისა ქვეშე** (რომ. III. 9).

ნუ იყოფინ: **ქრისტე ერთგზის** (მსხვერპლად) **შეიწირა ჩვენთვის და მოგვანიჭა საუკუნო გამოხსნა** (ებრ. IX. 12, 28), განგვიწესა უსისხლო მსხვერპლის – პურის და ღვინის შეწირვა, ბრძანა რა: **ამას ჰყოფდით მოსახსენებელად ჩემდა** (ლუკ. XII. 17-20; მატთ. XXVI. 28; 1 კორ. XI. 23-25).

გლოცავ თქვენ, შვილნო ჩემნო საყვარელნო!

ეკრძალენით, ნუ ვინმე ღვთისმგმობელთა და ქრისტეს უარისმყოფელთა გაცთუნნეს თქვენ (მატთ. XXIV. 4); განაშორენით თავნი თქვენნი ცრუმოძღვართა, ცრუწინასწარმეტყველთა, მისან-მეზღაპრეთა და ქადაგთაგან. მიიქეცით სარწმუნოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად კანონიერად დადგინებულ მოძღვართა მიმართ, რომელნიც განაგებენ ქრისტეს საიდუმლოთა და რომელთაც ბოძებული აქვთ ადგილობრივ მღვდელმთავართა ან ჩვენ მიერ ხელმოწერილი სიგელი, რათა მათგან შესრულებულ ღვთისმსახურებით მოიღებდეთ მადლსა და წყალობასა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესსა. ამინ.

1936 წ. აპრილის 28. №347.
ტფილისი

ნუგზარ პაპუაშვილი

კალისტრატე ცინცაძე სარწმუნოების, მოქალაქეობისა და კულტურის შესახებ

„მოიხსენენით წინამძღვარნი იგი თქვენნი, რომელნი გეტყოდეს თქვენ სიტყვათა მათ ღვთისათა, და ჰხედევდით გამოსლვასა მას ცხოვრებისა მათისასა და ჰბაძევდით სარწმუნოებასა მათსა“
ებრ. 13,7

ხსოვნა და სახელი

კათალიკოს-პატრიარქ (შემოკლებით: კ-პ) კალისტრატე ცინცაძის ცხოვრების, მოქალაქეობისა და ნაღვაწ-ნაამაგარის ჯერისამებრ წარმოჩენა სასურველი და საშური ამოცანაა, რათა დღევანდელმა და მომავალმა თაობებმა გაიცნონ, გააცნობიერონ და არ დაივიწყონ ამ პიროვნების დამსახურება ეკლესიის და ქვეყნის წინაშე. ჩვენთვის კარგადაა ცნობილი, რომ ის დიდხანს ემსახურებოდა საზოგადოების სულიერი და გონებრივი განვითარების საქმეს: იყო საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე, მოძღვარი და პედაგოგი, თვალსაჩინო მკვლევარ-მეცნიერი, პატრიოტი და ჰუმანისტი.

ჩვენი დროის ადამიანები, რომლებიც მას მოესწრნენ, რომლებსაც მასთან პირადი ურთიერთობა ჰქონიათ და რომლებიც მის სამოძღვრო-საღვთისმეტყველო და სამეცნიერო შემოქმედებას რამდენადმე მაინც იცნობენ, აღიარებენ, რომ მან, კათალიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ, არამცირედი როლი შეასრულა კულტურისა და მეცნიერების ბევრი თანამედროვე მოღვაწის აღზრდა-განვითარების საქმეში. საყოველთაო ავტორიტეტმა, რომელიც მას ჰქონდა, ხელი შეუწყო თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში სულიერი იმპულსებისა და, კერძოდ, ქრისტიანული სულისკვეთების შენარჩუნებას. ამის გამო ბუნებრივად იჩენს თავს სურვილი, ვიცოდეთ, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატება ის როლი და დამსახურება, რითაც მან ესოდენ დიდი პატივისცემა და სიყვარული მოიხვეჭა.

წინამდებარე თხზულება კ-პ კალისტრატე ცინცაძის ნაამაგარის შედარებით ფართო ჭრილში მიმოხილვას ისახავს

მიზნად. ამ სურვილით გავეცანით მის პირად საარქივო ფონდს, რომლის ძირითადი ნაწილი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა შეიძინა 1965 წელს და დაამუშავა უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ელისო აბრამიშვილმა. იქ წარმოდგენილი მასალა (დოკუმენტები) ითვალისწინებს კალისტრატე ცინცაძის ცხოვრებისა და შემოქმედების თითქმის ყველა უბანს და საინტერესო ცნობებს გვაწოდებს XIX-XX საუკუნეების მოვლენებთან დაკავშირებით ისტორიის, კულტურისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგში. შეძლებისდაგვარად შევისწავლეთ აგრეთვე კ. ცინცაძის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა და ოფიციალური დოკუმენტები, გავითვალისწინეთ მოგონებები და შთაბეჭდილებანი მისი უწმიდესობის ნაცნობ-ახლობელთა, თანამოღვაწეთა თუ აღზრდილთა, რომლებიც დიდის სიყვარულითა და გულწრფელობით გვიამბობენ მათივე წინამძღვრის ქრისტესმიერ თავდადებაზე, ზნეობრივ მაგალითზე, საღ სარწმუნოებასა და ღრმა მორწმუნეობაზე.

აქვე შევნიშნავთ, რომ ჩვენი ძირითადი წყაროა კ-პ კალისტრატე ცინცაძის პირადი საარქივო ფონდი (დაცული ხელნაწერთა ინსტიტუტში), რომლის თითოეულ ნომერს (საქმეს) ქვემოთ ასე დავიმოწმებთ: (ცინცაძე 1, 2 და მისთ.)[1].

ყმაწვილკაცობა და სიჭაბუკე

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე მიხეილის ძე ცინცაძე (შინაური სახელი ბავშვობაში: ბიჭიკო; ლიტ. ფსევდ.: К. Георгиевский, А. Седой, კ. მ. ეკაშვილი) დაიბადა 1866 წლის 12 აპრილს ვანის რაიონის (იმჟამად ქუთაისის მაზრა) სოფ. ტობანიერში.

მისსავე მოგონებათა წიგნში ვკითხულობთ:

„მშობლები ჩემნი იყვენ დიაკონი (1867 წლის ივნისის 30 შემდეგ მღვდელი) მიხეილ დავითის ძე და ეკატერინე (ეკა) მამუკა გოგორიშვილის ასული. მამაჩემს განათლება ჰქონდა მიღებული ჯრუჭის მონასტერში (მიტროპოლიტ დავით წერეთლის კარზე), იყო საუცხოვოდ მცოდნე საეკლესიო წიგ-

ნებისა, მამათა ცხოვრებისა და საღვთო წერილისა (განსაკუთრებით ძველი აღთქმისა), იყო ტკბილად მგალობელი (მომღერალიც) და შეუდარებელი მოკამათე, რისთვისაც ფრიად პატივცემული იყო ქუთაისელ ებრაელთაგან: არა იშვიათად ნახავდით მას ქუთაისის „ბულვარში“ ადგილობრივ ებრაელთა შორის მჯდომარეს და გართულს ცხარე კამათში ძველი აღთქმის ამა თუ იმ დებულებათა გამო. გარდაიცვალა 1882 წელს, თებერვლის 8/20, ორმოცდაშვიდი წლისა. დედა იყო შრომის მოყვარე ადამიანი, საჩინო-საჯავახოში განთქმული დარაიების, სარტყლების, კაბალახების და საჩოხეების დამზადებით და აბრეშუმის პარკის მოწევით; მისი ხელით დარგული რამდენიმე ასეული ბჟოლა (თუთა) დღესაც ამშვენებენ ყოფილ ჩვენს ეზო-მიდამოს. ამას გარდა ის ყოველგან (სხვის მამულშიაც) რგავდა თუთასა და კაკალს და ამყნიდა მსხალსა და ვაშლს, საცა მოხვდებოდა (განსაკუთრებით გზის პირას): მგზავრი პირს „გაისველებს“ და კურთხევას შეუთვლის დამრგველ-დამყვნელსაო. იყო ჭრა-კერვის მცოდნე და მუდამ ჰყავდა „შეგირდებად“ სოფლის პატარძლები და გასათხოვარი ქალები. გარდაიცვალა 1918 წლის აპრილის პირველ დღეებში, 80 წლის“ (ცინცაძე 109, ფ. 2).

კეთილმორწმუნე მშობლების წყალობით მომავალი კათალიკოსი სიყრმითგანვე ეზიარა ქრისტეს რჯულს; უფროსმა დამ ექვსი წლისას შეასწავლა ხუცური ანბანი და დავითნი. ასეთი გულმოდგინებისათვის მამამ მას იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარი“ აჩუქა. სწავლას მოწყურებული ყმაწვილი მედავითნეობასაც სკოლამდელი ასაკისა შეუდგა და მღვდელმსახურების მადლს იმთავიდანვე მიეახლა.

ერთხელ ტობანიერში ყოვლადსამღვდელო გაბრიელი (ქიქოძე) ჩაბრძანდა. მწყემსმთავარმა მაშინვე შეამჩნია ყმაწვილ კალისტრატეს კეთილშობილება და ცოცხალი გონება, რის გამო ის ნირვის შემდეგ თავისთან მიიხმო, გაესაუბრა, რამდენიმე ლოცვა და ფსალმუნიც ათქმევინა, მოეფერა და მამამისს ურჩია, ბავშვი უსათუოდ შეეყვანა სასულიერო სასწავლებელში.

1875 წელს მშობლებმა ყმაწვილი კალისტრატე ქუთაისის სასულიერო სასწავლებელს მიაბარეს, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მან, 1882 წელს, თბილისის ასულიერო

სემინარიას მიაშურა, სადეაც ნიჭიერმა ახალგაზრდამ სულიერი წრთობის ახალი საფეხურები განვლო.

თბილისის სასულიერო სემინარია (დაარსებული 1817 წელს) ჩვენში იმხანად ერთადერთი სასწავლებელი იყო, სადაც კვალიფიციური პედაგოგების შემწეობით შეგირდები საფუძვლიანად განისწავლებოდნენ მეცნიერების მრავალ დარგში: ქართულ ლიტერატურასა და დიდაქტიკას ქართულ სიძველეთა დამსახურებული მკვლევარი თედო ჟორდანია კითხულობდა, ღვთისმეტყველებას – დეკანოზი პავლე სვეტლოვი (შემდგომში კიევის წმ. ვლადიმერის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი და ბევრი ფუნდამენტური საღვთისმეტყველო ნაშრომის ავტორი). აქვე მწიფდებოდა აზრი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა.

ახალგაზრდების ეროვნულ შეგნებაზე განსაკუთრებული გავლენა თ. ჟორდანიას მოუხდენია. „აუტანელ პირობებში უხდებოდა მუშაობა თ. ჟორდანიას, – გვიამბობს შეგირდი, – სემინარიაში გადმოყვანისას (1883 წ.) პავლე ეგზარხოსს მიეცა მისთვის წინადადება – შეედგინა ქართული ენის პროგრამა და წარედგინა მისთვის. ჟორდანიასაც შეუდგენია საუცხოვო პროგრამა, – ანბანის შემოღებიდან საქართველოში ილიასა და აკაკის თხზულებათა შესწავლით დამთავრებული. ეგზარხოსს, მთაწმიდელთა მოღვაწეობის შემდეგ, გამოუტოვებია ყველაფერი გარდა რუსთველისა, გურამიშვილისა და ბარათაშვილისა. ეს პროგრამა მე თითონ მინახავს, სემინარიის საქმეებში საპედაგოგო საბჭოს წევრობის დროს[2]... პირველ ხანებში ჩვენ ძალიან გვაკვირვებდა ჟორდანიას „უსისტემობა“. დაიწყებდა ის, მაგალითად, საუბარს გურამიშვილზე და მიაყოლებდა, – „რუსეთშივე მოღვაწეობდა ერთხანს ბესიკიო“ და გაგვაცნობდა იმ მწერალსაც, – „ბარათაშვილის გარდაცვალებაზე ესა და ეს დაწერა ილიამ“ და ახლა ილიას ნაწერებზე დაიწყებდა საუბარს. მერე მივხვდით, რომ უსისტემობა დიდი სისტემა იყო: „კონტრაბანდულად“ გვაცნობდა იმ მწერლებს, რომლებზედაც მას აღკრძალული ჰქონდა ხმის ამოღება“ (ცინცაძე 109, ფ. 17-18).

ჭაბუკი გულისხმიერებით შეუდგა სასულიერო განათლებას. არ აცდენდა მღვდელმსახურებას: ლოცულობდა ჟამისა-

მებრ და გულსავსედ. ამასთანავე ერთგულებდა სტუდენტთა ყველა კეთილ წამოწყებას: მონაწილეობდა სემინარიელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, იყო თანამდგომი ახალგაზრდა მწერალთა წრისა (ე. წ. სალიტერატურო საღამოებისა, რომელიც სამოქალაქო ისტორიის მასწავლებლისა და წიგნთსაცავის გამგის, იოსებ მექანარიშვილის, ხელმძღვანელობით ეწყობოდა) და, ასე გასინჯეთ, დრამატულ ჯგუფშიც კი მონაწილეობდა როგორც მსახიობი[3]. მას სემინარიის ბიბლიოთეკარის თანაშემწედ მუშაობისას დასაწვავად გამზადებულ წიგნებს შორის შეუნიშნავს სიძველითა და ხელოვნებით გამორჩეული ხელნაწერი და წარუდგენია ის თედო ჟორდანიასათვის, რომელსაც შეუნახავს ეს წიგნი; მისთვის „სვანური ხელნაწერი“ უწოდებია[4] და VIII-IX სს-ით დაუთარიღებია (იხ. მისივე, Описание: №19). ესაა ერთობ მნიშვნელოვანი ხელნაწერი, რომელიც ცნობილია ,,სვანური მრავალთავის” სახელით (ხელნაწ. ინსტ. A-19), თუმცა მისი თავგადასავლის ხსენებული ეპიზოდი სპეციალურ ლიტერატურაში ჯერჯერობით აღნიშნული არ არის.

მან სასულიერო სემინარიაშივე მიყო ხელი ლიტერატურულ შემოქმედებას: სადებიუტო მხატვრულმა თარგმანებმა „ნარევი“ და „არაჩვეულებრივი შურისძიება“, რომლებიც მთარგმნელის ხელმოუწერლად გამოქვეყნდა ჟურნალში „თეატრი“ (1887, №12 და №13-14) კრიტიკოსთა მოწონება დაიმსახურა. ჩანდა, რომ ახალბედას მომადლებული ჰქონდა სიტყვიერების ხალასი ნიჭი: ენა – ბუნებითი და ნათელი; მეტყველება – დახვეწილი და ლაღი. და მართლაც: მჭევრმეტყველების ღირსეული ტრადიციების მიდევნით მან დიახაც რომ უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიმკვიდრა ქართული ჰომილეტიკის ისტორიაში (შედარებით ვრცლად იხ. ქვემოთ). კათალიკოს კალისტრატეს ნაწერებში ჩანს აზრის ბუნებრივი ქმნადობა, სიტყვათა ძალდაუტანებელი დინება. ხალხურობის თვალსაზრისით მისი ენა აკაკი წერეთლის მეტყველებას მოგვაგონებს: მისთვისაც უცხოა თხრობის სტილიზაცია – ე. წ. ინდივიდუალიზებული და, ამდენად, ხელოვნური სტილი, თვითმიზნური ემოციები. მისი უწმიდესობის წერით მეტყველებაში ემოციას აზრისა და სიტყვის ბუნებრივი ჰარმონია

წარმოშობს. ახალგაზრდა ლიტერატორის ენა იმთავითვე ამ-გვარად დაუპირისპირდა ჩვენს საეკლესიო ცხოვრებაში დიდწილად გავრცელებულ მეტყველების სტილს: ძველქარ-თული სალიტერატურო ფორმების მოზღვავებით შეიქმნას გარდასული სამყაროს ილუზირება, რასაც, როგორც წესი, სიყალბის ბეჭედი აზის. კათალიკოს-პატრიარქმა კალისტრა-ტემ სიტყვიერი შემოქმედებით (მეტადრე, ქადაგებით) წარ-მოაჩინა ახალი ქართული ენის რელიგიური სიმდიდრე და საღვთისმეტყველო შესაძლებლობები[5].

1888 წელს სემინარიის პედაგოგთა საბჭომ კურსდამთავ-რებული კალისტრატე ცინცაძე სახელმწიფოს ხარჯით კიე-ვის სასულიერო აკადემიას წარავლინა.

უმაღლესმა სასწავლებლმა (სწავლობდა ისტორიის მი-მართულებით) მომავალი მოძღვარი მდიდარი საღვთისმეტ-ყველო-ფილოსოფიური ცოდნით აღჭურვა. ფილოსოფიას დოც. (შმდ. იმავე აკადემიის რექტორი და პროფესორი) დ. ი. ბოგდაშევსკი (იგივე ჩერნიგოვის მთავარეპისკოპოსი ვასი-ლი) კითხულობდა. მან (კალისტრატემ) შეისწავლა კლასიკუ-რი ენები (ძველი ბერძნული და, განსაკუთრებით, ლათინუ-რი) და სლავური, გაეცნო კულტუროსან ერთა წარსულს, ის-ტორიოგრაფიის იმდროინდელ დონეს, არქეოლოგიისა და მეცნიერული ლიტურგიკის მიღწევებს (ლექტორი სახელგან-თქმული პროფესორი ალექსი ათანასეს ძე დიმიტრიევსკი). აკადემიის წარჩინებული მსმენელი თავადაც ეწეოდა სერიო-ზულ მეცნიერულ მუშაობას.

პირველი ნაბიჯები მეცნიერებაში და პირად ცხოვრებაში

ერთ ლექციას აღუძრავს მისთვის სურვილი, სადისერტა-ციო თემა საქართველოს ისტორიიდან აერჩია. ამის შესახებ იგი გვთავაზობს საყურადღებო მოგონებას: 1888 წლის სექ-ტემბერში რუსეთის სამოქალაქო ისტორიის პროფესორს, ვლა-დიმერ ზენონის ძე ზავიტნევიჩს, წაუკითხავს ლექცია რუსეთის დიდ მთავარ ვლადიმირზე (†1015). მას უთქვამს; რუსეთის მთა-ვარმა ბიზანტიის იმპერატორს გაუგზავნა მაშველი ჯარი

აჯანყების ჩასაქრობად... და აჯანყებულ ბარდა სკლიაროსის მხარეზე ქართველთა ჯარიც იბრძოდაო: ისინი ფოკას, შენიღ-ბული მოღალატის, მთავარსარდლობის ქვეშ იყვნენო. „ველარ მოვითმინე, – გვიამბობს კ-პ კალისტრატე „მოგონებანში არა-შორეული წარსულიდან“ (ნაწყვეტები), – ქართველების მოღვა-წეობის ასეთი შეფასება (გაზეპირებული მქონდა აკაკის „თორ-ნიკე ერისთავი“ და ეს საკმარისად მიმაჩნდა ისტორიის „ცოდ-ნისათვის“) და, გათავდა თუ არა ლექცია, გავყე პროფესორს „კორიდორში“ და მოვახსენე: „თქვენ ქართველები „ბუნტოვ-შჩიკის“ მომხრედ გამოიყვანეთ, სინამდვილეში კი ბიზანტიის ტახტი მარტო ქართველებმა გაამაგრეს მეთქი“. მე, რასაკვირ-ველია, არ ვიცოდი, რომ სკლიაროსთან ბრძოლის დროს ქარ-თველები ფოკას მთავარსარდლობის ქვეშ იბრძოდნენ და, რო-ცა თვით ფოკამ აღმართა აჯანყების ალამი, ქართველები გა-ნაგრძობდნენ მასთან ყოფნას, რადგან ეჭვი არ მოსლვოდათ ფოკას განდგომაში. პროფესორი შეკრთა, გაჩერდა ერთ ადგი-ლას და დამიწყო საუბარი. არაჩვეულებრივ მოვლენას სტუ-დენტებმაც მიაქციეს ყურადღება და გარს შემოგვეხვიენ. უვი-ცის გამბედაობით მივმართე პროფესორს: ,,თქვენ არც კი გიხ-სენებიათ თორნიკე ერისთავი, რომელმაც გადაარჩინა საფ-რთხეს სამეფო გვარეულობა და იმპერიის მთლიანობა მეთქი“.

– მართალია, არ მიხსენებია, რადგან მას არ იხსენიებენ ჩემი წყაროები იახია და ასოღიკიო, თქვა პროფესორმა.

ინტუიციურად მივხვდი, რომ იახია და ასოღიკი უცხოე-ლი მწერლები უნდა ყოფილიყვნენ და განვაგრძე:

– რაღა უცხო მწერლებს დაეყრდენით და ქართული წყა-როები დასტოვეთ ყურადღების გარეშე მეთქი?

– მე ქართული არ ვიციო.

– ფრანგული ხომ იცით: ჩვენს წიგნთსაცავებში რამდენი-მე ცალია „ქართლის ცხოვრებისა“ ფრანგულ ენაზე მეთქი.

– არ მქონია შემთხვევა გავცნობოდი „ქართლის ცხოვრე-ბას“. ამის შემდეგ კი გავეცნობი, თუ თქვენც დამეხმარებითო.

ჩამომართვა ხელი და დააპირა წასვლა.

– მე როგორ უნდა დაგეხმაროთ მეთქი? შევეკითხე.

– საკანდიდატო თხზულებას დაგაწერინებთ საქართვე-

ლოს ისტორიიდან და თქვენი თხზულებიდან გავეცნობი ქართულ წყაროებსო...

1891 წლის გაზაფხულზე პროფ. ზავიტნევიჩს შეეტანა აკადემიის საბჭოში ჩემთვის მოსაცემად ასეთი თემა: „Давид Возобновитеь квк церковный и политический деятель“, მაგრამ ეს თემა რექტორატს არ დაუმტკიცებია... შეშინებოდათ სიტყვისა „политический“, თუმცა შემდეგ წელში ეს თემა ზავიტნევიჩმა ი. ფერაძისათვის ადვილად გაიყვანა“ (ცინცაძე 109, ფ. 31-34).

არქეოლოგის, პროფ. ნ. ი. პეტროვის, დავალებით კ. ცინცაძემ სტუდენტობისას შეისწავლა და დაამუშავა გოლიცინისეული ხელნაწერი დოკუმენტისა „Посольство стольника Толочанова и дъяка Иевлева в Имеретию 1650-52“. საქართველოს სამოქალაქო და საეკლესიო ისტორიისათვის ამ პირველხარისხოვანი წყაროს შესახებ სტუდენტ კალისტრატე ცინცაძის ,,ბიბლიოგრაფიული შენიშვნა” გამოქვეყნდა გაზეთში ,,Нрвое Обозрение“ (1890, 21.IV, №2178)[6], რითაც შენიშნულ და გასწორებულ იქნა რიგი ტექსტოლოგიური შეცდომა, რაც ხსენებული ძეგლის ადრინდელ გამოცემაში შეინიშნებოდა. აღნიშნული პუბლიკაცია კალისტრატე ცინცაძის დებიუტი გახლდათ, რითაც ის სამეცნიერო საზოგადოებისა და მკითხველთა ფართო წრის წინაშე ღირსეულად წარსდგა.

შენიშვნა: *ეს ხელნაწერი რამდენიმეჯერაა დაბეჭდილი: როგორც ამას თვით კ-პ კალისტრატე ცინცაძე გვაუწყებს, იგი პირველად გამოუქვეყნებია ისტორიკოს ნ. ნოვიკოვს XVIII საუკუნეში, შემდეგ – ნ. ნიკოლაძეს 1888 წელს გაზეთში „ნოვოე ობოზრენიე“ (გაგრძელებით, რამდენიმე ნომერში). ამ ძეგლს ქართველი მკითხველი გაეცნო მღვდელ მელიტონ კელენჯერიძის რეფერატით, რომლის პირველი ნაწილი სათაურით „იმერეთი 1650 წელს“ დაიბეჭდა საღვთისმეტყველო-ფილოსოფიურ ჟურნალში „განთიადი“ (1913, №1, გვ. 221-244). ავტორმა (კელენჯერიძემ) იქვე მიუთითა სტუდენტ კ. ცინცაძის ხსენებული შრომის ღირსებაზე; მკითხველებს რეფერატის ბოლომდე მიყვანა აღუთქვა, მაგრამ უცნობ მიზეზთა გამო ჟურნალმა არსებობა ვერ გააგრძელა, აღნიშნული მიმოხილვაც დაუმთავრებელი დარჩა. ეგევე დოკუმენტი მეცნიერულად კვლავ გამოსცა პროფ. მ. პოლიევქტოვმა (იხ. „Посольство*

стольника Толочанова и дьяка Иевлева в Имеретию", 1926, გვ. 114-192), ხოლო ქართულად თარგმნა და გამოკვლევითურთ გამოაქვეყნა პროფ. იასე ცინცაძემ: ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა, თბ. 1969; ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, თბ., 1970).

ჩანს, კ. ცინცაძის მითითებულმა ნაშრომმა („შენიშვნამ") კიევის სასულიერო აკადემიის პროფესორ-მასწავლებლების დიდი მოწონება დაიმსახურა. ამის დასტურად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტიც, რომ პროფესორმა პეტროვმა, რომელიც აკადემიის არქეოლოგიურ მუზეუმსაც განაგებდა, მე-3 კურსის სტუდენტი თავის თანაშემწედ დანიშნა. იმიერიდან კ. ცინცაძის გარეშე მუზეუმში შესვლის უფლება არავის ჰქონდა.

კალისტრატე ცინცაძის მეცნიერული ალღო და დიაპაზონი სრულყოფილად წარმოჩნდა მონოგრაფიაში, რის საფუძველზე კიევის სასულიერო აკადემიის სამეცნიერო-სადისერტაციო საბჭომ მას ღვთისმეტყველების კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიანიჭა. ამ ნაშრომის სათაური ასე ჟღერს: „Иверская церковь в период Сассанидов [იბერიის ეკლესია სასანიანთა პერიოდში] (265-570), кандидатское сочинение Каллистрата Цинцадзе, Киев, 1891-1892 учеб. год" (შავი პირი: ცინცაძე 96)[7]. ამ ნაშრომში, ცოდნასა და აკადემიზმთან ერთად, ავტორის რელიგიურ-მამულიშვილური მრწამსიც გამოჩნდა, რაც მშობელი ქვეყნისა და ეკლესიის ბედ-იღბალზე დაფიქრებული მამულიშვილების გულსა და გონებას იმედის სხივით აღავსებდა და არწმუნებდა მათ, რომ ღვთისმეტყველების ამ ახალი კანდიდატის სახით სამშობლოს ღირსეული მამულიშვილი მოევლინა.

თხზულება წყაროების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე განიხილავდა საქართველოს ეკლესიის ძველ, ე. წ. ანტიოქიურ პერიოდს (III-VI სს.). იგი 300 გვერდს მოიცავდა და დაყოფილი იყო 4 თავად: I – ქრისტიანობის შემოსვლა და განმტკიცება საქართველოში; II – საეკლესიო მმართველობა (იერარქია) და სამართალი; III – სასულიერო განათლება და IV – რელიგიურ-ზნეობრივი ცხოვრება. ავტორი წინასიტყვაშივე აღნიშნავდა, რომ, თუმცა წინამდებარე ამოცანის სრულყო-

ფილად შესრულება უცხოურ მონაცემთა ზედმიწევნით შესწავლის გარეშე შეუძლებელია, იგი „მიდის რისკზე“ და დისერტაციის ამოცანად მიიჩნევს, შეძლებისამებრ გამოავლინოს, შეკრიბოს და კვალიფიკაცია მისცეს ქართულ ენაზე არსებულ ყველა დოკუმენტსა თუ საკითხთან დაკავშირებულ გამოკვლევას და, ამდენად, გააადვილოს შემდგომი ეტაპი ხსენებული ამოცანის გადაწყვეტისა. დისერტანტი იქვე შენიშნავდა, რომ მისთვის კვლევის ობიექტად ვერ გახდება ლაზიკას (ძველი კოლხეთის) სამეფო, რადგან დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ცხოვრებაში VIII-IX საუკუნეებამდე საკუთრივ ქართული ელემენტი არ შეინიშნება. თხზულებაში საუბარი იყო ისტორიოგრაფიის მიერ მანამდე დაუმუშავებელი რიგი პრობლემის შესახებ, კერძოდ, ანდრია პირველწოდებულისა და წმ. ნინოს სამისიონერო მოღვაწეობის სადავო საკითხებზე. ავტორი ვრცლად ეხებოდა ივერია-ანტიოქიის მაშინდელ ეკლესიურ ურთიერთობასა და ისტორიული მონაცემებითვე უარყოფდა სომხეთის საკათალიკოსოსადმი საქართველოს დაქვემდებარების ვერსიას; აშუქებდა იმჟამინდელი ცხოვრების საინტერესო მხარეებს: ვახტანგ გორგასლის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სირიელ მამათა მოღვაწეობასა და სამონასტრო ცხოვრების პირველ ნაბიჯებს საქართველოში, აგრეთვე: საეკლესიო სამართალს, ადგილობრივ საეკლესიო კრებებს, მთავარეპისკოპოსთა სიას, ეკლესიის იერარქიულ აღნაგობასა და სხვა. აღნიშნული გამოკვლევა საუკეთესოდ ცნეს და ჯეროვნად შეაფასეს აკადემიის პროფესორებმა ი. ი. მალიშევსკიმ (რუსეთის ეკლესიის ისტორიის ლექტორმა) და ა. ა. ოლესნიცკიმ (იხ. „მწყემსი“, 1892, №13-14, გვ. 10-11).

პატრიოტი თანამემამულეების იმედები გამართლდა.

1892 წლის ზაფხულში კალისტრატე ცინცაძემ აკადემიის კურსი დაასრულა, ეკლესიის ისტორიის განხრით სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა და სასულიერო წოდების მისაღებად სამზადისს შეუდგა. იგი ბერობაზე ოცნებობდა, მაგრამ ცხოვრება სხვა გზით წარიმართა. ერთხელ, როდესაც მეგობრებთან ერთად კიევის ქუჩებში დასეირნობდა, მან თვალი შეავლო მშვენიერ ასულს, რომელიც მოეწონა და მის მიმართ სიყვარული გულში ჩაუჯდა. მცირე ხნის შემდეგ იგივე

ჭაბუკი ერთ-ერთ წვეულებაზე იმავე ასულს, ასევე შემთხვევით, პირისპირ შეხვდა და გაიცო. გაირკვა, რომ ესაა გერმანიის მოქალაქე – ოფელია ტომასი, რომელიც კიევში ერთ დიდგვაროვან ოჯახს გუვერნანტად და გერმანული ენის მასწავლებდად მიუწვევია. ქართველმა ჭაბუკმა გერმანელ ქალიშვილს ხელი შესთავაზა, თანხმობა მიიღო და მართლმადიდებელ ეკლესიაში მასთან ჯვარი დაიწერა (პატარძალმა ქართული სახელიც შეიძინა: ნინო). ამის შემდეგ კალისტრატე ცინცაძე მეუღლესთან ერთად სამშობლოში დაბრუნდა, რათა ღვთისა და მოყვასის სამსახურის უღელს შებმოდა.

მღვდელი და მოძღვარი

1893 წლის 1 თებერვალს კალისტრატე ცინცაძე დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვრად დაინიშნა; იმავე წლის 11 აპრილს ხელდასხმულ იქნა დიაკვნად, 18 აპრილს – მღვდლად. 1903 წლის 19 ნოემბერს ის გადაიყვანეს ქაშვეთის (ქვაშვეთის) წმიდა გიორგის სამრევლოში და ამ ეკლესიის წინამძღვრად დანიშნეს. ამავე ეკლესიის წინამძღვრობისას, 1909 წლის 14 მაისს, მას დეკანოზის პატივი ებოძა.

1893 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№152, 28.VII) გამოქვეყნდა მისი სამეცნიერო სტატია: „რომელს წელს მიიღეს ქრისტიანობა ქართველებმა?“, რითაც ახალგაზრდა მკვლევარმა განიხილა წმ. ნინოს მოციქულებრივი მოღვაწეობის ქრონოლოგიური საკითხები და, ლიტერატურული წყაროების შეჯერებისა და კალენდარული მაჩვენებლების გათვალისწინების შემდეგ, გამოთქვა მოსაზრება, რომლის თანახმად საქართველოში ქრისტიანობა ოფიციალურად 335 წელს უნდა შემოეღოთ, ხოლო წმიდა ნინოს აღსასრული 340 წესაა სავარაუდებელი[8].

აღნიშნული გამოკვლევა წინასწარმეტყველებდა იმ მეცნიერულ სახელსა და კარიერას, რისთვისაც შეეძლო მიეღწია უაღრესად ერუდირებულ ხუცესს, მაგრამ, თუმცა მამა კალისტრატეს ისტორიულ-არქეოგრაფიული კვლევა-ძიება არასდროს შეუწყვეტია, მისი მოღვაწეობის ძირითადი სარბიელი მაინც ეკლესიის თანადროული და თანაც პრაქტიკული საქმიანობა იყო. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კალისტრა-

ტე ცინცაძის სამეცნიერო და საეკლესიო-საზოგადოებრივი მოღვაწეობა მუდამ განუხრელად უკავშირდებოდა ერთმანეთს: ერთმანეთისაგან მათი გამიჯვნა და ცალ-ცალკე განხილვა შეუძლებელია.

სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე ცხადი გახდა, რომ კ. ცინცაძე სამოციანელთა ანუ „თერგდალეულთა“ კვალს მიჰყვებოდა. ამ თაობის ნაწილის მიერ წამოყენებული აზრი საქართველოს ხსნისა და გადარჩენის საქმეში ეკლესიის როლის წინა რიგში დაყენების შესახებ ახალი როდი იყო: XVII-XVIII სს-ის მიჯნაზეც ეროვნული ინტელიგენციის მესვეურებმა ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების საზრდოდ, საქართველოს თვითმყოფადობის შენარჩუნების საუკეთესო საშუალებად ადგილობრივი ეკლესიის ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალვა მიიჩნიეს და სამოქმედო გეგმაც ამ იდეების შესაბამისად განსაზღვრეს.

მოძღვრად დადგინების დღიდან კალისტრატე ცინცაძე იღვწოდა, რათა ჩვენს ეკლესიას გაემდიდრებინა თეოლოგიური მონაპოვარი და აეღორძინებინა საღვთისმეტყველო მეცნიერების ის ტრადიცია, რომელმაც ანტონ I კათალიკოსისა და მისი სკოლის შემდეგ (XIX საუკუნის I მეოთხედიდან) თავისუფალი და დამოუკიდებელი ეკლესიის არარსებობის პირობებში ერთგვარად მიიძინა.

ახალგაზრდა ღვთისმეტყველის გამოჩენა ერის წინაშე ამგვარ გამოღვიძებას მოასწავებდა: 1893 წლის 25 აპრილს (მღვდლად ხელდასხმიდან მეორე დღეს) 27 წლის ხუცესი ღირსეულად წარმოუდგა ნიკოლოზ ბარათაშვილის კუბოსთან სრულიად საქართველოსაგან შემდგარ საზოგადოებას (ამ დროს წარმოთქმული ქადაგების ხელნაწერი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში, კათალიკოს კალისტრატეს პირად საარქივო ფონდში: №97. იგი პირველად დაიბეჭდა საქართველოს საპატრიარქოსთან შიდამოხმარების წესით გამოცემულ „საღვთისმეტყველო კრებულში“: 1980, №2, გვ. 63-68, მეორედ – ,,ჯვარი ვაზისაში“, 1981, №1, გვ. 28-29)[9]. მოძღვარმა პოეტის შემოქმედება საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური საზრისით განმარტა; ჭეშმარიტი ხელოვანის სულში ქრისტიანულ გულისფეთქვას მიაგნო და აღიარა, რომ ნ. ბა-

რათაშვილის შემოქმედების არსი სამყაროში მთვლემარე ღვთიური საწყისის შემეცნებაა: „ნიკოლოზ ბარათაშვილი, – გვასწავლიდა იგი, – ბუნებაში და ბუნების შემწეობით ეძებს და ჰპოულობს მას, ვისაც ძალუძს შვების მოცემა... ამ სახედ, მოციქულის სიტყვის თანახმად (რომაელთა 1, 19-20), მან ბუნება აღიარა ხმად ღვთისა კაცთა მიმართ – წიგნად, სადაც აღმოიკითხა, რომ შვება და ლხენა შეუძლია მიანიჭოს ადამიანის გულს მხოლოდ მან, ვინც არის მიზეზი ადამიანისა და თვით ბუნების გაჩენისა“. ნიკოლოზ ბარათაშვილის მსოფლმხედველობის ამგვარი გააზრება ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ახალი სიტყვა იყო.

ღვთისმსახური ახალ სამწყსოში, ქაშვეთის სამრევლოში, შესვლის პირველსავე დღეს მრევლს ჭეშმარიტ მეცნიერებას ამცნებდა და აღიარებდა: „ვინც წინად სათავეში ედგა სწავლა-განათლების საქმეს, დღეს უკან ჩამორჩა სხვა წოდებას... საქმე ისე მოეწყო, რომ სასულიეროსათვის სრულიად საკმარისად სთვლიდნენ ჟამნ-დავითნ-კონდაკის ცოდნას და ვაივაგლახით ხელის მოწერას საეკლესიო საბუთებზედ“. მოძღვრის თქმით, ამ ეროვნულმა უბედურებამ ხელი შეუწყო ცრუგანათლებას, რომლის მესვეურნიც ეკლესიის დასაგმობად იმარჯვებდნენ სამღვდელოთა ამგვარ უუნარობას; გაჰყვიროდნენ: რჯული მოძველდაო და განგებ უგულებელყოფდნენ ერში რელიგიის შესუსტების ნამდვილ მიზეზს – თავისთავადი, დამოუკიდებელი ეკლესიის არარსებობას, რის გამოც ხალხში ურწმუნოებამ და უზნეობამ დაისადგურა. „რა ეშველება, რა წამალი დაედვის ამ ავადმყოფობას. ვინ უნდა უპატრონოს *ერსა ბნელსა შინა მავალსა და დამკვიდრებულსა აჩრდილთა თანა სიკვდილისათა* (ისაია 9, 2)?“. სვამდა კითხვას მოძღვარი და ასე უპასუხებდა: „ვინაიდან სარწმუნოება დასცა და ზნეობა დაამხო ცრუმეცნიერებამ და ცრუგანათლებამ, მეცნიერებამ და ჭეშმარიტმა განათლებამ უნდა კვლავ აღადგინოს იგინი. ამის გამო, ყოველს ჭეშმარიტად განათლებულ ქართველს ვალად აძევს, დაუბრუნოს უმრწემესთა ძმათა თვისთა ის, რაც წაართვა მათ უმეცრებამ და ცრუგანათლებამ, დაუბრუნოს ერსა ქრისტიანესა, ერსა ჯვარისმტვირთველსა, ერსა ქრისტესთვის წამებულსა მამაპა-

პური სარწმუნოება და შეულახველი, ჩირქმოუცხებელი და სპეტაკი ზნეობა...“ (სამრევლოში პირველად შესლვისა გამო, „ივერია“, 1904, №7)[10].

ფერიცვალებისა და განახლების სახარებისეული მოძღვრება მამულიშვილთ ეროვნული ენერგიის გამოღვიძების იმედს ჰმატებდა. მღვდელმოძღვარი კალისტრატე ბერმონაზვნობას ქვეყნის ძლიერების წყაროდ სახავდა და საქართველოს ხვედრს ეროვნული მონასტრების ბედს უკავშირებდა. 1907 წელს, ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე ოქროპირიძის გარდაცვალების გამო თქმული სიტყვით, იგი გვმოძღვრავდა: „მართალია, დღეს ბერმონაზვნობას პატივი აღარა აქვს საზოგადოების თვალში, მაგრამ ამის მიზეზი ის არის, რომ მონაზონთა უმეტესობამ უღალატა თავის პირდაპირ დანიშნულებას. დღეს თუ ბერმონაზონთა უმრავლესობას შეადგენენ უსაქმოდ ცხოვრების მოყვარენი, წინად ასე როდი იყო. წინად მონაზონობა და საზოგადო ასპარეზზედ მოღვაწეობა სინონიმები იყვნენ. წინად ქართველი თუ სტოვებდა დედას და მამას, დებსა და ძმებს, სახლ-კარსა და მეზობლებს და მიდიოდა მონასტერ-უდაბნოში, იგი ამ შემთხვევაში თავისთავისთვის როდი ზრუნავდა, არამედ თავს სწირავდა მამულს, ვიწრო ფარგლიდან გამოდიოდა ფართო ასპარეზზედ სამუშაკოდ, ხელს უწყობდა ერის განვითარებას, განსწავლას, გათვითცნობიერებას, გაძლიერებასა და გაფაქიზებას; პატრონობდა ქვრივ-ობოლთა და გლახაკ-დავრდომილთ, იმედს უნერგავდა გულში და ნუგეშსცემდა ტვირთმძიმეთა, მაშვრალთ ამხნევებდა და შეაჩვენებდა ძლიერთა ქვეყნისათა, როცა იგინი გადაუხვევდნენ ჭეშმარიტებისა და სიმართლის გზასა. ამისათვის იყო, რომ სანამ ბერმონაზვნობა თავის დანიშნულებას ემსახურებოდა, საქართველოც იზრდებოდა და ჰყვაოდა, ხოლო როცა ბერმონაზვნობა დაეცა, – საქართველოც დაქუცმაცდა, დანაწილდა, დაეცა...“ (იხ. „მწყემსი“, 1907, №22, გვ. 5; სიტყვები და წერილები ყოვლადსამღვდელო ალექსანდრეზე, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბ., [1910]).

თავმდაბალი და განათლებული მამულიშვილი მღვდელი იმთავითვე სახარებისეული სიყვარულით იღვწოდა და არ გადადგმულა მნიშვნელოვანი ნაბიჯი ერის სულიერი წინსვლისა, საკუთარი კვალი რომ არ დაერჩინა მას სიტყვითა თუ საქმით. კ. ცინცაძე იყო საეკლესიო მუზეუმის თანამშრომელი (მდივანი, 1897-1921), ქართული საღვთისმსახურო წიგნების შემასწორებელი კომისიის წევრი (1896-1917); ამავდროულად გახლდათ მცხეთის ტაძრების აღორძინების კომიტეტის წარმომადგენელი (მდივანი), ქართული ფილარმონიული საზოგადოების დამაარსებელთაგანი; აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუშაობაში; წარგზავნილი იყო სამღვდელოების დეპუტატად თბილისის ქალაქის საბჭოში 1895-1903 და 1916-1917 წლებში; თბილისის გუბერნიაში ერობის შემოღებისათვის თათბირში 1909 წელს და ამგვარსავე თათბირში ამიერკავკასიისათვის 1916 წელს. იგი წერილებს აქვეყნებდა იმდროინდელ პერიოდიკაში: „მწყემსი“, „ივერია“, „დროება“, „შინაური საქმეები“, „საქართველო“, „განათლება“, „თეატრი“, „ისარი“ და სხვა.

„ბიბლიის ქართული თარგმანისა და საეკლესიო წიგნების შემასწორებელი კომიტეტი“, რომლის დამსახურება ეროვნული ფილოლოგიის წინაშე უდავოა, განსწავლულ სასულიერო პირთა შემადგენლობით გასული საუკუნის დასასრულს ჩამოყალიბდა. მისი მიზანი იყო, ძველი ქართული ხელნაწერებისა და ბერძნულ-სლავური ორიგინალის გათვალისწინებით გაესწორებინა ჟამთა სვლისა თუ რედაქტორ-გადამწერთა უმეცრების შედეგად დამახინჯებული ბიბლიური და ლიტურგიკული ლიტერატურა, რათა ქართულ მღვდელმსახურებას ამრიგად აეწყო ფეხი ლიტურგიკული მეცნიერების თანამედროვე მიღწევებისათვის. კომიტეტს უნდოდა აგრეთვე თანამედროვე ვითარების შესაბამისად რამდენადმე გაემარტივებინა საეკლესიო ცხოვრება. ეს მიზანი საქართველოს უმაღლესმა საეკლესიო ორგანომ შემდგომ აშკარად გამოხატა. სრულიად საქართველოს საკათოლიკოსო საბჭოსა-

გან (1922 წლის ოქტომბრის 19-ის სხდომის №47 ჟურნალის თანახმად) გამოცემულ ფურცელში ვკითხულობთ: „დადგა დრო, როდესაც ეკლესია დაუყონებლივ უნდა შეუდგეს მის მიერ წინასწარ დასახული მიზნების განხორციელებას; განიწმიდოს მონარქიული რეჟიმის ზეგავლენის ნაშთებისაგან, შეუფარდდეს ჩვენი ხალხის სულისკვეთებას, განმარტივდეს თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებათა მიხედვით, მაგრამ ისე კი, რომ ხელუხლებელი დარჩეს ქრისტე მაცხოვრის დიადი მოძღვრების არსებითი მხარე“.

ამ რთული და პასუხსაგები საქმის ჯეროვნად შესრულება გააადვილა XIX ს-ის დასაწყისიდან დასავლეთ ევროპასა და რუსეთში დაწყებულმა ქართველოლოგიურმა კვლევა-ძიებამ, რომელმაც ქართველი სწავლულებიც გამოაფხიზლა და გააქტიურა. ამ მიზნით საქართველოში აღნიშნული საუკუნის შუა წლებში რამდენიმე სამეცნიერო-საგანმანათლებლო ორგანიზაცია ჩამოყალიბდა, რომელთაგან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება” და თბილისის საეკლესიო მუზეუმი. ამ ორგანიზაციებმა ცხოველი ენერგიითა და ინტერესით წამოიწყეს ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევა-ძიება. წინა საუკუნის ჩინებულმა ადამიანებმა, – ერის წარსულის ერთგულმა მკვლევარებმა: აკად. მარი ბროსემ, პლატონ იოსელიანმა, თედო ჟორდანიამ, პროფ. ალექსანდრე ცაგარელმა, პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილმა, პროფ. ვლადიმერ ბენეშევიჩმა, ეპ. ალექსანდრემ (ოქროპირიძემ), ეპ. (შემდ. კ-პ) კირიონმა (საძაგლიშვილმა), აკად. ნიკო მარმა, ექვთიმე თაყაიშვილმა, დეკ. ბესარიონ ნიჟარაძემ, დეკ. პოლიევქტოს კარბელაშვილმა, არქიმანდ. (შემდ. კ-პ) ამბროსიმ (ხელაიამ) და სხვებმა მოიძიეს, შეისწავლეს და ნაწილობრივ გამოაქვეყნეს კიდეც ქართული ბიბლიისა და სასულიერო მწერლობის სხვა დარგის უძველესი ნიმუშები. განსაკუთრებული მნიშვნელობა და საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა ღვთისმეტყველების მაგისტრის დეკ. კორნელი კეკელიძის მიერ ქართული ლიტურგიკული ძეგლების მეცნიერულ გამოცემებს: Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение, Тифлис, 1908; Иеруса-

лимский канонарь VII века (грузинская версия), Тиф., 1912; Древне-грузинский архиератикон, под ред. и с предисл. прот. К. С. Кекелидзе, Тиф., 1912.

მღდ. კ. ცინცაძე ხსენებული საქმის ერთ-ერთი თაოსანთაგანი იყო. მან გულდასმით ჩაასწორა ქართული „კონდაკის“ ბოლო (1884 და 1898 წწ.) გამოცემები (ცინცაძე 133). რიგი ბუნდოვანი, თითქმის უაზრო წინადადება იქნა მის მიერ გამართულ-დახვეწილი, თეოლოგიური თვალსაზრისით გამართლებული და მლოცველთათვის ადვილაღსაქმელი. მისეული შრომის პრინციპის ნათელსაყოფად რამდენიმე მაგალითს მოვიხმობთ: „მოგვმადლენის“ კვერექსში მუხლი „აღუსრულოთ ვედრება ჩვენი უფალსა“ ბერძნული დედნისა და XIII საუკუნის ქართული „კონდაკის“ გათვალისწინებით ასე იქნა ჩასწორებული: „აღვასრულოთ ვედრება ჩვენი უფლისა მიმართ“; იმავე კვერექსში: „ქრისტიანობითნი აღსასრულნი ცხოვრებისა ჩვენისანი, უჭირველნი, ურცხვენელნი...” – ასე: „ქრისტეანობითი აღსასრული ცხოვრებისა ჩვენისა, უჭირველი, ურცხვენელი...”. მსგავსადვე იქნა რედაქტირებული კურთხევანიც: პანაშვიდის იკოსში ფრაზა „ვინაცა დაკლვისა ჩვენისა გოდებასა ვგოდებთ“ კორექტირებულ იქნა ფორმით: „ვინაცა დაფლვისა ჩვენისა გოდებასა ვგოდებთ“ და ბევრი სხვა ამგვარი.

უდავოა, რომ მღვდელმსახურების დონე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საკითხავთა ტექსტის ავ-კარგზე. სტილის, პუნქტუაციის თუ ორთოგრაფიის მოუწესრიგებლობა ხელს უშლის მკითხველს გაიგოს, შეიმეცნოს საეკლესიო საიდუმლოს არსი. თუკი მსმენელი მოსმენილს ვერ გაიგებს, საეკლესიო საკითხავების ეკლესიაში წაკითხვას რა აზრი ექნება?! ცხადია, მოსმენილის ვერგაგების შემთხვევაში ვერც კერძო და ვერც საეკლესიო-საზოგადო მსახურება მიზანს ვერ მიაღწევს. ამიტომ, მღვდელმსახურების დონის ასამაღლებლად, თბილისის ზოგიერთ ეკლესიაში იმთავითვე იქნა შემოღებული კონდაკის ჩასწორებული ვარიანტი. კომიტეტმა ლიტურგიკული წიგნების ახალი რედაქცია–კორექციით გამოცემა საშურ საქმედ დასახა და ქმედითი ნაბიჯებიც გადადგა (უფრო ვრცლად: ეპ. დავითი, ახლანდელი კონდაკის

ტექსტის შესწორების საჭიროება ძველი კონდაკების მიხედვით და საეკლესიო წიგნების მხედრული ასოებით დაბეჭდვის შესახებ, თბ. 1910; დეკ. კ. კეკელიძე, ანტონ კათოლიკოზის სალიტურღიკო მოღვაწეობიდგან, თბ. 1914, გვ. 4. ამ ნაშრომის მეორე გამოცემა: მისივე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, 1957, გვ. 175-186).

ზემოთ ხსენებული ნაბიჯების დასტურად დავასახელებთ რამდენიმე ფაქტს. 1908 წელს ეპ. პეტრეს, დეკ. კ. კეკელიძისა და მღდ. კ. ცინცაძის რედაქტორობით ქართულ ენაზე პირველად გამოქვეყნდა „სამღუდელმთავრო კონდაკი“ – ბერძნულ-სლავურ ორიგინალთან შეჯერებული და ენობრივად გამართულ-დახვეწილი. იმავე კომიტეტის დახმარებით „ბრიტანიულ და უცხო ქვეყნის ბიბლიურმა საზოგადოებამ“ 1912 წელს თბილისს გამოსცა „ახალი აღთქმა“ (აკად. აკ. შანიძე ამ გამოცემის რედაქტორად დეკ. კ. ცინცაძეს ასახელებს. იხ. მისივე, ანტონ I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე, თბ. 1964, გვ. 74).

მაშინდელი საზოგადოების ნაწილი უარყოფითად შეეგება ხსენებული კომიტეტის საქმიანობას. ზოგმა პრესითაც კი გამოხატა გულისწყრომა (იხ. ჟურნალები: „შინაური საქმეები“, ქუთაისი, 1909, №20; 1910 №2,3,20; „განათლება“ 1912, №1; „სახალხო გაზეთი“, 1912, №502). ოპონენტების აზრით და თქმით, „ჩვენ წინაპრებს ათასი წელიწადი ჰქონიათ ნათარგმნი სამღვთო წერილი, შემოუნახავთ იგი ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელის შემდეგ მტკიცედ და შეურყევლად” („განათლება“, 1912, №1, გვ. 3); „ამიტომაც თავგამოდებით ღირსია დავიცვათ ძველად ნათარგმნი სამღვთო წერილი, რათა ისტორიული კავშირი არ მოისპოს ჩვენსა და ჩვენს წინაპართა შორის“-ო (იქვე, გვ. 6). მღდ. ს. მჭედლიძე მისდამი რწმუნებულ ორგანოში „შინაური საქმეები“ (1909, №20), „ხელის“ ფსევდონიმით გამოსვლისას, ჩასწორებული კონდაკით შესრულებულ მღვდელმსახურებას „ახალი წირვის“, „ახალი სიტყვების“, „ახალი ენის“ შემოღებას უწოდებდა და „გულნაკლული“ აღნიშნავდა: ,,საეკლესიო წიგნების ჩასწორება ნაჩქარევია და საეჭვო”. იგი არ ეთანხმებოდა რედაქტორს, რომელმაც „აღუსრულოთ...“ „აღვასრულოთი“ შეცვალა: პირველი „უფრო მკაფიოდ გამოხატავს მოწოდების მიზანს”-ო და ა. შ.

ასეთ „დაეჭვებასა“ და გამოლაშქრებას კომიტეტმა პრესითვე უპასუხა. დეკ. კ. ცინცაძემ იმავე „შინაურ საქმეებში“ (1909, №36, 37) გამოაქვეყნა სტატია სათაურით „მცირე შენიშვნა ბ. ხელის მხილების გამო“, რითაც ხაზი გაუსვა, რომ ყურის შეჩვევა, თუნდაც სიყრმითგანვე, არაა საფუძველი, ხელი ავიღოთ შეცდომების გასწორებაზე. „ხელსა“ და მის თანამოაზრეთ განუმარტა კომიტეტის მიზანი და მუშაობის მეთოდი: საფუძვლები, რითაც ხელმძღვანელობდნენ ლიტურგიკული წიგნების რედაქტირებისას. „მოგვმადლენის“ კვერექსის შესახებ აღნიშნა, რომ „აღვასრულოთ...“ ფორმის უპირატესობას მხარს უჭერენ ქართული კონდაკის თვით კლასიკური ხანის ხელნაწერები და, რაც მთავარია, მღვდელმსახურების თეორიული საფუძვლები: „თუ დავუკვირდებით წირვა-ლოცვის იმ მომენტს, როდესაც იხმარება ეს კვერექსი, გავიგებთ, რომ ამ მოწოდებით დიაკონი (ანუ მღვდელი) აცნობებს მვედრებელთ, დროა საზოგადო ღვთისმსახურება (წირვა, ცისკარი, მწუხრი) გავათავოთო... სიტყვებით: „აღვასრულოთ ვედრება ჩვენი უფლისა მიმართ“ გამოვთქვამთ იმ აზრსა, რომ ეს ჩვენი ვედრება ჩვენთვისვე არის საჭირო. ხოლო თქმით: „აღუსრულოთ ვედრება ჩვენი უფალსა“ გამოდის, რომ, თუმცა ჩვენ ვევედრებით უფალსა, მაგრამ თვით უფალიც საჭიროებს ჩვენს ვედრებას... პირველ თქმაში ადგილი აქვს ნებაყოფლობითს განწყობილებას, ხოლო მეორე თქმაში – იძულებითს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ვედრება უფლისა მიმართ ვალდებულება კი არ არის, არამედ ისეთივე მოთხოვნილებაა ჩვენის სულიერის არსებისა, როგორც აზროვნება, უბნობა, გალობა და სხ. ვედრება, წმ. იოანე ოქროპირისა, გრიგოლ ნოსელისა და ეფრემ ასურის აზრით, არის საუბარი უფალთან, ზეაღვლენა მისდამი გონებისა და გულისა, და ამისათვის მისი ვალდებულებად დასახვა ისეთივე უაზრო იქმნება, როგორც სუნთქვის, მოძრაობის, სმა-ჭამის მოვალეობად შერაცხვა. ხოლო, თუ სადმე ვედრებას მოვალეობად და არა ჩვენის სულიერის არსების პირდაპირ მოთხოვნილებად სთვლიან, იქ შეუძლებელია „სარწმუნოების აღდგენა“, იქ შესწორებული კი არა, არავითარი კონდაკი აღარ არის საჭირო“.

კონსერვატორებისა და სკეპტიკოსების პოზიციათა არა-

ობიექტურობის მხილების მიზნით ჟურნალში „განათლება“ (1912, №2, გვ. 147-155) გამოქვეყნდა არქ. პიროსის (კომისიის თავმჯდომარის), დეკ. კ. ცინცაძის, დეკ. კ. კეკელიძისა და იუსტინე აბულაძის სტატია „კურთხევნის დაბეჭდვის გამო ბ. ბ. კეთილისმოსურნის, ალ. ხახანაშვილის და სხ. წერილების პასუხად“ (გამოცემულია ბროშურადაც, გადმობეჭდილია წიგნში: კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, XIII, 1974, გვ. 152-160). ეს წერილი გამოხატავს იმდროინდელი ქართველი სამღვდელოების ინტელექტუალური ნაწილის საღვთისმეტყველო დონეს, სულიერ სიღრმესა და განწყობილებებს. ამ ერთობლივი შრომით, რომელიც მე-20 საუკუნის ქართული საღვთისმეტყველო-ფილოლოგიური სკოლის უმნიშვნელოვანეს შენაძენად უნდა ჩაითვალოს, ხაზგასმულია, რომ კომიტეტის საქმის ჯეროვანი დაფასება შეუძლიათ მხოლოდ იმ პირთ, „რომელთაც 1) იციან ეკლესია და მისი ვითარება, 2) გაეგებათ – რა არის დოღმატი და რა არის კულტი, 3) ისტორიულად შეუგნიათ ღვთისმსახურება, 4) შეუსწავლიათ ქართული და სხვა ქრისტეან ერთა სალიტურგიკო მწერლობა და 5) შეუთვისებიათ ქართულ ხელნაწერების სული და სტილი. ამის გამო ადვილად წარმოსადგენია, თუ რა ღირსების უნდა იყოს იმ ადამიანის კრიტიკა, რომლის უმწვერვალეს კრიტერიუმს შეადგენს მხოლოდ „ყურის შეჩვევა“ იმისა, რასაც უაზროდ გაჰკივის ეკლესიაში წერა-კითხვის ნახევრადმცოდნე მედავითნე; იმ ადამიანისა, რომელსაც *ვერ გაურჩევია საეკლესიო წიგნი საღმრთო წიგნში და „კურთხევანს“, მაგალითად, სამღვთო წერილის წიგნს უწოდებს* (კურსივი ჩვენია, – ნ. პ.). ჩვენდა სამარცხვინოდ უნდა აღვიაროთ, რომ, როგორც საქმით ჩანს, ეხლაც იმავე საფეხურზედ ვყოფილვარ, რომელზედაც იდგა რუსეთი მეჩვიდმეტე საუკუნეში, როდესაც „რასკოლნიკთა“ მეთაურები ფანატიკურად გაიძახოდნენ: „До нас положено, лежи оно так во веки веков. Православным надо помереть за один азъ“. სტატიის ავტორები განუმარტავენ საზოგადოებას, რომ კულტი არ არის დოგმატი, „რომელიც ცვალებადობის კანონის გარეშე დგას“; რომ მღვდელმსახურება და ეკლესიის სხვა გარეგანი მხარე არსად და არას-

დროს გაყინულა, არ ქცეულა დოგმად; „რომ მართლმადიდებელი ეკლესია სრულიადაც არ უარყოფს ლიტურღიკულ განვითარებას. პირიქით, ღვთისმსახურების ისტორია წარმოადგენს განუწყვეტელ ევოლუციონურ ძაფს, რომელიც გაბმულია მოციქულთა საუკუნის და ჩვენ დროთა შორის. ეს რომ ასე არ იყოს, ისტორიაში ხომ ადგილი აღარ ექნებოდა ძველი იერუსალიმის, სპონდიელთა მონასტრის, სოფია წმიდის, სტოდიელთა მონასტრის, მთაწმიდელთა და საბა წმიდის ტიბიკონებს, რომელნიც თავიანთ ელფერს აძლევდნენ ღვთისმსახურებას, შესაფერ წესებს თხზვიდნენ, თავისებურ ყალიბში ასხამდნენ საეკლესიო წიგნებს! მეცნიერებაში უძველესად მიჩნეული, ეგრედ წოდებული, ბარბერინის ევხოლოგიონი რომ გადაათვალიეროთ, დაინახავთ, ის წესები, რომელთა ჯეროვნად აღსრულებას ეხლა საათობით უნდა დრო, იქ განისაზღვრება მხოლოდ რამდენიმე ლოცვით. გადასინჯეთ ბერძნული, სლავიანური და ქართული სხვადასხვა დროის სალიტურღიკო ხელნაწერები და თქვენ დაინახავთ, რომ მათში დაცული წეს-განგებანი იმდენად განსხვავდებიან ერთმანერთში შინაარსითაც და ენითაც, რომ მათი კლასიფიკაციაც კი შეუძლებელია“.

როდესაც ეკლესიის პრაქტიკულ და თეორიულ საკითხებში ეს განსწავლული ადამიანები ამჩნევდნენ და ასწორებდნენ ქართულ სამღვდელმსახურო წიგნებში არსებულ შეცდომებს, დასძენდნენ: „ჩვენ, როგორც წევრნი მართლმადიდებელის ეკლესიისანი, ვალდებული ვართ, *ერთითა პირითა და ერთითა გულითა* ვაქებდეთ და ერთობით აღვიარებდეთ *სამებასა ერთ-არსებასა და განუყოფელსა.* ამისათვის ჩვენი ლოცვების, წეს-რიგის და წიგნების რედაქცია უნდა ეთანხმებოდეს მსოფლიო ეკლესიის პრაქტიკას; მსოფლიო ეკლესიასთან ერთობა და თანხმობა ის დროშა იყო, რომლის ქვეშ მუშაკობდნენ ჩვენნი წინაპარნი...”.

ქართული საღვთისმსახურო წიგნების ჩამასწორებელმა კომიტეტმა, მრავალგვარ სიძნელეთა მიუხედავად, არქ. პიროსის, დეკ. კ. ცინცაძისა და დეკ. კ. კეკელიძის რედაქტორობით 1915 წელს გამოსცა „პარაკლისი სუეტისა ცხოველისა და კუართისა საუფლოისა“ (მხედრული ანბანით). იმავე

წელს მოსკოვში დაისტამბა „კურთხევნის“ დაზუსტებული ვარიანტი, რომლის წინასიტყვა გვაუწყებს: „...ვინაითგან ნაშრომი წმიდისა გიორგისი (მთაწმიდელისა) ჟამთა ვითარებამან და გადამწერთა უმეცრებამან სასტიკად განჰრყვნა და შებღალა, ლოცვითა და კურთხევითა უნეტარესის კათალიკოზის დომენტისათა (1705-1724) კურთხევანი კუალად ითარგმნა მწყემსთმთავრის კვიპრიანე სამთავნელის მიერ. თარგმანი კვიპრიანესი უცვალებელად იბეჭდებოდა 1712 წლითგან ვიდრე დღეთა ჩვენთადმდე. ხოლო ოდეს აღსარებულ იქმნა საჭიროება ქართულ კურთხევანის ახლად დაბეჭდვისა, ღვაწლითა და მოსწრაფებითა დეკანოზთა *კალისტრატე ცინცაძისა და კორნელიოს კეკელიძისათა* იგი შეფარდებულ იქმნა წმიდა გიორგის თარგმანის ხელნაწერთა და თანამედროვე ბერძნულ-სლოვენურ კურთხევანს და გასწორებულ იქმნა დიდითა რიდითა და კრძალულებითა...“. მაგრამ აღნიშნულ წიგნს სავალალო ბედი ეწია. აი, რას გვაუწყებს თავად კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატეს მინაწერი ამ გამოცემის ერთი ეგზემპლარის სატიტულო ფურცელზე: „კურთხევანი ესე დაისტამბა... მოსკოვს 2000 ცალი, მაგრამ არცერთი ეგზემპლიარი ჩვენში არ ჩამოსულა: პიტირიმე მიტროპოლიტს მოუსურვებია მისი გადათვალიერება, – შეცდომა ხომ არ არის რაო, – მაგრამ დარჩენოდა გადაუთვალიერებელი. ამის გამო სინოდს ვერც ფასი განესაზღვრა და ვერც ყდა გაეკეთებია ყ̇დსამღვდელო პიტირიმის გადათვალიერების მოლოდინში. დამზადებული ფურცლები 1917 წელში მოისპო. დარჩა კორექტურული ფურცლები, რომელთაგან გამოვიდა ერთი ცალი სრული (ის გადავეცი პროფ. კ. კეკელიძეს უნივერსიტეტის მუზეუმში დასაცავად), მეორე კი – დეფექტური – წინამდებარე“[11]. ამავე „კურთხევნის“ გამოცემის საქმე კ. ცინცაძის შემდგომ, მიტროპოლიტობისას (1927 წელს), უტვირთავს. გაუმზადებია კიდეც დასასტამბად, მაგრამ აღნიშნული მიზანი ვერ განუხორციელებია.

1928 წელს კ. ცინცაძეს, უკვე მიტროპოლიტს, საკათალიკოსო სინოდისათვის წარუდგენია მის მიერვე ზემოთ მითითებული პრინციპების გათვალისწინებით ჩასწორებულ-გამართული, რამდენადმე შემოკლებული და გამარტივებული

რედაქცია „იოანე ოქროპირის წირვის წესისა“, თუმცა გამოქვეყნება ვერ მოხერხებულა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ობიექტურ მიზეზთა გამო დასახელებულმა კომიტეტმა გეგმები და ამოცანები (მაგალითად, დაემუშავებინა და გამოეცა ანტონ კათოლიკოსის „თვენ-სადღესასწაულო“) სანახევროდაც ვერ შეასრულა. კ-პ კალისტრატეს პირად საარქივო ფონდში წარმოდგენილია მის მიერ ჩასწორებული „ჟამნი“, „კონდაკი“, „დავითნი“ და ამ თვალსაზრისით სხვა საინტერესო მასალა, რაც პროფესიონალი მკვლევრის თვალსა და ინტერესს ელოდება.

განათლებისა და კულტურის სამსახურში

განსაკუთრებით თვალსაჩინო და დასაფასებელია კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის პედაგოგიური მოღვაწეობა: ასწავლიდა საღვთო რჯულს თბილისის სათავადაზნაურო და ვაჟთა პირველ გიმნაზიებში, ლევანოვსკის კერძო გიმნაზიაში; თანამშრომლობდა სასულიერო სემინარიის პედაგოგიურ საბჭოში. იგი შრომობდა განათლების კერების დაარსება-განმტკიცებისათვის. მან შეადგინა და გამოსცა დამხმარე სახელმძღვანელო საღვთო რჯულისათვის: ლოცვანი და შემოკლებული კატეხიზმო (გამოიცა ექვსჯერ: 1908-1914). ეს წიგნი უმნიშვნელოვანესი შენაძენია ქართული სამოძღვრო და პრაქტიკული ღვთისმეტყველებისა. თბილისის სასულიერო სემინარიის მოძღვრის, არქ. (შემდ. ეპისკოპოს) პიროსის, მიერ შედგენილი სახელმძღვანელო: *ა(რქიმანდრიტი) პ(ეროსი), სახელმძღვანელო მართლმადიდებელ ეკლესიის კატეხიზმოს შესასწავლად, ნაწილი პირველი, – სჯულმოძღვრებითი, ტფ., 1911* დეკ. კ. ცინცაძემ თემატურად განავრცო და დახვეწა; ლოცვან-საგალობლები და კითხვა-მიგებანი მართლწერის იმდროინდელ ნორმათა დაცვით გამარა; დოგმა-მოძღვრებანი მშვენიერი ქართულითა და ადვილაღსაქმელი ფორმით გადმოსცა, რის გამოც ეს წიგნი მოცემული საგნის პედაგოგების მიერ საუკეთესო სახელმძღვანელოდ იქნა მიჩნეული. კ. ცინცაძემ ასევე მოამზადა პროგრამები მათთვის, რომლებსაც სასულიერო სემინარია არ და-

უმთავრებიათ, მაგრამ მედავითნედ და დიაკვნად სამსახურის სურვილი მაინც აქვთ (გამოიცა თბილისში 1907 წელს; ეგზემპლარები ინახება ავტორის პირად საარქივო ფონდში და საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში).

1900 წლის 14 ოქტომბერს მამა კალისტრატემ აკურთხა ქართული გიმნაზიის საძირკველი და სამადლობელი პარაკლისის შემდეგ ამ სიტყვებით მიესალმა განათლების კერის აღშენებას: „ჩვენ დღეს საფუძველს ვდებთ იმ ტაძრისას, რომელმაც თავის ზღუდეთაგან უნდა გამოუშვას მეცნიერების ნათლით შემოსილნი, სარწმუნოების ფარით აღჭურვილნი და ზნეობრივის სიფაქიზით გაბრწყინვებულნი ქართველი მამულისშვილები“ (ცინცაძე 97, ფ. 89). ღვთისმსახურებას ესწრებოდნენ: ნ. ცხვედაძე (გიმნაზიის დამაარსებელი), ს. კლდიაშვილი (არქიტექტორი), ე. თაყაიშვილი (პროფესორი) და არ. ქუთათელაძე (პედაგოგი). ყველამ ერთხმად ადღეგრძელა საძირკველი ქართული გიმნაზიისა.

ღმერთმა ფრთანი შეასხა მამულიშვილთა ოცნებას და ქართველ მეცნიერებს აღნიშნული გიმნაზიის წიაღ უნივერსიტეტის დაარსება შთააგონა. 1918 წლის 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღეს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა კირიონმა გიმნაზიის ტაძარში საზეიმო წირვა გამოიყვანა და აკურთხა ქართული უნივერსიტეტი. მაშინ, წირვაზე, დეკანოზი კალისტრატე მისი უწმიდესობის თანამსახური იყო. მან, აღნიშნული გიმნაზიის მღვდელმოძღვარმა, სანატრელი დღე, – დღე უნივერსიტეტის კურთხევისა და გახსნისა, – ტაძრად შემობრძანებისას, ეკლესიის კარიბჭეშივე, მიულოცა ერის სულიერ მამას. აი, მისი სიტყვები, მაშინ წარმოთქმული: „ამ ტაძარს, რომლის საყდარზედაც შენ ისწრაფვი უსისხლო მსხვერპლის შეწირვას, მეოხად ჰყავს აფხაზთ-ქართველთა მეფე წმიდა დავითი. პატარა ქართველთა უახლოეს მფარველად შემთხვევით როდია აღრჩეული მეფე-აღმაშენებელი! მომავალის თაობის აღმზრდელთ გულით სწამდათ და პირით აღიარებდნენ, რომ წმიდა დავითის მადლით, მის მიერ ერთხელ აღშენებული საქართველო კვლავ აღშენდებოდა და აყვავდებოდა... სასოება ესე, მიუხედავად ჩვენზედა მოწევნულისა ცეცხლისა და მახ-

ვილისა, სიყმილისა და სრვისა, თანდათან გვიძლიერდება, – წმიდის დავითის სახლსა ამას შინა დასადგურების შემდეგ საქართველომ იწყო შენება: ას ექვს წელს ტყვეობაში ყოფილი საქართველოს ეკლესია კვლავ თავისთავადი გახდა, ...გადაგვარებული სკოლა მოეგო თავსა თვისსა და დღეს ქართულის უნივერსიტეტის საფუძველის ჩაყრით დაგვირგვინებულ იქმნების! მოკლედ, ისტორია მეორდება და დავით აღმაშენებელის დრო გვიბრუნდება. მხიარულ იყავ, კვლავ თვითთავადის ეკლესიის საჭეთმპყრობელობით სამშობლოს განთავისუფლების წინამორბედო. კადნიერებით შემოვედ სავანესა ამას დავით აღმაშენებელისასა და გულმოდგინედ შეგვავედრე ყოვლისშემძლებელს, რათა მოვესწრნეთ წმიდის თამარის დროის მოსლვასაც. ამინ“ (გაზ. „საქართველო“, 1918, №25)[12].

1922 წლის 27 აპრილს, საქართველოს გასაბჭოება-გაკომუნისტებისა და ამ ქვეყანაში არნახული ანტისაეკლესიო-ანტირელიგიური რეჟიმის დამყარების შემდეგ, როდესაც ეკლესიიდან სამღვდელო პირთა გადინების პროცესი დაიწყო, კათალიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ (ხელაიამ) მოახერხა და თბილისში სამოძღვრო კურსები გახსნა. ამ სასწავლებლის დირექტორად მან, საკათალიკოსო საბჭოსთან შეთანხმებით, დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე დანიშნა. იმჟამად ასეთი სასწავლებლის დაარსება დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო. 1918 წლის ზაფხულში გააუქმეს თბილისის სასულიერო სემინარია. საკათოლიკოსო საბჭო იძულებული გახდა დაეთმო, რადგან ვარაუდობდა, რომ მღვდელმსახურთ მოამზადებდა სემინარიის შენობის წიაღ (ახლანდელი მე-9 საავადმყოფო) დაარსებული გიმნაზია და, შემდეგ, სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც, ეკლესიის მესვეურთა განზრახვით და, კერძოდ, კათალიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის (საძაგლიშვილის) წინადადებით, უნდა ჩამოყალიბებულიყო, ევროპული ტრადიციის მიხედვით და იქაური უნივერსიტეტების მსგავსად, ღვთისმეტყველების ფაკულტეტი. მაგრამ, იმდროინდელ ხელისუფლებაში ათეისტურად განწყობილი პარტიებისა და პიროვნებების მოსვლის გამო, არც ამ ოცნებას ეწერა დღე. ერთადერთ იმედად სამოძღვრო კურსების დაარსება რჩებოდა, თუმცა ამ იდეის ხორცშესხმა ვითარების კიდევ უფრო გაუარესების გა-

მო ერთობ პრობლემატურ საკითხად გამოიყურებოდა. ამიტომ აღნიშნული სასწავლებლის დაარსებას სიხარულით შეეგებნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ჭირისუფალნი. შედგა კურთხევისა და გახსნის ცერემონიალი, როდესაც, სამადლობელი პარაკლისის შემდეგ, სასწავლებლის დირექტორმა და წინამძღვარმა დეკ. კალისტრატე ცინცაძემ თქვა: „...ჩვენ მოგველის მრავალი დაბრკოლებანი, მაგრამ ეს არ გვაშინებს; უმთავრესი დაბრკოლება დაძლეულია – სასწავლებელი უზრუნველყოფილია გამოცდილ-დახელოვნებული მასწავლებლებით, რომელნიც შეკავშირებულნი არიან მტკიცე სურვილით, მისცენ მშობლიო ეკლესიას დედა ენაზე მომზადებულნი, სპეტაკი ზნეობის სიტყვითა და საქმით მქადაგებელნი მოძღვარნი... ნაკლებად არის ჩვენი სასწავლებელი უზრუნველყოფილი მოსწავლეთა რაოდენობით (სიაში აღნიშნული 12-დან დღეს გამოცხადდა 4), მაგრამ ჩვენ გულს მაინც არ ვიტეხთ – ქრისტე მაცხოვრის მოწაფეთა რაოდენობა პირველად განისაზღვრებოდა ორი ადამიანით. უფრო ნაკლებად არის იგი უზრუნველყოფილი ნივთიერად, მაგრამ ჩვენ არც ამას უშინდებით: ვინც *ზრუნავს მფრინველთათვის ცისა და შროშანთათვის ველისა,* ის არ მოაკლებს თავის მადლსა და მფარველობას მოციქულებრივი სიყვარულით გამსჭვალულ მოღვაწეთ... ამ იმედით შევცქერით ჩვენ მომავალს" (ცინცაძე 97, ფ. 88). მაგრამ, მიუხედავად ამგვარი შემართებისა, სასწავლებელმა მხოლოდ 1923 წლის იანვრის 12-მდე გასტანა: 13-ში დააპატიმრეს დირექტორი (ასწავლიდა კანონიკასა და ღვთისმსახურებას) და დეკანოზი ილია შუბლაძე (ღვთისმეტყველების მოძღვარი), რის გამოც სწავლის პროცესი ჩაიშალა და სასწავლებელმა არსებობა შეწყვიტა[13].

მოძღვარი კალისტრატე საქართველოს განათლების სისტემის სრულყოფისათვის არ იშურებდა თეორიულ ცოდნასა და ალღოს. იგი ხშირად ხელმძღვანელობდა საღმრთო რჯულის მასწავლებელთა თათბირ-სემინარებს, გამოთქვამდა საყურადღებო შენიშვნებსა და დასკვნებს, ხვეწდა ამ საგნის სასწავლო პროგრამებს გიმნაზიებისათვის, აგრეთვე საეპარქიო და სამრევლო სკოლებისათვის.

კალისტრატე ცინცაძემ სიტყვა სწავლა-აღზრდის მეთო-

დოლოგიის განხრითაც თქვა. იგი ყრმათა აღზრდის იმ პრინციპს უჭერდა მხარს, რომელიც ქართულ პედაგოგიკაში ჰქადაგეს ბერმა სულხან-საბა ორბელიანმა და პოეტმა დავით გურამიშვილმა, რაც დაადასტურა ეპისკოპოსმა გაბრიელმა (ქიქოძემ). ეს პრინციპი უმთავრესად მოზარდთა ზნეობრივ წვრთნას გულისხმობდა: ბავშვმა იმთავითვე უნდა შეითვისოს კეთილი ხასიათი – სიმართლე, სიმშვიდე, კრძალვა-მორჩილება, საქმის სიყვარული. ამასთანავე „გარეგანი ზრდილობა და დარბაისლობა მხოლოდ მაშინ არის მოსაწონი და საქები, როდესაც იგი შეერთდება სულიერსა, შინაგანსა ზრდილობასა თანა“ (სიტყვა განზრდისათვის შვილთა. ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გ ა ბ რ ი ე ლ ი ს ა , I, ქუთაისი, გამოცემა მეოთხე, 1913, გვ. 459). ხსენებული მღვდელმთავარი – განთქმული მოძღვარი და ფსიქოლოგი, ისე როგორც XVII-XVIII სს-ის ხსენებული მოაზროვნეები – ზოგ შემთხვევაში აღსაზრდელთა ფიზიკურ დასჯასაც (телесное наказание) იწონებდა (Слово, произнесенное в церкви Кутайсской классической гимназии. Слова и речи Гавриила, епископа Имеретинского, Кутаис, 1893, стр. 440-444). ზოგმა პედაგოგმა ეჭვის თვალით შეხედა აღზრდის ამ მეთოდს და პრესაში გაბრიელ ეპისკოპოსის მიმართ კრიტიკული (თუმცა მოკრძალებული) შენიშვნაც გამოითქვა. თბილისის სასულიერო სემინარიის პედაგოგ ილია ფერაძის აზრით, ბავშვთა ფიზიკური დასჯა ეწინააღმდეგება სახარების სულისკვეთებას. ამიტომაც, მისი თქმით, „ბოლო უნდა მოეღოს მას, როგორც ძველი დროის გადმონაშთს, კუთვნილს ქრისტიანობამდელი პედაგოგიკისას“; თანამედროვე ცივილიზაციას სხვა პრინციპები და სხვა მიდგომები აქვსო (Ил. Ферадзе, Мысли Преосвященного Гавлиила, Епископа Имеретий, о воспитаний детей по его проповедам, жрн. «Духовный Вестник Грузинского Экзархата», 1896, №21, გვ. 16-24 და №23-24, გვ. 9-26). მღდ. კ. ცინცაძემ, ახალგაზრდა პედაგოგმა, გამოაქვეყნა შენიშვნა ხსენებული აზრის შესახებ და აღნიშნა, რომ ილ. ფერაძემ – კიევის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებულმა და ღვთისმეტყველების კანდიდატმა – არაჯეროვნად განმარტა გაბრიელ ეპის-

კოპოსის პედაგოგიური შეხედულებანი. მოძღვარი დაეყრდნო საღვთო წერილს, რომელიც მოგვმართავს: ,,შვილო, უფლისგან წვრთნას ნუ უგულებელყოფ და მის მხილებას ნუ წაუყრუებ, რადგან ვინც უყვარს, იმას წვრთნის უფალი. სცემს ყოველ შვილს, ვისაც ღებულობს“ (ებრ. 12,5-6), და მიუთითა: ბავშვთა დასჯა გარკვეულ ვითარებასა და შემთხვევაში მართებული მეთოდია; იგი სულაც არ ეწინააღმდეგება სახარებას, რადგან მისი (ამ მეთოდის) საფუძველი უაღრესად ჰუმანურია და მიზანი – ქრისტიანული (Свящ. К. Цинцадзе, Заметка..., жрн. «Пастырь», 1897, №5-6, გვ. 5-6).

ღირსი მოძღვარი, ეპ. გაბრიელის მსგავსად, მოზარდთა ზნეობრივ-ინტელექტუალური ფორმირების საქმეში დიდ მნიშვნელობას აკუთვნებდა დედას, ქალს ზოგადად. მისი შთაგონებითა და თანადგომით ჩამოყალიბდა ,,ღარიბ მოწაფეთა დამხმარე ქალთა კომიტეტი”, რომელმაც შესამჩნევი ამაგი დასდო ობოლ და ხელმოკლე ოჯახის შვილთა განათლებას. კომიტეტი ეხმარებოდა მათ სასმელ-საჭმელით, ტანსაცმლით, წიგნებით და, რაც მთავარია, მორალურად. ერთ-ერთ საქველმოქმედო სადილზე, რომელიც ამ ორგანიზაციამ სათავადაზნაურო სკოლის ღარიბი მოსწავლეებისათვის გამართა, კ. ცინცაძემ, როგორც საღვთო რჯულის მოძღვარმა, შეახსენა ქართველ დედებს მათ წინაპართა ზნეობრივი საქმენი. „ძველად ჩვენში, – აღნიშნა მან პარაკლისის შემდეგ, – გამოჩენილი და დიდი ოჯახების დიასახლისები თავიანთ კარზე თავის შვილებთან ერთად სხვის შვილებსაც ზრდიდნენ და უნერგავდნენ გულში ღვთის შიშსა და სამშობლოს სიყვარულს. ამასთან ერთად, ეს ღვთის მიერ კურთხეულნი დედანი, ახალ თაობას ასწავლიდნენ წერა-კითხვასა და ავარჯიშებდნენ მწიგნობრობის საქმეში... ერთის საუკუნის წინად „დაჰბერა ქარმა ჩრდილოსამ“ და ძველი წეს-წყობილება არივ-დარივა: ახალმა დრომ ახალი საქმე გაუჩინა ჩვენს დედებს და ძველი მათი მოვალეობა გადაავიწყა იმდენად, რომ შეძლებულის ოჯახის დიასახლისნი არამც თუ სხვისი შვილებისათვის აღარ ზრუნავდნენ, არამედ საკუთარი შვილების აღზრდაც კი ჩააბარეს *სასყიდლით დადგინებულთ* (იოან. 10, 12) უცხო ზნე-ჩვეულების-რწმენის გამდელებს. მაგრამ, ნათ-

ქვამია, ქარის მოტანილს ქარივე წაიღებსო, – ამგვარ მოვლენას ადრე თუ გვიან ბოლო უნდა მოღებოდა... და, აი, ჩვენ მომსწრე ვართ იმის, რომ თითო-ოროლა ქართველი ქალი დაბრუნებია ძველს გზას და საგნად თავის ზრუნვისა აურჩევია ბედისაგან დაჩაგრულნი მოწაფენი... ბევრი შრომა მოელისთ მათ, შეიძლება ბევრი დაბრკოლებანიც გადაეღობოსთ, მაგრამ, ღვთის შეწევნით, ვიმედოვნებთ, ისინი არ შეუშინდებიან არავითარ საბრთხეს და სძლევენ ყოველსავე დაბრკოლებას...“ (ცინცაძე 97, ფ. 92).

სასწავლო წლის დამდეგს, სავედრებელ-სამადლობელი პარაკლისის დროს, მამა კალისტრატე ქადაგებით მიმართავდა ყმაწვილებს: შთააგონებდა ადამიანის მოწოდების საგანს, – ჩვენდამი მომადლებულ ღვთისმიერ ძალთა წარმოჩენასა და ამ ძალთა კეთილწარმართებას. ადამიანის უზენაესი სურვილია სიცოცხლე, ღმერთმა ბედნიერებისათვის გააჩინაო იგი, ოღონდ საჭიროა, გავიგოთ: რა არის ბედნიერება? „უფალი ხომ ყოვლადშემძლებელია, – ასწავებდა ის ქართული გიმანზიის შეგირდებს, – მაგრამ ისიც კი, ამბობს ერთი წმიდა მამათაგანი, ვერ შესძლებს ადამიანის ცხოვრებას, თუ თვით ადამიანმა არ მოინდომა ცხოვნება“. ამისათვის, – დასძენდა, – „უნდა შეისწავოთ სჯული უფლისა, გარდმოცემული ღვთისმხილველ მამათმთავართა, წინასწარმეტყველთა და მოციქულთა მიერ, და... სჯული იგი, რომელიც შემოქმედმა წესად დაუდვა ბუნებას და რომლის ძალითაც მილიონობით მოციმციმე ვარსკვლავ-მნათობნი განაგრძობენ თავისებურ ცხოვრებას. მეტის დაკვირვებით უნდა შეისწავლოთ თავგადასავალი ამ ჩვენის სამკვიდრო დედამიწისა, მისი აწმყო და წარსული, მისი ადგილი ღვთის ქმნილებათა შორის და წესები მისი არსებობისა, მინერალები და მეტალები... განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შეისწავლოთ გვირგვინი ქმნილებისა – ადამიანი და მის მიერ აღბეჭდილი კვალი ცხოვრებისა: როგორ და რანაირად მოახერხა მან, ღვთის მიერ სამოთხიდან განდევნის შემდეგ, განეთავისუფლებინა თავი ბუნების მოვლენათა და მხეცთა შიშისაგან. შეეცადა, პირიქით, მათ დამორჩილებას; სძლია ზღვა და ჰაერი, და დაადგა გზას, რათა ღვთის მიერ დანიშნულ მიზანს მისწეოდა – გამ-

ხდარიყო უფლად და ბატონად ქვეყანასა ზედა“ (სიტყვა სწავლის დაწყების გამო, თქმული ქართულ გიმნაზიაში, „განათლება“, 1914, №7, გვ. 551-552).

ამგვარი, რწმენითა და სიყვარულით გამთბარი, ქადაგებით მამა კალისტრატეს ბევრჯერ მიუმართავს ახალგაზრდებისათვის („განათლება“: 1911, №4; 1912, №8; 1913, №7; „საქართველო“, 1916, №20, 24; „შინაური საქმეები“, 1911, №37 და სხვა); მათ სულსა და გულში ბევრჯერ გაუღვიძებია სწავლის ხალისი, ბევრი დაუფიქრებია სასიკეთოდ. ქართული პედაგოგიკის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია ჩვენი სასიქადულო პედაგოგებისადმი ძღვნილი მისმიერი ეპიტაფიები ანუ, რომ დავაზუსტოთ, დაკრძალვის დღეს წარმოთქმული სიტყვები: ლუარსაბ ბოცვაძისადმი, ა. ნათაძისადმი („განათლება“, 1916, №8-9), არ. ქუთათელაძისადმი, ი. გოგებაშვილისადმი („შინაური საქმეები“, 1912, №25), ნ. ცხვედაძისადმი („შინაური საქმეები, 1911, №37; „განათლება“ 1911, №11) და სხვა.

ხუცესის თავმიძღვნილ პედაგოგიურ საქმიანობას ამკობდა მაღალი ზნეობა და გულისხმიერება აღსაზრდელთადმი. კეთილ მოძღვარს ღრმა პატივისცემით მოიხსენიებდნენ კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი, აკადემიკოსები: შალვა ნუცუბიძე, კორნელი კეკელიძე, ექიმი დიმიტრი ხუნდაძე, მხატვარი ლადო გუდიაშვილი და ქართული კულტურის მოღვაწეთა თაობები, რომლებიც მამა კალისტრატეს წირვა-ლოცვითა და ქადაგებებით ეზიარნენ სათნოებასა და განათლებას.

კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე ქართული ხელოვნების დიდი მოამაგე იყო. იგი ეროვნული კულტურის იმ მესვეურთა გვერდით იდგა, რომლებიც ღრმად განიცდიდნენ კრიზისს ამ დარგში და ეძიებდნენ მისგან თავდაღწევის გზებს. ამიტომაც ეხმაურებოდა და ესალმებოდა ყველა ნაბიჯს, რაც კი ჩვენი ერის ესთეტიკურ გამოღვიძება-გაფაქიზებას მოასწავებდა. ამ თვალსაზრისით ღირსშესანიშნავი მოვლენებისადმი მიძღვნილი ქადაგების მეშვეობით მღვდელმოძღვარი განმარტავდა ხელოვნების (თეატრისა თუ მუსიკის) ჭეშმარიტ არსს – მის საფუძველსა და საბოლოო მიზანს, ადგილს ადამიანის სულიერ ცხოვრებაში და ამრიგად ამყარებდა მის მორალურ ავტორიტეტს საზოგადოების თვალში.

ჩვენს ხელთაა ქართული თეატრის შენობის განახლების გამო მის მიერ თქმული სიტყვის ტექსტი („შინაური საქმეები“, 1909, №5), რომელშიც მოძღვარი გვამცნობს: „ქვეყნის შემოქმედმა ადამიანი ბედნიერებისათვის გააჩინა და ამ მიზნის მისაღწევ საშუალებად სულიერთა და ხორციელთა ძალთა ვარჯიშობა ანუ მუშაობა დაუნიშნა. მაგრამ, შურითა ეშმაკისათა, ადამიანი სცთა და მისი ბუნება დაუძლურდა, რის გამოც მუშაობის დროს იგი იღლება და, მის განსაგრძობად, საჭიროებს ძალთა მოკრებას, მოსვენებას... და, აი, ამ საჭიროების დაკმაყოფილება თავსუდვია ხელოვნებას საზოგადოდ და თეატრსა კერძოდ. ხოლო, სამწუხაროდ, ხელოვნება ამ მოვალეობის აღსრულებას ხშირად გაურბის და ადამიანს, ცხოვრების გამაკეთილშობილებელ-განმავითარებელ გასართობის ნაცვლად, გარეგანის სიმშვენიერით შემკობილს ძლიერი საწამლავით სავსე ფიალას აწვდის და თავს მართლულობს მით, რომ იგი ცხოვრების სარკეა... ხელოვნებამ უნდა დაგვისურათხატოს ნამდვილი ცხოვრება და მისი მახინჯი მხარე, ქვენა გრძნობათა ბობოქრობა და მრავალგვართა ვნებათა ღლევა, მაგრამ მან არ უნდა დაივიწყოს უმაღლესი ზნეობრივი მოთხოვნილება: ავს უწოდოს ავი და კარგს – კარგი, რათა ხელოვნების ტაძრითგან არ წარვიდეთ სახიდ ჩვენდა წამბილწველ-გამათახსირებელ ოცნება-წარმოდგენებით აღვსილნი, არამედ გამხნევებულნი, აღფრთოვანებულნი და განმზადებულნი ბრძოლად ბოროტისა და შედგომად კეთილისა... მაშ, შევევედროთ ზეციერ მამას, რომ განახლებული ესე ტაძარი ხელოვნებისა ჰყოს მან ბუდედ უბიწოებისა და საყოფელად სიწმიდისა, ხოლო მუშაკთა მისთა მისცეს ძალი და სიმხნე აღძრვად და აღზრდად სიყვარულისა მისდამი, *რაოდენი არს წმიდა, რაოდენი საყვარელ, რაოდენი სათნო და რაოდენი ქებულ* (ფილიპ. 4, 8)“.

ქართული თეატრმცოდნეობის ისტორიისათვის ერთობ ფასეულია აგრეთვე კ-პ კ. ცინცაძის მიერ დეკანოზობისას ქაშვეთის ტაძარში თქმული სიტყვა ცნობილი მსახიობის, კონსტანტინე (კოტე) მესხის, გარდაცვალების გამო 1914 წლსი 18 მაისს. ალბათ ბევრი კვალიფიციური სპეციალისტიც კი მოაწერდა ხელს მის ამ სიტყვაზე. და, ვინაიდან იგი გამოუქვეყნე-

ბელია, ჩვენ შედარებით სრულად წარმოვადგენთ მის ტექსტს:

„...ჩვენი სცენის მოღვაწეთათვის ფრიად სანუგეშო უნდა იყოს ამოდენა ხალხის თავის მოყრა იქ, სადაც ბევრისაგან ბევრი მსახიობს სცენაზედ სთვლის საზოგადოების გამართობელ, გამამხიარულებელ არსებად, ხოლო სცენის გარეშე თითქოს უმწიკვლო ზნეობით შემკულის საზოგადოების არასრულ-უფლებიან წევრადა. ნუ გეუცხოვებათ ეს სიტყვები, ვინაითგან ამგვარი შეხედულება სცენასა და მსახიობზე არ შეადგენს მარტო ქართველთა საკუთრებას, არამედ არსებობს უფრო განათლებულ ერთა შორისაც: როცა ქალაქ ჟენევაში განიზრახეს სამუდამო სცენის დაარსება, წინააღმდეგი გახდა სხვათა შორის განთქმული ჟან ჟაკ რუსოც. ის სწერდა ერთ მეგობარს, თეატრიო, ადამიანს ვნებათაღელვას უცხოველებს, აქეზებს წუთიერის სიტკბოების განცდისათვის, ანებივრებს და უღვივებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, ქვენა გრძნობათა. თეატრი დარბაისელ ადამიანთათვის საჭირო დაწესებულება კი არ არის, არამედ თავშესაფარია უსაქმო პირთათვის, რომელთა დავიწყებიათ თავიანთი ვინაობა და მოვალეობა და არ იციან, რა უყონ თავისუფალ დროსო. სხვები, განსაკუთრებით მორალისტები, უფრო შორს მიდიან, ისინი სამუდამო სცენას საზოგადოების ზნეობრივ დამღუპველად თვლიან... რაითგანაც თეატრი ადამიანს აჩვევს ძლიერ გრძნობათა განცდას და მიმდინარე ცხოვრების უკულმართობას ჩვეულებრივ მოვლენად არაცხვინებსო... საბედნიეროდ, სცენის საუკეთესო მოღვაწეთა მეცადინობით, ეს შეხედულება ირყევა და ფეხს იკიდებს სხვაგვარი, – თეატრმა საზოგადოება უნდა გაართოს და, თანავე, უნდა აღზარდოს, აღამაღლოს, გააკეთილშობილოსო. ამ დიადი მიზნის მისაღწევად კი თეატრი მართლაც საუკეთესო იარაღი და საშვალებაა: ის თავის ზღუდეთა შორის ჰკრებს ყველა წოდებისა და ჰასაკის წარმომადგენელთ, აკავშირებს მათ სიყვარულისა, გინა მძულვარების ერთგვარად განცდის გრძნობითა და უღვიძებს შეგნებას ადამიანის მაღალის დანიშნულებისას... მართალია, მსახიობი სცენაზე ჩვენ გადმოგვცემს არა თავის აზრსა, გვიხატავს სხვის მიერ შექმნილ სურათსა, მაგრამ ძლიერის მეტყველებით, მოძრაობით და

მოქმედებით სულს უდგამს, სისხლსა და ხორცს ასხამს მწერლის ნაწარმოებს; იგი ამ სახედ ჭეშმარიტი გამგრძობი და დამამთავრებელია ავტორისა. მაგრამ სანამ მსახიობი ამ სიმაღლეს მიაღწევდეს, თვით გაიზრდებოდეს, საჭიროა მისთვის ბევრი შრომა, დიდი გულმოდგინება და განუწყვეტელის სწავლის ხალისი... სწორედ ამ თვისებებით იყო შემკული წინაშე ჩვენსა მდებარე...“ (ცინცაძე 97, ფ. 166-168).

1908 წელს დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის, კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის, ლიბრეტისტ პეტრე მირიანაშვილისა და დეკანოზ ანტონ თოთიბაძის თაოსნობით საქართველოში პირველად ჩამოყალიბდა „ფილარმონიული საზოგადოება“, რომლის მიზანი ქართული გალობისა და, საერთოდ, სერიოზული მუსიკის განვითარება-პოპულარიზაცია იყო. ამ საზოგადოების მიერ იმავე წელს დაარსდა „სამუსიკო სკოლა“, რომელიც მამა კალსიტრატემ აკურთხა და აღნიშნა: „...ადამიანის სულისა და გულის განმაფაქიზებელის და განმააზნებელის მუსიკა-გალობა-სიმღერის შესწავლა ჩვენს დროსა და ჩვენს ხალხს ფრიად ესაჭიროება, ვინაითგან, დროთა ვითარების გამო, წმიდა მოციქულის სიტყვა – „ასწავებდით და მოძღვრიდით თავთა თქვენთა ფსალმუნითა და გალობითა და შესხმითა სულიერითა“ (კოლ. 3, 16) – უმრავლესობისათვის გაუგებარი შეიქმნა. საუბედუროდ, უმეტესობამ ჩვენს ქვეყანაში შეისისხლხორცა ერთგვარი მუსიკა-სიმღერა, რომელიც, სიტყვისაებრ ფსალმუნთმგალობელისა, შეშვენის მხოლოდ მათ, *ვიეთნიც სმიდეს ღვინოსა* (68, 13). განვიხაროთ, მაშ, ამ ახლის განმანათლებელის დაწესებულების შობისათვის; წრფელის გულით შევავედროთ იგი უფალს და ვთხოვოთ, მოჰხედოს სკოლასა ამას მოწყალის თვალით, ნაყოფიერ და მრავალ ყოს დღენი მისნი, განამხნეოს და განაძლიეროს მუშაკნი მისნი, განამტკიცოს მათ შორის ერთსულოვნება და დაწყებულის საქმისადმი სიყვარული, და შეგვასწროს იმ დროს, ოდეს, მათ მიერ დაარსებულის სკოლის მეოხებით, ყოველნი *უგალობდეთ უფალსა მეცნიერებით* (ფსალმ. 46, 8) („შინაური საქმეები“, 1908, №30, გვ. 12).

ზაქარია ფალიაშვილმა მამა კალისტრატეს თხოვნით ქაშვეთის ეკლესიისათვის 1910 წელს შეადგინა მგალობელთა

გუნდი და ნოტებზე გადაიღო „წმ. იოანე ოქროპირის წირვის წესი“. დიდმა ქართველმა კომპოზიტორმა თავისი ნაწარმოების „აბესალომ და ეთერის“ პრემიერაზე დიდ ქართველ საეკლესიო მოღვაწეებთან ერთად საგანგებოდ მიიწვია განსწავლული მღვდელმოძღვარი: იმ დღეს კათოლიკოს კირიონსა და მიტროპოლიტ ლეონიდეს, რომელთაც დალოცეს ქართული ეროვნული ოპერის პირველი ნაბიჯები, გვერდში ედგათ დეკანოზი კალისტრატე[14].

ეკლესიის თავისუფლებისა და საეკლესიო რეფორმებისათვის

კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძეს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში. 1894 წელს საეკლესიო ჟურნალში «Пастырь» გამოქვეყნდა (№№ 2,3,4,7,9,11,13,14, 19,23) მისი სამეცნიერო სტატია „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია“, რომელშიც გამოკრთოდა ამ ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის აზრი, რაც იმდროისათვის ერთ-ერთი პირველი გაბედული სიტყვა იყო აღნიშნულ საკითხზე. ამ წერილმა გააძლიერა საპროტესტო ხმა, რომელიც გაისმოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების დღიდან (1811 წ.). ამიტომაც გამოუწვევია მის პუბლიკაციას ეგზარქოსის გულისწყრომა. ავტორი იხსენებს: „ჯერ წერილი ნახევრადაც არ იყო დაბეჭდილი, რომ ვლადიმერ ექსარხოსმა დაიბარა მამა დავითი (დეკანოზი ღამბაშიძე; რედაქტორი, ნ.პ.) და დაემუქრა: თუ წერილი არ დამთავრებულა იმით, რომ საქართველოს ეკლესია არასდროს არ ყოფილა დამოუკიდებელი, ჟურნალსაც დაგიხურავ და შენც საქართველოდან გადაგასახლებო. შეძრწუნებული მოხუცი მოვიდა ჩემთან და შემომჩივლა თავისი მდგომარეობა. ვურჩიე, დაბრუნებულიყო ექსარხოსთან და მოეხსენებინა, – წერილი ნაწილია ვრცელი თხზულებისა, რომელიც კრიტიკულად განხილული აქვთ ორ დამსახურებულ პროფესორს, თვით ექსარხოსის ყოფილ მასწავლებლებს – ი. მალიშევსკისა და ოლესნიცკის და კიევის სასულიერო აკადემიის კონფერენციის მიერ ცნობილია პოლიტიკურად არასაშიშრად. მალიშევსკისა

და ოლესნიცკის სახელებმა დაამშვიდეს განრისხებული მღვდელთმთავარი, გადაარჩინეს ხიფათს რედაქტორ-გამომცემელი, რისხვა კი ავტორზე იქმნა გადატანილი, – რა დროს ავტოკეფალიაზე ლაპარაკიაო“.

ვლადიმერ ეგზარქოსს რუს სამღვდელოთა შორის თანამგრძნობნი გამოუჩნდნენ, რომელთაგან განსაკუთრებით აქტიურობდა არქ. ნიკანდრო. მან გაზეთში „კავკაზ“ (1905, №148, 155) გამოაქვეყნა სტატია სათაურით „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ“, რითაც უარყოფდა საქართველოს ეკლესიის სრული ავტოკეფალიის ფაქტს და საქართველოს საკათოლიკოსოზე რუსეთის ეკლესიის უფლებებს თვითმიზნურად ამართლებდა. მის მიერ შეთხზულ „არგუმენტთაგან“ ერთ-ერთი ასეთი იყო: „ქართველ კათალიკოსთა ხელდასხმა რუსეთშიც აღესრულებოდა. მაგალითად, კათალიკოსი ანტონ მეორე ხელდასხმულ იქნა მოსკოვს (1783 წ.)“-ო. ამგვარი ტყუილისა და დემაგოგიისათვის პასუხი უნდა გაეცათ. ამიტომაც მღდ. კ. ცინცაძის აღნიშნული შრომა 1905 წელს წიგნად გამოიცა, რომლის დამატებაში (ვრცელი სქოლიოები) სათანადოდ იქნა წარმოჩენილი და შეფასებული არქ. ნიკანდროსა და მისთანათა გამოსვლები (თვით შრომის თაობაზე იხ. ქვემოთ).

როდესაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაცხოველდა, დეკანოზ კ. ცინცაძის თაოსნობით (თანამოაზრე ისტორიკოს სერგი გორგაძესა და დეკანოზ ანტონ თოთიბაძესთან ერთად) რუსეთის ეკლესიის უწმიდეს სინოდში წარსადგენად 1905 წელს შემუშავებულ იქნა პეტიცია (სხვა ამგვარ პეტიციებთან ერთად) საქართველოს საპატრიარქოს აღდგენისა და განახლების თაობაზე. ამ პეტიციით პეტერბურგს ჩავიდა დელეგაცია ეპისკოპოს ანტონ გიორგაძის, არქიმანდრიტ ამბროსი ხელაიას და დეკანოზ კალისტრატე ცინცაძის შემადგენლობით. მართალია, უწმიდესმა სინოდმა ქართველთა კანონიერი მოთხოვნა უგულებელყო, ავტოკეფალიისათვის გამოჩენილი მებრძოლნი: ეპისკოპოსი კირიონი, ეპისკოპოსი დავითი, არქიმანდრიტი ამბროსი და ზოგი სხვა გადაასახლა კიდეც, მაგრამ ქართველი სამღვდელოების პატრიოტული შეგნება შემდგომ კიდევ უფრო გაერთსულოვნდა, რა-

საც ხელი შეუწყო დეკანოზ კ. ცინცაძის ფუნდამენტურმა შრომებმა: Священник К. Цинцадзе, Автокефалия церкви Грузинской (Исторический очерк IV-XI вв.), Тифлис, 1905; Историческая справка по вопросу об автокефальности Грузинской церкви, Тифлис, 1906.

ამ გამოკვლევებით ღთისმეტყველების მეცნიერებათა კანდიდატი, რომელსაც ისტორიკოსის კვალიფიკაციაც ჰქონდა, კვლევის ძლიერი ალღოთი ცხადყოფდა საქართველოს ეკლესიის ხანგრძლივ, შინაარსიან ისტორიასა და ამ ისტორიის ადგილს ქრისტიანულ სამყაროში. მეცნიერი კრიტიკულად განიხილავდა საისტორიო წყაროებში მშობლიური ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ შემონახულ მწირ (ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავ) ცნობებს; ყურადღებას ამახვილებდა უცხოურ მასალაზე, რადგან მიაჩნდა, რომ იმდროისათვის ამ მეტად პრობლემატური საკითხის გარკვევა ქართული და უცხოური მონაცემების შეჯერებით თუ მოხერხდებოდა. წინამორბედთაგან (მარი ბროსე, პლატონ იოსელიანი, მიხეილ საბინინი, ალექსანდრე ხახანაშვილი, პოლიევქტოს კარბელაშვილი და სხვა) განსხვავებით იგი ბრმად როდი მიენდო საქართველოს მატიანეში ივერიის საპატრიარქოს შექმნის შესახებ შესულ ცნობებს. „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის" დამუშავებისას მან გულმოდგინედ გამოიძია მსოფლიო საეკლესიო კრებათა აქტები, ბერძნული, სირიული თუ სომხური წყაროები და ქართულ მონაცემებთან მათი შედარების შედეგად წარმოაჩინა საქართველოს საეკლესიო ცხოვრება IV-XI საუკუნეებში. აღნიშნული გამოკვლევით დადასტურდა, რომ მე-5 საუკუნეში მეფე ვახტანგ გორგასლის მცდელობით დაარსებული მცხეთის საკათალიკოსო სრულიად დამოუკიდებელ ეკლესიას ჯერაც არ ნიშნავდა, თუმცა ეს ფაქტი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ამ გზაზე: კათალიკოსები (თვით ავტორისეული განმარტებით, კათოლიკოსი: მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური ბიზანტიის გარეშე, აღმოსავლეთში), თუნდაც ბერძნები ყოფილიყვნენ, ანგარიშს უწევდნენ თავიანთ ხელმწიფეებსა და საკუთარი ეკლესიის საჭიროებას. ამ შრომითვე გაირკვა მანამდე მეცნიერულად დაუსაბუთებელი რიგი საკითხი: VI საუკუნის შუა წლებიდან საქართველოს კათალიკოსად ქარ-

თველთა დადგინება; VII საუკუნის დასაწყისში ქართველ კათალიკოსთა ქართლშივე ხელდასხმა, წმ. მირონის მცხეთას მოხარშვა და ამ ფაქტის ოფიციალურად დადასტურება თეოფილაქტე პატრიარქის (741-751) მიერ მოწვეულ ანტიოქიის საეკლესიო კრებაზე; ანტიოქიის პატრიარქისაგან საქართველოს ეკლესიის მუდმივ მეთვალყურედ იღუმენების წარმოგზავნა და მათი (იღუმენთა) დამოკიდებულება ქართველ იერარქებთან; მელქისედეკ კათალიკოსის მიერ თავისი თავის კათალიკოს-პატრიარქად გამოცხადება (ნაცვლად „კათალიკოს-არქიეპისკოპოსისა“. ამ ტიტულს ატარებდნენ მისი წინამოადგილენი) და ანტიოქიის პატრიარქის – პეტრე მესამის – თაოსნობით 1053 წელს მოწვეული საგანგებო კრების ავტორიტეტით ამ აქტის – საქართველოს ეკლესიის სრული ავტოკეფალიის – კანონიზება[15]. მკვლევარმა საფუძვლიანად შენიშნა საქართველოს ეკლესიის სრული ავტოკეფალიის ისტორიულ-გეოგრაფიული და პოლიტიკური წანამძღვრები: არაბ მუსლიმანთა მიერ საქართველოსა და ანტიოქიის ტერიტორიული იზოლირება, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქრისტიანოს შორის ევქარისტიული ერთიანობის გაწყვეტა, საქართველოს გაერთიანება და სხვა.

თვით უწმიდესი სინოდის ოფიციოზმაც ვერ უარყო ამ გამოკვლევის მეცნიერული ღირსება, თუმცა საქართველოს ეკლესიის სრული ავტოკეფალიის ისტორიული სიმართლე არ დაიჯერა და რიგი შენიშვნა მისცა ავტორს. უწმიდესი სინოდის კანცელარიის ობერ-მდივანმა, ისტორიკოსმა ვ. სამუილოვმა ჟურნალ „ცერკოვნიე ვედომოსტის“ (პეტერბურგი) 1906 წლის №№1-6-ის დამატებებში გამოაქვეყნა სტატიები, რითაც შეეცადა დაემტკიცებინა, 1783 წლამდე (ე. ი. გეორგიევსკის ტრაქტატამდე) საქართველოს ეკლესია იურიდიულად ანტიოქიის საპატრიარქოზე იყო დამოკიდებულიო. მღვდ. კ. ცინცაძის წიგნზე დაწერილ რეცენზიაში (იგივე ჟურნალი, 1906, №5, გვ. 245-246) იგი აცხადებდა: „Мы не можем согласиться с автором и в том, что в XI веке Иверской церкви была дарована полная автокефалия. Патриарх Антиохийский даровал и вторую автокефалию с обязательством поминать на службах Антиохийского первосвятителя и тем самым, так же,

как и в VIII веке, недвусмысленно намекал, что патриарх Антиохийский и есть собственно духовный глава Грузинской церкви, а не автокефальный ея котоликос“. ამ აზრს ვ. სამუილოვი გამოთქვამდა მოგვიანო ხანის საისტორიო თხზულებათა საფუძველზე და არ უწევდა ანგარიშს, თუ რამდენად სანდონი იყვნენ ისინი. მაგ. მისი მტკიცება, ანტიოქიის პატრიარქ პეტრე III-ს (1053-1057) მიერ ქართველთადმი ბოძებული ავტოკეფალია კათალიკოსთა ქართლშივე (მცხეთას) ხელდასხმით ამოიწურებოდაო, ემყარებოდა ბიზანტიელი ბერის, გიორგი კედრინის (XI ს.), ავტორობით ცნობილ თხზულებას, მაგრამ ოდნავადაც არ ითვალისწინებდა ადრინდელ, პირველწყაროდ გამოსადეგ ქართულსა და თვით ანტიოქიურ (სირიულ) მასალებს, რომელთა გათვალისწინებით ხსენებული ისტორიკოსის ცნობათა სისწორე ეჭვის ქვეშ დგება და ცხადდება, რომ იქ ერთმანეთშია აღრეული VIII და XI საუკუნეების ამბები ერთსა და იმავე საკითხზე (იხ. კ. ცინცაძე, Историческая справка... გვ. 9-15).

არქ. ნიკანდროსა და ვ. სამუილოვს მხარი აუბა ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორმა, ღვთისმეტყველების ისტორიის დოქტორმა დეკ. ტ. ბუტკევიჩმა. მისი მეცნიერული ალღოსა და მეთოდისათვის შეუფერებელი გამოსვლებით (საჯარო მოხსენებებით, პრესით, კერძოდ გაზით „კოლოკოლი“, რომელიც იყო სამისიონერო საზოგადოების ყოველდღიური ორგანო პეტერბურგში) იგი არწმუნებდა საზოგადოებას, ქართველი სამღვდელოების „ერთი ნაწილის მიერ დღის წესრიგში დაყენებული საეკლესიო საკითხი” ამ ხალხის პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარეობს და მათ „სეპარატიზმზე“ მეტყველებს; მას არავითარი ისტორიული და საეკლესიო-რელიგიური საფუძველი არ გააჩნია, რადგან საქართველოს ეკლესია ავტოკეფალური არასდროს ყოფილაო. ქართველი სამღვდელოებისა და ერის გულისწყრომა, აღიარებული მეცნიერის მაგვარი გამოსვლით გამოწვეული, გამოიხატა დეკ. კ. კეკელიძის, მღდ. კ. ცინცაძისა და პროფ. ს. გიორგაძის ერთობლივი წერილით: Протойерей К. Кекелидзе, священник К. Цинцадзе, С. Р. Горгадзе, Открытое письмо о прот. Т. Бутковичу, გაზ. «С.-Петербургские Ведомости», 1906, 17.XII.

№279 (მეორე პუბლიკაცია: კ. კეკელიძე, ეტიუდები..., XIII, 1974, გვ. 177-179).

ამ წერილის – „ღია ბარათის“ – მეშვეობით ქართული და უცხოური საისტორიო წყაროების ჯეროვანმა მცოდნეებმა ერთხელ კიდევ გახაზეს, რომ „ჭეშმარიტება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა ურყევია ისევე, როგორც თვით მართლმადიდებლობა“ და რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებებში განახლებისათვის წამოწყებული ბრძოლის გაიგივება პოლიტიკურ-სამოქალაქო მოტივებთან სინამდვილეს არ შეესაბამება – ასეთი გაიგივება ცილისწამებაა, რაიც არავის, მეტადრე მღვდელს, არ ეკადრება: ეს მას „არც ამქვეყნად და არც მომავალ ცხოვრებაში არ ეპატიება“.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებებში განახლება-აღორძინების მოწინააღმდეგეთა გამოსვლები მღვდელმა კალისტრატე ცინცაძემ უფრო ღრმად და მეცნიერულად განიხილა ზემოთ მითითებულ, 1906 წელს გამოცემულ წიგნში, რომლის სათაური ქართულად ასე ჟღერს: „ისტორიული ცნობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ“[16]. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ნაშრომი ამ თემაზე არსებულ გამოკვლევებს შორის ყველაზე ფასეულია. იგი ერთგვარად აჯამებს ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხზე გაწეულ შრომას; ითვალისწინებს ღვაწლმოსილი მკვლევრების: მარი ბროსეს, ა. ხახანაშვილის, ა. ცაგარელის, ნ. მარის, თ. ჟორდანიასა და სხვათა მეცნიერულ მონაპოვრებს, მეტ დამაჯერებლობას ჰმატებს მათ. ამ გამოკვლევით მეცნიერმა ამავე საკითხზე ადრე წამოყენებული არგუმენტები გაამყარა. მან ანტიოქიელი მწერლებისა და ისტორიკოსების: ბერი ეფრემის (XI ს.), მღვდელმონაზონ ნიკონ დივნოგორეცელის (XI ს.), ცნობილი კანონისტის – პატრიარქ ბალსამონის (XII ს.), პატრიარქ მაკარისა (XVII ს.) და არაბი მღდლის მიხეილ ბრეკის (XVIII ს.) ცნობების გათვალისწინებით, განსაკუთრებით კი ე. წ. „ანტიოქიურ ქრონოგრაფზე“ – ანტიოქიური საისტორიო მწერლობის ამ უძველეს ძეგლზე – დამყარებული ცნობების მიხედვით აღადგინა პატრიარქ თეოფილაქტესა (VIII ს.) და პატრიარქ პეტრე III-ს (XI ს.) მიერ მოწვეული ადგილობრივი საეკლესიო კრებების დადგენილე-

ბანი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ. მართალია, ამ კრებათა აქტებს დოკუმენტურად ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ შემდგომდროინდელ მეისტორიეთა პირველწყაროებზე დაფუძნებული ცნობები გვაძლევს სრულ უფლებას ჭეშმარიტებად მივიჩნიოთ შემდეგი: „VIII საუკუნეში პატრიარქ თეოფილაქტეს მიერ მოწვეული საეკლესიო კრების ძალით ქართველებმა ანტიოქიის საპატრიარქო ტახტისაგან მიიღეს ავტოკეფალია არა სრული დამოუკიდებლობის თვალსაზრისით, არამედ მხოლოდ იმ უფლებით, რომ ადგილობრივ კრებაზე თანამემამულე ეპისკოპოსთაგან ამოერჩიათ და ეკურთხებინათ კათალიკოსი. ამასთანავე ეს ავტოკეფალია მათ აუცილებელ პირობათა გამო ებოძათ: აგარიანებმა გადაკეტეს გზა და თავისუფლად არვის ატარებდნენ მასზე“ (გვ. 8), რასაც ხსენებული პატრიარქის მიერ ქართველთადმი ბოძებული პროტრეპტიკონი ანუ ,,უფლებათა გაფართოება” მოჰყვა. მეორემ, ანალოგიურმა კრებამ, პატრიარქ პეტრე მესამის თაოსობით შემდგარმა 1053 წელს, მოაგვარა საქართველოში რწმუნებულ ანტიოქიელ იღუმენსა და კათალიკოს-პატრიარქ მელქისედეკ პირველს შორის გამწვავებული ურთიერთობა: კრებამ მოისმინა ანტიოქიელი პატრიარქის მიერ მცხეთას საგანგებო დავალებით წარგზავნილი ეგზარქოსის ვასილი გრამატიკოსის მოხსენება, რომ ივერიის მამათმთავარმა თავი კათალიკოს-პატრიარქად აღიარა; გაერთიანებულსა და დამოუკიდებელ საქართველოს სამეფოს მართლაც შეჰფერის მწყემსმთავრობდეს პატრიარქი და რომ, წინააღმდეგ იღუმენისეული ბრალდებისა, ივერიელი კათალიკოს-პატრიარქი არანაირი წვალებისაკენ არ მიქცეულა (ქართველებს მონოფიზიტობისადმი, ე. წ. ,,აკაკის სწავლებისადმი” მიდრეკილება ბრალდებოდათ). წმ. გიორგი მთაწმიდლის მიერ კრებაზე წარმოთქმული სიტყვის შემდეგ უფრო ნათელი გახდა, რომ საეკლესიო-კანონიკური თვალსაზრისით საქართველოს ეკლესია არ უნდა ექვემდებარეობდეს რომელიმე სხვა ეკლესიას, იგი ღირსია „სამოციქულოს“ პატივისა და სრული ავტოკეფალიისა (გვ. 90-95)[17].

ავტორმა ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი დაუთმო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხს XV-XVIII საუ-

კუნეებში. საეკლესიო გუჯარების, ქართველ და უცხოელ ისტორიკოსების, საქართველოში გარკვეული მისიით ჩამოსული უცხოელი პატრიარქთა ლიტერატურული მემკვიდრეობის გაანალიზებით მან მეტი საბუთი შემატა საქართველოს ეკლესიის სრული ავტოკეფალიის იმხანად სადავოდ გახდილ საკითხს და მით ნათელყო, რომ XV-XVIII სს-ში საქართველოს სტუმრებული აღმოსავლეთის საეკლესიო იერარქები: იერუსალიმის პატრიარქი თეოფანე II (1427-1442), პატრიარქები კონსტანტინეპოლისა: თეოლიპტე (XVI ს.) და ტიმოთე (XVII ს.), ანტიოქიის პატრიარქები: მაკარი და ნეოფიტე (XVII ს.), იერუსალიმის პატრიარქები: დოსითეოზი და პაისი (XVII ს.) და სხვანი ოფიციალური გამოსვლებით, რაც მათსავე „მოგონებებმა“ შემოგვინახა, ადასტურებდნენ საქართველოს ეკლესიის სრულ ავტოკეფალიას – მათგან არც ერთს ეჭვი არ შეუტანია ამ ფაქტის მართებულობაში. აღსანიშნავია, რომ ეს პატრიარქები, მუსლიმანთაგან შევიწროებულნი, ჩვენში უმთავრესად დახმარების სათხოვნელად და შეწირულებათა შესაგროვებლად ჩამოდიოდნენ და მადლიერნი ბრუნდებოდნენ უკან (იხ. გვ. 22-24 და 57). თქმულით ცხადდება, თუ რამდენად ყოფილა აღორძინებული საქართველოს ეკლესია იმხანად (XVI-XVIII სს.).

კათალიკოსობისას დაწერილ წიგნში (ხელნაწერი) „შენიშვნები საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან“ კალისტრატე ცინცაძე დაუბრუნდა ამავე ავტოკეფალიის საკითხს გვიანი ფეოდალური ხანის საქართველოში და აღნიშნა: „აღორძინების ხანაში (XVII-XVIII სს.) ის (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ნ.პ.) კვლავ გაიმართა წელში და წარმოშვა ისეთი მოღვაწეები, – მისიონერები, რომლებიც საქართველოს გარეთაც ავრცელებდნენ თავის გავლენას: იოანე მანგლელი, რომანოზი და იოანე წილკნელები, გაიოზ მთავარეპისკოპოზი (†1821, მოზდოკსა, სარატოვსა, პენზასა და ასტრახანსაც მოღვაწეობდა), ამბროსი ნეკრესელი (†1808) და თვით ანტონ I კათალიკოზი, რომელთა მოღვაწეობით ჩვენი ეკლესიის მართლმადიდებლობა იმდენად ბრწყინვალედ სჩანდა, რომ ცნობილი ფილარეტი – მოსკოვის მიტროპოლიტი (†1867) – რუსეთის ეკლესიის მართლმადიდებლობას სა-

ქართველოს ეკლესიის მართლმადიდებლობაზე მითითებით ამოწმებდა“. მეორე ციტატა იმავე ,,შენიშვნებიდან”: „სხვა საპატრიარქოებთან ერთად საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობას ცნობდა რუსეთის ეკლესიაც და საქმეს იჭერდა მასთან, როგორც სწორუფლებიანთან: დიდი საკითხის გადაწყვეტის დროს იწვევდა მის წარმომადგენელს. მაგ., ნიკონ პატრიარქის გასამართლებისას (1666/7 წ.) მიწვეული იყო მოსკოვის კრებაზე მთავარეპისკოპოზი იოსებ სააკაძე“ (ცინცაძე 122).

კათალიკოსი კალისტრატე ილია ჭავჭავაძის თანამოსაგრე იყო. იგი სიყრმითგანვე „ზეკაცად“ მიიჩნევდა საქართველოს უგვირგვინო მეფეს, ერიდებოდა კიდეც ღირს მამულიშვილთან პირად შეხვედრას: აზრი არ შემეცვალოსო მისდამი. მაგრამ ცხოვრებამ მაინც რამდენიმეჯერ შეახვედრა ისინი ერთმანეთს და მოგონებანი ილიაზედ მოძღვრის სულს ნათლად აღებეჭდა. სახელოვანი ერისკაცი განუხრელად მხარს უბამდა სამღვდელოების კეთილ შემართებას. მამა კალისტრატესთან მას არაერთხელ უმსჯელია ივერიის ეკლესიის წარსულსა და მომავალზე. 1906 წელს, სანამ ილია ჭავჭავაძე პეტერბურგს გაემგზავრებოდა სახელმწიფო სათათბიროში მონაწილეობის მისაღებად, მან, საქართველოს წარმომადგენელმა, საგანგებოდ ინახულა დეკანოზი კ. ცინცაძე, რომელმაც ივერიის ეკლესიის გარდასულ დღეთა შესახებ მეცნიერულად დამუშავებული მასალები მიაწოდა იმ მიზნით, რომ რუსეთის მთავრობისა და უწმიდესი სინოდის წინაშე კვლავ წამოეყენებინათ საკითხი ავტოკეფალიის თაობაზე[18].

1917 წლის მარტში, როდესაც საქართველოს ოცნებამ ფრთა შეისხა და ამ ქვეყნის მართლმადიდებელმა ეკლესიამ დამოუკიდებლობა აღიდგინა, დეკანოზი კ. ცინცაძე საკათალიკოსო საბჭოში ადმინისტრაციული განყოფილების გამგედ აირჩიეს. ამ დღიდან იგი განუხრელად იღვწოდა მშობლიური ეკლესიის სახელის განმტკიცებისათვის საერთაშორისო სარბიელზე.

დეკანოზი კალისტრატე იყო წევრი იმ დელეგაციისა, რომელიც სრულიად საქართველოს საკათალიკოსომ რუსეთს წარგზავნა დროებითი მთავრობის წინაშე, რათა ამ უკანას-

კნელს ეცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური უფლებები. კერენსკის მთავრობამ სცნო ეს კანონიერი უფლებები, მაგრამ უწმიდესი სინოდი მტრულად შეხვდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აქტს და უარყო კეთილმეზობლური ურთიერთობა ამ ეკლესიასთან (რომელიც მას აღნიშნულმა მისიამ შესთავაზა). მეტიც: სინოდმა საქართველოს მართლმადიდებელი იერარქია მადლმოხსნილად გამოაცხადა და მორწმუნეებს ოფიციალურად მოუწოდა: არ მიეწვიათ ქართველი სასულიერო პირები არავითარ მღვდელმსახურებაში, არ მიეღოთ მათგან ლოცვა-კურთხევა, არ შესულიყვნენ ქართულ ეკლესიებში, თორემ „უსათუოდ მოხვდებოდნენ ჯოჯოხეთში“. ნაეგზარქოსალმა პლატონმა, რომელიც თუმცა დიდად აფასებდა ქართულ კულტურას, მოსკოვის საეკლესიო კრებაზე (1917-1918 წლების მიჯნა) განაცხადა, ქართველები გადაუდგნენო მართლმადიდებლობას[19]. ამავე აზრს ავითარებდნენ აღნიშნული კრების მიერ სრულიად რუსეთის პატრიარქად არჩეული და აღსაყდრებული უწმინდესი ტიხონი და სასულიერო უწყებათა დიდი ნაწილი. ისინი ავცელებდნენ ხმებს, რომლის თანახმად ,,ქართველმა ავტოკეფალისტებმა” კურსი დასავლეთ ევროპული კათოლიკობისა და პროტესტანტობისაკენ აიღეს. ამის ნიშანიაო, – ირწმუნებოდნენ ისინი, – შემდეგი ფაქტები: ქართველ ინტელიგენციას ტაძრებში საორღანო მუსიკის შემოღება სწადია; მოსკოვისაგან განდგომით დაძაბუნებული ქართული ეკლესია ქედს იხრის ვატიკანის წინაშე, ე. ი. კათოლიკდება. მათი თქმით, ქართველები შოვინიზმმა და ქსენოფობიამ, კერძოდ კი, ანტირუსულმა ისტერიამ შეიპყრო. აფხაზეთის კომისარიატის მიერ გამოცემული დეკრეტით რუსეთის ეკლესიის ქონება ქართველებს გადაეცათ, ხოლო მისი ყოვლადუსამღვდელესობა, სოხუმის ყოფილი ეპისკოპოსი სერგი, იძულებით ნოვოროსისკში ცხოვრობს, მას სამღვდელმსახურო სამოსელიც არ გააჩნია, თუმცა ასეთი სამოსელი უხვადაა სოხუმის საკათედრო ტაძარშიო და სხვა. ამ შინაარსის ბრალდებათა ავტორები, ასევე, მიუთითებდნენ „კონსტანტინოპოლისა“ და „ანტიოქიის“ „პატრიარქების“ უთარიღო და უნომრო „ეპისტოლეებზე“, უფრო სწორად: „საპასუხო წერილებ-

ზე“ ქართველებისადმი, კერძოდ, იმ ეპოსტოლეებისადმი, კ-პ კირიონ საძაგლიშვილმა თავისი ინტრონიზაციის (აღსაყდრების) შემდეგ, ე. ი. 1917 წლის ოქტომბერში რომ გაუგზავნა აღნიშნულ პატრიარქებს; აცნობა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის განახლება და სთხოვა მათ თანადგომა და თანალოცვა. საქართველოს საპატრიარქოს სათანადო პასუხები არ მიუღია. ამიტომ პირველ რიგში პასუხს მოითხოვდა კითხვა: საიდან და რა გზით მოხვდა ეს წერილები რუსეთში და იყო თუ არა ისინი რეალური ანუ ავთენტური?

ხსენებული „პასუხები“ აზრობრივად მთლიანად შეესატყვისებოდა სრულიად რუსეთის უწმიდესი სინოდისა და პატრიარქ ტიხონის ეპისტოლეებს ქართველი სასულიერო პირებისა და მორწმუნე მართლმადიდებელი ერისადმი. ვგულისხმობთ იმ ბრალდებების ზუსტად განმეორებას, რასაც რუსი იერარქები ქართველ თანამორწმუნეებს უყენებდნენ და რაზეც უკვე ვთქვით. ამასთანავე: ფაქტი, რომ აღმოსავლეთის ხსენებულ პატრიარქებს დასახელებულ დოკუმენტებზე, მხოლოდ რუსული ვარიანტებით გავრცელებულებზე, არც ხელი ჰქონდათ მოწერილი, არც თარიღი ჰქონდათ დასმული და არც ნომერი ჰქონდათ მიცემული, ამ დოკუმენტების ავთენტურობას საეჭვოს ხდიდა. მაგრამ უმჯობესია, ჯერ გავეცნოთ მათ შინაარსს, რომელთა ძირითადი ნაწილი ქართულად ასე ითარგმნება:

„[...] საქართველოს თვითთავად ეკლესიას მე არ ვცნობ და არც შემიძლია ვცნობდე, რადგან 100 წელზე მეტია, რაც მართლმადიდებელი ქართველები იმყოფებით რუსეთის ეკლესიის მმართველობის ქვეშ, – აცხადებდა „კონსტანტინოპოლის პატრიარქი“, – [...] თქვენი ავტოკეფალია შესაძლებელია მხოლოდ რუსეთის ეკლესიასთან შეთანხმებით [...] მამაშვილურად გირჩევთ, მოუსმინოთ თქვენს მწყემსს (იგულისხმება: რუსეთის პატრიარქს, ნ.პ.)“.

„უგუნურო ქართველებო! – ბრძანებდა ,,პატრიარქი ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთისა გრიგორი IV“, – დაგავიწყდათ, რამდენ წელს ტკბებოდით მყუდროებით, სიწყნარითა და სიმშვიდით რუსეთის მართლმადიდებელი სამეფო

ტახტის საფარველსა ქვეშე? თქვენ არასდროს ყოფილხართ ავტოკეფალური. თქვენს შორის ყოველთვის იყო ურთიერთმძულვარება და შფოთი, რომელთა აღხოცვა გვიხდებოდა ჩვენ, თქვენდა სასიკეთოდ გარჯილთ. მაგრამ, ოდეს დავსუსტდით და აღარ ძალგვიძდა ხელი მოგვემართა თქვენთვის, მაშინ მწყემსთა მწყემსმა აღამაღლა სანთელი ჩრდილოისა, – ახალი მფარველი ყველა მართლმადიდებლისათვის, მათ შორის თქვენთვისაც. და, აი, ახლა, როდესაც ეს სახელმწიფო დასნეულდა, უმადური შვილების მსგავსად ხელი აღმართეთ რუსეთის ეკლესიაზე. როგორ იფიქრეთ, თანაგიგრძნობდით და ვიქნებოდით თანამზრახველნი თქვენმიერი უკანონო აღტყინებისა? გირჩევთ, გონს მოდით და სინანულით მიმართეთ თქვენს უწმიდეს მამას – სრულიად რუსეთის პატრიარქ კირ ტიხონს, ქრისტეს მიერ ჩვენ საყვარელ ძმასა და თანამლოცველს.“

აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მესაჭეთა ყურამდე თითქმის ყოველდღე აღწევდა ცნობები, თუ როგორ ავრცელებდნენ რუსი იერარქები ანალოგიური შინაარსის ხმებსა და შეტყობინებებს საზღვარგარეთ, რითაც ისინი მოუწოდებდნენ და აფრთხილებდნენ მსოფლიოს საპატრიარქოებს, არ დაემყარებინათ კავშირი საქართველოს საკათალიკოსოსთან, სანამ იგი არ უარყოფდა თავის „სეპარატისტულ“, „არაკანონიერ“ მიზნებსა და ისევ არ დაემორჩილებოდა რუსეთის სინოდს.

ცილისმწამებლური ეპისტოლეების სიტყვისგება თავს იდო დეკანოზმა კ. ცინცაძემ. სწორედ მას მიანდო საკათალიკოსო საბჭომ, რომ კათოლიკოს-პატრიარქ ლეონიდეს სახელითა და მისმიერი მიზანდასახულებისამებრ დაეწერა ვრცელი საპასუხო წერილი რუსეთის პატრიარქისადმი. მან ეს დავალება პირნათლად შეასრულა: მის მიერ კათალიკოს-პატრიარქ ლეონიდეს სახელით შედგენილი და 1919 წლის 5 აგვისტოთი დათარიღებული ეპისტოლე, რომელიც მდიდარ ფაქტობრივ მასალასა და კანონიკურად მყარ ახსნა-განმარტებებს მოიცავდა, მოსკოვში გაიგზავნა; გამოქვეყნდა წიგნადაც: Послание Святейшего Леонида, Католикоса-Патриарха всея Грузии, к Святейшему Тихону, Патриарху Московскому и

всея России, Тифлис, 1920[20]. მანვე გამოაქვეყნა სტატია („კ. გეორგიევსკის“ ფსევდონიმით), რითაც ნიღაბი ჩამოეხსნა კონსტანტინოპოლისა და ანტიოქიის პატრიარქების სახელებით გავრცელებულ ეპისტოლეებს: К. Георгиевский, По поводу архипастырского подлога, газ. «Грузия», 1921, 1. II, №5.

წერილი სრულიად რუსეთის პატრიარქ ტიხონისადმი (გაგზავნილი 1919 წლის 5 აგვისტოს) ადრესატის (ტიხონის) 1917 წლის 29 დეკემბრით დათარიღებულ ეპისტოლეს ეხებოდა და იმ ბრალდებათა გაბათილებას ისახავდა მიზნად, რითაც რუსი იერარქები საქართველოს ეკლესიას ესხმოდნენ თავს. წერილში დადასტურებული იყო, რომ რუსეთის სასულიერო მთავრობამ, საერო ხელისუფლების ინიციატივით, თანდგომითა და უშუალო ქმედებით, 1811 წელს დაარღვია მსოფლიო საეკლესიო კრებათა დადგენილებანი და ჩაიდინა არაკანონიერი აქტი: ეკლესიის საქმეებში გენერალ ტორმასოვის ადმინისტრაციული ჩარევის შედეგად მან საქართველოს უხუცესი ეკლესია ძალდატანებით შეიერთა, რასაც ქართველთა მხრიდან იმთავიდანვე პროტესტი მოჰყვა. საქართველოს ეკლესიის ისტორიკოსმა, თვით რუსულ წყაროებზევე დაყრდნობით (მაგალითად, პოლკოვნიკ პუზირევსკის წერილი გენერალ-ლეიტენანტ ველიამინისადმი და სხვა), ცხადყო სახელები იმ მამულიშვილებისა, რომლებიც შეეწირნენ მშობლიური ეკლესიის დამოუკიდებლობის მოსპობას: მიტროპოლიტები დოსითეოზ ქუთათელი და ექვთიმე გაენათელი.

ეპისტოლე პატრიარქ ტიხონს არის სერიოზული გამოკვლევა, სამეცნიერო ტრაქტატი, რითაც ერთხელ კიდევ გაესვა ხაზი, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება ამ ეკლესიის ნების გარეშე მოხდა. ეს აქტი განხორციელებულ იქნა რუსეთის სამოქალაქო მთავრობის მიერ, რაც საეკლესიო სამართლით (მოც. კან. 30, IV მსოფლ. კრ. 12 და VII მსოფლ. კრ. 3) შეუწყნარებელია (იხ. გვ. 8-9), რადგან საერო ხელისუფლება არაა უფლებამოსილი ჩაერიოს ეკლესიის შინაურ საქმეებში. ავტოკეფალიურ ეკლესიას იმ შემთხვევაში შეუძლია შეიერთოს მეორე ავტოკეფალური ეკლესია, თუ უკანასკნელს ასე სურს და ამ სურვილს ოფიციალურად დაადასტურებს ადგილობრივი საეკლესიო კრება და, ამასთანავე, მართლმადი-

დებელ პატრიარქთა კრებული. ვინაიდან რუსეთის ხელისუფლებამ იმხანად ყველა აღნიშნული პირობა დაარღვია, დოგმატურ-კანონიკური საზრისით საქართველოს ეკლესია კვლავაც ავტოკეფალურად ითვლებოდა. სრულიად საქართველოს საკათოლიკოსო საბჭომ ამიტომაც არ მიიჩნია მართებულად, აღმოსავლეთის პატრიარქებისათვის მიემართა თხოვნით, რათა გაემართათ მსჯელობა სამოქალაქო-ადმინისტრაციული წესით წართმეული საქართველოს საპატრიარქო უფლების აღდგენა-არაღდგენის, ცნობა-არცნობის თაობაზე. ეს უფლება ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, საქართველოს საპატრიარქოს ავტოკეფალიის დე-ფაქტო და დე-იურე, ე. ი. ფაქტობრივად და იურიდიულად არსებობა განა თავად მრავალსაუკუნოვანმა ტრადიციამ არ განამტკიცა?!

ზემოთ აღნიშნული სტატიის მეშვეობით ყველასათვის ნათელი გახდა, რომ საქართველოს ეკლესიის შესახებ რუსი იერარქების ის წერილები, რომლებიც ძირითადად „ცერკოვნიე ვედომოსტის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა, მტკნარ სიცრუეს შეიცავდა. ავტორის („კ. გეორგიევსკის” ანუ იგივე კ. ცინცაძის) მიერ მოხმობილი რიგი ფაქტებისა ამხილებდა აღმოსავლეთის პატრიარქთა „პასუხების” არალოგიკურობასა და არაადეკვატურობას. გავითვალისწინოთ, რომ განახლებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქიას არ მიუმართავს არავისთვის, მოგვანიჭეთ ავტოკეფალიაო, რადგან მიიჩნევდა (და მიიჩნევს), რომ ავტოკეფალია მას დიდი ხნის წინ მიენიჭა. ამიტომ ბუნებრივია, რომ საქართველოს საპატრიარქო აღნიშნული შინაარსის პასუხებს არც მოელოდა და არც მიუღია. „კ. გიორგიევსკის” სტატიიდან ვგებულობ, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქის თანამოსაყდრეს, მიტროპოლიტ დოროთეოსს, მიულოცავს კათალიკოს-პატრიარქ (ასე უწოდებია თვით) ლეონიდესათვის ევროპულ სახელმწიფოთა მიერ საქართველოს de facto დამოუკიდებლობის აღიარება; ანტიოქიის პატრიარქ გრიგორ IV-ს ჯერ კიდევ 1914 წელს რუსეთის ეკლესიის იერარქთა წინაშე განუცხადებია, რომ ის თავად და კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქი გერმანე V († 1919) საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალურად მიიჩნევენ. და, ბოლოს, თვით კონ-

სტანტინოპოლის პატრიარქის თანამოსაყდრეს უთქვამს გ. გოგოლაშვილისათვის – საქართველოს გენერალური კონსულისათვის თურქეთში, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქის „პასუხი“ ყალბი ანუ ნატყუარია. ყალბი და ნატყუარია (დიდი ალბათობით) აგრეთვე ანტიოქიის პატრიარქის ,,პასუხიც” და, მაშასადამე, ისიც შეთხზულია ვინმე „ყოვლადსამღვდელო მღვდელთმთავრის“ მიერ.

დევნილებასა და პატიმრობაში

საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოებისა და გაბოლშევიკების პირველივე დღიდან ანტირელიგიური და ანტიეკლესიური ლაშქრობა დაიწყო. რელიგიური ორგანიზაციები, მათ შორის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, კანონგარეშედ გამოცხადდა (და ასე გაგრძელდა რამდენიმე თვის განმავლობაში). ახალმა ადმინისტრაციამ სასულიერო პირებს სამოღვაწეო ასპარეზი მკაცრად შეუზღუდა და სამრევლოებს (ეკლესიებს) ყოველგვარი კერძო საკუთრება ჩამოართვა. ამ რეჟიმისა და ადმინისტრაციისათვის განსაკუთრებით მიუღებელი აღმოჩნდნენ განათლებული და მორწმუნე ერში მაღალი ავტორიტეტის მქონე პირები, – მოძღვრები, რომელთა შორის დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე ერთ-ერთ პირველ ადგილზე იდგა.

ყველაზე დიდი განსაცდელი ივერიის სამოციქულო ეკლესიას 1923 წელს დაუდგა: საგანგებო კომისიამ (ჩეკამ) იმა წლის იანვარს დააპატიმრა უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი (ბესარიონ ხელაია) და მასთან ერთად საკათალიკოსო საბჭოს ყველა ადგილობრივი წევრი: დეკ. კ. ცინცაძე, დეკ. ი. მირიანაშვილი, ნ. თავდგირიძე, (მოგვიანებით) დეკ. მ. ტყემალაძე და ნ. არჯევანიძე. ამავე წელს სამართალში მისცეს ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი (ლეჟავა), სვეტიცხოვლის არქიმანდრიტი პავლე (ჯაფარიძე), დეკ. დ. ლაზარიშვილი, დეკ. ა. თოთიბაძე და ბევრი თვალსაჩინო საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე.

შენიშვნა: *საკათალიკოსო საბჭო, ანუ მუდმივი კრება, კათა-*

ლიკოს-პატრიარქის მამათმთავრობით აერთიანებდა ყველა მმართველ მღვდელმთავარს, სხვადასხვა წოდების სასულიერო პირებს და ერისკაცებს. მას ირჩევდა სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება როგორც დელეგატებისაგან, ისე არადელეგატებისაგან. იგი პასუხისმგებელი იყო პერიოდული კრების წინაშე (იხ. საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობა, თბ. 1920, გვ. 8-9). ადგილობრივ წევრებად იწოდებოდნენ ადგილზე (საკათალიკოსო საბჭოს ცენტრალურ ორგანოში) სისტემატურად მომუშავენი. აღნიშნულმა საბჭომ 1927 წლამდე იარსება.

საკათალიკოსო საბჭოს უმთავრეს ბრალდებად წაუყენეს შედგენა მემორანდუმისა, რომელიც სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ამბროსის, ხელმოწერით 1922 წლის 7 თებერვალს გაეგზავნა გენუის კონფერენციას[21]. როგორც გამოძიებამ ცხადყო, მოწოდება საზღვარგარეთ გაიტანა დეკ. იასონ კაპანაძემ. იმავე წლის მარტში იგი (მემორანდუმი) მოთავსებულ იქნა გენუის გაზეთ „კაფარაში“, ხოლო აპრილში, ვით დასაგმობი, გამოაქვეყნა საბჭოთა პრესამ. ამ გზავნილებით „მდაბალი ამბროსი, სულიერი მწყემსი და პატრიარქი სრულიად საქართველოსი“, გმობდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულს და ამცნობდა „კულტურულ კაცობრიობას“ ამ ქვეყანაში აღბორგებული ანტირელიგიურ ფსიქოზის ფაქტს. მწყემსმთავრის თქმით, ქართველ ხალხს „უბღალავენ წმიდათაწმიდას – სარწმუნოებრივ გრძნობას და, სინიდისის თავისუფლების დროშის ქვეშ, ნებას არ აძლევენ თავისუფლად დაიკმაყოფილონ რელიგიური მოთხოვნილება: მისი სამღვდელოება უკიდურესად დევნილია, მისი ეკლესია – ეს ძველისძველი ფაქტორი საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღმავლობისა და ძლიერებისა – დღეს უფლებააყრილია იმდენად, რომ ნებაც არა აქვს თავისი შრომით, გარჯით და უნარით მოიპოვოს მუდმივი სარჩო არსებობისა. ერი კვნესის, ერი გმინავს, მაგრამ საშუალება არა აქვს ხმის ამაღლებისა. ამ პირობებში ჩემს მწყემსმთავრულ მოვალეობად ვრაცხ, კულტურულ კაცობრიობის გასაგონად ვთქვა: მე, როგორც ეკლესიის წარმომადგენელი, არ შევდივარ პოლიტიკურ ცხოვრების რეგლამენტაციაში, მაგრამ არ შემიძლია არ ვისურვო ჩემი ერისათვის ისეთი წყო-

ბილება, რომელიც შედარებით უფრო შეუწყობს ხელს მის ფიზიკურ აღორძინებას და კულტურულ განვითარებას. ამიტომ ვითხოვ: 1) დაუყონებლივ გაყვანილ იქმნეს საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარი და უზრუნველყოფილ იქმნეს მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშისაგან. 2) საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლივ და უკარნახოთ, მოაწყოს თავისი თავი ისე, როგორც ეს მას უნდა, შეიმუშაოს ისეთი ფორმები სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორც მის ფსიხიკას, სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებებსა და ეროვნულ კულტურას შეესაბამება“. ავტორი იქვე გამოთქვამდა იმედს, რომ „ღრმადპატივცემული კონფერენცია, რომელსაც მიზნად დაუსახავს გაარკვიოს უდიდესი პრობლემები კაცობრიობის ცხოვრებისა და დაამყაროს ქვეყანაზე სამართლიანობა და თავისუფლება, არ უგულებელყოფს პატარა საქართველოს ელემენტარულ მოთხოვნას [...] და დაიხსნის მას ძალმომრეობისა და სამარცხვინო მონობის კლანჭებიდან“.

გარდა აღნიშნულისა, საკათოლიკოსო საბჭოს ბრალად დასდეს ურჩობა მთავრობისადმი, რომელიც მოითხოვდა მისგან, თავისი რომელიმე წარმომადგენელი გაეგზავნა საგანგებო კომისიაში, რომელიც უნდა დასწრებოდა თბილისის სამხედრო-საკრებულო ტაძრის (დღევანდელი პარლამენტის ტერიტორიაზე მდგომის და ძვირფასი არქიტექტურული ნაგებობის) არარელიგიური მიზნით გადაკეთებას. საკათალიკოსო საბჭოს პასუხი, რომელიც უდავოდ (სტილის და ხელწერის თანახმად) დეკ. კ. ცინცაძის შედგენილია, ასეთი იყო: ,,ეკლესიის მმართველი ორგანი, ზნეობრივი მოსაზრების გამო, ვერ გაგზავნის რწმუნებულს იქ, სადაც ილახება მისი სინდისი. ხოლო ტაძრის წინამძღვარს, თუკი მორალი მისცემს უფლებას, შეუძლია დაესწროს წმიდათაწმიდა ტრაპეზის მოშლისა და დარღვევის ფაქტს”.

საბჭო დაადანაშაულეს აგრეთვე საპატრიარქო ტაძრების საგანძურის გადამალვაში: 1921 წლის 24 თებერვალს, საერთო უწესრიგობის მოლოდინისას, კათალიკოს-პატრიარქ ლეონიდეს ბრძანებითა და არქიმანდრიტ პავლეს (ჯაფარიძის) მიერ უსაფრთხოებისათვის ქუთაისს გადაინახეს სიონი-

სა და სვეტიცხოვლის საეკლესიო ძვირფასეულობა, რაც შემდეგაც, ანტირელიგიური კამპანიის შიშით, არ აცნობეს საბჭოთა მთავრობას.

თქმულის საფუძველზე საქართველოს სსრ უზენაესმა სასამართლომ 1924 წლის 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19 მარტის საჯარო სხდომებზე (თავმჯდომარე: გ. ჩხეიძე; წევრნი: გ. რთველაძე, ვ. წივწივაძე; ბრალმდებელნი: ნ. მაჭავარიანი, ნ. ოკუჯავა) განიკითხა ხსენებული მამანი. სასამართლო პროცესს ყოველდღიურად აშუქებდა პრესა: გაზეთები „კომუნისტი“, „მუშა“, „პრავდა გრუზიი“ და სხვა (იხ. ჩამოთვლილ დღეთა შესაბამისი ნომრები). თხზავდნენ და აქვეყნებდნენ გამკილავ ლექსებსა და პამფლეტებს. გაზეთებში მღვდელმსახურთა კარიკატურებს ათავსებდნენ. რევოლუციონერი მუშები „ბნელეთის მოციქულთა“, „მოღალატეთა“, „ხალხის მტერთა“ და „კონტრრევოლუციონერთა“ დახვრეტას მოითხოვდნენ, ხოლო დამცველებს (ადვოკატებს): ნინიძეს, ბარათაშვილს, გუნცაძეს, დადიანსა და ქავთარაძეს „ბურჟუაზიულ ელემენტებს“, „რეაქციონერებს“ ეძახდნენ; აწყობდნენ კრებებს, დემონსტრაციებს, იდგნენ სასამართლოს წინ და ყვიროდნენ: „ძირს ამბროსი“, „ძირს ეკლესია“, „ძირს რევოლუციის შენიღბული მტრები“. გასამართლებას თვალყურს ადევნებდა ცივილიზებული მსოფლიო. შეშფოთებული იყო ქართული ინტელიგენცია...

როგორც გამოქვეყნებული აქტები გვამცნობს, სამსჯავროზე დეკ. კ. ცინცაძემ მემორანდუმის თანაავტორად თავი არ აღიარა, თუმცა სასამართლომ აღნიშნული ბრალდება მაინც არ მოუხსნა. მსაჯულთადმი მიცემულ ჩვენებაში (ჩანაწერს მივაგენით მის პირად საარქივო ფონდში)[22] ბრალდებულმა აღნიშნა, რომ მოწოდება გაგზავნილია მისივე მღვდელმთავრის მიერ, რომლის მოქმედებას, საეკლესიო კანონების ძალით, ის ვერ დაიწუნებს და, მაშასადამე, ვერც მოიწონებს. „ამისათვის გთხოვთ, ბატონო თავმჯდომარევ, – დასძინა მან, – მომცეთ ნება, არ გავცე პასუხი შეკითხვას, არ შევიდე ჩემი მამათმთავრის მოქმედების განსჯაში“. ბრალდებას, თუ კომკავშირული ორგანიზაციისათვის სამხედრო ტაძრის გადაცემის მიზნით რატომ არ გაგზავნა საკათალი-

კოსო საბჭომ წარმომადგენელი საგანგებო კომისიაში, მამა კალისტრატემ უპასუხა: „ზნეობრივ მოსაზრებების გამო! საკათალიკოსო საბჭოს არ შეეძლო ყოფილიყო, თავისი წარმომადგენლის სახით, იქ, სადაც შელახული იქნებოდა მისი სინიდისი, მისი წმიდათა წმიდა; არ შეეძლო გამხდარიყო, თავისი საკუთარი ნებით, მოწმედ იმ წმიდა ტრაპეზის მოშლადანგრევისა, რომელსაც ის მოკრძალებით სცემდა თაყვანს. ეს შეუძლებლობა მით უფრო გამართლებული იყო, რომ ის სავსებით გამომდინარეობდა ჩვენი რესპუბლიკის მთავრობის 1921 წლის №12 დეკრეტისაგან, რომლის მეოთხე მუხლით უზრუნველყოფილია საქართველოს მოქალაქის სინიდისის შეულახველობა. [...] დაესწრებოდა თუ არა დეკ. თოთიბაძე სამხედრო საკრებულო ტაძრის მთავრობისათვის არარელიგიური მიზნით გადაცემას (თოთიბაძე ამ ეკლესიას წინამძღვრობდა, ნ. პ.), ეს დამოკიდებული იყო თვით დეკ. თოთიბაძის სინიდისზე: ნებას მისცემდა სინიდისი – დაესწრებოდა, არ მისცემდა – არ დაესწრებოდა“. პროკურორის შეკითხვაზე, სასულიერო პირი უნდა დაემორჩილოს თუ არა მთავრობის დადგენილებას, ბრალდებულმა ასე უპასუხა: „სამღვდელოებამ, როგორც სხვა მოქალაქემაც, უეჭველად უნდა შეასრულოს მთავრობის მიერ გამოცემული კანონები, რომელნიც არ ეწინააღმდეგებიან ღვთის მცნებასა და მორწმუნეთა სინიდისს“. შეკითხვაზე: „მაშ მთავრობამ რომ გამოსცეს ღვთის მცნებისა და სინიდისის, – როგორც თქვენ გესმით ეს, – საწინააღმდეგო კანონები, შეასრულებთ მას?“ იმავე ბრალდებულმა მიუგო: „არ ვიცი, როგორ მოიქცეოდნენ სხვები, მაგრამ მე კი ასე მოვიქცეოდი: მოკრძალებით და პატივისცემით მოვახსენებდი მთავრობას, თუ რატომ ვერ (და არა „არ“) ვასრულებ მის მიერ გამოცემულ კანონს და ვითხოვდი, გავეთავისუფლებინე ამ კანონის შესრულებისაგან. თუ მთავრობა შეიწყნარებდა ჩემს თხოვნას, ხომ კარგი, თუ არა და განვემზადებოდი ჯვარზედ საცმელად“.

სამსჯავროს წინარე თავი დამნაშავედ არც ერთმა განკიცხულმა არ სცნო. მართალია, კათალიკოსმა გენუის კონფერენციისათვის მემორანდუმით მიმართვას შეცდომა უწოდა (იხ. „კომუნისტი“, 1924, 21.III, №65), მაგრამ – მისივე თქმით – შექ-

მნილ პირობებში მას, ერის სულიერ მამას, არ შეეძლო სხვაგვარად მოქცეულიყო. არსებობს ზეპირი გადმოცემა, რომლის თანახმად ბრალდებულმა კათალიკოსმა საბოლოო სიტყვაში განაცხადა: „ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, გული – საქართველოს, ხოლო ლეშს – რაც გსურთ, ის უყავით!“[23].

განაჩენში ვკითხულობთ: „ბოროტმოქმედება გათვალისწინებული სისხ. სამ. კოდ. 60 მუხლით, რაიც მოითხოვს უმაღლეს სასჯელს – სიკვდილით დასჯას – უნდა ჩაითვალოს სავსებით დამტკიცებულად. მაგრამ სასამართლომ მიიღო რა მხედველობაში ბესარიონ ზოსიმე ძე ხელაიას (იგივე კ-პ ამბროსის) და აგრეთვე საკათოლიკოსო საბჭოს სამართალში მიცემულ წევრთა, პირველი – ღრმა მოხუცებულობა, მეორე – მათ მიერ საბჭოთა ხელისუფლების გადაჭრით ცნობა, მესამე – ბრალდებულ ხელაიას მიერ თავის გენუის კონფერენციისადმი მემორანდუმით მიმართვის შეცდომად აღიარება და მეოთხე – ის გარემოება, რომ ისინი საქართველოს მშრომელთა მასებში არ სარგებლობენ არავითარი ნდობით, დაადგინა [...] ბრალდებულ ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაიას (კ-პ ამბროსის, ნ. პ.) მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა ცხრა წლით, სასტიკი იზოლიაციითა და ყოველი მისი ქონების კონფისკაციით. [...] კალისტრატე ცინცაძეს – სამი წლითა და ცხრა თვით სასტიკი იზოლიაციითა და მთელი ქონების კონფისკაციით“ („კომუნისტი“, 1924, 21. III, №65; „მუშა“, 1924, 12.III, №4). მსჯავრდებულნი სასჯელაღსრულების სხვადასხვა ზონაში განათავსეს. შეღავათისა და მსჯავრის შემსუბუქების იმედი თითქოს გადაწურული ჩანდა, მაგრამ საკავშირო მთავრობის მითითების საფუძველზე ისინი ვადაზე ადრე, 1925 წლის 8 მარტს, გაათავისუფლეს.

ჩვენ მოგვისმენია თვითმხილველთა სიტყვები, რომელთა თანახმად სასჯელისაგან გათავისუფლებულებმა სასულიერო და საერო პირებმა პირველ რიგში სიონს მიაშურეს. უცბად, სად იყო და სად არა, იქ უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი; კათალიკოსს, მოხუცს და სნეულს, სამღვდელმთავრო ხალიჩა გაუშალეს, სკამი მიართვეს, დაუჩოქეს. მას უთქვამს: ,,საქართველო ურყევი ლერწამია და ვინ თქვა, ქართველებმა რწმენა დაკარგესო?!”.

პატრიარქს რეზიდენციის შენობა ჩამორთმეული დახვდა, კანცელარია და ბუღჰალტერია გაპარტახებული. ისინი სიონის გვერდით ერთ ძველ და მოუწესრიგებელ შენობაში შეუსახლებიათ; თანამშრომელთა დიდი ნაწილი დამფრთხალა და სამსახურისათვის თავი დაუნებებია; ბევრ მღვდელს და დიაკონს უარი უთქვამს საეკლესიო სამსახურზე და ერში გადასულა, ზოგს რჯულიც უარუყვია. ამის მიუხედავად მამათმთავარი ჩვეული ენთუზიაზმით შეუდგა საქმეს. დეკ. კალისტრატე ცინცაძე მისი ერთ-ერთი ყველაზე ერთგული თანამოსაგრე და თანამსახური აღმოჩნდა, რის გამოც არაა გასაკვირი, რომ მწყემსმთავარმა ეპისკოპოსად უპირველესად ყოვლისა ის გამოარჩია, იმავე წლის 31 ოქტომბერს ხელი დაასხა და მიტროპოლიტის ტიტული უბოძა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საერთაშორისო მდგომარეობას ის გარემოება ართულებდა, რომ რუსეთის ეკლესიის ზეგავლენით არც სხვა მართლმადიდებელი ეკლესიები იყვნე მისი სტატუსისადამი კეთილად განწყობილნი. მათ მიაჩნდათ, რომ ქართველებმა რუსეთის სახელმწიფოს „ავადმყოფობით“, ე. ი. გაკომუნისტებით ისარგებლეს. შემთხვევითობას არ უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ მათ ავტოკეფალიაზე ლაპარაკი სწორედ 1905 წლის რევოლუციის დღეებიდან დაიწყესო. ისინი (ამ ბრალდების ავტორები) ივიწყებდნენ, რომ რუსეთის იმპერიის მოქალაქეთაც სწორედ 1905 წელს ებოძათ მთავრობისაგან თავისუფლება აზრის გამოთქმისა. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებმაც ხომ მაშინ აღნიშნეს პირველად: რუსეთის ეკლესიის ზნეობრივი ავტორიტეტისათვის აუცილებელია, აღდგეს პატრიარქის ინსტიტუტი და მთავრობა არ უნდა ჩაერიოს ეკლესიის საქმეებში! (იხ. ზემოხსენებული „პოსლანიე...“ გვ. 24-25). ამასთანავე ფაქტია, რომ აღმოსავლეთის მართლმადიდებელ იერარქებს მაინც რიდი ჰქონდათ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი სინოდისა, რომელიც სერიოზულ ეკონომიურ დახმარებას უწევდა მუსლიმურ გარემოცვაში მყოფ მართლმადიდებლებს. ამის გამო ძველთაგან თანამწირველნი

და ქრისტესმიერ ძმანი უპასუხოდ ტოვებდნენ ახლადაღსაყდრებულ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთა მოკითხვის ბარათებს. მათ არ მიიწვიეს საქართველოს წარმომადგენლობა 1926 წლისათვის დანიშნულ მერვე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (რომელიც ვერ შედგა). მაშინ საკათალიკოსო საბჭომ თვით მიმართა ყოვლადუწმიდეს პატრიარქს ძმური ეპისტოლეთი, რომლის ტექსტი კვლავ (იმჟამად მიტროპოლიტად პატივდებულმა) კალისტრატემ დაწერა[24].

ეპისტოლე ქრისტესმიერი სიყვარულით ულოცავდა მსოფლიო საპატრიარქოს უდიდეს ზეიმს და, თავის მხრივ, მწუხარებას გამოთქვამდა, რომ „უცნობ მიზეზთა გამო, იგი არ იქმნა შერაცხილ ჩინებულთა შორის, რომელნიც მოწოდებულ არიან მართლმადიდებელი ეკლესიების ქორწილსა ზედა (მათე 22, 2-3) მსოფლიო კრებაზე“. ეპისტოლე კონსტანტინოპოლის მამათმთავარს ამცნობდა საქართველოს ეკლესიის წარსულსა და მის მძიმე აწმყოს, რომელსაც, მისი თქმით, „ადგილი არ ექნებოდა, მსოფლიო პატრიარქს (აგრეთვე დანარჩენ პატრიარქებსაც) პასუხი რომ გაეცა კათოლიკოს-პატრიარქების კირიონის, ლეონიდისა და ამბროსის მოკითხვის ბარათებზე. აღმოსავლეთის პატრიარქთა მდუმარებამ და საქართველოს უძველესი ეკლესიის მიმართ უყურადღებობამ კადნიერყო შფოთისა, მძულვარებისა და ძმათა ურთიერთზე ამხედრების მოყვარენი“. საქართველოს მწყემსმთავარი და მისი საბჭო დასძენდა: „არა გვსურს ვიფიქროთ, რომ ეს მდუმარება გამოწვეულია ამა მსოფლიო მოსაზრებითა: პატარა ერის ეკლესიური ინტერესები მსხვერპლად შეეწიროს დიდი ერის ეკლესიურ მეგობრობასა და კეთილგანწყობილებას. უღრმესი პატივისცემით გაცნობებთ რა ზემოაღნიშნულს მსოფლიო კრებისათვის მოსახსენებლად, სრულიად საქართველოს საკათოლიკოსო საბჭო გამოთქვამს სრულს იმედს, რომ თქვენი ყოვლადუწმიდესობა, აღძრული ეკლესიური ჭეშმარიტების ძიებით, აღადგენს, დანარჩენ მართლმადიდებელ ეკლესიათა საჭეთმპყრობლებთან ერთად, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან ძველს ურთიერთობას, ესე იგი ისეთს, როგორიც სუფევდა ჩვენს შორის მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე. ხოლო, თუ თქვენი ყოვლადუწმიდესობა დასტოვებს

ჩვენს თხოვნას უყურადღებოდ და არ შეუწყობს ხელს საქართველოს ეკლესიის საკუთარის თავითა და მის საქმეებში სხვა ეკლესიის ჩაურევნელად წინსვლას, მაშინ ჩვენი ეკლესია იძულებული იქნება, დაიცვას თავის წიაღში ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა და კანონიკური ნორმები იმ წესითა და იმ საშუალებით, რომელსაც თვით დაინახავს საჭიროდ და მიზანშეწონილად, მით უმეტეს, რომ საქართველოს რესპუბლიკაში ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან და უკანასკნელი არ ერევა მის შინაურ საქმეებში. ხოლო ზნეობრივ პასუხისმგებლად მისი განცალკევებისა ის ჩათვლის აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიებს, რომელთაც არ მოისურვეს კანონიკური ჭეშმარიტების აღიარება და უკანონო პრეტენზიების მხილება“.

მორწმუნეობის კულტურა და თავისუფალი მოქალაქეობა

როდესაც კალისტრატე ცინცაძის სულიერი ცხოვრებისა და ღვაწლის ზოგად პორტრეტზე ვფიქრობთ, მრავალ სათნოებათა შორის, ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით მისი მორწმუნეობის კულტურა იპყრობს. აქ, პირველ რიგში, სიყვარულის და სიკეთის უსაზღვროება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, – სულის და გულის ყოველთა და ყოველთათვის განფენის ნიჭი და ნებისყოფა იგულისხმება. ლაპარაკია განსხვავებული სარწმუნოების, ხედვისა და აზროვნების ადამიანთა სიყვარულზე, მათ თანადგომასა და თანალმობაზე, მათთვის ლოცვაზე და მათთან ერთად ლოცვაზე, ერთსა და იმავე დროს ლოცვაზე, თანალოცვაზე. მორწმუნეობის ამ კულტურას განაპირობებს ის, რასაც რჯულშემწყნარებლობას, გნებავთ ტოლერანტობას, ვუწოდებთ. შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ აღნიშნული ნიჭი და კულტურა ღვთის ხატებისა და მსგავსების მფლობელი კაცის ბუნება, ანდა: ამ ბუნების ორგანული ნაწილი, პიროვნებისა თუ კოლექტივის ბუნებრივი მოთხოვნილება არ იყოს. თუმცა ფაქტია, რომ მიზეზთა და მიზეზთა გამო ეს ნიჭი ინდივიდების გულსა და გონებაში მთვლემარე და მიძინებულია. მას გამოღვიძება სჭირდება და გამოიღვიძებს კიდეც, თუკი გარემო და, პირ-

ველ რიგში, სულიერი მოძღვარი მას ასეთი გამოღვიძებისაკენ უბიძგებს; თუკი მის სულს ყოველთა მიმართ სიყვარულისა და სხვებთან ერთად ლოცვის სათნოება დაეუფლება. ასეთი გამოღვიძებისა და ამ სათნოების აღორძინების მოთხოვნილება განსაკუთრებული სიმძაფრით მაშინ იჩენს თავს, როდესაც სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ადამიანებს შორის შური, მტრობა და სიძულვილი ჩამოვარდება.

და, აი, 1905 წელს კავკასიაში, კერძოდ კი თბილისსა და ბაქოში, ქრისტიანთა და მუსლიმთა დაპირისპირებამ იჩინა თავი. ბაქოში შიიტ მუსლიმებსა და სომეხ გრიგორიანებს შორის შეტაკება მოხდა. დაიხოცნენ ადამიანები, მათ შორის მართლმადიდებელი რუსები და ქართველები. ამ დროს სასულიერო პირები – მღვდლები და მოლები – შენდობისა და მიტევების ინიციატივით გამოვიდნენ და სხვადასხვა სარწმუნოების ადამიანებს ერთმანეთისათვის ლოცვისაკენ მოუწოდეს. ასეც მოხდა: კავკასიის მასშტაბით ერთსა და იმავე დროს ეკლესიებსა და მეჩეთებში სხვადასხვა ტომისა და რწმენის ადამიანებმა ღმერთს შენდობა სთხოვეს და მშვიდობისათვის ილოცეს. თბილისის ქაშვეთის წინამძღვარი, მღვდელი კ. ცინცაძე მაღალი შეგნებით გამოეხმაურა ამ მოწოდებასა და მოძრაობას. იმა წლის 20 თებერვალს მან ხალხმრავალ ეკლესიაში საგანგებო პანაშვიდი და პარაკლისი გადაიხადა და სიტყვა წარმოთქვა (დედანი დაცულია ავტორის პირად საარქივო ფონდში)[25]. იგი მიესალმა სხვადასხვა აღმსარებლობის მორწმუნეთა თანალოცვის ფაქტს და აუწყა დამსწრე საზოგადოებას, თუ რა შედეგი გამოიღო ინტერკონფესიურმა ლოცვამ. მისი თქმით, თანალოცვათა შემდეგ ,,შესწყდა მკვლელობა, ჩამოვარდა მშვიდობა, განჰქრა მძულვარება! ძმური სიყვარულით აღფრთოვანებული ხალხი, განურჩევლად წოდების, სარწმუნოების და ეროვნებისა, შეკრებილა ტაძრებში და, თუ ერთ დღეს მართლმადიდებელნი ავედრებენ უფალს ,,ბაქოსა შინა მოწყვედილ გრიგორიანთა და მუსულმანთ", მეორე დღეს მუსულმანები და გრიგორიანები ლოცვა-კურთხევით იხსენიებენ შესვენებულ მართლმადიდებელთა".

ვკითხულობთ ციტირებულ სიტყვებს და იმასაც, რაც მათ მოსდევს, და ჩვენს თვალწინ იხატება აპოკალიპსური

სურათი მსოფლიოს ყველა ხალხისა და ტომის შერიგების და ღვთის წინაშე ერთობლივად წარდგომისა, სურათი იმ დღისა, როდესაც ,,გაქარწყლდება ეფრემის შური და იუდას მტრები აღარ იქნებიან; ეფრემს აღარ შეშურდება იუდასი და იუდა აღარ უმტრობს ეფრემს" (ეს. 11,13; გამოცხ. 20,24). განა ამ დღის დადგომას არ შენატრის ქრისტეს ეკლესია? დიახ, ხალხთა ასეთი ურთიერთობა არის სახარების იდეალი (შდრ. იოანე 10,16) და ამ იდეალის სრულყოფის გზად მოძღვარ კალისტრატეს საყოველთაო ანუ, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ეკუმენური ლოცვა წარმოუდგება. ასევე ჩვენც: საქართველოში ეკუმენიზმის ერთ-ერთ მესაძირკვლედ მოძღვარი კალისტრატე ცინცაძე წარმოგვიდგება.

ღვთის ამ ჭეშმარიტ მსახურს შეგნებული ჰქონდა, რომ „ეკლესიის დამოუკიდებლობა იქმნება სრული მხოლოდ მაშინ, როცა დამოუკიდებელი გახდება თვით საქართველო". მას სწამდა ამასთანავე და ბაგით აღიარებდა, რომ თავისუფლება, გარეშე ერის ზნეობრივად ამაღლებისა, არასრულქმნილი და მოჩვენებითია. როდესაც ის ამ თემაზე ლაპარაკობდა, ხაზს უსვამდა იმ ჭეშმარიტებას, რომლის თანახმად ადამიანის ზნეობრივი ამაღლებისა და პიროვნების მოქალაქეობრივი შეგნების დახვეწისათვის უბრალო (ლიტონი) მორწმუნეობა, გნებავთ ღრმად დარწმუნება იმაში, რომ ღმერთი არსებობს, საკმარისი არ არის. სხვანაირად რომ ვთქვათ, კაცთა მოდგმის სულიერად ამაღლებისათვის საკმარისი არ არის მშრალი ცოდნა ღვთის მიერ გამოცხადებული სიბრძნისა და ჩვენთვის ბოძებული დოგმატებისა. ეს რომ ნამდვილად ასეა და რომ ამაში სადავო არაფერი არ არის, მეტყველებს თავად მოციქული, რომელიც მოგვმართავს: ,,შენ გწამს, რომ ღმერთი ერთია. კარგს შვრები. მაგრამ ეშმაკებსაც სწამთ იგი და კანკალებენ. შენ კი, ამაო ადამიანო, არ გსურს გაიგო, რომ რწმენა საქმეთა გარეშე მკვდარია?" (იაკობი 2,19-20). ეს ნიშნავს: ეშმაკებმაც იციან, რომ ღმერთი ერთია ანუ მათაც, ეშმაკებსაც, აქვთ ადეკვატური და ზუსტი საღვთისმეტყველო ცოდნა, რის გამო თრთიან ღვთის წინაშე, მაგრამ ისინი მაინც ეშმაკებად რჩებიან და ბოროტებას სჩადიან. მაშ როგორ სარწმუნოებას შეუძლია კაცთა მოდ-

გმის გაუმჯობესება? აქ უწმინდეს კალისტრატეს შემოაქვს ცნება ,,საღი სარწმუნოება", რაც ნიშნავს სარწმუნოების არა თეოლიგიურსა და დოგმატურ მხარეს, არამედ პიროვნებისა თუ კოლექტივის მორწმუნეობის კულტურას. ეს აზრი წითელ ზოლად გასდევს მის სამოძღვრო პრაქტიკასა და ქადაგებათა ციკლს. ამ მხრივ საყურადღებოა მისი სიტყვა, თქმული საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწის, ვლადიმერ გობეჩიას, არაორდინალურ ვითარებაში გარდაცვალების გამო 1918 წელს. სწორედ აქ, ამ ქადაგებაში, არის მთავარი და არსებითი ყურადღების გამახვილება მორწმუნეობის კულტურაზე, რაც ნიშნავს, რომ გავიმეოროთ და დავაკონკრეტოთ, – პირადი რელიგიური გრძნობების სხვასთან ურთიერთობაში და საზოგადოებაში გამოვლენის წესსა და რიგს, ანუ ინდივიდის ზნეობრივ-რელიგიურ აღზრდას და ფორმირებას. აი, ეს არის ,,საღი სარწმუნოება", რომელიც, ავტორის პირდაპირი და მკაფიო აღიარებით, მართლმადიდებლად ცნობილ ჩვენს საზოგადოებაში დიდი დეფიციტია. რატომ? – იმიტომ რომ, მოძღვრის მინიშნებით, ჩვენ ასეთი სარწმუნოების ანუ მორწმუნეობის ასეთი კულტურის მიმართ ყურადღებას ნაკლებად ვამახვილებთ, რამაც სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანა. ამ შედეგებმა თავი ქვეყნის პოლიტიკურ ყოფაშიც იჩინა: ჩამოგვშორდა აჭარა, ჩამოგვშორდა საინგილო; ჩვენს გვერდით ცხოვრება არ სურთ სხვა ეროვნებისა და სხვა სარწმუნოების წარმომადგენლებს. ამის მთავარი მიზეზი არის ჩვენი გულსა და გონების სიცივე, სიყვარულის არარსებობა. მოვუსმინოთ მოძღვარს: „შევისწავოთ: ღვთის განგება კიდევ გვაფრთხილებს! ის გვეუბნება: ქრისტეს დიადის მცნების – ურთიერთას სიყვარულის – გარეშე ცხოვრება შეუძლებელია და, ამისათვის, თუ გნებავთ განთავისუფლებულ საქართველოში განვითარდეს თავისუფალი მოქალაქობა, ხელი შეუწყეთ საღი სარწმუნოებრივ-ზნეობრივი სწავლის გავრცელებას, მტკიცეთ სდეგით ქრისტეს მცნებაზედ და ვიდრე ჟამი გაქვთ, იქმოდეთ კეთილსა ყოველთა მიმართ" (გალ. 6, 10) (იხ. „ახალი სიტყვა", 1918, №8, გვ. 4)[26].

შემდგომად საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა (1918 წლის 26 მაისი – წმ. ექვთიმე ათონელის ხსენე-

ბის დღე) მამულიშვილნი ნაავადარი სხეულის მოკეთებას, ძმათა შორის ჩატეხილი ხიდის – გაორებული ქართული გულის – გამრთელებას ესწრაფვოდნენ. „დედის სალმობის“ მომხსენებელი (ი. ზირაქი 7, 29) მამა კალისტრატე, საქმისაებრ კეთილი მწყემსისა, ასე ავედრებდა მამულს მაღალყოვლადუსამღვდელოეს მიტროპოლიტ ანტონ გიორგაძის წუთისოფლიდან ახლადგარდაცვალებულ სულს: „მეუფეო წმიდაო! გვრწამს და აღვიარებთ, რომ უკვდავი სული შენი და გული დღესაც განვრცობილ არს (2 კორ. 6, 11) საჭიროებათათვის მშობელის ერისა, რომელიც, გარეშეთაგან თავისუფალი და თვითთავადი, შინ დაჰმონებია ძმათმძულვარებას: ძენი და ასულნი მისნი ამხედრებულან ურთიერთის წინააღმდეგ და ლამის მშობელი დედა, შენი საყვარელი საქართველო, კვლავ მტრის გულისად გაჰხადონ!.. საჭიროა ძალი ზეგარდამო, ძალი ზეციური, ძალი ღვთიური, რომელსაც მრავალჯერ უხსნია სამშობლო ჩვენი განსაცდელისაგან!.. მაშ, ისწრაფე, მღვდელთმთავარო, სმენად (იაკ. 1, 19) ქვეყნის ჭირისა, წარსდეგ წინაშე დიდისა მღვდელთმთავრისა, აღაპყარ მისდამი ხელნი შენნი და შენებრ კადნიერებით და სასოებით შეღაღადე: *გარდამოიხილე ზეცით, ღმერთო, და იხილე, და მოჰხედე ვენახსა ამას, და განამტკიცე ესე, რომელ დაასხა მარჯვენემან შენმან”* (ფს. 79, 14-15)“.

საბჭოეთი და ,,კაენის სული” საქართველოში

„ვენახსა ამას“ მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში „კაენის სულის აღზევებამ გადაიქროლა“ (როგორც ეს ერთ იმდროინდელ პოეტს და მოაზროვნეს უთქვამს). თუ რაოდენ მძვინვარებდა იმ დროს ანტირელიგიური პროპაგანდა ანუ ,,კაენის სული”, ამხილებს ათეისტური სათამაშოების მოგონება, რომელთაგან ერთ-ერთის შესახებ გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“ (1928, 18.IV. №137) გვაუწყებს: „ანტირელიგიური ტირის“ თამაშის გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლა, სააღდგომო უქმეებთან დაკავშირებით. ეს თამაში მეტად სასარგებლო და საინტერესოა, რადგან მას შეუძლია თამაშში ჩააბას მთელი კოლექტივი და მოთამაშეებში გამოი-

მუშაოს ერთგვარი წინდახედულობა და გონებამახვილობა. საამისოდ საჭიროა შემდეგი მოწყობილობა: ფანერის ფიცარი, რომელზედაც გამოხატულია სხვადასხვა რელიგიური კულტის წარმომადგენელთა სურათები. ის ადგილები, სადაც აღნიშნულია შავი რგოლები, უნდა ამოიჭრას 4-5 სანტ. დიამეტრით. საჭიროა პატარა ბურთები, რომელთაც შეეძლებათ ხვრელში თავისუფლად გავლა მიზანში მოსახვედრად". ფართოდ იყო გავრცელებული ე. წ. ანტირელიგიური პროცესიები: აზვირთებული ათეისტები (მეტწილად ახალგაზრდები) ჩამოაცვამდნენ გადაჯვარედინებულ ჯოხზე მღვდლის სამოსელს (კუნკულბარტყულს, ანაფორას და ა. შ.), ჩამოკიდებდნენ მათზე ჯვარს, დაიჭერდნენ ხელში საეკლესიო რელიკვიებს (ხატ-სანაწილეებს, ბაირაღებს, სამწერლობლებს და ა. შ.), დადიოდნენ ქუჩებში, ერთმანეთს აწყდებოდნენ და კვდებოდნენ სიცილით, ილანძღებოდნენ, იმუშტებოდნენ, სახალხოდ ბილწავდნენ რელიგიურ სიწმიდეთ, შეხინტრიცდებოდნენ ეკლესიებში, ამასხარავებდნენ მორწმუნეებს; მღვდლებს ხშირად სცემდნენ, გიდელში ან ქვევრში ჩასვამდნენ და ისე დააგორებდნენ მთიდან, ეკლესიის მსახურებს წვერებს აკრეჭდნენ (ანდა აგლეჯდნენ), შლიდნენ ღვთისმსახურებას, არაიშვიათად ტაძრებსაც ანგრევდნენ, რასაც ჩვეულებრივ ქეიფი („ოჩხარი") მოჰყვებოდა[27].

„მუკელების" (მებრძოლ უღმერთოთა კავშირის) წრეგადასულმა თარეშმა ლამის ნაცარტუტად აქცია ივერიის ეკლესია. აი, რას ვკითხულობთ საკათალიკოსო სინოდის მიმართ მორწმუნეთა ჯგუფის წერილში, რომელიც შედგენილი უნდა იყოს 30-იანი წლების დასაწყისში (ცინცაძე 228): „მოგვევლინა ღვთის რისხვა... დაიჩაგრა სარწმუნოება და დაკნინდა სამღვდელოება. უკანასკნელი იდევნება ყველგან და ყველაფერში. იგი ისპობა ფიზიკურად და ჩლუნგდება გონებრივად. დღითიდღე ხელიდან გვეცლებიან საუკეთესო სასულიერო მოღვაწენი, ხოლო მათი შემცვლელი ნაკლებად ჩანს. [...] ნელ-ნელა ისპობა ჩვენ ეკლესიაში ძველი გალობა, ძველი ეკლესიური კითხვა და ყველაფერი, რაც ჩვენი ერისა და ეკლესიის სიამაყეთ ითვლებოდა". და მართლაც: საკათალიკოსში სრული ანარქია გამეფდა. სამღვდელოთა ნაწილმა თვითნე-

ბობა დაიწყო. ერთი შეხედვით ეს თითქოს არალოგიკურია. ბუნებრივი და ლოგიკური ის იქნებოდა, რომ დევნილებას თანამორწმუნეების, ერისა და ბერის, მობილიზაცია გამოეწვია; ისინი უფრო უნდა დაახლოვებოდნენ ერთმანეთს, რათა მტერს ერთსულოვნებით და ერთიანი ფრონტით დაპირისპირებოდნენ. მოხდა საპირისპიროდ. აი, რას სწერს კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი მაღალყოვლადუსამღვდელოეს კალისტრატეს 1926 წლის 28 იანვარს (ცინცაძე 177): „...დღევანდელი მდგომარეობა მშობლიო ეკლესიისა მოითხოვს მის ერთგულ მსახურთაგან გაორკეცებული ენერგიით მოქმედებას... სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ადგილებზე ეპარქიებში საეკლესიო ცხოვრება მოდუნებულია: ცნობები არ იგზავნება [საპატრიარქოში] იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც საეპარქიო კრება იმართება; უზენაესი დაწესებულების ბრძანება-განკარგულებანი სუსტად სრულდება. ეს არის მიზეზი, რომ დღევანდლამდე ვერ წარხოცეს ბეჭედი საქართველოს ეკლესიის მონობისა – რუსული ოდიკი დამოუკიდებლობის ემბლემით – ქართველი ოდიკით. დღემდე არ იმექონება საჭირო ცნობები საკათოლიკოზოში მოქმედ ეკლესიათა და მღვდელმსახურთა შესახებ“.

როდესაც ამ სიტყვებს კითხულობ და სხვა მასალებსაც ეცნობი, უნებლიეთ დაგიდგება თვალწინ არაბობისდროინდელი საქართველოს (VIII ს.) და აბო ტფილელის წამების აღმწერი იოანე საბანისძე, რომელიც ამბობს: დადგა დრო, „რომლისა ჟამისთვისცა უფალი იტყვის, ვითარმედ მრავალნი სცდებოდიან და მრავალთა აცთუნებდენ (შდრ. მათე 24, 24; 2 ტიმოთ. 3, 13) და მოციქული პავლე მისწერს ტიმოთესა, ვითარმედ მოვალს ჟამი, ოდეს სიცოცხლისა ამის მოძღვრებასა არა თავს იდებდენ, არამედ გულისთქმისაებრ თვისისა თავით თვისით შეიკრებდენ მოძღვრებასა ქავილითა ყურთაითა და ჭეშმარიტებისაგან სასმენელნი გარემიიქცინენ და ზღაპრებსა მიექცენ (2 ტიმოთ. 4, 3-4), რომელიცა ესე აწ ჟამსა ამას აღესრულების ჩვენ შორის. [...] მიერითგან და ვიდრე აქამომდე ნაშობნი ქრისტეანეთანი გარდაგულარძნნეს: რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკუვარებით და სხვანი,

რომელნი-ესე ვართ მორწმუნენი, მძლავრებასა ქვეშე დამონებულნი და ნაკლუვანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქვეშე მათსა გვემულნი და ქენჯნილნი, ძვირ-ძვირად ზღვეულნი, შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართგან ძლიერთა...“ იოანე საბანისძე და, ჩანს, ბევრი იმდროინდელი ქრისტიანი ქართველი ფიქრობდა, რომ უკვე მოვიდა წუთისოფლის აღსასრულის ჟამი და, დღეს თუ არა ხვალ, ცა ჩამოიქცევა და მიწა განადგურდებაო. ანალოგიური ფიქრები მოეძალა მორწმუნე ქართველ ერს აგრეთვე მე-20 ს-ის 20-იან წლებში, ღვთისმგმობელობის მძვინვარების ჟამს. ბევრი სკეპსისმა და ცოდვათა შორის ერთ-ერთმა დიდმა ცოდვამ – მიმომწვლილველობამ (უიმედობამ, უსასოობამ) შეიპყრო. ასეთ ვითარებაში საჭირო იყო ხალხის მორალური გამხნევება, – ზნეობრივი მაგალითი, ახსნა-განმარტება და შთაგონება, რომ ისტორია არ დასრულებულა; ბრძოლა გრძელდება და ფარ-ხმალის დაყრა ქრისტეს ღალატის ტოლფასია. ამ ავბედით ჟამს მწყემსმთავარი კალისტრატე ერს ასე მოძღვრავდა (ცინაცაძე 97): „მართალია, ოქროს ასოებით ამოსაჭრელ სიტყვებს (გულისხმობდა დეკრეტს „სინდისის თავისუფლების შესახებ“, ნ.პ.) დაერთო მრავალ სამღვდელო პირთა ეკლესიისაგან ჩამოშორება, მაგრამ ბაგრატ-დავით-თამარის დროსაც ხომ მრავალი ხუცესი ჩამოშორდა ეკლესიას?!.. რაც შეეხება იმ ქარიშხლის სიმძაფრეს, რომელმაც გამოიწვია ალაგ-ალაგ ტაძრების დახურვა თუ დაქცევა, არც ეს არის მორწმუნეთათვის საშიში: მძაფრ ქარტეხილს თან სდევს ნიავი წვლილი და მას შინა არს უფალი (3 მეფ. 19, 12)... წმიდაო მოციქულთა სწორო ქალწულო ნინო (ეს ქადაგება ნინოობისას წარმოითქვა, ნ.პ.), რომელმან მოღვაწებითა შენითა განანათლე ბნელი გულთა მამათა ჩვენთა, შენ გლოცავთ და შენ გევედრებით უღირსნი ესე ძენი და ასულნი სულიერთა შვილთა შენთანი: მოუკლებელად გარეშემიცევ ჩვენცა სახარებითა წმიდითა, ჯვარითა პატიოსნითა და მადლითა ღვთისათა., განაძლიერე შორის ჩვენსა ცხოვრებად საუკუნოდ მიმყვანებელი ურთიერთას სიყვარული და განამტკიცე ღვთისა დედისა წილხდომილსა სოფელსა შინა ჭეშმარიტი ძმობა, ერთობა და თავისუფლება! იყავნ, უფალო, იყავნ!“

მეორედ მოსვლისა და ქვეყნის დაქცევის ცრურწმენას, რაზეც უკვე ვთქვით, ბევრი სხვა ცრურწმენა და უმსგავსობა დაემატა. ზოგადად: შეიბღალა ერისა და ბერის ზნეობა. იმ დროს არა ერთი და ორი საერო თუ სამღვდელო პირის რწმენა გამრუდდა და გაუკუღმართდა. ზოგიერთ ღვთისმსახურს, ეკონომიურად გაღატაკებულსა და გაჩანაგებულს, თავის გადარჩენის ველური ინსტინქტი დაეუფლა; მუქთახორობამ, სიხარბემ, ანგარებამ დაისადგურა სულმოკლე მღვდლების სულში. ასეთ სულებში კი ადვილად ჰპოვა ადგილი სექტანტურმა ცნობიერებამ პათოლოგიური აზროვნების გაგებით; გზა გაეხსნა ერეტიკულ ფანატიზმსა და რელიგიურ მანიაკობას. აღზევდნენ ცრუმოძღვარნი, მკითხავ-მარჩიელნი, მონაქადაგნი; გაფერმკრთალდა ზღვარი ჭეშმარიტ ქრისტიანობასა და ხალხურ, ზოგჯერ ფსიქიურ ავადმყოფობამდე მისულ, რწმენა-წარმოდგენებს შორის. რელიგიის ნიღბით შეიმოსა მაგია. ერს, ურწმუნოების გარდა, მწვალებლობისა და გაწარმართების საცდური დაემუქრა. ამ ვითარების სიმძიმე ღრმად გააცნობიერა კალისტრატე ცინცაძემ და მან, როგორც ღვთისმეტყველებისა და კათოლიკე ეკლესიის ჭეშმარიტი ტრადიციის საუკეთესო მცოდნე მოძღვარმა, ასერიგად გზააბნეული მრევლის დაკვალიანების უღელი იტვირთა. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ჩამოთვლილი მანკიერებანი 30-იან წლებში კიდევ უფრო მასშტაბური და მავნებლური გახდა. გამოჩნდნენ ისეთი მღვდლებიც, რომლებმაც გაწყვიტეს საეკლესიო იერარქიასთან კავშირი და დაიწყეს სისხლიანი მსხვერპლშეწირვის შესრულება და ჯადოსნობის მსგავსი რიტუალების გამართვაც კი. ისინი ამტკიცებდნენ: ღვთისგან მოგვეცა გამოცხადება, რომ 1. ბავშვები დაიხოცებიან, თუ სასწრაფოდ არ მოინათლებიან, და 2. ცუდად წაგვივა საქმე, თუ ღმერთს და წმინდანებს ცხვრებს, თხებსა და მოზვრებს არ შევწირავთ! ამან აიძულა კალისტრატე ცინცაძე, უკვე საქართველოს სამოციქულო საყდრის საჭეთმპყრობელი, რომ მრევლისათვის საგანგებო ეპისტოლეთი მიემართა ქართულ და რუსულ ენებზე და განემარტა ქრისტიანული მსოფლმხედველობის ორი არსებითი პრინციპი: 1. ჩვენ ბავშვებს ვნათლავთ არა სიკვდილის შიშით (რადგან სიკვდილი არ არ-

ჩევს მონათლულს მოუნათლავისაგან), არამედ ქრისტესმიერი ცხოვრებისა და ცხონებისათვის და 2. ქრისტე არ მოითხოვს ჩვენგან სისხლიან მსხვერპლს და მეტიც, – ჩვენ, ქრისტიანები, სიხლიანი მსხვერპლის შეწირვით იესო ქრისტეს მიერ ჯვარზე გაღებულ მსხვერპლს ვაუფასურებთ (ეს ეპისტოლე დათარიღებულია 1936 წლის 28 აპრილით)[28].

დავუბრუნდეთ მისი უწმინდესობის ბიოგრაფიას.

საჭეთმპყრობლის კვერთხი ქაოსისა და მუქარის პირისპირ

უკვე ვთქვით და ამჯერად დავაზუსტებთ: 1925 წელს უწმიდესი კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის ლოცვა-კურთხევითა და მის მიერვე დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე ხელდასხმულ იქმნა ნინოწმიდის ეპიესკოპოსად. იმავ დღეს მას მიტროპოლიტობა ებოძა და დაინიშნა კათალიკოს-პატრიარქის თანამოსაყდრედ. იმხანად პატრიარქი, ბევრი სულიერი და ფიზიკური ტანჯვის გამოვლის შემდეგ, დასნეულებული და დაუძლურებული გახლდათ, რის გამოც ეკლესიის მართვა-განმგებლობის პრაქტიკული საქმე თანამოსაყდრეს, კალისტრატეს, ებარა.

და, აი, ამ დროს, გარეშე მტრებს, ათეისტ კომუნისტებსა და ველიკორუს იერარქებს, დაემატნენ შინაური მტრები – ყოფილი თანამებრძოლი და თანამწირველი ძმები. ესენი იყვნენ ის სასულიერო და საერო პირები, რომელთა ეკლესიოლოგიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პოზიციები რუსეთის ,,ჟივაია ცერკოვის", ანუ ,,ცოცხალი ეკლესიის", პოზიციებს და პრეტენზიებს ენათესავებოდა[29]. ისინი ცნობილი არიან რეფორმატორებისა და განმაახლებლების სახელითაც, რადგან მოითხოვდნენ რეფორმებს საეკლესიო ცხოვრების თითქმის ყველა უბანზე და, თანაც, – სასწრაფოდ. ამ განხრით მათ პრინციპული წინააღმდეგობა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მოთხოვნას, – სასწრაფოდ, პატრიარქთან და მის თანამოსაყდრესთან არ ჰქონდათ და არც შეიძლებოდა ჰქონოდათ მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს ზემოთ დასახელებულ (გვ. 187-188) მოწოდება საეკლესიო რეფორმების მომზადების თაობაზე (1922 წლის 19 ოქტომბერი). გავითვალისწი-

ნოთ, რომ ამ დოკუმენტს, რომელშიც ლაპარაკია საეკლესიო წესგანგების ,,თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებათა მიხედვით“ გამარტივების შესახებ, თავად უწმინდესი პატრიარქი ამბროსი და მისი ყველაზე ახლო თანამოსაგრე კალისტრატე აწერენ ხელს საკათალიკოსო საბჭოს სხვა წევრებთან ერთად. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ კალენდრის საკითხი. ორივე, – როგორც კათალიკოს ამბროსის ოპოზიცია, ისე პოზიცია, – კალენდრის რეფორმის მხარეზე იდგა; ორივეს უნდოდა, რომ საეკლესიო-ლიტურგიკულ პრაქტიკაში ახალი სტილი (გრიგორიუსის კალენდარი) შემოღებულიყო, რადგან ორივე აღიარებდა ამ სტილის ასტრონომიულ უპირატესობას და საეკლესიო ტრადიციასთან შესაბამისობას. განსხვავება მდგომარეობდა იმაში, რომ ოპოზიცია ამ რეფორმის დაუყოვნებლივ განხორციელებას მოითხოვდა, პოზიცია კი რეფორმისათვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების, რიგითი მორწმუნეების დაკვალიანებისა და გათვითცნობიერების აუცილებლობას ხედავდა[30]. ასეა თუ ისე, ისინი არსებითად ერთსა და იმავე პოზიციაზე იდგნენ.

უფრო რთულად იდგა საკითხი პოლიტიკასთან და, კერძოდ, საბჭოთა რეჟიმთან ურთიერთობაში. კათალიკოს-პატრიარქის ოპოზიცია, რომელსაც ეპისკოპოსები ქრისტეფორე ციცქიშვილი და დავით კაჭახიძე ხელმძღვანელობდნენ, ფიქრობდნენ, რომ ეკლესიას თავსდამტყდარი უბედურების ერთ-ერთი მიზეზი არის კათალიკოს-პატრიარქ ამბროსისა და მის დაქვემდებარებაში მყოფი საკათალიკოსო საბჭოს ,,არაგონივრული და უგუნური პოლიტიკა“. იგულისხმება ანტისაბჭოთა და ანტიკომუნისტური კურსი, რომლის დამადასტურებელ ფაქტებად ისინი (ოპოზიციონერები) მიიჩნევდნენ: ეკლესია-მონასტრებსა და სამღვდელმთავრო რეზიდენციებში დაცული განძის გადამალვას, გენუაში მემორანდუმის გაგზავნასა და საოკუპაციო ჯარების დაუყოვნებელი გაყვანის მოთხოვნას, 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყებაში სასულიერო პირების მონაწილეობას და სხვასაც. ამ ფაქტებმა ანუ, ზოგადად, საოკუპაციო ხელისუფლებასთან ასეთმა ხისტმა ურთიერთობამ, რასაც ბოლშევიკების გაბრაზება და რისხვით ანთება მოჰყვა, ოპოზიციონერების აზრით, სამარის კარამდე მიიყვანა საქარ-

თველოს მართლმადიდებელი ეკლესია; დაიღუპნენ ჩინებული სასულიერო პირები, მათ შორის – ქუთაისის მიტროპოლიტი ნაზარი ლეჟავა და მისი თანამოსაგრე სამღვდელო და საერო დასი. და ეს ყველაფერი საქართველოს მართლმადიდებელი საპატრიარქოს ანტისაბჭოთა კურსის ბრალიაო.

ხსენებულმა ოპოზიციამ 1926 წლის 26-27 დეკემბერს ქუთაისში ყრილობა მოაწყო, რაშიც, სავარაუდოდ, მას ირიბად და ჩუმათ საბჭოთა სპეცსამსახურები დაეხმარნენ, რადგან ეჭვი არაა, რომ ეს სამსახურები პროკომუნისტი და პროსაბჭოელი მორწმუნეების მხარეზე იდგნენ. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ყრილობის მონაწილეებმა შეიმუშავეს ეპისტოლე ,,სრულიად საქართველოს ეკლესიის მორწმუნეთა მიმართ“, რომელსაც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბროშურის სახით ავრცელებდნენ. ეპისტოლეს შინაარსი ასეთი არის: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგას. მიზეზი სხვადასხვაა: გარეგანიც და შინაგანიც. უკანასკნელში იგულისხმება საკათალიკოსო საბჭოს ,,უგუნური და მოუფიქრებელი საქციელი“, რამაც საბჭოთა მთავრობის უკურეაქცია განაპირობა, – რისხვა და შურისძიება. სოციალიზმი ქრისტიანობისათვის სანატრელი ფორმაციაა, – გვარწმუნებდნენ ეპისტოლეს ავტორები, რადგან მიზნად ისახავს ექსპლუატაციის ლიკვიდაციას და თანასწორობას. მხოლოდ ერთ რამეში ვერ დავეთანხმებით კომუნისტებს, არ არსებობსო ღმერთი. დანარჩენში ის ყველანაირად კარგი იდეოლოგიაა. ამიტომ გვმართებს მის გვერდით დგომა და მასთან თანამშრომლობა. რაც შეეხება კათალიკოს-პატრიარქ ამბროსისა და მის თანამოსაყდრე კალისტრატეს, ყრილობის გადაწყვეტილებით ისინი ეკლესიის მართვის სადავეებს უნდა ჩამოშორებოდნენ (თუმცა ამბროსის თავის პატივში ტოვებდნენ) და უნდა გაუქმებულიყო საკათალიკოსო საბჭო. საკათალიკოსოს მართვა-გამგეობის ყველა ფუნქციას თავის თავზე იღებდა ,,დროებით მმართველობა“, რომლის შემადგენლობა ყრილობაზე განისაზღვრა. ეპისტოლეს სტრიქონსა და სტრიქონს შორის იკითხებოდა კათალიკოსის წუთისოფლიდან მალე და დროზე წასვლის ოცნება. ეს ოცნება დღითი დღე ძლიერდებოდა.

და, აი, ,,დროებითმა მმართველობამ“ 1927 წლის 22 მარტს გადაწყვიტა, კათალიკოსი ამბროსი ჩამოეშორებინა ,,საქმეთა წარმოებისაგან“. ,,მმართველობის“ წევრებმა მილიციის დახმარებით ჩამოართვეს მას, უწმინდეს კათალიკოსს, დოკუმენტაცია და დაიკავეს კანცელარია. აქ შვენის უწყება, რომ ქუთაისის საეკლესიო ყრილობის ყველა დებულება და დადგენილება მეცნიერულად, წყაროთმცოდნეობის დონეზე განიხილა და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა მიტროპოლიტმა კალისტრატე ცინცაძემ. მან იმავე წლის 25 აპრილს განასრულა 456 გვერდიანი შრომა ,,ქუთაისის საეკლესიო ყრილობის გამო (მწარე მოგონებანი საქართველოს ეკლესიის ახლო წარსულიდან)“ (ცინცაძე 102)[31]. აქ მოცემულია აღნიშნული, რამდენიმე გვერდიანი ეპისტოლეს უვრცელესი განმარტება. ესაა საქართველოს ეკლესიის ახლო წარსულისა თუ, საერთოდ, ორთოდოქსული სამყაროს იურიდიულ-კანონიკური წყობილების ისტორიულ ჭრილში გასაცნობად ფასდაუდებელი დოკუმენტი, რომელიც ამ სიტყვებით მთავრდება: გადაწყვეტილება კანცელარიის ჩამორთმევის შესახებ ,,გამოუცხადეს მის უწმიდესობას მარტის 23. ამ გამოცხადების მეორე დღეს კათოლიკოზ-პატრიარქმა ამბროსიმ დაგარგა ენის ხმარების შესაძლებლობა (მარტის 25), მარტის 27 გონებაც, ხოლო მარტის 29 დილის სამ საათზე კი განუტევა სული... არ უნდა ავჩქარებულიყავით“.

უწმინდესი და უნეტარესი კათალიკოსის, ამბროსის, გარდაცვალების (1927 წლის 29 მარტის) შემდეგ საქართველოს სამოციქული საყდარი კომუნისტური რეჟიმისა და იდეოლოგიის მიმართ ოპორტუნისტულად განწყობილმა პარტიამ დაიკავა. 1927 წლის 21-27 ივნისს თბილისში შედგა სრულიად საქართველოს IV საეკლესიო კრება, რომელმაც კათალიკოს-პატრიარქად გამოარჩია და აღასაყდრა მიტროპოლიტი ქრისტეფორე ციცქიშვილი, კალისტატე ცინცაძე კი გამოცხადებულ იქნა მანგლისის ეპარქიის მმართველად, მანგლელად. ამ აქტით და ამის შემდეგ მიტრ. კალისტრატეს სამოღვაწეო სარბიელი შეიზღუდა: ის საპატრიარქოს ცენტრალურ აპარატს ჩამოშორდა და ფაქტიურად ეპარქიის გარეშეც დარჩა (კაცმა რომ თქვას, ეპარქიებში და, კერძოდ, მანგლი-

სის ეპარქიაში იმ დროს უკვე ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ეპოსკოპოსს იქ აღარც კი დაედგომებოდა; სამრევლოები აღარ ფუნქციონირებდა). მიტრ. კალისრატე რეალურად ქაშვეთის ეკლესიის წინამძღვრობას დაუბრუნდა. ის ქაშვეთის ეკლესიის გალავანში ცხოვრობდა და ძირითადად კვლევითი საქმიანობით იყო დაკავებული; მონოგრაფიულად სწავლობდა აღნიშნული ტაძრისა და მისი სამრევლოს ისტორიას, რაც განასრულა კიდეც სქელტანიანი ნაშრომის სახით (მიმოხილვა იხ. ქვემოთ). ასე გაგრძელდა 1932 წლის 10 იანვრამდე, კათალიკოს-პატრიარქ ქრისტეფორე ციცქიშვილის გარდაცვალებამდე, რომელმაც, პოზიციათა სხვაობის მიუხედავად, მოსაყდრედ მაინც მიტროპოლიტი კალისტრატე დატოვა.

1932 წლის 21-22 ივნისს თბილისში შედგა სრულიად საქართველოს VI საეკლესიო კრება, რომელმაც მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა მიტროპოლიტი კალისტრატე ცინცაძე სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის თანამდებობაზე აირჩია. აღსაყდრების (ინტრონიზაციის) ცერემონიალი სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში აღესრულა (ამ კრების დეტალები და სიტყვა, რომელიც ახლადაღსაყდრებულ მწყემსმთავარს აღსაყდრების ჟამს უნდა წარმოეთქვა, და ალბათ წარმოთქვა, ჩვენთვის ცნობილი არ არის; დოკუმენტები ამ აქტის შესახებ მის პირად საარქივო ფონდში არ მოიპოვება)[32].

საპატრიარქო ტახტს უწმიდესი კალისტრატე ორ ათეულ წელს განაგებდა.

ეს დრო, განსაკუთრებით 30-იანი წლები, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, როგორც ინსტიტუციის, საბედისწერო წლებად ითვლება, რადგან მთელი სიმწვავით დაისვა კითხვა: კიდევ რამდენ წელს შეინარჩუნებს ეს ეკლესია არსებობას?[33] გარდა სარწმუნოებრივ-ზნეობრივი გაუკუღმართებისა, რაც უკვე აღვნიშნეთ, ეს წლები ბევრი სხვა დრამატული და ტრაგიკული მოვლენებითაც აღინიშნა. მღვდელმსახურთა და მორწმუნეთა რბევა-აწიოკებამ, არნახულმა ბეგარამ და ფინინსპექტორთა თვითნებობამ აიძულა სრულიად საქართველოს საკათალიკოო სინოდი, დაუყოვნებლივ მიეღო საგანგაშო ზომები, ეღიარებინა ივერიის სამოციქუ-

ლო საყდრის უკიდურესი განსაცდელი და 1933 წლის 2 აპრილს საქართველოს სსრ ცაკისათვის შემდეგი შინაარსის მოხსენებითი ბარათი გაეგზავნათ (ცინცაძე 70. მოგვაქვს შემოკლებით): „საკათოლიკოზო სინოდს მოხსენდა, რომ ტფილისის საბჭოს საკონტროლო განყოფილებას გაუცია განკარგულება სასწრაფო ზომების მიღების შესახებ ეკლესიების დავალიანების განაღდებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი ჩამორთმევისათვის, – ეკლესიებს უკვე მოუვიდათ ბრძანება: «დავალიანება დაიფაროს სამი დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში დადებული ხელშეკრულება გაუქმებულ იქნებაო»... ცხადია, ასეთი წინადადების შესრულება ეკლესიებს არ ძალუძთ: თუ წლების განმავლობაში ვერ შეჰქონდათ მთლიანად გადასახადი და საურავები, როგორ გადაიხდიან მას სამ დღეში? მაშასადამე, უნდა ჩაითვალოს გადაწყვეტილად, – ქალაქთან დადებულ ხელშეკრულებათა გაუქმება და ეკლესიების დაკეტვა. ამას კი ბუნებრივად მოჰყვება საქართველოს ეკლესიის უზენაესი ორგანოს – საკათალიკოზო სინოდის გაუქმებაც; მისი წევრები არიან ამა თუ იმ სამრევლოს ან მღვდელი, ან მრევლი, – თუ იკეტება ეკლესია, უქმდება სამრევლო, რასაც თან სდევს საკათალიკოზო სინოდის წევრების მიერ თავიანთ უფლებების დაკარგვა: არარსებული სამრევლოს მღვდელი და მრევლი საკათალიკოზო სინოდის წევრად ვერ იქნება. ვისთვის არის საჭირო ან სასარგებლო უცხო სახელმწიფოების ოფიციალურ თუ არაოფიციალურ წარმომადგენელთა მიერ ბლომად დასახლებულ საქართველოს ეკლესიათა დაკეტვა, სამრევლოთა განიავება და საკათალიკოზო სინოდის გაუქმება? ისიც იმის გამო, რომ ახლადფეხადგმულ პროლეტარულ სახელმწიფოს ღარიბ მორწმუნე–მოქალაქეთ არ აქვთ შესაძლებლობა გადაიხადონ ერთდროულად (არა მათი მიზეზით საურავებით გასიებული თანხა) 50 000 მან. ეს ხომ საბაბს მისცემს ჩვენი ქვეყნის მტრებს ბოროტად გამოიყენონ შექმნილი გარემოება და გამოიწვიონ უზენაეს ხელისუფლებისადმი უკმაყოფილება როგორც შინ, ისე გარეთ. მიზანშეწონილია ეს?...“.

მსგავსი შუამდგომლობანი სასწრაფოდ და რამდენიმეჯერ გაეგზავნა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრე-

ზიდიუმსა და სხვა შესაბამის ორგანიზაციებს, რითაც საქვეყნოდ აღიარებულ იქნა ფაქტი: თუ რევოლუციის დაწყებამდე საქართველოში 1500 შტატის (ზედმიწერილ სასწავლებლებითა და სამხედრო ტაძრებით 2300) ეკლესია მოქმედებდა, 1934 წელს სამრევლოთა რიცხვი არ აღემატებოდა 15-ს. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის კანდიდ ჩარკვიანისადმი მიმართვაში (1934 წ.) ვკითხულობთ: „დახურულ ეკლესიათა შორის არის მსოფლიოში სახელგანთქმული მცხეთის სვეტიცხოველიც, რომელიც ცნობილია არა მხოლოდ მით, რომ ის იშვიათი ისტორიული ძეგლია, არამედ, და უმთავრესად, მით, რომ ის არის ქართველი ერის „აკვანი“ და „ემბაზი“. ჩვენი ხალხისა და ეკლესიის ურყევი ტრადიციით საქართველოს მამათმთავრის, კათოლიკოზ-პატრიარქის, კურთხევა უნდა უეჭველად მოხდეს სვეტიცხოველში. ამის გამო, ხსენებული ტაძრის არმოქმედ ეკლესიად გადაქცევა პირდაპირი ნაბიჯია ათეულ საუკუნიანი ეკლესიის გაუქმებისათვის, რაც საბაბს მისცემს ჩვენ მტერ-მოყვრებს ახმაურდნენ ახალგაზრდა რესპუბლიკის წინააღმდეგ და არასასიამოვნოდ დაურჩება ჩვენს ხალხსაც, მიუხედავად მისი შვილების რწმენის სხვაობისა თუ ურწმუნოებისა... ეკლესიის დამოუკიდებლობა ერთ-ერთი მთავარი ბოძია თვით ერის დამოუკიდებლობისა. ეს შეგნება იყო მიზეზი იმისა, რომ დიდმპყრობელურმა რუსეთის სინოდმა ასი წლის განმავლობაში მრავალფეროვან ძალადობით ერთი წუთითაც ვერ დაგვავიწყა კათოლიკოზ-პატრიარქის ფუნქციების შეჩერება, და ეხლა, როდესაც უამრავი ტანჯვა-ვაებისა და ბრძოლის შემდეგ აღვიდგინეთ ეკლესიის ავტოკეფალობა, ჩვენვე გავაუქმოთ იგი მისთვის, რომ მცხეთის რაიონის მესვეურებს დასჭირდათ ტარასი ეპისკოპოსის ბედშავი ოთახი?!... სვეტიცხოვლის მოქმედ თუ არამოქმედ ტაძრად გამოცხადებას აქვს პოლიტიკური მნიშვნელობაც, და საკითხი ამის შესახებ, თუ დღესდღეობით ყველასათვის არ არის საგრძნობი, მწვავედ წამოიჭრება მოხუც (75 წ.) კათოლიკოზ-პატრიარქის გარდაცვალების შემდეგ. ასეთ უხერხულ მდგომარეობაში რომ არ ჩავვარდეთ, საჭიროა, სანამ სვეტიცხოვლის დახურვის ამბავი არ გახმაურებულა, მი-

სი გახსნა, მით უმეტეს, რომ იგი დაიხურა ადმინისტრაციული წესით: ამა წლის ივლისის 12 დაიბარეს სვეტიცხოვლის წინამძღვრის მოადგილე ტარასი ეპისკოპოზი და უბრძანეს, – 48 საათის შემდეგ ბინა გაათავისუფლე და ტაძრის გასაღები ჩაგვაბარეო, რაც ისეთი სისასტიკით იქმნა შესრულებული, რომ გამოძევებულმა თავისი საკუთარი ნივთების ტაძრიდან გამოტანის ნებართვაც კი ვერ მიიღო“.

ჩვენთვის ცნობილია ისიც, რომ იმ ჟამს გაუქმდა (საღვთო მსახურებისათვის დაიხურა) მცხეთის რაიონის ყველა ტაძარი. სამთავროს დედათა მონასტერი იატაკქვეშეთში გადავიდა: წმ. ტრაპეზი სარდაფში გამართეს, წირვა-ლოცვასაც ღამღამობით ასრულებდნენ; მონაზვნებს იძულებითი სამუშაო დაუწესეს და ამუშავებდნენ თითქმის მუქთად სხვადასხვა დაწესებულებაში. ყოველდღიურად იყო მოსალოდნელი თბილისის სიონის იავარყოფა, ქაშვეთის გაცამტვერება (ეს ტაძარი ქალაქის ხედს აუშნოვებს და მთავრობის მშენებარე სახლს ჩრდილავსო; ის არ არის ისტორიული ძეგლი, რის გამოც უნდა ავიღოთო)[34]. ბოლო არ უჩანდა პროვოკაციულ ღონისძიებებს: ეკლესიათა გალავნებში მართავდნენ სასადილოებს, ჰიგიენის სახლებს, საერთო საცხოვრებლებს, კონცერტებს.

ჩვენს ხელთაა კ-პ კალისტრატეს მიმართვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და ფინანსთა სახალხო კომისარიატს, დათარიღებული 1940 წლის 19 მარტით (ცინცაძე 70). დოკუმენტი გვაუწყებს და გვისურათებს, რომ 30-იან წლებში მღვდლები (განსაკუთრებით სოფლად) „გამომწყვდეულნი“ იყვნენ ეკლესიის გალავანში, რომლებთანაც, პატრიარქის თქმით, „წესების შესასრულებლად მიდიოდნენ უმთავრესად ღამ-ღამობით, მეზობლებმა არ დაგვინახონო“. ფინინსპექტორები თურმე ასე „ამშვიდებდნენ“ სულიერო პირებს, რომლებიც ყოველ ახალ წელს გადიდებულ ბეგარას ვერ იხდიდნენ, რის გამოც დაჯარიმებული იყვნენ: ან გადაიხადეთ შემოწერილი თანხა ჯარიმითურთ, ან თავი დაანებეთ მღვდლობას, ან, კიდევ, მზად იყავით სასამართლოს მკაცრი მსჯავრისათვის – იძულებით სამუშაოებზე ან ციხეში გასაგზავნად! ცხადია, არასმქონე მღვდლები გადა-

სახადს ვერ ფარავდნენ და იძულებულნი იყვნენ, ან დაენებებინათ თავი სამსახურისათვის, ან მიეღოთ სასჯელი მისთვის, რომ მათი შემოსავალი მცირე იყო.

1940 წლის 29 ივნისს თბილისის კიროვის რაიონის საფინანსო განყოფილებამ კათალიკოს-პატრიარქ კ. ცინცაძეს, როგორც საპატრიარქო ტაძრის წინამძღვარს, ასეთი ულტიმატუმი წარუდგინა: „ფინანსთა სახალხო კომისარმა უარი გითხრათ სიონის ტაძარზე დარიცხული 86644 მან. და 25 კაპ. მოხსნის შუამდგომლობაზე, რის გამოც წინადადებას გაძლევთ, რათა 1/VII-მდე დაფაროთ აღნიშნული დავალიანება, წინააღმდეგ შემთხვევაში საკითხი გადატანილი იქნება აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე ტაძრის გაუქმებისა და დახურვის შესახებ“.

აღნიშნული ულტიმატუმი იმდენად მკაცრი და კატეგორიული ჩანდა, რომ საქართველოს მწყემსმთავარი იძულებული გახდა საგანგაშო დეპეშა გაეგზავნა საკავშირო მთავრობისათვის, მიემართა იოსებ სტალინისათვის და ემცნო ყველასათვის: „მიუხედავად იმისა და იმ გარემოებისა, რომ ეკლესიის არსებობა უზრუნველყოფილია დიდი სტალინის შუქმფრქვეველ კონსტიტუციით, ჩვენს ეკლესიას კარს მოსდგომია ისეთი განსაცდელი, რომელსაც შეუძლია სავსებით მოუღოს მას ბოლო სულ მოკლე ხანში... სანამ საბჭოთა კავშირის კონსტიტუციიდან არ არის ამოშლილი 124 მუხლი, ნუ იქნება ხელოვნურად მიჩქმალული, ადმინისტრაციული წესით განადგურებული საქართველოს ეკლესია და მით აღგვილი პირისაგან ქვეყნისა ქართველი ერის უძველესი კულტურის ცოცხალი ნაშთი“ (ცინცაძე 70, ფ. 130, 135)[35].

ომი და მშვიდობა

კათალიკოს-პატრიარქის წინდახედულობამ, პატრიოტთა და ინტელიგენტთა თავდადებამ (20-იან წლებში ამ მიმართულებით, კალისტრატე ცინცაძის გვერდით, იღვწოდა და იბრძოდა მწერალი გრიგოლ რობაქიძე) კომუნისტური მთავრობის კურსი საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესიის გაუქმების შესახებ გააჯანჯლა, სამამულო ომის დაწყებამ კი

ამ კურსს ბოლო მოუღო. 1941 წლის სექტემბერში საღვთო მსახურებისათვის გახსნილ იქნა სვეტიცხოველი და სამთავროს დედათა მონასტერი, შეწყდა რეპრესიები ეკლესიებისა და მათ მსახურთა მიმართ. ხელისუფალთადმი კათალიკოსის იმჟამინდელ მიმართვა-თხოვნებს, რომელთა პირები ავტორს შეუნახავს, უკვე ამგვარი მინაწერი ამშვენებს: „შეწყნარებულია სავსებით. კ.-პ. კ.“.

მეორე მსოფლიო ომის დროს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, მამათმთავრის წინამძღვრობით, ანტიფაშისტური ძალების მხარეს იდგა[36]. ფრონტისათვის სახელმწიფო ბანკში კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის სახელზე გახსნილი იყო ანგარიში, რის მეშვეობით თითოეულ მართლმადიდებელ მორწმუნეს საშუალება ჰქონდა, შეეტანა შესაწირი და წვლილი გაეღო საერთო საქმის წარმატებისათვის. მოხუცი კათალიკოსი გამოდიოდა მიტინგებზე და პრესითაც აკეთებდა მოწოდებებს, ხაზს უსვამდა ნაცისტური იდეოლოგიის ანტიჰუმანურ და ანტისაზოგადოებრივ ხასიათს; კაცთა მოდგმის დახარისხების ანუ რასიზმის სრულ შეუთავსებლობას როგორც ბიბლიის სულთან და ქრისტეს მოძღვრებასთან, ისე გერმანულენოვანი ხალხების კულტურასთან ზოგადად და დიდი გერმანელი საეკლესიო რეფორმატორის მარტინ ლუთერის სულიერ მემკვიდრეობათან კერძოდ. ასეთი თანადგომისათვის საბჭოთა მთავრობამ და პირადად იოსებ სტალინმა მას მადლობა გამოუცხადეს (ამ საგანზე მდიდარი მასალა გვხვდება კ-პ კალისტრატეს პირად საარქივო ფონფში. განსაკუთრებით საინტერესოა სტალინთან მიმოწერა: ცინცაძე 144)[37].

ომის შემდეგ კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე მშვიდობისათვის მებრძოლთა რიგებში ჩადგა. იგი მონაწილეობდა საერთაშორისო სამშვიდობო ფორუმებში როგორც ამ მოძრაობის აქტიური წევრი; გამოდიოდა სიტყვებით და ინიციატივებით (მოსკოვი 1948 და 1951 წწ.). მას ამ თემაზე მიმოწერა ჰქონდა უილიამ კინგთან, ჯოზეფ რაიტთან და ომის საწინააღმდეგო მოძრაობის სხვა წარმომადგენლებთან (ცინცაძე 164,165,171). კათალიკოსი კალისტრატე სიტყვითა და საქმით ძალმომრეობის წინააღმდგომი იყო: „მიაქციე მახვი-

ლი ალაგსავე თვისსა, რამეთუ ყოველთა, რომელთა აღიღონ მახვილი, მახვილითა წარწყმდენ“ (მათე 26,52) – ნიადაგ ახსნებდა ის ხალხს. სწორედ ქრისტესმიერი სიყვარული მიაჩნდა მწყემსმთავარს *მშვიდობისა და კაცთა შორის სათნოების* (ლუკა 2,14) საფუძვლად და სჯეროდა, რომ მშვიდობა და უზნეობა ურთიერთშეუთავსებელი რამ ცნებებია, რომ თვით რჯულია სრულყოფილი ზნეობის წყარო, მხოლოდ ღვთის რწმენა გადაარჩენს კაცობრიობას. არაერთ ისტორიულ ამბავს გვითხრობდა იგი იმის დასტურად, თუ რა შედეგი მოსდევს ძალმომრეობას. სამეცნიერო მოხსენების ტიპის ერთ ქაგადებაში, რომელიც მან წმ. ნინოს ხსენების დღეს სიონში წარმოთქვა, აღნიშნულია: „როდესაც მირიან მეფეს აღეძრა სურვილი, ქრისტეანობა შეეტანა შორის „მთიელთა, ჭართალელთა, ფხოელთა, გუდამაყრელთა და წილკანელთა“ იძულებითა და მახვილით“ და ეს აზრი გაუზიარა წმიდა ნინოს, უკანასკნელისაგან მიიღო პასუხად: „არა ბრძანებულ არს უფლისაგან მახვილისა აღება, არამედ ჯერ-არს სახარებითა და პატიოსნითა ჯვარითა უჩვენო გზა ჭეშმარიტი, მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ და ვსასოებ, მადლმან ღვთისამან განანათლოს ბნელი იგი გულთა მათთაი“... მირიან მეფემ ეს უბრალო ჭეშმარიტება ვერ შეიგნო და „მცირედ წარმართა მახვილი... და (ფხოელთა) შიშით მოსცნეს კერპნი მათნი დალეწად“, მაგრამ თვით კი „გადაკრბეს თოშეთს“. ასეთი ნაყოფი გამოიღო მირიან მეფის უადგილო გულმოდგინებამ და წმიდა ნინოს მიერ ნაჩვენებ გზიდან გადახვევამ: ფხოელები ქრისტეანობასაც გაექცენ და სამშობლო ტერიტორიაც დააცალიერეს. ამ ცდამ დაარწმუნა საქართველოს მპყრობელი ნინოს მიერ არჩეული გზის უპირატესობაში, რის გამოც ხელი აღარ შეუშლია წმ. ქალწულისათვის... და ამრიგად გავრცელებული სარწმუნოება ჩვენთვის შეიქმნა „უდიდეს ზნეობრივ ძალად, რომელმაც აამოძრავა და დაიმორჩილა მთელი საქართველო და რომელიც გადაიქცა ერის სინიდისის საზომად არა გარეგანი რაიმე საშუალებით, არამედ ერის გონების განახლებით და განსჯა-განცდით, *რაჲ იგი არს ნება ღვთისა კეთილი, სათნო და სრული* (რომ. 12, 2)“[38].

პატრიარქი მიისწრაფოდა, რომ მსოფლიოს ავტოკეფა-

ლურ ეკლესიებს ეცნოთ ქართველი მართლმადიდებელი ერისა და ამ ქვეყნის ეკლესიის საპატრიარქო უფლებები და მართლმადიდებლთა საერთაშორისო ოჯახში ისტორიულად კუთვნილი ადგილი მიეჩინათ მისთვის. კერძო პირთათვის დაწერილ წიგნში: „შენიშვნები საქართველოს ეკლესიის ისტორიიდან“ კ-პ კალისტრატე ხაზს უსვამდა წვლილს, რომელიც მისმა ერმა და ეკლესიამ შეიტანეს საქრისტიანოსა და მსოფლიო კულტურის სალაროში. მითითებულ თხზულებაში ვკითხულობთ: „ვისაც სურს გაეცნოს ქართული ტაძრების კედლების მოხატულობასა და ფერწერას, დაათვალიეროს უბისი, ყინწვისი, გელათი, სვეტიცხოველი და მრავალი სხვანი და თუ ამის შემდეგ მინაწერების, მინიატურებისა და ხელთნაწერების გაცნობის სურვილი აღეძრება, მოინახულოს ჩვენი მუზეუმები... მაშინ ის დარწმუნდება, რომ საქართველოს ეკლესიას თამამად შეუძლია წარდგეს დიდი ერების ეკლესიებთან და თქვას: ის მცირე ნაშთი, რაც ჩემი წარსულიდან გადაურჩა ცეცხლს, მახვილსა და წუმწუმას, რით ჩამოუვარდება მტრებისაგან ხელუხლებელ თქვენს ძეგლებს?“.

საქართველოს საპატრიარქო უფლების საერთაშორისო აღიარებისათვის საქართველოს საკათალიკოსოს მოწვევით 1943 წლის 28 ოქტომბერს თბილისში სტუმრად ჩამოვიდა სრულიად რუსეთის პატრიარქ სერგის მიერ ოფიციალურად წარმოგზავნილი სტავროპოლისა და პიატიგორსკის მთავარეპისკოპოსი ანტონი. კვირას, 31 ოქტომბერს, მისი მეუფების თანამწირველობითა და კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატეს მიერ სიონის ტაძარში შესრულდა საღმრთო ლიტურგია, რომლის ძალით და რომლის შემდეგადაც აღდგა ძმური ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს შორის (იხ. „Журнал Московской Патриархии“, Москва, 1944, №3, გვ. 13-19). ამ აქტით რუსეთის ეკლესიამ თავისი ისტორიის მანძილზე ოფიციალურად და ფორმალურ-კანონიკურად პირველად ცნო საქართველოს ეკლესიის თვითთავადობა, დიფტიქში მეექვსე ადგილი განუკუთვნა მას და ამ ფაქტის შესახებ ოფიციალური დოკუმენტით აუწყა აღმოსავლეთის მართლმადიდებელ მწყემსმთავრებს, რითაც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას გზა გაეხსნა

მსოფლიოს სხვა საპატრიარქოებთან ურთიერთობისთვის. ამის შემდეგ შესაძლებელი გახდა, დაწყებულიყო მოძრაობა იმ მიზნით, რომ აღნიშნულ საპატრიარქოებსაც ოფიციალურად და კანონიკური წესებით ეღიარებინათ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია დე-იურე[39]. ზაგორსკის სასულიერო აკადემიის მესვეურებმა (ეს აკადემია 1946 წელს განახლდა) ჯეროვნად შეაფასეს კათალიკოს კალისტრატეს ქრისტოლოგიური განსწავლა და 1948 წელს მიიწვიეს იმავე აკადემიის სამეცნიერო საბჭოს წევრად.

მამათმთავარი ომისშემდგომაც იღვწოდა, რომ მშვიდობიანი თანაარსებობა დამყარებულიყო საერო და სასულიერო მთავრობებს შორის, რათა ეკლესიას კულტურულ-ზნეობრივი განვითარების შესაძლებლობა მისცემოდა. ამ მიზანს პატრიარქმა დიპლომატიური ცოდნა და ენერგია შეალია: საბჭოთა მთავრობას იგი „უამითიუჟამოდ“ სწერდა მოხსენებით ბარათებს, რითაც უსაბუთებდა ეკლესიის მნიშვნელობას ქვეყნის სულიერი ცხოვრებისათვის, ქართველი სამღვდელოების დადებით როლს ჩვენი ისტორიისათვის და იმას, რომ ერის ზნეობა დღესაც აუცილებლობს სარწმუნოებასა და ეკლესიას, რომ კულტურისა და მეცნიერების წინსვლისათვის, მყოფადისათვის აუცილებელია, გავუფრთხიდლეთ და მონაგართ ვუანდერძოთ წარსულის ცოცხალი ნაშთი – ეკლესია. ხელისუფალთადმი ერთ-ერთ ოფიციალურ მიმართვაში კ-პ კალისტრატე ამბობდა: „სამსახურებრივ და სინიდისის მოვალეობად ვთვლი მოგახსენოთ შემდეგი: საქართველოს ეკლესია უძველესი კულტურული დაწესებულებაა ჩვენში. მან სულიერად გამოზარდა ჩვენი ხალხი, გადაარჩინა გათათრებასა და გარუსებას და შეუნარჩუნა საკუთარი ეროვნული სახე. დოღმატიური სწავლით იგი არ განსხვავდება სხვა მართლმადიდებელ ეროვნებათა ეკლესიისაგან, მაგრამ საუკუნეთა მანძილზე მას გამოუმუშავებია თავისებური კილო კითხვისა და გალობისა, წესებისა და წირვა-ლოცვის შესრულებისა, რაც პირადი გადაცემით გადადის ერთი თაობიდან მეორეში, რადგანაც, საგალობლების მცირე ნაწილის გარდა, ყოველივე ზემოაღნიშნული ნოტებზე გადაუღებელია და სათანადო გამოკვლევებში აღუნუსხველი. განუსაზღვრელი ძალაუფლებით შემოსილის

უწმიდესის სინოდის ხელისშეწყობით მთლიანად გადაღებულია ნოტებზე რუსულ (სლოვენურ) ღვთისმსახურების საგალობლები, სახარება-სამოციქულოს საკითხავები, ჟამნ-დავითნის კითხვის მანერები და მღვდელ-დიაკვნის სათქმელი კვერექს-ასამაღლებლები, ხოლო წესებისა და მღვდელმოქმედებათა შესრულების შესახებ დასტამბულია ათეული ტომები მცოდნე პირების მიერ. ამავე დროს ჩვენში უწმიდესი სინოდი არამც თუ არ აწარმოებდა კვლევა-ძიებით მუშაობას და ხელს უწყობდა ძველი კულტურის ნაშთების დაცვას, არამედ, მის მიერ მოვლინებულ „განმანათლებელთა“ პირით, გიორგი ხუცესმონაზონისა და შოთა რუსთველის ენას ძაღლების ყეფად თვლიდა, მიქელ მოდრეკილის ჰანგებს მგელთა ხროვის ყმუილს უწოდებდა და „ბრძნულად“ გვირჩევდა – რუსული საგალობლების ნოტებს მიუწერეთ ქართული სიტყვები და ეზიარეთ კულტურული ხალხის ღვთისმსახურებასო... დღეს კი, როდესაც მცირე ერების კულტურული ნაშთები არ არის დატოვებული საბჭოთა მთავრობის ყურადღების გარეშე, ეკლესიურ მხარესაც, უდგებიან რა წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით, იკვლევენ და სწავლობენ. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ შესასწავლი და დაუწერელია, და ეს ბევრი რამ მოიპოვება მხოლოდ ეკლესიის წიაღში“ (ცინცაძე 70, ფ. 130).

კათალიკოსი კალისტრატე აქტიურად ჩაება იმ პოლიტიკურ მოძრაობაში, რომელიც 1945 წლის დასაწყისიდან სტალინის ინიციატივით გაჩაღდა და რომელიც თურქეთისაგან მიტაცებული ქართული მიწა-წყლის ისტორიულ სამშობლოსთან, საქართველოსთან, დაბრუნებას და ისტორიული სამართლიანობის აღდგენას ისახავდა მიზნად. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობელი, აჭარელი მუსლიმების ლიდერ რასიხ ბერიძესთან ერთად, მხარში ამოუდგა ცნობილ მეცნიერ-ისტორიკოსებს და მწერლებს, რომლებიც აღნიშნულ იდეის ხორცშესხმისათვის იღვწოდნენ. ამ იდეის ისტორიულ საფუძველებსა და სამართლიანობას ასაბუთებდნენ. ამის დასტურია მისი პუბლიკაცია – „წერილი რედაქციის მიმართ“ („კომუნისტი“, 1946, 8.I, №6)[40]. ცნობილია ამავე ავტორის სხვა დოკუმენტიც, დაცული მის პირად საარქივო ფონდში (ცინცაძე 115): „საქართველოს საკთოლიკოზოს ზემო

ქართლის ეპარქიებისათვის“, რომელშიც ვკითხულობთ: „დროა ქრისტიანულ საქართველოს გვერდში ამოუდგეს 400 წლის განმავლობაში მისგან ჩამოშორებული მკვიდრი ძმა და მასთან ერთად შეუდგეს ადამიანის გამაფაქიზებელ და ამამაღლებელ კულტურულ მუშაობას... ოსმალეთის პრესის ზოგიერთი წარმომადგენელნი ავრცელებენ ხმას, ვითომც მუსულმან ქართველთა გაერთიანება საქართველოსთან გამოიწვევს საქართველოს ეკლესიის მიერ მათ გაქრისტიანების ცდასო. ჩვენ აღთქმას ვდებთა ჩვენისა და ჩვენი მოადგილეების სახელით: გაბრიყვებით, მზაკვრობითა და ცთუნებით არც ერთი მუსულმანი არ იქნება გაქრისტიანებული“. ამ წერილითვე მან წარმოგვიდგინა „ზემო ქართლის“ სახელით ცნობილი ტერიტორიის ეპარქიათა სრული სია: ალაშკერტის, ანჩის, ბანის, დადაშენის, ერუშეთის, იშხანის, კარის, სატრაფელას, ტბეთის, წურწყაბისა და წყაროსთავისა, რაც, მისივე მითითებით, უდრის ახლანდელი ოსმალეთის ოლქებს: ათინს, ალაშკერტს, ართვინს, არტაანს, ბასიანს, გუმბრისს, თორთომს, ისპირს, კისკომს, ოლთისს, რიზეს, ყარსს, ყაღზევანს და ხოფას, მეტწილად მუსლიმანი ქართველებით დასახლებულს. „ეს ის მხარეა, – აღნიშნავს ავტორი, – სადაც დაირწა აკვანი ქართული კულტურული ცხოვრებისა და სადაც ყველაზე ადრე შეიგნეს აუცილებლობა პოლიტიკურად გაერთიანებისა ცალ-ცალკე დაყოფილი საქართველოსი“[41].

წარსულის მემკვიდრეობისათვის

მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ არამცირედი ამაგი დასდო ისტორიული ძეგლების მოვლისა და პატრონობის საქმეს. შვენის უწყება, რომ ამ მიმართულებით ის დეკანოზობის დროსაც იღვწოდა. იგი იყო იმ კომიტეტის მდივანი, რომელიც მიზნად ისახავდა მცხეთის ჯვრის ტაძრის აღდგენასა და დაცვას. ჩვენს ხელთაა თაბახის ფურცლის ორივე გვერდზე სტამბურად დაბეჭდილი ტექსტი, რომლის რამდენიმე ეგზემპლარი დაცულია მის პირად საარქივო ფონდში. ესაა მოწოდება მოქალაქეებისადმი, რათა გამოიჩინონ კეთილი ნება და მატერიალურად დაეხმარონ კომიტეტს. ენა,

ლექსიკა და სტილი ცხადყოფს, რომ ამ დოკუმენტის ავტორი არის დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე. მოწოდების ტექსტი, დაწერილი მე-20 საუკუნის 10-იან წლებში (ზუსტი თარიღი არ უზის), საყურადღებოა არა მხოლოდ ძეგლთა დაცვის ისტორიის კუთხით, არამედ მეცნიერული თვალსაზრისითაც საგულისხმო დეტალებს შეიცავს.

აი, ამ ტექსტის ძირითადი ნაწილი:

«მცხეთის პირდაპირ, არაგვის გაღმა, ფრიალო კლდის პირად, დიდებულად აღიმართება და სანუგეშოდ გადმოჰყურებს არემარეს უუძველესი ქართველთ ტაძარი – ,,ჯვარის საყდარი" ანუ, როგორც ზოგნი ეძახიან, ,,ჯაჭვის საყდარი".

გარდმოცემა გვეუბნება, სადაც ეს ტაძარია აღმართული, იქ ერთ დროს წმ. ნინოს უცხოვრიაო. აქ იგი დაბინავებულა იმავე კლდის დასავლეთ ფერდობზე, ერთ გამოქვაბულში, და ცრემლით გამოუთხოვნია უფლისაგან სასმელი წყარო. ეს წყარო დღესაც განთქმულია, ,,ძუძუს წყლის" სახელით, მცხოვრებთა შორის სასწაულითა. იქვეა გამოქვაბულიც.

თვით იმ ადგილს, სადაც დღეს საყდარი სდგას, წმ. ნინოს აღუმართავს ერთი იმ ოთხ ჯვართაგანი, რომელნიც სასწაულთ-მოქმედის ხისაგან იყვნენ გაკეთებულნი. დღეს ეს ჯვარი თვით ტაძარშია დასვენებული და მისს უდიდეს სიწმიდეს შეადგენს.

მეშვიდე საუკუნის დასაწყისში, ქართლის მამფალთა, სტეფანოზისა, ადარნასესი და დემეტრეს მიერ აღშენებულმა ,,ჯვარის საყდარმა" შეუკეთებლად მოაწია ჩვენამდე და თავის კედლებზე მრავალი ძვირფასი საისტორიო-საარქეოლოგიო წარწერა და საქანდაკო-ჩუქურთმოვანი სამკაული შეგვინახა.

1893 წელს აწ გარდაცვალებულმა ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოზმა თავისი საფასით ამ ტაძარს რკინის სახურავი გადაჰხურა, მაგრამ ეს სახურავი მალე ქარმა გადაჰგლიჯა, და დღეს ეს დიდებული ნაშთი ირღვევა, და თუ ძლიერ მალე არ მივეშველნეთ, სრულად დაიქცევა. ამის დაქცევა კი იქმნება დაქცევა და აღმოფხვრა უუძველესი ქართულ ხუროთმოძღვრების ნაშთისა, უუძველესი ქართულის ანბანის და წერის ნიმუშებისა. ბევრ ტაძარ-მონასტრებს და

ეკლესიებს მოუწევია ჩვენამდე დანგრეულს თუ დაუნგრეველს, ბევრი კედლის წარწერები და ტყავის წიგნები მოგვეპოვება, მაგრამ არც ერთ ეკლესიისა არ შეგვიძლია დამტკიცებით ვთქვათ, ჯვარის ეკლესიის უადრეს იყვეს აშენებული, არც ერთ სხვა წარწერის არა გვაქვს საბუთი გადაჭრით უჩვენოთ, რომ ჯვარის წარწერის დროს ეკუთვნის. ამიტომ ამ უუძველეს ხუროთ-მოძღვრების ნაშთს და ქართულ პალეოგრაფიის უძველესის ნიმუშის შენახვას განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვექცეთ, განადგურებას გადავარჩინოთ და შეურყეველი გადავსცეთ მომავალ თაობას».

აღნიშნული მიმართულებით კალისტრატე ცინცაძეს შრომა და რუდუნება არასდროს შეუნელებია. პირიქით: მან ამ სფეროში ღვაწლი მას შემდეგ გააათკეცა, რაც ათეისტმა კომუნისტებმა ეკლესიებისა და მონასტრების წინააღმდეგ ვანდალური ბრძოლა დაიწყეს. მისი თავდაუზოგავი მცდელობით მრავალ ტაძარს ასცდა დანგრევა (მაგალითად, ქაშვეთის ეკლესიას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გრიგოლ რობაქიძესთან ერთად). იგი სათანადო დაწესებულებებს განუმარტვდა, თუ დღევანდელობისათვის რაოდენი მნიშვნელობა აქვს გარდასული წლების ცოცხალ ნაშთს – მართლმადიდებელ ეკლესიას თავისი არქიტექტურით, საღვთისმსახურო წესებითა და სულიერი მემკვიდრეობით. მის წინადადებსა და თხოვნას მთავრობა უმეტეს შემთხვევაში ანგარიშს უწევდა (გავითვალისწინოთ, რომ იმდროინდელი მთავრობისა და ხელისუფლების წარმომადგენელთა უმეტესობა მისი ნამოწაფარი იყო).

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეკლესიას შედარებით წყნარი ცხოვრება ეღირსა. ანტირელიგიური კამპანიაც, ასე თუ ისე, მშვიდობანი გახდა: ეკლესიების ნგრევა, ანდა ადმინისტრაციული წესით დაკეტვა, სასულიერო პირების დაჭერა-გადასახლება აღარ ხდებოდა. ამის წყალობით საქართველოს საკათალიკოსომ მოახერხა და 1946 წელს ბროშურის სახით გამოსცა „სიონის ტაძრისათვის მცირედი ცნობანი“. ამავე წელს დაიბეჭდა საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებანი. 1944 წლიდან დაიწყო ყოველწლიური საეკლესიო კალენდრის გამოცემა. ლადო გუდიაშვილის მიერ მოიხატა ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის საკურთხველი: იხ. ლ.

გუდიაშვილი, მოგონებების წიგნი (ლიტერატურული ჩანაწერი თინათინ კობალაძისა), თბ. 1979, გვ. 85-87. ასეთი რამ 30-იან წლებში თითქმის წარმოუდგენელი იყო.

კალისტრატე ცინცაძემ მნიშვნელოვანი ამაგი დასდო ქართულ სიძველეთსაცავებს. 1928 წელს, მიტროპოლიტობისას, მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიძველეთსაცავს (ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ფონდს) შესწირა ხელნაწერები: „ლოცვანი“ (ქეთევან დედოფლის ნაქონი, XVI), „მარგარიტი“ (ქადაგებათა წიგნი, XVI), „სჯულის კანონი“ (დავით რექტორის გადაწერილი) და სხვა, რაც უდრის დღევანდელი ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდის №№ 1064, 1291,1737,1738,1739. კალისტრატე ცინცაძე ფხიზლად ადევნებდა თვალყურს მშობლიური მეცნიერების წინსვლას და არაერთხელ გაუწევია სამსახური მისთვის საფუძვლიანი შენიშნვებით რიგ დარგში; არაერთხელ გამოსულა ის სამეცნიერო სესიებზე და არაერთი კონსულტაცია გაუწევია მას ქართველოლოგიის სხვადასხვა უბანზე მკვლევრებისათვის, თანამემამულეებისთვისაც და უცხოელებისთვისაც.

ამაგდარი სულიერი მოძღვარი

სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე კალისტრატე ცინცაძე დაუმეგობრდა ქართულ კულტურას. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე არ გადადგმულა მნიშვნელოვანი ნაბიჯი ერის სულიერი წინსვლისა, საყურადღებო კვალი რომ არ დაემჩნია მას სიტყვითა თუ საქმით. მართალია, ახალი (საბჭოთა) კანონის მიერ ეკლესიის სარბიელის მკაცრად შემოიფარგლა და მისი მოღვაწეობის არეალიც შეიზღუდა, მაგრამ კათალიკოსი კალისტრატე, როგორც დიდად განათლებული სასულიერო პირი, დამსახურებული პედაგოგი და კულტურტრეგერი, მაინც ინარჩუნებდა ავტორიტეტს ერის სულიერი ცხოვრების ბევრ დარგში. მას ანგარიშს უწევდნენ და მისი დამსახურების წინაშე ქედსაც იხრიდნენ თვით კომუნისტური მთავრობისა და წითელი ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებსაც ახსოვდათ, და კეთილად ახსოვდათ, მისი პედაგოგიური ღვაწლი და სათნოება. მის მიმართ პიროვნულ

პატივისცემას გამოხატავდნენ კომუნისტური ზედაფენის წარმომადგენლები: იოსებ სტალინი, კანდიდ ჩარკვიანი, ზაქარია კეცხოველი და სხვანი, თუმცა საქართველოში, ისე როგორც საბჭოთა კავშირში ზოგადად, ანტირელიგიური პროპაგანდის მასშტაბი, ძალადობრივ მეთოდებზე უარის თქმის მიუხედავად, არ შემცირებულა.

კალისტრატე ცინცაძის პიროვნების ინტელექტუალურ სიღრმეზე და, რაც მთავარია, მის სასულიერო და კულტუროლოგიურ ღვაწლზე, მის დამსახურებაზე განათლების, ხელოვნებისა და მეცნიერების წინაშე მეტყველებს მისი ხანგრძლივი და შინაარსიანი სამოძღვრო პრაქტიკა. აქ აგრეთვე (სხვათა შორის) იგულისხმება რიგი კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიების დროს მის მიერ გადახდილი პარაკლისები და ამ პარაკლისებზე წარმოთქმული ქადაგებები, ასევე, რელიგიის, კულტურისა და მეცნირების მოღვაწეთადმი მიძღვნილი ეპიტაფიები (გასვენებებზე წარმოთქმული სიტყვები). ამგვარი სიტყვა-ქადაგებებით ის საკითხის ძირითად, განმსაზღვრელ და ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტებს გამოკვეთდა ხოლმე, ეს ეპიტაფიები (რომელთაგან ბევრი გამოუქვეყნებელია) ძალზე საინტერესო და ფასეულია ქართული კულტურისისა და, მეტადრე, მწერლობის ისტორიისათვის[42]. ასეთ ეპიტაფიათა შორის პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ: „განჯითგან ნიკოლოზ ბარათაშვილის გადმოსვენების გამო“, „გიორგი დავითის ძე ქართველიშვილის გარდაცვალების გამო“, „სამსონ თოფურიას გარადაცვალების გამო“, „ილიას გარდაცვალების გამო“, „ყოველად სამღვდელო ალექსანდრეს გარდაცვალების გამო“, „გრიგოლ ორბელიანის გარდაცვალებითგან ოცდახუთის წლის შესრულების გამო“, „დ. ზ. სარაჯიშვილის გარდაცვალების გამო“, „ალექსანდრე სამსონის ძე ხახანაშვილის გარდაცვალების გამო“, „კ. ს. მესხის გარდაცვალების გამო“, „ნიკო ლომოურის გარდაცვალების გამო“, „თევდორე დავითის ძის ჟორდანიას გარდაცვალების გამო“ და სხვა*.

---

* ტექსტები ავტორისეული ბიბლიოგრაფიული შენიშვნებით იხ. ზემოთ („ყვავილკრებული“).

პატრიარქი მღვდელმსახურებასთან ერთად განაგრძობდა მეცნიერულ-შემოქმედებით მუშაობას. მან ხელი მიჰყო იმდროისათვის მთელი სიმწვავით წამოჭრილი საკითხების გაშუქებას. სწორედ ამგვარი საკითხებია დასმული და გაანალიზებული მის შემდეგ შრომებში: „ვეფხისტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობისათვის (შემთხვევითი დაკვირვებანი)“, კრიტიკული შენიშვნები შ. ნუცუბიძისა და მ. გოგიბერიძის რუსთველოლოგიური შრომების შესახებ, ტექსტოლოგიური შენიშვნები ვეფხისტყაოსნის კონსტანტინე ჭიჭინაძისეული გამოცემის მიმართ, „კანონნი წმიდათა მოციქულთანი“ (გამოკვლევით და შენიშვნებით), „ქართული ოდიკისათვის“, „ნიკიფორე ირბაქის ვინაობისათვის (ქართული წიგნის 300 წლისთავის იუბილეს გამო)“, „მასალები საქართველოს ეკლესიის კალენდრის შესახებ“, „ქვაშუეთის წმ. გიორგის ეკლესია (ისტორიულ-არქეოლოგიური ძიებანი)“, „ივერიის საეკლესიო წესი“ (რუს. ენაზე), „მცხეთა და მისი ტაძარი „სვეტიცხოველი“ (რუს. ენზე), შენიშვნები „საქართველოს ისტორიის“ ჯანაშიასეულ ნაშრომზე და სხვა. მან დაგვიტოვა მოგონებათა ციკლი XIX–XX საუკუნეების ბევრ თვალსაჩინო მოღვაწეზე. მღვდელმთავრობისდროინდელ შრომათა უმრავლესობას ის „კ. მ. ეკაშვილის“ ფსევდონიმით აწერდა ხელს.

გამოკვლევა „ნიკოფორე ირბაქის ვინაობისათვის“ მეცნიერმა მიტროპოლიტობის დროს, 1929 წელს, დაწერა (ავტოგრაფი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში: ცინცაძე127)[43]. ხელნაწერის აშიაზე ავტორს ნაღვლიანდ მიუწერია: „ეს წერილი უნდა დაბეჭდილიყო „მნათობში“ (სათანადო წარწერაც ადასტურებს ამას), მაგრამ ფსევდონიმის გამომჟღავნების გამო უკან დამიბრუნეს. მერე წაიღეს (მეორე ცალი) „ლიტერატურული მემკვიდრეობისათვის“, მოიწონესო, მითხრეს, მაგრამ არ დასტამბეს... მესამე ცალი დღესაც ი. თავაძესთან არის... გადასცა ვ. ეგნატაშვილმა“. სათაურთან გვხვდება მინაწერი (სხვა მელნით და ხელით): ,,წერილი იბეჭდება საკითხის დადგინებისათვის. რედ.”. მაშასადამე, ეს ან ,,მნათობის”, ან ,,ლიტერატურული საქართველოს” იმდრო-

ინდელი რედაქტორის ავტოგრაფია. მას, ჩანს, მასალის გამოქვეყნება დაუგეგმავს, მაგრამ ამაოდ.

შრომა ერთობ საყურადღებოა. იგი ეძღვნება პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის 300 წლისთავს და ამ სანატრელი წამოწყების ერთ-ერთი სულისჩამდგმელის – ნიკიფორე ირბაქის – ვინაობას. ნიკოფორე ირბაქი (ანუ ირბახი) თანაავტორია პირველი ქართული დასტამბული წიგნისა „ქართულ-იტალიური ლექსიკონი“, რომელიც კათოლიკე მისიონრების დამწყალობებით დაიბეჭდა რომში 1629 წელს.

როგორც თავფურცელი გვამცნობს, ლექსიკონი შეუდგენია იტალიელ ბერს სტეფანე პაოლინის, რომელსაც ამ საქმეში დახმარებია „წმიდა ბასილის წესის მონაზონი“, „ქართველი“ ნიკიფორე ირბაქი. ძველთაგანვე განმტკიცებული იყო აზრი, რომლის თანახმად ნიკიფორე ირბაქი არის გაკათოლიკებული ქართველი (შდრ. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ. 1902, გვ. 92-95). მაგრამ მკველვარმა დ. კარიჭაშვილმა დაარღვია ტრადიციული შეხედულება და ნიკიფორე ირბაქი იმ ცნობილ ბერძენ მიტროპოლიტად მიიჩნია, რომელიც იერუსალიმიდან დიპლომატიური მისიით იყო წარმოგზავნილი საქართველოსა და რუსეთში (დ. კარიჭაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, თბ. 1929, გვ. 17-22).

კ. მ. ეკაშვილის გამოკვლევის მიზანია ქართულ და უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით გაარკვიოს იმ მამულიშვილის ვინაობა, რომელმაც ქართული ანბანი პირველად აზიარა იოანე გუტენბერგის გამოგონებას. ავტორი ასაბუთებს, რომ მე-17 საუკუნის პირველი ნახევრიდან ცნობილი ორი ნიკოფორე (ერთი – ეპისკოპოსი და მეორე – მიტროპოლიტი) სხვადასხვა პიროვნებაა. ამათგან პირველი ქართველია, მეორე – ბერძენი. მკვლევრის მეცნიერული არგუმენტაციის თანახმად, ქართველი ნიკიფორე იყო იერუსალიმის ქართული მონასტრის წინამძღვარი, რომელიც შემდგომ ეპისკოპოსის ხარისხით შეიმოსა. თეიმურაზ პირველმა 1626 წელს სწორედ ის წარგზავნა ევროპაში ელჩად, სადაც მან სტეფანე პაოლინის ხელი გაუმართა ქართულ-იტალიურ ლექსიკონზე მუშაობისას. იერუსალიმის ქართული მონასტრის იმდროინდელ

(მე-17 საუკუნის პირველი ნახევრის) აღაპებსა თუ სხვა დოკუმენტებზე დაკვირვებამ, აღნიშნული ლექსიკონის გაანალიზებამ მეცნიერი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ნიკიფორე ირბაქი იგივე ნიკიფორე ირუბაქიძე-ჩოლოყაშვილია („ირბაქი“ ანუ „ირბახი“ „ირუბაქიძის“ იტალიური სახეცვლილებაა): „ნიკოფორე ირბაქი არის კახი, ჩოლოყაშვილი, ომანის ძე, ჯვრის მამა, გოლგოთის იღუმენი, ბრძენი, ფილოსოფოსი, რიტორი, შვიდი ენის მცოდნე“. კალისტრატე ცინცაძე არ იზიარებს მამა მიხეილ თამარაშვილისა და სხვათა გავრცელებულ აზრს ნიკოფორე ირბაქის გაკათოლიკების თაობაზე და ფიქრობს, რომ ეპისკოპოს ნიკოფორეს, რომელიც იღუმენის მოვალეობასაც ასრულებდა გოლგოთის ქართულ მონასტერში, კათოლიკობა არ მიუღია. მაშ საიდან გაჩნდა ცნობა მისი გაკათოლიკების შესახებ? ამის მიზეზი მოძღვარ ნიკიფორე-ნიკოლოზის მაღალ სარწმუნოებრივ კულტურაში უნდა ვეძებოთ. მკვლევარი ამბობს: მამა ნიკიფორე იყო ,,იწრო სარწმუნოებრივ სექტანტობისაგან თავისუფალი და ფართო მსოფლმხედველობის ადამიანი”, რის გამოც მას კათოლიკეებთან თბილი ურთიერთობა ჰქონდა და უკანასკნელნიც ფიქრობდნენ, კათოლიკეაო (გვ. 27, შენ. 52). ფაქტია, რომ ქართული წიგნის დიდი ამაგდარი ბოლომდე პატივცემული იყო როგორც მართლმადიდებელთაგან, ისე კათოლიკეთა მხრიდან.

კალისტრატე ცინცაძის სამეცნიერო მოღვაწეობაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ისტორიულ-არქეოლოგიური ხასიათის შრომებს ქაშვეთის ეკლესიის შესახებ. ამ საკითხით იგი ადრე დაინტერესებულა და 1910 წელს შესაბამისი წერილებიც გამოუქვეყნებია ხელმოუწერლად ქართულ-რუსულ გაზეთებში. აღნიშნულ წელს იკურთხა ახალი ტაძარი (შენობა) და ტრაპეზი ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიისა. მაშინ, საეკლესიო ცხოვრების თითქმის ყველა უბანზე რუსული ყაიდის ბატონობის დროს, ეროვნული ტრადიციით ტაძრის აგება-გამშვენება არაჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამიტომაც გაუღიზიანებია მამაპაპისეული ტრადიციით შედგენილ პროექტს „ყოველსავე ქართულის მოძულე ადმინისტრაცია რუსეთისა“. კ. ცინცაძე გვიამბობს (იხ. მისივე „ტფი-

ლისის ქვაშვეთის წმ. გიორგის ტაძრისათვის"; რემინგტონ-ზე: ცინცაძე 70, ფ. 101): „1903 წლის იანვარში გეგმა წარედგინა დასამტკიცებლად და საგუბერნიო სამმართველოში გასაგზავნად ალექსი ეგზარხოსს აღმშენებლ [ტაძრის მშენებლობის] კომიტეტის მრთელი შემადგენლობის მიერ, თავმჯდომარის, გენერალ-ადიუტანტის თავადის ივანე გივის ძის ამილახორის მეთაურობით. ეგზარხოზმა გადაავლო გეგმას თვალი თუ არა, გამოსწია თავის სამუშაო მაგიდის ერთ-ერთი უჯრა, ამოიღო ხახვისთავა გუმბათიანი ეკლესიების მრავლად დამზადებული გეგმები (ვიატკიდან ჰქონდა ჩამოტანილი), გადაუშალა ამილხორს და უთხრა: ეს არა სჯობია, თქვენო ბრწყინვალებავ! აქ სამი მხრით ხოროები არის, ხალხიც მეტი დაეტევა, ლამაზიც არის და იაფიც დაჯდებაო. ამილახორმა, გაითვალისწინა რა, თუ რა სუნით იყო გაჟღენთილი ეს წინადადება, მოახსენა პატრიოტ-მღვდელთმთავარს: შეიძლება, თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, ეს სჯობდეს კიდეც, მაგრამ ჩვენ მამა-პაპას გამოუმუშავებია აი ის გეგმა, ჩვენი მხრის საუკეთესო ტაძრები იმ გეგმით უშენებიათ და ჩვენც გვსურს ჩვენი სამრევლო ტაძარიც ამნაირად ავაგოთო. ეგზარხოსმა არც აცივა და არც აცხელა: თქვენო ბრწყინვალებავ, წინაპრებს რაც სისულელე (გლუპოსტი) ჩაუდენიათ, ჩვენ როდი უნდა გავიმეოროთ! ოთხმოცი წლის მოხუცმა ძლივს შეიკავა თავი და მხოლოდ ეს მოახსენა: წინაპართა ამ მოქმედებაში ვერც ჩვენ, უბრალო სიკვდილის შვილები, ვერც ჩვენი და უცხო ქვეყნების მეცნიერნი ვერ ხედავენ სისულელეს და თქვენ კი, როგორც გნებავთ, ისე იფიქრეთო. ენაშეუბრუნებლობას დაჩვეულმა თვითმპყრობელობის განაწყენებულმა მოხელემ თითქმის ერთ წელიწადს დააგვიანა გეგმის გაგზავნა დასამტკიცებლად, მაგრამ ბოლოს ანგარიში გაუწია ამილხორის „დიდკაცობას" და გეგმა წარგზავნილ იქმნა დასამტკიცებლად".

მამულიშვილები სიხარულით შეეგებნენ ქაშვეთის ახალი ტაძრის ეროვნული არქიტექტორულ-ხუროთმოძღვრული ტრადიციების მიხედვით განახლებას (იხ.: ა. ჯორჯაძე, ქართული მუსიკის შესახებ, „სახალსო გაზეთი", 1910, 27. X, №142; მისივე, თხზულებანი, წიგნი მესამე, თბ. 1911, გვ. 34-35. შდრ.

ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917, ტ. II, თბ. 1963, გვ. 87-89). „მიხარის, როცა ვხედავ ამ ტაძრის მამა-პაპათა მიერ შემუშავებული გეგმით შენებას. იქნება, ღვთის შეწევნით, მათი სარწმუნოებრივი გრძნობაც განცხოველდეს ჩვენშიო“ - ხშირად იტყოდა თურემე მცხოვანი იაკობ გოგებაშვილი.

1918 წელს ქაშვეთის სამრევლო საბჭოს მიუმართავს თხოვნით წინამძღვრისათვის, დაეწერა ამ ეკლესიისა და მისი მრევლის თავგადასვალი. მამა კალისტრატეს სიამოვნებით თავსუდევს ეს დავალება და 1927-30 წლებში შეუდგენია ვრცელი (386 გვერდიანი) მონოგრაფია სათაურით: „ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში“ (ცინცაძე 117. ხელნაწერი, ავტორის მითითების თანახმად, უნდა ინახებოდეს აგრეთვე საქ. ხელოვნების ინსტიტუში)[44].

ამ შრომაში თავმოყრილი და გაანალიზებულია აღნიშნული თემის ირგვლივ არსებული ყველა ისტორიულ-არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული, ლიტერატურული თუ ფოლკლორული მასალა. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა XVIII საუკუნის ცნობილი საეკლესიო იერარქების: ქრისტეფორე თბილელის, ანტონ პირველი და ანტონ მეორე კათალიკოსების, ვარლაამ მიტროპოლიტისა და სხვათა სიგელ-გუჯარები, რომელთათვისაც ავტორს ქაშვეთის მრევლთაგანის, ნ. არჯევანიძის, ოჯახში მიუკვლევია.

წყაროების ზედმიწევნით შესწავლის შედეგად მკვლევარმა გამოავლინა თბილისის ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის სამი ტაძრის არსებობა: პირველ ტაძრად უნდა ჩაითვალოს 1864 წელს საბოლოოდ დანგრეულ-დაქცეული რიყის ქვისაგან ნაგები ტაძარი, ვინაიდან მასზე ადრინდელი ტაძრის შესახებ არავითარი ცნობა არა გვაქვს. მეორე ტაძარი (ჯვრის ტიპისა, გუმბათოვანი) პირველი ტაძრის გვერდით აუგიათ 1753 წელს ფილიპე დეკანოზისა და გივი ამილახორის თაოსნობით. 1755 წელს ეს ტაძარი მოუხატავს ოსტატ ნიკოლოზ აფხაზს, მაგრამ 1810-17 წლებში გენერალ ტორმასოვს „შეუკეთებ-გაუმშვენებია“ იგი და აღნიშნული მხატვრობაც წაუშლიათ; მესამე ტაძარი, ამჟამინდელი, დეკ. კ. ცინცაძის თაოსნობითა და არქიტექტორ ლ. ბილფელდის მი-

ერ შემუშავებული გეგმით 1904-10 წლებში აღუმართავთ ძველი – უკვე სერიოზულად დაზიანებული და დანგრევის პირამდე მისული – შენობის ალაგას.

„სამთავისის“ მოდელით აგებული ეს ტაძარი ქართული ხუროთმოძღვრების იშვიათი ნიმუშია (ხუროთმოძღვარი ე. ანდრეოლეტი). კ. ცინცაძის თქმით, იგი „წარმოადგენს იშვიათ შეთანხმებას სიმარტივისას და სიმსუბუქისას, თვალტანადობისა და სილმაზისას... თუ ქართული ხუროთმოძღვრების განსაკუთრებულ თვისებას წარმოადგენს ჩუქურთმა-გრეხილების სინაზე და სიმრავლე, ქვაშვეთის ტაძარი, შეიძლება თამამად ითქვას, ერთადერთი და საუკეესო ძეგლია ამ მხრივ ტფილისში. იგი შემოსილია ჩუქურთმებით ზომიერად: არც ისე ღარიბად, როგორც სიონი, და არც ისე ჭარბად, როგორც ნიკორწმინდა და ქვათახევი. ჩუქურთმები გადმოღებულია საქართველოს სხვადასხვა ეკლესიებიდან და შეხამებულ-შეფარდებულია ერთიმეორესთან იმნაირად, რომ უცებ ვერც კი გაარჩევთ, განსხვავდება რითიმე ერთი სარკმლის თამასები მისი მეზობელი სარკმლის თამასებისაგან თუ არა. ესეც ერთგვარი თავისებურებაა ქართული ხუროთმოძღვრებისა“ (გვ. 50-51).

აღნიშნულ შრომაში ფრიად საყურადღებოა მსჯელობა ტოპონიმ „ქვაშვეთის“ შესახებ (გვ. 5-12). ავტორი ამ სახელწოდებით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში რამდენიმე სალოცავს ადასტურებს. ეს სალოცავებია: ქართლში: საციციანოს მთის კალთაზე (ხაშურის გასწვრივ, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე), სოფლების თაგუეთისა და დამპალოს მახლობლად, სოფ. ქვაშვეთში, სოფ. მუხრანში და სოფ. ქემერტის მახლობლად; კახეთში: სოფ. გურჯაანში (სახასოში), სოფ. ზიარში, სოფ. აწყურში („თეთრი გიორგის“ ქვემოთ ყოფილა ეკლესია, რომელიც ამჟამად აღარ არსებობს, მაგრამ იქ დარჩენილა ხე „ქვაშვეთის ხედ“ წოდებული); იმერეთში: სოფლებში: ფარცხანაყანევში, დიდიჯიხაიშში, კვახჭირში და ნიგოზეთში; საინგილოში: სოფ. ქურმუხში; სვანეთში: ლენჯერის საზოგადოების სოფ. ქვაშვეთში. ამ ტაძართა დღესასწაული მენელსაცხებელთა (აღდგომიდან მეორე) კვირიაკეს არის დანიშნული და ყველა ეს ტაძარი წმნიდა გიორგის სახელს ატარებს. რაც შეეხება სახელწოდებას ,,ქვაშვეთი”, ავტორი ფიქრობს, რომ „ქვაშვე-

თის“ („ქაშუეთის“, „ქაშვეთის“) ეტიმოლოგია უნდა აიხსნას იმ ცნობილი გადმოცემით, რომელიც წმ. დავით გარეჯელისადმი მიძღვნილ საცისკრო კანონშიც კი არის არეკლილი, – შეცდენილი ქალის მიერ ქვის შობა. ჩამოთვლილ „სოფლებში „ქვაშვეთობა“ და მისი მენელსაცხებელთა დედათა კვირიაკეს დღესასწაულობა, – ამბობს მკვლევარი, – გადატანილია იქიდან, სადაც დაედო საფუძველი „ქვაშვეთობას“, ე. ი. ტფილისიდან. ხოლო „ქვაშვეთობის“ წმ. გიორგის ტაძრებთან დაკავშირება გვაძლევს საბუთს ვთქვათ გადაჭრით: გარეთუბნის (ასე უწოდებდნენ ძველად ამ ადგილს) „მონასტრის“ ტაძარიც (რომლის შესახებაც გარდამოცემაშია საუბარი) წმ. გიორგის სახელობაზე იყო აშენებული“.

შენიშვნა: *ტოპონიმ „ქვაშვეთის“ წარმომავლობაზე მეცნიერებაში განსხვავებული აზრიც არსებობს: შდრ. აკ. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში, თბ. 1971, გვ. 365-368. მხცოვანი აკადემიკოსი „ქაშვეთ“-ს აკავშირებს „ქაჯუეთ”-თან, რაც მისი დაკვირვებით ,,ქაჯთა სამყოფელს” ნიშნავს.*

ასევე საყურადღებოა ხსენებულ გარდმოცემასთან დაკავშირებული კ. ცინცაძისეული დაკვირვებანი და ვარაუდები: თბილისის ძველ „გარეთუბანში“ V-VI საუკუნეებში ე. წ. „მოსენაკეთა“ არსებობის შესაძლებლობა (გადმოცემაში თქმული „მონასტერი“ ხომ არ უდრის მოსენაკეთა საზოგადოებას?), ქართველთა ყოფა-ცხოვრებაში „მოსენაკეობის“ კვალის დადასტურება და სხვა[45].

საკითხი, თუ ქართველმა ერმა თავის უახლოეს მფარველად რატომ დასახა წმ. გიორგი, ამ შრომაში ასეა გადაწყვეტილი: „ქართველი ერის გაქრისტეანების დროსვე საქართველოში გავრცელდა თქმულება კაბადუკიელ ჭაბუკ მხედარ გიორგის შესახებ, რომელიც აღესრულა 303 წელს, ე.ი. ორი-სამი ათეული წლით ადრე ქართველი ერის „მონათვლამდე“. თქმულებით, ჭაბუკი გიორგი იყო სამშობლოს ერთგული დამცველი („მეფეთა წინამბრძოლი“), ომის დროს მტერთა დამმარცხებელი („ძლევა-შემოსილი“), ტყვეობაში ჩაცვივნულთა შემწე და მფარველი („ტყვეთა განმათავისუფლებელი“), სენთა და სნე-

ულთა მკურნალი („სნეულთა მკურნალი“), გლახაკთა და ღარიბთა დამხმარე („გლახაკთა ხელის აღმპყრობელი“), ჭეშმარიტებისა და სიმართლისათვის მებრძოლი და წამებული („ღვაწლით შემოსილი დიდი მოწამე“ ანუ „მრავალმოწამე“). თუ ამ საზოგადო დახასიათებას დავუმატებთ ზოგიერთ „ფაქტებს“ წმიდანის ცხოვრებიდან (ვლასი ქალაქისა და სელინის მეფის ასულის ვეშაპისაგან გათავისუფლება და ამ მხეცის მოკვლა), ჩვენთვის გასაგები იქნება, თუ რატომ აირჩია „დიდ ვეშაპთა“ მიერ დასანთქმელად განმზადებულმა პატარა ქართველმა ერმა წმ. გიორგი თავის მფარველად და ხელმძღვანელად, რატომ დაუკავშირა თავისი განმანათლებელი ქალწული ნინო სისხლით ნათესაობით წმ. გიორგის და რატომ აშენებდა თავის გაქრისტეანების პირველ წლებშივე ტაძრებს წმ. გიორგის სახელზე“ (გვ. 10)[46].

ქაშვეთის ეკლესიისა და მისი შემოგარენის ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევისას ავტორი შეეხო საქართველოს საეკლესიო თუ სამოქალაქო ისტორიისასთვის რიგ საყურადღებო საკითხებს: ქაშვეთის ტაძრის სამხედრო-სტრატეგიულ დანიშნულებას, მის კულტურულ-საგანმანათლებლო როლს, მასთან დაკავშრიებულ პოლიტიკურ მოვლენებს (რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას) და ა. შ. მრავალი ისტორიული დოკუმენტი თუ პიროვნება გახადა მან მეცნიერული კვლევა-ძიების საგანი. გივი ამილახორის (ამილახვრის) (XVII-XVIII სს.) ცხოვრების მიმოხილვისას (შენიშვნა 24, გვ. 179-201) გულდასმით შეისწავლა „ამილახორიანთ საგვარეულოს ისტორიული გუჯრები“ (ნაწილი დასტამბულია კრებულში „ძველი საქართველო“, ტფ., ტ. II, ნაწ. 2. გვ. 101-138) და გამოარკვია, რომ გივი ყოფილა ცნობილი იოთამ ზედგინიძის (XVს.) შთამომავალი, ანდუყაფარ ამილახორის ძე (ამილახორი მეჯინიბეთუხუცესს ნიშნავს თურმე). იგი ფრიად დაწინაურებულა ირანის სამეფო კარზე; უომნია ინდოეთსა და ავღანეთში. მას აუშენებია ქაშვეთის ეკლესია (იხ. ზემოთ), განუახლებია შიო-მღვიმის მონასტერი და თბილისის ბეთლემის ტაძარი, გადაურჩენია მეჩეთად გადაკეთებას თბილისის სიონი და განუახლებია სვეტიცხოვლის სამი კოშკი.

მოკლედ: ჩვენი ერის წარსულის თითქმის ყველა უბანზე

(ისტორიის, ეთნოგრაფიის, ხელოვნების, ხელოსნობის, ლიტერატურისა თუ ფოლკლრის დარგში) ჰპოვებს მკითხველი ამ შრომაში საყურადღებო მასალას.

ნაშრომში „Иверския церкви чин хиротоний“ (ცინცაძე 112) განხილულია მიტროპოლიტად კურთხევის წესი და მოცემულია შესაბამისი ტექსტი. ეს წესი ქართული ძველი საეკლესიო პრაქტიკის გათვალისწინებით პირველად დეკ. ანტონ თოთიბაძეს შეუდგენია (სამწუხაროდ, არ ვიცით, რა წყაროთი უსარგებლია მას). ამ წესით უკურთხებიათ მიტროპოლიტად ლეონიდე (ოქროპირიძე), ანტონი (გიორგაძე), ნაზარი (ლეჟავა) და თვით ავტორი – კალისტრატე ცინცაძე. 1935 თუ 1936 წელს უკრაინის პრიმასს, პიმენ მიტროპოლიტს (პეგოვს), კ-პ კალისტრატესათვის მიუმართავს თხოვნით, მიეწოდებინა მისთვის საქართველოს ეკლესიაში მიღებული წესი მიტროპოლიტად ან მთავარეპისკოპოსად ხელდასხმისა. კათოლიკოსსა და პროტოპრესვიტერ იოანე სმირნოვს სიამოვნებით თავსუდევთ ეს საქმე: გულდასმით გაცნობიან დეკ. ა. თოთიბაძისეულ შრომას, ჩაუსწორებიათ, შეუვსიათ ახალი მასალით, უთარგმნიათ სლავურად და გაუგზავნიათ ყ-დსამღვდელო პიმენისათვის, რომელსაც იგი ხმარებაში შემოუღია, როგორც Чин Иверския церкви. ამ შრომის ქართულად დაწერილ წინასიტყვაში (დათარიღებულია 1941 წლის 10 აპრილით) ავტორი კ-პ კ. ცინცაძე აღნიშნავს: „შესატყვისი ქართული ტექსტი ჩაბარებული ჰქონდა სიონის უკანასკნელ კანდელაკს და ჯერ ვერ მიპოვნია“-ო. მართლაც, დავძენთ, ამ ტექსტის დაკარგვა ქართული ლიტურგული მწერლობის ისტორიას საგრძნობლად გააღარიბებს. გავითვალისწინოთ, რომ ესაა მდიდარი და საერთაშორისო მეცნიერებისათვის ფრიად საყურადღებო ისტორია. ქართული ორიგინალური ლიტერატურა იცნობს ანალოგიური შინაარსის შემდეგ წესებს: ,,წესი, რომელი იქმნების ხელდასხმასა ზედა ეპისკოპოსისასა” (დეკ. კ. კეკელიძის წინასიტყვაობით, თბ. 1917); ,,ეპისკოპოსის ხელდასხმასა ზედა” (კათალიკოს-პატრიარქ ანტონ პირველის რედაქციის მიხედვით) და „კურთხევაი და საყდრად აღყვანებაი კათოლიკოზისა“ (X საუკუნის ევქოლოგიონიდან).

გამოკვლევა „ქართული ოდიკისათვის“ (დასრულებულია

1942 წელს; ცინცაძე 119) განხილულია ამ მრავალმხრივ საყურადღებო საკულტო საგანთან დაკავშირებული რიგი საკითხი. აქ მოთხრობილია ისტორია ოდიკისა საერთოდ და ქართული ოდიკისა კერძოდ. ამ ნაშრომში მკითხველი იპოვის პასუხს კითხვაზე, თუ პირველად როდის და საიდან შემოიტანეს ჩვენში ხელნაკეთი თუ დაბეჭდილი ოდიკები. მკვლევარი დაწვრილებით აღწერს ჩვენამდე მოღწეულ ქართულ ნაბეჭდ ოდიკებსა და მათგან შვიდ რედაქციას განასხვავებს: I დაბეჭდილია 1707 წელს (მეფე ვახტანგ VI-სეული); II – 1740 წ. (კათალიკოს დომენტისეული); III – 1747 წ. (კათალიკოს ანტონ პირველისეული); IV – 1768 წ. მოსკოვში (მიტრ. ათანასესეული); V – 1815 წ. საჩხერეში (მიტროპოლიტ დავითისეული); VI – 1822 წ. საჩხერეში (მთავარეპისკოპოს სოფრონისეული); VII – 1822 წ. მარტვირში (მიტროპოლიტ ბესარიონისეული). აქვე დადგენილია ქართული ორიგინალური ოდიკის არქეტიპი, რომელიც საკათალიკოსო საბჭოს მინდობილობით (1917 წელს) აღნიშნული გამოკვლევის ავტორმა (დეკ. კ. ცინცაძემ) და დეკანოზმა პ. კარბელაშვილმა საფუძვლად დაუდეს ახალი, ეროვნული ოდიკის მაკეტს.

რამდენაც ცნობილია, ქართულ მეცნიერებაში აღნიშნულ თემაზე სპეციალური გამოკვლევა არ მოიპოვება: ეს ნაშრომი პირველი (თანაც საფუძვლიანი) მონოგრაფიაა. ბევრი აქტუალური, დღემდე პასუხგაუცემელი საკითხია წამოჭრილი მასში: მაგალითად: 1707 წელს დამზადებული ოდიკის ქართული წარწერა პირმშო ხომ არ არის ვახტანგ VI სტამბისა (1709 წელს დასტამბული სახარების ნაცვლად)? რას წარმოადგენდა სოფ. მარტვირის (მარტვილის) სტამბა? და სხვა. გამოკვლევის გაცნობამ დაგვარწმუნა, რაოდენი ჯაფა თავსუდვია მხცოვან სწავლულს, დასანანია. რომ იგი სპეციალისტთათვისაც კი დღემდე ხელმიუწვდომელია[47].

ზემოთ აღნიშნული (მღვდელმთავრობის დროს დაწერილი) შრომებიდან ფართო საზოგადოება მხოლოდ «,,ვეფხისტყაოსნის" ავტორის მსოფლმხედველობას» იცნობს (კ. ეკაშვილი, „ვეფხისტყაოსნის" ავტორის მსოფლმხედველობისათვის, შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, 1966, თბ. გვ. 227-274)[48]. ეს ნაშრომი 1937 წელს არის შესრუ-

ლებული. მას შემდეგ რუსთველოლოგიაში ბევრი რამ დაზუსტდა და გაირკვა. ამის მიუხედავად ამ ნაშრომში განხილულ საკითხებსა და წამოყენებულ არგუმენტებს დღესაც არ დაუკარგავს ფასი. ქართული ლიტერატურათმცოდნეობისათვის ერთობ მნიშვნელოვანია შოთა რუსთველის საღვთისმეტყველო პოზიციის ახლებურად გაიაზრა და წარმოჩენა, რითაც ავტორი დაუპირისპირდა იმდროისათვის მეცნიერებასა და საზოგადოებაში გაბატონებულ აზრს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის არაქრისტიანობის, ანდა არამართლმადიდებლობის თაობაზე და ცხადყო გენიალური პოეტის ორთოდოქსულ-ქრისტიანული მრწამსი. მან ერთ-ერთმა პირველმა მიაგნო ნაწარმოების სიუჟეტის ქრისტიანული ინტერპრეტაციის გასაღებს. მისი მტკიცებით, პოემის მთავარი მოქმედი პირების თავგადასავალი და ნაწარმოების ფაბულა იგავის ენით და მეთოდით მიგვანიშნებს სახარების უმთავრეს მოძღვრებაზე სინანულით ღმერთთან მიახლებისა და, ამ გზით, პიროვნების სრულქმნის შესახებ. ავტორის ლოგიკით, ავთანდილი და თინათინი, ერთი მხრივ, და ნესტანი და ტარიელი, მეორე მხრივ, სხვადასხვა რელიგიურ-ზნეობრივი ხასიათებია. ამ ხასიათებისა და სახეების მეშვეობით თეოლოგ მკვლევარს სურს გვითხრას: ღმერთსდაშორებული და, ამდენად, გზასაცდენილი ადამიანი (ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის სახით) მხოლოდ ქრისტესმიერი ნათელღებით თუ გაბედნიერდება. უფრო რომ დავაკონკრეტოთ, გენიალური პოემის პერსონაჟთა კალისტრატე კათალიკოსისეული ინტერპრეტაცია დაახლოებით ასეთია: „მშობლის ურჩი“, „თავხედი“, „სულსწრაფი“ და უდანაშაულოთა სისხლისმღვრელი ინდოელი უფლისწული (ლაპარაკია ნესტანზე) „განცდილმა ჭირმა და მწუხარებამ (საქ. მოც. 14, 22) გამოაფხიზლა და დააწერინა მსოფლიო ლიტერატურაში სწორუპოვარი ჰიმნი მონანისა... მონანულთა და ტვირთმძიმეთა თავშესაფარი ხომ ქრისტეანობაა... ავთანდილის ამონაკვნესი, – „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან (სოფლისაგან) განაწირსა”, რომელიც სავსებით გამოხატავს ნესტანის სულისკვეთებას, მხოლოდ პერიფრაზია იეზეკიელ წინასწარმეტყველის სიტყვებისა: „არა მნებავ მე სიკვდილი უთნოისა, არამედ მოქცევა მისი გზისაგან მისისა და ცხოვრება მისი“ (33,

11). ვით თვითნებობით *სახლისაგან მამისა გასული უძღები შვილი* (ლუკ. 15), როდესაც მოეგო თავსა თვისსა, ნესტან-დარეჯანი, თინათინის დამხმარე ხელით, კვლავ დააბრუნა მამამან კეთილმან სახლსა თვისსა, რათა აღარა განეშოროს მას. მართლმორწმუნე ქრისტეანი შეიძლება შეაშფოთოს ნესტანის მხოლოდ შემდეგმა სიტყვებმა: „ან თავს კლდეთა ჩავიქცევ, ანუ მოვიკლავ დანითა“... მაგრამ ეკლესიის მიერ წმიდათა შორის შერაცხილ არიან დომნინა და ასულნი მისნი ვირონეა (ვერონიკა) და პროსკულია (პროსდოკა), რომელნიც ქალწულების დაცვის მიზნით ხიდიდან წყალში გადავარდნენ და თავი დაიხრჩვეს, და პელაგია ქალწული, რომელმაც ამავე მიზნით მაღლა სართულიდან თავი გარდაიქცია და მიწაზედ დავარდნისთანავე განუტევა სული“. პოემის დადებით გმირად მკვლევარს თინათინი ესახება (ავთანდილი მისი კეთილი ნების აღმსრულებელია). მისი (თინათინის) „გონებრივი და ზნეობრივი კულტურა არის შედეგი ქრისტეანული სწავლა-მოძღვრებისა... თინათინი ქრისტეანი ქალია და საუკეთესო ქრისტეანი. აი მისი სახელმძღვანელო მცნებები: პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა; შეიყვარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი; ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი მოგენიჭოს თქვენ; ნუ თავისა თვისისა ხოლო კაცად-კაცადი თქვენგანი ეძიებენ, არამედ მოყვასისაცა... (გამოსლ. 20, 12; მრ. 12, 31; ფილიპ. 2, 4. შდრ. სტრ.: $\frac{750}{703};\frac{753}{706};\frac{853}{798};\frac{1426}{1361}$)...* ტყუილად კი არ ეძებდა აკად. ნ. მარი „ვეფხისტყაოსნის“ ქალების ტიპს ქართველ მონაზვნებში. ჩვენ მეტსაც ვიტყვით: თინათინი ღვიძლი შვილია სახარებისა“ (გვ. 146).

ამ გამოკვლევით კათალიკოსმა კალისტრატემ პირველმა ნათელყო, რომ „უჟამო ჟამი“ იესო ქრისტეს მხატვრული სახეა (გვ. 236), ხოლო „მზიანი ღამე“ – ქრისტიანული ღმერთის ატრიბუტი (გვ. 235-236); რომ რუსთველი მიმართავს ეკლესი-

---

* მკვლევარი სარგებლობდა ვფ-ის კ. ჭიჭინაძისეული, 1934 წლის, გამოცემით, რომელიც შემდეგ საიუბილეო, 1937 წლის, გამოცემისათვის შეუდარებია.

ის მამათაგან ნაცად მხატვრულ-ესთეტიკურ ხერხებს და რომ პოემას ასხივოსნებს საღმთო წერილი: მკველვარმა ტექსტში ასობით ბიბლიურსა თუ საღვთისმსახურო შესატყვისს მიაგნო (გვ. 248-250). მეცნიერის არგუმენტაციით, „რუსთველი არამცთუ ახსენებს სამებას და მით უკუაქცევს საბაბს „ვეფხისტყაოსნის“ დევნისას, არამედ მთლიანად წარმოგვიდგენს ქრისტეანული დოგმატიკის უმთავრეს ნაწილს, რომელსაც ღვთისმეტყველები ანდომებდენ ათასფურცლოვან ტრაქტატებსა და მრავალტომოვან გამოკვლევებს“ (გვ. 137).

ხსენებული შრომის გამომზეურობის შემდეგ (1966 წ.) რუსთველოლოგიური კვლევა-ძიების წინაშე ახალი პერსპექტივები გადაიშალა; ამ სფეროში ახალ მიგნებებს გაეხსნა გზა. ბიბლიის, ლიტურგიის, კანონიკისა და ღვთისმეტყველების საფუძვლიანი ცოდნის წყალობით „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობის კვლევისას მეცნიერმა კათალიკოსმა სიტყვა მიაგო ისეთ ავტორიტეტებს, როგორიც იყვნენ: ნიკო მარი, შალვა ნუცუბიძე, იუსტინე აბულაძე, მოსე გოგიბერიძე და სხვანი.

ვკითხულობთ კალისტრატე ცინცაძის რუსთველოლოგიურ შრომებს[49] და დანანებით ვამბობთ: ეროვნული კულტურის ამ მკვლევარს და მოამაგეს რატომ არ ჰქონდა დრო და „მოცალეობა“, მეტი ეკვლია, დაეწერა, ეთქვა და ესახსოვრა შთამომავლობისათვის.

სამოძღვრო პრაქტიკა და ღვთისმეტყველება

მონოგრაფიულად შესწავლას საჭიროებს კალისტრატე ცინცაძის სამოძღვრო პრაქტიკა და სამოძღვრო ღვთისმეტყველება, რომლის განუყრელი ნაწილი არის მქადაგებლობა. ამჯერად ზოგადი მიმოხილვით შემოვიფარგლებით. სწორედ სამქადაგებლო მოღვაწეობამ გამოაჩინა იგი ღვთისმეტყველად და ეჭვი არაა, რომ ქართული სამოძღვრო ღვთისმეტყველების ისტორიაც საპატიო ადგილს მიუჩენს მის ჰომილიებს, მშვენიერი ქართულით წარმოთქმულთ და დაწერილთ, რის შესახებ ორიოდე სიტყვა ზემოთაც ვთქვით. ეს ჰომილიები შესრულებულია საუფლო-სადღესასწაულო და წმინდან-

თა ხსენების დღეებში, ასევე სხვადასხვა სოციალური ფენისა და წოდების ადამიანთა ანდერძის აგებისას, ანდა ამა თუ იმ საყურადღებო მოვლენების აღსანიშნად. კალისტრატე ცინცაძის ქადაგებები თავის დროს მრავლად ისტამბებოდა ბროშურებად, ქადაგებათა კრებულებში (1901, 1912-1913), სპეციალურ გამოცემებსა თუ ჟურნალ-გაზეთებში. იგი ქადაგებებში მარტივი, ადვილაღსაქმელი ფორმით შთააგონებდა მსმენელთ ღრმა საღვთისმეტყველო აზრებსა და დოგმატებს; მიანიშნებდა ცხოვრების არსსა და ადამიანის უზენაეს მიზანს. იდუმალებით მოცულსა და ერთი შეხედვით გაუგებარ ბიბლიურ ეპიზოდებს მოძღვარი ისე განმარტავდა და ისეთ ეგზეგეზას გვთავაზობდა, რომ ნებისმიერი რანგის მსმენელისათვის ხელმისაწვდომი და გასაგები ყოფილიყო, რათა საღვთო წერილი შეეცნო და შეეთვისა მრევლს.

ქაშვეთის სამრევლოში შესვლის დღეს (1903, XII.26) მან ხუცესის წარმმართველ საქმედ საღი სწავლა-მეცნიერების ხალხში დანერგვა აღიარა და დასძინა: „ქრისტეანესათვის საგანი მისწრაფებისა გარეშე ქრისტესა არ არსებობს, რის გამო საგანი მისი მისწრაფებისა არის და იქმნება, რათა *გამოიხატოს ჩვენს შორის ქრისტე* (გალტ. 4, 19)". მას, მოძღვარს, ღრმად სწამდა და საქმით ადასტურებდა, რომ ჭეშმარიტი განათლება და ზნეობა სარწმუნოებისაგან განუყოფელია, რომ სულმდაბალი და ზნედაცემული „ქრისტეანი" ცრუმორწმუნეა, რადგან ქრისტე თავადაა სრულყოფილი ზნეობა და სიყვარული. და თუ რა არის და რას ნიშნავს ,,საღი სარწმუნოება" (რის თაობაზე ორიოდე სიტყვა უკვე ვთქვით), ანდა როგორ უნდა გვესმოდეს მართლმორწმუნეობის არსი, მოძღვარმა ცოცხალი და შთამბეჭდავი მაგალითებით განმარტა. იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილ ეპიტაფიაში („შინაური საქმეები", 1912, №25) მან ასეთი შემთხვევა გვამცნო ამ ღირსი პედაგოგის ცხოვრებიდან: „უკანასკნელ დღეებში, როცა მახლობლებმა უამბეს [იაკობს], შენს სადღეგრძელოდ და სენისაგან განსაკურნებელად საქართველოს კუთხეებში პარაკლისები გადაუხდიათო, მოხუცი, მიუხედავად ძლიერი ტკივილებისა, დამშვიდდა, გამხიარულდა და სიამოვნებით წარმოსთქვა: *მადლობა ღმერთს, ჩემთვის*

ლოცულობენ, ეს კარგი ნიშანია, ვინაითგან სხვისთვის ლოცვა მარტო ზნეობრივად განვითარებულ არსებათა კუთვნილებაა“.

მიცვალებულთა სულებისათვის ლოცვის, ანუ პანაშვიდის, დროს მოძღვარი ყოველთვის ესაუბრებოდა ჭირისუფლებსა და თანამგლოვიარე საზოგადოებას. ეს საუბრები დაფუძნებული იყო საღვთო მოძღვრებასა და მოყვასის სიყვარულზე, თანაგრძნობისა და თანალმობის ისეთ მადლსა და ძალაზე, რითაც სულიერი მამა სასოწარკვეთილ ჭირისუფლებს ამშვიდებდა და სარწმუნოებაში განამტკიცებდა, ზოგჯერ კი ზღვარს დაუდებდა ამაქვეყნის სიკეთით ტკბობას და ამპარტავნებას. ბევრს დღესაც ახსოვს, რარიგ დაამშვიდა მისმა მოძღვრებამ სვეუბედურნი, რარიგ ცხადად განუმარტა ბედკრულ მშობლებს სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლო[50]. გავითვალისწინოთ, რომ ამ საიდუმლოზე ფიქრის დროს, როგორც წესი, ასეთი კითხვა დაისმის: ამქვეყნად, და თანაც ხშირად, რატომ ბატონობს უსამართლობა? თუკი ღმერთი კეთილია და სამართლიანი, რატომ უშვებს ის სიკვდილს ისეთი ადამიანებისას, რომლებიც არიან ახალგაზრდები და ყოვლად უმანკონიც კი? „შვიდი ათასი წლის წინად, – უამბობდა ის საზოგადოებას გიორგი ქართველიშვილის გარდაცვალების გამო თქმულ სიტყვაში („მწყემსი“, 1901, №20), – ღმერთმა შექმნა კაცი *ხატად თვისად*, ხოლო *მსგავსება* ღვთისა თითონ კაცს უნდა მოეპოვებინა. [...] და მაშინ იგი შეიქმნებოდა ხორციელადაც უკვდავი. მაგრამ კაცმა არ ინება თავითგანვე შედგომოდა ამ გზას, არ ინება სულიერი შრომითა და ღვაწლით მოეპოვებიან ხორციელებრივი უკვდავება! მან მოინდომა პირდაპირ გაღმერთება, მოინდომა ის, რაც მისთვის მიუწვდომელი იყო და ამისათვის საწადელს ვერ მიწვდა, დაკარგა კი სიმშვიდე სულისა და სიმრთელე სხეულისა, დაავადმყოფდა, დასნეულდა. ამის შემდეგ რაღა საჭირო იყო სნეულისა და ავადმყოფის კაცის ხორციელებრივი უკვდავება, ან ამ პირობებში უკვდავება ემჯობინებოდა კი სიკვდილსა?!... და ამისათვის ყოვლადმოწყალე ღმერთმა კვალად მოუვლინა კაცს მოწყალება თვისი და უბრძანა: ვინაითგან შენი ხორციელებრივი უკვდავება სულიერი და ხორციელი ტანჯვა იქმნება შენთვისო, ამისათვის –

მიწა ხარ და მიწადვე მიიქეციო... როგორც ხედავთ, საყვარელნო, სიკვდილი არამც თუ სავალდებულო ყოფილა კაცისათვის, არამედ საჭირო და სანატრელიც. მაშ რაღად ვტირით და რაღად ვგოდებთ? იქნება ვტირით და ვგოდებთ მისთვის, რომ გვეშინია: ვაი თუ საუკუნოდ დავჰკარგეთ ჩვენი ძვრიფასი და საყვარელიო, ვაი თუ ვეღარ გვეღირსოს მის ნახვაო? დიახ! ყველაზე საშიში და შესაზარი სწორედ რომ ეს შიშია! თუ მოყვასი ჩვენი გვშორდება საუკუნოდ, თუ იმას ვერასოდეს ვეღარ ვიხილავთ, თუ ის დაიკარგა ჩვენთვის სამარადისოდ, მაშინ სიკვდილზედ უსასტიკესი და კაცზედ უუბედურესი აღარა ყოფილა რა ამ ქვეყანაზედ. მაგრამ, არა, ამის წინააღმდეგია თვით ჭკუა და გონება კაცისა, რომელნიც ვერ ურიგდებიან ამ აზრსა, ამისივე წინააღმდეგია თვით ენა, რომელიც სიკვდილს უწოდებს განსვენებას, მიძინებას, ამის წინააღმდეგია თვი საღმრთო წერილი [...] ამისათვის, მწუხარება და ტირილი, ვიში და გოდება არის საჭირო არა მიცვალებულთათვის, რომელთა ქრისტეს მიერ მიიძინეს და განისვენეს, არამედ ჩვენთვის და ცოდვათა ჩვენთათვის, რომელთა სიმრავლე აღდგება წინაშე ჩვენსა“.

„ადამიანისათვის სიკვდილი სავალდებულოა, – *წინაუძს კაცთა ერთგზის სიკვდილი* (ებრ. 9, 27), – ქადაგებდა იგი 1918 წლის 19 იანვარს ქაშვეთის ტაძარში სამშობლოსათვის თავდადებულ ყმაწვილთა, ნ. მაკარაშვილისა და გ. ჩიკვაიძის, ბრძოლის ველითგან ჩამოსვენების გამო, – ხოლო თუ ცხოვრების მიერ შეუბილწველნი, უწმიდესის მისწრაფებით განმსჭვალულნი და ქვეყნისათვის საჭირო ახალგაზრდანი გვეცლებიან ხელითგან მაშინ, როდესაც მოხუცნი განაგრძობენ სიცოცხლეს, ეს ჰხდება ჩვენ სულიერად განსაფრთხობელად, ზნეობრივად გასასწორებელად, განსაფაქიზებელად... (ხშირად) ცხოვრების სინამდვილეს ვარიდებთ თვალსა, ვაყუჩებთ ნახევრად გაღვიძებულს სინიდისსა... და მივცემივართ ზნეობრივ ძილსა, რომელსაც თანდათან მივყევართ ზნეობრივის სიკვდილისაკენ... სწორედ ამ სიკვდილის კარზედ მყოფთ განგება გვაფრთხილებს, ხელითგანა გვაცლის ქვეყნის იმედთა და მშობელთა ნუგეშს... თუ მოიგონებთ, რაოდენი მწუხარება და კეთილშობილური გრძნობა

აღიძრა ჩვენს გულში ამ სამი დღის განმავლობაში (ოჯახში მისვენებიდან დაკრძალვის დღემდე, ნ.პ.), დამეთანხმებით, რომ წინაშე ჩვენსა მდებარე ჭაბუკთა წუთისოფლის უდროვოდ გამოსალმებამ ჩვენ ცხოვრების ჭაობს ბევრად თუ ცოტად ჩამოგვაშორა, სულიერად განგვაფრთხო, ზნეობრივად გამოგვაფხიზლა...“[51].

ტკბილმწარე მოგონებანი და ბარათები

კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის წერილობით მემკვიდრეობაში ერთობ საპატიო ადგილი უჭირავს მოგონებათა ციკლს, ქართულ და რუსულ ენებზე დაწერილ მემუარებს. მათგან ჩვენ უკვე შევეხეთ ორს: მოგონება ილია ჭავჭავაძეზე და მოგონებას ზაქარია ფალიაშვილზე. ამჯერად აღვნიშნავთ, რომ მემუარში ,,მოგონება ზაქარია პეტრეს ძე ფალიაშვილზე” (1938) ჩენს ყურადღებას, სხვა საინტერესო ცნობებთან ერთად, იქცევს მართლმადიდებელი და კათოლიკე თანამემამულეების პიროვნული კეთილგანწყობილება და თანამშრომლობა პრაქტიკული ლიტურგიის სფეროში; კათოლიკეთა ეკლესიის ორღანისტისა და ლოტბარის, კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის მართლმადიდებელთა ხუცესისაგან მართლმადიდებელთა ეკლესიაში მიწვევა, იქ მგალობელთა გუნდის ჩამოყალიბება და მართლმადიდებელთა ლიტურგიის სხვადასხვა პრაქტიკულ საკითხზე კათოლიკე სპეციალისტის მუშაობა მართლმადიდებელი სასულიერო პირის ლოცვა-კურთხევით, რაც ორი დიდი მამულიშვილის – მართლმადიდებელი კალისტრატე ცინცაძისა და კათოლიკე ზაქარია ფალიაშვილის – მაღალ სამოქალაქო შეგნებასა და რელიგიურობის კულტურას ადასტურებს.

საეკლესიო და სამოქალაქო ისტორიის არაერთი საყურადღებო ფაქტი და მოვლენა არის აღწერილი სხვა მემუარებშიც. აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ სქელტანიანი მემუარები: ,,ნაწყვეტები (მოგონებანი არა შორეულ წარსულიდან)”, ,,Из моих воспоминаний“ და ,,ქუთაისის საეკლესიო ყრილობის გამო 1926 წლის დეკემბრის 26-27-ში“, ასევე: მოგონებები ნიკოლოზ ზებედეს ძე ცხვედაძეზე, ლუარსაბ ბოცვაძეზე

და ,,სამოც-ოთხმოციანელების სოფლის მღვდლის ტიპი“. ეს მემუარები, განსაკუთრებით კი პირველი სამი, – დიდი მოცულობისანნი, გამოირჩევიან უმდიდრესი წყაროთმცოდნეობითი ბაზით და გვთავაზობენ უმდიდრეს მასალას იმდროინდელი საეკლესიო ისტორიისათვის; ისინი არიან არა უბრალო მოგონებები, არამედ აკადემიური ხასიათის დასრულებული სამეცნიერო ნაშრომები, რის გამოც მათი გამოქვეყნება საშურ საქმედ გვესახება[52].

კ-პ კალისტრატეს პიროვნების სიღრმისა და სისავსის წარმოსაჩენად არანაკლები მნიშვნელობა აქვს მოგონებებს მასზე. იგულისხმება აკადემიკოს ნიკო კეცხოველის, პროფესორ ვასტანგ ბერიძის, ფსიქოლოგ ერასტი ბაჩნაძისა და სხვათა მემუარები, რომელთა ავტოგრაფები დაცულია მისი უწმინდესობის პირად საარქივო ფონდში[53].

კ-პ კალისტრატე ცინცაძის მოგონებებს ალამაზებს ყოვლდასამღვდელო გაბრიელის ნათელი სახე: ერთხელ ეპისკოპოსს სტუმრად მიუღია სტუდენტი კალისტრატე. მეუფეს უსაუბრია მასთან, მასთან ერთად სადილი მიურთმევია და ჭაბუკისათვის ფულიც უჩუქებია. ლოცვა-კურთხევისას უთქვამს: თუ საქართველო გიყვარს, ბერობაზე უნდა იფიქროო. ამით მღვდელმთავარს ახალგაზრდისათვის შემონაზვნების სურვილი აღუძრავს, მაგრამ იმხანად ზეცას სხვაგვარად უნებებია: კიევის სასულიერო აკადემიის სამღვდელოდ გამზადებული კურსდამთავრებული უცხოელ ქალიშვილს შეუღლებია (ამ ქალიშვილის ვინაობასა და გაცნობის გარემოებას უკვე შევეხეთ). ვიცით აგრეთვე, რომ ზნემაღალ დედას მხარი აუბამს თავმდაბალი და ჯვარისმტვირთველი მეუღლისათვის. როდესაც (1925 წელს) მამა კალისტრატეს ეპისკოპოსად მოუწოდეს, მორწმუნე მეუღლეს ქმრისათვის უთქვამს: თუ მშობელი ეკლესია მოითხოვს შენგან ახალ პირობებში სამსახურს, შენ, თანახმად მაცხოვრის მცნებისა, უნდა *დაუტეო ცოლიცა და შვილიც, აღიღო ჯვარი თვის და შეუდგე ქრისტეს* (მათე 10, 37), ჩვენთვის ზრუნვა *მიუტევე უფალსა* (ფს. 54, 23): *რომელი არ ივიწყებს ცის ფრინველთა*, არ მოგვაკლებს თავის მოწყალებას ჩვენცაო[54]. ასე აუსხამს ფრთანი ყოვლადსამღვდელო გაბრიელის ლოცვა-კურთხე-

ვას და, თუმცა კალისტრატე ცინცაძე მონაზვნად არ აღკვეცილა, მან, მღვდელმთავარმა, ღირსეულად ითვისა ბერობის მადლი[55]. მისი ცხოვრება სულიერი ზრდისა და ფერიცვალების გზა იყო. გასაოცარი იყო ღრმად მოხუცის გონება და მსჯელობის სიღრმე. მის უწმინდესობას უკანასკნელ ამოსუნთქვამდე აკითხავდნენ მეცნიერები კონსულტაციებისა და რჩევა-დარიგებისათვის. პატრიარქ კალისტრატეს საფუძვლიან მითითებებსა და კრიტიკულ შენიშვნებს ანგარიშს უწევდნენ ღვაწლმოსილი მკვლევარნი: ილია აბულაძე, შალვა ნუცუბიძე, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე, სარგის კაკაბაძე, ლეონ მელიქსეთ-ბეგი და სხვანი, რომელთაც ბევრჯერ აღუნიშნავთ დიდი მეუფის უხმაურო დამსახურება ქართული მეცნიერების წინაშე.

აღნიშნული მემკვიდრეობის განუყოფელ ნაწილად წარმოგვიდგება კათალიკოს კალისტრატე ცინცაძის პირადი მიმოწერა რელიგიის, კულტურისა და მეცნიერების სხვადასხვა საკითხზე. მისი საარქივო ფონდიდან ჩვენთვის ცნობილია წერილები აკაკი შანიძისადმი, ლეონ მელიქსეთ-ბეგისადმი, ივანე ჯავახიშვილისადმი და ბევრი სხვა ცობილი თუ ნაკლებად ცნობილი პიროვნებისადმი. ასევე ყურადსაღებია, როგორც პერსონალური, ისე საზოგადოებრივი თვალსაზრისით, წერილები კალისტრატე ცინცაძისადმი ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე თანამენამულეებისგანაც და უცხოელებისგანაც. ეჭვი არაა, რომ ამ მიმოწერაში ნებისმიერი დარგის მკვლევარი, იქნება ის ღვთისმეტყველი, მეცნიერი თუ პოლიტიკოსი, არა ერთსა და ორ შთამბეჭდავ და დღესაც გამოსადეგ სიტყვას ამოიკითხავს[56].

მთავარხუცესი ყოველმხრივ იცნობდა სამწყსოს, რის წყალობითაც ბევრ ქართველოლოგს გაუმართა მან ხელი და აღუძრა სურვილი ჩვენი ეროვნული კულტურის უკეთ გაცნობისა. უცხოელებს, რომელნიც დაინტერესებულნი იყვნენ ამ კულტურით, ის აწოდებდა სათანადო მასალებსა და საყურადღებო მითითებებს. უწმინდესი კალისტრატე შეძლებისამებრ ეხმარებოდა აგრეთვე (სწერდა წერილებს, უგზავნიდა წიგნებს) უცხოეთში მოღვაწე მეცნიერს, პარიზის წმ. ნინოს ქართული ეკლესიის დამაარსებელსა და მოძღვარს, გრიგოლ

ფერაძეს, სრულიად საქართველოს მესამე საეკლესიო კრების მიერ (გელათი, 1921 წ. სექტემბერი) სასულიერო განათლების მისაღებად დასავლეთ ევროპაში გაგზავნილს, რომელიც არქიმანდრიტის ხარისხში მოწამებრივად აღესრულა 1942 წელს ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში.

ღვთისა და მოყვასის სამსახურში

ვით ღირსი ბერი, ნეტარხსენებული კათოლიკოსი ერიდებოდა რეკლამას. ხშირად სხვისთვის გაირჯებოდა, თავად გადაიტანდა მეცნიერული კვლევის მთელ სიმძიმეს და, თუ აუცილებელი არ იყო, ვინაობას არც გაამჟღავნებდა. მოპაექრეს თავისი ცოდნისა და ინტელექტის უპირატესობას არ აგრძნობინებდა.

ღვთისმსახურ კალისტრატეს ყოველდღიური ცხოვრების წესსა და სათნო ღვაწლზე გვიამბობს მისი ერთ-ერთი თანმედროვე ერთ ლიტერატურულ ჩანახატში, რომელიც ანონიმურია (ცინცაძე 93). მასში ვკითხულობთ: კათალიკოს-პატრიარქი „წვება არა უადრეს პირველი საათისა, ხოლო 6 საათზე უკვე ფეხზეა. [...] უპირველეს ყოვლისა ლოცვით მიმართავს უფალს თავის ბინაში. შემდეგ ეწვევა ტაძარს, ემთხვევა ხატებს, განსაკურებით – წმ. ნინოს ხატს. შედის საკურთხველში, სადაც მუხლმოდრეკილი დიდხანს ლოცულობს. ლოცვის შემდეგ სათანადო განკარგულებებს გასცემს ტაძარში და შინ ბრუნდება. გზაში მოწიწებით ლოცულობს ტაძრის გვერდით დასაფლავებულთა სულის საოხად. [...] საუზმობს უბრალო ჩაით და მსუბუქ მისატანებლით. ისევ მოკლე ლოცვა და შეუდგება მუშაობას. [...] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებული დრო მთხოვნელთა მიღებისათვის, რაც არ უნდა საქმე ჰქონდეს მას, არა აქვს. იგი იღებს ყველას, ვისაც კი მასთან ესაქმება. ის გადაუდებლად იღებს ზომებს მთხოვნელთა დასაკმაყოფილებლად, მაგრამ ვაი იმის ბრალი, თუ მას საეჭვო ადამიანი ეწვია... სათნოა და გულკეთილი. გარშემომყოფთ უკვირთ მისი გულისხმიერება, თანაგრძნობა მოყვასის გაჭირვებისადმი... ნაშუადღევის 3 საათზე მისი უწმიდესობა სადილობს. იგი სტუმართმოყვარეა: 2-3 ადამიანი მუდამ უზის გვერდით სუფრასთან. თავის ტაბლაზე კათო-

ლიკოსი ყველასთან ერთნაირია, განურჩევლად მდგომარეობისა და თანამდებობისა. [...] მუშაობს ღამის 12 საათამდე. მუშაობას სწყვეტს მხოლოდ ჩაის დასალევად 7 საათზე. არასდროს არ ვახშმობს... არავითარი უძრავი ქონება ან ფულადი საღსარი არ გააჩნია. გასაგებიცაა: ეხმარება ყველას, ვინც კი მას მიმართავს. ბევრი ნუგეში უნახავს ცხოვრებაში, მაგრამ სიმწარეც ბევრი უგემია“.

დავძენთ: მრავლისმნახველსა და მრავლისგანმცდელ მღვდელმთავარს ოდენ ქრისტესმიერი მოთმინება, რწმენა და სიყვარული ანუგეშებდა. მარადის ლოცვამ გამოაწრთო და ბოლომდე აზიდვინა ჯვარი, რომელიც სიყრმითგანვე ეტვირთა მიმდევნს მოძღვრებისა: „ჰბაძევდ ჯინჭველსა, მედგარო, და იქმენ მუშაკ მსგავს მისა“ (შდრ. იგავი სოლ. 6, 6). სიცოცხლის ბოლო წლებშიც, მიუხედავად ხანდაზმულობისა, მამათმთავარი ყველას აოცებდა უზადო მეხსიერებითა და ხალასი აზროვნებით. ზნესრული მოძღვრის განათლების გზას ბოლო არასდროს მოღებია (ასეთი რამ წმიდანთა ხვედრია მხოლოდ!).

მრავალნაცადი მწყემსმთავარი იღვწოდა, რათა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას საიმედო მომავალი შექმნოდა სასულიერო სასწავლებლისა და პერიოდული ჟურნალის სახით, მაგრამ ეს ნატვრა ამქვეყნიდან თანაწარიტანა.

ცხოვრების დაისი

1952 წელს ნაავადარი მწყემსმთავარი განსაკუთრებული ხალისით შეეგება ნინოობას: მცხეთა-თბილისის ხუცესნი სიონს მიიხმო. მამული და დედული შეავედრა მოციქულთასწორს. თვისივ მარჯვენით აზიარა ქრისტესმოსავნი. შემდგომ სტუმარნი შინ, ახალნაგებ საპატრიარქო სახლში, მიიპატიჟა (რომელიც რუსეთის ერთ-ერთი ეპარქიისაგან შემონაწირი თანხით აუშენებია). აკურთხა და დალოცა ჭერი საშვილიშვილო, მერმე ტრაპეზად დასხა ყველა. ჩვეულებისამებრ მოილხინაო ხანდაზმულმა.

იმ დღიდან სენმა ავად დარია ხელი: 3 თებერვალს ვალმოხდილი კათოლიკოსი არსთა გამრიგემ წუთისოფლიდან გაიხმო[57].

(აღსასრულიც წმიდანისებრი მიმადლებია!)

მოგვითხრობენ: იმ ზამთარს მზიანი დღეები იდგა; მხოლოდ 3 თებერვალს მოიღრუბლა, თოვლი მოვიდა: ბუნებაც ატირდაო ჩვენთან ერთად...

და ზეციურ ცრემლით გაპატიოსნებულმა გვამმა სიონს განისვენა მარადჟამიერ.

თბილისი, 1980-1982 წლები

(გადაკითხული და განახლებული
2014 წლის სექტემბერ-ოქტომბერში)

შენიშვნები

[1] პერესტროიკის ბოლო ფაზასა და მომდევნო პერიოდში კ-პ კალისტრატე ცინცაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ რამდენიმე ნაშრომი გამოქვეყნდა (იხ. ქვემოთ, გზადაგზა). წყაროების სიუხვითა და ინფორმაციულობით გამოირჩევა მონოგრაფია: ნ. როსტომაშვილი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე), [თბ., წელი არ არის მითითებული]. შევნიშნავთ, რომ ამ შემთხვევაში გვარის ფრჩხილებში ჩასმას არავითარი გამართლება არა აქვს, რადგან ეს გვარი ეკუთვნის პიროვნებას, რომელსაც ნათლისღებისა და სამოქალაქო რეგისტრაციის დროს შერჩეული სახელი არ გამოუცვლია.

[2] პროგრამა, რომლის შესახებ ლაპარაკია აქ, დაცულია საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივში: თბილისის სასულიერო სემინარიის ფონდი (ტრ. ხუნდაძე, გაზეთი „დროება“ და თბილისის სასულიერო სემინარია. მიმომხილველი II, თბ., 1951, გვ. 69-70).

[3] თბილისის სასულიერო სემინარიის დრამატული წრის შესახებ საუბრობს აგრეთვე ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი), რომელიც ამ სემინარიაში 1879-1882 წლებში სწავლობდა. მისი დღიურების სრული ვარიანტი გამოსაქვეყნებლად მოამზადა და გამოაქვეყნა ნინო ციხისთავმა: ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელი), დღიური ერთი სემინარიელისა, თბ., 2013, გვ. 21-22,71.

[4] ამ ფაქტის შესახებ შედარებით ვრცლად იხ.: ნ. პაპუაშვილი, კ. მ. ცინცაძის ცხოვრება და მეცნიერული მემკვიდრეობა. მრავალთავი XIII, თბ., 1986, გვ. 106.

[5] ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე: ნ. ტაბიძე, კალისტრატე ცინცაძე, თბ., 2008, გვ. 28-30,34,47-50.

[6] ნოდარ ტაბიძე ამ პუბლიკაციას ასე მიუთითებს: ,,1896, №217“ (იხ.: მისივე, დას. წიგნი, გვ. 7), რაც მექანიკური შეცდომაა.

[7] აღნიშნული პირიდან კონსტანტინე გამსახურდიამ (უმცროსმა), ჩვენი

შეთავაზების საფუძველზე, შეასრულა ნაშრომის პირველი თავის თარგმანი: ,,ქრისტიანობის გავრცელება და დამკვიდრება საქართველოში“. ეს თარგმანი ავტორის მიერ ქართულ ენაზე დაწერილ და მითითებულ პირს დართულ ,,წინასიტყვაობასთან“ ერთად გამოვაქვეყნეთ ,,საღვთისმეტყველო კრებულის“ იმ ნომერში, რომელიც მიეძღვნა კ-პ კალისტრატეს დაბადების 120 წლისთავს და რომელიც ჩვენი რედაქტორობით მომზადდა (1987, №3, გვ. 63-131). ჩანს, ავტორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სადისერტაციო თხზულების მონაკვეთს ,,დამწერლობის წარმოშობა ქართველთა შორის“. ეს ნაწილი მას, ,,Пастырь“-ის რედაქტორ დეკ. დავით ღამბაშიძის წინადადებით, გამოსაქვეყნებლად მოუმზადებია დამოუკიდებელი სტატიის სახით, მაგრამ, როგორც თვითონ აღნიშნავს, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო ვერ გამოუქვეყნებია. ხელნაწერი ინახებოდა შვილიშვილის, ნიცა ხუციშვილის, ოჯახში. მისი თარგმანი, კ. გამსახურდიასვე შესრულებული, გამოვაქვეყნეთ ,,საღვთისმეტყველო კრებულში“: 1991, №1, გვ. 161-187.

[8] ეს სტატია მეორედ, ჩვენი მიმოხილვის თანხლებით, გამოქვეყნდა ჟურნალში ,,ბალავერი“: 1988, №1, გვ. 90-95. იგი მესამედაც დაიბეჭდა (მეორე პუბლიკაციის მოხსენიების გარეშე): მწიგნობრობა ქართული 10, თბ., 2010, გვ. 137-143.

[9] მესამე პუბლიკაცია: მწიგნობრობა ქართული 10, თბ., 2010, გვ. 150-156. აქაც წინა პუბლიკაციები მითითებული არ არის.

[10] ეს ქადაგება ჩვენი თანმხლები წერილითურთ მეორედ გამოქვეყნდა ჟურნალში „თავისუფლება“: 2003, №6, გვ. 45-49.

[11] ეს ეგზემპლარი ჩენ ვნახეთ 1980 წელს საქართველოს საპატრიარქოს ბიბლიოთეკის ფონდში, რომელიც იმხანად წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში ინახებოდა (ორთაჭალა). ზემოთ მოყვანილი ციტატა და მინაწერი ამ ეგზემპლარიდან მაშინ ამოვწერეთ. თვით ეგზემპლარი კი, მისი რარიტეტული მნიშვნელობის გამო, კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ს გავუგზავნეთ და მის მიმართ საგანგებო ყურადღების გამოჩენა ვთხოვეთ.

[12] ეს სიტყვა ჩვენ მეორედ გამოვაქვეყნეთ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის გაზეთში „მესხეთი“: 1990, 3.XII, №1.

[13] კ-პ კალსტრატეს პირად საარქივო ფონდში (მითითებულ საქმეში) დაცულია სამოძღვრო კურსების გაკვეთილების ცხრილი და მასწავლებელთა სია. დოკუმენტს ახლავს დეკ. კ. ცინცაძის მინაწერი, საიდანაც, სხვათა შორის, ვგებულობთ: კურსები ფუნქციონირებდა საქართველოს კათალიკოს-პატრირქის რეზიდენციაში (ყოფილი საეგზარქოსო სახლი); სოფლიდან ჩამოსული მოწაფეები ამ სახლის ქვედა სართულში ცხოვრობდნენ; მეცადინეობა მიმდინარეობდა კათალიკოს-პატრიარქის კარის ეკლესიაში. დავძენთ: ეს სახლი, სათავსოები და ეზო სახელმწიფომ ეკლესიას 1923-1924 წლებში, კ-პ ამბროსის პატიმრობის დროს, ჩამოართვა. მოგვიანებით იქ საქალაქო პოლიციის სამმართველო განთავსდა, 1990 წელს კი ეგევე შენობა სათავსოებითა და ეზოკარმიდამოთი საქართველოს საპატრიარქოს დაუბრუნდა.

[14] ამ და ბევრ სხვა საყურადღებო ფაქტზე საუბრობს კ-პ კალისტრატე 1938 წელს დაწერილ მემუარში ,,მოგონება ზაქარია პეტრეს ძე ფალიაშვილზე“,

რომელიც ოთხჯერ გამოქვეყნდა: ორჯერ მიხეილ ქავთარიას მიერ (,,საბ-ჭოთა ხელოვნება“, 1971, №10; მწიგნობრობა ქართული 10) და ორჯერ ჩვენს მიერ (,,საქართველოს კათოლიკე“, 1994, IV, №1; ,,საბა“, 2004, IX, №9). პროფ. ს. ვარდოსანიძე წერს, კ. ცინცაძე ზ. ფალიაშვილს „თავის დროზე ასწავლიდა საღთო სჯულს“ (ს. ვარდოსანიძე, პატრიარქები, წ. II, თბ., 2013, გვ. 82). ეს, ცხადია, შეცდომაა, მაგრამ ამ შეცდომის მიზეზი და წყარო ჩვენთვის გამოუცნობია.

[15] თარიღისა და ანტიოქიის პატრიარქის ვინაობის საკითხზე კალისტრატე ცინცაძის პოზიციის შესახებ იხ.: ნ. პაპუაშვილი, კალისტრატე ცინცაძის წერილი ივანე ჯავახიშვილს [მიმოხილვა, ტექსტის პუბლიკაცია, შენიშვნები]: ,,ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1986, №2-3, გვ. 110-119.

[16] თარგმნილია ქართულად ა. ბრეგაძის მიერ (მწიგნობრობა ქართული 10: კალისტრატე ცინცაძე, წ. II, თბ., 2010, გვ. 7-136).

[17] ამ მოვლენაზე, ანუ გიორგი მთაწმინდლის ცხოვრებიდან აქ ნაგულისხმევ ეპიზოდზე იხ. ჩვენი სტატია ,,გიორგი მთაწმინდელი – ეკლესიოლოგი, კულტურტრეგერი და რეფორმატორი“ (,,სოლიდარობა“, 2010, №4, გვ. 90-91). ამავე თემაზე კ-პ კალისტრატეს სხვა ნაშრომის შესახებ: ნ. პაპუაშვილი, კათალიკოსი და კათალიკოსობა საქართველოში. „დიალოგი“, 2008, №1-2, გვ. 221-224.

[18] ,,მოგონება ილიაზედ“ პირველად გამოქვეყნდა ჩვენს მიერ ჟურნალში ,,მნათობი“: 1985, №2, გვ. 171-174. მეორედ გამოქვეყნდა პროფ. მ. ქავთარიას მიერ სერიაში „მწიგნობრობა ქართული“: ტ. 10, გვ. 200-206 (პირველი პუბლიკაცია აქ მითითებული არ არის).

[19] შედარებით ვრცლად: ნ. პაპუაშვილი, საქართველოს ეკლესია ორ მსოფლიო ომს შორის, თბ., 1996, გვ. 12-14.

[20] თარგმნილია ფრანგულად და ქართულად. ფრანგული თარგმანი და გამოცემა მიმოხილვითურთ შესრულებულია რომში 1932 წელს კათოლიკე მღვდლის, აღმოსავლეთის ეკლესიათა ისტორიის დოქტორის მიხეილ თარხნიშვილის მიერ. ეს მისი პირველი პუბლიკაცია იყო. ამ პუბლიკაციის შესახებ მცირე კომენტარი და ბიბლიოგრაფიული ცნობა იხ.: თ. ჭუმბურიძე, მიქელ თარხნიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. მ. თარხნიშვილი, წერილები, თბ., 1994, გვ. 13-14,539; ნ. პაპუაშვილი, მიხეილ თარხნიშვილი და მისი ,,საქართველოს ეკლესიის ისტორია“. მ. თარხნიშვილი, საქართველოს ეკლესიის ისტორია დასაბამიდან მე-7 საუკუნის დასასრულამდე, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. პაპუაშვილმა, თბ., 2014, გვ. 51. ქართული თარგმანი, შესრულებული რაფიელ ივანიცკი-ინგილოს მიერ, გამოქვეყნდა იმავე 1932 წელს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჟურნალში „სამშობლო“ (პარიზი, №11, გვ. 36-56; ამავე გამოცემის მეორე პუბლიკაცია გურამ შარაძის წინასიტყვით: „ჯვარი ვაზისა“, 1990, №1, გვ. 64-76, მესამე პუბლიკაცია: ს. ვარდოსანიძე, პატრიარქები, თბ., 2013, გვ. 108-133). ამ დოკუმენტის ატრიბუცია შესაძლებელია კ-პ კალისტრატეს იმ მინაწერის მეშვეობით, რომელიც გვხვდება გამოცემის ხელნაწერთა ინსტისუტში, კ. ცინცაძის ფონდში, დაცულ ეგზემპლარზე: „დაინერა საკათალიკოსო საბჭოს მინდობილობით. კ.-პ. კ.“. ეს რომ ნამდვილად ასეა, აღნიშნავს ტექსტის

ქართულად მთარგმნელიც, რომელიც ემიგრაციამდე საკათალიკოსო საბ-ჭოს წევრი იყო და საეკლესიო თემატიკაში ერთობ გათვითცნობიერებუ-ლი, სიცოცხლის ბოლო ოცი წლის მანძილზე – მართლმადიდებელი მღვდე-ლი ესპანეთში (†დეკანოზი რაფიელ ინგილო-ივანიცკი. „ივერია“, 1967, VI, №13, გვ. 30). მის სტატიაში „ჩვენი ეკლესიისათვის“ ვკითხულობთ: „ცნობი-ლია აგრეთვე დასაბუთებული დარბაისლური პასუხიც მიტროპოლიტ ლე-ონიდესი [პატრიარქ ტიხონს] (ტექსტი შედგენილია აწ განსვენებულ კათა-ლიკოს კალისტრატეს მიერ – იმ ხანებში მმართველი საკათოლიკოსო კან-ცელარიისა)“ („ივერია“, 1956, II, №8, გვ. 22. აღნიშნულ სტატიაზე მიგვითი-თა და ქსეროასლი მოგვაწოდა ყოფილმა დეკანოზმა ვასილ კობახიძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ). დეკ. კ. ცინცაძის რეალურ ავტორო-ბას ადასტურებს აგრეთვე იმდროინდელი დეკანოზი ნიკიტა თალაქვაძე: მისივე, მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან, თბ., 2013, გვ. 486.

[21] ამ დოკუმენტის გამოცემებისა და უცხო ენებზე თარგმნის შესახებ იხ.: ამ-ბროსი ხელაია რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ აფხაზეთში («სტა-ტიის გამო „ხმა სოხუმიდან“»), გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, გამოკ-ვლევა და შენიშვნები დაურთო ნ. პაპუაშვილმა, თბ., 2006, გვ. 34; N. Papuashvili, Aus der jüngsten Vergangenheit der georgischen orthodoxen Kirche: Die Erneuerung der Autokephalie und die Reformen, Tiflis 2012, S. 65; ამბროსი (ხელა-ია), ეპისტოლარული მემკვიდრეობა, გამოსაცემად მოამზადა გ. საითიძემ, თბ., 2012, გვ. 33-34, 120. იმის მიუხედავად, რომ მემორანდუმის ტექსტი ბევ-რჯერ არის გამოქვეყნებული, მასთან დაკავშირებული ისტორიულ-ტექ-სტოლოგიური საკითხები ჯერჯერობით შეუსწავლელი და დაუზუსტებე-ლია. არ ვიცით, მაგალითად, ტექსტი პირველად რა ენაზე ითარგმნა და და-ნიშნულების ადგილზე რომელენოვანი თარგმანით გაიგზავნა, რა მიმართე-ბაა ორიგინალის ტექსტის სხვადასხვა პუბლიკაციას შორის, რამდენად ადეკვატურია ადრეული თარგმანი (თუ თარგმანები) და ა. შ.

[22] გამოაქვეყნა მიხეილ ქავთარიამ კომენტარით: კ. ცინცაძე, ჩემი დაკით-ხვა. „მნათობი“, 1990, №9, გვ. 150-155.

[23] „საბოლოო სიტყვის“ ტექსტი, რომელიც კ-პ ამბროსის ოჯახმა შემოინახა, გამოქვეყნდა 1988 წელს ჟურნალში „მნათობი“: №10, გვ. 148-161 (აკაკი მინდი-აშვილის კომენტარით). ეს არის უაღრესად რაციონალური, დიპლომატიური და მოზომილი გამოსვლა, რომლის დედააზრი ასეთია: რაც გავაკეთე, ჩემი უფლება კი არა, მოვალეობა იყო. ფრაზას, რომელიც ზეპირი სიტყვით ანუ ფოლკლორით გავრცელდა, თანაც მისი უწმუნდესობის სიცოცხლეშივე (შდრ.: ნ. თალაქვაძე, მოქალაქე-მღვდლის დღიურიდან, გვ. 258) და რომელიც დღეს მყარადაა გამჯდარი ჩვენს ცნობიერებაში, არც „საბოლოო სიტყვა“ და არც იმდროინდელი წერილობითი წყაროები არ იცნობს. ამის გამო მისი ავ-თენტურობა უარყო პროფ. სერგო ვარდოსანიძემ (ზეპირი განცხადებებით სამეცნიერო-საზოგადო სხდომებზე), რასაც, ცხადია, საფუძველი აქვს. ამის მიუხედავად საკითხი ამოწურულად ვერ ჩაითვლება, თუ არ გაეცა პასუხი კითხვას: რა მიმართებაშია საბოლოო სიტყვის ფოლკლორული ვარიანტი წე-რილობით ვარიანტთან. შევეცდებით, წარმოვადგინოთ ჩვენი პასუხი, რამდე-ნადაც წიამდებარე წიგნის ფორმატი ამის საშუალებას მოგვცემს. ფოლკლო-

რული ფრაზის პირველი და მეორე ნაწილი: „სული ღმერთს ეკუთვნის, გული – საქართველოს“ სრულ თანხმობაშია „საბოლოო სიტყვის“ შინაარსთან. იქ, ტექსტში, ნათქვამია: „ჩემთვის ტკბილი იქნება ის სასჯელი, რომელსაც მომისჯის უზენაესი სასამართლო მშობლიური ეკლესიის და ერის თავისუფლების დაცვის მიზნით ხმის ამოღებისათვის. ეს იქნება დაგვირგვინება იმ ჯვარისა, რომელიც ჩემგან ნატვირთია და ვატარებ ჩემი ცხოვრების უკანასკნელ თითქმის 37 წლის განმავლობაში. ჩემგან ეროვნული ინტერესების დასაცავად ამაღლებული ხმა და მსჯავრი, რომელსაც მომისჯის უზენაესი სასამართლო, მონახავენ თავის ადგილს ყოველის ქართველის გულში, – იმ ქართველისა, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს სარწმუნოება და სამშობლოს სიყვარული. ამითაც ბედნიერად ჩავთვლი ჩვემს თავს. როგორც მორწმუნე ვიტყვი – იყოს ნება ღვთისა!“. ამ შემთხვევაში ჩვენ გვახსენდება ცნობილი ფრაზა თეოლოგიისა და ეკლესიის ისტორიიდან: „მწამს, რადგან აბსურდია!“. ცნობილია, რომ ეს სიტყვები, პარადოქსული სილოგიზმის ეს კლასიკური ნიმუში, ძველი დროის პოპულარულ ქრისტიან მწერალს, ტერტულიანეს, მიეწერება. მაგრამ ასევე ცნობილია ისიც, რომ ეს სიტყვები და ეს ფრაზა ტერტულიანეს ნაწერებში არ გვხვდება. სამაგიეროდ გვხვდება ისეთი გამონათქვამები, რაც შინაარსობრივად ისეთსავე თანხვედრაშია დასახელებულ ფრაზასთან, როგორც წმ. ამბროსი ხელაიას „საბოლოო სიტყვის“ წერილობითი ვარიანტი ფოლკლორული ვარიანტის პირველ-ორ ნაწილთან. აი, ტერტულიანეს ერთ-ერთი გამონათქვამი: „ძე ღვთისა ჯვარს ეცვა, – არ მერცხვინება, რადგან სასირცხვოა; ძე ღვთისა მოკვდა, – სრულიად სარწმუნოა, რადგან უაზრობაა; დამარხული აღდგა. – ნამდვილია, რადგან შეუძლებელია“. ანდა: „რასაც ჩვენ ვაღიარებთ, ეს საღი აზრისთვის უაზრობაა“ (ლათინური ორიგინალიდან გვითარგმნა პროფ. ზურაბ კიკნაძემ და წყაროც მიგვითითა: De Carme Christi [ქრისტეს ხორცის შესახებ]: 4,5). ვფიქრობთ, სავსებით ლოგიკურია და ბუნებრივიც, რომ ტერტულიანეს ის ტექსტები, რომელშიც ყოვლადძლიერი და ყოვლისმპყრობელი ღმერთის ბოსელში შობაზე, ჯვარცმაზე, დამარხვასა და აღდგომაზე არის ლაპარაკი, კოლექტივის მეხსიერებამ შეაჯამა, დაწურა და იმ ფორმულით გამოკვეთა ანუ, უფრო ზუსტად, გამოაკრისტალა, რომელიც დღეს ყოველმა სწავლულმა ქრისტიანმა იცის. რაც შეეხება წმ. პატრიარქის ფოლკლორული ფრაზის მესამე ნაწილს: „ლეშს, რაც გსურთ, ის უყავით!“, იგი საკმაოდ რადიკალური და ექსტრემისტული გამონათქვამია და, ამდენად, წინააღმდეგობაშია „საბოლოო სიტყვის“ წერილობითი ვარიანტის წყნარ ტონთან. ამის გამო არ არის მოსალოდნელი, რომ ამ ტონის ავტორს ეს სტყვები, ანდა ასეთი შინაარსისა და ასეთი ემოციური დატვირთვის ფრაზა წარმოეთქვას. ამდენად, საბოლოო სიტყვის ფოლკლორული ვარიანტის ეს ნაწილი ხალხის, კოლექტივის, მასის ინტერპოლაცია და თვითშემოქმედება უნდა იყოს, მასისა, რომელსაც, როგორც წესი, ექსტრემიზმი იზიდავს და გმირს ხშირად იმის თქმას მიაწერს, რისი თქმაც მას (მასას) თავად სურს და ეოცნებება.

[24] გამოქვეყნებულია ჩვენს მიერ ქართული დედანიც და პარალელური ფრანგული თარგმანიც, რომლის თანხლებით ეს დოკუმენტი ადრესატს გაეგზავნა: N. Papuashvili, Aus der jüngsten Vergangenheit der georgischen

orthodoxen Kirche: Die Erneuerung der Autokephalie und die Reformen, Tiflis 2012, S. 131-143. ატრიბუციის საკითხი: იქვე, სქოლიოში.

[25] გამოქვეყნებულია ჩვენს მიერ: „ალტერნატივა“, 1999, 19.X-1.XI, №21.

[26] ეს თემა შედარებით ვრცლად არის გაშლილი ჩვენს წერილში „საღი სარწმუნოება“, რომელიც ახლავს განხილული სიტყვის მეორე პუბლიკაციას: „თავისუფლება“, 2002, №5, გვ. 20-22. ამ პუბლიკაციის საჭიროება პოსტსაბჭოური საქართველოს პოლიტიკურ-რელიგიურმა და ზნეობრივმა კლიმატმა გვიკარნახა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პრობლემები, რომელთა წინაშე ჩვენი ქვეყანა დგას, დიდწილად სწორედ საღი სარწმუნოების დეფიციტმა, მართლმადიდებლობით თავმომწონე საზოგადოებაში ქრისტეს სახარების – სიყვარულის – დაკნინებამ, დამდაბლებამ და გაპარტახებამ განაპირობა. მიზეზებს გარეშე ფაქტორებში ვეძებთ, საკუთარ თავს მართლმადიდებელ ქრისტიანებს ვეძახით, მაგრამ გვავიწყდება ერთ-ერთი უპირველესი ზნეობრივი პრინციპი: მიზეზი, პირველ რიგში, შენს თავში უნდა მოიძიო (შდრ. 1 კორ. 11,31)! იქნებ ამის მიზეზი არის მართლმადიდებლური ნაციონალიზმი, რასაც ქრისტე და მისი ეკლესია გმობს და რამაც პოსტსაბჭოური საქართველო გლობალურად მოიცვა?! და, აი, ახლა, როდესაც ეს შენიშვნა იწერება, ჩვენ დისკრიმინაციის კიდევ ერთი ფაქტის წინაშე დავდექით. ლაპარაკია სამოქალაქო დაპირისპირებაზე, რომელიც მოხდა ადიგენის რაიონის სოფელ მოხეში 2014 წლის 22 ოქტომბერს და რომელიც გამოიწვია იმ სამუშაოს დაწყებამ, რაც ადგილობრივი მთავრობის თაოსნობით დაიწყო და რაც მუსლიმთა სალოცავის ნაშთთა არარელიგიური მიზნით გადაკეთებას გულისხმობს. როგორც ვხედავთ, დაპირისპირების მიზეზად ამ შემთხვევაში თავად სახელმწიფო გამოიყურება, სახელმწიფო, რომელმაც მართლმადიდებელ ეკლესიას ყველა ძველი საკულტო ნაგებობანი დაუბრუნა. ჩანს, ეს სახელმწიფო არამართლმადიდებლებს და, კერძოდ, მუსლიმებს ქვეყნის მეორეხარისხოვან მოქალაქეებად აღიქვამს, რაც დისკრიმინაციაა. აღნიშნული ინციდენტი შედარებით ვრცლად: თ. მათეშვილი, რელიგიური შუღლით პროვოცირებული მართვადი ქაოსი. „რეზონანსი“, 2014, 24.X, №285.

[27] ინფორმაცია ანტირელიგიური პროცესიების თაობაზე შედარებით ვრცლად: ნ. თალაქვაძე, მოქალაქე მღვდლის დღიურიდან, თბ., 2013, გვ. 513, 434-435.

[28] პრობლემები, რომელთა მოგვარების მიზნით ეს ეპისტოლე დაიწერა, თანამედროვე საქართველოს მართლმადიდებელ (ვამჯობინებდით: მართლმადიდებლობის დამჩემებელ) საზოგადოებაშიც მწვავედ დგას. ეს განსაკუთრებით სისხლიანი მსხვერპლის შეწირვისა და მასთან დაკავშირებული ცრურწმენების მისამართით ითქმის. გავითვალისწინოთ, რომ ასეთი მსხვერპლშეწირვა დღესაც სრულდება თვით საკათედრო ეკლესიების გალავნებში და დედაქალაქის ცენტრშიც კი. და თანაც: სრულდება იმავე ცნობიერების გავლენით, რის გამოსასწორებლადაც არის მიმართული კ-პ კალისტრატეს 1936 წლის ეპისტოლე. გავითვალისწინეთ რა ეს ვითარება, ამ დოკუმენტის ქართული ვარიანტი ჩვენ სამჯერ გამოვაქვეყნეთ (კომენტარითურთ): „საღვთისმეტყველო კრებული“, 1987, №3, გვ. 170-172; „ახალი ქართული გაზეთი“, 1998, 19.VIII, №23, გვ. ე-8; „თავისუფლება“, 2003,

№4, გვ. 47-49. გამოსცა სერგო ვარდოსანიძემაც (მისივე, პატრიარქები, თბ., 2013, გვ. 149-151). მაშადადამე, წინამდებარე გამოცემა, რითაც მთავრდება „ყვავილთკრებული“, მეხუთეა. ქრისტიანულ ტრადიციაში სისხლიანი მსხვერპლშეწირვის საკითხი ჩვენ განხილული გვაქვს სტატიაში „ერთი საწესო ჩვეულების კვალი გრიგოლ ხახანძთელის ცხოვრებაში“: „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1987, №1-4, გვ, 238-254.

[29] ამ ეკლესიას საქართველოში „ცხოველ ეკლესიასაც“ უწოდებდნენ. 20-იან წლებში მისი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წარმომადგენელი იყო დეკ. იოსებ ჩიჯავაძე, კათალიკოს-პატრიარქ კირიონის განუყრელი მეგობარი და თანამოსაგრე. იხ. ც. ჩხარტიშვილი, დეკანოზი იოსებ ჩიჯავაძე (წერილები კირიონ მეორისადმი), თბ., 2013, გვ. 9, 20-22. აღნიშნული ეკლესიის იდეებიისადმი განსაკუთრებულ სიმპათიებს, თურმე, სამეგრელოს რაიონებში ამჟღავნებდნენ: ნ. თალაქვაძე, მოქალაქე მღვდლის დღიურიდან, თბ., 2013, გვ. 445-447.

[30] ამ საკითხს ჩვენ რამდენჯერმე გამოვეხმაურეთ ქართულ და გერმანულ ენებზე; გვქონდა პოლემიკაც. ბოლო პუბლიკაცია: ნ. პაპუაშვილი, კალენდრის ახალი სტილი და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები X-XI, თბ., 2010/2011, გვ. 386-396 (ქართული ვარიანტი), 396-403 (გერმანული ვარიანტი).

[31] გამოაქვეყნა პროფ. მ. ქავთარიამ (მწიგნობრობა ქართული 9: კალისტრატე ცინცაძე, წ. 1, თბ., 2010, გვ. 305-481).

[32] მეტი ინფორმაცია: ს. ვარდოსანიძე, პატრიარქები, თბ., 2013, გვ. 54-56.

[33] ვეთანხმებით პროფ. მიხეილ ქავთარიას, რომელიც წერს: „ეს იყო უმძიმესი 30-იანი წლები. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო კალისტრატე ცინცაძის ავტორიტეტის კიდევ უფრო ზრდა. მის გარშემო გაუხმაურებლად დადგა ქართული ინტელიგენციის ერთი ნაწილი და სწორედ მათთან ურთიერთობა აძლევდა ენერგიას უჯაროდ დარჩენილ გენერალს“ (მწიგნ. ქართ. 9, გვ. 508). დავძენთ: ფაქტი, რომ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ინსტიტუციური არსებობა შეინარჩუნა, ძირითადად განაპირობა ავტორიტეტმა, რომელიც მოსავდა კათალიკოს კალისტრატეს იმდროინდელი კომუნისტური ელიტის არა ერთი და ორი წარმომადგენლის თვალშიც კი.

[34] ქაშვეთის ტაძრის სამრევლოსათვის ჩამორთმევის საკითხი, თითქოს, გადაწყვეტილი იყო, მაგრამ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელ მდივანს, ლავრენტი ბერიას, კათალიკოსის თხოვნისათვის ანგარიში გაუწევია: ს. ვარდოსანიძე, დას. წიგნი., გვ. 53.

[35] შედარებით ვრცლად 30-იანი წლების დევნილობის შესახებ: ნ. პაპუაშვილი, საქართველოს ეკლესია ორ მსოფლიო ომს შორის, თბ., 1996, გვ, 19-28; მისივე, საქართველოს ეკლესია იმედისა და უიმედობის ზღვარზე. „სიტყვა“ („ახალი 7 დღის“ ყოველთვიური გამოცემა), 2007, №1, გვ, 77-80; N. Papuašvili, Antireligiöse Hysterie und Verfolgung (Die Georgische Orthodoxe Kirche zwischen den beiden Weltkriegen), in: Glaube in der 2. Welt, 1996, # 3, S. 18-22; N. Papuashvili, Aus der jüngsten Vergangenheit der georgischen orthodoxen Kirche: Die Erneuerung der Autokephalie und die Reformen, Tiflis 2012, S. 63-82

[36] დიდ კვერექსში „ჩვენი ერის, მისი მთავრობისა და მხედრობის“ მოხსენი-

ება 1941 წლის 24 ივნისიდან დაიწყო: ნ. ტაბიძე, კალისტრატე ცინცაძე, თბ., 2008, გვ. 18.

[37] ირკვევა, რომ ნაცისტური გერმანიის სპეცსამსახურები დიდ იმედებს ამყარებდნენ კათალიკოს კალისტრატე ცინცაძის პიროვნებაზე. ჩანს, მათ მისი მიმხრობის იმედი ჰქონდათ, რაც, სავარაუდოდ, შემდეგ გარემოებებს ემყარებოდა: პირველი ის, რომ მას, კ. ცინცაძეს, გერმანელი, დაბადებით გერმანიის იმპერიის მოქალაქე, ცოლი ჰყავდა და მის ოჯახს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ გერმანელებთან ნათესაური კონტაქტები უნდა ჰქონდა და მეორე, იგი ფლობდა გერმანულ ენას და გამოირჩეოდა განათლებით, რის გამოც ის თანამემამულეებს შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. შედარებით ვრცლად: ნ. პაპუაშვილი, გრიგოლ ფერაძე სარწმუნოებისა და მოქალაქეობის შესახებ, თბ., 2006, გვ. 87-88,207; N. Papuashvili, Aus der jüngsten Vergangenheit..., S. 82-83. სტალინთან მიმოწერისა და მასთან ურთიერთობის რეალური თუ ფანტაზიისეული ამბების თაობაზე: ნ. ტაბიძე, დას. წიგნი, გვ. 23-25; ს. ვარდოსანიძე, დას. წიგნი, გვ. 151,155-156. ეს ამბები (კერძოდ, კალისტრატე სტალინთან ანაფორის გარეშე შევიდაო), ჩანს, პოპულარობით სარგებლობდა ქართულ ემიგრაციაშიც: დ. ჭუმბურიძე, რედაქტორისაგან. – ნ. როსტომაშვილი, დას. წიგნი, გვ. 5. კ. ცინცაძის ძმისშვილის, ქ-ნ ანტისას ზეპირი ინფორმაციით, სტალინი კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატეს წყალტუბოში შეხვდა.

[38] ეს ქადაგება წარმოითქვა 1926 წლის 14 (27) იანვარს, მიტროპოლიტობის დროს. ეს ის დროა, როდესაც მართლმადიდებელი და, ზოგადად, ქრისტეს ეკლესიის მისამართით წამოყენებულ იქნა ბრალდებათა დიდი პაკეტი. ერთ-ერთ პირველ ადგილზე იდგა ბრალდება, რომლის თანახმად ქრისტეს მოძღვრება და ქრისტეს ეკლესია, თითქოს, შინაგანად და ბუნებითად არის დაპირისპირებული ჰუმანისტურ და დემოკრატიულ ღირებულებებთან. მიტროპოლიტი ავტორის მიზანია ცხადყოს, რომ პირიქით: სწორედ ქრისტეს მოძღვრება არის ჭეშმარიტი ჰუმანიზმისა და დემოკრატიის ცხოველმყოფელი წყარო. დიდი თეოლოგიური და ეკლესიათმცოდნეობითი მნიშვნელობის გამო ჩვენ ეს დოკუმენტი ორჯერ გამოვაქვეყნეთ: „საღვთისმეტყველო კრებული“, 1985, №1, გვ. 20-33; ნ. პაპუაშვილი, წმიდა ნინო და თანამედროვეობა (ქადაგების ტექსტით). „თავისუფლება“, 2002, №9, გვ. 12-23.

[39] ამის მიუხედავად აღმოსავლეთის მართლმადიდებელი პატრიარქები მცხეთის საყდრის ავტოკეფალიის დე-იურედ აღიარებისაგან დიდხანს თავს იკავებდნენ. ეს ვითარება გაგრძელდა 1990 წლის 23 იანვრამდე. ამ დღეს კონსტანტინოპოლში (სტამბოლში) მსოფლიო პატრიარქის, ყოვლადუწმინდეს დიმიტრიოს I-ის ლოცვა-კურთხევით შედგა უწმინდესი სინოდის სხდომა, რომელმაც, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ის მიმართვისა და თხოვნის თანახმად, განიხილა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსის საკითხი და გამოიტანა დადგენილება ამ ეკლესიის იურიდიული ავტოკეფალიის აღიარების თაობაზე. შესაბამისი სიგელი იმავე წლის 25 იანვარს გამოქვეყნდა. მასალები: „ჯვარი ვაზისა“, 1990, №3, გვ. 5-14.

[40] შდრ.: ერთი იდეოლოგიური კამპანიის ისტორიიდან (საბჭოთა კავშირის ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთისადმი 1945-1953 წლებში), მასა-

ლები გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო ჯ. სამუშიამ, თბ., 2003, გვ. 23-45; ნ. ტაბიძე, დას. წიგნი, გვ. 53-56; ს. ვარდოსანიძე, დას. წიგნი, გვ. 71-74.

[41] შდრ.: ნ. პაპუაშვილი, კ. მ. ცინცაძის ცხოვრება და მეცნიერული მემკვიდრეობა. მრავალთავი XIII, თბ., 1986, გვ. 105. აღნიშნულმა კამპანიამ დადებითი გამოხმაურება ჰპოვა ქართულ ემიგრაციაშიც. იხ.: მ. თარხნიშვილი, საქართველოს ეკლესიის ისტორია..., გვ. 57-58, 85.

[42] აქ საგულისხმო და გასათვალისწინებელია აკადემიკოს კორნელი კეკელიძის სიტყვები, წარმოთქმული კალისტრატე ცინცაძის სიძის, ვახტანგ ქართველიშვილის, დაკრძალვის დღეს და გადმოცემული პროფ. მიხეილ ქავთარიას მიერ: „კალისტრატე ღრმადმორწმუნე კაცი ბრძანდებოდა. ეკლესიას მიუძღვნა მთელი ცხოვრება. ამიტომ ქართული მწერლობის ისტორიამ დაკარგა ერთი კარგი და წარჩინებული მკვლევარი“ (მწიგნ. ქართ. 10, გვ. 194).

[43] გამოვაქვეყნეთ ჩვენ მიმოხილვის თანხლებით: მესხეთი (საისტორიო კრებული) III, თბილისი-ახალციხე, 1999, გვ. 170-198. მეორე პუბლიკაცია: მწიგნობრობა ქართული 9, თბ., 2010, გვ. 211-242 (მ. ქავთარიას გამოცემა).

[44] გამოცემა: კ. ცინცაძე, ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში, გამოსაცემად მოამზადა, ბოლოსიტყვა და საძიებელი დაურთო მ. ქავთარიამ, თბ., 1994.

[45] აღნიშნულ საკითხებზე შედარებით ვრცლად: ნ. პაპუაშვილი, სათნო გადმოცემა «მამა დავითი და შეცდენილი ქალი» (კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის მიმოხილვის კვალდაკვალ ქვაშვეთის შესახებ). ასურელი მამები აღმოსავლურ და დასავლურ საეკლესიო ტრადიციაში, თბ., 2009, გვ. 89-106. „ქაშვეთის“ სახელით ცნობილი სალოცავი ადგილების კ. ცინცაძისეულ ნუსხას, რომელიც თხუთმეტი ერთეულისაგან შედგება, ჩვენ ვავსებთ ოთხი ერთეულით (გვ. 102-104). მათგან მეოთხე, ანუ საერთო ნუსხის მე-19 „ქაშვეთი“, დადასტურდა 2008 წლის ივლისის მიწურულს ქსნის ხეობაში, ლარგვისის თემში, სოფელ მახიარეთში ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ პროფ. ზურაბ კიკნაძის, პროფ. ხვთისო მამისიმედიშვილისა და ამ სტრიქონების ავტორის შემადგენლობით. მახიარეთის ქაშვეთი ნახევრად ალპურ ზონაში მდებარეობს. იგი დანგრეულია, მაგრამ მაღალმთიანეთის პირობაზე მაინც შთამბეჭდავ ნაგებობად გამოიყურება. ბევრი საკითხი მაშინ, დროის სიმცირის გამო, შეუსწავლელი დაგვრჩა, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ შევისწავლით, როდესაც პოლიტიკური ვითარება გამოკეთდება, როდესაც ხეობა, რომელიც ჩვენი დაბრუნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ოკუპირებულ იქნა, გათავისუფლდება და ჩვენ კვლავ ვეწვევით საქართველოს ამ კურთხეულ მხარეს.

[46] ამ საკითხის ისტორიულ-ქრონოლოგიურ მხარესთან დაკავშირებით რამდენადმე განსხვავებული პოზიცია აქვს ჩამოყალიბებული ამავე ეპოქის მეორე დიდ ქართველ სასულიერო პირს მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძეს: Cr. Peradse, Skizzen zur Kulturgeschichte Georgiens. 1. Der Heilige Georg im Leben und in der Frömmigkeit des georgischen Volkes (ein religionsgeschichtlicher Versuch), in: Der Orient 12, 1930, H. 2, S. 45-52; გრ. ფერაძე, წერილები ჩვენი წარსული ცხოვრებიდან. წმ. გიორგი ქართველი ერის შემოქმედებაში

(ქართული წარმართობის შესახებ). „ჯვარი ვაზისა“ (წმიდა ნინოს ქართულ მართლმადიდებელ მრევლის ორგანო), პარიზი, 1932, №2, გვ. 6-39.

[47] გამოქვეყნდა ჩვენს მიერ: „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1992, №1-2, გვ. 195-217. მეორე პუბლიკაცია: მწიგნობრობა ქართული 9, თბ., 2010, გვ. 187-210 (მ. ქავთარიას გამოცემა).

[48] ამ ნაშრომის გამოქვეყნების ისტორიასთან დაკავშირებით: ნ. პაპუაშვილი, კ. მ. ცინცაძის ცხოვრება..., გვ. 109-110, სქ. 51.

[49] ზოგადი მიმოხილვა: ნ. პაპუაშვილი, კ. მ. ცინცაძის ცხოვრება..., გვ. 109-112.

[50] აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის მეუღლე, ქეთევან ნუცუბიძე, იხსენებს, თუ როგორ დაუმშვიდა კათალიკოსის სიტყვამ და მეტყველებამ მას და მის მეუღლეს გული, მათი ვაჟის, პატარა შალის, გარდაცვალების გამო დათუთქული: ქ. ნუცუბიძე, მოგონება კალისტრატე კათალიკოსზე. „საღვთისმეტყველო კრებული“, 1987, №3, გვ. 48-49.

[51] ეს ქადაგება მეორედ გამოვაქვეყნეთ 1992 წელს და მივუძღვენით სამშობლოსათვის ბრძოლის ველზე აღსრულებული ახალგაზრდა პარლამენტარის, სოფლის მეურნეობის დოქტორის ნუგზარ მიხანაშვილის ხსოვნას: „ლიტერატურული საქართველო“, 1992, 4.XII, №47.

[52] მოგონებათა აღნიშნული ციკლის გამოქვეყნების პროცესი ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა მიხეილ ქავთარიამ დაიწყო ზაქარია ფალიაშვილზე მოგონების გამოქვეყნებით (იხ. ზემოთ შენ. 14), რაც გავაგრძელეთ ჩვენ აღნიშნულ ინსტიტუტში მუშაობის დროს. პირველად გამოვაქვეყნეთ „მოგონება ილიაზედ“ (იხ. ზემოთ შენ. 18), რასაც მოჰყვა რუსულ ენაზე დაწერილი მოგონების პირველი სამი თავის თარგმანის გამოქვეყნება: გამოქვეყნდა 1987 წელს „საღვთისმეტყველო კრებულის“ მე-3 ნომერში, რომელიც მიძღვნილია კ-პ კალისტრატე ცინცაძის დაბადების 120 წლისთავისადმი (გვ. 20-47). თარგმანი ჩვენი (მითითებული ნომრის რედაქტორისა და შემდგენლის) თხოვნით შეასრულა მისი უწმინდესობის შვილიშვილმა რუსუდან კორძაიამ იმ ეგზემპლარიდან, რომელიც ინახება შვილთაშვილის, ვახტანგ ქართველიშვილის ოჯახში. ეს თარგმანი, თხზულების დანარჩენი ნაწილის თარგმანთან ერთად (ამ ნაწილის მთარგმნელები ნ. ჯოლოხავა და აკ. ბრეგაძე), გამოსცა მთავარეპისკოპოსმა ანანია ჯაფარიძემ: კ. ცინცაძე, ჩემი მოგონებიდან, თბ., 2001. იქ, სამწუხაროდ, ვერ ვხვდებით მითითებას თხზულების ზემოთ აღნიშნული მონაკვეთის პირველი პუბლიკაციის შესახებ და მკითხველისათვის გაურკვეველი რჩება, თუ სად მოიპოვა და საიდან აიღო გამომცემელმა ამ მონაკვეთის თარგმანის ტექსტი, რაც გამოცემის აკადემიურ მხარეს აკნინებს და კოლეგიალური ეთიკის ნორმებს არღვევს (შდრ. ჩვენი რეცენზია აღნიშნულ გამოცემაზე: ნ. პაპუაშვილი, „უგულისწყრომოდ, მიუკერძოებლად“. „საგურამო“, 2002, №2, გვ. 61). ეგევე ითქმის კ. ცინცაძის ამავე და სხვა მოგონების მომდევნო პუბლიკაციის მისამართითაც (რედაქტორი პროფ. მიხეილ ქავთარია): მწიგნობრობა ქართული 10, თბ., 2010.

[53] ამ დიკუმენტებიდან მ. ქავთარიამ გამოაქვეყნა ნიკო კეცხოველის „ყველაზე სათნო ჩემი მასწავლებელი“ და ერასტი ვაცნაძის „მოგონება“ (მწიგნ. ქართ. 10, გვ. 495-509).

[54] ქ-ნ ოფელია-ნინოს პოზიცია ჩვენთვის ცნობილია კ. ცინცაძის სიტყვიდან, რომელიც მან ეპისკოპოსად კურთხევის დღეს წარმოთქვა. იგი პირველად ჩვენ გამოვაქვეყნეთ: „საღვთისმეტყველო კრებული“, 1987, №3, გვ. 166-168.

[55] მკვლევართა ნაწილს ჰგონია, რომ კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე „იყო ბერი“ (ნ. როსტომაშვილი, დას. წიგნი, გვ. 184), რაც მართალი არ არის. გავითვალისწინოთ, რომ საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის იმხანად მოქმედი, პირველი საეკლესიო კრების მიერ დამტკიცებული დებულებების მიხედვით ეპისკოპოსისათვის ბერობა აუცილებელი არ იყო: ნ. პაპუაშვილი, დეკანოზ კორნელი კეკელიძის მოხსენებები საეკლესიო კრებაზე. „ზღვარი“, 2005, №1, გვ. 7-8; მისივე, კოენელი კეკელიძე პირველ საეკლესიო კრებაზე და ორი კანონიკური დოკუმენტის ატრიბუციის საკითხი. ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, 1/2008, გვ. 438-439.

[56] უფრო კონკრეტულად: ნ. პაპუაშვილი, კ. მ. ცინცაძის..., გვ. 112-113.

[57] ბოლო დროს ფართო საზოგადოებრიობისათვის ცნობილი გახდა კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის გარდაცვალების აქამდე სრულიად უცნობი ვერსია. მხედველობაში გვაქვს პუბლიკაცია: ლ. ურუშაძე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე (1932-1952). „რელიგია“, 2014, №2, გვ. 5-9. ავტორი იმოწმებს კ-პ კალისტრატეს წერილებს, რომლებიც მან საბჭოთა მთავრობისა და ხელისუფლების წარმომადგენლებს სიცოცხლის ბოლო წლებში გაუგზავნა და რომლებიც, მკვლევრის შეფასებით, კრიტიკასა და მკაცრ ტონს შეიცავს, აგრეთვე – ამერიკის კონგრესის 1955 წლის გამოცემას ,,კომუნისტური გადატრიალება და საქართველოს ოკუპაცია“ (ქართული თარგმანი: [თბ., 2007]). ამ დოკუმენტის თანახმად კათალიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ 1951 წელს ინტერვიუ მისცა „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტს და აღნიშნა: „საქართველოში მხოლოდ 100 ეკლესია შემორჩა. სხვა ფაქტები რომც არ არსებობდნენ, ესეც საკმარისი იქნებოდა იმის სადემონსტრაციოდ, რაც კომუნისტებმა ქართულ ეკლესიას დამართეს. ქართველ ხალხს ამერიკელ ხალხთან მეგობრული ურთიერთობის დამყარების სურვილი აქვს“ (ქართ. თარგ. გვ. 41). იქვე აღნიშნულია, რომ ხსენებული ინტერვიუს გამო კათალიკოსი „დააპატიმრეს. წამების შემდეგ 1952 წლის 3 თებერვალს კათალიკოსი კალისტრატე ციხეში გარდაიცვალა“ (გვ. 45). გადმოსცემს რა ამ ინფორმაციას, ლევან ურუშაძე დასძენს: „არსად, სადაც კათალიკოს კალისტრატეზეა ლაპარაკი, არ არის აღნიშნული, რომ იგი *წამების შემდეგ ციხეში გარდაიცვალა*“, რაც მიგვანიშნებს, რომ ის, მკვლევარი, ნდობას უცხადებს მითითებულ ინფორმაციას და, მაშასადამე, კათალიკოს კალისტრატეს პატიმრობაში აღსასრულის ვერსიას ავითარებს. ინფორმაცია ინტერვიუს შესახებ რომ ნამდვილია, ეს ცხადია. ამ ინტერვიუს იცნობდა ქართული ემიგრაციაც. ჟურნალში „ივერია“ ვკითხულობთ: „2.455 ეკლესიიდან რუსეთის საბჭოთა რეჟიმს გადარჩენია (თანახმად 1951 წლის ქათალიკოს კალისტრატეს მიერ New-york-Times-ის წარმომადგენელ ბ-ნ ჰარისონ ე. სალისბერისადმი განცხადებისა) მხოლოდ 100 სამრევლო და ალბად ამოდენივე ეკლესია და მღვდელი“ (1856, №8, გვ. 38). რაც შეეხება ინფორმაციას პატრიარქის საპყრობილეში გარდაცვალების შესახებ, ეს ინფორმაცია, კონგრესის იმავე გამოცემის თანახმად (გვ. 41), ამოღებულია იმ ჩვენებიდან, რომელიც ემიგრანტმა ვალერიან სანგულიამ, ქართველი მღვდლის შვილმა, კონგრესის ერთ-ერთ კომიტეტს

მისცა. საკმარისია, თვალი გადავავლოთ აღნიშნული ჩვენების ტექსტს, რათა დავრწმუნდეთ, რომ ის აგებულია ზეპირად გავრცელებულ და ინდივიდუალურ მეხსიერებაში შემონახულ ამბებზე, რასაც სიზუსტის პრეტენზია ვერ ექნება. მაგალითად, იქ ნათქვამია, რომ კათალიკოსი ამბროსი ციხეში გარდაიცვალა (გვ. 45). თუ „ციხეს“ პირდაპირი მნიშვნელობით გავიგებთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს არასწორი ინფორმაციაა. ჩვენ გვქონდა შემთხვევა, გვესაუბრა კ-პ კალისტრატეს ძმისშვილთან – ანტისა ცინცაძესთან, რომელიც ბიძას უვლიდა და მის სასიკვდილო სარეცელსაც არ მოშორებია. მისი ინფორმაციით უწმინდესი კათალიკოსი საკუთარ რეზიდენციაში გარდაიცვალა და დიდი პატივით, ხალხმრავალი პროცესიით და შთამბეჭდავი წესგანგებით დაიკრძალა.

თბილისი, 2014 წლის სექტემბერ-ოქტომბერი

НУГЗАР ПАПУАШВИЛИ

Святейший и блаженнейший Католикос-Патриарх всея Грузии Каллистрат Цинцадзе[1]

«Поминайте наставников ваших, которые проповедывали вам слово Божие, и, взирая на кончину их жизни, подражайте вере их» (евреям 13,7)

Подобающее описание полных заслуг жизни Католикоса-Патриарха Каллистрата Цинцадзе не терпит отлагательств, ибо архипастырский облик этого блаженной памяти духовного наставника является воплощением нравственного совершенства и цельности разума. Предлежащая статья в общих чертах рассматривает его деятельность. Нами привлечены материалы из личного архива досточтимого патриарха, хранящегося в Институте рукописей Академии наук Грузии им. К.С.Кекелидзе (нынешний Национальный центр рукописей), воспоминания и впечатления знакомых и близких святейшего Каллистрата, с радостью рассказавших нам о Христовой самоотверженности их настоятеля.

Католикос-Патриарх всея Грузии Каллистрат (Каллистрат Михайлович Цинцадзе) родился 12 апреля 1866 года в селе Тобаниери Ванского района (в то время Кутаисского уезда).

Благодаря добронравным родителям будущий католикос с отроческих лет приобщился Христовой вере. Старшая сестра обучила шестилетнего Каллистрата церковному письму и псалтыри. За такое усердие отец (священник Михаил) подарил ему книгу по родному языку «Бунебис кари [Врата природы]» Якова Гогебашвили. Отрок, жаждущий учения, еще в дошкольном возрасте приступил к освоению псалмопения и приобщился благодати священства с этих же пор.

---

[1] Опубликовано партиархией Грузии в «Богословском сборнике», по правилам внутренного пользования, 1980, №2, с. 99-118 (на грузинском языке), во второй раз (сравнительно обширный вариант) – в календаре Грузинской церкви (1982, с. 143-162), научной целью обработанный и пространный вариант – в сборнике Института рукописей Академии Наук Грузии «Мравалтави» (XIII, 1986, с. 96-113). Этот текст должен был быть опубликован в «Журнале Московской Патриархии» 1986 году в связи со стадвадцатилетней годовщиной его Святейшества Каллистрата, однако по неизветной для автора причине не был напечатан. Данный текст является слегка переработанный и незначительно дополненный вариант текста, составлнного тридцать лет назад.

Однажды в Тобаниери пожаловал его Пресвященство Габриэл (Кикодзе). Архипастырь тотчас же приметил благородство и живой ум Каллистрата. После службы он подозвал юношу к себе, побеседовал с ним, заставил его прочесть несколько молитв и псалмов, приласкал мальчика и посоветовал отцу непременно отдать его в духовное училище.

В 1875 году родители отдали Каллистрата в Кутаисское духовное училище, после успешного окончания которого в 1882 году он поступил в Тбилисскую духовную семинарию. Здесь талантливый юноша прошел новые ступени духовной закалки.

В то время Тбилисская духовная семинария была единственным в Грузии училищем, где под руководством квалифицированных педагогов ученики приобретали основательные знания во многих областях науки: грузинскую литературу преподавал проф. Ф. Жордания, а богословие – протоиерей Павел Светлов (впоследствии профессор Киевского Университета). Здесь же зародилась и зрела мысль о восстановлении автокефалии грузинской церкви.

Юноша Каллистрат с большим усердием взялся за духовное просвещение. Не пропускал священнодействия; молился ежечасно и горячо. Вместе с тем он поддерживал все добрые почины студентов: участвовал в национально-освободительном движении семинаристов, содействовал молодым писателям и был даже членом студенческого драматического кружка.

В 1888 году педагогический совет семинарии направил своего выпускника Каллистрата Цинцадзе в Киевскую духовную академию. В высшем учебном заведении будущий пастырь приобрел основательные философско-богословские знания. Здесь он вел серьезную научную работу. В труде «Иверская Церковь в период Сассанидов (265-570)», за который Каллистрату Цинцадзе была присвоена научная степень кандидата Богословия, выкристализовалось его религиозно-патриотическое кредо.

Диссертант в этом исследовании, опираясь на первоисточники, научно обосновал положение об апостольности грузинской церкви – ее основоположником является один из двенадцати апостолов Андрей Первозванный. Автор документированно показал церковные взаимоотношения Иверии-Антиохии (III-VI вв.) и, исходя из тех же исторических данных, выявил недействительность версии о подчинении нашей церкви католикосату Армении. Здесь же был освещен ряд неясных со времен владычества сассанидов вопросов истории католикосата Иверии. Среди них – церковное право, поместные церковные соборы, список архиепископов, иерархическое строение церкви и др.

Означенное исследование было признано наилучшим и высоко оценено профессорами Малышевским и Олесницким (см. «Мцкемси [Пастырь]», Тифлис, 1892 г., №13-14, с. 10-11). В Киеве он познакомился с немецкой девушкой Офелией Томмас, которая там работала гувернанткой и преподавателем немецкого языка. Молодые люди полюбили друг друга и обвенчались в православной церкви.

В 1892 году кандидат богословских наук Каллистрат с убеждениями и мужеством истинного духовного наставника возвратился на родину и вскоре приступил к исполнению трудных, но желанных обязанностей священнослужителя.

Отец Каллистрат преданно служил сперва в Дидубийской церкви Богоматери (в Тбилиси), а затем с 1903 года – в Квашветской церкви святого Георгия (новое здание этой церкви было построено по его инициативе). В 1909 году настоятель Квашветского собора был возведен в сан протоиерея.

С того дня, как отец Каллистрат был поставлен настоятелем, он радел об обогащении нашей церкви теологическими приобретениями, о восстановлении традиций богословской науки, забытых после Католикоса Антона I и его школы (с I четверти XIX столетия).

Появление молодого богослова перед народом предвещало пробуждение после долгого бездействия: 25 апреля 1893 года (на другой день после его рукоположения во священники) 27-летний священнослужитель достойно предстал у гроба известного поэта Николоза Бараташвили перед процессией, воплощавшей собой всю Грузию. В панихидной проповеди[2] духовный наставник охарактеризовал творчество поэта с богословско-философской точки зрения, он почувствовал подлинно христианскую душу истинного художника, и признал, что сутью творчества Н. Бараташвили является постижение дремлющего в мироздании Божественного начала. «Николоз Бараташвили в природе и посредством природы – учил он – ищет и находит того, кто в силах дать отраду и облегчение... Таким образом, согласно слову апостола (Римлянам I, 19-20), он природу признал гласом Божьим к людям – книгой, в которой вычитал, что сердцу человека облегчение и отраду может дать лишь тот, кто является причиной сотворения его и природы». Такое осмысление творчества Николоза Бараташвили явилось новым словом в грузинской литературной критике.

Священнослужитель в первый же день прихода в паству уведомил

---

[2] Рукопись этой рчи хранится в архиве ктоликоса Каллистрата (№97, с. 122-125). Впервые она была напечатана в «Богословском сборнике» при Патриархии Грузии (1980, №2, стр. 63-66), во второй раз в журн. «Джвари вазиса» (1981, №1, стр. 28-29).

верующих об истинной науке и проповедывал: «Кто раньше возглавлял обучение и просвещение, сегодня отстал от другого сословия, дело обернулось так, что для духовенства совершенно достаточным считалось знание часослова-псалтыри-служебника и умение с грехом пополам ставить свою подпись на церковных документах». По словам настовника, это национальное несчастье способствовало распространению лжепросвещения, главари которого пользовались подобной немощью духовенства для принижения церкви. Они вопили об устарении веры и нарочно затушевывали подлинную причину ее ослабления в народе – отсутствие самостоятельной, независимой церкви. Именно в этом была причина зарождения в народе неверия и безнравственности. «Что спасет, какое лекарство поможет этой болезни? Кто должен позаботиться о «Народе, ходящем во тьме... и живущем в стране тени смертной (Исаия 9,2)? – вопрошал наставник и сам же отвечал – Поскольку веру и нравственность уронили лженаука и лжепросвещение подлинные наука и просвещение должны воскресить их. Поэтому долг каждого истинно просвещенного грузина вернуть младшим братьям своим то, что отняло у них невежество и лжепросвещение, вернуть народу христианскому, крестоносному, мученику за Христа прадедовскую веру и неоскверненную, незапятнанную, безупречную нравственность».

Евангельское учение о преображении и обновлении вселяло в сердца сынов отечества надежду на пробуждение национальной энергии. Священник Каллистрат указывал на монашество как на источник мощи страны, и участь Грузии связывал с судьбою ее монастырей. В речи, произнесенной в 1907 году в связи с кончиной его Преосвященста Александра Окропиридзе он поучал: «Правда, на сей день монашество не в чести у общества, но причина этого кроется в измене монахов своему прямому назначению. Если сегодня большинство монахов составляют любители праздной жизни, то раньше это было не так. В былые времена понятия монашество и подвижничество на общественном поприще были синонимами. Если раньше грузин покидал мать и отца, сестер и братьев, дом и соседей и уходил в монастырь-пустыню, то он заботился не о себе, а приносил себя в жертву отчизне, ради широкого поприща покидал узкие пределы, способствовал просвещению своего народа, углублению его самосознания, усилению его и внутреннему совершенствованию. Он заботился о вдовах и сиротах, о нищих и немощных, вселял надежду в сердца и утешая гнущихся под бременем, подбадривал тружеников и обличал сильных мира сего, когда они сбивались с пути истины и правды. Поэтому, доколе монашество выполняло свой долг, Грузия росла и цвела, а когда

монашество пало, то и Грузия пришла в упадок, распалась на части».

14 октября 1900 года отец Каллистрат благословил фундамент нового здания грузинской гимназии и после благодейственного молебня следующими словами приветствовал основание очага просвещения: «Мы сегодня закладываем основу храма, который из своих пределов должен выпустить патриотов, осененных светом науки, поднявших щит вероисповедования и достигших высокого нравственного совершенства». На богослужении присутствовали: Н. Цхведадзе (основоположник новой гимназии), С. Клдиашвили (архитектор), В. Такайшвили (профессор) и Ар. Кутателадзе (педагог). Все единодушно благословили основание грузинской гимназии.

Воля Господа окрылила мечту патриотов и внушила грузинским ученым мысль о создании университета в недрах названной гимназии. 26 января 1918 года, в день памяти св. Давида Строителя (+1125) Католикос-Патриарх всея Грузии Кирион отслужил праздничную литургию в храме гимназии и благословил грузинский университет (протоиерей Каллистрат был сослужителем его святейшества).

Скромный и просвещенный человек, подлинный патриот, отец Каллистрат евангельской любовью радел о всех благотворительных делах – был сотрудником церковного музея, членом комиссии по исправлению грузинских богослужебных книг. Под его редакцией (совместно с прот. Корнели Кекелидзе) в 1915 году был издан «Требник». В то же время он был представителем комитета по возрождению мцхетских храмов, активно участвовал в работе исторического и этнографического общества, публиковал статьи в периодике того времени: «Мцкемси», «Пастырь», «Иверия», «Дроеба [Время]», «Шинаури сакмееби [Внутренние дела]», «Сакартвело», «Ганатлеба [Просвещение], «Театр», Духовный вестник грузинского экзархата» и др.

Особенно примечательна педагогическая деятельность протоиерея К. Цинцадзе: он преподавал закон Божий в дворянской и мужской гимназиях, сотрудничал в педагогическом совете духовной семинарии. Он же составил и издал учебное пособие для закона Божьего[3]. 27 апреля 1922 года Святейший Синод грузинской церкви назначил Каллистрата директором новооткрытых духовных курсов (Названное училище по определенным причинам просуществовало до 12 января 1923 года. В это время по политическим мотивам арестовали директора упомянутого училищи и большую часть педагогов).

Самоотверженную педагогическую деятельность священнослужи-

---

[3] Прот. К. Цинцадзе. Молитвенник и сокращенный катехизис. Тифлис, 1914 (на грузинском языке).

телей укрошали высокая нравственность и отзывчивость по отношению к ученикам. Доброго духовного наставника с глубоким почтением упоминали композитор Захария Палиашвили, академик Корнелий Кекелидзе и поколения деятелей грузинской культуры, приобщенных кротости и свету просвещения литургическими проповедями отца Каллистрата.

В 1908 году по инициативе прот. Каллистрата Цинцадзе, Композитора Захария Палиашвили, либретиста Петра Мирианашвили и прот. Антона Тотибадзе в Грузии впервые было основано «Общество филармонии», целью которого было возрождение грузинских песнопений. В 1910 году, по просьбе отца Каллистрата, Захарий Палиашвили собрал певчий хор для Квашветской церкви и перенес на ноты «Чин литургии св. Иоанна Златоуста». В 1918 году вместе с Иерархами грузинской церкви на премьеру своей оперы «Абесалом и Этери» Захарий Палиашвили специально пригласил просвещенного священнослужителя; в тот день рядом с католикосом Кирионом и митрополитом Леонидом, благословлявшими первые шаги национальной оперы, стоял прот. Каллистрат.[4]

Главной заслугой Католикоса-Патриарха Каллистрата является восстановление автокефалии грузинской церкви. В 1894 году в журнале «Пастырь» была опубликована научная статья на русском языке священника Каллистрата Цинцадзе о былых днях грузинской церкви. Статья вызвала гнев экзарха (редактору протоиерею Давиду Гамбашидзе он пригрозил закрытием журнала). Исследование свидетельствовало об апостольности грузинской церкви – в нем сквозила мысль о правомерности восстановления ее самостоятельности. Это была весьма смелая статья, она означала усиление голоса протеста, раздавшегося со дня упразднения автокефалии апостольской церкви Иверии (1811 г.).

В 1905 году когда оживилось национально-освободительное движение, по инициативе К. Цинцадзе (совместно с единомышленниками проф. С. Горгадзе и прот. А. Тотибадзе) была разработана петиция относительно восстанровления Патриархата Грузии для представления святейшему синоду русской церкви. С этой петицией в Петербург прибыла делегация в составе епископа Антона Гиоргадзе, архимандрита Амвросия Хелая и протоиерея К. Цинцадзе. Святейший синод отклонил законные требования Грузии. Известные борцы за автокефалию грузинской церкви (епископ Кирион, епископ Давид, архимандрит Амвросий и некоторые другие) были сосланы. Но после этого самосознание грузинского духовенства еще более окрепло, чему

---

[4] Воспоминания Каллистрата Цинцадзе о Захарии Палиашвили опубликовал доктор филологических наук М. Кавтария «О большом композиторе»: «Сабчота хеловнеба», 1971, №10, с. 18-22 (на грузинском языке). Мы осуществили еще две публикации этого воспоминания.

в немалой степени способствовали фундаментальные труды отца К. Цинцадзе: «Автокефалия церкви грузинской»[5] и «Историческая справка по вопросу об автокефальности Грузинской церкви»[6]. В этих серьезных трудах кандидат Богословия с незаурядным чутьем научного поиска обрисовал долгую и содержательную историю грузинской церкви и место этой истории в христианском мире.

Отец Каллистрат был соратником Ильи Чавчавадзе, которого с юношеских лет считал «титаном». Он поначалу даже избегал встречи с некоронованным царем Грузии, из страха изменить свое мнение о нем. Но жизнь свела их несколько раз, и в душе духовного наставника запечатлелись светлые воспоминания об Илье. Знаменитый мирянин-борец за свой народ неуклонно поддерживал все благие начинания духовенства. Вместе с отцом Каллистратом он не раз обсуждал прошлое и будущее Иверской церкви. В 1906 году, когда он был членом Государственной думы, перед отъездом в Петербург для участия в работе этого государственного органа, Илья Чавчавадзе специально навестил К. Цинцадзе, взял у него научно обоснованные материалы о былых днях Иверской церкви, чтобы вновь поставить вопрос об ее автокефалии перед правительством России и Святейшим Синодом.

В марте 1917 года, когда воплотилась мечта грузин и наша церковь восстановила свою независимость, прот. К. Цинцадзе был избран заведующим административного отдела совета Католикосата. С того дня он неустанно радел об упрочении места родной церкви на международной арене.

Прот. Каллистрат был членом делегации, направленной представительством всея Грузии к Временному правительству России с целью добиться от него признания автокефальных прав Грузинской церкви. Святейший синод отрицательно встретил факт восстановления самостоятельности грузинской церкви и отверг добрососедские взаимоотношения с ней (предложенные ему грузинской миссией). Некоторые церковные иерархи в своих официальных или неофициальных выступлениях фальсифицировали историю борьбы за автокефалию грузинской церкви и дело представляли так, будто Патриархия Грузии добровольно присоединилась к Российской Церкви[7].

---

[5] Отец Каллистрат Цинцадзе. Автокефалия церкви грузинской (Исторический очерк IV-XV веков), Тифлис, 1905.

[6] Священник К. Цинцадзе.Историческая справка по вопросу об автокефальности Грузинской церкви, Тифлис, 1906.

[7] «Церковные ведомости», 1919, I.XII, №7 (Приложение); К.П.Каллистрат Цинцадзе, К автокефалии Грузинской церкви (малая заметка на груз. яз.), 1944, с. 5 (перепечатано на машинке).

Внести ясность в эти вопросы взялся протоиерей К. Цинцадзе. По доверенности совета каталикосата и сообразно целям Католикоса-Патриарха Леонида, он написал пространное письмо патриархии России, опубликованное также в виде отдельной книги[8]. В письме с привлечением исторических фактов было засвидетельствовано, что духовное правительство России при содействии и под непосредственной диктовкой гражданского правительства в 1811 году нарушило постановления вселенских церковных соборов и совершило незаконный акт: насильственно присоединило древнейшую церковь Грузии, что с самого же начала вызывало со стороны Грузии резкий протест. Знаток церковной истории Грузии из русских источников выискал имена патриотов, павших жертвой уничтожения самостоятельности родной церкви (митрополиты – Кутаисский Доситеоз, Гаенатский Евфимии и другие).

Некоторыми первыми иерархами Православных Церквей факт восстановления самостоятельности Грузинской Церкви был понят как революционный акт. В деле опровержения этой мысли заслуга прот. Каллистрата велика.

Сей истинный служитель Божий сознавал, что свобода без нравственного возвышения народа несовершенна и фальшива. Поэтому он поучал нас в 1918 году: «Провидение Божеское предупреждает нас, оно говорит: без великой заповеди Христа – без любви друг к другу – жить невозможно и, поэтому, если вам угодно, чтоб в освобожденной Грузии развилось свободное гражданство, способствуйте распространению здорового религиозно-нравственного учения, стойте твердо на заповеди Христа, и пока есть у вас время, творите добро по отношению ко всем».

С января 1923 до февраля 1925 года протоиерей Каллистрат Цинцадзе вместе с Католикосом-Патриархом Амвросием Хелая и с другими членами Совета Каталикосата был арестован в виду политического мотива. Его обвиняли в участии состовления меморандума, который был послан от имени Католикоса-Патриарха Хелая на конференцию в Геную. Суд присудил виновникам длительный срок заключения, но правительство освободило их досрочно (в феврале 1925 г.).

В 1925 году по благословению Святейшего Католикоса-Патриарха Амвросия Хелая протоиерей К. Цинцадзе возводится в сан епископа и становится в тот же день митрополитом и местоблюстителем Патриаршего Престола Грузии. А 22 июня 1932 года церковный собор всея Грузии интронизировал его в Патриархи.

---

[8] Послание Святейшего Леонида, Католикоса-патриарха всея Грузии, к Святейшему Тихону, Патриарху Московскому и всея Руси, Тифлис, 1920.

Патриарший престол Святейший Каллистрат правил в течение двух десятков лет. 20-30-ые годы XX века были тяжелым для священнослужителей Грузии, но нашей Апостольской Церкви все же сопутствовал успех благодаря его архипастырству. Патриарх стремился, чтобы автокефальные Церкви мира признали патриаршие права Грузинского православного народа и определили исторически принадлежащее ему место в Православной семье. С этой целью 28 октября 1943 года Патриархат Грузии пригласил в гости в Тбилиси Ставропольского архиепископа Антона. Он приехал, как специально присланный Патриархом всея Руси Сергием. В воскресенье, 31 октября, его пресвященнство и Патриарх Каллистрат вместе служили в Сионском храме. После исполнения Католикосом-Патриархом Каллистратом божественной литургии глубже стали братские отношения между церквами Грузии и России[9]. Тем самым нашей Церкви был открыт путь для взаимоотношений с другими патриархами вселенной. Главари духовной академии Загорска подобающе оценили Христологическое просвещение Католикоса-Патриарха Каллистрата и в 1948 году пригласили его в члены Ученого Совета той же академии.

Святейший патриарх, наряду с богослужением, продолжал научно-творческую работу. Следует отметить, что он принялся за решение вопросов, стоявших со всей, для того времени, остротой. Именно такие вопросы проанализированы им в следующих трудах: «Каноны святых апостолов» (с примечаниями), «О грузинской антиминее», «К вопросу о личности Никифора Ирбаха» (по поводу 300-летия грузинской книги)», «Материалы о грузинском церковном календаре», «Иверския церкве Чины», «Церковь св. Георгия Квашвети (историко-археологические изыскания)», «О мировозрении автора «Витязя в тигровой шкуре», Критические заметки о руствелологических трудах Ш. Нуцубидзе и М. Гогиберидзе и другие. Он оставил также цикл воспоминаний о многих выдающихся деятелях XIX-XX вв. Большинство своих трудов святейший Каллистрат подписывал псевдонимом «К.М.Экашвили».

Исследование «К вопросу о личности Никифора Ирбаха» ученый архипастырь написал в период митрополитства – в 1929 году. На полях рукописи имеется грустная приписка автора: «Эта статья должна была быть напечатана в журнале «Мнатоби» (об этом свидетельствует и соответствующая надпись), но из-за оглашения псевдонима вернули мне. Затем взяли (второй экземпляр) для «Литературного наследия», одобрили, как мне сказали, но не напечатали».

Труд заслуживает серьезного внимания. Он посвящен 300-летию

---

[9] См. «Журнал Московской Патриархии». Москва, 1944, №3, с. 13-19.

первой грузинской печатной книги и личности одного из вдохновителей этого желанного начинания – Никифора Ирбаха. Никифор Ирбах является соавтором первой грузинской печатной книги «Грузинско-итальянский словарь», который был опубликован в Риме в 1629 году с благословения католических миссионеров.

Как сообщает титульный лист, словарь составлен итальянским монахом Стефано Паолини, которому в этом деле помог «монах чина св. Василия», «грузин» Никифор Ирбах. С давних пор поддерживалась мысль, что Никифор Ирбах являлся грузино-католиком[10]. Но исследователь Д. Каричашвили отклонил традиционное мнение и счел Никифора Ирбаха тем известным греческим митрополитом, который был послан из Иерусалима в Грузию и Россию с дипломатической миссией[11].

Целью исследования «К. М. Экашвили» было установление личности патриота, впервые приобщившего грузин к открытию Иоанна Гутенберга. Основываясь на грузинские и иностранные источники, автор приходит к выводу, что известные с первой половины XVII века епископ Никифор и митрополит Никифор – разные лица. Из них первый – грузин, а второй – грек. Автор обоснованно утверждает, что грузин Никифор был настоятелем Грузинского Иерусалимского Монастыря, впоследствии он был облечен в степень епископа. Именно его направил царь Теймураз Первый послом в Европу, где он помогал Стефану Паолини в работе над грузинско-итальянским словарем. Исследование агапов и других документов Иерусалимского Грузинского Монастыря того времени (первая половина XVII века), изучение сведений грузинских летописцев и католических миссионеров, анализ названного словаря привели ученого к заключению, что Никифор Ирбах является тем же Никифором-Чолокашвили («Ирбах» или «Ирбаки» является итальянским видоизменением «Ирубакидзе»); «Никифор Ирбах – кахетинец, Чолокашвили, сын Иоанна, настоятель Крестного монастыря, игумен Голгофы, мудрец, философ, ритор, знаток семи языков». Исследователь не разделяет распространенного мнения отца Михаила (Тамарашвили) и других[12] о принятии Никифором Ирбахом католичества и обоснованно думает, что епископ Никифор, исполняющий обязанности игумена в Грузинском монастыре Голгофы, никогда не принимал папизма. Он до конца пользовался

---

[10] ср. М.Тамарашвили. история католичества среди грузин, Тбилиси, 1902, с. 92-95 (на грузинском языке).

[11] ср. Д. Каричашвили. История печатания грузинской книги, Тбилиси, 1929 г., с. 17-22 (на грузинском языке).

[12] Арн. Чикобава. История изучения иверо-кавказских языков, Тбилиси, 1965, с. 24 (на груз. языке).

большим уважением как православных, так и католиков.

Ряд интересных с культурно-исторической точки зрения вопросов рассмотрен в труде «К грузинскому антиминсу». В нём дана история антиминса вообще и, в частности, грузинского: когда и откуда были внесены в Грузию рукодельные или напечатанные антиминсы. Здесь же установлен архетип грузинского оригинального антиминса, который по доверенности Совета Каталикосата в 1917 году автор исследования (протоиерей Каллистрат) и протоиерей П. Карбелашвили положили в основу макета нового национального антиминса.

Из вышеназванных сочинений широкая общественность знакома лишь с трудом «Мировозрение автора Витязя в тигровой шкуре»[13]. Эта работа, выполненная в 1937 году, весьма ценна для грузинского литературоведения. В ней по-новому осмыслено богословие Шота Руставели. В противоположность господствующему в то время мнению о нехристианстве автора «Витязя в тигровой шкуре», или о неправославности его, ученый выявил ортодоксально-христианские убеждения гениального поэта. Святейший Каллистрат одним из первых дал Христианскую интерпретацию сюжета сочинения: глубинный смысл и фабулы и образов персонажей это учение о приближении к Богу через покаяние и совершенствование личности таким путем: Автандил и Тинатин с одной стороны и Нестан и Тариэл с другой – это разные религиозно-нравственные характеры, разлученный с Богом, и потому сбившийся с пути человек (образы Нестан-Дареджан и Тариэла) смогут найти счастье лишь в Христовом крещении.

Этим исследованием Католикос-Патриарх Каллистрат первым установил, что «Ужамо жами (вневременное время)» является художественным образом Иисуса Христа, а «Мзиани game (Солнечная ночь)» - своеобразным атрибутом Христианского Бога: Руставели обращается к эстетико-художественным приемам, испытанным Отцами Церкви, и лучезарность поэме придает Священное Писание: исследователь сотнями нашел в тексте библейские или богослужебные соответствия.

После выхода в свет названного труда (1966 г.) руставелологические изыскания приняли иное направление, в этой области открылись пути для новых находок. Исследователь Руставели в совершенстве знал Библию, литургику и богословскую литературу и он смог ответить таким авторитетам, как Николай Марр, Шалва Нуцубидзе, Юстин Абуладзе, Мосэ Гогиберидзе и др.

---

[13] К. Экашвили. К мировозрению автора Витязя в тигровой шкуре, Шота Руставели, историко-филологические разыскания, Тбилиси, 1966 (на грузинском языке).

Сборник воспоминаний Патриарха Каллистрата украшает светлый образ его преосвященства Габриэл: Однажды епископ принял в гости студента Каллистрата. Владыка беседовал с ним, угостил обедом и одарил юношу деньгами. Благословляя, он сказал, что любовь к Грузии обязывает к заботе о монашестве. Этим архипастырь вызвал в душе юноши желание постричься в монахи, но небеса пожелали иначе и он сочетался браком с иностранкой, немкой, с которой познакомился и полюбил в Киеве. Высоконравственная жена поддерживала скромного и крестоносного супруга; когда (в 1925 г.) отца Каллистрата призвали в епископы, верующая жена сказала ему: если родная церковь требует тебя служить в новых условиях, ты, согласно заповеди Спасителя, должен покинуть жену и детей, взять крест свой и следовать Христу (Матфей 10,37). Возложи на господа заботы твои (Псалтырь 54,23): кто не забывает птиц небесных, не лишит нас милости своей».

Молитва-благословение его преосвященства Габлиэла воплотилась следующим образом: отец Каллистрат не постригался в монахи, но он приступил к жизни полной монашеской благодати. Его жизнь являла собой путь духовного роста и преображения. Удивительны были разум и ясность суждений глубокого старца. К его святейшеству чуть ли не до последних минут жизни обращались ученые за советами и наставлениями. С обоснованными указаниями и критическими замечаниями патриарха Каллистрата считались заслуженные ученые – Ш. Нуцубидзе, К. Кекелидзе, Ак. Шанидзе, С. Какабадзе, Ил. Абуладзе, Леон Меликсет-беков и другие, которые не раз отмечали высокие, но негласные заслуги великого владыки перед грузинской наукой.

Как подобает достойному монаху, блаженной памяти Католикос-Патриарх избегал рекламы, часто он утруждал себя, когда того не требовала необходимость, не оглашал своей личности. В споре он никогда не давал противнику чувствовать превосходства своих познаний и интеллекта.

О преданности священнослужителя Каллистрата ближнему оповещает письмо современника (хранится в архиве патриарха, №93), неизвестный автор которого так рассказывает о повседневной жизни Святейшего архипастыря: «ложится спать не ранее часа, а в 6 часов он уже на ногах... Первым долгом он в своей квартире обращается к Спасителю, затем посещает храм, кланяется иконам – особенно иконе св. Нины, Входит в алтарь, где коленопреклонённый долго молится. После молитвы отдает соответствующие распоряжения в храме и возвращается домой. По дороге с благоговением молится за упокой душ людей, погребенных рядом с храмом... Завтракает легкой пищей и простым чаем. Опять кроткая молитва и приступает к работе... Здесь

же следует отметить, что определенного времени для приема посетителей у него нет, какими делами бы он ни был загружен, принимает всех, кто имеет к нему дело. Он неотложно принимает меры для удовлетворения посетителей, но горе сомнительному посетителю... Он кроток и добр. Окружающих изумляет его отзывчивость, сочувствие к беде ближнего... В три часа полудня его Святейшество обедает. Он гостеприимен: 2-3 человека всегда разделяют с ним трапезу. За трапезой католикос со всеми одинаков, без различия состоянии и занимаемой должности... Работает до 12 часов ночи... Работу прерывает лишь для чая в семь часов. Никогда не ужинает... Не обладает никаким недвижимым имуществом или деньгами. Это и понятно: он помогает всем, кто обращается к нему. Многое утешило его на его веку, но и горя пришлось ему вкусить премного».

Добавим: лишь Христово терпение, вера и любовь утешали немощного. Непрестанная молитва закалила его и дала силы нести свой крест, поднятый с юношеских лет, до конца. Он поистину следовал словам: «Пойди к муравью, ленивец, посмотри на действия его и будь мудрым» (Притчи 6,6). Безупречной памятью и ясным мышлением изумлял патриарх в преклонном возрасте. Просвещению нравственного наставника не было конца (такое лишь удел святых!).

Многоопытный архипастырь радел о создании надежного будущего Грузинской Апостольной Церкви в виде духовного училища и печатного органа, но эту мечту он унес с собой в мир иной.

3 февраля 1952 год, исполнивший свой долг перед родной церковью Католикос-Патриарх был отозван из суетного мира вершителем судеб.

В этой книге впервые публикуется сборник проповедей и речей Каталикоса Патриарха Калистрата Цинцадзе, которые были произнесены им во время литургии, молебен и панихид. Вступительное слово а такте исследования, проведенные примерно тридцать лет назад, основательно переработаны автором для данного издания, так же сопровождены примечаниями.

В проповедях Калистрата Цинцадзе помимо церковной и теологической тематики, встречаются рассуждения на такие темы, как демократия, права человека, церковь и государство, толерантность и мир. Данные материалы убеждают читателя в том, что антидемократичные, ксенофобские, этнонациональные тенденции, которые заметны в жизни современной Грузинской Православной Церкви, не соответствуют ее природе. Они приходят в противоречие как с прошлым Православной Церкви, так и с пастырским, богословским наследием Каталикоса Патриарха Калистрата Цинцадзе.

Series «Religion in conflicts and negotiations»

CALLISTRATUS TSINTSADZE

SERMONS AND SPEECHES

Manuscripts were collected and edited, introduction and research were prepared by Dr. Nugzar Papuashvili

Abstract

One of the serious problems of contemporary Georgia is fundamentalism and nationalism of the Orthodox population. Its scale and outcome is obvious and it creates an obstacle for the development of democratic processes in the country. Specific groups of Orthodox population often offend non-Orthodox ones; they do not allow them to open the houses of prayer and hold different events. State authorities, for the largest part, are unable to resist the actions of such groups and they sometimes even patronize them. Therefore, the principle of equality of the citizens is infringed.

Since the aforementioned actions are being carried out by the secular and religious people under the name of Orthodox, people, not having the knowledge about this subject, assume that these actions, corresponding thoughts and attitudes are the essence and norm of the Orthodox Church. The question arises: Is this indeed the truth?

The desire to find an answer to this question inspired us to issue and spread the literature in which the Orthodox belief and tradition of the Orthodox Church will be objectively represented and which will help the wide audience of readers to develop correct orientation.

Such kind of literature is presented in the sermons and speeches of the famous religious and civil worker, teacher and a scientist, Catholicos-Patriarch of Georgia in 1932-1952, Callistratus Tsintsadze, with regard to different civil, political and cultural-educational events. These include discussions on the topics, such as democracy, human rights, church and the state, coexistence of the churches of different confession in the same

society, church and the culture, knowledge and faith, tolerance and love towards foreigners, reconciliation of the enemies and kindness among humans. This material will assure the reader in the following: the violence that today takes place from the side of the Orthodox Church is not the tradition of this church and is inappropriate for the history of the Georgian Orthodox Church.

In Georgian Languages

Responsible person,
Nugzar Papuashvili

E-mail – nugzarpa@yahoo.de

Publishing House **"UNIVERSAL"**
19, I. Chavchavadze Ave., 0179, Tbilisi,Georgia ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

გამომცემლობა **„უნივერსალი"**
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ქამგეთის ტაძარი, სადაც
ამ წიგნში წარმოდგენილი
ქალაგებების დიდი ნაწილი
წარმოითქვა.

ალექსანდრეს ციციანე
1895 წლის ახალი ხანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ISBN 978-9941-22-444-7